79. ფრაგონარ ჟან (1732-1806) – ფრანგი, „დღესასწაული სენ-კლუბში“, „მობანავე ნაიდები“, „ღარიბების ოჯახი“.

80. ტროპინინი ვასილი (1776-1857) – რუსი, პორტრეტისტი, „მემანქანე ქალი“, „ავტოპორტრეტი“.

81. ტულუზ-ლოტრეკი (1864-1901) – ფრანგი, „ცეკვა მულენ-რუჟში“, „მომღერალი ქალი ივეტა გილბერი“.

82. უისლერი ჯეიმზ (1834-1903) – ამერიკელი, „სიმფონია თეთრებში №1“, „გოგონა თეთრებში“, „დედის პორტრეტი“, „ვენეციური სერია“.

83. ფაბრიციუსი (პიტერსი) კარლ (1622-1654) – ჰოლანდიელი, “მუსიკალური საკრავების გამყიდველი“, „გუშაგი“, „ავტოპორტრეტი“.

84. ფედოტოვ პაველ (1815-1852) – რუსი, „ჩინებული კავალერი“, „წუნია პატარძალი“, „მაიორი ცოლს ირთავს“.

85. ფეტვიაშვილი რუსუდანი (1968) – „მუზა“, „გემი“, „ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები“.

86. ჯაფარიძე უჩა (1906-2000) – „სამხარი“, „რაჭა“, „დედის ფიქრები“, „დარიგება“.

87. ქადაგიშვილი უშანგი (1940) –„ორმაგი გამორკვევა“, „ქრისტეს ტრიპტოხო“, „პეტეფი“.

88. ქუთათელაძე გურამი (1924-1979) – „გაზაფხული“, „ზაფხული“, „ქართლის პეიჟაზი“.

89. ყუფარაძე პაატა (1970-2005) – აკვარელი, „მეოთხე განზომილება“, „დანაე“, „სიყვარულის ველი“, „გენეზისი“, „ნატვრის ხე“.

90. შერვაშიძე ალექსანდრე (1967-1968) – „ქალის პორტრეტი“, „პარიზის ერთ-ერთი კუთხე“, „ავტოპორტრეტი“.

91. შარდენი ჟან (1699-1779) – ფარნგი, „ნატურმოტი ხელოვნების ატრიბუტით“, „ბიჭი ბზრიალათი“.

92. შევარდნაძე დიმიტრი (1863-1928) – „ნატურმორტი ვარდებით“, „ქალი ფანჯარასთან“, „ავტოპორტრეტი“.

93. ციმაკურიძე ალექსანდრე (1882-1954) – „მზიანი დღე“, „წაბლის ხობა“, „ქვიშხეთის მიდამოები“.

94. ცორნი ანდერს (1860-1920) – შვედი, „ს. მამონტოვის“ პორტრეტი.

95. ხახუტაშვილი დიმიტრი (1927-?) – „გოგონა ძაღლთან ერთად“, „უხუცესი ქართველი მხატვარი“, „ჭიდაობა“.

96. ხუნდაძე ჯიბსონი (1927-?) – პეიზაჟისტი, „დილა მთაში“, „წითელი მთა“.

97. ხუციშვილი კონსტანტინე (1914-1980) – „შემოდგომა“, „ვარდები“.

98. ჰალს ფრანს (1581-1585) – ჰოლანდიელი, „შავტანსაცმლიანი კაცი“, „ბოშა ქალი“, „ავტოპორტრეტი“.

99. ჰოდენ ფერდინანდ (1853-1918) – შვეიცარიელი, „დღე“, „ღამე“, „ავტოპორტრეტი“.

100. ჰოხი პიტერ დე (1629-1685) – ჰოლანდიელი, „ქალბატონი და მოახლე“, „დედა აკვნით“.

**10 საუკეთესო**

1. აივაზოვსკი ივან (1817-1900)
2. გაბაშვილი გიორგი (1862-1936)
3. დამიანე (XIV საუკუნე)
4. ლევიტანი ისაკი (1860-1900)
5. მაისაშვილი სევერიანე (1900-1980)
6. მაღალაშვილი ქეთევანი (1894-1973)
7. სიდამონ-ერისთავი (1889-1943)
8. ფეტვიაშვილი რუსუდანი (1968)
9. ყუფარაძე პაატა (1970-2005) – (1970-2005)
10. ჰალს ფრანსი (1581-1585)

უპირველესი **აივაზოვსკი ივან (1817-1900)**

**შენიშვნა:** ეს ის ნახატებია, რომელთა დედნებსაც მე პირადად გავცნობივარ გამოფენებზე, მუზეუმებში და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

## საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის 100 ღირსეული მთავარეპისკოპოსი, კათალიკოს-მთავარეპისკოპოსი და კათალიკოს-პატრიარქი

1. იოანე პირველი (335-363)
2. იაკობი (363-375)
3. იობი (375-390) – სომეხ ნერსე კათოლიკოსის ყოფილი დიაკონი
4. ელია (390-400)
5. სვიმონ პირველი (400-410)
6. მოსე (410-425)
7. იოველ პირველი (443-458)
8. მიქაელ პირველი (459-467) – ვახტან გორგასალს კბილები რომ ჩაუმტვრია

**კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსნი:**

9. პეტრე პირველი (467-474)
10. სამოელ პირველი (474-502)
11. გაბრიელ პირველი (502-510)
12. თავფერჩაგ პირველი (510-516)
13. ჩირმაგი-ჩიღირმანე (516-523)
14. საბა პირველი (523-552) – არჩეული იქნა მცხეთაში პირველად
15. ევლავი (533-544)
16. სამოელ მეორე (544-553)
17. მაკარი (553-569)
18. სვიმონ პირველი (569-575)
19. სამოელ მესამე (575-582)
20. იოანე მეორე (610-619)
21. ბაბილა (619-629) – ააგო კათალიკოზთა მეტოქედ ანჩისხატის ტაძარი
22. სამოელ მეხუთე (634-640)

23. ევნონ (640-649)

24. თავფეჩაგ მეორე (649-664)

25. სამოელ მეექვსე (670-677)

26. პეტრე (სვიმონ) – მეორე (689-720)

27. თალალე (720-731)

28. მამაი (731-744)

29. იოანე მესამე (744-760) – ანტიოქიაში უკანასკნელად ნაკურთხი

30. გრიგოლ მეორე (760-767)

31. სარმეანე მეორე (767-774)

32. სამოელ მეშვიდე (780-790) – წმინდა აბოს ცხოვრების აღწერის ინიციატორი

33. კირილე (791-802)

34. გრიგოლ მესამე (802-814)

35. სამოელ მერვე (814-826)

36. გიორგი მეორე (826-838)

37. გაბრიელ მეორე (838-850)

38. ილარიონ პირველი (850-860)

39. არსენ პირველი (860-887)

40. ევსუქი (888-908)

41. კლემენტოს (908-923)

42. ბასილ მეორე (924-940)

43. მიქელ მესამე (940-954)

44. არსენ მეორე (955-980) – აღმწერილი ქართულ წმინდანთა ცხოვრებისა

45. ოქროპირ (იოანე) – პირველი (980-1001)

46. სვიმონ მესამე (1001-1012)

**კათოლიკოზ-პატრიარქნი**

47. მელიქსედეკ პირველი (1012-1030) – (1039-1045) – „აღმაშენებელი სვეტიცხოველისა“

48. ოქროპირი (იოანე) – მეორე (1031-1039) – (1045-1049)

49. ექვთიმე პირველი (1049-1055)

50. გიორგი მესამე ტაოელი (1055-1065)

51. გაბრიელ მესამე საფარელი (1065-1080)

52. დიმიტრი (1080-1090)

53. ბასილ მესამე კარიჭის-ძე (1090-1100)

54. იოანე მეოთხე საფარელი (1100-1142) – თავჯდომარეობდა რუის-ურბნისის კრებას (1103)

55. ნიკოლოზ პირველი გულაბერის-ძე (1150-1178) აღმწერელი სვეტიცხოველის სვინაქსარისა

56. მიქელ მეოთხე მირიანის-ძე (1178-1186) მეფეთ მკურთხველი თამარისა

57. იოანე მეხუთე (1208-1210) – „ანგელოზთა სწორი“

58. ეპიფანე (1210-1220)

59. გიორგი მეოთხე (1225-1230)

60. არსენ მეოთხე ბულმაისინის-ძე (1230-1240)

61. ნიკოლოზ მეორე (1240-1280) – თანამედროვე დიმიტრი თავდადებულისა

62. აბრამ პირველი (1280-1310)

63. ექვთიმე მესამე (1310-1325)

64. მიქელ მეხუთე (1325-1330)

65. ბასილ მეხუთე (1330-1350) – გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე

66. დროთეოზ მეორე (1350-1356)

67. შიო პირველი (1356-1364)

68. ნიკოლოზ მესამე (1364-1380)

69. გიორგი მეხუთე (1380-1399)

70. ელიოზ გობირახის-ძე (1399-1411) – მოწამე თემურლენგის შემოსევისა

71. მიქაელ მეექვსე (1411-1425)

72. დავით მესამე გობელაძე (1435-1439) – (1443-1453)

73. შიო მეორე (1440-1466)

74. დავით მეოთხე (1466-1479)

75. ევაგრე (1480-1492) – (1500-1509)

76. აბრამ მეორე აბალაკი (1492-1497)

77. დორთეზ მეორე (1503-1510) – (1511-1516)

78. ბასილი მეექვსე (1517-1528)

79. მალაქია (1528-1538)

80. გერმანე (1541-1547)

81. ზებედე პირველი (1550-1557)

82. ნიკოლოზ მეოთხე ბარათაშვილი (1562-1584)

83. ნიკოლოზ მეხუთე (1584-1591) – ძე კახთა მეფის ლეონისა

84. ზებედე მეორე (1603-1610)

85. ზაქარის ჯორჯაძე (1613-1630)

86. ევდემოზ პირველი დიასამიძე (1630-1643) – როსტომ მეფემ კლდიდან გადააგდებინა რადგან მუსულმანების წინააღმდეგი იყო.

87. ქრისტეფორე ურდუბეგის-ძე ამილახვარი (1643-1660)

88. დომენტი მესამე, ქაიხოსრო მუხრანბატონის-ძე (1560-1575) – განაახლა ანჩისხატი, აღუშენა სამრეკლო, ჭალიდან ჩამოასვენა ანჩისხატი პირიღვთისა.

89. ნიკოლოზ მეშვიდე ამილახვარი (1676-1687) – (1691-1696)

90. იოანე მეშვიდე დიასამიძე (1687-1691) – (1696)-1700)

91. ევდომოზ მეორე დიასამიძე (1700-1703) – (1704-1929) – ძმისწული იოანე დომენტი IV ლეონ მეფის-ძე

92. ბესარიონ ორბელიანი (1730-1735) – „გრდემლის“ ავტორი

93. ანტონ პირველი დიდი იესე მეფის ძე (1744-1756) – (1763-1788)

94. იოსებ ჯანდიერი (1756-1763)

95. ანტონ მეორე, ერეკლე მეფის-ძე (1788-1810) – გარდაიცვალა 1828 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში

96. ამბროსი ხელაია (1921-1927)

97. კალისტრატე ცინცაძე (1932-1952)

98. მელქისედეკ მესამე ფხაკაძე (1952-1960)

99. ეფრემ მეორე სიდამონიძე (1960-1972)

100. ილია მეორე (ღუდუშაურ-შიოლაშვილი) (1977 წლიდან) – საქართველოს ეკლესიის ამაღორძინებელი.

**ათი საცნობი**

1. ანტონ პირველი ((1744-1756) – (1763-1788)
2. არსენ მეორე (955-980)
3. ბაბილა (619-629)
4. დომენტი მესამე (1560-1575)
5. იოანე პირველი (335-363)
6. ივანე მეოთხე საფარელი (1100-1142)
7. ილია მეორე (1977)
8. კალისტრატე ცინცაძე (1932-1952)
9. მელიქსედ პირველი (1012-1030) – (1039-1045)
10. პეტრე პირველი (467-474)

უპირველესი **იოანე მეოთხე საფარელი** (1100-1142)

შენიშვნა: კათოლიკოსობა შეჩერებული იყო 1810-1917 წლებში და საქართველოს ეკლესიას მეთაურობას უწევდნენ, რუსეთის უწმინდესი სინოდის ეგზარხოსები.

## საქართველოს 100 ამაგდარი მეტყევე „გირისტისი“ — ტყის დამცველები

1. აბაშიძე იასონ (იჩო) – (1904-1990) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ტყის ტექნიკური ინსტიტუტის, დენდროლოგიური პარკის დირექტორი, ტყის მეურნეობის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მეტყველების, დენდროლოგიის და ტყის კულტურების კათედრის გამგე.

2. აბზიანიძე ნოდარი (1928) – ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

3. აბულაძე ესტატე (1927-1981) – საკავშირო სატყეო მეურნეობის ინსტიტუტის თბილისის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის დირექტორი.

4. აფციაური ვასო (1869-1955) – ტყისმცველი, სახალხო პოეტი, მას ეკუთვნის პოპულარული ლექსი „ტყე შეუნახე შვილებსა“. 50 წელი იმუშავა ტყისმცველად მანგლისში, თეთრიწყაროს რაიონში.

5. აფციაური შალვა (1926-2008) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის ტაქსაციის კათედრის გამგე.

6. ბალიაშვილი ოთარი (1928-2003) – საქართველოს სატყეო კომიტეტის მინისტრის მოადგილე.

7. ბაქრაძე ალექსანდრე (1850-1900) – ხელმძღვანელობდა ტყეთმოწყობის სამუშაოს როგორც საქართველოში, ასევე ამიერკავკასიაში.

8. ბახსოლიანი ტარიელი (1927) – მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის, გორის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის დირექტორი. საქართველოს საგეგმო კომიტეტში მთავარი მეტყევე ინჟინერი.

9. ბეროზაშვილი ალექსი (1914-1993) – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-მეურნეობის ფაკულტე-

ტი. ტყის კულტურების კათედრის დოცენტი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

10. ბეროზაშვილი ტოგო (1941) – დამთავრებული აქვს ლენინგრადში კიროვის სახელობის სატყეო-ტექნიკური აკადემია. უფროსი მეცნიერმუშაკი. მუშაობდა ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის ლაბორატორიაში.

11. ბრეგვაძე გერმოგენი (1894-1980) – პროფესორი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტეს ტყის კულტურების და სატყეო მელიორაციის კათედრის გამგე.

12. ბუკია გორიკო (1940) – ქარიატას სახელმწიფო სატყეო სანერგე მეურნეობის, ხობის სატყეო სანერგე მეურნეობის და ხობის სატყეო მეურნეობის დირექტორი სხვადასხვა წლებში.

13. გაგოშიძე გიორგი (1957) – პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი.

14. გაგოშიძე ირაკლი (1932-1985) – საკავშირო სატყეო-ინსტიტუტის ტყის ტაქსაციის განყოფილების ხელმძღვანელი. მის მიერ გამოცემულია ამიერკავკასიის ტყის შემქმნელი ძირითადი ჯიშების უთანრიგო მასობრივი ცხრილები, რუსულ ენაზე.

15. გამრეკელი ანდრო (1846-1897) – დამთავრებული აქვს პეტერბურგის სატყეო-ტექნიკური აკადემია. მან შეადგინა ბორჯომის ხეობის ტყეების სტატისტიკური აღრიცხვა, ეს პირველი ტყეთმოწყობის სამუშაოების ჩატარება იყო როგორც საქართველოში, ასევე ამიერკავკასიაში

16. გამცემლიძე ოთარი (1927-1998) – მესტიის სატყეო მეურნეობის, ენგურის ტყემრეწველობის, თბილისის ქაღალდის ფაბრიკის დირექტორი. საქართველოს სატყეო კომიტეტის ტყის კულტურების სამმართველოს უფროსი

17. გამცემლიძე პავლე (1920-1984) – ქუთაისი ოლქის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

18. გვაზავა ლევანი (1937) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გეოდეზიის და ლანდშაფტის დაგეგმარების კათედრის გამგე

19. გიგაური გიორგი (გიგო) – (1928-2008) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სატყეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გულისაშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

20. გიგაური დავითი (1950) – საქართველოს სატყეო-მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე, „საქტყეპროექტის" დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი

21. გოცირიძე აპოლონი (1905-1976) – 44 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალდაბის, ბორჯომის და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებს.

22. გოცირიძე ზვიადი (1959) – ახალდაბის საცდელი სადგურის დირექტორი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ბორჟომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი

23. გოცირიძე ლევანი (1929) – მუშაობდა ბაკურიანის სატყეო მეურნეობის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ჩამოყალიბებაში.

24. გოცირიძე რეზო (1926) – მეცნიერებათა დოქტორი, პუბლიცისტი, საგარეჯოს, ბოლნისის, გორის, გურჯაანის სატყეო მეურნეობების და საგურამოს ნაკრძალის დირექტორი.

25. გოცირიძე სერგო (1901-1976) – ამიერკავკასიის ტყეთა მოწყობის საწარმოს მმართველი.

26. გულისაშვილი ვასილი (1903-1979) – საქ. მეცნიერებათა აკად. აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი ინიციატივით იქმნება ტყის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და გარდაცვალებამდე 35 წლის განმავლობაში იმ ინსტიტუტის დირექტორია, რომელიც გარდაცვლილის სახელს ატარებს, მას გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტური სახელმძღვანელო მეტყევეობაში, რომელიც თარგმნილია მრავალ ენაზე.

27. დარახველიძე ვახტანგი (1912-1986) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს მეტყევეობასა და გარემოს დაცვაში.

28. დათუაშვილი ზურაბი (1931) – მეტყევე ინჟინერი, 1958 წლიდან მუშაობდა სატყეო-კვლევით ინსტიტუტში, ის არის ჩვენი ტყეების ფიტო-კინო მემატიანე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

29. დვალი კარლო – ამბროლაურის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

30. დვალი მერაბი (1951) – ბოლნისის სატყეო მეურნეობის დირექტორი, მოგვიანებით საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

31. დიდებულიძე თენგიზი (1932-2006) – მარნეულის, გურჯაანის რაიონის ლელის სატყეო სანერგის და წითელწყაროს რაიონების სატყეო მეურნეობების დირექტორი.

32. ვაჩნაძე გიორგი (გივი) (1929) – თბილისის სატყეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ქიმიზაციის, ტყის ნიადაგების და მიკრობიოლოგიის გამგე.

33. ვინოგრადოვ-ნიკიტინი პავლე (1869-1938) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ტყის ტექნიკური ინსტიტუტის პირველი დეკანი, მეტყევეობის და დენდროლოგიის კათედრის გამგე, საკავშირო სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტყეების დიდი მოამაგე

34. ზაკტრეგერი ილია (1883-1938) – პროფესორი, ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის და მელიორაციის კათედრის გამგე.

35. თავაძე ბიძინა (1939) – პროფესორი, ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგე, ხარისხის მართვის ინსტიტუტის პრორექტორი და ბიოლოგიის კათედრის გამგე

36. თარგამაძე კონსტანტინე (1910-1983) – მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, საქ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ეკონომიკის და ტყის ტაქსაციის კათედრის გამგე, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა 49 წლის განმავლობაში.

37. კაიკაციშვილი ნოდარი (1938) – ქობულეთის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი, მისი ინიციატივით 1500 ჰა ფართობზე გაშენდა სხვადასხვა ტყის ძვირფასი ჯიშები.

38. კანდელაკი თეიმურაზ (თემური) – (1941) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. მეტყევეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქ. სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ის რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსია. საქ. აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო ფაკულტეტის დეკანი.

39. კანდელაკი აკაკი (1933-2006) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სატყეო ინივერსიტეტის მერქნიან მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე. მან ვერცხლისფერი ნაძვის კალმით დაფესვიანებისათვის პატენტი მიიღო.

40. კარანაძე ტრიფონი (1905-1975) – ქუთაისის სატყეო მეურნეობის უცვლელი დირექტორი 30 წლის განმავლობაში.

41. კუხიანიძე გიორგი (1930) – საქართველოს ვ. გულისაშვილის სახელობის ტყის ინსტიტუტის, ტყის არამერქნიანი რესურსების ლაბორატორიის გამგე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მეფუტკრეობის განვითარების საქმეში.

42. ლიპარტელიანი გიორგი (1935-1990) – თბილისის დენდროლოგიური პარკის და ამიერკავკაიის ტყეთამოწყობის გაერთიანების დირექტორი.

43. ლობჟანიძე ელდარი (1931) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მერქანმცოდნეობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მისი ნაშრომები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

44. ლომიძე იუზა (იური) (1943) – სხვადასხვა დროს მუშაობდა ასპინძის, ახალციხის, ხაშურის სატყეო მეურნეობების დირექტორად.

45. მათიკაშვილი ლადო საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს „დეკორატული მებაღეობაში“, მუშაობდა საქ. მერქნის სახეობით სელექციურ მეთესლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სათესლე ბაზის სრულყოფაზე, მუდმივი სათესლე ნაკვეთებს და პლიუსური ხეების გამოყვანაზე.

46. მანველიძე ზურაბი (1958) – მეცნიერებათა დოქტორი, საქ. ეკოლოგიური მეცნიერების ნამდვილი წევრი. აჭარის აგრარულ კომიტეტთან არსებული გარემოს დაცვის, სამეცნიეროსაკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

47. მანველიძე ქართლოსი (1931) – მეცნიერი, პუბლიცისტი, აჭარის აგროსატყეო მეურნეობების სამმართველოს უფროსი. დიდი ღვაწლი მიუძღვნის კაკლის, წაბლის, თხილის, პეკანის თესლების შეგროვებასა და მათ ნერგების გამოყვანაში.

48. მარგველაშვილი ნიკოლოზი (1900-1974) – მეცნიერებათა დოქტორი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეტყევეობის კათედრის პროფესორი, გამოცემული აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო.

49. მახათაძე ლუარსაბი (1906-2002) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სატყეო ინსტიტუტეს ტყეთმცოდნეობის, ტყის ტიპოლოგიის ლაბორატორიეს გამგე.

50. მეგრელიშვილი ფარვიზი (1927-1998) – საქ. სახელმწიფო სატყეო კომიტეტის თავმჯდომარე.

51. მეტრეველი გიორგი (ჟორა) (1926-2002) – საქ. სატყეო კომიტეტის უფროსი მეტყევე.

52. მეტრეველი პეტრე (1915-1993) – მეცნიერი, დოქტორი, პროფესორი, საქ. სასოფლო-სამეურნეო სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი.

53. მეტრეველი ავთანდილი (თენგიზი) (1945) – „საქტყესელექციის“ საწარმოს მთავარი მეტყევე, დირექტორი. კასპის სელექციური სატყეო მეურნეობის დირექტორი, სატყეო ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის განყოფილების გამგე.

54. მეფარიძე შოთა (1921) – თბილისის საცდელი საჩვენებელი მექანიზებული სატყეო-მეურნეობის დირექტორი 30 წლის განმავლობაში.

55. მირზაშვილი ვიქტორი (1898-1972) – საქ. სატყეო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, თარგმნიდა და წერდა სახელმძღვანელოებს სატყეო მეურნეობასა და ტაქსაციაში.

56. მურვანიშვილი მიხეილ (1875-1959) – თავის დროზე განაგებდა ბორჯომის ხეობის ტყეებს, მას გაშენებული აქვს ასობით ჰექტარი ტყე ქართლის სატყეო მეურნეობებში.

57. ნიშნიანიძე ქუჯი (1940) – ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ კონსულტანტი, ავტორია ბოტანიკის, ცხოველების, მწერების, ლექსიკონის. არის რამდენიმე ექვსენოვანი მონოგრაფიის ავტორი.

58. ობოლაძე რეზო (1939) – მეცნიერი, პედაგოგი, მეტყევე – ეკონომისტი. მუშაობდა საქ. ტყის მეურნეობის სამინიოსტროს შრომის მეცნიერული ცენტრის, ეკონომიური ანალიზის და სტრატეგიული დაგეგმის ლაბორატორიის უფროსად. ჟურნალ „სატყეო მოამბის" დამაარსებელი და პროექტის ხელმძღვანელი.

59. პაპუნიძე ვანო (1940) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. მეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი.

60. ჟღენტი სერგო (სელიმი) – (1928-1999) – ქედის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ინიციატივიანი შემოქმედი მეტყევე, ხელმძღვანელი.

61. როშჩინი იოსები (1873-1944) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგი, მთარგმნელი. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგებდა ტყის კულტურების და სატყეო მელიორაციის კათედრას.

62. სარაჯიშვილი დავითი (1902-1992) – თბილისის სატყეო ინსტიტუტის სწავლილი მდივანი.

63. სვანიძე მერაბი (1929) – დამთავრებული აქვს ქ. ბრიანსკის სატყეო ინსტიტუტი ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო

ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ლაბორატორიის განყოფილების გამგე.

64. სისაური ვიტალი (1942) – თეთრიწყაროს, სამგორის, თიანეთის სატყეო-მეურნეობის დირექტორი 1987-2005 წლებში.

65. ტარასაშვილი ნოდარი (1931) – მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის სატყეო-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

66. ტყეშელაშვილი ავთანდილი – თეთრი წყაროს დირექტორი, თბილისი მწვანე ზონის სამმართველოს უფროსი და კოლხეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

67. ტულუში კარლო (1925) – მეცნიერებათ დოქტორი, საქ. ეკოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის ოჩამჩირის საცდელ-საჩვენებელი სადგურის დირექტორი.

68. ურუშაძე თენგიზი (გიზო) (1940) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები, მათ შორის, „სსრკ მთის ნიადაგები", რომელსაც მიენიჭა ვ. ვავილოვის სახელობის პრემია (რუსეთი).

69. ურუშაძე ალექსანდრე (სანდრო) (1974-2008) – საქ. ვ. გულისასვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, გლობალური სატყეო კოალიციის წარმომადგენელი საქართველოში, მსოფლიო ბანკის დაკვეთით მუშაობდა საქართველოში ტყის განვითარების სხვადასხვა პროექტზე.

70. ქარუხნიშვილი კონსტანტინე (კოტე) (1929-1999) – მუშაობდა მარნეულის და ხაშურის რაიონის სატყეო მეურნეობათა და „საქტყესელექციის" საწარმოს დირექტორად.

71. ქურდიანი თამაზი (1937) – თბილისის სატყეო ინსტიტუტის გორის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე. სატყეო სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის განყოფილების უფროსი.

72. ქურდიანი სოლომონი (1867-1937) – დამთავრებული აქვს ნოვოალექსანდრიის (პოლონეთი) – სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის ინსტიტუტი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. პეტერბურგში. 1918 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში. მისი მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა აგრონომიული ფაკულტეტი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დააარსა დენდრეოლოგიის, სატყეო ტაქსაციის და სატყეო მეურნეობის კათედრა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ჯერ ამიერკავკასიის, შემდგომ თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი, სადაც დენდროლოგიის და ბოტანიკის კათედრის გამგედ ირჩევენ. მან აღზარდა ბევრი სახელოვანი მეტყევე მეცნიერი სპეციალისტი. იგი მუშაობდა ტყის სელექციის, ჰიბრიდიზაციის და აკლიმატიზაციის დარგში.

73. ქურიძე ალექსანდრე (1946-2006) – დამთავრებული აქვს ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. მუშაობდა ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის დირექტორად, აჭარის დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამსახურის უფროსად.

74. შავლიაშვილი ირაკლი (1928-2005) – მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ტყის საშიში მავნებლის – ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის შემსწავლელი განყოფილების გამგე. მოგვიანებით ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

75. შიშნიაშვილი რამაზი (1937-2003) – ბოლნისის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

76. შონია ნაპოლეონი (1927) – აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში მუშაობდა სატყეო-მეურნეობის დირექტორად 40 წლის განმავლობაში.

77. ჩაგელაშვილი რეზო (1937) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრი. საქართველოს გარემოს და ბუნების დაცვის მინისტრის მოადგილე.

78. ჩარკვიანი ბოჩო (1940) – სხვადასხვა წლებში მუშაობდა ზუგდიდის, წალენჯიხის, ოდიშის, სატყეო მეურნეობის დირექტორად.

79. ჩაფაძე ანძორი (1934) – მეტყევე-ტაქსატორი, ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, იყო სატყეო დარგში საქართველოს მთავრობის აპარატის სახელმწიფო მრჩეველი. საგარეჯოშის რაიონში ვ. გულისაშვილის სახელობის დენდროლოგიის პარკს აშენებს.

80. ჩაჩხიანი ზინა (1923-1991) – ქუთაისის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე, შემდგომ ამ მეურნეობის დირექტორი 20 წლის განმავლობაში.

81. ჩერქეზიშვილი ტრისტანი (1929) – სიღნაღის, გურჯაანის, სატყეო მეურნეობების დირექტორი, პუბლიცისტი, ავტორი მრავალი სატყეო სამეცნიერო ლიტერატურისა.

82. ჩიბურდანიძე გურამი (1937) – სხვადასხვა დროს მუშაობდა სართიჭალის სახელმწიფო სანერგის, თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობის დირექტორად,

83. ჩიბურდანიძე ლავრენტი (1908-1948) – მეცნიერი, თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტეს დირექტორის მოადგილე, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი.

84. ჩიტიაშვილი ფელიქსი (1942) – პროფესორი, თბილისის სატყეო ინსტიტუტში დაინიშნა გრძელვადიანი სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფის უფროსად, თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტეს „ეკო“ რექტორი.

85. ჩიქოვანი ტიტე (1934) – საკავშირო საპროექტო ინსტიტუტეს „სოიუზგიიპროლესხპზის“ ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორი.

86. ჩიხლაძე თენგიზი (1927) – საქ. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი, საკავშირო გაერთიანება „ამიერკავკასიის“ ტყეთმოწყობის საწარმოო განყოფილების უფროსი. ტყის ქომაგი.

87. ჩოდრიშვილი იოსები (1901-1993) – საქ. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

88. ჩხუბიანაშვილი იოსები (1907-1952 მეცნიერი, პედაგოგი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის უცვლელი დეკანი 20 წლის განმავლობაში და ერთდროულად მეცნიერთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

89. ჩხუბიანაშვილი რეზო (1947) – თბილისის სატყეო-ინსტიტუტის სწავლული მდივანი

90. ძებისაშვილი გიორგი (1944) – მოსკოვიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით და ვ. გულისაშვილის მოწვევით გადმოყვანილი იქნა თთბილისის სატყეო ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. მას მინიჭებული აქვს სსრკ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ფულადი პრემიით სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებისთვის

91. წერეთელი ივანე (1902-1973) – ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის საწარმოს და მისი საქმიანობის გაუმჯობესებას

92. წერეთელი ტიტე (1918-2005) – საქ. სატყეო-მურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

93. ჭითაშვილი სევერიანი (1918-1986) – თბილისის სატყეო კვლევითი ინსტიტუტეს მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტეს ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

94. ჭოჭუა ლერი (1938) – მუშაობდა საქ. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად. საქ. სატყეო სექტორის განვითარების ცენტრის კონსულტანტად.

95. ხარაიშვილი გერონტი (1925) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგი, თბილისის ვ. გუისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტში ტყის აღდგენის და სატყეო მელიორაციის გამგედ.

96. ხაჩიძე ქსენია (1920-1971) – ბორჯომის სატყეო-მეურნეობის უცვლელი დირექტორი

97. ხაჭაპურიძე ევგენი (1968-1992) – რიწის ნაკრძალის დირეტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მას მრავალი საინ-

ტერესო დაკვირვება აქვს ჩატარებული ამ ნაკრძალში და დადგენილი აქვს გარკვეული კანონზომიერებები ტყის მოდელის და ნაკრძალის მეურნეობის შერწყმის საქმეში

98. ხიდაშელი შალვა (1924-2009) – პროფესორი, პედაგოგი, ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-სატყეო ინსტიტუტის განყოფილების გამგე, კონსულტანტი. საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი კორესპონდენტი. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები სამკურნალო მცენარეების გამოყენებაში, გეობოტანიკაში, ბუნების დაცვაში. ენციკლოპედიური ცოდნის მქონე მეცნიერი.

99. ჯაფარიძე აბელი (1901-?) – ამიერკავკასიის (ყვარელის) სატყეო ტექნიკუმის დირექტორი, თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი, საქ. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის კულტურების სამმართველოს უფროსი, მრავალი სიახლის ავტორი

100. ჯაფარიძე თენგიზი (1938-2009) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გულისაშვილის სახელობის სამთო ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. საქ. აგრალური უნივერსიტეტის მეტყევეობის და ბუნების დაცვის კათედრის გამგე.

**ათი საუკეთესო**

1. აბაშიძე იასონი (იჩო) – (1904-1990)
2. გამრეკელი ანდრო (1849-1897)
3. გიგაური გიორგი (1928-2008)
4. გულისაშვილი ვასილი (1903-1979)
5. ვინოგრადოვ-ნიკიტინი პავლე (1969-1938)
6. მირზაშვილი ვიქტორი (1898-1972)
7. მურვანიშვილი მიხეილი (1875-1959)
8. ქურდიანი სოლომონი (1867-1937)
9. ჩხუბიანაშვილი იოსები (1907-1952)
10. ხიდაშელი შალვა (1924-2009)

უპირველესი **ქურდიანი სოლომონი (1867-1937)**

## ქართული რაგბის 100 ამაგდარი და ელიტა

1. აბაშიძე გოჩა – მოთამაშე, მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

2. აბაშიძე ვლადიმერი (ბაბულია) – სსრკ ნაკრების წევრი.

3. აბუსერიძე ირაკლი (აბუ) – საფრანგეთის რაგბის კლუბების მოთამაშე. საქ. ნაკრების კაპიტანი.

4. ავლასტიმოვი გივი – სამოცდაათიანი წლების თბ. „ლოკომოტვის" მოთამაშე, სხვადასხვა გუნდების მწვრთნელი.

5. ალანია კახა (პელე) – საქ. მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. „რაგბი-13"-ის ერთ-ერთი პიონერი.

6. ანდღულაძე თამაზი – საქ. ძველი თაობის მორაგბე.

7. ანთაძე მერაბი – სსრკ ახალგაზრდული ნაკრების წევრი. საქ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

8. ასათიანი გიორგი (მეხანიკა) – საქ. მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. რაგბი-13 ერთ-ერთი პიონერი.

9. ასპერიანი ჟაკი – საქართველოს რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მწვრთნელი.

10. ახვლედიანი ლევანი – ქ. ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, რაგბის ამაგდარი.

11. ბენდიაშვილი თემური (ბენდო) – სსრკ ნაკრების წევრი და თასის მფლობელი. თბ „ლოკომოტივის" ულალატო მწვრთნელი.

12. ბეჟუაშვილი რომანი – ქუთაისის რაგბის გუნდის ამაგდარი.

13. გარუჩავა მიხეილი – თბ. „შევარდენის" კაპიტანი, რაგბის ასოციასიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

14. გეგიძე ბიძინა (ბელუხა) – თბ. „ლოკომოტივის" მოთამაშე, საქ. რაგბის კავშირის თავმჯდომარე.

15. გეგენავა ლაშა – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მოთამაშე, „ყოჩების" მწვრთნელი. საქ. ჩემპიონი.

16. გიგინეიშვილი ზაალი – ქარ. რაგბის მემატიანე, ტელეკომენტატორი, ვებმაისტერი, მთარგმნელი.

17. გიორგაძე ავთანდილი (ღონე) – სსრკ ნაკრების, თბ. „ლოკომოტივის" მოთამაშე და ჩოხატაურის „ჯანის" მწვრთნელი.

18. გიორგაძე ავქსენტი (გლობუსა) – საფრანგეთის ლეგიონერი, საქ. ნაკრების უცვლელი წევრი.

19. გიორგობიანი ავთანდილი (ავთო) – სპორტული კლუბების, „ლოკომოტივის" თავმჯდომარის მოადგილე და „განთიადის" თავნჯდომარე, ორგანიზატორი, რაგბის ამაგდარი.

20. გორგაძე მამუკა (გულივერა) – საფრანგეთის ლეგიონერი, საქ. ნაკრების უცვლელი წევრი „ლელოიადორი".

21. დადუნაშვილი დავითი (დადუ) – საფრანგეთის ლეგიონერი, საქ. ნაკრების წევრი, ეროვნებათა თასის მფლობელი.

22. დავითაია დათო – სსრკ ნაკრების წევრი, ქ. მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის და თბილისის „ლოკომოტივის" წარმატებული მოთამაშე. პირველი სსრკ სპორტის ოსტატი რაგბში საქართველოში.

23. დარჩია ცეზარი (ტურა) – თბ. „ლოკომოტივის" მოთამაშე, ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელი, რაგბზე წიგნის ავტორი.

24. დიდებულიძე ვიქტორი (ტაიფუნა) – საფრანგეთის ლეგიონერი, მწვრთნელი, საქ. ნაკრების წევრი „ყოჩების" მოთამაშე.

25. დოლონაძე ოთარი – თბილისის „დინამოს" მწვრთნელი, რაგბის ამაგდარი.

26. ენდელაძე ნუგზარი (ენდელა) – თბ. „დინამოს" მორაგბე, საქ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი, საქ. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

27. ზედგინიძე ილია – საქ. ნაკრების წევრი, გუნდის კაპიტანი, გამორჩეული მოთამაშე, საფრანგეთის ლეგიონერი.

28. ზიბზიბაძე თედო – ქ. ქუთაისის გუნდის მოთამაშე, საფრანგეთის ლეგიონერი, ერთა თასის ორგზის მფლობელი, მსოფლიო თასის ორგზის მონაწილე.

29. ზირაქიშვილი დავითი (ზირაქა) – ქ. რუსთავიდან, საფრანგეთის ლეგიონერი და საფრანგეთის ჩემპიონატის ორგზის ფინალისტი. საქ. ნაკრების წევრი.

30. თაქთაქიშვილი დავითი (დათო) – თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მორაგბე, საქ. რაგბის ფერედაციის უცვლელი გენერალური მდივანი, საქ. რაგბის მემატიანე.

31. იურინი ნიკო (ბეიბურთა) – „შევარდენის“ გუნდის წევრი, საქ. ნაკრების წევრი.

32. კავთელაშვილი დუგლასი (პეტროვიჩი) – ქუთაისი „აიას“ მოთამაშე, მწვრთნელი, სსრკ სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი, სსრკ ნაკრების უფროსი, რაგბის ამაგდარი.

33. კაპანაძე ვალტერი (პავლოვიჩი) – თბ. „ლოკომოტივის“ წარმატებული მოთამაშე, საქ. ნაკრების ექიმი.

34. კაპანაძე ვახტანგი (ვახო) – „შევარდენის“ კაპიტანი, რაგბის ლიდერი.

35. კაცაძე ვასილი (ლომო) – საქ. ნაკრების წევრი, ერთა თასის მფლობელი, საფრანგეთის ლეგიონერი..

36. კაჭარავა ნოდარი – საქ. პოლიტექნიკური გუნდის მორაგბე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი რაგბში.

37. კევლიშვილი ვასილი (ბათო) – მწვრთნელი, რაგბის ამაგდარი, ორგანიზატორი.

38. კვინიხიძე ბორია (ბობიკა) – თბ. „ლოკომოტივის“ წარმატებული მორაგბე, საქ. ნაკრების წევრი.

39. კიზირია ირაკლი (ირა) – თბ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, წარმატებული მორაგბე, საქ. ვეტერან რაგბისტთა პრეზიდენტი.

40. კილასონია დავითი – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, მწვრთნელი, სსრკ ნაკრების გუნდის წევრი, სსრკ მეორე ნაკრების მწვრთნელი, რაგბის ამაგდარი.

41. კოროშინაძე მალხაზი (ჟირაფა) – თბ. „სპარტაკის“ მოთამაშე, კაპიტანი, საერთაშორისო კლასის არბიტრი.

42. ლაბაძე გრიგოლი (გია) – საფრანგეთის ლეგიონერი, საქ. ნაკრების წევრი, სამგზის ერთა თასის მფლობელი.

43. ლაზიშვილი ნიკოლოზი (კოკა) – თბ. „ლოკომოტივის“ გუნდის მოთამაშე, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

44. ლილუაშვილი ბესარიონი (მოურავა) – ქუთაისის „აია“, სსრკ ნაკრების წევრი, სამგზის სსრკ ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი.

45. ლიპარტელიანი ოლეგი (ვასილიჩი) – ქუთაისის „აია“, სსრკ ნაკრების წევრი, სამგზის სსრკ ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი, პირველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი საქართველოდან.

46. ლობჟანიძე ალექსანდრე (საშკა) – ნალჩიკის „უნივერსიტეტის“ და ქ. რუსთავის გუნდების მწვრთნელი, რაგბის ამაგდარი.

47. ლობჟანიძე ამირანი – წარმატებულად თამაშობდა თბილისი სხვადასხვა გუნდებში, რაგბის ამაგდარი.

48. მამრიკიშვილი ნიაზი – პოლიტექნიკური ინსტიტუტის და თბ. „ლოკომოტივის“ გუნდის წევრი, ტელევიზიის კომენტატორი, საქართველოს ჩემპიონატების დირექტორი.

49. მაისაშვილი ლევანი (ლოვა) – საქ. მრავალგზის ჩემპიონი, ლელოს კლუბის და საქ. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

50. მარჯანიშვილი მერაბი (გვაჯი) – საქ. ნაკრების წევრი.

51. მაჩიტაძე ზაური (ჩიჩმია) – საქ. ნაკრების წევრი.

52. მგელაძე ზაური – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის „დინამოს“, „ლოკომოტივის“, წარმატებული მოთამაშე, რაგბის კავშირის მწვრთნელი.

53. მგელაძე თამაზი – თბ. „ლოკომოტივის“ და ქ. მონინოს სამხედრო-საჰაერო ძალების წამყვანი მოთამაშე საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, მწვრთნელი.

54. მგელაძე ლევანი – ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი.

55. მელითაური სანდრო (სანდრიკა) – თბ. უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი, საქ. რაგბის ფედერაციის თავჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რაგბის ამაგდარი.

56. მოდებაძე გურამი (ბურძგლა) – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, საქართველოს და აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელი.

57. მიქაბერიძე გელა – თბ. „სპარტაკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, მოთამაშე, წარმატებული მწვრთნელი.

58. მრელაშვილი გივი – საქ. რაგბის ერთ-ერთი დაფუძნებელი, თბ. „დინამოს“, „განთიადის“ და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.

59. მჭედლიშვილი ზურაბი (პაკრიშკინა) – საქ. ნაკრების კაპიტანი, ერთა თასის მფლობელი.

60. ნადირაძე ვანო – საქ. ნაკრების წევრი, საფრანგეთის ლეგიონერი.

61. ნარიმანაშვილი პაატა – თბ. სამხარტვო აკადემიის გუნდის მწვრთნელი, საქ. ახალგაზრდული და ძირითადი ნაკრების მწვრთნელი მსოფლიო თასზე.

62. ნაცვლიშვილი ალბერტი (ბუღა) – გამორჩეული მოთამაშე, მის პატივსაცემად ქ. ქუთაისში თამაშდებოდა გარდამავალი საკავშირო „ხსოვნის თასი“.

63. ნაჭყებია ალექსანდრე (საშა) – ქუთაისის „აიას“ ყველა წარმატების მონაწილე, სსრკ ნაკრების წევრი, სსრკ სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი.

64. ნიჟარაძე გია – თამაშობდა თბ. „სპარტაკში“, „დინამოში“, საქ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

65. ობოლაძე დიმიტრი (დიმა) – საქ. მრავალგზის ჩემპიონი, საქ. ნაკრების კაპიტანი.

66. პაიჭაძე ბორისი – „ფეხბურთის კარუზო“, საქ. რაგბის კავშირის თავჯდომარე, მოამაგე მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „დინამოს“ რაგბის გუნდი.

67. რაფავა გია – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, საქართველოს ნაკრების წარმატებული მოთამაშე.

68. რეხვიაშვილი ზურაბი – თბ. „დინამოს“ მოთამაშე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

69. რუხაძე თენგიზი (ჩუნგო) – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, ორგანიზატორი, საქ. რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

70. სანებლიძე რამაზი – თბ. „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ მოთამაშე, სსრკ ნაკრების წევრი, წვრთნიდა თბ. „შევარდენს“ და ბათუმის „დათვებს“.

71. სვანიძე რამაზი (ვიტალიჩი) – ქუთაისის რაგბის პიონერი, ქ. ბათუმში „დათვების“ გუნდის შემქმნელი და მისი პირველი წარმატებული მწვრთნელი.

72. სორელი კლოდ – საქ. ნაკრების მწვრთნელი, მოწვეული საფრანგეთოდან, ქართული რაგბის ამაგდარი.

73. სურმავა გიორგი (ჟორიკა) – თბ. უნივერსიტეტის მოთამაშე და უცვლელი მწვრთნელი.

74. ტონია გიორგი – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტეს მორაგბე, რაგბის პიონერი, თბ. „ლოკომოტივის“ მწვრთნელი.

75. ურჯუკაშვილი მალხაზ (მახო) – საქ. ნაკრების წევრი. საფრანგეთის ლეგიონერი.

76. ფეტვიაშვილი ვახტანგი – თბ. „ლოკომოტივის“ კაპიტანი, საკავშირო ნაკრების მწვრთნელი.

77. ფხაკაძე თამაზი (ნიკა) – საქ მრავალგზის ჩემპიონი, თამაშობდა ქუთაისი და ბათუმის გუნდებში.

78. ქურციკიძე შალვა (შაკო) – ქართული რაგბის ამაგდარი. ქუთაისის „დინამოს“ და „აიას“ მწვრთნელი.

79. ქასრაშვილი ზაზა (ბაბუინა) – საქ. რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, შვიდკაცა რაგბის დამფუძნებელი.

80. ღიბრაძე ავთანდილი (ავთო) – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, გუნდის კაპიტანი. სსრკ ნაკრების წევრი, საქართველოს არმიელ მორაგბეთა მწვრთნელი, საქ. რაგბის ნაკრების ექიმი.

81. ყიფიანი ნოდარი – თამაშობდა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის და თბ. „სპარტაკის“ გუნდში, წვრთნიდა თბ. „ლოკომოტივს“, ავტორიტეტით სარგებლობდა სარაგბო წრეში.

82. შვანგირაძე ვახტანგი (ბუკუჩია) – ქუთაისის რაგბის პიონერი, დიდი შემართების მქონე სპორტსმენი.

83. შველიძე გოდერძი (გოდორა) – საქ ნაკრების წევრი, საფრანგეთის ლეგიონერი, ევროპის ერთა თასის მფლობელი.

84. ჩავლეიშვილი დათო (პაშა) – საქ. ნაკრების წევრი.

85. ჩეჩელაშვილი გიორგი (ჩეჩე) – თამაშობდა საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი. საქ. რაგბის ფედერაციის თავჯდომარე.

86. ჩოგოვაძე ავთანდილი (რიჟა) – ქუთაისი „სახლმშენის" გუნდის უნივერსალური მოთამაშე, სხვადასხვა საკავშირო ტურნირებში გამარჯვებული.

87. ჩხეიძე რეზო (მელიტონი) – საქ. ნაკრების მწვრთნელი.

88. ცაბაძე ლევანი (ლეონსიო) – საფრანგეთის ლეგიონერი, საქართველოს და ერთა თასის სიმბოლური ნაკრების წევრი.

89. ძაგნიძე ნუგზარი (ბეყე) – ქუთაისის „აიას" წარმატებული მოთამაშე სსრკ ნაკრების წევრი, სსრკ სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი.

90. ჭეიშვილი მალხაზი (ცუნცულა) – საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

91. ჭუმბურიძე გია (ჭუკი) – თბ. „უნივერსიტეტის" და „შევარდენის" მოთამაშე, საქ. რაგბის კავშირის განვითარების მენეჯერი. უკრაინის ჩემპიონი, ოდესის გუნდის მწვრთნელი.

92. ხამაშურიძე ბათლომე (ანტილოპა) – ქუთაისის „სახლმშენის" წარმატებული მორაგბე, სსრკ ნაკრების წევრი, ქუთაისის „აიას" გუნდის მწვრთნელი, ამაგდარი.

93. ხამაშურიძე ბესიკი – საფრანგეთის ლეგიონერი, საქ. ნაკრების წევრი, ერთა თასის ორგზის მფლობელი.

94. ხარშილაძე ზურაბი (ვობლა) – თამაშობდა თბ. „ლოკომოტივში" და ნალჩიკის „უნივერსიტეტის" გუნდში. სსრკ ნაკრების წევრი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და გამარჯვებული.

95. ხარშილაძე მიხეილი (მიშა) – თბ. „ლოკომოტივის“ და ქუთაისი „აიას“ გუნდების მოთამაშე, სსრკ ნაკრების წევრი, დიდი ენერგიის მორაგბე.

96. ხაჭაპურიძე სერგო – დიდი პოტენციალის რაგბისტი, თამაშობდა თბ. „ისანის“, „სასოფლოს“ და „განთიადის“ გუნდებში.

97. ხიზანიშვილი ომარი – საქ. ლელო-რაგბის ფედერაციის თავჯდომარე, ამაგდარი.

98. ჯაფარიძე გიორგი (ჯუფრი) – თბ. „ლოკომოტივის“ მოთამაშე, გუნდის კაპიტანი, სსრკ ნაკრების წევრი.

99. ჯაფარიძე თემური – თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბე, ტელეკომენტატორი, ამაგდარი.

100. ჯიმშელაძე პაკო – საფრანგეთის გუნის ლეგიონერი, საქ. ნაკრების წევრი.

**ათი საუკეთესო**

1. ასპეკიანი ჟაკ
2. ბენდიაშვილი თემური
3. ზედგინიძე ილია
4. კავთელაშვილი დუგლასი
5. კევლიშვილი ვასილი
6. კილასონია დათო
7. მგელაძე თამაზი
8. მრელაშვილი გივი
9. ქურციკიძე შალვა
10. გაგნიძე ნუგზარი

უპირველესი **ზედგინიძე ილია**

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ „ᲐᲡᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ“

ქართველ კაცს, უცხო გარემოში, სითამამეს ქართული სადღეგრძელოების ცოდნა მატებს და მას შესამჩნევს და დასამახსოვრებელს ხდის. დღეს საყოველთაო ინფორმირების და პროფესიული ცოდნის დაუფასებელი საუკუნეა, რაც ტექნიკური პროგრესის „გათავხედებითაა“ გამოწვეული. ახალ თაობას უჭირს ძველი ღირებულებების გააზრება და თანამედროვეობაზე მორგება. შედეგად მათ მიაჩნიათ, რომ სადღეგრძელოების ინსტიტუტი მოძველდა და დროა მასზე ხელი ავიღოთ. ასეთი შეხედულება დროებითია, ადამიანი მეტ-ნაკლებად მოერგება პროგრესს და საჭირო ხდება პირადი ურთიერთობა, რომელიც დღეს ბევრმა ინტერნეტში მოპოვებული ნაცნობობით შეცვალა.

მახსოვს, ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს, კათედრის ახალგაზრდა თანამშრომელმა ქორწინება სამეცნიერო ხარისხის დაცვას დაამთხვია და ქორწილი და „დესერტაცია“ ერთდროულად გადაიხადა. თამადად მოიაზრებოდა ჩვენი კათედრის გარუსებული ქართველი თანამშრომელი, რომელიც რატომღაც არ მოვიდა და როგორც ქართველს, „განტევების ვაცის“ როლი მე ამკიდეს. თამადად დამნიშნეს ასპირანტი, რომელსაც შემდეგ თვეში ამავე სამეცნიერო საბჭოზე დისერტაცია ჰქონდა დასაცავი, თავისი „დესერტაციით“. არა და, სუფრას ესწრებიან: ხუთი აკადემიკოსი, ერთი საკავშირო მინისტრის მოადგილე და პროფესორ-მასწავლებლები. გარკვეული წინააღმდეგობის შემდგომ, სუფრის წევრებს შევთავაზე, რომ ჩემს მიერ რიგით წარმოთქმულ სადღეგრძელოს იტყოდნენ სხვა კონტექსტში, გახსენებებით და იუმორით. მოკლედ, მეორე დღეს დერეფანში შეხვედრისას, ხელის ჩამორთმევით მადლობას მიხდიდნენ, რომ მათ ასეთი დასამახსოვრებელი დრო გავატარებინე.

კარგი თამადა მონადირესავითაა, ყველა ფრთიან სიტყვას და გონიერ აზრს უნდა ჩაუსაფრდეს, გაითავისოს და სადღე-

გრძელოსთვის გამოიყენოს, რადგან სუფრასთან ჯდომა თავის კულტურას მოითხოვს, მხიარულებით და დროული დამთავრებით. თამადას, განათლებასთან ერთად, ენაც უნდა უჭრიდეს, ხმის ტემბრსაც უნდა ფლობდეს და თავისებური ფსიქოლოგიც უნდა იყოს. ამასთან, გირჩევთ, თუ თქვენ კარგი თამადა გინდათ გახდეთ, გაეცანით ამ წიგნის ავტორის მიერ გამოცემულ აფორიზმებს, სენტენციებს, წიგნებში: „მზესიტყვაობა“ და „სიტყვამზეობა“, ბევრი რამ გამოგადგებათ.

ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ ასი სადღეგრძელო ანბანური დალაგებით, რომელიც შეკმაზული უნდა იყოს საკუთარი ინტელექტით და მჭერმეტყველებით, მათი გამოყენება სუფრასთან გატარებულ დროს სასიამოვნოს გახდის, რადგან სუფრა ურთიერთგაცნობის, მოფერების, დროის სატარებელი ადგილია და არა – ღრეობისა.

**1**

ამ სასმისით, იმ **ღირსეული ადამიანის** სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც მაშინაც წაგებული რჩება, როდესაც გაყოფა-განაწილების პროცესს თავად უძღვება, ხოლო ულირსი – მოგებული. გაყოფა მაინც ასეთ წესიერ ადამიანს უნდა ვანდოთ, რათა ის მაგალითი იყოს და საზოგადოება ცუდი წაბაძვით არ გადაგვარდეს. ღირსეულ პიროვნებას გაუმარჯოს, ვინც ეჩოსავით ყოველთვის თავისკენ არ მიითლის და ბირდაბირივით სამართლიანად გააქვს და გამოაქვს. ვიმედოვნებ, რომ ამ სუფრას ასეთი ღირსეული ხალხი ამშვენებს. ალავერდი ყველასთან ვარ.

„კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს“...

**2**

ქართველმა კაცმა ყველა ალკოჰოლურ სითხეს შესაფერი სადღეგრძელო შეუსაბამა. ლუდის სმისას არავის ადღეგრძელებენ, ხოლო თუ სადღეგრძელოს იტყვიან, ისიც აუგს და ირონიულად. ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთ **არყისთვის განკუთვნილი** სადღეგრძელოები, რომელიც მოკლე უნდა იყოს და მიზნობრივი.

საარყე სადღეგრძელოებია: ერთი სახარება შეგვეწიოს, მადლობა უფალს, ორი სახარება შეგვეწიოს, სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს – დიდება უფალს. სამი სახარება შეგვეწიოს, ღმერთი სამობითაა და წმინდა სამების მადლი იყოს ჩვენი მფარველი. თუ კარგ ხასიათზე დავდგებით, შეიძლება სუფრის გაგრძელების მიზეზიც მოვიძიოთ, კენტი ფეხით ხომ არ მოვსულვართ ამ ოჯახში, ჩვენი ორი ფეხით და კეთილი გულით შემოჭრას გაუმარჯოს, მეხუთე სადღეგრძელო იქნება, წმინდა გიორგის ჯვარი გვფარავდეს და მისი მადლი შეგვეწიოს, მეექვსე – ამ სასმისით „თეთრი ეშმაკის" სადღეგრძელო შევსვათ, რომელიც ტვინს ასე სასიამოვნოდ გვითბობს და ერთმანეთის მოფერების ხასიათზე გვაყენებს, მეშვიდე დღე ეტყობა ჩვენი თრობისთვის იყო განკუთვნილი და ამისათვის ცეცხლის მფრქვეველი წყლის რა სახეობას გამოვიყენებთ, ეტყობა დღეს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ გაგვიმარჯოს. წესით თუ ბოლომდის გადათრობა არ გადაგიწყვეტიათ პირველი სამი სასმისის შემდგომ უნდა შეწყდეს არყის სმა, თუ არა და იმპროვიზაციას წინ რა უდგას.

„მოჩქეფს არაყი ანკარა, გულმან რო გაიხაროსა, ჯიხვის რქას ცდიან ხარბათა, ვით უკვდავების წყაროსა"

## 3

ერთ ფრიად ხანდაზმულ **ასაკოვანს** ჰკითხეს – „გრძნობთ თუ არა სიბერესო!?" რა თქმა უნდა, მე რომ 100 წლის ვიყავი, 24 ჭიქა ღვინოს ან 12 სირჩა არაყს ვსვამდიო, 110 წლის რომ გავხდი, ჩემი შესაძლებლობები განახევრდა, დღეს 120 წლის ვარ და 6 ჭიქა ღვინოს და სამ სირჩა არაყს მოვუგრეხ კისერსო. ყველას გისურვებთ ამ წლებამდე მოგეყაროთ და იგივე პრეტენზიები გქონდეთ საკუთარი თავის მიმართ. „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა, ველარ გაჰკივის თამამად ჩემი დაფი და ნაღარა, გული არ იშლის გულობას, მაგრამ ვერ მოსდევს ძალღონე, ვარ ბევრი „ვაის" მნახველი და ბევრი „უის" გამგონე". ამ სასმისით ასაკის „ბაირამობას" გაუმარჯოს, რომელზედაც წლების მატების უხერხულობა ვერ მოქმედებს.

## 4

შეიძლება ჩვენი დროის გენიოსები ვიყოთ, მაგრამ პიროვნებად მაშინ აღგვიქვამენ, თუ ვისმეს დავჭირდებით ან ჩვენგან რაღაცას მოელიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი სახელის მოხვეჭა დროს, შემთხვევას და იმქვეყნად გადაბარგებას უნდა დაელოდოს და სადღაც არც ეს არის ცუდი. მე გისურვებდით თქვენი წილი პატივისცემა – **აღიარება** სიცოცხლეშივე მიგეღოთ და მოსწრებოდეთ და თუ ეს ასე არ მოხდება, ზევიდან მაინც ჩამოგვძახონ და იმქვეყნად წაგვახალისონ.

„მოდი, კაცურად ვიცხოვროთ, ბებრულ-ლაჩრულად კი არა – ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად, სხვას არა წაუღია-რა!“

## 5

ახალგაზრდობის გაუხედნავ სილაღეს ვერც ერთი ამქვეყნიური სიამოვნება ვერ შეედრება. მოდით, ამ სასმისით, ჩვენს **ახალგაზრდობას** გაუმარჯოს, რომლებიც გვინდა-არ გვინდა, ყოველთვის გამარჯვებული და ჩვენი მჯობნია, რაც უნდა ვუსაყვედუროთ და ყური ავახიოთ. მათ დაუღვინებელ და ჩვენთვის საშურ გრძნობათა ჩოჩქოლს გაუმარჯოს.

„გულო ოცნებას მალავ! ცაო, ლურჯდება ზოლი. ვაჟი: - დაიცა, ქალავ, ქალი: დაგიბრმა თოლი! შორით ბრუნდება წყალი, ნისლი იცრება მთაში, – არა – ჩურჩულებს ქალი – კარგი, ამშვიდებს ვაჟი. გულო, ოცნებას მალავ, ცაო, ლურჯდება ზოლი. ისევ: დაიცა, ქალავ, ისევ: დაგიბრმა თოლი!“ მარტო ამ გრძნობათა ყივილის შესაცნობად ღირს ახალგაზრდობა.

## 6

მრავალ **ახალ წელს** გისურვებთ, ეს წელი ყოფილიყოს ყველაზე კეთილისმდომი, კარგი სამსახურით, კარიერაში წინსვლით, ახალი მანქანით, ქალაქგარეთ ვილით, ახალი სიყვარულით. ეს ახალი წელი იყოს ჩვენი ბედნიერების, სიხარულის, გაფულიანების წელი, რომელსაც თან უნდა ახლდეს სიყვარული, გამრავლება, ურთიერთმოფრთხილება, რაც მთავარია, ჯანმრთელობა აწ და მარადის.

„შენს სადღეგრძელოს, ახალო წელო, ვსვამ ქაშანურის ძვე-
ლი ფიალით,

მადლად მიიღე ეს სადღეგრძელო, ჩემი ოცნება, ჩემი ტრფი-
ალი“.

## 7

დიდი **ბედნიერებაა** როდესაც ნიჭს, მისწრაფებას, საყვარელ საქმეს ახმარ, მთლიანად იხარჯები და სხვისი ნასუფრალისკენ თვალი არ გაგირბის, არ გშურს, რადგან თვითმყოფადობა გაქვს და სხვისი სამათხოვრო არაფერი გჭირს. ყოველ შემთხვევაში, მე ბედნიერება ასე მესმის. ყველას გისურვებთ ცხოვრებაში ნიჭის რეალიზაციას და თქვენთვის განკუთვნილი ბედნიერების სკივრის ბოლომდე ათვისებას. ადამიანის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ლტოლვა ნიადაგ ბედნიერებისკენაა. ბედნიერება განცდაა და არაობიექტური ვითარება. ამიტომაც მისი ყველასთვის მისაღები „რეცეპტი“ არ არსებობს. ბედნიერება კმაყოფილებაა, სისავსე და სიხარულია, რის საფუძველიც ზოგიერთი ინდივიდისთვის სხვა და სხვა შეიძლება იყოს. განცდა კი დაახლოებით ერთნაირია. სწორედ ეს განცდა მისურვებია თქვენთვის.

„თუ გიყვარს და შენც უყვარხართ – თითქოს ტახტზე ზიხარ ოდეს, როცა თავს გრძნობ ბედნიერად... ვით არ უნდა გიხარ-
ოდეს!“

## 8

მე მინდა კაპიტალის ტუსაღების, **ბიზნესმენების**, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომლებიც, უნდათ თუ არა, საბოლოოდ მაინც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურებიან. ეგვიპტის ფარაონებს რომ მომეტებული მუშახელი დაესაქმებინათ, იმ დროის ეკონომიკისთვის უაზრო პირამიდების მშენებლობა დაიწყეს, შედეგად დღეს ამ პირამიდების ნახვის მსურველნი გარკვეულ შემოსავალს აძლევენ ეგვიპტელ წინაპართა ნაშიერთ. ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა პავაროტიმ თავის პირველ ცოლს და ორ ქალიშვილს 100-100 მილიონი ამერიკული დოლარი უანდერძა, ხოლო მეორე ცოლს და ქალიშვილს ცოტათი მეტი შე-

ახვედრა, შედეგად კაცი დასაფლავებული არ იყო, როცა პირველმა ცოლმა საჩივარი აღძრა ქონების გაყოფის თაობაზე. ამ სასმისით მინდა ცივი გონების, წინმჭვრეტელი ბიზნესმენების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, როგორიცაა ბილ გეისტი, რომელმაც სახელმწიფოს 43 მილიარდი დოლარი აჩუქა, ხოლო შვილებს თითო-თითო მილიონი, რადგან მისმა ნაშიერებმა თავად უნდა იშოვონ ფული, რათა ცხოვრების მადლი და ყადრი ფუფუნების გარეშე გაიგონ.

„ქვეყნის დოვლათის მომხვეჭელებს, გამდიდრებულებს, ძლიერებს, ხელში შერჩება ოქრო და გულში კი სიცარიელე. ირწევა მწვანე ლერწამი, თავზე ევლება ქარია, სულ „ფულებისა“ ბრალია, რაც ქვეყნად გაგვიხარია“.

## 9

**გმირი** იმ საზოგადოებას სჭირდება, რომელიც არამყარია ან ფანატიზმით არის შეპყრობილი და თავისი შეცდომა-გადაცდენის გამოსწორება ქვეყანამ ღირსეულ შვილებს უნდა დააკისროს. არის გმირობა, რომლის გარემოებათა და შემთხვევის გამო ჩადენა აუცილებელია და ამას თავის ქვეყანაზე და ხალხზე შეყვარებული ადამიანი დაუფიქრებლად სჩადის, რათა თავის სიცოცხლის გაწირვით სხვათა სიცოცხლე და ჯანმრთელობა იხსნას. დღეს ძალზე ძნელი გახდა გმირობის განსაზღვრა, რადგან „შახიდის“ მიერ აფეთქებული თვითმფრინავი მხოლოდ რეზონანსს იწვევს და საზოგადოების გარკვეულ წევრებს სჯის გულგრილობისთვის, მაგრამ შედეგს არ იძლევა და პირიქით, სხვადასხვა სარწმუნოების და ხალხს უფრო მეტად აპირისპირებს. არის გმირობა, რომელსაც ვიღაცის უყურადღებობის, უვიცობის გამოსწორებისთვის სჩადიან და ისიც სინანულს იწვევს, რადგან მავანს წინასწარ ეს რომ გაეთვალისწინებინა, გმირობის ჩადენაც საჭირო არ იქნებოდა. მოდით, ამ სასმისით იმ გმირებს და გმირობას გაუმარჯოს, რომელიც სიკეთეს თესავს და სახელს გვიტოვებს.

„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“.

## 10

**გონება** ადამიანისთვის განგებას აზრების სათუხთუხოდ მიუცია, ენა – თავის წარმოსაჩენად, ინტუიცია – რისკის გასაწევად, კბილები – ენაზე დროულად დასაჭერად. სუფრის წევრებს გისურვებთ ძირითადად გონებაში გადახარშული აზრებით გეცხოვროთ. ამ შემთხვევაში არც სახელმწიფო იქნებოდა საჭირო, არც უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი და ადამიანებს შორის დაპირისპირებაც შეწყდებოდა. გონიერებას გაუმარჯოს, რომელიც ურთიერთობას და ცხოვრებას გვიადვილებს.

„არც გვარით, არც ვაჟკაცობით, არც სიმდიდრით და ქონებით,
კაცი უნდა დააფასოთ მხოლოდ ჭკუით და გონებით."

## 11

**დედის** სადღეგრძელო ცალკე უნდა შეისვას. შვილისთვის დედა რელიგიაა, განსაკუთრებით, ვაჟებისათვის, რომლებიც სულ კამათობენ, აზრებით ეჭიდებიან ერთმანეთს, მაგრამ დედის სიყვარულში ეჭვი არ ეპარებათ. დედის თხოვნა მათთვის კანონზე მეტია. მე მინდა ქალბატონ N-ის, ჩვენი მეგობრის დედის და ოჯახის დიასახლისის, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ ქალბატონ N-ის თამადობით. მოდით ჩვენს დედებს გაუმარჯოთ, რომელთათვისაც ჩვენ მარად ბავშვებად ვრჩებით ასაკის და საზოგადოებაში ჩვენი მდგომარეობის მიუხედავად. დედის ამაგს ვერასოდეს გადავიხდით. ის კი არა, ხალხური სიბრძნე ღაღადებს: „რა არის წუთისოფელი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა, დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა".

„ამ ქვეყანაზე შენი სიკარგე ვის უხარია ყველაზე მეტად"
ყველაზე უფრო, თუკი ივარგებ, ვინ იამაყებს? მშობელი დედა!"

## 12

„ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა, ველარ გაჰკივის თამამად ჩემი დაფი და ნაღარა." გული არ იშლიოს გულობას, მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე! ვარ ბევრი ვაის მნახველი და ბავრი „უის" გამგონე არა! აყვავდეს იმედი! გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა! გმირებს უძახის, უყივის, ჩემი დაფი და ნაღარა".

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი ლამაზად **დაბერების** სადღეგრძელო, გისურვოთ სიცოცხლის ბოლომდე უსარგებლონი არ გამხდარიყვეთ. მე მინდა ამ სასმისით ბატონი N-ის და ქალბატონ N-ის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, მათი დიდხანის ჯანმრთელად ყოფნა, მათ 100 წლისთავზე მოლხენა და დროსტარება ვინატროთ.

„წლების მიუხედავად, ვერ შემატყობთ ძაბუნს,
შვილიშვილი – კი, მაგრამ სხვა ნუ მეტყვის „ბაბუს".

## 13

მე მინდა სამზარეულოს „შავი ქამრის" და „ოქროს ხელების" მფლობელების, **დიასახლისების**, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ამ საქმეში მათ არც დედამთილი ეცილება და არც უქმროდ დარჩენილი მული, რადგან სამზარეულოს ტერიტორია დაყოფას ვერ იტანს. ამ დიდებული სუფრის ნახელავიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქართული სუფრის ბრენდი „საცივი", რომლის დაგემოვნებამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი აზრით, ერმა, რომელმაც ასეთი დიდებული კერძი შექმნა, არ შეეძლო ქართული პოეზიის მშვენება „ვეფხისტყაოსანი" არ დაეწერა. მე მინდა პირადად ამ სუფრის დიასახლისის, ქალბატონ N-ის თამადობით, ჩვენი დისახლისების სადღეგრძელო შევსვათ, ფეხზე ადგომით. ღმერთმა მათი ნახელავი არ მოგვიშალოს.

## 14

ქართული სუფრის ტრადიცია გვერდს ვერ აუვლის უმშვენიერეს სადღეგრძელოს **დედმამიშვილებისას**. ვინ შეიძლება იყოს მათზე ახლობელი?! დედმამიშვილების ერთმანეთისთვის ზრუნვა, თავდადება და სიყვარული მარად სანიმუშო და თითით საჩვენებელი უნდა იყოს. მით უმეტეს, ყოვლად გაუგებარი და ამაზრზენია, როცა დედმამიშვილებს შორის კონფლიქტი და „საომარი" სიტუაცია იქმნება. ჯერ კიდევ ბიბლიიდან ვიცით სამწუხარო მაგალითი ძმათა შორის სისხლისღვრისა. კაენმა მოჰკლა აბელი, რისთვისაც შეაჩვენა უფალმა და კაცობრიობამ. შორს ჩვენგან კაენობა, შუღლი და ბოროტება. ძმა – ძმისთვის,

და – ძმისთვის, ძმა – დისთვის სამსხვერპლოდ ყოფილიყოს მარად შემართული. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“

ღმერთმა გიდღეგრძელოთ მოსიყვარულე დანი და ძმანი!

## 15

მე მინდა ჩვენთვის განკუთვნილი **დროის** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. დროის მანქანის შეჩერება და უკანსვლაზე გადასვლა შეუძლებელია. ჩვენს დროს უნდა მოვეფეროთ – შექებით, დაყვავებით, სულის გალაღებით ცხოვრებას უნდა შევეცადოთ, ამით სიცოცხლესაც გავიხანგრძლივებთ, ვნებასაც არავის მოვუტანთ. ყველამ ჩვენთვის განკუთვნილი დროის შესატყვისად და მომავლის იმედით უნდა ვიცხოვროთ. გისურვებთ აწმყოში სტარტი თუ არა, მომავალში ფინიში ღირსეული გქონდეთ. ამ სასმისით ჩვენთვის განკუთვნილ დროის ელექსირს გაუმარჯოს, რომელსაც გვინდა თუ არა, ასე გაფაციცებით შევყურებთ თვალებში და ვუფრთხილდებით. სამწუხაროდ, დროის ფასს და ყადრს ასაკში შესულები ვაცნობიერებთ. ახალგაზრდობის წლებს, ხშირად, დროის მოკვლაში ვფლანგავთ და გვავიწყდება, რომ დრო თავად გვიახლოვდება მსახვრალი ცელით აღჭურვილი. ასე, რომ ერთხელ მოვსულვართ ამქვეყნად, ერთხელ მოგვნიჭებია სიცოცხლის შანსი გარკვეული დროით და მისი განიავების უფლება არამც და არამც არ გვაქვს.

და მაინც გაუმარჯოს აზრით და სიამით დატვირთულ დროს!

„მუხთალ დროს თავი რაოდენი წაუკაფია,
არ დარჩენილა ლექსი რაა, ერთი კაფიაც.
ვინ წაუვიდეს დროისა და სივრცის მაფიას –
ო, რა სწრაფია დრო და ჟამი, ო, რა სწრაფია!“

## 16

მე მინდა ამ სასმისით ქართული **ეკონომიკის** წარმატებების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, გისურვებთ ყველას ხელში კალკურატორების დაჭერა და ანგარიში გესწავლოთ, რადგან ეკონომიკა გონივრულ ანგარიშს ემორჩილება და არა – სურვილებს და უაზრო ყბედობას.

ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ და შეუძლებელია ჩვენს შორის ვიღაცას ეს ნიჭი არ აღმოაჩნდეს, რადგან როგორც პოეზიის სწავლა არ შეიძლება, ასევე ეკონომიკის სწავლაც შეუძლებელია, ეკონომისტად უნდა დაიბადო, ხოლო რასაც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკის საფუძვლებს ასწავლიან, ის მხოლოდ განათლებაა და არა – ცოდნა, რომელიც თვითმყოფადია და ყოფის გამოცდილების შედეგად მოდის, გისურვებთ ყველა აქ მყოფი ანგარიში, ყაირათიანობა გვესწავლოს და ასე გამოვადგებით საკუთარ ოჯახს და ქვეყანას.

მაგალითად, თუ ხუთი ნაცნობი ერთ ყუთ 25 კგ. თევზს შევიძენთ, ვთქვათ, 190 ლარად, ეს თევზი ბითუმად კილოგრამი 13 ლარი ეღირება, ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სამ კილოგრამ ყინულს „გვაწერენ" გამყიდველები გამოდის რომ ყუთზე 420 ლარს ვიხდით და თუ ამას ხუთ მომხმარებელზე გავყოფთ, თითოეული 24 ლარით მოგებული დავრჩებით, ხოლო, ეს მოგება გაორმაგდება, გასამმაგდება თუ თევზის გადამუშავებაც „სათალად" გვეცოდინება. ასე რომ თქვენთვის დღეს ამ სუფრაზე ყოფნას მუქთად არ ჩაუვლია, რადგან განათლებაც მიიღეთ და ყოველ კილოგრამ თევზზე 4,80 ლარი დაზოგეთ.

## 17

მე მინდა ჩემი სხეულის ჯანმრთელობის **დასტაქრის**, მფარველი ექიმის და სულიერების გამწმენდის, მოძღვრის, კულტის მსახურის, სადღეგრძელო ერთდროულად შემოგთავაზოთ. მღვდელი და ექიმი ერთდროულად წარსდგნენ ღმერთის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელს ღმერთმა მეტი პატივი მიაგო. მღვდელს ღმერთმა უთხრა – შენ რომ წირვას ატარებ, ზოგიერთს სძინავს და ზოგიერთი პირჯვარსაც არ იწერს, ეს რომ ოპერაციას აკეთებს, ავადმყოფის ახლობლები ყველანი პირჯვარს იწერენ და მე მოწყალებას მთხოვენო. ისე, ყველას გისურვებთ უდროოდ არც ერთი არ დაგჭირვებოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე საჭირონი და შეუცვლელნი არიან. გისურვებთ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას, უხვ პურღვინოს.

## 18

ამ სასმისით მინდა შევსვა ჩვენი **„ვუნდერკინდების“,** ჭკუის კოლოფების, ჩვენი პატარების, სადღეგრძელო, ხანდახან ისეთ კითხვას დაგისვამენ, თავი როგორ დაიძვრინო და რა უპასუხო, არ იცი. ჩვენს შვილიშვილებს, პატარებს გაუმარჯოს, რომლებიც ჩვენზე ჭკვიანები და მოხერხებულები რომ იქნებიან, არავის ეჭვიც არ გვეპარება. ვუსურვოთ მათ ჩვენი გვარი ცნობილი გაეხადოთ, სახელი გაეთქვათ სამყაროს მაშტაბით.

## 19

მე მინდა ამ სასმისით ჩვენი საიმედო **ზურგის** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელთა გარეშე ჩვენი ცხოვრება გაჭირდებოდა, ამ ზურგს, ჩვენი ოჯახის წევრების გარდა, მიეკუთვნება ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და ის უცნობი გადამთიელიც, რომელიც ჩვენ ხელს მოგვიმართავს და ჩვენს კეთილისმდომთა სიას შეავსებს. კაცი კაცითო, ნათქვამია, ხოლო დიდი შოთა ბრძანებს: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. მე მინდა ყველას ზურგის გამაგრება გისურვოთ, დიდხანს გიცოცხლოთ ვისი დანახვაც გიხარიათ და იმედით გავსებთ.

## 20

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ **თავისუფლების** სადღეგრძელო. როგორც ირკვევა, მასაც ცოდნა, გამოყენების უნარი და ნიჭი სჭირდება, რომ ადამიანს, საზოგადოებას წაადგეს. თავის დროზე ნაკვეთში ავიყვანე თავისუფლად გაზრდილი და ფერმის წიწილები. ცოტახნის შემდგომ თავისუფლად გაზრდილმა წიწილებმა იწყეს კვდომა. გამოირკვა რომ თავისუფლად გაზრდილი წიწილები ერთმანეთს ჩხუბის დროს ყელში უნისკარტებდნენ, ხოლო ფერმაში გამოჩეკილები კი თავში ურტყამდნენ, უცოდინარობის გამო. შედეგად თავისუფალ გარემოში მოხვედრილმა წიწილებმა ზარალი მოგვაყენეს. ასევეა საზოგადოებაც. თავისუფლება პირველ რიგში პასუხისმგებლობაა სხვათა წინაშე და კანონის მორჩილებაა.

ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ თავისუფლება მაშინ იწყება, როცა ანგარიშზე ერთი მილიონი დოლარი მაინც გაქვს, მართალი ეს უკანასკნელი უარსაყოფი არგუმენტი არ არის, მაგრამ თავისუფლება მაინც უფრო შინაგანია, ვიდრე გარეგანი.

ამიტომაც გისურვებთ ეს სანატრელი თავისუფლება ჩვენი ყოფის და ცნობიერების გასაუმჯობესებლად გამოგვეყენებინოს.

„თავისუფლება, უნაღდესი, სულს რომ ედება,
ყოფით ტკბობა და ხალასი შემოქმედება!“

## 21

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ **თავისუფალი** სადღეგრძელოების კოქტეილი, – შეგიძლიათ წარმოთქვათ თქვენთვის სასურველი სადღეგრძელო, ისე, შემიძლია თემატიკა შემოგთავაზოთ: „ ბედის ვარსკვლავის“, „იმ მთვარისა, რომელიც ჩვენს მეგობარს გზას უნათებს“, „ცხოვრების გზაზე შენახვედრი ყველა საოცნებო და დასამახსოვრებელი ქალის“, „იმ ნატვრის, რომელიც არ აგვსრულებია“, „იმ შუქნიშნის, რომელიც სულ მწვანეზე გვატარებს“, „მარჯვენასი, რომელიც დამსახურებულ მარცხენაზეც უარს არ ამბობს“, „იმ ორი მტრედის, რომლებიც ხის ერთ ტოტზე სხედან და ნიავის ქროლვას ელოდებიან, ერთმანეთს რომ შეეხონ“, „იმ კაცის, რომელიც წყალში დგას და სიყვარულის ცეცხლი უკიდია“, „უიმედო კაცის მოიმედე კაცის“, „უპატრონო პატრონიანის და პატრონიანი უპატრონოსი“, „ეს გაუმარჯოს ვისა?! ვისაც ჯიბეში აქვს ქისა, შიგ ორი შაური ფული და ისიც არის სხვისა!“ შენ დაუკა! აბა, ყველა თქვენგანის სულის გასალაღებელ სადღეგრძელოს გაუმარჯოს! ალავერდი შენთან ვარ. სხვა ჩამონათვალი კი მკითხველისთვის მომინდვია.

„ჩვენი სიცოცხლის დღეები სიხარულში გავატაროთ,
ძმობა-სიყვარული გვქონდეს, გულში შური არ ვატაროთ,
ლხინის სუფრა როცა გვქონდეს, ეთიმ-გურჯი დავიბაროთ!“

## 22

ამ სასმისით მინდა ჩვენი „**თავსდავნატრი**-ს“ სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. მე იმედი მაქვს, ყველა ჩვენგანს ერთი ისეთი

საქმე მაინც ექნება გაკეთებული, რომელიც ეამაყება და მის გახსენებაზე საკუთარი თავის მიმართ პატივისცემით გან-იმსჭვალება. ყველას სიკეთის კეთებას გისურვებთ, რათა აღფრ-თოვანება და ტაში პირადად თქვენ და თქვენს ნახელავს არ მო-ჰკლებოდეს და მარად ამაყები და თავის კმაყოფილები ვყო-ფილიყავით, მოკლედ, ყველას გისურვებთ ყვერებზე ფეხი არ დაგვებიჯებინოს და სანანებელი ამქვეყნად არაფერი გვქონდეს. ჩვენ გაგვიმარჯოს.

„სულ ვცდილობდეთ ამ ქვეყნიდან იმგვარად არ ავიბარ-გოთ,

რომ ნიადაგ არ ვფიქრობდეთ ქველი საქმით ვის რა ვარ-გოთ“.

## 23

**თამადობის** ინსტიტუტს გაუმარჯოს და ჩვენს სუფარზე მის წარმომადგენელს, რომელმაც ამდენი პატივი დაგვდო და სუფრა ასე დასამახსოვრებლად და გემრიელად წარმართა. მე მინდა ბატონი თამადის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, მისი ოჯახის წევრებით და ყველა მისი კარგის მდომით. თამადობა ხელოვნებაა, რადგან სადღეგრძელო ჭიქის აღებისთანავე უნდა დაიბადოს, ფხიანმა სიტყვამ უნდა მიგიზიდოს, აგამაღლოს, სიამოვნება მოგ-გვაროს, გაგაამაყოს და ამ დღეს პიროვნებად გვაქციოს თანამე-ინახეთა შორის. აი, რა დიდებული დანიშნულება აქვს თამადას, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი დღევანდელ სუფრას. თამადას გაუმარჯოს! „ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვამყოფინა, ოხო-ხოია მრავალჟამიერ, ოხო-ხოია მრავალჟამი-ერ“.

## 24

ამ სასმისით მე მინდა წინასწარ შემოგთავაზოთ, იმ ჩვენი **თანამეინახის** წინასწარ შესანდობარის სადღეგრძელო, რომელ-იც ყველას იმქვეყნად გაგვიტუმრებს და ფაქტიურად მარტო დარჩება. მანამდე კი ყველას მინდა მხნე სიბერე გისურვოთ და ჩვენი იმქვეყნად გადაბარგება არავის ენატროს. ასე, რომ ყვე-ლას დიდხანს ჯამრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურ-

ვებთ უსკლეროზოდ, უოსტეოხონდროზოდ, უინფარქტოდ და უიმპოტენციოდ. იმდენ ხანს გეცოცხლოთ, სანამ სიკვდილი დაძინებასავით არ მოგენატროთ!

ეს სადღეგრძელო, ცხადია, ყველას თანაბრად გეკუთვნის, ვინაიდან არავინ იცის, ვინ ვის გაასწრებს.

კიდევ ერთხელ გაგვიმარჯოს!

## 25

ძალაუფლება, **თანამდებობა** ყველაზე დიდი ბიზნესია, მაშინ კი როდესაც პატიოსანი ხარ და არ ჩალიჩობ, ყველას გისურვებთ თანამდებობის კიბის დაჭაშნიკებას სწრაფი არბენით, მშვიდობიანად, დროულად ჩამორბებნით და სასიამოვნო გახსენებით.

## 26

ამ სასმისით მინდა **თანამშრომლებს** და თანამშრომლობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. თანამშრომელმა ქალმა, თანამშრომელ ქალს სთხოვა, რომ რამდენიმე საათით სამსახურში შეეცვალა პაემანთან დაკავშირებით. თანამშრომელმა თანამშრომელს თანხმობა აღუთქვა, ოღონდ ერთი პირობით. „არავითარი შოპინგი, კაფე-ბარი, დისკოტეკა, ეგრევე საწოლში“ მე მინდა იმ თანამშრომლების სადღეგრძელო შევსვა, ვისთვისაც კოლეგის სიტყვა კანონია, გვერდზე გვედგნენ და დროულ და საჭირო რჩევა-დარიგებებს არ გვამადლიან.

## 27

თუ გარემოებათა გამო ცხოვრებას უნდა გვერდზე ჩაგვიქროლოს, ფეხი მაინც დავუდოთ და მისი ზღართანით დროებით ვისიამოვნოთ. ამქვეყნად მარტო უსიამოვნებისთვის ხომ არ ვართ მოსული? იმედიც ხომ უნდა დავიტოვოთ. ამასთან ძველის არც ერთი დღის დაბრუნება არ უნდა ვინატროთ, რათა ჩვენს მომავალში ეჭვი არ შეგვეპაროს და ხალისით ცხოვრება არ გაგვიჭირდეს. **იმედი** და „ნეტა“ იმქვეყნად გადაბარგების დროსაც არ უნდა მოკვდეს. ჩვენს იმედს გაუმარჯოს, რადგან ცხოვრების აზრი მის გარეშე მიუწვდომელია. იმედი ხომ ყველაზე ბოლოს კვდება. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ერთმანეთის თანადგომის

იმედი, მშობლებს – შვილებისა და შვილებს – მშობლებისა. შორს ჩვენგან სასოწარკვეთა და უიმედობა. „გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა“ – ბრძანა შოთამ და რა უფლება გვაქვს ყური არ ვათხოვოთ!

„როცა აღარ ფასობს შოთა და არქიმედი,
გვრჩება მხოლოდ სასოება და მხოლოდ-ღა იმედი!“

## 28

მე მინდა აღვნიშნო იმ ბედნიერი ახლობლების სადღეგრძელო, ვინც მოესწრო ქალაბტონი N და ბატონი N იუბილეს ყველაზე სანატრელ ნაირსახეობას, „ოქროს ქორწილს“ და ის ხალხიც გავიხსენოთ, რომლებიც ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ზოგი მოუცლელობის, ავადმყოფობის და ზოგიც იმქვეყნად მივლინების გამო ვერ დაესწრო ამ იუბილეს. მე მინდა ყველა ჩვენგანს მოვულოცო ეს **იუბილე** და მათი წყალი გადაგვსხმოდეს. პირველ რიგში, იუბილარის შვილებთან ერთად, მინდა მათი შვილები და შვილიშვილები ვადღეგრძელო.

როგორ გულით გაიხარეს ბებიისა და ბაბუის საზეიმო ქორწილით და ხელისმომკიდეთა, მეჯვარეთა, როლშიც ცდილობენ მოგვევლინონ. იუბილარის ჯიშს და ჯილაგს გაუმარჯოს, მათი გვარის ხანგრძლივი მსვლელობა არასოდეს შეფერხებულიყოს.

„თქვენ თავზე გადგათ ბედი კეთილი, მყინვარწვერივით თმადათოვლილი, თქვენ პირჯვარს გსახავთ გზაჯვარედინი, ჯაფით და მახვილით გზისა გამკვლევი“.

## 29

სულელები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ჭკვიანებად არავის გვაღიარებდა, მითუმეტეს ნივთს, საქმეს, თუ რეკლამას არ გაუკეთებ, წარმატებას ვერ მიაღწევ. მე მინდა ადამიანთა გონივრული **კორპორაციის**, ურთიერთთანადგომა-გაგების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ნიჭი, მოხერხებულობა, შესაძლებლობა, გამოვამჟღავნოთ.

ამ სასმისით იმ ადამიანების სადღეგრძელო მინდა შევსვა, ვინც კორპორაციული ნიჭის გამოვლენაში დაგვეხმარება.

## 30.

ამ სასმისით მინდა სამყაროს მიღწევების, მისი **კულტურის და ხელოვნების** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ ჩვენი ერის თამადობით. ადამიანი შემოქმედებისთვის იბადება და ვალდებულია ზემოდან ბოძებულ ნიჭს და უნარს თავისი გზა მოუნახოს და მაქსიმალურად დაიხარჯოს. ყველა დარგში შემოქმედს უამრავი სიძნელე და დაბრკოლება ელის, მაგრამ სწორედ მათი დაბრკოლება-გადალახვით განიცდის უდიდეს სიამოვნებას, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა. ტალანტს ყველაზე მეტად სჭირდება დამფასებელ-შემფასებელი და ტაშის დამკვრელი, რათა ის იმაზე მეტად გაიხარჯოს, რისი უნარიც განგებამ დააბერტყა.

ერთი სიტყვით, გაუმარჯოს კულტურის, ხელოვნებას, ჭეშმარიტ შემოქმედებას და მათ დამფასებლებსაც.

## 31.

**ლამაზის** აღქმის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, ლამაზის აღქმა იმით განსხვავდება სილამაზისგან, რომ აქ ქალის გარეგნობასთან ერთად ჩადებულია მისი ხასიათი, ვაჟთან დამოკიდებულება, რამდენად მისაღები არიან ისინი ერთმანეთისთვის. ცნობილია, რომ ლამაზი საკმაოდ პრეტენზიულია. ამ სასმისით გაუმარჯოს ლამაზ ქალებს, რომლებთანაც ყოფნა გვაკმაყოფილებს, გვსიამოვნებს და სხვისკენ არ იყურებიან. „ძუძუები რომ გიელავს თრთოლვით, რა გიხდება დასრესილი ტილო, გოგონა ხარ, დედაკაცი ხდები, მარმარილო, ჰოი, მარმარილო". ან: „მე რომ შემეძლოს ყინწვისის ტაძარს, მე ხელმეორედ ავაშენებდი, გავაჩაღებდი შიგ ტრფობის ხანძარს და შენი ფრესკით დავამშვენებდი".

„მე ამ ქვეყანას რამდენჯერაც მოვავლე თვალი –
ყველგან ედემი და სამოთხეა ანკარა წყალით,
ეს ველ-მინდორი საჯირითოა, სხვა რაღა გინდა,
მოილხინე და მოალხინე ლამაზი ქალი".

## 32.

მე მინდა ამ სასმისით „**ლუდით**“ სათქმელი, სახუმარო სადღეგრძელოები შემოგთავაზოთ. მოდით, ამ კათხით იმას გაუმარჯოს, ვინც „ინდაურს მოტეხილ ფეხს თაბაშირში ჩაუდებს“, „ვინც მთავრობას ან რომელიმე მის წევრს ადღეგრძელებს“, იმას გაუმარჯოს, „ვინც ჩვენს მტრებს გვერდში დაუდგება“, „ვინც დედის პენსიით სიდედრს კაბას უყიდის“, ვინც „სიდედრს დედას დაუძახებს“, იმათაც, „რომლებიც შარშან უნდა დახოცილიყვნენ და დღეს ცოცხლები არიან“, „გაუმარჯოს მამამთილს, რომელიც ახალმოყვანილ რძალს იატაკის საწმენდად ჯოხს დაუმოკლებს“, იმასაც, ვინც „ზაპოროჟეცს მანქანა დაარქვა“, იმ კაცსაც გაუმარჯოს, „ვინაც ამ ლუდის კათხაში ჩაეტევა“, იმ კაცსაც გაუმარჯოს, „ვისაც უჭირს მაგრამ დახმარების ღირსი არ არის“, „იმ კაცსაც გაუმარჯოს რომელიც ბაზრიდან სავსე ხელჩანთით მოდის და თვალი სხვისი კალათისკენ გაურბის“. დანარჩენი თქვენც დაუმატეთ. „შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სულ ყველას სმა უნდა, პირში მოსულსა სიტყვასა, განა სულ ყველას თქმა უნდა“.

## 33.

ამ სასმისით იმ **მამაკაცს** გაუმარჯოს, რომელიც ქალში სიყვარულს ეძებს და არა – ჭკუის დამრიგებელს. ვინც თავის დედაკაცს „კატოკივით“ გადაუვლის, დაბუზნის, გაანაზებს და მისთვის სასურველ ქალად აქცევს, ლოგინში ზურგს არასოდეს შეაქცევს და გადმობრუნებაზე ხვეწნა არ დასჭირდება. იმ მამაკაცს გაუმარჯოს, რომელსაც სხვა მამაკაცი ამხანაგად, მეგობრად სჭირდება და არა – მეუღლედ, საყვარლად. ქალ-მამაკაცთა გარეშე სამყარო გადაშენდებოდა და ეს კარგად დაიმახსოვრეთ მატრიარქატის მომხრე ქალებო. მაშ, გაუმარჯოს კაცობრიობის გადამრჩენთ და გამამრავლებელთ.

„მან, ვინც სიყვარულს ვერ გაუგო გემო და ფასი,
დე, მკიცხოს, არც მსურს განვუმარტო ამ სიტყვის არსი,
ეშხის შარბათი წამალია მხოლოდ ვაჟკაცთა,
ულირსთ სარგებელს არ მოუტანს ეს ჩემი თასი“.

## 34.

ამ სასმისით მინდა **მამაკაცური** კაცის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელმაც სიტყვის და საქმის ფასი იცის, ქალის არჩევა არ ეშლება და მას მარად დედოფლად აღიქვამს, არც მომხიბვლელ ქალებთან ურთიერთობას ერიდება, არც სასმელის მიღებაზე ამბობს უარს, არც ჭკუას აწვალებს ზედმეტად და ნამოქმედარზე თავს არ საყვედურობს. არც ის უკვირს, თუ ერთ მშვენიერ დღეს, მისი ბინის კარს ვიღაც გამოაღებს და „გამარჯობა, მამა!" – ეტყვის. ნამდვილ მამაკაცს ოცნებაშიც მაინც სხვა ქალისკენ გაურბის გული და თვალი და ვუსურვოთ მათ ეს ნაკლი სიცოცხლის ბოლომდე შერჩენოდეთ. რას ვიზამთ, „რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ურჩევნია სხვისა", უთქვამს პოეტს და ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ.

## 35.

მომაკვდავმა **მამამ** შვილებისათვის უკანასკნელად ჭკუის სწავლება დააპირა. სამივე ვაჟი იხმო და უთხრა, რომ წნელი აეღოთ და გადაეტეხათ, ყველამ ეს დავალება ადვილად შეასრულა, მერმე წნელის კონა შეაკვრევინა და სთხოვა გადაეტეხათ, უფროსმა და შუათანა ვაჟმა ეს ვერ შესძლეს, ხოლო უმცროსმა ვაჟმა ეს წნელის კონა შუაზე გადაამტვრია. ამის დამნახავმა მამამ ხელი ჩაიქნია: „ვირი ხარ და ვირად დარჩები, რა უნდა გელაპარაკოო". მაშ გაუმარჯოს იმ მამას, რომელსაც ერთი შვილი მაინც ისეთი გამოყვა, რომელსაც ჭკუის დარიგება არ სჭირდება და ცხოვრებას ალღოს თავისი ნიჭით და შესაძლებლობა უღებს.

## 36.

ამ სასმისით მინდა სამშობლოდან გადახვეწილების და უცხოეთში ჩანერგილი **„მამლუქების"** სადღეგრძელო შევსვა, ისინი დროებით იქნებიან წასულები თუ სამუდამოდ გადახვეწილნი.

ღმერთმა ქნას, თავიანთი საქმიანობით საქართველოს მხოლოდ კარგი მხრიდან აცნობდნენ სხვა ერის შვილებს. იმედს ვიტოვებთ, ადრე თუ გვიან, თავად თუ არა, მათი ნაშიერნი სამშობლოში დაბრუნდებიან, თავიანთი ნიჭის შესაფერ სამუშა-

ოს გამონახავენ და ჩვენთან იქნებიან. ვუსურვოთ ჩვენი მიწაწყლის ხალხს, გარემოებათა გამო სხვაგან ეკაკანოთ, მაგრამ კვერცხების გარკვეული ნაწილი ქართულ ბუდეში დაეტოვებინოთ, იმისდამიუხედავად, დაუფასდებათ თუ არა, რადგან სამშობლო მაინც სულის ყივილია.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მე მინდა ჩემი ღირსეული „მამლუქების“, ბატონების N და N სადღეგრძელო შევსვა, რომლებსაც საქართველოს კლიმატი კი არ სწყენთ, არამედ დროის სიმუხთლის გამო მოუხდათ ქვეყნის დატოვება. ყველას ვუსურვოთ დროულად დაბრუნება ჩვენს ძირძველ მიწაზე.

„და მიჰქრის ჟამი სიკვდილივით დაუურველი, ქვიშაში ჰყრია ლეგენდები და სულს ღაფავენ, მზე კი ტორებს სცემს არაბული ბედაურივით, მამელუკების დაუტირალ უცხო საფლავებს. აჰა, გრიგალი მოგელაობს ცხენზე შემჯდარი, სამეფოები ეცემიან, უკან იხევენ... შორს კი პატარა საქართველოს აკლია ჯარი და მტერი არბევს ქართულ ციხეებს!“

## 37.

ყოველი ჩვენგანი არის „მე“, მაგრამ ყველა „მე“ როდია „მეობა“. ჩემი აზრით, „მე“ ინდივიდია, „მეობა“ – პიროვნება. სამწუხაროდ, ყველა „მე“ ვერ ყალიბდება „მეობად“ ანუ პიროვნებად. როცა „მე“, ასე ვთქვათ „საკუთარ წვენში“ იხარშება, წვრილმანი მიზნები ამოძრავებს და როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, როდესაც მხოლოდ „პური და სანახაობა“ აინტერესებს, მისგან „მეობის“ დაუფლების არავითარი იმედი არ ღვივის. ასეთ ინდივიდს სიცოცხლის აზრზე დაფიქრება ეზარება და ინერტულად მიჰყვება ცხოვრების პროზაულ მდინარებას. **„მეობის“** სადღეგრძელო იყოს, მეგობრებო, ყველას გისურვებთ „მეს“ ჯებირების რღვევა არ შეგეწყვიტოთ და ღირსეულ პიროვნებებად დარჩენილიყავით. ამასთან ყველას გისურვებთ ჩვენი მესთვის პირველ

რიგში ქალისადმი სიყვარული გვესწავლებინოს „ყველა ქარებს მირჩევნია, იმერეთის ცელქი ქარი, იქით ცხოვრობს ჩემი ციცა, მისი ბინაც იქით არის“.

„ჩვენ გვაშორებს მთის ხეობა, მდინარე და ტევრი ტყისა, მაგრამ ფიქრით სულ მასთან ვარ, ღამეა თუ შუქი დღისა“.

„ნამდაფრქვეულ ყვავილებში, მე მიცინის ჩემი ციცა, ჩიტუნების სიმღერაში მესმის სიტყვა მისი ხმისა, ლამაზ ყვავილს, ჩიტს „ჭიკჭიკას“, შენ გამსგავსებ ჩემო ციცავ, შენთვის ვცოცხლობ გენაცვალე, მაგ თვალების ციმციმს ვფიცავ“.

## 38.

ამ სასმისით მინდა ჩვენი **მასპინძლის** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელმაც ამდენი ენერგია, ძალა და მატერიალური დანახარჯები გაიღო იმისათვის რომ მისი საყვარელი ხალხი ე.ი. ჩვენ, მისი სტუმრები, ვესიამოვნებინეთ და ეს დღეს დასამახსოვრებლად დაგვრჩენოდა. მასპინძლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. გთხოვთ ჩვენს მასპინძელს მრავალჟამიერი ვუსურვოთ, ფეხზე წამოვდგეთ და ისე შევსვათ ამ დიდებული ადამიანის სადღეგრძელო. ვინც მასპინძელს პატივს მიაგებს, ამ სასმისს ბოლომდე შესვამს.

„მასპინძელსა მხიარულსა მარნის კარი უჭრიალებს“...

## 39.

ყველა თაობას თავისი კერპი ჰყავს. ჩემი თაობის კერპი მასწავლებელი გახლდათ. დაიბადო მასწავლებლად, განგების მომადლებული ნიჭია, მე მინდა ამ ნიჭით დაჯილდოვებულთა, ჩვენი სკოლის **მასწავლებლების,** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ და იმათიც, რომლებსაც ჩვენი ცხოვრების მასწავლებლებად ალვიქვამთ. მათი დამსახურებაა, რაც ჩვენში კარგია. მე მინდა ჩვენი სკოლის, ქუჩის, საზოგადოების, მასწავლებლების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ სახელის, გვარის და იმ სასიკეთო საქმეთა გახსენებით, რაც მათ ჩვენთვის გაუკეთებიათ. მინდა გავიხ-

სენო ჩემი სკოლის დირექტორი ბატონი მიხეილ გიორგაძე, რომელსაც ხელში მარად რეზინის მათრახი ეჭირა. ერთხელ მეათეკლასელი ვაჟები შეგვიყვანა კაბინეტში და მათრახი ფეხებზე მსუბუქად გადაგვიჭირა. როდესაც ვკითხეთ: „რათა, მიშა მასწ?“ – ეს პროფილაქტიკისთვისო, დღეს რაღაც უშნოდ ხართ ატროვებულებიო და რომ არ მიჭქაროთო. სკოლა კარგა ხნის დამთავრებული მქონდა, ბატონმა მიშამ რომ დამირეკა, რათა რაღაცა საკითხის მოგვარებაში დავხმარებოდი, მე, ჩემდაუნებლიედ, ფეხზე წამოვდგებოდი და ასე ვესაუბრებოდი ხოლმე.

გთხოვთ ყველას თქვენი საყვარელი მასწავლებლის სადღეგრძელო შესვათ.

„მასწავლებელი – ვარდი გულისა,
მოწმე პირველი სიყვარულისა...“

## 40.

მინდა ჩვენი სულიერების გამამდიდრებლის, ეროვნული ფრონტის „ჯარისკაცების“, **მდედრიონის**, ჩვენი სუფრის ულამაზესი ქალბატონების და საქალბატონოების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომლებიც აქყოფნით ასე ამშვენებენ სუფრას, სიცოცხლეს და ხალისს გვმატებენ. ჩვენს მომავალ პატარძლებს, მეუღლეებს, დეიდებს, ბებიებს, დიდბებიებს, გაუმარჯოს, რომელთა სილამაზის და კდემამოსილების დანახვაზე მამაკაცები ოგნდებიან და ქათინაურის თქმასაც კი ვერ ახერხებენ. სუფრასთან, როგორც ვხედავ, მდედრიონის გარკვეული ნაწილი, თანაც ასეთი ლამაზი, „ქმარგარეშე“ მდგომარეობაშია. მათდამი ჩემი რჩევაა საპატარძლოს მიმართ: ახლა უკვე სხვა დროა, თავადაც უნდა გამოიჩინოთ ინიციატივა, ქალური ეშმაკობა, თვალების შემონათებით, ეშხის გაელვებით და ამ დასაქორწინებელ ვაჟებს მისცეთ საშუალება გაბედონ სათქმელი, თუ არა და, თავად დაეხმარეთ. ამ სასმისით, ფეხზე ადგომით, ჩვენი სუფრის ღვთაების, ჩვენ ოჯახების არჩეული და აურჩეველი პრემიანტების, ჩვენი სათაყვანებელი და ულამაზესი სქესის წარმომადგენლების, სადღეგრძელო შევსვათ.

„ქალმა დამწყევლა ლამაზმა, მხურვალე ლალის ბაგითა
ღმერთმა ვერ მითხრა ათასმა, რა ჩავიდინე ასეთი
მაგრამ იმ წყევლამ როგორ სთქვას გული სიცოცხლით დანამა
თუ ვინმე გული მომიკლავს, ისევე ამისთანამა.“

## 41.

სამწუხაროდ, დღეს შემოვიდა ცხოვრების რეალობიდან გამოწურული გამოთქმა „გაუმარჯოს 21 საუკუნის **მეგობრობას**, მეთვრამეტე საუკუნის სინდრომით“. მე ეს გამოთქმა, უამრავი მაგალითების მიუხედავად, სწორად არ მიმაჩნია, რადგან მეგობარს სული ირჩევს და არა – გონება. ცნობილია, რომ ფილოსოფოს კანტს, თანაკლასელი ჰყავდა მეგობრად, რომელიც ინტელექტით არ გამოირჩეოდა. ისინი კვირაში ერთხელ საღამოობით ხვდებოდნენ ერთმანეთს ორი საათით, ისხდნენ ბუხართან და თქვენ წარმიდგინეთ, დუმდნენ. ნამდვილი მეგობრის მონახვა ადვილი არ არის, შენარჩუნება უფრო რთულია. ამ სასმისით მიდა შევსვა ულალატო მეგობრობის სადღეგრძელო.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, გული ჭირსა არდამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“

## 42.

ამ სასმისით ჩვენი ნეფე-პატარძლის **მეჯვარეებს**, ხელისმომკიდეებს, გაუმარჯოთ, დიდია მათი დამსახურება თუ არა ნეფე-პატარძლის დაწყვილების საქმეში, თამადისთვის ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ ხელი რომ არ შეუშლიათ და თავიანთი ლოცვა-კურთხევა გაუღიათ, ფაქტია. ამასთან ამ ოჯახის მეჯვარეებს მომავალში ამ წყვილის პირველი შვილის ნათლობა ევალებათ, ნათელ-მირონობა კი დანათესავებას ნიშნავს. მოდით, ამ სასმისით ამ ახლადშექმნილი ოჯახის ახალ ნათესავებს, მეჯვარეებს, ჯანმრთელობა ვუსურვოთ, დასაოჯახებლებს დაწყვილება და ფულის კუპიურების წვიმაში გალუმპვა, რათა ნათლულებზე საქმიანი ზრუნვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

## 43.

**მიქელგაბრიელს** გაუმარჯოს, რომელიც თავის დროზე მოგვაკითხავს ჩვენს ამქვეყნიურ ყოფნას კიდევ ერთხელ გადახედავს და დამსახურებულად და დროულად წაგვიყვანს იმქვეყნად, რათა ერსაც და ბერსაც ჩვენი ამ სამყაროდან გადაბარგება დაენანოს, მაგრამ ჩვენი ხანდაზმულ ასაკის გამო გული არ დასწყდეთ. ცნობილია, რომ უკურნებელი სენით დავადებული გულის პატრონი ნოდარ დუმბაძე მკურნალ ექიმს ევედრებოდა, ნულარ გამომაცოცხლებ, გამიშვი იმქვეყნადო! ვაჟკაცურად დახვდა მთავარანგელოზის ვიზიტს. თუკი იმქვეყნიური ცხოვრება არსებობს, მისი დროულად მობრძანების საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს. თუ მეთანხმებით, სასმისის ნახევარი მაინც გამოსცალეთ.

„შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა!..“

## 44.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი ცხოვრების შუქჩრდილებით სავსე **მოგონებები**, უპირველესად, რა თქმა უნდა, საუკეთესო, რომელიც გვქონდა და იმედია, გვექნება კიდევ. ალბათ, ამ მოგონებებში შევა ყოველივე, პირველი სიყვარულიდან დაწყებული ბოლო ქალთან თავის „შერცხვენამდე“. მოდით, ამ სასიამოვნო იმ მოგონებებს გაუმარჯოს, რომელიც იუმორს გაეთამაშა და თავი ამით დაგვამახსოვრა. ყველას გთხოვთ ამ წამში გახსენებული ყველა ჩვენს მოგონებას პატივი მივაგოთ ფეხზე ადგომით და უხმოდ შესვით შეძლებისდაგვარად.

„ოცნებაო, ჩემო ძველო, ვართ ღამეთა მთეველი,
კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“.

## 45.

რითაც ადამიანი ღმერთს ენათესავება, შემოქმედება გახლავთ, რომელიც **მუზის** დამსახურებაა. რა თქმა უნდა, უპირველესი შემოქმედი უფალია და ადამიანიც შემოქმედებისთვის არის გაჩენილი. გარკვეული, თუმდაც უმცირესი, შემოქმედებითი მუხტი ყოველ ადამიანშია, მაგრამ, მისი გაღვივება და რეალიზაცია ყოველთვის არ ხერხდება სუბიექტური თუ ობიქტური მიზეზებ-

ის გამო. ძლიერი მუხტი კი არ მოგასვენებს, გაიძულებს ამოძრავე-ბას, ფიქრს და განსაკუთრებულს მაინც გაგაკეთებინებს. ეს სწორედ ის გახლავთ, რასაც „მუზას“ უხმობენ. იგი მოწოდე-ბულია ტრაფარეტს და ერთფეროვნებას ებრძოლოს. შემოქმედ-მა პიროვნებებმა შექმნეს კაცობრიობის კულტურა, რაც ყოველი ჩვენგანის სიმდიდრეს წარმოადგენს.

რაკი ასეა, ის-ღა დაგვრჩენია, რომ ამ მშვენიერი სასმისით შევსვათ ტალანტმომადლებული პიროვნების, ბატონი N-ის სადღეგრძელო.

„ქმნადობისათვის მარად გქონდეს
შემართება და მოცალეობა,
ჯანიც მოგდევდეს, სულის მხნეობაც,
„არ მოგეშალოს მუზის ტყვეობა.“

## 46.

„მშვიდობის ჩიბუხის“ მოწევაზე სიტყვით ყველა თანახმაა, ოღონდ ერთმანეთის გამორჩენის ხარჯზე. ყველას გისურვებთ მშვიდობის დილას სახლში, ხოლო „დღე მშვიდობისას“ საქმიან-ობაში. გურულები თქვენ მართლა „აბდლები“ ხომ არ გგონიათ, პირველ სადღეგრძელოს რომ **მშვიდობისას** სვამენ, რადგან მშვი-დობის გარეშე არ არსებობს ხვალინდელი დღე და ვის როგორ გაუთენდება, არავის უწყის. მაშ მივბაძოთ გურულებს და სუფ-რის დასაწყისში თუ არა, პურ-ღვინოს შუა-გულში მაინც შევს-ვათ ეს სადღეგრძელო. მშვიდობას გაუმარჯოს, დაე, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და საერთოდ შთამომავალს უბუნტო, უაქციო, ჭეშმარიტი დემოკრატიის მქონე ქვეყანაში ეცხოვროთ.

„მნათობი უძლოდეს ცის კიდეს, ზღვის კიდეს,
ვინც ხნავდეს, ვინც თესდეს, ვინც მკიდეს,
დე, გულს უხარებდეს მომავლის ნათელი –
იდიდე მშვიდობავ, იდიდე!“

მაშ მშვიდობას გაუმარჯოს ყოველგვარი კომენტარების გარეშე.

## 47.

მივადექით ქართული სუფრის ერთ-ერთ უძვირფასეს სადღეგრძელოს, რომელშიც **მშობლების** სადღეგრძელოს ვგულისხმობთ, რომელთათვის შვილი, ასაკის მიუხედავად, მუდამ ზრუნვის საგანია. მშობლებთან დაკავშირებით გთხოვთ გაიხსენოთ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი, რომელიც ხალისს მოჰგვრის სუფრას, ჩემგან დავიწყოთ. თავის დროზე ასპირანტურაში ჩავაბარე ისე, რომ ამის შესახებ ოჯახში არაფერი იცოდნენ და ამასთან დაკავშირებით თორმეტი ადამიანი მოვიყვანე სახლში წინასწარ ოჯახის გაფრთხილების გარეშე. რა თქმა უნდა, პურღვინოც თან მოვაყოლე. დედაჩემმა ერთი „მომაწყევლა“ და შეუდგა სუფრის გაშლას. ამასობაში მამაჩემიც მოვიდა. თამადამ მამაჩემს ჩემი ასპირატურაში ჩარიცხვა მიულოცა. გაუხარდა: მაშინ მეცნიერებაში დასაქმება ძალზე პრესტიჟული იყო. მეორე დღეს შევედი მშობლების საწოლ ოთახში „რაზბორკაზე“, თავი ვიმართლე, რას მერჩი, „პავლოვიჩ“, უმაღლესში ჩავაბარე, არ შემიწუხებიხარ, ასპირანტურაში ჩავაბარე, არ შემიწუხებიხარ! ხოხო, ინსტიტუტში ჩააბარე, როგორ არა, შენი ორი ხუთიანი მათემატიკის წერა-ზეპირში, შენს კათედრის გამგეს მოვუგე ნარდშიო! ამას მეუბნება რვა წლის შემდგომ.

საინტერესო ის არის, თანამეინახენო, რომ რაც ასაკი გვემატება, მით უფრო მეტად ვიწყებთ მშობლების დაფასებას და მათი ღვაწლის აღნიშვნას შვილების აღზრდაში.

ამ სასმისით მინდა ჩვენი მშობლების ჯამრთელობას, კარგად ყოფნის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ ცოცხლებს დიდხანს სიცოცხლე, ხოლო გარდაცვლილებს ხსოვნა–არდავიწყება. მშობლების სადღეგრძელო ბოლომდე იცლება!

## 48.

**მწუხრის** სუფრის ანუ ქელეხის მოწყობა, ყველა ოჯახს, ადრე თუ გვიან, უწევს, მართალია, ეს თავის ზომა-წონას და მისთვის განკუთვნილ წესს მოითხოვს, ზოგჯერ ვაჭარბებთ კიდეც, მაგრამ მაინც თავისი შეუცვლელი ფუნქცია აქვს. „თითო

ჭიქა წავუქციოთო“ – იტყვიან. ამასთან ქელეხის სტატუსისათვის დაკანონებული სადღეგრძელოების წესი და რიგი უნდა დავიცვათ. ეს სადღეგრძელოებია: თავად გარდაცვლილის ხსოვნის, მისი მშობლების, ახლობლების, წინაპრების, გამპატიოსნებლების – მესაფლავეების, სიცოცხლის, კვლავ გარდაცვლილის ფუძის ანგელოზის და ყოვლადწმინდას სახით ოჯახის დალოცვა. აქვე შეიძლება ითქვას ასეთი სადღეგრძელოც: „მინდა შევსვა იმ წინდახედული გარდაცვლილის სადღეგრძელო, რომელიც სიცოცხლეში მიცვალებულის ხსოვნას წინდახედულად ჭიქას წაუქცევდა, ამით იმქვეყნად თავის სადღეგრძელებელ სასმისებს აგროვებდა, რათა საიქიოში მის მისაღებად გამართულ ბანკეტზე სასმელი არ დაკლებოდა. ამასთან მინდა ერთი ნამდვილი ამბავიც მოგიყვეთ, ახალგაზრდა ბიჭებს უეცრად გამოეცალათ ხელიდან მეგობარი და მათ ეს მწუხარება შემდეგნაირად გამოხატეს: დასაფლავების დღეს რიგრიგობით წვებოდნენ საფლავში და ასე უთბობდნენ საფლავს მიცვალებულს, რათა ის დროულად შეგუებოდა ახალ გარემოს. სისულელეა, მაგრამ ამ ქმედებაში უდიდესი მწუხარებაცაა გამოხატული.

## 49.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ, ჩვენი **ნაკლოვანებების**, ნაკლის, სადღეგრძელო, ზოგჯერ ისიც ნაკლია, რომ ნაკლი არ გაქვს. მაგალითად ქალი გადაყოლილია თავის გარეგნობის წარმოჩენაზე, ამ საქმისანობისთვის ეხარჯება ოჯახის ბიუჯეტის დიდი ნაწილი, კვებასაც იკლებს, ოღონდ ლამაზად წარმოჩნდეს საზოგადოებაში. შედეგად მამაკაცებს მისი დანახვა გვსიამოვნებს, მასზე „ქვენა“ გრძნობებსაც „გავაჯირითებთ“. ქალი დიეტის გამო მომხიბვლელია, არ სუქდება და ფორმას ინარჩუნებს. მამაკაცის როლი ოჯახში მისმა „ოქროს შუალედმა“ უნდა განსაზღვროს, არც ჩვარი უნდა იყოს და არც დიქტატორი, ისე, ცნობისათვის – მამაკაცებს ფასს ქალები ადებენ, ხოლო მათ ღირებულებას მამაკაცთა ცოვრების წესი განსაზღვრავს. ამრიგად, მე მინდა ჩვენი იმ „ნაკლის“ სადღეგრძელო შემოგთავაზოთ

რომელიც ასე აუცილებელი და საჭიროა რომ ამქვეყნად ყოფნა დაგვამახსოვროს.

## 50.

ამ სასმისით მინდა ნათელ-მირონის, **ნათლიების**, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ნათლიების მირონი შვიდ თაობაზე გადადის. ე.ი. ნათლია-ნათლულის ნაშიერზე, მეშვიდე თაობების ჩათვლით, დაქორწინება არ შეიძლება. ყველა სარწმუნოებამ მეტ-ნაკლებად მიაგნო ნათლიების ინსტიტუტს, რათა ერთმანეთს დაახლოვებოდნენ, დანათესავებოდნენ. ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი უსაყვარლესი შვილების, ნათლიების, ფაქტიურად დედობილ-მამობილობის სადღეგრძელო, ვუსურვოთ მათ დიდხანს სიცოცხლე, კარგად ყოფნა და რაც მთავარია, მათ ნათლულებს მათი იმედი გაემართლებინოთ.

## 51.

მე მინდა ამ სასმისით ჩვენი **ნეფე-პატარძლის** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, მათთვის ერთი შეხედვაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ურთიერთისთვის გული აძგერებოდათ. ეტყობა, ამ შეხვედრით ზევიდან მამაზეციერიც ტკბებოდა და მისმა მადლმაც დასტური მისცა ამ ორი ანგელოზის დაწყვილებას. ბედნიერებასთან, ჯანმრთელობასთან, გამრავლებასთან, ერთად გაფულიანებასაც გისურვებთ, რადგან თუ ოჯახის შენებისთვის განკუთვნილი აგური, ფულს ცემენტით არის დადუღაბებული, მას ვერაფერი დაანგრევს. ამასთან, როგორც გამოცდილმა მეორე ნახევარმა, ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს რამდენიმე ყურადსაღები დარიგება მინდა შემოგთავაზოთ: ყურად იღეთ ცოლის კანონიერი და თუნდაც ყურით მოთრეული კაპრიზები, თანდათან შეეჩვიეთ მის საყვედურებს და ნაკლებად მოახდინეთ მათზე რეაგირება, შედეგად მათი საყვედურები „იავნანად“ მოგეჩვენებათ. რაც შეეხება პატარძალს, მომავალ ცოლს და ოჯახის დიასახლისს, სურვილები თავიდან მეუღლეს ენის ტკბილი მათრახის ქნევით, რიდით, უნდა შეაპარო. როდესაც შვილები გეყოლებათ და ოჯახის მართვის სადავეებს ხელში ჩაიგდებთ, მათრახის

გადაწვნაც შესაძლებელი გახდება შვილების სახელით, რადგან თქვენი მოთხოვნილებები თქვენ კი არ გჭირდებათ, არამედ შვილებს. შედეგად თქვენს წინაშეა მეუღლის დამჯერი და ოჯახზე გადამკვდარი მეორე ნახევარი ჩემი სახით. სიმართლნარევი ხუმრობა იქით იყოს და ამ სასმისით ჩვენს ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს, მომავლის იმედით, ზომიერი ოჯახური ბატალიებით, რათა ამ ყოფის და ოჯახის შექმნის მადლი ბოლომდე შეიცნოთ.

„დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ძმა ხომ ყველას მირჩევნია, მაგრამ ერთი სხვისი შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია“.

ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს! ვაშა-დიდება, ვაშა-დიდება, ვაშა-დიდება!

## 52.

ამ სასმისით უნდა შემოგთავაზოთ **ორი უგრძნობი** კოცნის სადღეგრძელო: როდესაც ახალდაბადებულ ვაჟს მამა შუბლზე კოცნის, ხოლო ეს ზრდასრული ვაჟი, მამას შუბლზე ამბორით იმქვეყნად აცილებს. ეს ბუნების კანონზომიერება, განგებას ვთხოვ, არასოდეს დაირღვეს. ამ ორი კოცნის სადღეგრძელო უხმოდ და ბოლომდე ისმება.

## 53.

**ოცნება**, მისწრაფება, უსაზღვროა, ხოლო სიცოცხლე და მისი შესაძლებლობა ლიმიტირებულია, შეზღუდულია. ამასთან, ადამიანს ყველაფრის მოსწრება სურს და კომფორტს, გართობასაც, არ ივიწყებს. ნაოცნებარის პრაქტიკულად განხორციელებას კაცობრიობისთვის მრავალი სიკეთე მოუტანია, მიუხედავად იმისა, რომ მას უამრავი დაბრკოლების დაძლევა უხდება.

მე მინდა ჩვენი ოცნების, ნიჭის, მისწრაფებების, სადღეგრძელო შემიოგთავაზოთ, რომლის გარეშეც სიცოცხლე შეუძლებელია. ამასთან ყველას გისურვებთ ჩვენი ნაოცნებარის ნახევარი თუ არა მისი მეოთხედი მაინც აგსრულდებოდეთ.

## 54.

**ოჯახის** დანგრევისთვის უამრავი გაუთვალისწინებელი ფაქტორი და სერიოზული საბაბი არსებობს, მაგრამ სიყვარულის

შენარჩუნება, პატარ-პატარა „დეფექტების“ გამოსწორება და ოჯახის გადარჩენა ნაღდი ვაჟკაცობაა. ოჯახში საკამათო თემას რა გამოლევს და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახი ცოცხლობს, ერი არსებობს, თაობა მრავლდება. აბა, თქვენ თუ იცით, რა განსხვავებაა ყაჩაღსა და ცოლს შორის, პირველი არჩევანის საშუალებას მაინც გიტოვებს: სიცოცხლე ან ფული, ხოლო ცოლს ორივე ერთდროულად და დაუკითხავად მიაქვს. ოჯახში წესრიგი წესით ქალმა უნდა უზრუნველჰყოს, კარიერა – ქმარმა, ხოლო, თუ პირიქით ხდება, ეს ოჯახი კი არა, ოჯახუნაა, მიუხედავად იმისა, თანამედროვეთ მოსწონთ ეს თუ არა, რადგან აქსიომა აქსიომად რჩება და მას ცივილიზაციის კაპრიზი ვერ შეცვლის.

„ამინ, იდიდოს ქვეყნად მარადის, ოჯახის შექმნამ, აკვნის დარწევამ“

„თუ სახლის ჭერი შესძრა სიმღერამ,
თუ ბანი ერწყმის ნათელ მოძახილს,
ეს ნიშანია სიამტკბილობის,
ეს ნიშანია ნაღდი ოჯახის.“

## 55.

რა ამაყები და სულით უმწიკვლონი ვიყავით, როდესაც პატარები გახლდით. მე მინდა **პატარების** სადღეგრძელო შევსვათ, რომლებიც ხანდახან ასეთ კითხვებს იძლევიან, რომ ასაკით დაბრძენებულ და ჭკუაგახსნილ ადამიანსაც კი უჭირს მათზე პასუხის გაცემა და ზოგჯერ გაგება. ღმერთმა ქმნას, რომ ისინი ჩვენზე გაცილებით ჭკვიანები, ბეჯითები და შემოქმედნი ყოფილიყვნენ და ჩვენზე უკეთ ეცხოვროთ, ოღონდ ფუფუნების გარეშე. ამასთან ერთად მინდა ჩვენი უდარდელი ბავშვობის წლები გავიხსენოთ. ყველა პატარა ანგელოზს გაუმარჯოს ჩვენი მასპინძლის პატარების თამადობით.

„ვინც გვიხალისებს სიცოცხლეს,
ვინც მშობლის დამღას ატარებს,
ვინც უჟმურ ამინდს ადარებს –
ვაშა-დიდება პატარებს!“

## 56.

როდესაც საზოგადოებას უჭირს, ხელისუფლება დაბნეულია და ხალხს იმედი გადაწურული აქვს, მაშინ სარწმუნოების იმედიღა რჩება **პატრიარქის თამადობით** და ხსნას მის დიდსულივნებასა და ავტორიტეტში ეძებს. ერს გაუმართლა, რომ სწორედ პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II სახით მოევლინა საქართველოს ამ არეულ და პოლიტიკურად დაულაგებელ დროში. ამ სასმისით პატრიარქს მინდა ვუსურვო დიდხანს ჯანმრთელი სიცოცხლე, რათა ერს მისი სახით არ დაეკარგოს იმედის ნავსაყუდელი, რათა ჩვენს რწმენას და მომავლის იმედს წმიდა შუქი უნათებდეს. შევსვათ პატრიარქის სადღეგრძელო, ღმერთი გვწყალობდეს აწ და მარადის.

„მოვლენილი ხარ ქართველთა შემწედ,
მისთვისაც მტერი რომ შეაჩვენო,
ხარ მოფიქრალი მამულის ბედზე
შენ, სულიერი მამაო ჩვენო!“

## 57.

საქართველო პოეტების ქვეყანაა და უხერხული იქნება ამ სუფრაზე **პოეზიის** სურნელი არ ვიგრძნოთ და მისი სადღეგრძელო არ შევსვათ, პოეზიის სული თაობათა სარკეა და გრძნობ შენამდე რა კარგი ბიჭები დადიოდნენ ქართულ გზებზე, თურმე რა ცოტა ჰყოფნის ბედნიერებას. ჩვენ გვყავს დიდი შოთა, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი და ამავე დროს, გათავისებული გვყავს ჰომეროსი, დანტე, გოეთე, ბაირონი, ბერნსი, ხაიამი, პუშკინი და სხვანი და სხვანი. ქართული ლექსი, მუსიკალობასთან ერთად, ფილოსოფიური სიღრმითაც გამოირჩევა. „წუთისოფელი რა არი, აგორებული ქვა არი, კაცი რომ დაიბადება, იქვე საფლავი მზა არი“, მითუმეტეს, გასაოცარია აქედან გამომდინარე, დასკვნა: „იგეთი გქონდეს გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი“. ამავე დროს, უნებლიედ ვახსენდება გენიალური ბარათაშვილის სტრიქონები: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“.

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე“.

პოეზიის, ნაღდი ლექსის სადღეგრძელო იყოს! გთხოვთ თუნდაც ორიოდე სტრიქონი გაიხსენოთ თქვენი საყვარელი ლექსიდან.

## 58.

მე მინდა იმ **პოლიტიკის** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელიც რამდენიმე წლით წინ იყურება და ყოველივეს მათემატიკური სიზუსტით გათვლის და შემდგომ იღებს ურყევ გადაწყვეტილებებს. ქვეყანას აჩქარება, ყბედობა, ამბიციები და ავანტურისტული ბუნების ხალხი ღუპავს. რა დაუტოვეს თავის ქვეყნებს მაკედონელმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა და სხვა ავანტურისტებმა? მხოლოდ სახელი.

მე მინდა ჩვენს ამომრჩეველს ვუსურვო: ბრბოდან ხალხის ამორჩევა ესწავლოს, ხალხიდან – პიროვნებების, პიროვნებებიდან – დეპუტატების და დეპუტატებიდან – ქვეყნის პირველი პირის. ამ სასმისით მინდა ღირსეული პოლიტიკის გამტარებელი პიროვნების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ასეთი საუკუნეში ერთიც რომ გამოჩნდეს, დიდი ბედნიერებაა ქვეყნისათვის.

„რას ვუსურვებდი ხალხს, შეჭირვებულს,
გინდ იყოს მთაში, და თუ გინდა ველად:
სამეზობლოსგან ესოდენ ვნებულს
ვუსურვებ ლიდერს და არა – ბელადს“.

## 59.

ამ სასმისით **ჟინიანი ხალხის** სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ. მათი, რომლებიც შუა გზაზე საქმეს არასოდეს მიატოვებენ, წინასწარ განსჯილ აზრს არ უღალატებენ და მათი ნახელავიც დასამახსოვრებელი და მისაბაძი ხდება. ყველა ტექნიკური მიღწევა სწორედ იმ ჟინიანი ხალხის ნაღვაწია, რომლებმაც საქმეში უკან დახევა არ იციან, რადგან ისინი განგების მიერ მომადლებულ ნიჭს ბოლომდე ხარჯავენ. მოდით, შევსვათ ასეთი ჟინიანი ხალხის სადღეგრძელო. იმედი მაქვს ჩვენს რიგებ-

ში იქნებიან ასეთები და ღმერთმა მათ ხელი მოუმართოს, რადგან საზოგადოებისთვის სიკეთე მოაქვთ.

## 60.

**რწმენას და სარწმუნოებას** ხშირად აიგივებენ, შეიძლება ეს მართებულიც იყოს, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს. რწმენის ობიექტი შეიძლება იყოს სიყვარული, იდეა, ფიცი, სიტყვა, ავტორიტეტული ადამიანი, ხოლო სარწმუნოების ობიექტი ზებუნებრივი არსება – ღმერთია. იშვიათია ადამიანი, რომელსაც სარწმუნოება თუ არა, რაღაცის რწმენა, იმედი არ ჰქონდეს. მე მინდა იმ რწმენის სადღეგრძელოს შემოგთავაზოთ, რომელიც ადამიანს სიკეთეს აკეთებინებს. ასაკში ვხვდებით, რომ რწმენის გარეშე სიცოცხლე ძნელია, რადგან ფინიში ცნობილია და გვინდა კიდევ რაღაცას წავებღაუჭოთ, რათა საბოლოოდ არ აღვიგავოთ ამ და იმ სამყაროდან. ამ სასმისით მინდა ჩვენი რწმენის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, მიუხედავად რელიგიური სხვადასხვაობისა, რომელიც სიცოცხლეს ასე გვიმსუბუქებს და იმქვეყნად გადაბარგების ფიქრსაც გვიადვილებს. მოდით ამ სასმისით ჩვენი რწმენის და მისი სულიერების „გაჯეჯილებას“ გაუმარჯოს.

## 61.

ახალგაზრდებს **სამშობლოს** სიყვარული გამძაფრებული გვაქვს, მაგრამ მისთვის ყოყოჩობის და პატრიოტული სიტყვების ფრქვევის მეტს არაფერს ვაკეთებთ და გვავიწყდება, რომ სამშობლოს სიყვარული უპირველესად ხელების დაკაპიწება, ოჯახის შექმნა და გამრავლებაა, ღირსეული შვილების, შთამომავლობის, აღზრდა-დატოვებით. სამშობლო ყველას გვიყვარს, მაგრამ სამშობლოსაც უნდა ვუყვარდეთ ე.ი. ერთმანეთს ხელი უნდა შევუწყოთ, მოვეფეროთ, ქვეყანა ბაღნარად უნდა ვაქციოთ, რათა ამ ქვეყანაში ყოფნა გვეამაყებოდეს. სამშობლოს სიყვარულთან დაკავშირებით მე მინდა სულხან-საბა ორბელიანის არაკი გაგახსენოთ. ერთ ტბაზე ყვაჭი (ბაყაყი) – და წერო დაძმობილდნენ, ტბამ გარემოებათა გამო დაშრობა დაიწყო. წერომ ბაყაყს სხვა ტბაზე საცხოვრებლად გადასვლა შესთავაზა, ბაყაყმა იუარა,

სამშობლოს ვერ მივატოვებო, გავიდა ხანი და სხვა ტბაზე საცხოვრებლად გადასულმა წერომ, ძველი მეგობრის მონახულება მოინდომა. მიფრინდა და ტბა დამშრალი დახვდა, ბაყაყი გამხმარა. წერომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ასეთი სამშობლოს დედაც ვატირეო“. მე სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოს ასე ვიტყოდი: მოდით, იმ სამშობლოს გაუმარჯოს, რომელსაც ვახსოვართ, ვჭირდებით, გვიმსახურებს და სამშობლოდან დროებით გადახვეწილებს წეროს სიტყვებს არ გვათქმევინებს.

„სამშობლო, დედის ძუძუი, ერთია ქვეყანაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“, „სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“. „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“. მოდით ამ გულით ნათქვამ სიტყვებს გაუმარჯოს, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის პრაქტიკას არ ემთხვევა. საოცარია პირდაპირ, ამდენი შენილბული ცუდი და კარგი ქართველს რომ აქვს, ბევრი სხვა ერის წარმომადგენელი ვერ დაიქადნის. ეტყობა, ჩვენი გენი შეყვანილია საღვთო კომპიუტერში, რომლის ურთიერთგაგების პროგრამა ვირუსითაა დაავადებული და ჯერ-ჯერობით, მისი მთლიანი გაწმენდა არ ხერხდება. მოდით ამ სასმისით ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, გონიერებას, მოთმინებას, დროის შერჩევას, განათლებას და რაც მთავარია, გამრავლება-მომრავლებას გაუმარჯოს. მოდით, ფეხზე ადგომით გამოუცხადოთ სიყვარული, მოწიწება, ჩვენს სამშობლოს, რომელიც მსოფლიო რუკაზე ძლივს მოჩანს, მაგრამ მისი ხმა ყველგან წვდება.

## 62.

მე მინდა **საქართველოს** და მისი ღირსეული შვილების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელიც სავსეა შემოქმედებითი ნიჭის მქონე ხალხით, მაგრამ მას მაინც ბევრი სიზრიყვე აქვს ჩადენილი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, რადგან ეს მისი თანდაყოლილი მაქსიმალიზაციის და თავის წარმოჩენის გადამეტებუ-

ლი მცდელობის ბრალია. „პერესტროიკის“ დროს, რუსეთში, დღევანდელ ვოლგოგრადში მცხოვრებ ქართველს საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა დაუძახეს და ჰკითხეს, რამდენ ხანში მოახერხებდა „ვოლგის“ შეძენას. იანგარიშა ქართველმა და განაცხადა, ორ თვეშიო, მეორე დღეს დაფიქრდა: რა ჯანდაბად მინდა ეს „ვოლგა“ თავისი გემებით, ნავსაყუდლებით, სატვირთო ბაზებით. ასე, რომ ჩვენს მაქსიმალისტ თანამემამულეს ავტომანქანა „ვოლგა“ მდინარე „ვოლგაში“ აერია. მოდით საქართველოს გაუმარჯოს ასეთი პრეტენზიული შვილებით, მოკლედ, რაც ვართ, ესა ვართ. „ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი, ძეწნამ ალერსით ამავსო იჭვებით ნაავადარი, საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არი“.

სუფრის წევრებს ვთხოვ რამდენიმე ფრთაასხმული სიტყვა, ლექსი, სიმღერა, შემომაწიოთ, რათა უკეთ შევიგრძნოთ ამ სადღეგრძელოს მადლი.

## 63.

ახლა იმის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რასაც ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდებოდეს ღირსეული კაცი. ეს ფენომენი **სახელი გახლავთ**, სახელი და გვარი თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მხოლოდ ვინაობის აღმნიშვნელი არ არის. სახელის ხსენებაზე მისი მფლობელის საქმიანობა, პიროვნული იმიჯი და ღვაწლი გაგახსენდებათ. ერი მხოლოდ სახელით, ღვაწლით და პიროვნული თვისებებით გამორჩეულ ადამიანებს მოიხსენიებს. გვარის გარეშეც კარგად ვიცით ვინ იყო თამარი, შოთა, დავითი, სულხან-საბა, ერეკლე, ილია, აკაკი, ვაჟა, ტატო, გალაკტიონი. ქვეყანას, საბედნიეროდ, მრავლად ჰყავს სახელოვანი, სახელგანთქმული, სახელმოხვეჭილი, შვილები. სამწუხაროდ, სახელგატეხილებიც საკმაოდაა. შოთა ბრძანებს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო“. შეუბღალავი სახელისათვის ზოგჯერ სიცოცხლესაც სწირავენ. ერთმა მისანმა საკუთარი სიკვდილის დღე და საათი იწინასწარმეტყველა. როცა ის დღე გათენდა, საღ-სალამათი იყო და მის სიცოცხლეს არაფერი ემუქრებოდა. არადა, მთელი მისი ცხოვრების საქმეს და ღირსებას

სამარცხვინო კრახი ელოდებოდა. ამიტომ ღამის თორმეტზე ტყვია იკრა შუბლში. ასე გაამართლა ნაწინასწარმეტყველება. მთლად ასეთი რადიკალურებიც ნუ ვიქნებით, მაგრამ ყველას გისურვებთ სახელოვანი თუ არა, სახელშეუბღალავები დავრჩენილიყავით სიცოცხლის ფინიშამდე.

## 64.

სანამ ამ პასუხსაგებ და დიდებულ სადღეგრძელოს **სიდედრზე** შემოგთავაზებდეთ, მინდა რამდენიმე სახუმარო ანეგდოტი, სენტენცია გავიხსენოთ, რათა ჩვენს სუფრას ულამაზესი ქალბატონის, დიასახლისის და ამ სუფრის გამწყობის სადღეგრძელოს მეტი ეშხი და სიყვარული შევმატოთ. „მამა თავის შვილს სიდედრის გასაგონად სხვადასხვა ზღაპრებს უყვება ერთი დაბოლოებით: ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ იმიტომ, რომ პატარძალი ობოლი იყოო. „რატომღაც ყველა სიძეს ძნელად „აღსაზრდელი“ სიდედრი ხვდება და ყველა დედამთილს „ცუდად“ აღზრდილი რძალი“. საოცარია მამაკაცების სოლიდარობა და ურთიერთგაგება: „სიმამრი ყველაზე სანუკვარ ქალიშვილს თვითონ უწვენს ლოგინში სიძეს და სიძისთვის ყველაზე საძულველ ქალს თავად ეჯახირება. სხვისი სიდედრი ყველა ასაკში მშვენიერია, რადგან მას ქალად აღიქვამენ და არა – საკუთარივით ალქაჯად და მტრად.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაკაცს სიდედრის პრობლემა არ აწუხებდეს. რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს სიძეს, რომ სიდედრის სურათი ჯიბით ატაროს?

მოკლედ, ამ საყოველთაო ხუმრობის ფონზე მინდა შემოგთავაზოთ ამ ოჯახის უძვირფასესი ქალბატონ N-ის სადღეგრძელო რომესაც სიძე ჩვენი მასპინძელი საკუთარი დედისგან არ არჩევს, გთხოვ ყველამ ფეხზე ადგომით შევსვათ ეს ჭკუის სასუსნავი და სასურველი სადღეგრძელო.

## 65.

ამჯერად **სიკეთის** სადღეგრძელოს გთავაზობთ, სიავისთვის ვერ მოგვეცალოს და სხვისთვის ტკივილი არ მიგვეყენებინოს. სხვათა შორის, სიტყვებსაც არანაკლები სიკეთის მოტანა შეუ-

ძლიათ. „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. საერთოდ ნაღდი სიკეთის კეთება ალალი და უმწიკვლო უნდა იყოს, თორემ როგორც სულხან-საბას იგავშია, თუ ორმოში ჩავარდნილ კაცს გაუთავებლად დააყვედრი ამოყვანას, ეს სიკეთე აღარ არის.

სიკეთე ყოფილიყოს ამ ოჯახის თამადობით ყველა ოჯახში დაბუდებული. ამ სასმისით მოწოდებით სიკეთის მკეთებელ ხალხს გაუმარჯოს.

## 66.

**სილამაზის საიდუმლოს** განტოლება ჯერ-ჯერობით არ ამოხსნილა და ალბათ, არც ამოიხსნება, რადგან ეს მას ვნებას მოუტანს. სილამაზის კრიტერიუმები ეპოქის მიხედვით ცვალებადობას განიცდის, მაგრამ მისი საწყისი უცვლელია. მაგ. წინათ ქალის გადანახულებისას იკითხავდნენ „ლოგინს შეავსებს თუ არა?“ დღეს მაღალი, წვრილწელა, გოგონებია მოდაში, მაგრამ ლამაზის და მახინჯის გარჩევა არავის უჭირს. ანტიკური პერიოდის ქანდაკებები დღესაც აღფრთოვანებას იწვევს, ხოლო 35 საუკუნის წინანდელი ლამაზმანი, ნეფერტიტი, დღევანდელი საზომითაც მშვენიერი ქალია. ლამაზი ქალის ჩემეული ფორმულა ასეთია: ქალის სილამაზე, მისი ეშხი და ხიბლი, მაჯისცემას რომ აგვიჩქარებს, გულს აგვიფრიალებს, უნიკალური და შეუდარებელია, ხოლო ფიზიკურ სილამაზეს თუ სულიერი თან ერთვის, თქვენს წინაშე „ქალღმერთია“. მაშ, ფეხზე ადგომით, მამაკაცებო, შევსვათ ასეთი ქალღმერთების სადღეგრძელო“!

## 67.

იმ თვალების შემონათებას გაუმარჯოს, რომელიც თქმით არაფერს გეუბნება, მაგრამ მარადისობას გაგრძნობინებს, ვნების სიავეს მოგათოკვინებს, გულს აგიფორიაქებს და **სიყვარულის** მონად გაქცევს „შენ ჩემი სულის მალამო, სიყვარულს ნუ მიმალამო“ ან „დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ, უგზო-უკვალოდ მოარული! სად არს შენი დასაბამი? ან სადა გაქვს დასასრული“.

ან: „მზეო თიბათვისა, მზე თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი ვინც მიყვარდა დიდის სიყვარულით ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები“.

ან „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაქრის, ტყე არ იძვრის სასიხარულოდ, უისყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავებ არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ვისაც არაფერი და არავინ ყვარებია, ნუ დალევს!

## 68.

**სიყვარულის მადლის** შეცნობა უდიდესი ხელოვნებაა, ნიჭია და ის ხელოსნობამდე, უნიჭობამდე არ უნდა დავიყვანოთ, თორემ ადრეულ ასაკში ხელში შემოგვრჩება მოსაფრთხილებელი შეუღლება, მოვალეობა და იძულებითი შრომა, რომელიც ასაკში უნდა შეთბეს ღირსეული შვილების აღზრდით და ცოლ-ქმრული შენდობა სიყვარულით, რომელიც პატივისცემაში და მოვალეობაში გადაიზრდება. ამ სასმისით მინდა მარადიული სიყვარულის მადლის სადღეგრძელო შევსვა, რომელიც გვიმონებს და გამოცდილების არავითარ რჩევა-დარიგებას ახლოს არ იკარებს.

„მე შენ მიყვარდი ციურის გრძნობით, ვით პოეზია, როგორც ღვთაება და შენს თვალებში მეხატებოდა ეგ სისუფთავე და უკვდავება“. ჩვენი სულიერების გეომეტრიას და მის ბზიკს გაუმარჯოს, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

## 69.

ის, რაც ერთხელ გვეძლევა და რომლის გამეორების შანსი ფრიად საეჭვოა, **სიცოცხლე** გახლავთ. სიცოცხლე, როგორიც უნდა იყოს, თავისთავად საოცრებაა და სასწაულია. მართალია სიცოცხლე სიკვდილის რიგში დგომაა, რომელიც ვის როდის მოუწევს არავის უწყის, მაგრამ სიცოცხლის მადლს ყოველთვის ვერ ვაფასებთ, განსაკუთრებით, ვისაც სენი არ აწუხებს, რადგან მას ფაქტიურად ყველაფერი აქვს, გარდა სიცოცხლის მადლის შეცნობისა. სიცოცხლის საიდუმლოების გაშიფრვას ადამიანი დღემდე ცდილობს და ალბათ, ბოლომდე ვერასოდეს ჩაწვდება. ადამიანი

ნიადაგ უნდა ტკბებოდეს სიცოცხლის მადლით. თუმცა ძნელია ეს მოთხოვო ლუკმა-პურის არმქონეს, უკურნებელი სენით შეპყრობილს და ვიწრო საკანში გამომწყვდეულს. ზოგადად კი სიცოცხლის სიყვარული და მასთან სამუდამოდ განშორების ტკივილი ყველას ბოლომდე თან სდევს. ყველას გისურვებთ მანამ გეცოცხლოთ, სანამ სიცოცხლით დაიღლებოდეთ და მოგბეზრებოდეთ, ამას კი, სულ ცოტა, ერთი საუკუნე მაინც დასჭირდება.

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის კარი ყველამ დარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“, ან: „სული კრული, გული წყლული, სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა, ამისთანა სიცოცხლე კი გინდ იყოს და გინდა არა“.

ვისაც ას წლამდე სიცოცხლე არ უნდა, ნუ დალევს!

## 70.

ამ სასმისით მინდა ამ ოჯახის დიდებული **სიძეს** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ამბობენ ვინვ კარგი სიძე შეიძინა, შვილი იპოვნა, ხოლო ვინც – ცუდი, შვილი დაკარგაო. მე მინდა იმ სიძის „მარიფათი“ გავიხსენო, რომელიც სიმამრს ვენახს ხელით აფურჩქვნინებს, „სიდედრს“ ენით აწამვლინებს და მაინც ყველაზე მათი საყვარელი შვილობილია.

მე მინდა ამ ოჯახს ბედნიერება ვუსურვო, რაკი ასე მუქთად ასეთი დიდებული ვაჟკაცი შეიძინა. მართალია, ავი ენები იმასაც ამბობენ, სიძე, საერთოდ, „ბინძური“ და მამაკაცის „ღირსებით“ გაცნობილი ნათესავიაო, მაგრამ ამ „სიბინძურის გარეშე“ სამყარო გადაშენდებოდა.

ამ სასმისით, დიდის მოკრძალებით, მინდა იმ კაცის სადღეგრძელო შევსვა, რომელმაც ასეთი დიდებულ შვილიშვილები და მომავლის იმედი აჩუქა ამ ოჯახს.

## 71.

დღეს სამყარო ერთიანდება, ურთიერთობა უფრო იოლი ხდება. ადამიანები სხვადასხვა ქვეყანაში ეძებენ თავისი ნიჭის

და შესაძლებლობის წარმოსაჩენ სამუშაოს. მოკლედ, სამყარო პატარავდება ადამიანის თვალში და უფრო მობილური და ხელმისაწვდომი ხდება. ადამიანებს შორის ფეხს იკიდებს ურთიერთისთვის ხელის გაწოდება და თანდათან უკან იხევს ყურით მოთრეული ნაციონალიზმი. ადამიანები მიისწრაფიან უკეთესი ყოფისკენ.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ **სოლიდარობის,** ურთიერთმხარდაჭერის, სადღეგრძელო. მთავარია, ადამიანებმა ერთმანეთს გავუგოთ, რათა საბოლოოდ აღიკვეთოს ომობანას თამაში.

დღეს ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელი მიისწრაფის ჰეგემონიისკენ და ვერ ითვალისწინებს ისტორიის კანონზომიერებას, რომ ყველა იმპერიას მიცემული აქვს 300 წელი, შემდგომ კი – დევალვირება. ამის შესანიშნავი მაგალითია ძველი ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის, მონღოლეთის იმპერიები. დღევანდელი დიდი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ მსოფლიოს გაერთიანებას, ერთი კონსტიტუციის, ერთი კანონმდებლობის ეგიდით, რადგან როდესაც მათ ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას ყავლი გაუვათ, არ აღმოჩდნენ ჩამორჩენილ ქვეყანათა რიგში.

ჩვენ თუ არა, ჩვენს შთამომავლობას ვუსურვებ დალაგებულ, დაწყნარებულ სამყაროში ცხოვრებას, სიახლის, ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით, ოღონდ ფუფუნების გარეშე, რათა ერი, ქვეყანა, არ გადაგვარდეს, არ გაქრეს.

ვინც მხარს მიჭერს, ვთხოვ ჭიქის ბოლომდე დაცლით მხარი დამიჭიროს.

## 72.

იქ, სადაც **სუფრის მადლის** ფასი იციან, სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობა ღვინით იწყება, სადაც სასმელის ხარისხი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თორემ მასპინძლის მცდელობა ვალის მოხდას ემსგავსება და არა – პატივისცემას. სუფრასთან მოლხენაში ურთიერთპატივისცემა და სიყვარულიც დევს თავისი მჭერემტყველებით, ზომიერი თრობით და გონებამახვილობით.

„იყო ღრმად ფილოსოფოსი, სახელად ერქვა სპინოზა, ის ქადაგებდა: რატომ სომთ ამდენ არაყსა, ღვინოსა, ეს რომ სიკვდილმა გაიგო, სთქვა ცოტა მომითმინოსა, ჩამოუქროლა სპინოზას და მტვრად აქცია სპინოზა. ესე ამბავი ნამდვილი, სინამდვილეზე მეტია, რაც დღე დააკლდა სპინოზას, ჩვენ შეგვე-მატოს, ფედია“.

ამ სასმისით დღევანდელ შეკრება და ამ სუფრის მადლი, მინდა ვადღეგრძელოთ, რათა ეს თავშეყრა, დროსტარება, დიდ-ხანს დაგვამახსოვრდეს.

## 73.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ დღევანდელი **სუფრის წევრების** და მათი გამომწიწავი ბებიაქალების, ექიმების, სადღეგრძელო. მათი დახმარებით ასე საღსალამათად ქვეყანას მოვევლინეთ, თორემ ვინ იცის, რაიმე შეშლოდათ, როგორი ად-ამიანები დავდგებოდით დღეს ან მთლად გადარეულები ან არ-ანორმალურად ჭკვიანები. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პიროვნება ჩვენს შორის არ იქნებოდა, რადგან ნამეტნავად გამორჩეულს ვერც ჩვენ ავიტანდით და არც თავად გვიკადრებდა. ამ სასმისით ყველა ჩვენგანის სადღეგრძელოს გთავაზობთ, ყველას ჯანმრთე-ლობა, გაფულიანება და სიკეთე მინდა გისურვოთ.

## 74.

ამ სასმისით **სტუმრების** სადღეგრძელო მინდა შემოგთავა-ზოთ. სტუმარს მხოლოდ იმიტომ კი არ ვპატიჟებთ, რომ ვასიამ-ოვნოთ, პირველ რიგში ჩვენ უნდა გვსიამოვნებდეს სტუმრის მიღე-ბა და მასთან ყოფნა, ხოლო თუ ამ მასპინძლობით სტუმარიც ისიამოვნებს და კმაყოფილი დარჩება, ამას რა სჯობს. ამასთან სტუმრის სახლში მიწვევა თავისებური თავხედობაცაა და სარგე-ბელიც მოაქვს, რადგან ეს კულინარიის განვითარებას უწყობს ხელს, რომელიც თავისებური მეცნიერებაცაა, ხელოვნებაც და ტრადიციებთან ჭიდილიც, რომლის ფილოსოფიური საყრდენი კულინარიის შედევრით სტუმრის გაკვირვებაა, სტუმრებს გაუ-მარჯოს, რათა ამ სახლში სულ თქვენ მიერ მონიჭებული კეთი-ლი აურა იფრქვეოდეს.

## 75.

კახელმა თბილისში სასწავლებლად შვილი გამოგზავნა, ერთი წლის შემდეგ, არდადაგებზე, ყურში საყურეგაყრილი დაუბრუნდა, კახელს არ მოეწონა შვილის ახირება და ფანჯარასთან მიიყვანა. შვილო, გამიგია წინათ საყურეს მეკობრეები და „პიდარასტები" ატარებდნენ, ეხლა გაიხედავ ფანჯარაში და თუ ალაზანზე ჩვენი სახლის წინ გემი არ იქნება დაყენებული, დედას გიტირებო. ამ სასმისით მინდა ჩვენი **ტრადიციების** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელმაც ჩვენი ერი აქამდე მოიყვანა, ხოლო ჩვენ კი ამ დიდებულ სუფრასთან შეგვყარა და ჩვენთვის მისაღები ტრადიციული დროსტარების საშუალება მოგვცა. ამ სასმისით ჩვენს ტრადიციებს გაუმარჯოს, რომელიც დღესაც სხვა ერების თვალში ფასს გვადებს და მისაბაძს გვხდის.

## 76.

მე მინდა ამ სასმისით **ურთიერთგაგების** სადღეგრძელო შევსვა. ორი ებრაელი ხვდება ერთმანეთს. ურთიერთმოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ ერთს ცოლი ქმარს ლორდთან ღალატობს, ხოლო თავად ებრაელი ლორდის ცოლის ლოგინში კოტრიალობს. შედეგად ორივე მხარეს სამ-სამი შვილი ჰყავთ. მერე, რა გაბრაზებს, შეეპასუხა თანამოსაუბრე, ბარი-ბარში ყოფილხართ. როგორ რა მაბრაზებს, გამწარდა ებრაელი, მე მას ლორდებს ვუკეთებ, ეგ კი ებრაელებს ამრავლებს. მე მინდა ამ სასმისით ადამიანებს შორის ურთიერთგაგების, კონსენსუსის, სადღეგრძელო შევსვა, რათა ზედმეტი ამპარტავნობით ცხოვრება არ გავართულოთ. მართალია ებრაელის და ლორდის ურთიერთგაგება ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ სალაღობოდ და სიტყვის მასალად კარგი ანეგდოტია.

## 77.

ამ სასმისით **უბერებელი ქალების** სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, იმათი, რომლებიც ნამდვილად გვიყვარს და იმათიც, ვისაც ჰგონია რომ გვიყვარს და მათ გარეშე სიცოცხლე არ შეგვიძლია. ყველა ქალს გაუმარჯოს. მათ გარეშე არაფერი სასიკე-

თო არ მოგვივა და არც ჩვენ მოვევლინებოდით ამ ქვეყანას. ამასთან ერთად ქალი მარად დაუმთავრებელ, შეუცნობელ ქანდაკებას წარმოადგენს და მის დამთავრების მსურველ მამაკაცთა რიგი უდგას. მე მინდა იმ უბერებელი, მომნუსხავი ქალების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომლებიც უიმედოდ აუარესებენ მამაკაცის მხედველობას, რადგან მათი შემხედვარენი სხვა ქალებისკენ არ იყურებიან. ისიც უნდა ითქვას, რომ მამაკაცის შექმნილი ოჯახის დანგრევა ყველა ქალს ძალუძს, ქალის ნაშენებ ოჯახს კი თვით ეშმაკიც ვერას აკლებს. იმ ქალებსაც გაუმარჯოს, რომლებიც თავიანთი საყვარელი მამაკაცის ხათრით არ დუნდებიან და ასაკის მატებას არ იმჩნევენ, არშიყი და ქათინაურების კორიანტელი არ ადუნებთ, ხოლო ყვავილებს და საჩუქარს ისე უყურებენ, როგორც კუთვნილ ხარკს თავიანთი ქალურობის წარმოჩენის საფასურს. მიუხედავად ჩვენი უბერებელი ქალების ასეთი შემკობისა, თუ გვინდა ოჯახში გაგვიმართლონ, ხანდახან მათ ცნობიერებას პირველყოფილი წყობის ელემენტები უნდა დავაწიოთ. ყველა მოხდენილი ქალის „პოზიტივებია": სილამაზე, მომხიბვლელობა, ქალის კაპრიზი და რაც მთავარია, სისულელე! სწორედ ეს სისულელეა, ქალს დაუვიწყარს და უბერებელს რომ ხდის.

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგევხარ ზღვას, თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას, მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას, გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს, ცეცხლს შევუნთებ შენს სამყოფელს და გავატან ქარს და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს. ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას".

ამ სასმისით, ფეხზე წამოდგომით, ჩვენს უბერებელ ქალებს გაუმარჯოს აწ და მარადის.

## 78.

მე მინდა ჩვენი ღმერთის, რწმენის, **უფლის,** სადიდებელი შემოგთავაზოთ. უფალი ყველა ჩვენგანს გამოცდას უწყობს. ერთნი თავიანთი ღმერთების „კარნახით" დაბერებულ მშობლებს სიცოცხლეს ასალმებენ (ფიჯის კუნძულები), მეორენი მიცვალებულს არ მარხავენ და ჩიტებს აკორტნინებენ (მონღოლები), მესამენი

ჩონჩხად აქცევენ (კათოლიკები), მეოთხენი სარკოფაგში ინახ-ავენ (ეგვიპტელები), მეხუთენი ცეცხლში წვავენ (ინდიელები), მეექვსენი მიცვალებულს გაცივებას არ აცლიან ისე მარხავენ (მუსლიმანები), ყველა თავისი ღმერთის, რწმენის, გამართლებას და მის ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოცხადებას ცდილობს. ამდენი დოგმა და ღმერთების წინაშე შიში ხშირად პროგრესს ამუხრუჭებს. ისე თავს დროზედ ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებლებს, რომ მარხვისას თავიანთი მიმდევრებისათვის რძის ნაწარმის და კვერცხის ჭამის ნება დაერთოთ, არ იქნებოდა ურიგო, რადგან ვერ გაითვალისწინეს, რომ უდაბნოში და მთიან მხარე-ში, ბოსტნეული ცუდად ხარობს, ხოლო მორწმუნეების გამოკვე-ბაზე არ იფიქრეს. ამ სასმისით მინდა ერთი ღმერთის, ერთი გონივრული სარწმუნოების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, სადიდებელი უფლისა, რომელიც ადრე თუ გვიან მორწმუნეთა შორის დაპირისპირებას ბოლოს მოუღებს.

დიდება უფალს აწ და მარადის!

## 79.

როდესაც ასაკოვანი ადამიანი ნიჭიერ, ზრდილობიან ახალ-გაზრდას უყურებს, რომელსაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში დროულად ადგილის დათმობაც არ ეშლება, შენდაუნებლიედ გულს გიხარებს, რადგან უცხოეთიდან ყურით მოთრეული „*უნ-არჩოთა*“ განათლებას ყური არ უგდებს და ტრადიციებს პატივს სცემენ. ერთხელ ხალხით გაჭედილ სამარშრუტო ტაქსში ახალ-გაზრდამ ადგილი დამითმო, მე კი მისი მგზავრობის ფული გა-დავიხადე და ამით სრულებით არ მინდოდა შეურაცხყოფა მომეყ-ენებინა, რადგან მიმაჩნია, რომ კორექტული საქციელი თავისე-ბურ წახალისებას მოითხოვს. ამ სასმისით მინდა **უფროს-უმ-ცროსობის** ინსტიტუტის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რადგან ეს ინსტიტუტი კავკასიაში ოდითგანვე არსებობს და იმედი მაქვს ცივილიზაციის ვერავითარი უგუნური შემოჭრა ამ ინსტიტუტს ვერ მოსპობს. ჩვენს ჯეელებს გაუმარჯოს, ღმერთმა ქნას, ისინი ჩვენზე გაცილებით უკეთესები იყვნენ და ეს ასეც იქნება, თუ ისინი უფროს-უმცროსობის საწყისებს შეინარჩუნებენ.

„ახალგაზრდობა – იმედი ხვალის,
ახალგაზრდობა – სილაღე სულის.“

## 80.

ამ სასმისით მინდა ჩვენი „**ფესვების**“ მოჩხრეკვის სადღეგრძელო შემოთავაზოთ, აქ არა მარტო წარმომავლობა იგულისხმება, არამედ ჩვენი უზადო ბავშვობაც და ის უდრტვინველად გატარებული წლებიც, რომლის გახსენება გულზე მალამოდ გვედება. ფესვებში ჩვენი წინაპრების ხსოვნაა დავანებული – ჩაწნეხილი და ჩვენი მეობაც.

აჭარაში ერთი ჩვენი მეგობრის ცოლი, მომავალი სიძის წარმომავლობა ნაცნობების გამოკითხვით ცდილობდა გაეგო, აინტერესებდა გვარში ხომ არ ჰყავდათ ვინმე სულიერად დაავადებული ან ხელმრუდე. თავიდან ეს ამ ქალის აკვიატებად მეჩვენებოდა, ხოლო როდესაც ასაკში გამოცდილება შევიძინე, მივხვდი, რომ ის მართალი იყო, რადგან უნდოდა სცოდნოდა, ვის ატანდა ქალს.

ამ სასმისით მინდა ჩვენი ღრმა ფესვების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, არასოდეს დაგვეზარებოდეს მათი მოჩხრეკვა.

## 81.

როდესაც **ქორწინება** დალვინებულ ასაკს მიაღწევს, რომელიც ვერცხლის, ოქროს, პლატინის და ბრილიანტის ქორწილებში გადაიზრდება, იმის მაჩვენებელია, რომ მამაკაცს ოქროს ხასიათი აქვს და ქალს – ფოლადის ნერვები, ხოლო მათი შენადნობი – ოჯახის ბადახშში ჩასმული შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილებია. მოდით, ამ სასმისით ამ შესანიშნავი შენადნობის, ბედნიერი წყვილის სადეგრძელო შევსვათ, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, ამ სანატრელ ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს „ცოლი მყავს და ნამუსი მაქვს, არ დაუთმობ არავის, რქებს ვერავინ ვერ დამადგამს, არც დავადგამ არავის, ფულს დავხარჯავ თუ მაქვს ჩემი, არ ვუმადლი არავის, არა მაქვს რა გასაცემი, არც სესხსა ვთხოვ არავის, მე არავის ვემონები, არც

ვბატონობ არავის, მტერს შიშველი ხმლით ვხვდები, ქედს არ ვუხრი არავის. გავიხარებ, გავლაღდები, არ ვიდარდებ არავის, თუ არავის ვენაღვლები, არც მე ვნაღვლობ არავის“.

## 82.

„**ღალატი**“ დანაშაულია, მაგრამ უფრო დიდი დანაშაულია, ვნებამოჭარბებული, ვნებადაუკმაყოფილებელი ქალების „დაუ-პურებლობა“ და მოტყუება ტოლისადმი ერთგულების ნიღბით. ღალატი ხშირად აუცილებლობის და შემთხვევითობის კანონს ემორჩილება და აქ მამაკაცების ცოდვა უმნიშვნელოა, რადგან ისინი ვალს იხდიან ბუნებრივი მოთხოვნილების და განგების წინაშე. ცოლები გაგებით უნდა მოეკიდონ ღალატად წოდებულ აუცილებლობას, რათა მათი საყვარელი მეორე ნახევრები საჭურ-ისებად და უნიათ მამაკაცებად არ მონათლონ. ერთმა ჩემმა ნასვამმა მეგობარმა, ცოლი შუა ღამეს გააღვიძა და უთხრა, ერთ საიდუმლოში უნდა გამოგიტყდეო: ჩვენი შვილი შენი არ არის, სხვა ქალთან შევცდი და რატომღაც შენ გეყოლაო. ჩემი აზრით, ღალატის უფლება იმ მამაკაცებს აქვთ, ვინც სავალდე-ბულო სექსმინიმუმს ცოლთან წარმატებით და გადაჭარბებით ასრულებს და არა იმათ, ვინც არც სახლში უქნია ღმერთს და არც გარეთ. ამასთან გისურვებთ ჩვენს ქალებს ქვემოთ მოყ-ვანილი ლექსი ჩვენზე არ ეთქვათ: „არ ვიცი რა ვქნა, რა ვუყო, ამ ჩემს პატარა ქმარსაო, არცა აქვს შენახვის თავი, არცა მანებებს თავსაო, ნეტავი დამიწუნებდეს, დამანებებდეს თავსაო, ვივლი-დი ლაშარის ღელეს, ვაჟებს ვავლებდი თვალსაო, მაშინ ხომ შევუყვარდები ჩემი გუნების ქმარსაო“.

ამ სასმისით მინდა შევსვა „იმ ღალატის“ სადღეგრძელო, რომელსაც ოჯახისთვის ვნება არ მოაქვს და სხვა „დამშეული“ ქალების მადლსაც ისხამს.

## 83.

ამ სასმისით მინდა **ღიმილის** სადღეგრძელო შემოგთავა-ზოთ. დიდებულია, როდესაც ადამიანი კეთილად იღიმება, ხოლო

ქალის ღიმილს თუ სავარძელზე ჯდომის და სიარულის მანერაც ემატება, იმის მაჩვენებელია, რომ ქალთან კი არა, ქალღმერთთან გვქონია საქმე. ღიმილი იმედს გვისახავს, გვსიამოვნებს, კარგ ხასიათზე გვაყენებს, რადგან ვხედავთ, რომ მავანს მართლა გაუხარდა ჩვენი დანახვა. ვეთანხმები პოეტურ გამოთქმას, რომ „ღიმილისათვის შეიქმნა ადამიანი“ და იმასაც, რომ სიკვდილსაც კი დედაბუნების ალერსიანი ღიმილი უნდა ამკობდეს.

რაკიღა ასეა, ნუ დავიშურებთ ერთმანეთისთვის ღიმილს. ღიმილიან ადამიანს გაუმარჯოს!

## 84.

ამ სასმისით მინდა **ღმერთის** სადიდებელი შემოგთავაზოთ. ღმერთის ფენომენი ისე მარტივად, როგორც ბევრს ესმის, სწამს, მე არ შემიძლია ვიწამო, ხოლო ისე რთულად, როგორც მე წარმომიდგენია, ჩემი გონება ვერ სწვდება. ისე კი, სამყაროს ამდენი აუხსნელი საოცრების მომსწრემ და ჩემი მეგაბაიტის ადამიანმა რაღაც რომ არ იწამოს, შეუძლებელია. დიდება ჩვენს ღმერთს, ისეთს, როგორისაც გვჯერა და როგორიც წარმოგვიდგენია.

## 85.

**„ყისმათი“** არის იღბლის, ნიჭის, ბედისწერის, გარდუვალობა, შერწყმული ადამიანურ შესაძლებლობებთან, გონიერებასთან, ნაფიქრალთან, მოხერხებულობის მოშველიებით. ზოგს ისეთი ყისმათი დაჰყვება, საფლავი რომ გაუთხარონ იქედან ნავთობის ჭავლი ამოხეთქავს და იმ ქვეყნიდანაც ნაშიერს ინახავს. ალბათ, ყველას ჩვენი ყისმათი გვაქვს და მას როგორ გამოვიყენებთ, დროის ყივილმაც მხარი უნდა აუბას, ხოლო ჩვენ ისღა დაგვრჩენია, არ დავაგვიანოთ, დროულად ხელი გამოვიღოთ და ყისმათიც გვერდში ამოგვიდგება.

მე მინდა ამ სასმისით ყველა ჩვენგანის ყისმათის სადღეგრძელო შევსვა, მისი შესაძლებლობები ხელიდან არ გავუშვათ და ამის აღსანიშნავად გამართულ პურღვინოზე გვექეიფოს. აბა, თქვენ იცით, თქვენს ყისმათს თქვენთვის ეხნას და ეთესოს.

## 86.

ამ სასმისით იმ სიყვარულის და განუმეორებელ ნაშიერთა სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რომლებმაც რაც უნდა გაგვაბრაზონ, „ფეხებსაც ვერ მოვჭამთ“. ჩვენს **შვილებს** გაუმარჯოს. ისინი ჩვენი გვარის, ჯიშის წარმოსაჩენად და გასაგრძელებლად არიან ამქვეყნად მოვლენილნი. შვილის წრთვნა მშობლის საქმეა, უფრო დიდი საქმეა მათი ნიჭის შეცნობა და მშობლის კაპრიზის დაკმაყოფილება, რათა შვილები სწორ გზაზე დავაყენოთ და თავიანთი შესაძლებლობებით ცხოვრების გზა სწორად გაიგონ. არაერთი ცნობილი მუსიკოსი, ხელოვანი, მეცნიერი, მშობლებს უმადლის, რომ თუ არა მათი სიმკაცრე და დაძალება, შეიძლება მათი ნიჭისათვის შეუფერებელ გზას დასდგომოდნენ. მე მინდა ჩვენი ურჩი და ნიჭით აღსავსე შვილების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, ვუსურვებ მათ დედაშვილობა და მამაშვილობა მარტო ურთიერთდაპირისპირებაში არ დაენახოთ და ურთიერთდამოკიდებულებისთვის მეტი სიყვარული შეეზილოთ. ბოლოს გისურვებთ ისეთი შვილები გამოგვსლოდეთ, რომ გული არ დაგწყვეტოდეთ და თავისთვის არ გესაყვედურებინოთ, რატომ დროზე აბორტი არ გავიკეთეო. მე მინდა ჩვენს შვილებს ვუსურვო მდიდარი მშობლები, გავლენიანი ნათესავები და ანდერძის დამტოვებელი მდიდარი ბებია-ბაბუები.

ჩვენი ღირსეული და საყვარელი შვილების სადღეგრძელო იყოს!.

## 87.

ამ სასმისით მინდა ჩვენი **შვილიშვილების**, **შვილთაშვილების,** სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ისინი ჩვენზე გონიერებიც არიან, შენდობაც შეუძლიათ და უპასუხო სიყვარულიც. ყველა ბავშვს თავის გზაზე მისდის გენის, აღზრდის, გარემოს, შემთხვევის და ბებია-ბაბუის დახმარება, წყალობა. ჩვენი დანიშნულებაა შვილიშვილები ისე აღვზარდოთ, რომ მათ გარდაქმნას არ შევეცადოთ, რადგან აქედან სახეირო არაფერი გამოვა. შვილიშვილები არც მშობლის საკუთრებაა და არც ბებია-ბაბუის, ის ოჯახში

დამყარებული ტრადიციების და მასში შეფუთვნილი სინდისის კუთვნილებაა.

მართალია, ბაბუასთვის გოგონაც შვილიშვილია და ბიჭიც, მაგრამ ამ უკანასკნელს გვაროვნული დატვირთვა და წინაპართა წინაშე მოვალეობაც აწევს. ვაჟები მოწოდებულნი არიან ყველა თავიანთი „წარმატება“ ბებიას მიუძღვნან, ხოლო ბაბუა გააკვირვონ.

ამ სამოსით ჩვენს ხალას შვილიშვილებს გაუმარჯოს, რომლებიც გვაკვირვებენ არაორდინალური აზროვნებით, მოხერხებულობით და იმ მადლიანი სიყვარულით, რომელიც მათ ბებია-ბაბუებისთვის აქვთ გადანახული.

## 88.

ნუ დამძრახავთ და ამ სასმისით იმ ნორმიდან ამოვარდნილი ადამიანების სადღეგრძელო უნდა ვთქვა, რომელსაც „**შერეკილებს**“ ვეძახით. მათ გარეშე პროგრესი და წინსვლა დიდად შეფერხდებოდა და უბრალოდ, ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა. შერეკილების გარეშე არა ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა და გამოგონება ველარ იხილავდა მზის სინათლეს. არქიმედემ აბაზანაში ნებივრობისას აღმოაჩინა ფიზიკის კანონი. სიხარულისგან აგზნებული სირაკუზის ქუჩებში შიშველი დარბოდა. ნიუტონმა, სანამ ვაშლი არ მოხვდა თავში, მანამ ვერ აღმოაჩინა განთქმული მიზიდულობის კანონი. ფილოსოფოსმა კანტმა ოჯახზე, ქალის სიყვარულზე, პურ-ღვინოზე, თამაშზე, სანახაობაზე უარი თქვა, რათა ფილოსოფოსობაში ხელი არ შეშლოდა. რამდენი „შერეკილი“ შეეწირა საკუთარ თავზე დაყენებულ სამედიცინო ცდებს. სამაგიეროდ, შთამომავლობამ მიიღო ათმაგი კომპენსაცია. ყოველ ადამიანში ზის მეტნაკლებად შერეკილი სუბიექტი, რომელიც გვიჩუჩხუნებს და მოსვენების საშუალებას არ გვაძლევს.

რას იტყვით, არ გაუმარჯოს შერეკილებს?

## 89.

ამ სასმისით მინდა „**შემოსწრებულების**“ სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, ალბათ, რაღაც საპატიო მიზეზით დაიგვიანეს, მაგრამ ჩვენ ამის გარჩევას აქ არ შეუდგებით. რადგან ქართული

სუფრის წესი ლმობიერია სტუმრის მიმართ და ჩვენი ვალია მათი ვინაობა დროზე გაგაცნოთ, რათა მათ თავი უხერხულად არ იგრძნონ და დრულად ჩაებან ჩვენს დროსტარებაში. დაგვიანებ-ულებს ვთავაზობ „შემოსწრებულების" სადღეგრძელო ორი ჭი-ქით შესვან, ერთი იმისათვის, რომ ჩვენ სუფრის წევრად ჩა-ვრიცხოთ, ხოლო მეორე სასმისით ის სადღეგრძელო შესვან, რაც ჩვენ მათ გარეშე შევსვით და თავიანთი კუთვნილი ადგილი დაიკავონ სუფრასთან. აბა, ერთად და ერთხმად შემოსწრებულებ-ის სადღეგრძელო!

## 90.

**ჩალიჩის** კაიფი იმ პატარ-პატარა წარმოდგენიდან შესდგე-ბა რომლის რეჟისორიც და მაყურებელიც თავადვე ვართ. ცხ-ოვრება ჭირვეული ქალღმერთია. ის უნდა მოიწონო, შეიჩვიო, გაუგო და შენს ჭკუაზე გაითავისო, რადგან ცხოვრებაში უმთავ-რესია არც „მწვადი დაწვა და არც შამფური", ხოლო ეს ჩალიჩი მოხერხებულობის, მოთმინების, დროის შერჩევა-ჩასაფრების გარეშე შეუძლებელია. იმისათვის, რომ საკუთარ თავს მიემხრო და არგო, სურვილი არ კმარა, ამას ცოდნა, ხელის გამოღება და თავის განძრევა სჭირდება. ჩალიჩის ხელოვნებას ყველა უნდა ვფლობდეთ, რათა ამ ქვეყნიდან რაღაც სახეირო ურიგოდ გვერ-გოს.

ყველას გისურვებთ ჩალიჩის უნარს, რათა ცხოვრება უკეთ შევიცნოთ და ოჯახიც უკეთ შევინახოთ. გისურვებთ წარმატე-ბებს ყოფის ამ სასიამონო ფრონტზე.

## 91.

მე მინდა ამ სასმისით იმ **ცის** საიდუმლო შემოგთავაზოთ, რომელიც თავისი ნისლით, ღრუბლით, დაგვყურებს და ჩვენი სიცოცხლის წლებს აითვლიან: „ნისლო, რას ფიქრობ ტიალო, შემჯდარო გორის ფხაზედა, თუ ჩვენი ბედი გაწუხებს, ამ წყეულს ქვეყანაზედა".

„აგხედავ და გადრი ხარს, მერე ტაიჭს უბელოს, დადექ, საით გარბიხარ სევდიანო ღრუბელო.".

„რა იოლი ყოფილა სივრცის მომინანქრება, როგორც უცებ მოფილავს, ისე უცებ გაქრება“.

ცასთან უამრავი სიტყვა და სახელია დაკავშირებული, რომელთა ხიბლი და ელვარება თან გვდევს: ცისკარი, ცისკიდური, ცისმარი, ციური, ცისარტყელა, ცისფერი, ცისქვეშეთი, ცის თაღი, ცას ეწევა სიხარულით, ცამ პირი შეიკრა, ცა – ქუდად, მიწა – ქალამნად და ა.შ.

სუფრის წევრებს გთხოვთ, ლექსად მომაშველეთ სადღეგრძელო და ისე შევსვათ ამ ჩვენი ცის სადიდებელი.

„საქართველოს ცაო, ცაო ლიცლიცაო,
საქართველოს მზეო, სულ იგიზგიზეო.“

## 92.

ჩვენი პატარ-პატარა **ცოდვების** სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ, რომელთა გარეშე ცხოვრების შეცნობა გაჭირდებოდა, მაგრამ მთავარია, ჩვენს ცოდვებს ზევიდან როგორ უყურებენ, რადგან გადაცდენის ცუდად დანახვის შემთხვევაში ან მიწასთან გაგასწორებენ ან მის ქვეშ ამოგდებენ. ცოდვის ჩადენაც თავისებური ხელოვნებაა, იგი დროის შერჩევას და გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს. ამ სასმისით მინდა შევსვა ყველა იმ ცოდვის სადღეგრძელო, რომელმაც სიამოვნება მოგანიჭათ, არავისთვის ვნება არ მოუტანია და სულსაც გაჯირითების საშუალება მისცა. ხომ იცით ცოდვების ჩადენაც ღირსეულთა ხვედრია, ეტყობა, განგებას ისიც თავის შესაქცევად სჭირდება!

უცოდველებს შეუძლიათ არ დალიონ.

„მე სამოთხიდან განდევნილი ვარ ანგელოზი,
ცით დავენარცხე და ისევე ვიქეცი კაცად.
მე ვლოცულობდი ყოველნაირ საქართველოზე
და ამიტომაც ყოვლისშემძლემ დამსაჯა მკაცრად“.

## 93.

მონადირემ სახლში ტყეში ნაპოვნი ბაყაყი მოიყვანა და მისივე თხოვნით გასათბობად ლოგინში ჩაიწვინა. ბაყაყი ულამაზეს

ქალად გადაიქცა. ამ ამბვის შემსწრე ცოლს მონადირემ საქმის ვითარება აუხსნა. მე მინდა შევსვა ჩვენი წინდახედული **ცოლების** სადღეგრძელო, რომლებიც ჩვენი მონაყოლით თავს ყასიდად იტყუებენ. კორეაში როგორც კი ცოლი ქმარს სექსუალურ უინტერესობას შეატყობს, მაშინვე სიძვის დიაცი მოჰყავს სახლში, თავის ადგილს უთმობს საწოლში და გასამრჯელოსაც თავად უხდის, რათა ქმარმა მოყირჭების სიპტომი თავიდან ამოიგდოს და თავის საყვარელ და წინდახედულ ცოლს უკეთ მოემსახუროს. ვინ იცის, ჩვენი ქალების წინდახედულების კულტურა როდის ამაღლდება კორეელი ქალების დონემდე. ამ სასმისით ჩვენს წინდახედულ ცოლებს გაუმარჯოს, რომლებსაც ჩვენი მისთვის ცნობილი და უცნობი ცოდვების მიუხედავად, ასერიგად ვუყვარვართ!

ჩვენი ოჯახის უდიდეს კაპიტალს, ჩვენს გამრჯე ცოლს გაუმარჯოს, რომელიც ყველა „კეთილისმდომის" ინფორმაციას საღად აფასებს, ღმერთმა მისი კაპრიზი და გადამეტებული ყურადღება არ მოგვიშალოს. ხოლო, ზოგჯერ თუ თვალი განზე გაგვექცა, უნდა გვაპატიოს. შეგახსენებთ პოეტის აღიარებას: „ხომ ლამაზია, ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, ატმის ხესავით აფეთქებული და მიქნეული გავაზივითა". „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა!".

## 94.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი **ცოლების ოცნების** სადღეგრძელო, რომ სწორედ ისინი იყვნენ თავიანთი მეუღლის პირველი და უკანასკნელი საკითხავი წიგნი, მაგრამ მამაკაცებს, რატომღაც აღარ გვეკითხებიან, გვინდა თუ არა, დავრჩეთ „უწიგნურებად". სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი „ცოდნისადმი" ცოლების უმრავლესობის ანტაგონისტური განწყობილება, ისინი ყოველნაირად ხელს გვიშლიან ცოდნის შეძენასა და „კვალიფიკაციის" ამაღლებაში.

მე ყოველთვის მაინტერესებდა ერთი რამ: ჩვენს ცოლებს რომ სცოდნოდათ წინასწარ რა ბედი ელოდათ, როცა ჩვენი მეორე

ნახევრები გახდებოდნენ, გასწევდნენ ამ რისკს თუ არა. მე რატომღაც მგონია, რომ გასწევდნენ, იმდენად კარგი თანამეინახენი ვართ შეკრებილნი ამ სუფრასთან. მე მინდა ჩვენი მფარველი ანგელოზების, ცოლების, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. პატრულმა მანქანაში მსხდომი ცოლ-ქმარი გააჩერა და ბრალდებად სიჩქარის გადაჭარბება წაუყენა, კაცი შეეწინააღმდეგა, ხოლო ქალმა დაიცვა ქმარი და გააფრთხილა: „ჩემი ქმარი ძალზე ჯიუტია, განსაკუთრებით, როდესაც ნასვამია და გირჩევთ, ნუ ეკამათებითო“. ან: ქმარი სახლში ნასვამი მოვიდა ლოყაზე პომადით, ცოლმა გაამართლა: ალბათ, მეგობრის ცოლს შენი დანახვა გაუხარდაო, ხოლო ქმარმა შარვალი რომ შეიხსნა და ტანზე ქალის ტრუსიკი აღმოაჩნდა ამოცმული, ახლა თავად მამაკაცი შეწუხდა: ქალო, რაღაც მოიგონე, თორემ ხომ ხედავ გვექცევა ოჯახიო“.

ამ სასმისით მინდა ჩვენი ნაოცნებარი ცოლების და ჩვენი ცოლების ოცნებების სადღეგრძელო შევსვათ, რომელიც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აგვსრულებოდეს. ახლა კი მინდა რობერტ ბერნსის ლექსი შემოგთავაზოთ.

„როცა მინდოდა მისი გულის მონადირება, ტკბილი სიტყვები რაც გამაჩნდა, დავხარჯე ხელად

მაგრამ ყველაზე მეტად სჭირდა ეს დაპირება, ცოლად შეგირთავ, ჩემო ღვთაებავ, ძვირფასო ლელა

გამიწყრა ღმერთი, რატომ ძირში არ მომტყდა ენა, შევირთე ლელა არსაით ხსნა, არსაით შველა

შემინთო ცეცხლი, მომიწამლა შვება და ლხენა, დამწარდა ღვინოც, სამშობლოც და რაც მწამდა ძველად

ტანჯვა-წამება ხომ სალდათის მწარე ხვედრია, გადავიტანე ბევრი ომი და ბრძოლა მკაცრი,

მაგრამ არც ტყვიას და არც მახვილს არ მოხვედრია, ჩემი ლელას ენასავით მწარე და ბასრი.

თავი მივეცი ბრძოლის ქარცეცხლს, მძვინვარეს მძაფრად, ფრიდრიხის ჯარში გმირად მიცნო ერთთავად ყველამ,

ხელი დამრია მხოლოდ ერთმა შიშმა და ზაფრამ, ვაი თუ ჩემ წინ ნაღმის ნაცვლად იფეთქოს ლელამ“.

## 95.

რადგანაც სინდისის განყოფილებას ღმერთი კურირებს, უსინდისობისას – ეშმაკი, გისურვებთ ცხოვრებისთვის განკუთვნილი კრიტერიუმები აბსურდად არ მოგჩვენებოდეთ და თავის სულიერ ცენზორებად თავადვე დავრჩენილიყავით. მე მინდა ჩვენთვის მოსაწონი ყოფის, **ცხოვრების**, სადღეგრძელო ოცნებით და ფანტაზიის მოშველიებით შევსვათ, რადგან ჩვენი ავყია ბუნების გამო ის რეალურად არასოდეს შედგება. „ერთმა ხელები გაჰყო ფანჯარაში და შეიკურთხა, კიდევ წვიმს, ამ მთავრობის დედა ვატირეო“.

თუ ყველაფერი გვაქვს და მაინც რაღაც არ გვყოფნის, დიდი ბედნიერებაა – ე.ი. ცხოვრებას ჩვენთვის აზრი არ დაუკარგავს, ფუფუნების ჭაობში არ ჩავფლულვართ, ცხოვრება არ მოგვყირჭებია, სისულელის ჩადენას არ ვფიქრობთ, ამ სასმისით ჩვენი ცხოვრების გავლილ და გასავლელ გზას გაუმარჯოს, არ გაგვმრუდებოდეს. ველას სიკეთეს და გამართულ სიარულს გისურვებთ ცხოვრების იმედით მოკირწყლულ გზაზე.

## 96.

ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ იმ ყოველი ძველის სადღეგრძელო, რომელიც თანამედროვეობას ეხმაურება და თუ დასჭირდება, „თავში წამორტყმაც“ არ ეზარება. ჩვენი ძველი მეფეების, არა მარტო დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, სადღეგრძელოები შემოგთავაზოთ, არამედ იმათიც, ვისაც არ გაუმართლა და ეს ქვეყანა მაინც აქამდე მოიტანა. ეს იმ წინაპრების სადღეგრძელოცაა, რომლებიც უნებურად შეცდნენ, რომელთა გარეშე დღევანდელობა ამ სახით ვერ იარსებებდა. იმ **წინაპრებს** გაუმარჯოს, რომლებსაც მოვალეობის შეგნების უმთავრეს იარაღზე, კაცის ღირსებაზე, უარი არ უთქვამთ და როგორც შეეძლოთ, ისე ერკინებოდნენ მტერს და ემსახურებოდნენ ქვეყანას.

## 97.

ბატონებო, კვლავ ბარიერთან გიწვევთ, გთხოვთ თქვენი მჭერმეტყველებით ეს ოჯახი, ეს სუფრა კიდევ ერთხელ დავლო-

ცოთ, მასპინძელს მადლობა მივაგოთ ამ დღის ასე დიდებულად გატარებისათვის. ამ სასმისით **წამსვლელ-დამრჩომის** სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რომელშიც ყოვლადწმინდა შედის და სხვა ყველა სადღეგრძელოც, რომელიც მასპინძელთან, სუფრასთან, დროებით გამოითხოვების დროს ითქმის. ამ ოჯახს კიდევ ერთხელ ვუსურვოთ ბარაქა, დოვლათი, სტუმრის გასასტუმრებელი, ხოლო სტუმრებს კარგ ხასიათზე ყოფნა და ტკბილი სუფრის გახსენება. გთხოვთ ფეხზე ადგომით და მრავალჟამიერის შემოძახებით შევსვათ წამსვლელ-დამრჩომის სადღეგრძელო.

## 98.

ერთი ულალატო და უპრეტენზიო მეგობრის სადღეგრძელო მინდა ვთქვა. ის შეიძლება მთელი ცხოვრება შენს გვერდით იყოს და არაფრით შეგაწუხოს, არც კი გაგრძნობინოს თავისი არსებობა, მაგრამ თუ მიაკითხავ და ხელს გაუწვდი, უანგაროდ და დაუყოვნებლივ დაგიდგება გვერდში, გაგართობს, გაგახალისებს, გონივრულ რჩევას მოგცემს, უაღრესად საინტერესო ამბებს მოგიყვება ამ მთისას, იმ ბარისას. წაგიყვანს, უვალ გზებზე გატარებს, ცის ლაჟვარდს მოგატარებს, იმედით აგავსებს, შეიძლება სიხარულის ან სინანულის ცრემლიც გადინოს. ერთი სიტყვით, ასეთი მეგობრის გარეშე ცხოვრება მოსაწყენი და აზრისგან დაცლილია. ახლა მინდა თავად მითხრათ, ვინ მიმაჩნია ასეთ მეგობრად. სწორი ბრძანდებით, **წიგნის** სადღეგრძელოა დღეს შეიძლება წიგნთან ერთად „ინტერნეტიც“ გავიხსენოთ, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო დროის მოკვლას და გართობას ემსახურება, რა თქმა უნდა, მე არაფერს ვამბობ მის შესაძლებლობებსა და საჭიროებაზე. ამ სასმისით წიგნს გაუმარჯოს, ელექტრონული იქნება თუ ქაღალდზე დაბეჭდილი.

„სამშობლომ ლოცვები ღაღადით, ამ ლამაზ წიგნში ჩაწერა, თავად დაუდგა თამადად, გარდასულ დღეთა წვალებას, წავიკითხე და სიამით, კვლავ დამიბრუნდა მხნეობა, ჩემი ოცნების რაობის და პირველი სიტყვების დამჭერსა“.

„წიგნი შრომის დროს აგურია და
ომის დროს ტყიით სავსე ყუმბარა...“

## 99.

ამ სასმისით ჩვენი **ჭკუის ღრძობის**, ტვინის ჭყლეტის, სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რადგან ის, რაც არ ვითარდება, არც გამოიყენება და ეს ვგონებ ჩვენს ჭკუას არ ემუქრება. მთელ ჩვენს ცხოვრებას ჭკუის ლესვაში ვატარებთ, იმისდამიუხედავად, ვფლობთ ამ საგანძურს თუ არა. ამასთან, ჩამოყალიბებული ფორმულებით და აქსიომებით ცხოვრება გვიჭირს, სულ რაღაცის ძებნა-ძიებაში ვართ, რადგან ადამიანებზე გვაქვს პრეტენზია. ამ სასმისით ჩვენი გონიერების ნაღვაწსაც გაუმარჯოს, რადგან მისი შეფასების და თავის მოწონების გარეშე ყოფა გაგვიჭირდება. მოკლედ, ღმერთი ჩვენთან იყოს და იმის საშუალება მოგვცეს, რომ ჭკუა ხშირად გვეღრძოს, ოღონდ სარგებლის მოტანით.

ერთი სიტყვით, იმ რამე-რუმეების სადღეგრძელოა, რომელიც ზოგჯერ ტვინს გვითბობს და ცხოვრებას გვაყვარებს.

## 100.

ამ სასმისით **ჯანმრთელი ჯიშიანი, ჯიგრიანი,** მამაკაცების სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ. ამ სუფრასთან ვგონებ ყველანი ასეთი მასტის მამაკაცები სხედხართ. ერთი ჯიშიანი მამაკაცი მოვლინებიდან დაბრუნდა და ბუღალტერს სამივლინებო ანგარიში წარუდგინა. გზის ხარჯები 150 ლარი, დღიური 80 ლარი, ქალები 200 ლარი. ბუღალტერი მისი მეგობარი იყო და ქალების ხარჯები ლურსმნის ჩაჭედებით ჩაანაცვლა. შემდგომი მივლინებიდან დაბრუნებულმა, ამჯერად, ანგარიში ამგვარი სახით წარადგინა: გზა 150 ლარი, დღიური 80 ლარი, ლურსმნების ჩაჭედება 200 ლარი. ჩაქუჩის მკურნალობა 500 ლარი.

ამ სუფრაზე მყოფთ ყველა ჯიშიან მამაკაცს გისურვებთ, ჩაქუჩის მკურნალობა არავითარი სახით არ დაგჭირვებოდეთ.

# მამაკაცის და ქალის 100 ქართული სახელი

| | მამაკაცი | ქალი |
|---|---|---|
| 1 | ავთანდილი – სამშობლოს გულს, რწმენას | ბაია –მინდვრის ყვავილი + |
| 2 | ალიო – მამაკაცი მცველი | ბაბულია – უცხო, უცხოელი + |
| 3 | ალუდა – ლუდის მხდელი | გედია – ლამაზი, ჰაეროვანი |
| 4 | ამირანი – ქართული ხალხური ეპოსის გმირი | გვანცა – ცელქი, მოუსვენარი |
| 5 | ანზორი – აზნაური, თავისუფალი | გოგოუცა – პატარა გოგო |
| 6 | არმაზი – ძველი ქართული ღვთაების სახელი | გუგული – ფრინველის სახელია + |
| 7 | ბაგარტი – ღვთის შვილი | გულსუნდა – გულით ნანატრი შვილი |
| 8 | ბაქარი – ღვინის შვილი | გულო – გულიანი |
| 9 | ბაჩანა – ტანმორჩილი | გულიკო – გულის გასახარი |
| 10 | ბახვა – ჩაფსკვნილი | დალი – ნადირობის ქალღმერთი |
| 11 | ბესიკი – ასოცირდება პოეტ ბესიკ გაბაშვილთან, დამოუკიდებელი სახელია | დარეჯანი – სწორუპოვარი (ნესტან-დარეჯანი) |
| 12 | ბექა – უფროსი | დარიკო – დედის შვილი |
| 13 | ბიძინა – „ბიძისაა“ | დენოლა – გოგონა |
| 14 | ბოცო – ფუმფულა | დოდო – ღვთის მეგობარი + |
| 15 | ბოჩია – მამალი ცხვარი | დუდუხანა – ჩასუქებული |
| 16 | ბუხუტი – ცელქი, ღონიერი | ელიკო – სინათლე |
| 17 | გარსევანი – მცირე ძალის მქონე | ელისო – ღვთის მაფიცარი, მორჩილი |
| 18 | გელა – მგელია, მაგარია | ენძელა – ყვავილი |
| 19 | გერა – მგელია | ვარდო – ვარდი სადარი |
| 20 | გიგო – მიწადმოქმედი, მიწის მოყვარული | ვინარი – ვინ არი + |
| 21 | გიგლა – მხვნელ-მთესველი | ზოზო – ლამაზი |
| 22 | გლახუნა – ზარმაცი | თალიკო – ოჯახზედ თავგადადებული |
| 23 | გოჩა – ბერიკაცი | თაფლო – ტკბილი |
| 24 | გუგუ – გუგულივით წყნარი | თეთრუა – ქათქათა |
| 25 | გურამი – გამარჯვების ღვთაება | თინათინი – მოციმციმე სხივი |
| 26 | დაჩი – გვარის უფროსი | ია – ადრეული გაზაფხულის ყვავილი + |
| 27 | დათო – სიყვარული | იამზე – მზესთან თავს იწონებს |
| 28 | დათიკო – წინამძღოლი | ირმა – შეწირულს ნიშნავს |

| | მამაკაცი | ქალი |
|---|---|---|
| 29 | დევი – ძლიერი, მაგრამ უჭკუო | კატო – წმინდანი, უმწიკვლო |
| 30 | ეფრემი – აღორძინება | კეკე – მშვენიერი |
| 31 | ვაჟა – ვაჟი, ვაჟიშვილი | კესანე – მინდვრიოს ყვავილი |
| 32 | ვალერიანი – სახლის შვილი | კმარა – მეტი ქალიშვილი აღარ სურს |
| 33 | ვაჩე – ბავშვია, ყვმაწვილი | კრავია – გამორჩეული ქალი იყო ჯაყელი, თამარ მეფის დროს |
| 34 | ვახტანგი – მგლისტანიანი | ლამარა – შეუპოვარი, წმინდა მარიამს ლამარა ჰქვია სვანეთში |
| 35 | ვეფხია – ვეფხისაგან | ლამზირა – სალოცავი |
| 36 | ზეზვა – თუში ბელადის ზეზვა გაფრინდაულის პატივისცემად | ლელა – სწორთმიანი |
| 37 | ზვიადი – თამამი | მაგული – მსგავსი |
| 38 | ზუარბი – ძვირფასი ქვა, ლალი | მათიკო – დიასახლისი |
| 39 | თანდილა – სამშობლოს გული, რწმენა | მაიკო –ქალბატონი |
| 40 | თედო – ღვთის ბოძებული | მაყვალა – შავგვრემანი, შავტუხა |
| 41 | თორღვა – „მარჩბივი“, ტყუპის ცალი | მედეა (მედიკო) – კოლხეთის მეფის ასული |
| 42 | იჩქითი – უეცარი | მზაღო – მოუსვენარი |
| 43 | ივერი – მშვენიერი | მზევინარი – შუქი |
| 44 | კაკი – კეთილი | მზექალა – მზიანი, ნათელი |
| 45 | კახა – ამაღლებული | მზეხათუნა – მზის ქალბატონი, მზის მსგავსი ქალბატონი |
| 46 | კვირია – კვირას დაბადებული | მზია – მზის დარი |
| 47 | კობა – მიმყოლი, მიმდევარი | მოკონა – სასურველი, გვინდა |
| 48 | კუკური – ვარდის კოკორი | ნაზიკო – კოხტა, მოხდენილი |
| 49 | კოტე – მტკიცე, ურყევი, მდიდარი | ნაზიბროლა – ბროლივით თეთრი |
| 50 | ლადო – ლომის მსგავსი | ნათელა – „ნათელი“ ბრწყინვალე |
| 51 | ლაშა – „ნათელი“ „შუქი“ | ნათია – მანათობელი, წმინდა |
| 52 | ლევანი – ლომი | ნამი – მცირე, პატარა |
| 53 | ლუხუმი – სახელოვანი მეომარი | ნანამზე – პაწაწინა მზე |
| 54 | მალხაზი – ცქვიტა, კოხტა, ლამაზი | ნანი – ნელი, ზოზინა |
| 55 | მამია – ძუძუმწოვარს ნიშნავს | ნანული – მოხდენილი, პატარა დიასახლისი |
| 56 | მამუკა – მამის შვილი | ნატო – ბუნებრივი, მშვენიერი |
| 57 | მახარე – გამახარე, სიხარულის შემომტანი | ნესტანი – მისი ტოლი ამ ქვეყნად არ არის |

| | მამაკაცი | ქალი |
|---|---|---|
| 58 | მზეჭაბუკა – მზიანი | ნინო – მოციქულის სწორი, ქართველების განმანათლებელი |
| 59 | მუშნი – დიადი, ალმავალი | ნუგეშა – ნუგეშის მომცემი |
| 60 | მუხრანი – მუხიანის კორომი | ნუნუ – ღვთაების სათავე |
| 61 | მახარე – სიხარულის მომტანი | ოლია – წმინდანი |
| 62 | ორბელი – ორბეთიდან | პეპელა –ცოცხალი, მოქნილი |
| 63 | ოტია – წამალი, სურნელი | ჟუჟუნა – თვალებციმციმა |
| 64 | ოქროპირი – მჭერმეტყველი | რუსიკო – დღეგრძელი |
| 65 | ორდე – „იყავ“ | საბედო – ვისაც ბედი ელის |
| 66 | პაატა – პატარა, უმცროსი | სანდუა – სანდომიანი, სანდო |
| 67 | პაპუნა – პაპისა | სულიკო – სულის ღვთაება + |
| 68 | სანდალა – მამაცი | ტასო – მომწყობი, დამფუძნებელი |
| 69 | სეხნია – სახელის მოზიარე, თანამოსახელე | ტერდონა – ძლიერი |
| 70 | სიკო – გამგონი | ტურფა – უცხო, იშვიათო |
| 71 | სოსო – მატება | ფაცია – ძუძუს მოსხლეტილი |
| 72 | სპირიდონი – დაწნეხილი მრგვალი კალათი | ფეფო – ღვთისმოსავი, მოყვარული |
| 73 | უტა – ბელადი, წინამძღოლი | ფოთოლა – ჰაეროვანი, მომხიბვლელი |
| 74 | უშიშა – უშიშარი, შეუდრეკელი | ფუნდუ – განძი |
| 75 | უჩა – შავი | ქაბატო – ქალბატონი |
| 76 | ფორე – გმირი | ქეთო – ქრისტეს რჯულზე მდგომი, დამცველი |
| 77 | ფოცხვერა – ფოცხვერი | ღაბუ – ყელღაბაბა, ჩასუქებული |
| 78 | ქართლოსი – ქართველი, დიადი | ღაღანა – მოელვარე, ხასხასა, მოღუღუნე |
| 79 | ქველი – გულუხვი, კეთილი | შვენა – ყველაფერი უხდება, ყოველთვის ალამაზებს |
| 80 | ქუჯი – გამაერთიანებელი | შორენა – შორეული |
| 81 | ყვარყვარე – სიყვარულს ნიშნავს | შუქია – სხივიანი თეთრი |
| 82 | შავლეგო – შავს | ჩინარა – ალვის ხე |
| 83 | შალვა – ენერგიული, დაუდგრომელი | ჩიორა – ოატარა, წამოჩიტული |
| 84 | შენგელი – ლომის დამჭერი | ჩიტო – ჩიტი |
| 85 | შოთა – მწერლის სახელთან რუსთაველთან ასოცირდება | ცაგო – ცისა ამარა |
| 86 | შოშიტა – შოშია | ცარო – ცვარიანი |
| 87 | ცანგალა – მხიარული, ეშმაკი | ცაცა – ხელი არ მახლოთ, გამიფრთხილდით |

| | მამაკაცი | ქალი |
|---|---|---|
| 88 | ცოტნე – მცოდნე | ციალა – ცქრიალა |
| 89 | წყალობა – ღვთის წყალობა | ცირა – ქალიშვილი |
| 90 | ჭაბუა – მზეჭაბუკი | ციცა – მცირე |
| 91 | ჭიაბერი – მეჯინიბეთ, მანდატურთუხუცესი | ცინარი – მოცინარი, მხიარული |
| 92 | ჭიჭიკო – პატარა | ციური – ცასავით სუფთა |
| 93 | ჭოლა – ვაჟი, ყმაწვილი | ციცინო – კესანე ყვავილი, გენაცვალე |
| 94 | ხარება – სოფელი სახარებაო | ცოქალა – სხვის ოჯახში მისული, უცხო ქალი |
| 95 | ხახარე – ახარე, გაახარე | ცუცა – გაუბედავი |
| 96 | ხვიჩა – მოცინარი, მოციმციმე | ძაბული – ძღაბი (გოგონა) |
| 97 | ხუტა – მებრძოლი | ძაძუ – ჩვილი, ძუძუმწოვარა |
| 98 | ჯვებე – მსხვილნაკვეთიანი | ძიძია – ა. ყაზბეგის გმირი ქალი |
| 99 | ჯონდო – მშვიდობა თქვენ | ხატია – ძალიან ლამაზი |
| 100 | ჯუმბერი – ლამაზი, ძალზე მოხდენილი | ხატული – დახატული |

შენიშვნა: ჩამოთვლილ სახელებში ზოგს + უწერია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ სახელს ორმაგი დანიშნულება აქვს, მას არქმევენ როგორც ქალიშვილებს, ასევე ვაჟიშვილებს.

## ქალის სიმბოლური ეპითეტის 100 ვარინტი

1. ამბა – წინამძღოლი, წარმმართველი.

2. ამება – არ გააჩნია მუდმივი არაფერი, მათ შორის ხასიათიც და ყველაფერს ეგუება.

3. ამორფი – უწესრიგო, ფეხებზემკიდიაობა ახასიათებას.

4. ამორძალი – მებრძოლი ქალია, ამაყობს შთამომავლობით.

5. ანაიტა – „სისხლისმსმელი“, მუდამ საჩუქრების და გამორჩენის მოთხოვნაშია.

6. ამფორა – ახასიათებს ლამაზი სტილისტური ფიგურა, იცის სიარული, თვალების დაჟუჟუნება, ჯდომა, მოხდენილი „ანტიკა“ ქალია.

7. ბაიხი – ფანტია, უყაირათო, უავკარგო.

8. ბამბინო – საოცრება, მიმზიდველი.

9. ბარბაროსა – უმეცარი, უბირი, უხეში, დაუნდობელი.

10. ბარბია – სულ თამაშის ხასიათზეა და სამყაროს ფერად სიზმრებში ხედავს.

11. ბარსი – მოულოდნელად გამოგეცლება და ყველა უბრალო საქმეებზე პასუხს ითხოვს.

12. ბარჯა – ყველაფერში შეგიძლია დაეყრდნო და ენდო.

13. ბაუბო – მძვინვარე, დაუნახავი, კარგი კულინარი.

14. ბელი – მეუფე, ნაყოფიერი, მრავალი შვილის ყოლის სურვილით.

15. ბიმბო – ვიღაცის მფარველობის გარეშე ცხოვრება უჭირს, არ შეუძლია.

16. ბლუზი – მრავალშვილიანი დედა, რომელიც გართობაზე უარს არ ამბობს და სანახაობისკენ მიილტვის.

17. ბონზა – ქედმაღალი და ამპარტავანი.

18. ბრალი – მისდაუნებლიედ, „უნდომებლად“, სჩადის „დანაშაულობებს“, არ უმართლებს.

19. ბრეტო – ძილში ყველაფერს წინასწარმეტყველებს და სიზმრების სჯერა.

20. ბროლაი – თეთრი, მომხიბვლელი, ლამაზმანია.

21. ბურხანა – ღვთაებრივი, კულტურული, განათლებული ქალია.

22. ბჭე – საქმეების გარჩევაც მოწონს და სიმართლის დაცვაც განაჩენის გამოტანით, სახლში ჯდომა არ შეუძლია, ზღვარგადასული მშრომელია.

23. გენოზა – ყველა განსაცდელს თავს აღწევს.

24. დანკე – მადლიერი ქალია, შერიგებისკენ პირველს შეუძლია გადადგას ნაბიჯი.

25. დეკორატიული – წარმოსაჩენი, მაგრამ ცუდი მეოჯახეა.

26. დელიკატურია – ზრდილობიანი, ტაქტიანია, რბილია ურთიერთობაში.

27. დემაგოგი – მიზნის მისაღწევად ფაქტების დამახინჯებას არ ეპუება, პირფერია, უკადრებელს კადრულობს.

28. დემონი – მუდამ ხელს უშლის სხვას მიზნების განხორციელებაში

29. დივა – სულიერებით აღვსილი ქალია.

30. „დინამო“ – რომელიც თავისი ქმედებით ყველაფერზე თანახმაა, მაგრამ როგორც კი თავისას გაინაღდებს, ჩუმად გაიპარება.

31. დინგოა – წვრთნას არ ექვემდებარება, ჭკუის დარიგებას ვერ იტანს.

32. დუუზუ – მოგკლავს-გაცოცხლებს, მოგსპობს-გაგახარებს თავისი ქმედებით, გააჩნია რა ხასიათზეა.

33. ეაკიდე – აქილევსის ქუსლივით სულ რაღაც ხელს უშლის პარტნიორის მოპოვებაში.

34. ევრიკა – სულ მისთვის შესატყვისი მამაკაცების ძიებაპოვნაშია.

35. ევტერპე – ახალგაზრდა ქალი, სულ ლირიულ ხასიათზეა.

36. ეთიკა – სულ მორალზე, ზრდილობაზე გვესაუბრება და ჭკუასაც გვასწავლის.

37. ეკვოანიმი – მშვიდი და გულგრილი ყველას და ყველაფრის მიმართ.

38. ეკზაუდორიზმი – მისი საქმეა სიამოვნების მინიჭება, სექსუალური მოძრაობით სუნთქვის და ხმების მიღებით, რათა მამრთან კონტაქტში მაქსიმალური სიამოვნება განიცადოს.

39. ელია – ავი, კაპასა, მოჩხუბარი, საერთო ენის გამონახვა ყველასთან უჭირს და არც ცდილობს.

40. ენდემია – უცხო, ჯიშიანი, იშვიათი.

41. ეპატაჟი – სკანდალური გამოხტომებით, მისი საქციელი, ქმედება არღვევს საერთოდ მიღებულ ნორმებს და წესებს.

42. ეპიგონია – აკლია დამოკიდებულება, ურთიერთობა, ორიგინალობა საქმიანობაში.

43. ერა – მისგან იწყება კარგიც და ცუდიც ურთიერთობაში, საქმიანობაში.

44. ერიდა – განხეთქილების ქალღმერთი.

45. ერუდიტი – დიდი ერუდიციის მქონე მამაკაცებთან ურთიერთობაში და ვნების ამშლელიც.

46. ესსე – თავისუფალი, უპრობლემო, ახერხებს პატარ-პატარა გაუგებრობების გადაყლაპვას.

47. ექიდნა – გველური ბუნება გამძაფრებული აქვს და მუდამ მზადაა გამოავლინოს.

48. ეჩო – სულ თავისკენ ფიქრობს და ყველაფრის მიკუთვნებას ცდილობს.

49. ვაკსნია – მარად თავისუფალია სასიყვარულო შეხვედრებისთვის.

50. ვენერა-ვენუსი – სიყვარულისთვის და სილამაზის წარმოჩენისთვის დაბადებული.

51. ვოდევილი – სულ სიმღერის, ანცობის ხასიათზეა და თავს ყველგან კარგად გრძნობს.

52. ზეროა – იშვიათი გემოვნების და შესახედაობის, ყველა

მამაკაცს მის ღირსად არ თვლის.

53. ზომბია – შეუბრალებელია, დაუნდობელია, ჩლუნგი აზროვნებისაა, მუდმივად შთაგონების მონა.

54. თუია – ორგიების მოყვარულია და ყაჩაღანაა.

55. იიპე – ღვთისნიერია, დამყოლია და ამიტომაც მამაკაცის კლანჭებში ადვილად ებმება.

56. ინაბა – ცეკვა-თამაშის, გართობის მოყვარული.

57. ირონია – ეხერხება დაფარული, დახვეწილი დაცინვა, თვალთმაქცია, რომელიც მოწონებასთან თანხმობის საფარქვეშ მალავს თავის ნიღაბს და იუმორს.

58. იუნგა – სულ მზადაა სიყვარულისთვის, სექსაობის ახალი ფორმების ასათვისებლად და ვნების მწვერვალების დასაპყრობად.

59. კვეზა – სულ ხაფანგის დაგებაშია, მამაკაცთა გამოსაჭერად.

60. კატორღა – დამქანცავ და აუტანელ შრომას ეწევა, არც თავს უწევს ანგარიშს და არც სხვას.

61. ლარა – ჭორიკნობის მონა, მისთვისაა დაბადებული.

62. ლიმიტა – ყველაფერში შეზღუდვა უყვარს, მათ შორის სიყვარულში და იქაც სექსაობის ოდენობას წინასწარ გეგმავს.

63. მაგმა – სიყვარულისთვის და მზრუნველობისთვის დაბადებული ქალი.

64. მადონა – ღვთისნიერი, დაოჯახებული და ქმრის ერთგული ქალია.

65. მაზოხიზმი – საკუთარი წყენინების, სულიერი ტკივილის და სხვა უარყოფითი განცდის მარად გაღრმავება სურს და ამით სიამოვნებას იღებს.

66. მაზურკა – მუდამ სადღესასწაულო განწყობაზეა.

67. მაიორატი – მდიდრული ცხოვრების და უძრავი ყოფის მოყვარული.

68. მანასა – ყველა დარდის და წყენის მომხსნელი, დამყვავებელი.

69. მანეკენი – დუნე, უნებისყოფო, უინიციატივო.

70. მარა – ბოროტი სულით, კოშმარული.

71. მარიაჟი – სიამოვნებისთვის რისკის გამწევიცაა, მაგრამ თაღლითია და უპატიოსნო.

72. მედეა – მაცდუნებელი, ეჭვიანი, შურის მაძიებელი.

73. მელანქოლია – მოწყენილი, სევდიანი, მარად დეპრესიაშია, ფსიქიურად მოშლილი, დათრგუნული.

74. მენტორი – დამრიგებელი ჭკუის მასწავლებელი, ზოგჯერ მომაბეზრებლადაც.

75. მესტო – ნაღვლიანი, სევდიანი.

76. მონსტრი – ურჩხული, მახინჯი სულით.

77. ნიკეა – წარმატების, გამარჯვების მომტანი.

78. ნიმფა – ღვთაებრივი, ღვთისნიერი.

79. „ნიქტო ონი“ – მეღამურია, ღამით უყვარს დროსტარება, გართობა.

80. ოდა-ლირიულია, პათეტიკურია, საზეიმო ხასიათზედაა მომყვანი.

81. ოროველა – ბარაქინია და კეთილი ნებისაა.

82. ოჩოპინტრე – შეუფერებელ მამაკაცებზე მონადირეა.

83. პანდორა – უბედურების მომტანია და ეს მისი ცნობისმოყვარეობის ბრალია.

84. პიანო – ჩუმად მომხიბლელი.

85. პოზა – გამოირჩევა არაგულწრფელი ქცევით, გადამეტებული მოთხოვნებით, პრეტენზიებით.

86. პოტენცია – დაუფასებელი უნარის, შესაძლებლობების, ძალის მქონე, რომელსაც ავლენს გარკვეულ პირობებში.

87. პროტეჟე – მფარველობის ქვეშ მყოფია და სულ მფარველის ძიებაშია.

88. რამა – გარდასახვის უნარის მქონე.

89. რებუსი – გამოუცნობია თავისთვისაც და სხვისთვისაც.

90. რეჟიმა – წესრიგის, ჩამოყალიბებული წესების, ტრადიციების, ღონისძიებების მონა, ძალზე ენერგიულია მიზნის

მისაღწევად.

91. სატირა – ირონიულად განწყობილი და ღვარძლიანი, დამცინავი.

92. სპინეა – დეკორატიული, მოჩვენებითი.

93. ფამა – ჭორების მიყვარული და რეპუტაციის არმქონე.

94. ფემსი – შიმშილით თავს იკლავს, რომ გახდეს და მუდამ ფორმაში იყოს.

95. ფატუმი – საბედისწერო.

96. ფისკალი – ენის მიმტანი, დამსმენი.

97. ფლეგმატიკი – ნელი, ნაკლებად ემოციური.

98. ფურია – ბოროტი, ავი ქალი, დაუცხრომელი შფოთის ატეხვით, შურისძიებით და ბოლოში მონანიებით.

99. შტოსი – აზარტული, ზოგჯერ მავნე სულისაცაა.

100. ჯეზვე – გრძელი ყელით, წვრილი წელით და მოზრდილი უკანალით.

## მეორე 100 ვარიანტი

1. ააბუება – გამაბრუებელი.

2. აბა – შემგულიანებელი, წამქეზებელი.

3. აბი – ოჯახზე მიბმული.

4. აბეზარი – შემაწუხებელი, მოთმინებიდან გამომყვანი.

5. აბიღდი – დეკორატიული, არაფრის მკეთებელი.

6. აბრა – რომელსაც სახეზე, ყველაფერი აწერია.

7. აბსოლუტი – რომელიც არავისზე და არაფერზე არ არის დამოკიდებული

8. აბნევა – დაბნეული, თავადაც არ იცის, რა უნდა

9. აბუება – გამაბრუებელი.

10. აგზნება – გხიბლავს, გონებას გიბნევს.

11. აგუნა – ღვთაებრივი.

12. აგდება – თავს იგდებს, რაღაცას გატყუებს.

13. ადგი – ყველას თავზედ ადგას, აკონტროლებს.

14. ადი – სულ მაღლა მიწევს, თავს ყველაზე მაღლა აყენებს.

15. ავი – ბრაზიანი, ანჩხლი.

16. ავაზა – მონადირე ბუნებისა.

17. ავან-ჩავანა – ყველას კვერს უკრავს.

18. ავრეხი – უნაყოფო.

19. აზატი – თავისუფალი.

20. აზი – ყველას თავზე დაჯდომას ცდილობს, თავნება.

21. აზიზი – ნებიერი, სათუთი.

22. აიაზმა – კურთხეული.

23. ალვა – მოსხლეტილი, მაღალი, ლამაზი.

24. ალღო – მაცდური, იცის ვინ როგორ უნდა შეაცდინოს, თავი მოაწონოს.

25. ალჩუ – ბედნიერი, შემთხვევა მუდამ მხარს უჭერს.

26. აკი – ყველაფერი უკვირს.

27. ასხეპილი – ტანადი, მოხდენილი.

28. აუტისტი – განსწავლული დებილი, რომელიც პარტნიორში ცენზს ეძებს და არა მეგობარს, სექსუალურ პარტნიორს.

29. გრაცია – ჰაეროვანი, მოხდენილი, მიხვრა-მოხვრით.

30. გულა – სულის მკურნალი, დამამშვიდებელი, ქალღმერთი.

31. გუზგუზა – ყველგან სითბოს, თანადგომას ავრცელებს.

32. დამა – მაღალი სოციალური მდგომარეობის, გავლენიანი.

33. დაირა – სულ გართობის ხასიათზეა, სიყვარული და დაფასება უყვარს.

34. დადი – მრისხანე, კინკლაობა-ჩხუბის მოყვარული.

35. დეტონაცია – ფეთქებადი ხასიათისაა.

36. დედამთილა – არავის თავის ჭკუაზე ცხოვრების უფლებას არ აძლევს.

37. დეფოლტა – უანგარიშო, უაზრო მხარჯველი.

38. დიასახლისი – უყვარს სახლში ფუსფუსი, მარტო ყოფნა და მის ნებას რომ ყველა პატივს მიაგებს და ემორჩილება.

39. დიპლომატი – გონიერი მოსაუბრე, მომხიბლავი, მუდამ მზადა თავისი მოსაზრება დაასაბუთოს.

40. დრაკონი – მრავალმხრივ უნარიანი, მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება.

41. ეგოისტი – საკუთარ ინტერესებს მაღლა აყენებს, სულ გამორჩენის ცდაშია.

42. ეგზოტა – უცხო, უცნაური.

43. ეზოპე – სულ ქარაგმებით, ორაზროვნად, საუბრობს, ჭორაობს, გაკვირდება, მუდამ გიღიმის.

44. ეიფორია – სულ ამაღლებულ და მხიარულ განწყობაზეა და ამასვე თესავს ირგვლივმყოფთა შორის, ბედნიერების შეგრძნობით.

45. ეროტიკა – ვნებიანია, მოხდენილად და თანამედროვედ იცვამს.

46. ვამპირი – სულ იმის ცდაშია ირგვლივმყოფთ რაღაცა უხიმანდროს, ავნოს.

47. ვუნდერკინდი – დინჯია, ნიჭიერი, მათ შორის სექსშიც, ურთიერთობაშიც.

48. თამასუქა – ყველას წესრიგისკენ მოუწოდებს.

49. თემიკა – კანონის, ტრადიციების მორჩილი, მონა.

50. თუდი – ყაჩაღანა, თავის მეობის მქონე ქალი.

51. იდეა – აზროვნების მოყვარული, მოტრფიალე.

52. იდეალისტი – უანგაროდ მეოცნებე, არაპრაქტიკული, რომელიც არ ერწყმის რეალობას.

53. იდილია – უანგაროდ მეოცნებე.

54. ილუზია – ჰაერში დაფრინავს ფრთების გარეშე.

55. იმპულსური – შთაბეჭდილების მონა, რეალობას ძნელად აცნობიერებს.

56. ინტიმური – ხელს გვიწყობს გავთავისუფლდეთ სულიერად.

57. ინტრიგანი – მუდამ ირონიების მოწყობაშია და მზაკვ-
რობს.

58. ინოვაციური – ყოველივე სიახლე მოსწონს და ცდილობს ყოველივე ახალი დააჭაშნიკოს, ჰქონდეს.

59. იდუმალი – საიდუმლოებით მოცული ქალია, ჭორაობას ერიდება.

60. ინტუიცია – სიახლეს ალღოს სწრაფად უღებს, შექმნილ გარემოში, არ იბნევა

61. კაპრიზა – უსაფუძვლო სურვილების მონა.

62. კომპაქტურია – მკვრივი გარეგნობის, უკომფორტობასაც უსაყვედუროდ იტანს.

63. კომფორტა – ორგანიზებულია, მუდამ სასურველი პირობების შექმნას ცდილობს.

64. კორა – ულამაზესი ქალი, ყურადღებას იქცევს და მუდამ ღირსებით ანათებს.

65. კუბა – ბავშვებზე მზრუნველი და მათი გამომსარჩლებელი.

66. კვოტო – იცის თავისი ადგილი საზოგადოებაში, სახლში და ამას მოითხოვს სხვებისაგანაც.

67. კუპონა – სიკეთეს იმიტომ სჩადის, რომ მასაც ამითვე უპასუხონ, ოღონდ ორმაგად.

68. მაგნიტი – შენდაუნებლიედ ამყარებ მასთან ურთიერთობას.

69. მაგიური – უჩვეულოა, მიმზიდველია, სასწაულმომქმედია ურთიერთობაში.

70. მაკულატურა – შეუხედავი, დაბალი გემოვნების, ხიბლის გარეშე.

71. მინორი – სევდიანი, მელანქოლიური განწყობილებით.

72. მისტიკური – აუხდენელი, იდუმალი ოცნების მქონე.

73. მსხვერპლი – ოჯახის წევრების ინტერესებს თავის ინტეერსებზე, მაღლა აყენებს, ხშირად არ უმართლებს.

74. მუზა – ხასიათზე მომყვანი, შთაგონების მომტანი.

75. ნონსენსე – უაზრო, უსულო.

76. ორაკული – წინასწარმჭვრეტი, ჭეშმარიტების მოყვარული.

77. პარასკევა – ჭორების შემთხზველი, სხვათა დამცირებას ცდილობს.

78. პედანტი – შარიანი, ყველა წვრილმანზე დაობს, ზედმეტად მოწესრიგებული.

79. პიონერი – ყველგან პირველობას ცდილობს, დათმობა არ უყვარს.

80. პოპ-პომპეზური – მუდამ ზეიმის ხასიათზეა, უყვარს მაღალ და მდიდარ საზოგადოებაში ყოფნა.

81. პოტენცია – დიდი მოთმინების და შესაძლებლობების.

82. პროზა – ყოფითი ჩვევებით, მეოჯახე ქალი.

83. სტაგნაცია – განსწავლულია, იცის სხვას თავი როგორ მოაწონოს, მოხიბლოს.

84. სუსნა – ცხოვრებაზე, ყოფაზე მორგებული ქალი.

85. სენსაცია – უყვარს ხმაურიანი გამოწვევა, ირგვლივმყოფთა გამოცოცხლება, მოსწონს შთაბეჭდილების მოხდენა.

86. ტაქტიკოსი – ფლობს ქცევის ხელოვნებას, მუდამ სწორ გზას ირჩევს მიზნის მისაღწევად.

87. ტრადიციონალისტი – ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის მიმდევარია.

88. უტოპია – სერიოზულად ფიქრობს აუხდენელ ოცნებებზე და სულ „ნეტას“ ძახილშია.

89. უნდომელა – ზარმაცი, არაფერი არ აინტერესებს, უინიციატივო.

90. ფემინისტი – ყველგან და ყველაფერში თანასწორობას და თანაბარ უფლებებს ითხოვს.

91. ფიქცია – არარსებულს რეალურად იღებს.

92. ფრაზია – უსირცხვილო, მოურიდებელი.

93. ფორუჯი – ხალიანი, წინწკლებიანი, მომხიბლავი, ხალისიანი.

94. ქამელეონი – უპრინციპო, ადვილად იცვლის შეხედულებებს, სარგებლის შესატყვისად.

95. ყარიბი – უთვისტომო, უპატრონო.

96. შაქი – მუდამ საჩხუბრადაა გამზადებული.

97. ჩაქუხა – ჩანჩქერივით სუფთა, ჰაეროვანი, უმწიკვლო.

98. შიკი – უყვარს საჩვენებელი ფუფუნების წარმოჩენა, უყვარს სხვათა გაკვირვება.

99. ცინიკა – უსაზრო პირად თავისუფლებას ქადაგებს და ამით თავი მოაქვს.

100. ჭირ-ვარამა – საზრუნავგამოვლილი, გაჭირვებაში გვერდზე გიდგას.

## 100 ცრურწმენა, ხალხური გამოცდილება, რომლისაც ბოლომდე არ გვჯერა, მაგრამ გვართობს და ნერვებს გვიმშვიდებს

1. ქავილი – მარჯვენა ხელის გულის – შემოსავლისკენ, მარცეხენასი – ზარალისკენ, იდაყვისა – მწუხარებისკენ, კისრისა – ღრეობისკენ, ცემა-ტყეპისკენ, კეფის – მწუხრისკენ, ფეხის – სასიხარულო ამბისკენ, ცხვირის ძვლის – მიცვალებულისკენ, ნესტოსი – ნათლიობისკენ, გვერდების – ამბებისკენ, წვერის – ღვინისკენ.

2. მარჯვენა ყურში ზუზუნებს – კარგი ამბისკენ, მარცხენაში ცუდისკენ.

3. თუ გჩუქნიან რამე ცხოველს – აიღეთ ფული, რათა ცხოველი იყოს ჯანმრთელი, არ დაიღუპოს, არ გაიქცეს.

4. ის, ვინც დაიბადება სავსე (სრულ) მთვარეზე – იქნება სიცოცხლისუნარიანი და დღეგრძელი.

5. სიგარეტი არ ინთება, ან მალე ქრება – ვიღაცა მოწყენილია ამ ადამიანის გარეშე.

6. როდესაც მზე მკრთალია – ეს ნიშნავს რომ წვიმაა მოსალოდნელი, ხოლო როცა სუფთაა და კაშკაშა, კარგი ამინდი იქნება.

7. როდესაც წვიმის გუბეში ბუშტუკები იყურება – ეს ნიშნავს, რომ წვიმა უფრო გაძლიერდება და იქნება ხანგრძლივი.

8. როდესაც მერცხალი დაბლა დაფრინავს – ელოდეთ ქარს და წვიმას.

9. თუ მიწაზე მჯდომი კატა ილოკავს კუდს და თავს მალავს – ეს წვიმის მოლოდინის მაჩვენებელია.

10. მთვარის სიმქრალე ნიშნავს-წვიმას, წმინდა და კაშკაშა – დარს, ხოლო მოწითალო – ქარს და ქარიშხალს.

11. წითელი-შავი ღრუბელი მზის ამოსვლისას – მოსალოდნელი წვიმის მაჩვენებელია, მზის ჩასვლისას ქარიშხალის მოლოდინის ნიშანია, მეორე დღის კარგი სუფთა ამინდით.

12. როდესაც ნისლი ციდან ქვევით ეშვება და მიწას ერთხმის – ელოდეთ კარგ ამინდს, ხოლო თუ საღამო ხნიდან ნისლი მიწიდან ან წყლის ზედაპირიდან ზევით ადის – გამთენიისას ცხელი დღე დადგება.

13. თუ საუბრისას ვინმე დააცემინებს – ე.ი. ვინც ლაპარაკობს ის მართალს ამბობს.

14. თუ ვინმესგან აიღეთ სათლი, ჩანთა, კალათა ან თეფში – ცარიელი არ უნდა დაუბრუნოთ, რამე დაუდეთ, შენ მეტი გექნება.

15. ეშინია ლიტინის – ე.ი. ეჭვიანია.

16. თუ პირველი საგანი გაიყიდა ბაზარზე, – ამ ფულით კარგად „მოუსვი" დარჩენილ საქონელს უკეთ ივაჭრებთ.

17. თუ ბაზარზე, უცაბედად ხელიდან გაგივარდათ რაიმე საგანი, რომლის გაყიდვასაც ცდილობთ – მას აუცილებლივ გაყიდით.

18. დანით თამაში და დანის ჩუქება მიზანშეწონილი არ არის, – რაც შეეხება დანის დატოვებას ღამით მაგიდაზე – ჩხუბს იწვევს, ხოლო დანის მჩუქებელს სანაცვლოდ, ხურდა ფული მაინც უნდა გადაუხადოთ, არ ჭამოთ დანიდან – ავი იქნებით.

19. პურის ნაჭრის ჭამა არ დაამთავრე და შეუმჩნევლად შენთვის სხვა აიღე – ვიღაც შენს ახლობელს შია, პურის ნაჭრების გადაყრამ – სახლში უკმარისობა იცის, სჯობს ჩიტები ან ცხოველები დააპუროთ, პურის უკუღმა დადებამაც უბარაქობა იცის.

20. დიდიხნის სიცილი – ცრემლისკენ.

21. არ დაუშვა ვისმემ გადააბიჯოს შენს გასწორებულ ფეხებს – არ გაიზრდები. თუ ვერ შენიშნე და ეს მოხდა, სთხოვე უკან გადმოაბიჯოს.

22. მზის ჩასვლისას ბავშვი ხელებით თავსზევით არ აიყვანო – მოუსვენარი ძილი ექება.

23. კარი რომელიც არასოდეს არ კრაჭუნობდა დაკრაჭუნებს – იქნება უსიამოვნება.

24. ლოყაზე წარბის ჩამოვარდნა – ამბვისკენ.

25. ერთდროულად ერთი და იგივე პირსახოცით ხელ-პირის შემშრალებათ – წაიჩხუბებთ.

26. ატარო სხვისი ტანსაცმელი – იცვალო შენი ბედი.

27. შეჭრილი თმის მიმოფანტვა, ქარზე გატანებაა – თავის ტკივილისკენ.

28. ახალგაზრდა ცოლმა უნდა დალეწოს თეფში, სანამ სახლში ზღურბლს გადააბიჯებს და მეუღლესთან ერთად გადააბიჯოს თეფშის ნატეხებს – რათა არ იყოს მათ შორის ჩხუბი და განშორება.

29. ბიჭს ცისფერი ტანსაცმელი უნდა ჩავაცვათ, გოგოს – ვარდისფერი.

30. ძუძუმწოვარა ბავშვი მაგიდაზე ფეხებით არ დააყენოთ – დიდხანს არ გაივლის, არც ბავშვის მაგიდაზე დასმა არ შეიძლება.

31. პატარა ბავშვს დაუშალეთ სარკეში ყურება – დიდხანს არ დაილაპარაკებს და იქნება მშიშარა.

32. არ დააწვინოთ ახალშობილი მარცხენა გვერდზე – იქნება ცაცია.

33. ნახე ცუდი სიზმარი, ადექი და რამდენიმე წუთი ფანჯარაში იყურე – არ აგიხდება.

34. უნებლიე თუ რაიმეს უკუღმა ჩაიცმევ – შეხვედრა საქმროსთან, საცოლესთან, შენთვის სასიამოვნო ადამიანთან.

35. შეხვდები გზაში ქორწილს – არაშემოსავლიანი დღე გექნება, დაკრძალვას – იღბლიანი.

36. წაბორძიკდით ნებისმიერ ფეხზე – ვიღაცა ლანძღვით გიხსენებს.

37. სახლიდან გასვლისას ნუ იყურებით სარკეში – ვიღაცა გაგთვლის.

38. თუ მარჯვენა ფეხი გზაში მარცხენაზე ადრე გაგიცივდა – სიკეთისკენ.

39. ნუ დატოვებთ ცარიელ ბოთლებს მაგიდაზე – უფულობისკენ (შეიძლება დატოვოთ მაგიდის ქვეშ).

40. მაგიდაზე არ დაჯდეთ – გაღატაკდებით.

41. მუდმივად შეინახეთ ცოტა ფული მაგიდაზე, გადასაფარებლის ქვეშ – სახლში ფული სულ იქნება და არც არაფერს დაკარგავ.

42. ორშაბათს ფულს ნუ ისესხებ – ვალებში ჩავარდები და დიდხანს ვერ გადაიხდი.

43. სასწაული მოხდება იმ შემთხვევაში – თუ გჯერა.

44. ქუდი მაგიდაზე არ დადო – უფულობა იცის.

45. ახალ სახლში გადასვლისას კუთხეში დებენ ფულს – სიმდიდრისთვის, შალს – სითბოსთვის.

46. სახლიდან დიდი გზაზე გასვლის წინ, ყველა ზის ერთი წუთით ჩუმად და ვინც მიდის, მაგიდის კუთხეს ეჭიდება – წარმატებისთვის.

47. როცა ვინმეს გააცილებენ სახლიდან, სახლს მანამ არ ალაგებენ, სანამ ის გადაადგილების ადგილამდე არ მიაღწევს – რათა ბედნიერი გზა ჰქონდეს.

48. თუ სახლიდან გასვლის წინ გული გეთანაღრება, გაბრკოლებს – ე.ი. რაღაც საჭირო გრჩება ან გაზქურა დაგრჩა ჩართული.

49. თუ რაიმე დაგავიწყდათ და სახლში შემობრუნდი – დაჯექით ცოტა ხნით სკამზე ან სარკეში ჩაიხედე – სხვანაირად არ გექნება წარმატება.

50. ყველაფერი გაეცი მარჯვენა ხელით – კარგია ჯანმრთელობისთვის.

51. ჩაიფიქრე საქმე, არავის გაუმხილო – შეიძლება ჩაიშალოს.

52. როდესაც ორსული ქალი სამშობიაროდ მიჰყავთ, მაშინ სახლიდან სამი დღის განმავლობაში არაფრის გაცემა არ შეიძლება – რათა ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

53. იასამნის ყვავილს თუ იპოვი ხუთი ფოთოლაკით – ბედნიერებისკენ.

54. მთელი დღე რომ იღბლიანი იყოს – ადექი ორივე ფეხზე და წადი მარცხენა ფეხით.

55. ქალიშვილი, რომელიც მამას ჰგავს – ბედნიერია.

56. სადილის შემდგომ მაგიდაზე დატოვებულმა კოვზმა სტუმარი იცის.

57. სუფრაზე აგიტყდათ ხველა გულზე დადგომით – სტუმარს ეჩქარება, ნუ დააყოვნებთ.

58. იპოვეთ ფული ცხადში და დიდი ფული სიზმარში – დიდი მატერიალური გამარჯვებისკენ.

59. უცაბედად გაწყვიტო ძეწკვი, რომელსაც კისერზე ატარებ – ეს ნიშნავს განთავისუფლდე მძიმე მოვალეობისგან.

60. ახალ ბინაში შესვლისას პირველად შეუშვით კატა, მამალი ან შეიტანეთ ცოცხი – რათა განდევნოთ ბოროტი სული და ბედნიერად იცხოვროთ ახალ ადგილზე.

61. უცაბედად დაღვრილი ჩაი – მოულოდნელობისკენ, უფრო ხშირად სასიამოვნოა.

62. თუ პირველად მიდიხართ სტუმრად ახალ სახლში, ბინაში, წაიღეთ პური, მარილი და ხატი.

63. რომ არ გათვალო წარმატება, თუ ვისმეს უყვები მასზე – დააკაკუნე სამჯერ რაიმე ხის საგანზე და სამჯერ გადააფურთხე მარცხენა მხარეს.

64. დიდ გზაზე გამგზავრებისას იმ დღეს ნუ იბანავებ და თმა არ დაიბანო – რათა არ მოხდეს უბედურება.

65. თუ ხშირად კარგავ ბინის, მანქანის, გასაღებს – ელოდე ქურდობას.

66. თუ სახლიდან გასვლისას ხელიდნ გაგვივარდა გასაღები – უილბლობისკენ.

67. ბინაში შესასვლელი კარის პირდაპირ სარკე უნდა იქნეს დაკიდებული, რათა კარიდან შემოსულმა ენერგიამ გაიაროს და ბინაში არ დაბრუნდეს, ამასთან კედელზე სწორად დაკიდულ სარკეს სამკურნალო თვისებაც აქვს.

68. სახლის ენერგეტიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს განათება, ხოლო ჩაბნელებული შესასვლელი, სადარბაზო, გარკვეულ სევდას გგვრის, ამასთან ნუ ჩამოკიდებ სანათურს ძალზე დაბლა, რადგან ის განაბნევს სინათლის სხივებს და აკარგვინებს ადამიანს ენერგიას.

69. თუ წვიმაში სასეირნოდ გიწვევენ – ვიღაცა შენზე ტირის ან დარდობს.

70. წინწკანამ თუ ფანჯარაში დაგიკაკუნა – ამბვისკენ.

71. დილით ობობა დაინახე – დარდისკენ, დღისი – სიყვარულისკენ, საღამოს – იმედისკენ, ღამით – საზრუნავისკენ.

72. მარჯვენა ხელზე ოქროს სამკაულების ტარება, მკვეთრად ახანგრძლივებს სიცოცხლეს, აძლიერებს ჩვენში მზის ენერგეტიკის, ხოლო სპილენძის ფულისგან დამზადებული სამაკულის ტარება გვეხმარება უკეთ გავერკვეთ საკუთარ გრძნობებში, ვერცხლის სამკაულები ხელს გვიწყობენ ინფორმაციის ათვისებასა და მის სწორად გაანალიზებაში.

73. მაგიდა ხელით არ გადაწმინდოთ – უბარაქობა იცის.

74. მზის ჩასვლის დროს ფული არ დათვალოთ – ვერ დააბალანსებთ.

75. დაკარგავ საქორწინო ბეჭედს – განქორწინებისკენ, განშორებისკენ, ასევე არ შეიძლება საქორწინო ბეჭდის სხვისთვის

მოსასინჯად გადაცემა – შეიძლება შენი ბედი გადაულოცო. სჯობს ბეჭედი მაგიდაზე დადო და თავად აიღოს მოსასინჯად.

76. ნახავთ გზაში სარჭსა, სავარცხელს, აუცილებლად აიღეთ – ნახავთ საქმროს, დაკარგავთ – განშორებისკენ საქმროსთან, საცოლესთან.

77. გაფენ სარეცხს და დაიწყება წვიმა – წყენისკენ, ცრემლისკენ.

78. თმას თავად არ იჭრიან – ცუდად იზრდება, უსიამოვნებისკენ.

79. თუ კაბაზე თეთრი ძაფი აგეკრათ – საქმრო ქერა იქნება, თუ შავი – შავგვრემანი.

80. პურმარილზე ჭიქის გაცვლა არ შეიძლება – კარგი არ არის ორივესათვის.

81. სახლში სისუფთავე და სინათლე – ჯანმრთელობისკენ, წარმატებებისკენ გვიბიძგებს.

82. თუ გზაზე ემზადები და უცაბედად წვიმა წამოვიდა, მშვიდობიანი გზა გექნებათ.

83. შენს წინ გადაკვეთს გზას მამაკაცი – წარმატებისკენ, ქალი – მარცხისკენ.

84. 2 აგვისტოს (ილია წინასწარმეტყველის დღეა) წვიმით დასველება ნიშნავს თავი დაიცვათ ავი თვალისაგან და დავადებებისაგან.

85. სახლიდან გასვლამდე არაფერს გაეკაროთ – წარმატება არ გექნებათ.

86. ნანახი ჯვარი გზაზე არც აიღო და არც არავის აჩუქო – უბედურებისკენ, ავადმყოფობისკენ.

87. ხურდას მაგიდაზე ნუ დატოვებთ – ცრემლი, უსიამოვნება იცის.

88. ნახმარი საპონი არც უნდა წამოიღო და არც ხელიდან ხელში არ უნდა გადასცე – წყენა იცის!

89. ბავშვს კისერში არ უნდა აკოცო – ჯიუტი გამოვა.

90. წინდების და ცხვირსახოცის ჩუქება – განშორებისკენ, ცრემლისკენ, ამიტომაც გამოართვით მცირედი საფასური.

91. მარილის დაბნევა – ჩხუბისკენ.

92. ეცადეთ თქვენმა საყვარელმა ადამიანმა სახლიდან კარგ ფეხზე გამოგაცილოს – სიამტკბილობისკენ.

93. თუ ორნი ერთდროულად ამთქნარებენ – ეტყობათ ერთად ღვინო დაულევიათ.

94. ხელთათმანის დაკარგვა – არასასიამოვნო ამბისკენ.

95. მზის ჩასვლის შემდეგ მამაკაცმა არ უნდა გაიპარსოს წვერი, არ უნდა დაიჭრას ფრჩხილები და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს საქმე.

96. გაშლილი მაკრატელი დევს ან ჰკიდია სახლში – ჩხუბისკენ.

97. არ შეიძლება იატაკის რეცხვა დაიწყოთ ზღურბლიდან – იქნება უსიამოვნება.

98. კატა თუ უშნოდ იქექება – მოგიწევთ სტუმრების შეპატიჟება.

99. ეცადეთ სუფრაზე მეცამეტე არ დაჯდე – უსიამოვნებას გადაეყრებით.

100. ეცადე მაგიდის კუთხეში არ დაჯდე, 7 წელი ცოლს ვერ მოიყვან.

თუ ყოველივე ამ „პოსტულატებს" შეასრულებთ, თქვენი კეთილდღეობის გარანტად მე ვერ გამოვდგები, მაგრამ იმედი და წარმატებისკენ მსიწრაფება შეგემატებათ. ერთი ანეგდოტისა არ იყოს, როდესაც ეკლესიაში ვინმე გაჭირვებული მანქანის მოგებას სთხოვს ღმერთს ლატარეაში და თან აყვედრის, რომ ყველა საეკლესიო წესს იცავს, ხოლო მისი მეზობელი ურწმუნოა და მაინც მანქანა მოიგო, თავმობეზრებულ ღმერთს ნერვები მოეშალა და უთხრა, ლატარეის ბილეთი მაინც იყიდე, რომ დაგეხმაროო! ასე, რომ თქვენც გაითვალისწინეთ, თუ რამე სახეირო გამოვა ამ ხალხურ ნაოცნებარში, ნაცად ნიშნებს დააბრალეთ.

## განათლება-ცოდნა-გამოცდილების 100 პოსტულატი

1. კარიერის კიბეზე ფეხი რომ შედგა, ცოდნაა საჭირო, რომ აირბინო – გამოცდილება.

2. თანამეინახე რომ „გაასულელო“, ცოდნაა საჭირო, მისივე საკეთილდღეოდ – გამოცდილება.

3. ამბიციების დაოკებას ცოდნა სჭირდება, მოთოკვას – სარგებლის ნახვით გამოცდილება.

4. სასიკეთო საქმის კეთებას, სურვილთან ერთად ცოდნა სჭირდება, კვალი რომ დატოვო – გამოცდილება.

5. თანამოაზრეთა შერჩევას ცოდნა სჭირდება, ხოლო მათ ერთგულების შენარჩუნებას გამოცდილება.

6. შემთხვევის ხელიდან არგაშვებას ცოდნა სჭირდება, ხოლო მათ შენარჩუნებას – გამოცდილება.

7. იმედით ვაჭრობას ცოდნა სჭირდება, მის რეალობად ქცევას – გამოცდილება.

8. უკანა რიცხვით საქმე რომ არ აკეთო, ცოდნაა საჭირო, ხოლო უკანა რიცხვით ნაკეთები დღევანდელობას რომ დააწიო – გამოცდილება.

9. ახალი პროდუქციის დამზადება-გამოშვებას ცოდნა სჭირდება, რეალიზაციას – გამოცდილება.

10. მოსაზრებათა გაზიარებას ცოდნა სჭირდება, მაგრამ აქედან სასარგებლოს „გამოდნობას“ – გამოცდილება.

11. სამუშაოდ რომ ახლობელი არ უნდა მიიღო ამას ცოდნა სჭირდება, ხოლო უარი ისე უთხრა, რომ არ ეწყინოს – გამოცდილება.

12. შტატები ზედმეტად რომ არ უნდა გაზარდო, ცოდნა სჭირდება, მაგრამ ეს რომ არ მოიმოქმედო – გამოცდილება.

13. დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ცოდნა სჭირდება, ხოლო მის ხარისხიანად და ეფექტურად შესრულებას – გამოცდილება.

14. ჭორებს რომ არ უნდა აჰყვე, ცოდნა სჭირდება, მაგრამ შიგადაშიგ რომ უნდა გადაამოწმო – გამოცდილება.

15. რაღაცას რომ უხელმძღვანელო, ცოდნაა საჭირო, მაგრამ შენმა მცდელობამ შედეგი რომ გამოიღოს – გამოცდილება.

16. შევაჭრებასაც ცოდნა სჭირდება, მაგრამ ფასი რომ საგრძნობლად დააკლებინო – გამოცდილება.

17. სხვის საქმეში რომ ცხვირი არ უნდა ჩაყო, ცოდნა სჭირდება, მაგრამ ეს რომ გააკეთო – გამოცდილება.

18. გაბრაზებულმა რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიიღო, ცოდნა სჭირდება, მაგრამ თავის შეკავებას – გამოცდილება.

19. ბოდიშის მოხდას ცოდნა სჭირდება, ხოლო ამით რომ ორივენი კმაყოფილები დარჩეთ – გამოცდილება.

20. პრინციპების დაცვას ცოდნა სჭირდება, მის სასიკეთოდ წარმოჩენა-მოხმარებას – გამოცდილება.

21. მოზარდებთან საუბარს ცოდნა სჭირდება, მაგრამ მათ დარწმუნებას – გამოცდილება.

22. თანამშრომელთა შერჩევას ცოდნა სჭირდება, შენით რომ იამაყონ – გამოცდილება.

23. ბრიყვს რომ არ უნდა ეკამათო, ცოდნა სჭირდეს, ეს რომ არ უნდა გააკეთო – გამოცდილება.

24. საჭირო ადამიანად ყოფნას ცოდნა სჭირდება, მაგრამ ასეთად რომ იქცე – გამოცდილება.

25. ცივილიზაციის მიღწევები რომ აითვისო, ცოდნაა საჭირო, ის რომ სასიკეთო საქმიანობის კეთებას მოარგო – გამოცდილება.

26. აზარტი განათლებას ითხოვს, მაგრამ მისგან საქმის გამოდნობას – გამოცდილება.

27. ძლიერი რომ იყო, განათლებაა საჭირო, რომ შეინარჩუნო – გამოცდილება.

28. შეხედულებათა შეცვლას განათლება სჭირდება, ხოლო მათ სიკეთის საკეთებლად „მონათვლას“ – გამოცდილება.

29. ბოროტების ჩადენასაც განათლება-ცოდნა სჭირდება, რომ არ ჩაიდინო – გამოცდილება.

30. ოცნებათა კორიანტელში აღზევებას განათლება სჭირდება, განხორციელებას – გამოცდილება.

31. წონაში რომ დაიკლო, განათლებაა საჭირო, რომ შეინარჩუნო – გამოცდილება.

32. ტრადიციების, კულტურის, მემკვიდრეობის წარმოჩენას განათლება სჭირდება, ხოლო მათ სასიკეთო-საქმიან აღქმას – გამოცდილება.

33. საზოგადოებაში ქცევის ხელოვნების დაუფლებას განათლება სჭირდება, ხოლო თავის მოწონება-წარმოჩენას – გამოცდილება.

34. სულიერების სასუსნავ პოზის დაჭერას განათლება სჭირდება, მისით სიამოვნების მიღებას – გამოცდილება.

35. სენსაციის მოწყობას განათლება სჭირდება, ხოლო ამით შთაბეჭდილების მოხდენას შემოსვლით – გამოცდილება.

36. სამართლებრივი პრეტენზიების წარმოჩენას განათლება სჭირდება, ხოლო მათ დაკმაყოფილებას – გამოცდილება.

37. იყო მომხიბვლელი, ცოდნა-განათლებაა საჭირო, იყო შეუდარებელი – გამოცდილება.

38. ბარაქა – დოვლათის შექმნას სათანადო ცოდნა-განათლება სჭირდება, მის სასიკეთოდ მოიხმარებას – გამოცდილება.

39. ღვინის ხარისხის შეფასებას სათანადო ცოდნა სჭირდება, მაგრამ „სომელიეს" დონეზე რომ დააჭაშნიკო – გამოცდილება.

40. სიმახინჯის დამალვას განათლება სჭირდება, მაგარმ მის მოდურად წარმოჩენას – გამოცდილება.

41. მასწავლებლობა, დამრიგებლობა, განათლებას მოითხოვს, მაგრამ მოსწავლეები რომ დაეუფლონ მის საგანს ამისთვის ალღო და – გამოცდილებაა საჭირო.

42. საქონლის შემოტანას ცოდნა-განათლება სჭირდება, ფასის დადება-რეალიზაციას – გამოცდილება.

43. სადღესასწაულო განწყობას განათლება სჭირდება, ხოლო დღესასწაულად რომ აქციო – გამოცდილება.

44. ერთგულებას აღზრდა-განათლეაბ სჭირდება, შენარჩუნებას – გამოცდილება.

45. ნდობის დამსახურებას მცდელობა სჭირდება, მოპოვე-ბას – გამოცდილება.

46. შრომას განათლება სჭირდება, მაგრამ ის რომ დამქანცვე-ლი არ გახდეს – გამოცდილება.

47. ვნების დაკმაყოფილებას განათლება სჭირდება, ხოლო „მეცხრე ცაზე“ ასვლას – გამოცდილება.

48. მორალზე საუბარს განათლება სჭირდება, მორალისტო-ბას – გამოცდილება.

49. ძიების სურვილს განათლება სჭირდება, სახეიროდ მოძიე-ბას – გამოცდილება.

50. საკუთარი ინტერესების მოძიებას განათლება სჭირდე-ბა, ხორცშესხმას – გამოცდილება.

51. დიპლომატად ყოფნას განათლება სჭირდება, მისი შესა-ძლებლობების გამოყენებას – გამოცდილება.

52. მარტოობის სურვილს განათლება სჭირდება, მარტოო-ბის დღესასწაულის მოწყობას – გამოცდილება.

53. სულიერებისკენ მისწრაფებას რწმენა, განათლება, სჭირდ-ება, ხოლო მის გათავისებას – გამოცდილება.

54. ტაქტიანობას შინაგანი ბუნება სჭირდება, ხოლო ურთი-ერთობის მოგვარებას, ტაქტის დაცვით, – გამოცდილება.

55. მაღალ საზოგადოებაში მოსვლას განათლება სჭირდე-ბა, მასში დამკვიდრებას – გამოცდილება.

56. სულიერების დაავადება განათლებითაც შეიძლება, ხოლო განკურნება – გამოცდილებით.

57. განსაცდელში რომ არ აღმოჩნდე, განათლებაა საჭირო, ხოლო თავი რომ დააღწიო – გამოცდილება.

58. კულტურას, პროფესიონალიზმს, აღზრდას, განათლება იძლევა, სათანადოდ გამოყენების – გამოცდილება.

59. საქმის კურსში შესვლას განათლება სჭირდება, საკითხ-ის გადაჭრას – გამოცდილება.

60. ვიღაც რომ გფარველობდეს, განათლებაა საჭირო, ვი-ღაცას რომ მფარველობდე – გამოცდილება.

61. უმეცრება, აცეტება, ზოგჯერ არასწორი განათლების შედეგიცაა, ხოლო გონიერება-დაღვინება გამოცდილების.

62. ღირსებას, ღირსეულად მოქცევას განათლება სჭირდება, ხოლო მის რეალობაში აღქმა-მოყვანას – გამოცდილებაა.

63. მოხდენილად ჯდომას, გაღიმებას, სიარულს, სწავლა სჭირდება, მაგრამ დედოფლად რომ აღგიქვა – გამოცდილება.

64. განდიდებისკენ მისწრაფებას განათლება სჭირდება, მაგრამ პატივმოყვარეობის შენარჩუნებას – გამოცდილება.

65. იყო პირველი, განათლებაა საჭირო, იქცე პირველად – გამოცდილება.

66. წყენის გადატანას განათლება სჭირდება, მის დავიწყებას – გამოცდილება.

67. პატარ-პატარა გაუგებრობებს რომ მოუარო, განათლებაა საჭირო, მაგრამ რომ მოსპო – გამოცდილება.

68. ნებისყოფის გამომუშავებას განათლება სჭირდება, ხოლო მის რეალობად ქცევას – გამოცდილება.

69. სულიერების შემოტევას ცოდნა-განათლება სჭირდება, მის „გათავხედების" გონზე მოყვანას – გამოცდილება.

70. გულახდილობას, სიყვარულთან ერთად, განათლება სჭირდება, რომ არ გავნოს – გამოცდილება.

71. ენაზე კბილის დაჭერას განათლება სჭირდება, მის განხორციელებას ყოფის – გამოცდილება.

72. ღირსეულ მეუღლესთან შეყრას ინფორმაცია-განათლება სჭირდება, რეალობაში გამართლებას – ცხოვრების გამოცდილება.

73. ახლობელი რომ იხსნა განსაცდელისაგან განათლებაა საჭირო, მაგრამ ისე იხსნა, რომ თავსაც არ ავნო – გამოცდილება.

74. შექმნა ახალი, რაც სხვას არ აქვს განათლებაა საჭირო, მაგრამ რომ განახორციელო – დაფინანსების გამოცდილება.

75. ქრთამი რომ არ უნდა გაილო, ამას განათლება გვაკვალიანებს, მაგრამ ქრთამის გაღება რომ ზოგჯერ მომგებიანია – გამოცდილება გვკარნახობს.

76. ძეხვში რომ რაღაც-რაღაცეები შეურიო ისე, რომ მოგება დაგრჩეს, განათლებაა საჭირო, მაგრამ ისე შეურიო, რომ ხარისხს არ შეეტყოს – გამოცდილება.

77. ტბის „სარკე“ რომ შლამიდან გაათავისუფლო, ამისათვის განათლებაა საჭირო, ხოლო ის რომ სასუქად და მოსავლის გასაბევრებლად გამოიყენო – გამოცდილება.

78. საცივი რომ ნიგვზით და ფქვილით უნდა გაასქელო ამისათვის განათლებაა საჭირო, მაგრამ ის რომ ხორცის ნარჩენებით შეასქელო – გამოცდილება.

79. ქათამი მოხარშვის შემდეგ რომ ლამაზად უნდა დაიჭრას, ამისათვის განათლებაა საჭირო, მაგრამ ქათამი ისე დაჭრა, რომ ყველა ნაჭერი ფეხზე იდგეს – გამოცდილება.

80. უნარჩენოდ ნედლეული რომ მოვიხმაროთ, ამისათვის განათლებაა საჭირო, ეს რომ პრაქტიკულად განვახორციელოთ – გამოცდილება.

81. ადამიანს რომ უნდა დაუმეგობრდე, ამის ცოდნაა საჭირო, მაგრამ ისე დაუმეგობრდე რომ შენი არ შეშურდეს – გამოცდილება.

82. შენთვის განკუთვნილი ტვირთის ტარება განათლებას მოითხოვს, მოხდენილი ტარება გათავისებით – გამოცდილებას.

83. თავს რომ პატივი მიაგო, ამისათვის საჭიროა ცოდნა, მაგრამ შენი მეობა წინ წამოსწიო და შედეგი მოიმკა – გამოცდილება.

84. რომ არ უნდა იტრაბახო, განათლებაა საჭირო, ხოლო ისე მოიქცე, რომ სხვამ შენი ნაცნობობით იტრაბახოს – გამოცდილება.

85. ქვეშევრდომი რომ პატივს გცემდეს, განათლებაა საჭირო, ხოლო ხანდახან რომ უმიზეზოდ უნდა დაუცაცხანო, რათა იგრძნოს უფროსის პატივისცემა – გამოცდილება სჭირდება.

86. ცხოვრების არსებული წესებს წინ რომ არ აღუდგე, ცოდნა სჭირდება, მაგარმ სათავეში რომ მოექცე და ხალხი შენს ჭკუაზე ატარო – გამოცდილება.

87. ბიუროკრატიას რომ უნდა ებრძოლო განათლებაა საჭირო, მაგრამ მისი პოსტულატები შენს სასარგებლოდ გამოიყენო – გამოცდილება.

88. სიყვარულს განათლება ვერ შველის, მაგრამ – გამოცდილებას გარკვეული კორექტივი შეაქვს.

89. მიუწვდომელი მამაკაცი რომ „საძაგელია“, ამას განათლება არ სჭირდება, ხოლო მათ დამუნათებას, ხელში ჩაგდებას შინაგანი შარმი და – გამოცდილება რომ სჭირდება, ეს უდავოა.

90. ბედის მომხრობას გამათლება სჭირდება, მის გამოყენებას, დამაგრებას, – გამოცდილება.

91. ასაკთან ჭიდილს განათლება-ცოდნა სჭირდება, მის განხორციელებას – გამოცდილება.

92. პიროვნების დაფასებას განათლება სჭირდება, მის სასიკეთოდ მორგებას – გამოცდილება.

93. საკუთარ კაპრიზებთან პაექრობას განათლება სჭირდება, ხოლო ჯობნას – გამოცდილება.

94. შვილების აღზრდას განათლება სჭირდება, შვილიშვილებისას – გამოცდილება.

95. სადედამთილოს რომ მოეწონო, განათლებაა საჭირო, აღმზრდელ ბებიად რომ აქციო – მოთმინება-გამოცდილება.

96. საქალაბტონეს შერჩევას განათლება სჭირდება, მის ქალბატონად ქცევას – გამოცდილება.

97. ქალის გრძნობებით კვებას განათლება სჭირდება, მაგრამ მისი კაპრიზის დაკმაყოფილებას – გამოცდილება.

98. ქალის ბუნების წიგნივით გადაშლას განათლება სჭირდება, რომ წაიკითხო – გამოცდილება.

99. ფუფუნებაში რომ არ იცხოვრო, განათლებაა საჭირო, მაგრამ მისკენ მიდრეკილებას თავი რომ დააღწიო – ზოგჯერ გამოცდილებაც არ გყოფნის.

100. ყველასთან გულახდილი რომ არ იყო, განათლებაც საკმარისია, მაგრამ სხვა გულახდილობისთვის რომ არ გააქიაქო – გამოცდილებაა საჭირო.

## ღიმილით გასახსენებელი 100 „სიგიჟე“

1. ერთი მოგწონს.
2. მეორეს „აბამ“.
3. მესამე გიყვარს.
4. მეოთხეს ყვავილს ჩუქნი.
5. მეხუთეს ლექსებს უკითხავ.
6. მეექვსეს სახლში აცილებ.
7. მეშვიდეს მესიჯებს უგზავნი.
8. მერვეს ეარშიყები.
9. მეცხრესთან მეგობრობ.
10. მეათეს სონეტებს უწერ.
11. მეთერთმეტეს შორიდან ეტრფი.
12. მეთორმეტეს რჩევას სთხოვ.
13. მეცამეტე გმაჭანკლობს.
14. მეთოთხმეტესთან ერთობი.
15. მეთხუთმეტის ტანი აღგაფრთოვანებს.
16. მეთექვსმეტეს თვალების შემონათება მოგწონს.
17. მეჩვიდმეტესთან ოცნებით ცხოვრობ.
18. მეთვრამეტეს უყვარხარ.
19. მეცხრამეტე გეცოდება.
20. მეოცე ნერვებს გიშლის.
21. ოცადმეერთე მიუწვდომლად გეჩვენება.
22. ოცდამეორე გამშვიდებს.
23. ოცდამესამეს პაემანს უნიშნავ.
24. ოცდამეოთხე შენი „ჯილა“ ქალია.
25. ოცდამეხუთე თავად გიგორდება საწოლში.
26. ოცდამეექვსე მომხიბვლელი ქალია.
27. ოცდამეშვიდე ვნებამოჭარბებული დედაკაცია.
28. ოცდამერვესთან დისკოტეკაზე დადიხარ.
29. ოცდამეცხრე კარგად ცეკვავს.
30. ოცდამეათე ჯიშიანი ქალია.

31. ოცდამეთერთმეტის სურნელი მოგწონს.

32. ოცადმეთორმეტე ერუდირებულია.

33. ოცდამეცამეტე მოხერხებულია.

34. ოცდამეთოთხმეტესთან ეიფორიაში ვარდები.

35. ოცდამეთხუთმეტე შენი ფანია.

36. ოცდამეთექვსმეტე „გაბოლებს".

37. ოცდამეჩვიდმეტეს აღმერთებ.

38. ოცდამეთვრამეტე ვნების მონაა.

39. ოცდამეცხრამეტე ჯანიანი და ჯანმრთელია.

40. მეორმოცე სექს-ბომბა.

41. ორმოცდამეერთე შენი „მასტია".

42. ორმოცდამეორესთან მოგზაურობა მოგწონს.

43. ორმოცდამესამე ეჭვიანია.

44. ორმოცდამეოთხე აფთარქალია, მაგრამ ვერ ეშვენი.

45. ორმოცდამეხუთეს ეზმანები.

46. ორმოცდამეექვსეთან სექსში კვალიფიკაციას იმაღლებ.

47. ორმოცდამეშვიდეზე მზე ამოგდის.

48. ორმოცდამერვე ყოველთვის თანაგიგრძნობს.

49. ორმოცდამეცხრესთვის ყველა ვარიანტში მისაღები ხარ.

50. ორმოცდამეათესთან შენი „ღირსების ჭკუის" მოთხოვნით დადიხარ.

51. ორმოცდამეთერმეტესთან ტვინის ჭყლეტა მოგწონს.

52. ორმოცდამეთორმეტე დაქალებში რეკლამას გიკეთებს.

53. ორმოცდამეცამეტეს ინტერნეტით ეძებ და ეტრფი.

54. ორმოცდამეთოთხმეტეს შენთან ჭეშმარიტების ძიება მოსწონს.

55. ორმოცდამეთხუთმეტე შენზე აფრენს, გიჟდება.

56. ორმოცდამეთექვსმეტე „ფრიგიტია".

57. ორმოცადმეჩვიდმეტე ზომაზე მეტად წესიერია.

58. ორმოცდამეთვრამეტე ბუნებით მონაზონია.

59. ორმოცდამეცხრამეტე უნიჭოა სექსში.

60. მესამოცე ფალოსის ქურდია.

61. სამოცდამეერთე მარად შენს ლოდინშია.

62. სამოცდამეორე ბუნებით არისტოკრატია.

63. სამოცდამესამე საკაიფოა.

64. სამოცდამეოთხე აზარტულია.

65. სამოცდამეხუთე შენი სულის მკურნალია.

66. სამოცდამეექვსე სექსის დიდოსტატია.

67. სამოცდამეშვიდე მოვალეობის გამოა შენთან.

68. სამოცდამერვე დაკარგული წლების ანაზღაურებას სექსში შენთან ცდილობს.

69. სამოცდამეცხრე ფლეგმაა, მაგრამ მასთან თავს კარგად გრძნობ.

70. სამოცდამეათეს შენზე აბოდებს, აფრენს.

71. სამოცადმეთერთმეტე სულ გამოძალვის ცდაშია.

72. სამოცდამეთორმეტე ყოველთვის ფორმაშია.

73. სამოცდამეცამეტე ყავლის გასვლას ვერ ეგუება.

74. სამოცდამეთოთხმეტე სექსში შულერია, თავს ვნებიანად გაჩვენებს.

75. სამოცდამეთხუთმეტე დაგდევს, არ გეშვება.

76. სამოცდამეთექვსმეტეს შენი დანახვაც აკმაყოფილებს.

77. სამოცდამეჩვიდმეტეს ფეხები წელიდან ეწყება.

78. სამოცდამეთვრამეტემ იცის თავისი ადგილი და დრო.

79. სამოცდამეცხრამეტე შეუდარებელი ქვრივია.

80. მეოთხმოცეს მარად შენი იმედი აქვს და ოპტიმისტია.

81. ოთხმოცდამეერთე ძალზე თავმოყვარეა.

82. ოთხმოცდამეორე დიპლომატია ურთიერთობაშიც, სიყვარულშიც, სექსშიც.

83. ოთხმოცდამესამემ იცის თავის ფასი, ოღონდ გადამეტებით.

84. ოთხმოცდამეოთხემ კარგი მოლხენა და სიმღერა იცის.

85. ოთხმოცდამეხუთე მარად უმადურია.

86. ოთხმოცდამეექვსეს შენთან ჭორაობა მოსწონს.

87. ოთხმოცდამეშვიდე შენთან ერთად მივლინებებში დაძვრება.

88. ოთხმოცდამერვე ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად იბრძვის.

89. ოთხმოცდამეცხრეს საოცრად მიმზიდველი უკანალი და მკერდი აქვს.

90. ოთხმოცდამეათე ძალზე ემოციურია.

91. ოთხმოცდამეთერთმეტეს, ოფისის-თაგუნას, სულ უნდა რაღაცით გასიამოვნოს სამსახურში.

92. ოთხმოცდამეთორმეტე შენთან ურთიერთობით ამაყობს, ატირაჟებს.

93. ოთხმოცდამეცამეტე ნაადრევი ბებიაა, მაგრამ მაინც ვნებიანი ქალია.

94. ოთხმოცდამეთოთხმეტე მრავალფეროვნების მოყვარულია სექსში და ამ ხელოვნებას შენთან ხვეწს.

95. ოთხმოცდამეთხუთმეტე ვულგარულად მომხიბვლელია და ამასთან სათავისოც.

96. ოთხმოცდამეთექვსმეტე შენში სპონსორს ხედავს, როგორც სექსში, ასევე ცხოვრებაში.

97. ოთხმოცდამეჩვიდმეტე უპრეტენზიოა, მიმნდობია.

98. ოთხმოცდამეთვრამეტე ცდილობს ცოლად შეგეწეროს.

99. ოთხმოცდამეცხრამეტეს მარტო საყვარლის სტატუსი არ აკმაყოფილებს, მის ამაღლებას ცდილობს.

100. მეასე დაოჯახებისკენ მოგიწოდებს და თავის გარდა სხვა დაქალებსაც გთავაზობს. და ბოლოს ეტყობა, ცოლის მოყვანის დროა, მაგრამ არა ამ სიიდან.

# ცხოვრების 100 პოსტულატი
# პირადი გამოცდილების გადასახედიდან

ეტყობა, პოსტულატს ყველა თავისი სიამოვნებისთვის წერს, რადგან იმედი იმისა, რომ მას მკითხველი ცხოვრებაში გაითვალისწინებს, უმნიშვნელოა, ადამიანი ხომ თავის შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს. უბრალოდ მის მცდელობას „ყუნწი უხმება" და ასაკის მატების გამო შეცდომებს ველარ სჩადის. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მე მაინც გთავაზობთ გამოცდილების „ნაჟურს" ჩემი გადასახედიდან.

1. ბიზნესი და ემოციები ერთად გამორიცხულია.

2. მეწილეს, შვილის გარდა, აუცილებელია ჩაადებინოთ წილის 10% მაინც, რათა მან ვალდებულება იგრძნოს, რადგან მისთვის წილის 10%-ის დაკარგვის საშიშროება მეტია, ვიდრე თქვენი 90%-ისა.

3. ეცადეთ მეწილე არ გყავდეთ, სჯობს გაიჭირვოთ და თანამშრომელს მოჭრით მისცეთ ხელფასი, ხოლო ახლობელს – დამსახურებების მიხედვით.

4. ფული მეგობარს ასესხეთ იმ საბანკო დანარიცხებით, რომელიც მიღებაც მოგების სახით ბანკში ფულის შეტანით შეგეძლოთ., რათა თქვენმა ამხანაგმა იგრძნოს პასუხისმგებლობა, მისი დაბრუნებისათვის და თქვენ არ დაკარგოთ შესაძლო მოგების მინიმუმი. აქ მთავარია, რომ შენ სესხის გამოსატან გარანტიას არ სთხოვ.

5. ფული უნდა ასესხოთ მეგობარს მაშინ, თუ უძრავი ქონების შეძენას აპირებს.

6. თუ ვინმეს ფული სჭირდება ჯანმრთელობის გამოსასწორებლად, სჯობს ფულით დაეხმაროთ, სადაც ორივენი კმაყოფილი დარჩებით, რადგან თქვენ გაიღეთ თანხა, რომელიც არ გენანებათ, ხოლო მან მიიღო გარკვეული დახმარება, რომელმაც სტიმული მისცა, რომ ის კიდევ სჭირდებათ და აფასებენ.

7. არასოდეს იტრაბახოთ თქვენი საქმიანობით, სიმდიდრით, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ფულის შოვნას.

8. ერთდროულად არ აჩვენო შენი უძრავ-მოძრავი ქონება, განსაკუთრებით, ახლობელს, ეს მასში აუცილებელ შურს გამოიწვევს, სჯობს თანდათან შეაჩვიოთ.

9. ბიზნესში ფულის კეთება ჩვენს სინდისს უნდა ვანდოთ, სხვადასხვა გადაცდენების დაშვებით, თვალის დახუჭვით და მონანიებით.

10. საქმის საკეთებლად დაიქირავე მაღალი კვალიფიკაციის მენეჯერი და მეტი გადაუხადე, რათა შენც მისგან რაღაცა ისწავლო.

11. შტატებს ნუ გაზრდით, განსაკუთრებით ახლობლებით, ისინი მაინც უმადურები დაგრჩებიან.

12. ეცადეთ სამუშაოდ არ მიიღოთ ნათესავი, მეგობარი, ყოველთვის თავს დაგაყვედრიან და საქმესაც უარესად გაგიკეთებენ.

13. ფულს უყვარს თვლა, ამიტომ ყოველი კვირის ბოლოს მოითხოვეთ ანგარიში, გაუკეთეთ ანალიზი, როგორ მეწვრილმანედ და ბიუროკრატადაც არ უნდა ჩაგთვალონ.

14. პროფილაქტიკის მიზნით ზოგჯერ აიშალეთ ნერვები, „გადაუარეთ" თანამშრომლებს, ხოლო მეორე დღეს ბოდიში მოუხადეთ, რათა თანამშრომლებს აჩვენო ხასიათი და გაიგონ, რომ არც ისე წყნარი და სათნო ხართ, როგორც ადრე ეჩვენებოდათ.

15. საკუთარი წიგნი არ აჩუქოთ არავის, იმათ გარდა, რომლებიც თქვენი რწმენით, აუცილებლად წაიკითხავენ. წიგნი რომ წაიკითხონ და დაგაფასონ, უნდა იყიდონ.

16. თუ პიროვნების ხასიათს არ იცნობთ, ჯობს ნეიტრალური საჩუქარი აჩუქოთ, ხოლო ახლობლებს – ფული.

17. ქალს თუ ქირაობთ, სჯობს ამით არ იტრაბახოთ, რადგან მამაკაცმა ქალი უნდა მოიპოვოს და არა იყიდოს.

18. ქალს ნურაფერს ნუ შეჰპირდებით, რადგან განშორებისას მაინც მონახავს სასაყვედუროს. ყველაზე არაპერსპექტიულ ქალსაც კი, ვისთანაც თქვენ ნებივრობთ, იმედი აქვს, რომ ცოლად მოიყვანთ.

19. ქალთან, რომელთანაც ნეიტრალური ურთიერთობა გაქვთ, იცხოვრეთ მხოლოდ „პრეზერვატივით“, რადგან შეიძლება ნაშიერი აგკიდოთ და თავიც შემოგასაღოთ.

20. ახალგაზრდობაში თუ ცოლის მოყვანას არ აპირებ, სჯობს „ივარჯიშო“ და კვალიფიკაცია აიმაღლო ასაკოვან მადაალმძვრელ ქალებთან, მათ ძირითადად ვნებების დაკმაყოფილება და უინტერესოდ გავლილი წლების ანაზღაურება უნდათ.

21. არავითარ შემთხვევაში თანამშრომელ ქალთან საქმე არ დაიჭირო, მაგრამ თუკი გარდაუვალია, სხვაგან გადაიყვანეთ სამუშაოდ.

22. ცოლს სამსახურში ნუ მიიღებთ, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის, ამუშავეთ რიგით თანამშრომლად და არა – პარტნიორად და მენეჯერად.

23. წინასწარ ნურავის ნურაფერს შეჰპირდებით, განსაკუთრებით ახლობლებს, რადგან დანაპირებს და როყიოდ ნათქვამს შესრულება სჭირდება.

24. ოჯახში, საზოგადოებაში, შვილებთან, მეგობრებთან ყოველთვის გეჭიროს გარკვეული მანძილი, რათა რაიმე უსიამოვნო არ გაკადრონ ან ისეთი რაიმეს მოთხოვნა არ გაგიბედონ, რაც შენ არ გსიამოვნებს.

25. ჭორებს ნუ აყვებით, ინფორმაცია გადაამოწმეთ შეუმჩნევლად.

26. თანამშრომელს ისე უნდა დაშორდე, თუ ეს აუცილებელია, რომ თავის დამცირებულად არ იგრძნოს.

27. თუ ცოლი გსაყვედურობს, რომ მისი ახლობელი უსაფუძვლოდ გაათავისუფლე სამსახურიდან, მიეცი საშუალება, რომ თავის ახლობელთან თავად აწარმოოს ფინანსური საქმიანობა, რათა დარწმუნდეს თქვენს „სიმართლეში“.

28. ადამიანს უნდა დაეხმარო მხოლოდ ერთხელ, თუ ვერ გაამართლა – არ გამოდგება საქმის საკეთებლად. რადგან მონდომებული ადამიანი შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

29. ახლობელს, ნაცნობს, წარმატების ან კარიერის კიბეზე ფეხის ადგმის წინ თავის გაახსენე, მაგრამ ნუ შეაწუხებ, თუ დასჭირდები, თავად მოგნახავს.

30. ნაცნობს, ნათესავს, თუ რამდენიმე წლის შემდეგ „გაახსენდები“, ეს ნიშნავს, რომ შენთან საქმის დაჭერა სურს. აქ უნდა განსაჯოთ, მას საქმის კეთება უნდა თუ თქვენი საქმეში ჩათრევა. თუ ეს უკანასკნელია, ეცადე თავი აარიდო, ის უიღბლოა და უნდა ფსონში შენი „ჩადება“.

31. თუ ქალთან დაშორება გინდა, შექმენი ისეთი პირობები ან წამოჭერი საკამათოდ ისეთი საკითხი, რომ წაგეჩხუბო, რათა დაშორება მას დაბრალდება და არა შენ.

32. ეცადე სამსახურში საქმე ადრე დაიწყო, სანამ ენერგია მოზღვავებული გაქვს, დასვენებით კი დროულად დაისვენე.

33. ბიზნესი მოფრთხილებას, გონიერ აღებ-მიცემობას და ინვესტირებას მოითხოვს.

34. ისწავლე შევაჭრება, რადგან ბიზნესი მოგებაზე და დათმობაზეა აგებული.

35. სათუო და საეჭვო არც სხვას ურჩიო და თავადაც ნუ გარისკავ.

36. იყავი პურმარილიანი, ხელუხვი, ზომიერების, საჭიროების ფარგლებში.

37. თუ აუცილებელი არ არის ზემდგომს და ქვემდგომს ნუ შეეკამათები. ეს სასურველ შედეგს არ იძლევა – თავს ნუ მოაბეზრებ, შეაზიზღებ.

38. ეცადე არ იჩხუბო და თუ ეს აუცილებელია, თავიც ღირსეულად უნდა გაართვა.

39. ყველა დანაშაული, გადაცდენა, სასჯელის ღირსია, მაგრამ თუ შესაძლებელია, ეცადე შეუნდოთ.

40. გაბრაზებისას, ნერვების დამშვიდების გარეშე, სერიოზულ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ.

41. წარსულ გადაცდენას ნურც ქვეშევრდომს გაუხსენებ, ნურც – ზემდგომს და ნურც – მეგობარს.

42. თუ რაიმე შეგეშალა, ბოდიშის მოხდას ნუ მოერიდებით, ოღონდ ნუ გადაამლაშებ.

43. ეცადე სულგრძელი იყო, მაგრამ არა უაზროდ ლმობიერი.

44. არის დანაშაული, რომლის პატიება არ შეიძლება, თუ მისი ჩამდენი სრულ ჭკუაზეა.

45. თუ დახმარება შეგიძლია, დაეხმარე, მაგრამ ორმოდან ამოთრევას ნურავისას შეეცდები, რადგან იგი უკვე განწირულია (ნარკომანი, ლოთი, ქურდი, მკვლელი, ბანდიტი).

46. მთხოვნელს დაეხმარე, მაგრამ ნუ გაიშინაურებ, რომ მუდამ შენი იმედი არ ჰქონდეს.

47. მჭერმეტყველება დააფასე და ხარკიც გადაიხადე, შექების, თანამეინახეობის, სახით.

48. ოფისში ტანსაცმელი მუდამ სუფთა და ასაკის შესაფერისი უნდა გეცვას.

49. ეცადე ადამიანს ის უთხრა, რაც სიამოვნებს, თუ ეს პირადად მას და საქმეს არ ვნებს.

50. ეცადე მოპაექრეს ყური უგდო, შედარებით სუსტ არგუმენტებში გამოიჭირო და შემდეგ შეუტიო, რადგან საბოლოო მოგება, ჩასაფრების გარეშე, ვერ მიიღწევა.

51. მტერი და მოშურნე წარმატებებს გზაზე ყოველთვის გამოტყვრება და მათ ყურად ნუ იღებ.

52. ერთიდაიგივე ხალხის თავშეყრისას ერიდე ერთიდაიგივე აზრის გამეორებას.

53. ჩაწოლილი საქონლით ვაჭრობა მომგებიანია იმ შემთხვევაში, თუ მისი მომხმარებელი, უმთავრესად, ბავშვები და ქალები იქნებიან.

54. მეგობრებთან ნუ ივაჭრებ, მოჭრით დაუსახელე გასაყიდი ფასი.

55. წინდაუხედავი და ნისიად ვაჭრობა პრაქტიკულად მცირე შემოსავალს იძლევა.

56. ცხოვრება შესაძლებლობების გამოყენების მცდელობაა, წარმოსაჩენი აზრების ვაჭრობით.

57. წარმატებულმა ბიზნესმა სიმდიდრე და სახელი იცის, რომელიც შეიძლება ღირსებაში გადაიზარდოს.

58. საქმეს მთლიანად მენეჯერს ნუ ჩაუგდებ ხელში, როგორც უნდა ენდობოდე.

59. „მიზანი ამართლებს საშუალებებს“, ოღონდ მორალური პასუხისმგებლობის შეცნობით, რადგან შეიძლება საქმე გამოვიდეს, მაგრამ „იმიჯმა“ იზარალოს.

60. მუხანათურად, მიპარვით, ნურც ნურავის მოექცევი და ნურც წარმატებას ისურვებ.

61. ვინც გენდობა, უერთგულე და თქვენზე წარმოდგენას ნუ დაუკარგავ.

62. სოფლის მეურნეობა რომ მომგებიანი იყოს, ეცადე მიღებული ნედლეული გადაამუშაო, სასაქონლო სახე მისცე და ისე გაყიდო.

63. იყავი ზომიერი ურთიერთობაში, ყველა სურვილი და საქმე თანაბრად და მათი შეძლებისამებრ გაანაწილე.

64. ეცადე მოწმედ არავის დაუდგე და თუ ეს აუცილებელია გარემოებათა გამო, თავს ნუ გამოიდებ, უპასუხე მხოლოდ დასმულ კითხვებს.

65. ისწავლე საუბარი ბავშვებთან, ქალებთან, მეგობრებთან, ზემდგომთან. პირველს მოეფერე, მეორე აამაღლე, მესამეს ეთაყვანე, მეოთხესთან თავი დაიმდაბლე, ოღონდ ღირსების ფარგლებში.

66. რადგან ყველა კაცი ადამიანი არ არის, ეცადე ადამიანი მონახო და მასთან დაიჭიროთ საქმე.

67. ეცადე ხელისუფლებასთან ახლოს იყოთ, მაგრამ მანძილი დაიცავი, არ ეძმაკაცო, „არ ჩაუჯდე ნავში ხელმწიფეს“.

68. მოერიდე თავზე დიდი წარმოდგენის მქონეთ და მეოცნებეებს, ისინი საქმეში არ გამოდგებიან.

69. სიმართლე რაც უნდა მწარე და დამცინავი იყოს, ეცადე თვალებში შეხედო და ხარვეზი გამოასწორო.

70. თუ ვისმეს ენდობი, ბოლომდე ენდე და მცირე გადაცდენაზე ნუ შეედავები.

71. ვინც შენი თანასწორია და შენზე ცოტათი მაღლა დგას, დახმარება მას სთხოვე, ზომიერების ფარგლებში.

72. შეაჩვიე თანამშრომლები, რომ დავალება პირველივე ბრძანებით უნდა შესრულდეს.

73. ცოდნა სათანადო მოხერხებულობის გარეშე ნულის ტოლია.

74. ადამიანს ასაკმა თუ ვერაფერი ასწავლა, შეეშვი, შენი რჩევა მისთვის უსარგებლოა.

75. თუ გინდა თანამშრომლებმა შენით იამაყონ, ხანდახან მოეფერე, შეაქე ზომიერების ფარგლებში.

76. შური და ტანჯვა სინონიმების და ეცადე გულთან არც ერთი არ გაიკარო.

77. ისე უნდა მიითვისო, რომ არ შეგამჩნიონ, ამით საქმესაც არ აზარალებ.

78. გულის კარნახს ანგარიში უნდა გაუწიო, მაგრამ საქმე განსჯის შემდეგ უნდა ვაკეთოთ.

79. ხელქვეითს იმდენი გადაუხადე წინასწარი გაფრთხილებით, რომ არ იქურდოს.

80. დიდების მაძიებელს ნურაფერში შეედავები, ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან არაფერი გამოგივა, განდიდების მანია ადამიანს ღუპავს.

81. ბრიყვ და შარიან ხალხს მოერიდე, მოთმინება გამოიჩინე, თავის სასჯელს თავად ნახავენ, შენ დაუხმარებლად.

82. ქედმაღალ ხალხთან არც იამხანაგო და არც ქედი მოუხარო.

83. მტერსაც და მოყვარესაც მშვიდად და მოთაფლული ენით ელაპარაკე, რადგან მოთაფლული ენა ერთგვარი თილისმაა, რომელიც ყველა ჯურის ხალხს სიამოვნებს.

84. ტყუილუბრალოდ არავის დაემუქრო, ჯერ ერთი, თავს შეირცხვენ და შენს საიდუმლოსაც გაამჟღავნებ.

85. თუ რაიმეს მოსმენა არ გსურს, ან არ სურთ, ნურც თავს აიძულებ და ნურც სხვას, რომ მოისმინოს.

86. რასაც კაცს პირში ვერ ეტყვი, ზურგსუკან ნუ იტყვი, მამაკაცს ჭორაობა არ შეეფერება.

87. გაუკეთებელ საქმეზე ნუ იტრაბახებ, რადგან პირველია საქმე და მერე – სიტყვა.

88. ერიდე ორპირს და თავადაც ნუ იქნები ორპირი.

89. ადამიანს ნუ აუხირდები, შურიანი ხალხი ახლოს არ გაიკარო.

90. ისწავლე ძუნწის და ხელმომჭირნის განსხვავება. პირველი ახლოს არ გაიკარო, მეორესთან იმეგობრე.

91. ბრიყვს არ ეკამათო, მლიქვნელთან არ იმეგობრო და მატყუარასთან საქმეს ნუ დაიჭერ.

92. თანამშრომელთა უმნიშვნელო გადაცდენაზე თვალი დახუჭე, რადგან გარანტია იმისა, რომ ახალი თანამშრომელი უფრო პროფესიონალი და პატიოსანი იქნება და სამუშაოს დროულად აუღებს ალღოს, არ არის.

93. უმიზეზოდ და დაუსაბუთებლად ნურც ნურავის განსჯი და შეაქებ, მაგრამ კოლექტივში იყოლიე შენი კაცი, რათა ყველაფრის საქმის კურსში იყო.

94. ეცადე ყველგან იყო საჭირო ადამიანი.

95. ჯობს გყავდეს ცუღლუტი, მაგრამ მორჩილი თანამშრომელი, ვიდრე მუყაითი და ურჩი, რადგან ურჩობას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

96. ერთიდაიგივე საქმეს რამდენიმე ხელქვეითს ნუ დაავალებ, რათა ერთმანეთს არ გადააბრალონ.

97. თუ ვინმეს დავალებით, თხოვნით, საქმეს აკეთებთ, სხვას არც გაუმხილო და არც გადააბარო.

98. ხალხის ყბედობას ყურად ნუ იღებ.

99. სიკეთის, სათნოების, გონიერების, თესვა არ არის გარანტი, რომ დაგაფასონ, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე მართალი უნდა იყო.

100. ეცადე ცივილიზაციის მიღწევებს არ ჩამორჩე, ისწავლე რამდენიმე უცხო ენა, ეს საქმესაც რგებს და თანამშრომლებში ავტორიტეტს აგიმაღლებს.

თუ ამ ნაღვაწიდან რაიმეს ვერ გაიგებ, გადაიკითხე რამდენჯერმე ან დაელოდე ასაკის მომატებას, დაღვინებას და ცხოვრების გამოცდილების შეძენას.

## ქვეყნის პირველი პირის 100 დამოძღვრა

### (პოლიტიკის გათვალისწინებით)

1. ისწავლეთ თანამდებობის სავარძელში ჯდომა, მოსმენა, განსჯა, დამოძღვრა, შეწყნარება, მოთმინება, თავის მოწონება.

2. ქვეყნის კონსტიტუცია ხატად გაიხადეთ, მასში ცვლილებები მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმს მიანდეთ.

3. კანონი და კანონიერება დაიცავით ქვეყანაში და ყველა თქვენს გადაწყვეტილებაზე მღლა დააყენეთ.

4. აშკარად არ ჩაერიოთ სახელმწიფო სტრუქტურის და პარლამენტის საქმიანობაში.

5. „იმეგობრეთ" ოპოზიციასთან, მათ მიერ შემოთავაზებული სასარგებლო წინადადებები, შესაბამისი ჩასწორებებით, მიიღეთ და მათი შესრულება მათვე დაავალეთ. თუ გაამართლა, მოწინააღმდეგე ბანაკში თანამოაზრეს შეიძენთ, თუ არა და ოპოზიციას ბიშტს უჩვენებთ.

6. გახსოვდეთ, რომ თქვენ ქვეყნის, ხალხის, მსახური ხართ და არა რომელიმე პარტიის, ამბიციების და ეს ყველა თქვენს ქმედებაში უნდა იგრძნობოდეს.

7. იყოლიეთ უხუცესთა, ბრძენთა, მრჩეველთა საბჭო, რომელთა მოვალეობაა ხალხს მოუსმინონ, მათში პერსპექტიული კადრები აღმოაჩინონ და საინტერესო მოსაზრებებს მოუხმონ.

8. სულიერ მემკვიდრეობას, ერის კულტურას, მათ გამორჩეულ მსახურთ პატივი მიაგეთ, წარმოაჩინეთ – გამოგადგებათ.

9. არ ეკამათოთ, არ ედავოთ იმ ხალხს, რომლებსაც სული, მენტალიტეტი, ქვის ხანაში აქვს გადანახული – დაუყვავეთ.

10. ეცადეთ თავი მოაწონოთ ქალებს ქათინაურებით, შექებით, წარმოჩენით, რეკლამირებული ქველმოქმედებით, გახსოვდეთ ამომრჩეველთა 55% ქალია.

11. ოპოზიციამ შეიძლება ბევრ რაიმეზე გისაყვედუროთ, მაგრამ უცოდინარია, უგნურია, ქვეყანა და ხალხი არ უყვარსო – არ უნდა გაკადრონ.

12. შექმენით სამართლებრივი სახელმწიფოს მითი, რომელსაც ხალხი აკონტროლებს, მართავს, ხოლო სამართალმა კუდი ისე უნდა გამოიბას, როგორც საჭიროა და თქვენ გინდათ.

13. გახსოვდეთ, ხელისუფლის უმთავრესი დანიშნულებაა, ხალხის „გასულელება“ მათივე საკეთილდღეოდ.

14. ეცადეთ განაწყენება არავისზე და არაფერზე არ შეიმჩნიოთ.

15. ეცადეთ შემთხვევით ხალხს, ვიგინდარებს, ხელმოცარულებს საზოგადოებაში პოპულარულობის საშუალება არ მისცეთ, ისინი ყოველნაირად ამხილეთ, დაამცირეთ, მიწაზე დაანარცხეთ, რადგან ხელისუფლებისათვის ყველა უბედურების მომტანნი ისინი არიან.

16. ხელისუფალმა ყველა გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ნახოს და ისიც სარგებლით.

17. სახელმწიფო მოღვაწედ რომ ჩაგთვალონ, ზოგჯერ შენიანები უნდა ამხილო, გააკრიტიკო და მათ დასჯასაც არ უნდა მოერიდო.

18. ქვეყნის მართვა გოლგოთაცაა, სიამაყეც, კაცობაც, წყალობაც და რაც მთავარია, მომავალი თაობის და ერის ისტორიის წინაშე ვალის მოხდაც.

19. ქვეყნის მართვა კი არ არის ძნელი, არამედ საკუთარი ამბიციებისთვის ლაგამის ამოდება, საქმის მკეთებელი ხალხის აღმოჩენა.

20. პირადი მაგალითებით მოსახლეობას ასწავლეთ მომჭირნეობა, ფულის ყადრი, ცოდნა. მაგ. ზოგჯერ მეგობრულ ქვეყნებში იმოგზაურეთ სამგზავრო თვითმფრინავით.

21. ხშირად არ „იწანწალოთ“ ქვეყანაში, რადგან თქვენს ჩასვლას უნდა მოჰქონდეს მატერიალური, სულიერი კეთილდღეობა.

22. ეცადეთ აღზარდოთ ახალგაზრდები, რომლებიც თქვენ მომავალში ღირსეულად შეგცვლიან და კარგად თუ არა, ცუდად მაინც არ გაგიხსენებენ, რადგან ისტორიის დროებით პრივატიზაციაა შესაძლებელი და არა სამუდამოდ და სახელს იმქვეყნად გადაბარგების შემდგომაც უნდა უფრთხილდებოდეთ.

23. მოსახლეობის მიმართ იყავით მომთხოვნი, კანონის მონა, მაგრამ არც ლმობიერება, დათმობა არ დაივიწყოთ ქვეყნის შესაძლებლობების და პოლიტიკური სიტუაციის ფარგლებში.

24. მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობისას გარკვეული შეღავათები მიეცით, რადგან ეს მცირედი პროტექცია მათ თქვენს მიმართ უკეთ განაწყობთ.

25. მექრთამეობასთან ბრძოლის მიზნით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შემოიღეთ პროვოცირების სამსახური.

26. ოფიციალურად დააწესეთ ჯილდო, შეღავათები იმ პირისთვის, ვინც მექრთამეს ამხელს და მის გამომჟღავნებაში დაგეხმარებათ.

27. ოფიცალურად დაამტკიცეთ ის თანამდებობები, რომლებიც დანაშაულში მხილების შემთხვევაში კანონის წინაშე ორმაგად აგებენ პასუხს.

28. ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობაა, სახელმწიფოს გონივრული მართვა, დათაფლული ენით ხალხის წრთვნა და არა უსაგნო ყბედობა და ოცნების ღადარის ქექვა.

29. სახელმწიფოს მართვა კამათელის გაგორებას ჰგავს და ის იმარჯვებს, ვინც შექმნილ გარემოში იცის და გრძნობს რა დროს და როგორ უნდა გააგოროს პოლიტიკურად დამუხტული „ძაღლის ძვალი“.

30. ხელისუფლება ახალგაზრდებთან კონფლიქტს უნდა მოერიდოს, წინაღმდეგ შემთხვევაში, ჯეელები კუთვნილზე მეტის მითვისებას მოინდომებენ, რაც ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს იძლევა და კატაკლიზმების საწყისიც ხდება.

31. ხელისუფალი საქმით და არა ბუნებით უნდა იყოს ჯადოქარი, ეშმაკი, ავანტურისტიც, თუ უნდა ხალხმა ქვეყნის სიმძიმის ცენტრის გადანაწილება მას ანდოს.

32. ხელისუფალი მაშინ ტოვებს კვალს ქვეყნის მმართველობაში, თუ მასზე შექმნილ ანეკდოტებში მორიდება, პატივისცემის სიმები ჟღერს და არავითარ შემთხვევაში, დაცინვა.

33. ხელისუფალი არ უნდა ცდილობდეს, რომ კანონზე მაღლა დადგეს, მაგრამ მასზე უნდა ფიქრობდეს, რადგან ყველაზე მისაღები კანონიც კი დროთა განმავლობაში „გახედვნას“ მოითხოვს.

34. ხელისუფალს უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრება თამაშია, შეჯიბრია და ამ შერკინებისთვის მუდამ მზად უნდა იყოს, ყალყზე შემდგარი.

35. ხელისუფალი ოცნების და სიბრძნის მონა არ უნდა გახდეს, მან რეალობას თვალახელილმა უნდა უყუროს და ტვინიც უნდა „ახლაფორთოს“.

36. ეცადეთ კანონები იყოს უხეში, ყოვლისმომცველი, საძრომიალოს გარეშე.

37. რადგანაც „თევზი თავიდან ყარს“, ეცადეთ სახელმწიფო სამსახური შემოკრებილ-გადამოწმებული კადრებით დაკომპლექტდეს.

38. პოლიცია გარეგნულად წარმოადგენს სახელმწიფოს სახეს, ეცადეთ განსაკუთრებული ნიჭით და გარეგნობით შეარჩიოთ თანამშრომლები.

39. თავად ხელისუფალი უნდა ეცადოს იყოს პიროვნება, რათა ხალხს მისით თავი მოჰქონდე.

40. არ შეეცადოთ თანამდებობის უზურპირებას და კონსტიტუციით დადგენილ დროზე მეტად ხელისუფლებაში შემორჩენას, რათა ახალ თაობას მისცეთ საშუალება თავადაც წარმოჩნდეს.

41. გახსოვდეთ, ხელისუფალს მეგობარი არ ჰყავს, მხოლოდ მრჩევლები და ისიც საუკეთესო.

42. ყველა ადამიანი სხვადასხვაა, მაგრამ ხელისუფალმა ყველა ღონე უნდა იხმაროს მათ დასასაქმებლად და წესიერ გზაზე დასაყენებლად.

43. ეცადეთ კანონი და ხელისუფალი უძლური არ იყოს დამნაშავის და დანაშაულის წინაშე.

44. გადასახადის გადაუხდელობა და კანონის შეუსრულებლობა ხელისუფალმა პირად შეურაცხყოფად უნდა მიიღოს.

45. ხალხისთვის სიკეთე, ხანდახან „ჭუჭყიანი“ ხელებით უნდა აკეთოთ, მაგრამ ხელები სწრაფად უნდა დაიბანოთ, რათა ჭუჭყი დასამახსოვრებელი და გასაქიაქებელი არ გახდეს.

46. ყველა ასაკი აღზრდას თუ არა, კანონის რიდს და ხელისუფლების ძალას ემორჩილება და ეს ხელისუფალმა უნდა გაითავისოს.

47. კარგი ურთიერთობა იქონიეთ ინტელიგენციასთან, მეცნიერებთან, ეცადეთ გამოიყენოთ მათი მცდელობა, შემართება.

48. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც ნეიტრალურად უნდა აშუქებდეს ქვეყანაში მომხდარ ამბებს.

49. იზრუნეთ სახელმწიფოში მრავალწლიანი ხელუხლებელი მარაგის შესაქმნელად პირველადი მოთხოვნილების საქონელზე.

50. ყურადღების ცენტრში იყოლიეთ სოფლის მეურნეობა, გადამუშავება და ნედლეულის რაციონალური გამოყენება, რადგან საკვები პროდუქციის რაოდენობრივი წარმოება სახელმწიფო უშიშროებას განეკუთვნება.

51. ეცადეთ თქვენი მმართველობის დროს რაიმე ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი შენობა ააგოთ, რომელიც საუკუნეთა შემოტევას გაუძლებს.

52. იქონიეთ ახალგაზრდობასთან ახლო და თბილი ურთიერთობა, საჯაროდ ეკამათეთ, მოეფერეთ.

53. ეცადეთ საერთაშორისო წონა გქონდეთ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ინსტიტუტებში თქვენს აზრს, ორაზროვან სიტყვებს, პატივს უნდა მიაგებდნენ.

54. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებს არ დახარბდეთ, განსაკუთრებით ავტონომიად შემოერთებას, საბოლოოდ არ დაგიფასებენ, ამასთან დღეს სხვა დროა, სხვა მენტალიტეტი.

55. არამეგობარ ქვეყნებს ჭკუას ნუ დაარიგებთ, თითს ნუ დაუქნევთ, უბრალოდ არ შეამჩნიოთ. დრო და შემთხვევა თქვენს მხარეს იმუშავებს.

56. ყურადღების ცენტრში იყოლიეთ არმია, პოლიცია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განსაკუთრებით სახელმწიფო უშიშროების სამსახური.

57. შეეცადეთ ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეში ნეიტრალიტეტის, ჩაურევლობის, პრინციპი დაიცვათ.

58. ეცადეთ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს ისეთი პირობები შეუქმნათ, რომ მათ სამშობლოში უძრავ-მოძრავი

ქონება შეიძინონ, ბიზნესი აწარმოონ, წარმოებები გახსნან, ხშირად ჩამოვიდნენ, დაბრუნდნენ.

59. ხელისუფალს უნდა შეეძლოს პოლიტიკური შოუს, პიარის მოწყობა, რადგან დღეს უიმისოდ ხელისუფლებას შენარჩუნება ძნელია.

60. დიდი ყურადღება მიაქციეთ სპორტს, რადგან მისი დანიშნულებაა აცვენილი, არაორდინალური, ახალგაზრდები ხალხად აქციოს და ფანატები, დაგროვილი უარყოფით ენერგიიდან გაათავისუფლოს.

61. პოლიტიკაში არის ორი სიმართლე, ამიტომაც ის სიმართლე წამოწიეთ წინ, რომელიც ხალხს ბრბოდ არ აქცევს და ადამიანებად დატოვებს.

62. პოლიტიკა ინტერესებთან შერკინებაა და არა ემოციები, ეს კი ხელისუფლის ნიჭზეა დამოკიდებული, რას როგორ გამოიყენებს.

63. ხელისუფლების მოწოდებაა მისთვის სასარგებლო და წინდახედული კომპრომისები ეძიოს.

64. მოხერხებული ტყუილი და საკუთარ თავზე დასამახსოვრებელი ბიოგრაფიის ფურცლის გადაშლა ხელისუფლისთვის აუცილებელია, რათა თავადაც ისიამოვნოს და ხალხსაც ასიამოვნოს.

65. ხელისუფლებაში სუფთა გულით, რწმენით, პასუხისმგებლობით უნდა მოხვიდე და არა სუფთა ჯიბით, ჭუჭყიანი ხელებით, შურისძიებით.

66. ხელისუფალს სქელი ტყავი უნდა ჰქონდეს, რათა ყველა დამსახურებულ და დაუმსახურებელ დარტყმას გაუძლოს, ეს კი უდიდეს ნებისყოფას, შემართებას, გამჭრიახობას მოითხოვს.

67. ხელისუფალი ხალხს ბევრ რამეს უნდა დაჰპირდეს, მაგრამ უპირველესად ის დაპირება უნდა შეასრულოს, რაც ქვეყნისთვის აუცილებელი და სასარგებლოა.

68. ხელისუფლება თავისებური აზარტული თამაშია, ამიტომაც ის გონების ჭკლეტას და ვნების დაოკებას მოითხოვს.

69. ეცადეთ თანამდებობაზე ყავლგასულნი, ყოფილნი, არ დააწინაუროთ, რომლებიც ქალწულობაზე თავს დებენ – ისინი საბოლოოდ სანდონი არ არიან.

70. გაითვალისწინეთ, ხელისუფალს მადლობას არავინ ეტყვის ქვეყანა რაც უნდა კარგად მართოს, რადგან მადლობას ისტორია, დრო, ამბობს.

71. ხელისუფლის უპირველესი დანიშნულებაა განსაზღვრის, რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში, მუცლის ამოსაყორად თუ ისტორიაში მოსახვედრად.

72. ხელისუფალს თავისი ამქარი უნდა ჰყავდეს ხალხის სხვადასხვა ფენებში თავის წარმოსაჩენად, გასაფეტიშებლად.

73. რაც უნდა მომგებიანად გამოიყურებოდეს წყლის ამღვრევა და მასში თევზის ჭერა, ეცადეთ საზოგადოებაში ქაოსი არ შეიტანოთ, რადგან პოლიტიკაში სხვა გზებიც არსებობს თევზის მოშენების, დაჭერის.

74. ხელისუფალი არ უნდა დავალებული იყოს ვინმესგან, ფინიაძალლად არ უნდა იქცეს, რადგან „ბომბორად" პოლიტიკაში ის ვერასოდეს გახდება.

75. ხელისუფალი მოლაპარაკებას, პირად შეხვედრებს არავისთან არ უნდა გაურბოდეს, მითუმეტეს, თუ ეს მოწინააღმდეგე მხარის, ოპონენტის, ინიციატივაა.

76. ეცადეთ ისე გაიაროთ, პოლიტიკურ ჭუჭყში არ გაისვაროთ, მაგრამ თუ მცირედ მოგეცხებათ, ეს ცოდვად არ ითვლება – პროფესიაა ასეთი.

77. ხელისუფალმა საჭოჭმანო, სათუო საკითხი ერთი ხელის დარტყმით უნდა გადაჭრას, ყოველგვარი ყოყმანის და დროის გაყვანის გარეშე.

78. ეცადეთ არასოდეს არ მიიყვანოთ საქმე დაპირისპირებამდე, რათა საკუთარი ამბიციები ქვეყნის ინტერესებს არ ანაცვალოთ.

79. ხელისუფალი უნდა ცდილობდეს, ხალხის განწყობას ალღო დროულად აუღოს და მათ აზრები, შეხედულებები, უაზროდ არ აბურთაოს.

80. მოკრძალებული იყავით ქვეშევრდომების მიმართ, მაგრამ მომთხოვნი, უკომპრომისო, რადგან შეიძლება შეცდომა, გადაცდენა, აპატიოთ, მაგრამ დანაშაული – არასოდეს.

81. ტალანტს პატივისცემით და სიფრთხილით მოეპყარით, რადგან მას ქვეყნის აშენებაც შეუძლია და თქვენი იმიჯის დანგრევაც.

82. ეცადეთ არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვათ, შედეგი აზარტყეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ხელიდან დაგისხლტებათ და არ დაგიბრუნდებათ.

83. ეცადეთ ქვეყანა თქვენს ჭკუაზე მართოთ, მაგრამ ხალხს არ დასცინოთ და მათ მეობას ალიყური არ უთავაზოთ.

84. მშვიდობის მტრედი იყავით, მაგრამ თანამედროვე შიარაღება და ძლიერი არმია იყოლიეთ, მონაწილეობა მიიღეთ სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო სწავლებაში, წრთვნაში.

85. დაიმახსოვრეთ, ძალაუფლება დემაგოგიის, კუდის ამწევთა, შენი ინიციატივების გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ხელისუფალი ჭკვიანი შლეგია, რომლისაც ვირეშმაკებს უნდა ეშინოდეთ, ხოლო მოხერხებულები ერიდებოდნენ

86. „ღია საზოგადოება" შეიძლება იყოს ნათელი იდეების მატარებელი, მაგრამ შენი თამადობით..

87. შოვინიზმი, ნაციონალიზმი, რასიზმი ქვეყანას არ გააკარო, მხოლოდ ინტერნაციონალური პატრიოტიზმი, რადგან ყველამ სახელმწიფო საქმე უნდა აკეთოს და მის აყვავებას ემსახუროს.

88. ხელისუფლის უპირველესი დანიშნულებაა ქვეყნის ეკონომიკის ცოდნა და პოტენციალის ზრდა, ზომიერების ფარგლებში მოსახლეობის მატება და ცივილიზაციის რაობაში გარკვევა.

89. ხელისუფლებამ იმედით უნდა ივაჭროს და გარკვეული დივიდენდები ხალხსაც უნდა შეახვედროს.

90. ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ მისი პასუხები კითხვებზე საინტერესო და ამომწურავი იყოს.

91. ხალხზე ზრუნვაა ისიც, თუ მათ ალიბის მოგონების უფლებას არ უტოვებ დანაშაულის ჩასადენად და უსაქმურობის გასამართლებლად.

92. ჩააგონეთ ტერიტორიების პოლიციის უფროსებს, რომ თუ მათ რაიონში აღმოჩნდება მათხოვარი, ნარკოტიკებით მოვაჭრე, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, გათავისუფლდება თანამდებობიდან, რადგან სწორედ მათი წაყრუებით არიან ისინი იქ მოკალათებულნი.

93. ხელისუფლების შემადგენლობა როტაციას მოითხოვს და ამ სამართლიან ფენომენს შურის, შფოთის გარეშე და მომავლის იმედით უნდა შეხვდეთ.

94. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკა „ჭუჭყიანი“, მაგრამ პრესტიჟული და საჭირო პროფესიაა, რადგან მის გარეშე ამდენი „ჭკუანაღრძობი ხალხის“ მოთოკვა გაჭირდება.

95. ხელისუფალი ყველა ახალი საქმის წამოწყებაში მოგებას უნდა ეძებდეს, ეს სულიერი იქნება თუ მატერიალური.

96. ხელისუფალი უნდა ეცადოს უკანა რიცხვით საქმე არ აკეთოს ან არ აკეთებინონ.

97. თვალი ადევნეთ ყოველივე ახალს, ეცადეთ სიახლე დროულად და პერსპექტივით დაინერგოს ქვეყანაში.

98. ყველაზე დიდი ყურადღება განათლებას და მისი შედეგების რეალიზაციას დაუთმეთ, რადგან ყველაზე მომგებიანი ფულის დაბანდება დღეს ამ სფეროშია

99. ხელისუფლება პროგრესულ ტყუილზე და რეგრესულ სიმართლეზეა აგებული, ამიტომ მოერიდეთ ზიგზაგებს და იერიშობანას ხელისუფლებაში ყოფნისას, ქვეყნის სამართავად არ გამოდგება.

100. ხელისუფლება უნდა ეცადოს ის საკითხი განიხილოს, რომელიც გარკვეული დროისათვის მომწიფებულია და არა ის, რომლის მოკვარახჭინებაც სურს.

## საყოველთაო 100 მცნება

1 – არ მოკლა; 2 – არ დაამცირო; 3 – არ იზარმაცო; 4 – არ იყბედო; 5 – არ ივიშვიშო; 6 – არ იმრუშო; 7 – არ იჩხუბო; 8 – არ განსაჯო; 9 – არ იბილწსიტყვაო; 10 – არ იეჭვიანო; 11 – მოყვასს არ უღალატო; 12 – ცოლი არ აუფროსო; 13 – ფუფნებაში არ იცხოვრო; 14 – შური არ გაიკარო; 15 – ცოდვა არ დაიდო; 16 – პროგრესს არ ჩამორჩე; 17 – კომპრომისზე არ წამოეგო; 18 – ჭეშმარიტებას არ უგანო; 19 – ვალი არ დაიდო; 20 – სულიერებით არ ივაჭრო; 21 – ფული არ გაასესხო – დაეხმარე; 22 – დემაგოგიას არ აჰყვე – ჭეშმარიტებასთან იმეგობრე; 23 – სექსს არ გადაყვე – ასაკისთვის გადაინახე; 24 – გარემო არ დააბინძური – შთამომავლობა შეიცოდე; 25 – გონება არ გადატვირთო – დასვენება ისწავლე; 26 – გემოვნებაზე არ იდაო – საკუთარს გაუფრთხილდი; 27 – უფროსს არ ედავო – ურჩიე; 28 – ბავშვებს არ აწყენინო – დაუყვავე; 29 – სტუმარს არ გადაყვე – პატივი მიაგე; 30 – სიძესთან არ იცხოვრო – იმეზობლე; 31 – ახლობლები საქმეში არ გაიკარო; 32 – მტერი, ეცადე, არ შეიძინო; 33 – სხვის საქმეში არ ჩაერიო; 34 – ასაკის მოახლოვებას არ შეეპუო; 35 – იუმორის გრძნობა არ დაკარგო; 36 – სხვადასხვა ღმერთი არ იწამო; 37 – მშობლები უყურადღებოდ არ დატოვო; 38 – ღირსშესანიშნავი თარიღი არ დაივიწყო; 39 – ხელმოცარულნი, ამბიციურნი, არ გაიკარო; 40 – სიდედრ-დედამთილს არ ეკამათო; 41 – ეცადე თავკერძა არ იყო; 42 – ფეხის ხმას არ აყვე; 43 – შიში გულში არ გაივლო; 44 – სასიყვარულო ისტორიები არ გაატირაჟო; 45 – ეცადე უსამართლო არ იყო; 46 – ეცადე დილეტანტად არ გამოიყურებოდე; 47 – თავის ყველას არ გაუყადრო; 48 – არარეალური არავის არ დაპირდე; 49 – ეცადე ძველმოდური არ იყო; 50 – ვაჟიშვილის გარეშე არ გადაეგო; 51 – ძალზე ძუნწი ნუ იქნები – იყავი მომჭირნე; 52 – ეგოისტი, უკეთური, ნუ იქნები, იყავი გულმოწყალე; 53 – განუსჯელი ნუ იქნები – იყავი სამართლიანი; 54 – ადამიანები დაიხმარე, ნუ დაივალებ – იყავი მადლიერი; 55 – ღირსების გრძნობას ნუ შეურაცხყოფ – იყავი

თავაზიანი; 56 – გულგრილი ნუ იქნები – იყავი ყურადღებიანი; 57 – გრძნობების აღზნებას ნუ აყვები – იყავი მომთმენი; 58 – კერპს ხატად ნუ აქცევ – იყავი გონიერი; 59 – ხალხს ნუ განსჯი – იყავი შემნდობი; 60 – უაზროდ დროს ნუ გაფლანგავ – იყავი შემომქმედი; 61 – ხელაღებით თავსაც ნუ ენდობი; 62 – ყველასთან გულახდილი ნუ იქნები; 63 – სხვის აზრს ნუ გააქიაქებ; 64 – გადაადგილების წესებს ნუ დაარღვევ; 65 – ცდუნების ვარიანტებს ნუ აყვები; 66 – სხვის ცოლს ნუ გაუარშიყდები; 67 – ზემდგომთან გაშინაურებას ნუ ეცდები; 68 – სიყმაწვილეში ოჯახს ნუ მოეკიდები; 69 – სხვის დაჩაგვრას ნუ მოინდომებ; 70 – მადლობის გადახდა ნუ დაგავიწყდება; 71 – ისწავლე ანგარიშიგადანაწილება-შევაჭრება; 72 – ისწავლე მოსმენა – ისწავლე პატივისცემა – სიწყნარის ფასი; 73 – ისწავლე მიტევება-შენდობა-შეცნობა; 74 – ისწავლე შერკინება-კამათი-დამარცხების შეუმჩნევლობა; 75 – ისწავლე უარის თქმა „არ ვიცი“ – „არ მაქვს“ – „არ შემიძლია“; 76 – ისწავლე ულირსის შექება იმდაგვარად – თავისი ბუნება არ გაამჟღავნოს; 77 – ისწავლე კომპრომისებისდაყვავების-ნიშნისგების ხელოვნება ცხოვრების გაურთულებლად; 78 – ისწავლე დასვენების-მოგზაურობის-გართობის ხელოვნება ძალდაუტანებლად; 79 – ისწავლე – მჭერმეტყველება – ორატორობა და არა მარტო სიტყვების ფრქვევა; 80 – ისწავლე სხვა ერების ენა-კულტურა-მენტალიტეტი მათზე მორგებით; 81 – შეიცან საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის-პატივისცემისშენდობის მადლი; 82 – განსაზღვრე საკუთარი კვების რაციონი – მადის მოთოკვა – ფიზიკური დატვირთვა; 83 – იქონიე საკუთარი გემოვნება – თანამედროვეობის გათავისებით – გარეშეთა მოწონებით; 84 – გამოცდილება სხვათა შეცდომებზე შეიძინე – შეიცანი – უფრო იაფი დაგიჯდება; 85 – ზომიერი ასკეტიზმიდესპოტიზმი საკუთარ თავსაც არ აწყენს; 86 – საკუთარი ღირსება-თავმოყვარეობა-რწმენა არ შეურაცხყო; 87 – საკუთარი ნიჭი წარმოაჩინე – სხვის წარმოჩენას აშკარად ხელი არ შეუშალო; 88 – საკუთარი ქცევის ნორმების თავზე მოხვევას ნუ შეეცდები

– დრო საჭიროებისამებრ თავად გაითავისებს; 89 – საკუთარ გრძნობებს გაუფრთხილდი რა ოდენობითაც, მადლითაც, მცდელობითაც არ უნდა მოგადგეს; 90 – საკუთარ ინტუიციას ყური მიუგდე, არ უღალატო, არ გიღალატებს; 91 – ეცადე მთელი ცხოვრება ჭეშმარიტებით – დამოძღვრილი გზით იარო; 92 – ეცადე იყო საკუთარი საქმის პროფესიონალი – შემოქმედი – პროპაგანდისტი; 93 – საკუთარი აზრი აუცილებელია, ის დროის – სულის – შემთხვევის საჯილდაოა; 94 – იქონიე საკუთარი „ბზიკი" ზომიერების ფარგლებში – სხვებმა ანგარიში რომ გაგიწიონ; 95 – იცხოვრე საკუთარი შეხედულებებით – იმედით – მცდელობით და არა ილუზიებით; 96 – ეცადე გამოირჩეოდე თავაზიანობით – გონებაგახსნილობით – მომხიბვლელობით; 97 – გაითავისე ორიგინალური სადღეგრძელოები და სუფრის წარმართვის საკუთარი ხედვა; 98 – საკუთარი ინიციატივა იქ არ გამოიჩინო, სადაც არ გიცნობენ, ვერ გაგიგებენ; 99 – ყველგან იყოლიე შენი ხალხი – არც თავს, არც საქმეს არ ავნებს; 100 – იქონიე საკუთარი ჰობი – გატაცება სტრესის მოსახსნელად.

## ბერბიჭას ასაკის 100 ყმუილი _ სერენადა

ერთ წლამდე – აუუ, 1 წლის – დედა, 2 – მშია, 3 – ხელი გამიშვი, 4 – მომეფერეთ, 5 წლის – თიკო კარგი გოგოა; 6 – რომ გავიზრდები, ცოლად მოვიყვან; 7 – ენას მიყოფს, აღარ მომწონს; 8 – ია მაგაზე მაგარი გოგოა; 9 – ნელი კარგად სწავლობს; 10 – არ გადამიწერია; 11 – ვგონებ, სოფიკოს მოვწონვარ; 12 – ზარმაცია, ეგ ოჯახში არ გამოდგება; 13 – ბიჭებმა ხელცქვიტობაში გამანათლეს; 14 – გუშინ თეას ვაკოცე; 15 – ჟუჟუნამ და მე საწოლში რაღაც ვიჩალიჩეთ; 16 – შენ სექსი უძახე და დიდებულია; 17 – რა მჭირს, ყველა გოგო მომწონს; 18 – ცოტა თავხედი რომ ვიყო, ბევრ ქალს გემოს გავუგებდი; 19 –

ეს ჯანმრთელი ქალები რაღაც ვნებიანად მიყურებენ; 20 – ჩემზე ბევრია შეყვარებული; 21 – ცოლის მოყვანა სისულელეა; 22 – ჯერ დრო ჩემს გემოზე უნდა ვატარო; 23 – ზღვაზე ვიყავი, კარგ შხვართებში გავიჩითე; 24 – ქალი მაინც დიდი გამოგონებაა; 25 – დისკოთეკაზე სიარული მომბეზრდა; 26 – დროა ფულის შოვნა დავიწყო; 27 – კარიერასაც უნდა მივხედო; 28 – დროა ცოლი მოვიყვანო; 29 – ლილი ნამეტნავად მომთხოვნი გოგო ჩანს; 30 – სანამ უნდა ვიარო ამ ჩემი პენისის ჭკუაზე; 31 – დღეს ბიძა დამიძახეს; 32 – ვინ მოვიყვანო, არავინ არ მიყვარდება; 33 – რა დრო დადგა, ყველა ლოგინში გიგორდება, თუ უცოლო ხარ; 34 – მაყვალას ცოლად მოყვანა შეიძლება; 35 – მომბეზრდა ამ გაუთხოვარი ქალების გადანახულება; 36 – ყველას უნდა თავის ნაცნობი შემომასაღოს; 37 – არავისზე გული არ მიმდის; 38 – რა ჭირს ამ ჩემს მამაკაცის „ღირსებას"; 39 – ვანდამ ბავშვის გაკეთება მთხოვა; 40 – ზედმეტ ვალს ვერ ავიკიდებ; 41 – ტრანსპორტში იშვიათად, მაგრამ ადგილს მითმობენ; 42 – განათხოვარ ქალებსაც მთავაზობენ; 43 – ქვრივიც შემომთავაზეს; 44 – რაშია საქმე, ყავლი გამივიდა; 45 – ახალგაზრდა გოგონები აღარ მიყურებენ; 46 – ბაბუა დამიძახეს; 47 – ქალები მსაყვედურობენ, ერთ ჯერს ჩვენი ქმრებიც კი ახერხებენო; 48 – დროა, თავს მივხედო; 49 – ახალგაზრდობაში გაცნობილ ქალებს უნდა შევეშვა, ქილიკობენ, ადრე მეტი შეგეძლოო; 50 – უკვე ნახევარი საუკუნე გადავლახე; 51 – ამ ქალებს მთელი ღამე რომ გადავყვე, დილას მაინც უკმაყოფილონი არიან; 52 – ჯერ კიდევ არა მიშავს, თუ ახალგაზრდა გოგონა ჩამივარდება ხელში; 53 – ქალები აგრესიულები გახდნენ, ცოლად თავს უკვე თავად მთავაზობენ; 54 – ტელეფონით ქალის გამოძახება სისულელეა, პირველ რიგში, ფული აინტერესებთ; 55 – მომკლა სახლის დალაგებამ; 56 – სალომე კარგი ქალია, მაგრამ უკვე შვილიშვილი ჰყოლია; 57 – კიდევ კარგი, გულსუნდა არ მოვიყვანე, უშვილო გამომდგრა!; 58 – ხელს არავისთან არ მოვაწერ, ეტყობა, ჩემს ავლა-დიდებას ხარბდებიან; 59 – სამოქა-

ლაქო ქორწინებაა მოდაში; 60 – მუხლებში რაღაც სისუსტეს ვგრძნობ; 61 – ეროტიული პროგრამების ყურება აღმაგზნებს; 62 – თავს რაღაც სუსტად ვგრძნობ, მომვლელი მჭირდება; 63 – ზინა დაქვრივდა და ცოლად გამოგყვებიო, მთხოვა; 64 – მე და ზინა სექსუალურ საწყისებზე ვთანამშრომლობთ; 65 – ზინას დედაც ვატირე, მე მაგას ვემსახურო თუ ჩემს ჯანმრთელობას მივხედო; 66 – ისევ მარტო ვარ და არც ისე ცუდად, რომ მეგონა; 67 – ჩემი „ღირსება“ ამ ბოლო დროს უნამუსოდ მღლატობს; 68 – წნევამ გული გამიწყალა; 69 – ასაკოვანი ქალები უყურადღებოდ არ მტოვებენ; 70 – ვგონებ, ყუნწი მიხმება, ძალიან გავხდი, დავპატარავდი; 71 – სექსმაც ჭირი მოგჭამა და ეროტიკაზეც აღარ რეაგირებს; 72 –ალჰოკოლსაც ველარ ვიტან; 73 – სულელი ვარ, ერთი შვილი სადღაც უნდა მყოლოდა– ბედნიერი კაცი ვიქნებოდი; 74 – ვჭრაჭუნებ; 75 – ქალებთან ჭორაობას და ყბედობას ვუნდები, სხვაში მაინც არ ვარგივარ; 76 – ცუდად მძინავს; 77 – სახლიდან გასვლა მეზარება; 78 – დილით ადგომა და ვარჯიში დავიწყე; 79 – ყველაფერი წყალს წაუღია; 80 – იმქვეყნად წასულებს მაინც ვჯობივარ; 81 – სიარული მიჭირს; 82 – დრო როგორ გარბის; 83 – ძველი მოგონებები არ მასვენებენ; 84 – რა კარგი ყოფილა, ჩემი პენისის ჭკუაზე რომ დავწანწალებდი; 85 – ქალებთან დროსტარება შენი ძვირფასი ქონებაა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და შეგეცილება; 86 – სასაფლაოზე ადგილი უნდა შევიძინო; 87 – ანდერძი ხომ არ დამეტოვებინა ვინმესთვის? 88 – ვერც ვერავის რომ ვერ ენდობი?! 89 – ყვავი–ჩხიკვის მამიდები გამომიჩნდნენ მზრუნველებად; 90 – ყველა მოვლა-პატრონობას და სიყვარულს მთავაზობს, იმდენი მაგათი დედა ვატირე; 91 – სიცოცხლე მომბეზრდა თუ არა, ველარ გამიგია; 92 – ვგონებ კახური ავადმყოფობა, გამოთაყვანებასკლეროზი, შემომეპარა.; 93 – რადგან აქამდე მოვატანე, ვალდებული ვარ 100 წლამდე ვიცოცხლო; 94 – როგორც იქნა, მიზანი გამიჩნდა – ყველას ჯინაზე უნდა ვიცოცხლო; 95 – უნდა ვეცადო, ავად არ გავხდე; 96 – ჩემი დროის ნაცნობებს ველარ

ვხედავ; 97 – პანაშვიდებზეც აღარ დავდივარ.; 98 – შურით მიყურებენ, თითქოს მაგათ წავართვი წლები; 99 – ყველას დავავიწყდი; 100 – ცოლი არ უნდა მომეყვანა?!

## დაოჯახებული ქალის ასაკობრივი 100 სერენადა:

1 წლამდე – ალუ, 1 წლის – დედა, 2 – მშია, 3 – ლამაზი გოგო ვიქნები, 4 – საბავშვო ბაღში დავდივარ, 5 – ცოლად ლამაზ ბიჭს უნდა გავყვე, 6 – სკოლაში მიმიყვანეს, 7 – კლასში ჩემს გვერდზე რომ ბიჭი ზის, კარგი დედა ჰყავს, 8 – რა სულელები არიან ეს ბიჭები, გოგონებს გვეჩხუბებიან, 9 – ჩემ კლასელ გოგონებს ყველას ვჯობივარ, 10 – ჩემი მოწონებული ბიჭი ცუდად სწავლობს, ეგ ქმრად არ გამომადგება, 11 – ბიჭებმა ჩემი გულისთვის იჩხუბეს, 12 – ასაკით დიდი ბიჭები მომწონს, 13 – მენსტრუაცია დამეწყო, 14, – შემიძლია ბავშვი გავაჩინო, 15 – დღეს პაემანზე მივდივარ, 16 – ჩემმა თანაკლასელმა სიყვარული ამიხსნა, 17 – სკოლა დავამთავრე, 18 – გავიპარეთ, 19 – მამამთილისგან განსხვავებით, დედამთილს არ მოვწონვარ, 20 – ქალიშვილი შეგვეძინა, 21 – დედამთილთან ცხოვრება არ მინდა, 22 – მამაჩემმა მანქანა გვაჩუქა, 23 – გვარის გამგრძელებელი გავუჩინე, მამამთილის სახელი დავარქვი, 24 – ქმრის მშობლები დაგვეხმარნენ და კრედიტით ბინა გვიყიდეს, 25 – ბინის მოწყობას რამდენი რამე ნდომებია, 26 – რა მეჩქარებოდა გათხოვება, 27 – კარიერაზე უნდა ვიფიქრო, 28 – ქმარმა სახლში გვიან მოსვლას მოუხშირა, 29 – ეტყობა საყვარელი ჰყავს, 30 – დღეს მოვეწონე მამაკაცს, 31 – თუ ჭკუით არ იქნება, საყვარელს გავიჩენ, 32 – მომბეზრდა ყოველდღე სამსახურში უაზროდ სიარული, 33 – მესამე ბავშვი ხომ არ გამეჩინა? გავერთობი მაინც, 34 – ვგონებ ფეხმძიმედ ვარ, 35 – კვლავ ბიჭი გვეყოლა, 36 – ამ პატარაზე ვართ მთელი ოჯახი გადაყოლილი, 37 –

ქმარი უფრო ყურადღებიანი გახდა, 38 – აგარაკი შევიძინეთ, 39 – დედამთილმა ჩემი ჭკუის სწავლება არ მოიშალა, 40 – გოგო გამითხოვდა, 41 – სიძე არ მომწონს, მაგრამ ვინ შეგეკითხა, 42 – ქალიშვილის ბებია ვარ, 43 – უფროსი ბიჭი ვგონებ შეყვარებულია, 44 – ნეტავ ჩემი ოჯახის შესაფერ რძალს მომიყვანდეს, 45 – ქმარი დამიწინაურეს სამსახურში, 46 – ორჯერ ბებია ვარ, 47 – უფროსმა ბიჭმა ცოლი მოგვიყვანა, რა ეჩქარებოდა, 48 – საინტერესოა, როგორი დედამთილი ვიქნები, 49 – გვარის გამგრძელებელი შეგვეძინა, 50 – რძალ-შვილი ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად, 51 – ქმარი ნერვებს არაფერზე არ იშლის, 52 – რძალს შევეჩვიე, ქალიშვილი გვაჩუქა, 53 – დაქალებში სამასალაათოდ ვერ ვიცლი, 54 – მგონი ქმარი ისევ ქალებში დაძვრება, 55 – სახე უნდა გადავიჭიმო, გახდომა უნდა დავიწყო, 56 – ექსტრასენსთან ვიყავი, მიუთხრა, ცოტაც მოითმინე, შევულოცავ და სხვა ქალს აღარ გაეკარებაო, 57 – უმცროსი ბიჭი საეჭვოდ დაძვრება გოგოებში, ემანდ რძალი არ მომიყვანოს, 58 – მენსტრუაცია შემიწყდა, 59 – რამდენ კარგ ბიჭს მოვწონდი, 60 – ღვიძლში კენჭები აღმომიჩინეს, 61 – გინეკოლოგთან უნდა მივიდე, რაღაც ვერ ვარ კარგად, 62 – შვილიშვილი გაგვეპარა ბებიკოსავით, 63 – დიდი ბებია ვარ, 64 – პატარა ბიჭმა ცოლთან ერთად თავისი შვილი მოგვგვარა, 65 – ჩემს ქმარს გვერდიდან ვერ ვიშორებ, სულ ჩემთან ყოფნა უნდა, 66 – პენსიონერი ვარ, 67 – შვილიშვილები მოსვენებას არ გვაძლევენ, 68 – ეტყობა, მაინც კარგ დროს გავთხოვდი, 69 – ქმარი დამისუსტდა, ინტიმს აღარ მოითხოვს, 70 – რა კარგი შვილიშვილები და შვილთაშვილები მყავს, 71 – ქმარიც პენსიონერია, 72 – თავს უნდა შევუძახო, 73 – ქმარს სულ აგარაკზე ყოფნა უნდა, 74 – სულ რაღაც გვტკივა და გვაწუხებს, 75 – ქმარი დამიბერდა, არაფრის კეთება არ უნდა, 76 – ეხლა რომ გასათხოვარი ვიყო, მე ვიცი, ვისაც გავყვებოდი, 77 – შვილებს აღარ ვახსოვართ, 78 – ჯამრთელობას უნდა მივხედო, 79 – შვილიშვილებსაც დავავიწყდი, 80 – რა ჯანდაბა გვჭირს: მეორე შვილიშვილიც გაგვეპარა, 81 –

დიდი ბებიის-ბებია გავხდი, 82 – ახლა მინდა სიცოცხლე, შვილიშვილის შვილს უნდა მოვესწრო, 83 – ჯერ-ჯერობით ყოჩაღად ვარ, 84 – ასაკის მატება მაინც იგრძნობა, 85 – ქმარმა სერიოზულად დაიწყო ჭრაჭუნი, 86 – მეც საავადმყოფოში ვიწექი, 87 – დასამარხი ფულის შენახვა დავიწყე, 88 – შვილების იმედი არ მაქვს, 89 – ქალიშვილმა ფული მთხოვა, ვასესხე, 90 – მაინცდამაინც ავად უნდა გავხდე, რომ შვილებმა გვინახულონ, 91 – ჩემი ბიჭი ძალზე დაბერებულა, 92 – ყველას ჩემი ასაკისა შურთ, 93 – დავქვრივდი, 94 – რამდენი ნაცნობი და ახლობელი გარდაიცვალა, 95 – საინტერესოა 100 წლამდე ვიცოცხლებ?!, 96 – ასაკთან შედარებით თავს ყოჩაღად ვგრძნობ, 97 – ჩემი ასაკის ყველა ახლობელმა, ნაცნობმა ჭირი მოგვჭამა, 98 – არავის დასაფლავებაზე აღარ დავდივარ, 99 – მეოთხე თაობაც გაგვეპარა, 100 – დიდი ბებია ვარ მეოთხე ხარისხში, სიცოცხლე გრძელდება.

## გაუთხოვარი ქალის ასაკობრივი 100 სერენადა:

1 წლამდე – აღუ, 1 წლის – მომეცი, 2 – კაკები მომიტანეთ, 3 – მე თვითონ, 4 – უნდა გავლამაზდე, 5 – შეყვარებული ვარ, 6 – მაგას ცოლად უნდა გავყვე, 7 – როგორ მაბრაზებს, 8 – ერთი მაცემინა, 9 – რა შეუხედავია, 10 – აღარ მომწონს, 11 – რა უცნაურად მიყურებს, 12 – ვგონებ მოვწონვარ, 13 – ერთად ვსეირნობთ, 14, – კოცნა როგორ გამიბედა, 15 – ღმერთო, რა უხეშია, 16 – ეს ბიჭი სხვაზე უკეთესია, 17 – ნეტავი ვუყვარვარ?, 18 – ჩვენი ოჯახის შესაფერისი არ არის, 19 – ხომ არ გავთხოვდე? 20 – ჯერ კარიერა უნდა გავიკეთო, 21 – ჩემი დაქალი გათხოვდა, 22 – მეც ხომ არ გავთხოვილიყავი? 23 – რატომ ვინმე გაგიჟებამდე არ მიყვარდება? 24 – ბევრს მოვწონვარ, 25 – იმას როგორ გავყვები, 26 – ეს ღარიბია, 27 –ალბათ, დროა გავთხოვდე,

28 – იმან სხვაზე დაქორწინება როგორ გაბედა, 29 – რა საძაგელნი არიან ეს კაცები, 30 – დროში ვიწვები, 31 – ნაცოლარს არ გავყვები, 32 – მირიგებენ, მაგრამ დამიწუნა, 33 – სხვის შვილებს ვერ გავზრდი, 34 – ვგონებ გაუთხოვარი ვრჩები, 35 – ერთი შვილი მაინც მოვასწრო, 36 – ნამდვილად ბედი არ მაქვს, 37 – კიდევ დამიწუნეს, 38 – აღარავის მირიგებენ, 39 – დეიდა დამიძახეს, 40 – რა უბედური ვარ, 41 – მაგათ ჯინაზე მაინც გავთხოვდები, 42 – ვინმე ხეირიანი ცოლგაყრილი მაინც გამოჩნდებოდეს, 43 – არც ხეირიანი ქვრივი ჩანს სადმე, 44 – სად დაიკარგნენ ეს კაცები, 45 – არც ბავშვებიანი კაცები ჩანან, 46 – ნაოჭები მეტყობა, 47 – სასწრაფოდ კოსმეტიკა, მასაჟი, წონის დაკლება, 48 – ვარჯიში უნდა დავიწყო, 49 – ასაკთან შედარებით ვგონებ კარგად გამოვიყურები, 50 – კაცები კიდევ მიყურებენ, 51 – დღეს ბებია დამიძახეს, 52 – კაცებო, თქვენი დედა ვატირე, 53 – სულ ერთიდაიგივე ქალები თხოვდებიან, 54 – ის გათხოვილი უნდა იყოს და მე გაუთხოვარი? 55 – ის კაცი არ უნდა დამეწუნებინა, 56 – იმას რომ გავყოლოდი, დღეს ქვრივი ვიქნებოდი, 57 – რაღაც ყველაფერი მაწუხებს, 58 – მენსტრუაციული ციკლი შემიწყდა, 59 – ნეტავი მამაკაცს ვნახავდე მოსავლელად, 60 – დამლაპარაკებელი მინდა, 61 – პენსიაში გამიშვეს, 62 – ბედი არაფერში მაქვს, 63 – ტანი დამიმძიმდა, 64 – სულ მოვეშვი, 65 – თავს უნდა შეუძახო, 66 – მომკლა ექიმებში წანწალმა, 67 – რა ბიჭები მეძლეოდნენ!.. 68 – ისე, ყველაფის ღირსი ვარ, 69 – მე რომ შვილი მყოლოდა, 70 – ჰაერზე უნდა ვისეირნო, 71 –ახლა გასათხოვარი შვილიშვილი უნდა მყავდეს, 72 – ბედი არ მქონია, 73 – ასე უპატრონოდ უნდა მოვკვდე? 74 – ვგონებ სიბერეში უფრო გავლამაზდი, 75 – ვინმეს უნდა მივეკედლო, 76 – პატრონი არ მყავს, 77 – ყველაფერი მე როგორ მაწუხებს, 78 – მოსაკლავი ვარ, უნდა გავყოლოდი ვინმეს, 79 – რა უნდათ ჩემგან, 80 – ყველა ჭკუას მარიგებს, 81 – მაგათ მე მოხუცი ხომ არ ვგონივარ, 82 – სიარული მიჭირს, 83 – როგორ გარბის ეს დღეები, 84 – პენსიას მიგვიანებენ, 85 – დღეს იმის

დასაფლავებაზე ვერ წავალ, 86 – გარეთ გასვლა აღარ მინდა, 87 – ასაკი მაინც ტეხავს, 88 – ვჭრაჭუნობ, 89 – ეტყობა აღსასრულის დროც დამიდგა, 90 – თუ ამ ზამთარს გავაღწიე, 92 – ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ, 93 – სად წავიდე, 94 – ახლა რა დროსია, 95 – ამ წლამდე მივაღწიე, 96 – გამოვუძვერი ავადმყოფობას, 97 – უნდა ვეცადო გრიპი არ შემხვდეს, 98 – საოცარია, ცოცხალი ვარ, 99 – უნდა გავთხოვილიყავი, 100 – ვინ იცის, რა მომელის იმქვეყნად..

## 100 დასამახსოვრებელი პიროვნება – ხონში დაბადებული

1. ადამია გიორგი (1904-?) ს. მათხოჯი. ექიმი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გადაუდებელი თერაპიის კათედრის გამგე.

2. ადამია ნოე (1917-1942) ს. მათხოჯი. სამამულო ომის გმირი.

3. ბახტაძე გიგლა (1918-1996) ს. კონტუათი. მწერალი, ექიმი, თბილისის ონკოლოგიური ისნტიტუტის მეთოდოლოგიის კაბინეტის გამგე.

4. ბახტაძე გიორგი (1916-1957) დ. ხონი. სამამულო ომის გმირი.

5. ბახტაძე ვალერიანი (ვალია) (1896-1930) დ. ხონი. ცნობილი რევოლუციონერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, გაზეთ „მუშა და გლეხის" და ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი.

6. ბახტაძე ილარიონი (ბუჭა) (1882-1921) დიდი ძალის პატრონი, მას დამარცხებული ჰყავს იმ დროის ყველა სახელოვანი მოჭიდავე, რომლებიც ხონში ჩამოდიოდნენ მასთან დასაჭიდებლად.

7. ბახტაძე ილია (ხონელი) (1859-1900) დ. ხონი. მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი.

8. ბახტაძე მიხეილი (მიშა) დ. ხონი. ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახლის დირექტორი, ქორეოგრაფი, ბავშვთა საცეკვაო ანსამბლების ხელმძღვანელი, მრავალი თაობა ჰყავს გამოზრდილი.

9. ბახტაძე ოთარი – დ. ხონი. მუსიკალური კომედიის თეატრის წამყვანი მსახიობი.

10. ბახტაძე ქსენია (1899-1978) დ. ხონი. ცნობილი სელექციონერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. და საკავშირო სოფ. მეურნეობათა აკადემიების აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი.

11. ბერიძე ვუკოლი (1883-1963) დ. ხონი, ენათმეცნიერი, საქ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტი.

12. ბობოხიძე აკაკი – ს. გორდა. იმერეთის გუბერნატორი.

13. ბობოხიძე კალე – ს. მათხოჯი. პოეტი.

14. გეგელია თენგიზი (1928) პატარა ჯიხაიში. მათემატიკოსი საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

15. გვენცაძე რომანი – დ. ხონი. საქ. შინაგან საქმეთა მინისტრი.

16. გოგელია არჩილი – დ. ხონი. ტელევიზია-რადიოს კომიტეტის თავმჯდომარე.

17. გოგელაშვილი შალვა (ხონელი) (1887-1972) დ. ხონი. ქუთაისის მაზრა. მსახიობი, რეჟისორი, საქ. სახალხო არტისტი, სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ხონში.

18. გორდაძე გიორგი (1897-?) ს. კუხი. ექიმი, პარაზიტოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

19. დანელია დემური (1937) დ. ხონი. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქ. ეროვნული საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, მასალათა გამძლეობის კათედრის გამგე. მსოფლიო ჩემპიონი ლუდის სმაში გინესის წიგნშია შეტანილი.

20. თოფურია გივი – დ. ხონი თვალის ქირურგი. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

21. ივანოვი ბორისი – დ. ხონი. საქ. სასოფლო-სამეურნეო ორიენტაციის ქიმიის კათედრის გამგე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

22. კაკაბაძე იოსები (1864-1940) ს. კუხი. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელი სამუშაოებზე საქართველოში.

23. კაკაბაძე ვასილი (1888-1968) დ. ხონი. ქიმიის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი, საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

24. კაკაბაძე სარგის (1886-1967) ს. კუხი. ისტორიკოსი, საქ. ისტორიული არქივის გამგე.

25. კაკაბაძე სილოვანი (1895-1979) დ. ხონი. მოქანდაკე, საქ. სახალხო მხატვარი.

26. კაკაბაძე-ღუდუშაურისა მარგარიტა (1916-) დ. ხონი. საქ. დამსახურებული ექიმი, შრომის გმირი.

27. კაკაურიძე გიზო (1948) ს. ახალი ბედისეული. ქ. ქუთაისის სატირულ-იუმორისტული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

28. კასრაძე ვლადიმერი (1910-1968) ს. მათხოჯი. დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

29. კვანტალიანი გიორგი (1933) საზოგადოება „ხონელის“ დამაარსებელი 1994 წლიდან და მისი თავმჯდომარე.

30. კიკნაძე ვასილი (1929-?) ს. ახალშენი. თეატრმცოდნე, საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, რეჟისორი.

31. კიკალიშვილი არჩილი (1943) ს. მათხოჯი. კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის პროფკავშირების თავმჯდომარე.

32. ლოჩოშვილი გულნარა (1939) საქართველოს ნაკრების წევრი კალათბურთში, თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი.

33. მამფორია ნორა (1934) საზოგადოება „ხონელის“ აქტიური წევრი და გაზეთ „ხონელის“ რედაქტორი.

34. მებუკე გოდერძი (1936-2005) დ. ხონი. თბილისის აბრეშუმის გაერთიანების გენერალური დირექტორი.

35. მელაძე ვლადიმერი (1905-?) ს. მათხოჯი. მეტალურგი, საქ. დამსახურებული ინჟინერი, გამომგონებელი, თბილისის სპილენძის საგლინავი ქარხნის დირექტორი.

36. მელქაძე სევერიანი (1914-182) ს. ახალი ბედისეული. გუბის ჩაის ფაბრიკის უცვლელი დირექტორი.

37. მესხი ლეილა (1938) ს. ახალი ბედისეული, მწერალი.

38. მეძველია კონსტანტინე (1907-1974) ს. ნასახულევი, ლიტერატურმცოდნე მეც. დოქტორი, პროფ., საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

39. მოსეშვილი ვარლამი (1971-1943) ს. გუბი ფარმაკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

40. მოსეშვილი იასონი (1976-1968), ს. გუბი. ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

41. მოსეშვილი ნიკოლოზი – დ. ხონი. საქ. ფილარმონიის და მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი.

42. მოსე ხონელი (XI-XII) დ. ხონი. თამარ მეფის მდივან-მწიგნობარი, მას მიაწერენ „ამირანდარეჯანიანის" ავტორობას, ბიოგრაფია არ შემოგვრჩენია.

43. მჟავანაძე ვასილი (1902-1988) ს. გუბისწყალი. მაშინდელი ქუთაისის მაზრა. გენერალლეიტენანტი, შრომის გმირი, სსრკ პოლიტბიუროს წევრი, საქ. კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივანი.

44. მჭედლიძე ნანა (1926) დ. ხონი. წარმატებული რეჟისორი საქ. სახალხო არტისტი.

45. რონდელი დავითი (ნამდვილი გვარი ცაგარეიშვილი) (1904-1974) დ. ხონი. მაშინდელი ქუთაისის მაზრა კინორეჟისორი, საქ. სახალხო არტისტი.

46. რუხაძე ვარლამი (1974-1935) ს. ქუტირი პოეტი.

47. სანაძე გია (1964) საქართველოს კალათბურთის ნაკრები წამყვანი მოთამაშე, თამაშობდა საზღვარგარეთის სხვადასხვა კლუბებში.

48. სანაძე ვლადიმერი (1918-2003) დ. ხონი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

49. სანაძე კორნელი (1907-20**) დ. ხონი. ფერმწერი, გრაფიკოსი, საქ. სახალხო მხატვარი.

50. სანოძე დუდარი (1939) დ. ხონი. საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ფეხბურთელი, ხონის კოლორიტი.

51. საღარაძე გიორგი (1906-1950) დ. ხონი. მსახიობი, რეჟისორი.

52. სამსონიძე მზია (1936) ს. ივანდიდი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

53. ტაბიძე დიმიტრი (1901-1965) დ. ხონი აგრონომ-მევენახე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

54. ტერელაძე აკაკი (1919-1943) ს. გვაზაური. სამამულო ომის გმირი.

55. ფარცხალაძე ლენა (1937) დ. ხონი. კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი.

56. ფარცხალაძე მაყვალა (1937) დ. ხონი. კალათბუთელი, საქართველოს ნაკრების წევრი.

57. ფარცხალაძე ალექსი დ. ხონი. მუსიკათმცოდნე, კომპოზიტორი.

58. ფარცხალაძე ქეთევანი (1907-1988) დ. ხონი. საქ. დამსახურებული მასწავლებელი თბილისის სხვადასხვა სკოლებში სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი და დირექტორი.

59. ფეიქრიშვილი ჟუჟუნა ს. ახალშენი, მწერალი.

60. ფირცხალავა გერასიმე (1912-?) ს. მათხოჯი. ისტორიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

61. ფირცხალავა ნოე (1912-?) ს. მათხოჯი. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

62. ფირცხალავა სამსონი (1872-1952) ს. მათხოჯი. ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

63. ქაცარავა კორნელი (1881-1938) დ. ხონი. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. საქ. სსრ შრომის გმირი, მუშაობდა სხვადასხვა პასუხიმგებელ თანამდებობებზედ.

64. ქაცარავა გიორგი (1927-2003) დ. ხონი. თბილისის „დინამოს“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ მეკარე ფეხბურთში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

65. ქაჯაია დავითი (1912-?) ს. გვაზაური. პროფესორი, კონსტრუქტორი, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, თბ. სამხატვრო აკადემიის სამშენებლო-საინჟინრო კათედრის გამგე.

66. ქუთათელაძე აპალონი (1959-1972) ს. ივანდიდი. ფერმწერი, სსრკ სახალხო მხატვარი.

67. ქუთათელაძე ვლადიმერი (ლადო) (1901-1981) დ. ხონი. გრაფიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

68. ქუთათელაძე იოველი (1887-1963) დ. ხონი. ფარმაკო-ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმია-ფარმაცევტიის მრეწველობის ფუძემდებელი.

69. ქუთათელაძე კალისტრატე (1909-1983) ს. ივანდიდი. ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

70. ქუთათელაძე სამსონი (1914-1986) დ. ხონი. სსრკ მეც. აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი თბოფიზიკის, ჰიდროდინამიკის და ენერგეტიკის დარგში.

71. ყვინჩია ალექსანდრე – დ. ხონი. ხონის თეატრის დამსახურებული რეჟისორი 1935 წლიდან.

72. ყუფარაძე ალექსანდრე (1923-1998) დ. ხონი. რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე. საქ. სპორტის დამსახურებული მწვრთვნელი.

73. ყუფარაძე გიორგი (1897-1954) დ. ხონი. გენერალ-მაიორი 406 ქართულ მსროლელთა დივიზიის მეთაური.

74. ყუფარაძე-კახიძისა ირმა (1980) ს. კუხი. საქ. საგანმანათლებლო ცენტრის, ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

75. ყუფარაძე ლენა (1924) დ. ხონი. საზოგადო მოღვაწე, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ხონის საბრძოლო მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი.

76. ყუფარაძე მიხეილი (1924-2007) დ. ხონი. საქ. ტუბერკულოზის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

77. ყუფარაძე ხუტა (1942-2003) დ. ხონი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, მწერლობის ტრფიალით, პოეზიაშიც სცადა ბედი, გამოცემული აქვს ლექსების წიგნი.

78. შავლაყაძე რობერტი (1933) დ. ხონი. რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში.

79. ჩაგუნავა შალვა (1903-?) ს. ხონი. კინიორეჟისორი, ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქ. კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

80. ჩერქეზია ოთარი (1938-2005) ს. ქუტირი. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

81. ჩომახიძე სპირიდონი – ხონის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორი, თავისი დროს ცნობილი ფეიქარი.

82. ჩხენკელი აკაკი (1874-1959) დ. ხონი. პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1921) წლებში.

83. ჩხენკელი ვეტა (1935) დ. ხონი. მსახიობი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

84. ცაგარეიშილი შალვა (1901-1983) დ. კუხი. პარტიული მოღვაწე. საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველოს უფროსი.

85. ძიძიგური აკაკი – ს. მათხოჯი. საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კონსულტანტი, დირექტორი.

86. ძიძიგური ვარლამი (1889-1957) ს. მათხოჯი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქ. დამსახურებული მასწავლეებლი ვ. გვახარიასთან ერთად შეადგენა „დედაენა", რომელიც 18-ჯერ გამოიცა.

87. ძიძიგური მედეა ს. მათხოჯი. ესტრადის პოპულარულიო მომღერალი.

88. ძიძიგური შოთა (1911-?) ს. მათხოჯი. ენათმეცნიერი, ქართული ენის და ლიტერატურის მკვლავარი, ბასკოლოგი, მეც. დოქტორი, პროფესორი, საქ. მეც. აკად. აკადემიკოსი.

89. წვერავა სიმონი (1905-1962) დ. ხონი. მწერალი, კრიტიკოსი.

90. წივწივაძე დალი (1942) დ. ხონი. სოციალისტური შრომის გმირი.

91. წივწივაძე ილია (1881-1938) დ. ხონი. პარტიული და სამხედრო მოღვაწე ქ. მოსკოვში

92. წულუკიძე ალექსანდრე (საშა) (1876-1905) დ. ხონი. პროფესიონალი რევოლუციონერი.

93. ჭელიძე თინა (1938) დ. ხონი. პოეტი.

94. ხაჭაპურიძე ავთანდილი – დ. ხონი, ავიაკონსტრუქტორი.

95. ხვიჩია იპოლიტე (1910-1985) ს. კონტუათი, კინოს და თეატრის პოპულარული მსახიობი, საქ. სახალხო არტისტი.

96. ხოზუა რეზო – დ. ხონი. კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი.

97. ხუროძე ადოლფი (1911-?) ს. მათხოჯი. საქართველოს კვების და მრეწველობის მინისტრი.

98. ხუროძე ვარლამი (მალაქიაშვილი) (1883-1939) ს. მათხოჯი. მწერალი, პუბლიცისტი.

99. ხუჭუა ალიოშა – დ. ხონი. ცნობილი პარტიზანი, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვრით და ვერცხლის ვარსკვლავით დააჯილდოვა.

100. ჯანჯღავა ვლადიმერი (1907-1982) ს. გუბი გენერალლეიტენანტი, სამხედრო მოღვაწე, სამამულო ომის გმირი.

**ათი საუკეთესო ხონელი**

1. აბაშიძე ირაკლი (1909-1992)
2. ვაშაკიძე ტარასი (1909-1992)
3. კაკაბაძე დავითი (1889-1957)
4. კაკაბაძე პოლიკარპე (1993-1972)
5. მოსე ხონელი (XI-XII)
6. მჭედლიძე ნანა (1926)
7. ქუთათელაძე იოველი (1887-1963)
8. შავლაყაძე რობერტი (1933)
9. ხვიჩია იპოლიტე (1910-1085)
10. ჯანჯღავა ვლადიმერი (1907-1987)

უპირველესი ხონელი **მოსე ხონელი (XI-XII)**

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ დაბადების ადგილი ზოგ ხონელს სხვადასხვა ქალაქი უწერია, ფაქტიურად ისინი ხონში არიან დაბადებულები. ეს ეტყობა ან დროზე იყო დამოკიდებული ან ხონელების „მეტიჩრობა– თავის მოწონებაზე“. მაგ. ამ წიგნის ავტორიც ხონშია დაბადებული, „დედულეთში“, მაგრამ დაბადების ადგილად თბილისია აღნიშნული.

# რა გვაქვს ქართველებს კარგი და რა ცუდი 100-ის ფარგლებში

| | რა გვაქვს კარგი | რა გვაქვს ცუდი |
|---|---|---|
| 1. | არ განვიკითხავთ, განვსჯით | ამბიციურები ვართ |
| 2. | ამაყები ვართ | ამპარტავნობა გვახასიათებს |
| 3. | ამხანაგობა მოგვწონს, ვიცით | აზრს ყოფისა და პერსპექტივის შესატყვისად ვიცვლით |
| 4. | ასაკს პატივს მივაგებთ | ავები-ბრაზიანები ვართ, მაგრამ „კეთილი ბუნებით“ |
| 5. | აქტიურობა გვახასიათებს | „ამან როგორ უნდა მაჯობოს“ – შურიანები ვართ |
| 6. | ავ-კარგიანები ვართ | არაფერი მოგვწონს |
| 7. | აზრი საკუთარი გვაქვს | აუცილებლად საწინააღმდეგო უნდა ვთქვათ |
| 8. | ბუნებით რეფორმატორები ვართ | აყოლილები ვართ ფეხის ხმას |
| 9. | განათლებისკენ მისწრაფება გვაქვს | ახლობელს საქმეში ვერ ენდობი, მოგატყუებს |
| 10. | გასაჭირში თანადგომა ვიცით | ბევრს ვლაპარაკობთ კაცობაზე, წესიერებაზე, ყასიდად |
| 11. | გულკეთილები ვართ | ბუტიაობა ვიცით, „ბოღმის თაიგულები ვართ“ |
| 12. | გულჩვილობა მოგვსდევს | „გიჟ ვრაცუები“ (გიჟი ქართველები) ვართ |
| 13. | გამყოლი გული არ გვაქვს | გვიყვარს ზედმეტად თავის გამოჩენა, თავის გამოდება |
| 14. | გონება-მახვილობა მოგვწონს, ვართ | განგების ნაბოძებ ტერიტორიას შესატყვისად ვერ ვიყენებთ |
| 15. | გარდაცვლილის ხსოვნას პატივს მივაგებთ | გაზვიადება ყველაფრის გვიყვარს |
| 16. | გამოქომაგება ვიცით | გრძნობების მოთოკვა გვიჭირს |
| 17. | დარბაისელი ბუნებისა ვართ | გაუტანლობა გვახასიათებს |
| 18. | დარწმუნების უნარი შეგვწევს | გარემოს უდიერად ვექცევით |
| 19. | დედა უზომოდ გვიყვარს | დაუჯერებლები ვართ |
| 20. | დიპლომატები ვართ | დაუდევრობა გვახასიათებს |
| 21. | ენატკბილად მოსაუბრენი ვართ | დაგეგმილ-დაწყნარებული ცხოვრება არ მოგვწონს |
| 22. | ენერგიულობა გვახასიათებს | დიდგულები ვართ |
| 23. | ენაკვიმატობა მოგვწონს | დაყვედრება-დამადლება ვიცით |
| 24. | ვიცით კარგის და ცუდის ფასი | დღევანდელი დღით ვცხოვრობთ |
| 25. | ზომიერად კონსერვატორები ვართ | დიქტატურისკენ გვაქვს მიდრეკილება |
| 26. | ზრუნვა სხვაზე გვსიამოვნებს | ერის გამრავლებისთვის საქმით არ ვირჯებით |
| 27. | თამამი ბუნების ვართ | ერთმანეთს არ ვენდობით, არ გვჯერა |

| | რა გვაქვს კარგი | რა გვაქვს ცუდი |
|---|---|---|
| 28. | თავის ღირსეულად დაჭერის უნარი | ეკონომიკაზედ მწყრალად ვართ |
| 29. | თავაზიანობა | ერთ ადგილზე ვერ ვეტევით |
| 30. | თავისუფლებას ვეტრფით | ვაფეტიშებთ ყოველივე უცხოურს ანალიზის გარეშე |
| 31. | თანადგომა ვიცით | ვალის დაბრუნებას ხშირად ვერ ვახერხებთ, გვიჭირს |
| 32. | თავის წარმოჩენა უცხო გარემოშიც გვეხერხება | ზედმეტად ემოციურები ვართ |
| 33. | თანამდებობას ვიფერებთ, ვერგებით | ზერელობა საქმეში |
| 34. | თამადობა, სუფრის გაძღოლა | ზომიერების გრძნობა გვაკლია |
| 35. | თავს ყველას არ ვუყადრებთ | ზურგსუკან ლაპარაკი, დაცინვა ვიცით |
| 36. | ინდივიდუალიზმი | ზედმეტად თავი მოგვწონს და „თავდავნატრით“ |
| 37. | ინტერესიანი ხალხი ვართ, ინიციატივიანი | თავხედები ვართ, თავს „კონტროლს ვერ ვუწევთ“ |
| 38. | ინტერნაციონალური ბუნებისანი ვართ | თავქარიანობა |
| 39. | იუმორის გრძნობა გვაქვს, მისი ფასი ვიცით | თავმდაბლობით არ გამოვირჩევით |
| 40. | იმედს არასოდეს არ ვკარგავთ | თავნება, თავის მომაჩვენებელი ხალხი ვართ |
| 41. | კულტის მსახურთ პატივს ვცემთ | იმიჯს არ ვუფრთხილდებით |
| 42. | კომუნიკაბელურები ვართ | იმედის იმედით ვცხოვრობთ, ვარსებობთ |
| 43. | კომპრომისის უნარი | კარიერის გულისთვის უკადრებელს ვიკადრებთ |
| 44. | კულინარია | კუთვნილზე ყოველთვის მეტი გვინდა |
| 45. | ლმობიერობა | კუდაბზიკები ვართ |
| 46. | მოვალეობის გრძნობა ახლობელთა მიმართ | ლოლიალობა გვახასიათებს უსაქმურთა მიმართ |
| 47. | მეგობრებს, მეგობრობას ყველგან ვეძებთ | მოჩვენებითია ბევრი რამ |
| 48. | მეზობლობა ვიცით | მაქსიმალისტები ვართ |
| 49. | მიზანდასახულობა | მუდამ სხვის იმედზე ვართ |
| 50. | „მასმედიის“ მიმართ ყურადღებიანები ვართ | მოსმენა, ყურის გდება არ ვიცით |
| 51. | მეცნიერება და მასში „ჩალიჩი“ მოგვწონს | ნიშნის მოგება მოგვწონს |
| 52. | მასწავლებლებს ვაფასებთ | ორაზროვნება |
| 53. | მოხერხებულობა, ეშმაკობა | ორჯერ-ორი ჩვენთვის ყოველთვის ოთხი არ არის |

| | რა გვაქვს კარგი | რა გვაქვს ცუდი |
|---|---|---|
| 54. | ნიჭიერება | პოლიტიკაში ვჩალიჩობთ და არ ვიღვწით |
| 55. | ნათელ-მირონს პატივს მივაგებთ | პატიოსნებაზე თავს ვდებთ – რაზედაც ხშირად მწყრალად ვართ |
| 56. | ნაცნობობის წრის გაფართოებას ვცდილობთ | საკუთარ ტყავში ვერ ვეტევით |
| 57. | ოჯახისადმი ერთგულება | საგარეო ხალხი ვართ |
| 58. | ორიგინალურ აზრებზე ვნადირობთ | სიყვარულიც ხშირად გაუგებარი ვიცით |
| 59. | ორგანიზაციული ნიჭი | სხვისი საქმის გარჩევა გვიყვარს |
| 60. | პირველობას ვცდილობთ | საქმის თითიდან გამოწოვა მოგვწონს |
| 61. | პოეზია გვიყვარს | საკუთარ შესაძლებლობებს რეალურად არ ვაფასებთ |
| 62. | პროგრესს ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ | სიზარმაცე გვახასიათებს |
| 63. | პიარის უნარი | სხვათა გაქილიკება მოგვწონს |
| 64. | პროფესიონალიზმს პატივს მივაგებთ | სამშობლოს უფრო სიტყვით გვიყვარს, ვიდრე საქმით |
| 65. | პატივისცემა ვიცით, მოგვწონს | საკუთარი უსუსურობა ვცდილობთ სხვას გადავაბრალოთ |
| 66. | ჟინიანობა | სხვის „მომხიბვლელ" ცუდს სწრაფად ვითვისებთ |
| 67. | რისკის გაწევის უნარი | ტრაბახი გვიყვარს, თავის წარმოჩენით |
| 68. | სპორტისაკენ გვაქვს მიდრეკილება | ტყუილის თქმა გვიყვარს, ვერ ვეშვებით |
| 69. | სამშობლოდან დაშორებას განვიცდით | უაზრო პატივმოყვარეობა „უტრაკო ყარაჩოღელობა" |
| 70. | სტუმარ-მასპინძლობის უნარი | უყაირათოები ვართ |
| 71. | სმის კულტურა | უკანა რიცხვით ჭკვიანები ვართ |
| 72. | სულგრძელობა | უპასუხისმგებლობა |
| 73. | სიახლე მოგვწონს, გვაინტერესებს | უმადურობაც |
| 74. | საერთო ენის გამონახვის ნიჭი | უგნურების დღესასწაულების მოწყობა მოგვწონს |
| 75. | საკუთარი აზრი ყველაფერზე | უიმედო იმედით ვცხოვრობთ და ხელს არ ვანძრევთ |
| 76. | სიყვარული ვიცით, ზოგჯერ მოჭარბებული | უაზროდ რაღაცის გაფეტიშება ვიცით |
| 77. | სალი აზრი მოგვწონს, პატივს მივაგებთ | ფეხებზემკიდია ხალხი ვართ |
| 78. | სანდომიანი ხალხი ვართ | ფუფუნებისკენ გვაქვს მიდრეკილება |

| | რა გვაქვს კარგი | რა გვაქვს ცუდი |
|---|---|---|
| 79. | ტრადიციის მიმდევრები ვართ | ფულის ყადრი არ ვიცით |
| 80. | ტოლერანტობა გვახასიათებს | ფეხის დადება გვეხერხება |
| 81. | უმეგობროდ თავს ცუდად ვგრძნობთ | ქველმოქმედს ხშირად არ ვაფასებთ „აოხრია და გვაძლევსო“ |
| 82. | უცხო გარემოში არ ვიბნევით, თავს კარგად ვგრძნობთ | ქურდული სამყაროს მიმართ ლოიალები ვართ |
| 83. | უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს პატივს მივაგებთ | ღალატისკენ გვაქვს მიდრეკილება |
| 84. | უარის თქმა გვიჭირს | „ყველაფერი ვიცით“ |
| 85. | ფილოსოფოსობა მოგვწონს | ყოველივე მუქთად, უწვალებლად გვინდა |
| 86. | ქალისადმი პატივისცემას ბავშვობიდან გვინერგავენ | ყველგან ვაგვიანებთ, იგვიანებენ |
| 87. | ქომაგობა გულით ვიცით, მოგვწონს | ყოველივეს ჩვენი გადასახედიდან ვაფასებთ |
| 88. | ღირსებით თავის დაჭერა ვიცით | ყოველთვის მართლები ვართ |
| 89. | ყურადღებიანები ვართ | ყველა ჩვენს ვალშია |
| 90. | შვილებზე. მათ ნაშიერზე გადაყოლა ვიცით | ყველა „ტალეირანია“ |
| 91. | შემწყნარებელი ბუნება, ხასიათი გვაქვს | ყოველივეს გაზვიადება ვიცით და მოგვწონს |
| 92. | ჩვენი ბედის ვარსკვლავის მარად გვჯერა | ყველაფერზე წამსვლელები ვართ „ჩვენ თუ არაფერი მოგვივა“ |
| 93. | ჩაცმა-დახურვას მოდაზე ვახერხებთ, ვცდილობთ | ყველას წილში ჩაჯდომას ვცდილობთ |
| 94. | ცხოვრებას საკუთარი შეხედულების შესატყვისად ვცდილობთ | ჩვენი ადგილი არ ვიცით სამყაროში, სამყოფში |
| 95. | წინაპართა ფესვებს ვეძებთ, პატივს მივაგებთ | ძლიერს ვემონებით და ამით თავი მოგვაქვს |
| 96. | წინაპართა ხსოვნას პატივს მივაგებთ | წარსულის გამოცდილებას არ ვითვალისწინებთ |
| 97. | ჭირში და ლხინში გვერდზე დგომა ვიცით | წინგაუხედავი ხალხი ვართ |
| 98. | ხათრიანი ხალხი ვართ | „ჭკუაზე წიხლის დაჭერა გვეზარება, გვიჭირს“ |
| 99. | ხელის ჩაქნევა არ ვიცით | ჯიუტობა გვახასიათებს |
| 100. | ჯიშის და ჯილაგის რაობას ყურად ვიღებთ | ჰარი-ჰარალო ხალხი ვართ |

# ინფორმაცია მოსახლეობის მახასიათებლების პროცენტულ განაწილებაზე (21–85 წლის ასაკში)

1. 0,0000001% მრავალმხრივი გენიოსია.
2. 0,000001% ბრძენია, მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედია.
3. 0,00001% მოაზროვნეა, ტალანტია, პიროვნებაა, ლამაზია, ბუნებით ორატორია.
4. 0,007% დაავადებულია „სპიდით“.
5. 0,001% ბუნებით მანიაკია, თაღლითია, სულით მახინჯია.
6. 0,05% გენეტიკურად მოწესრიგებული ადამიანია.
7. 0,04% ბუნებით პედოფილია.
8. 0,5% ნარკომანია, კრიმინალია.
9. 0,3% სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება.
10. 0,2% ფლობს ანალიზის უნარს, პედანტია.
11. 0,1% ბუნებით დიპლომატია.
12. 1% სანდომიანია, კეთილია, გულისხმიერია.
13. 1,2% აყალ-მაყალის მოყვარულია, შარიანია.
14. 1,4% ნაციონალური გრძნობები დაქვეითებული აქვს, კოსმოპოლიტია.
15. 1,6% ბუნებით უსაქმურია, ციხეში ნაჯდომია.
16. 1,8% ლოთია.
17. 2,0% ურწმუნო თომაა.
18. 2,2% უზომოდ და უაზროდ მშრომელია.
19. 2,4% ფსიქიურად მოუწესრიგებელია, დაულაგებელია.
20. 2,6% ბუნებით სუტენიორია.
21. 2,8% ბუნებით მეძავია, წინააალმდეგი არ არის ამ პროფესიით იცხოვროს.
22. 3,0% მექალთანეა.
23. 3,2% ბუნებით ავანტურისტია.
24. 3,4% თავხედია.
25. 3,6% ცინიკოსია.
26. 3,8% მოსწონს მთაში ცხოვრება.

27. 4,0% ეთაყვანება კლასიკურ ხელოვნებას, ბალეტს.
28. 4,2% კრიმინალისკენ აქვს მიდრეკილება.
29. 5,0% მლიქვნელია.
30. 5,2% დაგეგმარების, წინჭვრეტის უნარი შესწევს.
31. 5,4% დამყოლია.
32. 5,6% გმირობის ჩადენისთვისაა მოწოდებული.
33. 5,8% შესწევს ნაღდი სიყვარულის უნარი.
34. 6,0% ყველას დამცველია, არამკითხე მოამბეა.
35. 6,4% მეცნიერებისკენ, სიახლის კვლევისკენ აქვს მიდრეკილება.
36. 6,6% თავშეკავების უნარი შესწევს.
37. 6,8% შეუძლია კვების პროდუქტების დაგემოვნება.
38. 7,0% „ორთქლმავალია“, ლიდერია.
39. 8,6% აქვს ადამიანებუს შეცნობის უნარი.
40. 8,8% სხვის შვილს ზრდის, უცოდინარობის და ცოლის ღალატის გამო.
41. 9,0% ინდივიდია, მათ შორის: ფიზიკურად 8%, გონებრივად 1%.
42. 9,2% გულიანი ადამიანია, სანდოა, კეთილშობილია.
43. 9,4% ზედმეტად მიმდობია, ყველაფერს იჯერებს.
44. 9,6% მოხერხებულია, ეშმაკია.
45. 9,8% სპორტისკენ აქვს მიდრეკილება.
46. 10,0% „ყოველთვის მართალია“.
47. 10,2% ბილწსიტყვაობისკენ აქვს მიდრეკილება.
48. 10,4% სწავლისთვის არაა დაბადებული, ეზარება, ბუნებით ზარმაცია.
49. 10,6% მუსიკალური ნიჭი აქვს.
50. 10,8% „დედიკოს შვილია“.
51. 11,0% უინიციატივოა, უინტერესოა.
52. 11,2% უყვარს მარტოობა, ინდივიდუალისტია.
53. 11,4% გამოუსწორებელი ეჭვიანია.
54. 11,6% მასწავლებლადაა დაბადებული.

55. 11,8% უყვარს დროსტარება, უაზრო მოლხენა, ძალად დასაქმებულია.
56. 11,9% კარგი მოსაუბრეა, უყვარს ანეგდოტების მოყოლა.
57. 12,0% დღევანდელი დღით ცხოვრობს.
58. 12,4% ხარბია, ზედმეტად შურიანია.
59. 12,6% სამართლიანია, პატიოსნების მქადაგებელია, ოღონდ თავისი გადასახედიდან.
60. 12,8% გადაგვარებული სექსისკენ აქვს მიდრეკილება.
61. 13% სულით ნუდისტია.
62. 14,0% ათეისტია.
63. 14,2% მოსწონს წყნარი, ექსცესების გარეშე ცხოვრება.
64. 14,5% ბუნებით დამსმენია, ჩამშვებია.
65. 15,0% იუმორის გრძნობა დაქვეითებული აქვს.
66. 16,0% გააჩნია მადლიერების გრძნობა.
67. 17,0% ნდობას არ იმსახურებს.
68. 18,0% ეთაყვანება პოპ და თანამედროვე მუსიკას, ჯაზს.
69. 18,5% გულუბრყვილოა, ადვილად მოსატყუებელია.
70. 19,0% ბუნებით მხდალია.
71. 20,0% კამათისთვის არის გაჩენილი.
72. 21,0% ბუნებით ბეჯითია, შრომა უყვარს.
73. 22,0% სპორტის ქომაგია, აქედან 2% ფანატია.
74. 23,0% სიგარეტს ეწევა.
75. 24,0% ყოველთვის მართალია.
76. 25,0% ყველაფერი „იცის“.
77. 26% კაცობაში იჭრება, დანაპირებს არ ასრულებს.
78. 27% ინფორმაციას ფლობს, მაგრამ უცოდინარია.
79. 28% მოდასაა აყოლილი.
80. 29% შესწევს მოთმინების უნარი.
81. 30,0% წინააღმდეგი არ არის სხვა ქვეყანაში გადავიდეს საცხოვრებლად.
82. 32,0% იძულებულნი ვართ ვენდოთ, იმისდამიუხედავად, რომ მასში ეჭვი გვეპარება.

83. 35,0% სიცრუისკენ აქვს მიდრეკილება, ხოლო აქედან 5% ცრუპენტელაა.
84. 36,0% მოგზაურობის, თავგადასავლების ტრფიალია.
85. 38,0% წინ ვერ იყურება, მაგრამ დარიგებას უკადრისობს.
86. 40% დღევანდელი დღით ცხოვრობს.
87. 42% დაბადებულია დედობისთვის, მამობისთვის, მრავალშვილიანობისთვის.
88. 70% ცრუმორწმუნეა, აქედან 10% ცრუმორწმუნეობის პოსტულატებს იცავს.
89. 74,0% ოჯახის შექმნის წინააღმდეგ არ არის.
90. 75% ქალაქში დამკვიდრებას ცდილობს.
91. 80,0% მორწმუნეა, აქედან ღრმად მორწმუნეა 5%, სწამთ 28% ყოველშემთხვევისთვის სწამთ 40-50%.
92. 85,0% უმადურია, აქედან 10% წინააღმდეგი არ არის ნიშანი მოგიგოს, ხოლო 5% გავნოს.
93. 90,0% ხელისუფლება როგორც უნდა ისე შეატრიალებს, თუ სასუსნავს აღუთქვამს.
94. 91,0% ჭორაობისკენ აქვს მიდრეკილება.
95. 93,0% ვაგონია აქედან 85% ყველა ორთქმავალს უპრობლემოდ ჩაებმება, ხოლო 8% ორთქმავლობას ცდილობს.
96. ფეხის ხმასაა აყოლილი, მადლეირების გრძნობა არ გააჩნია.
97. საყოველთაო არჩევნების მომხრეა, აქედან მხოლოდ 2% აქვს ღირსეული კანდიდატის შერჩევის უნარი.
98. 97% წინააღმდეგი არ არის ერთხელ შესცოდოს, ცხოვრება მოიწყოს და დარჩენილი წლები უდარდელად ატაროს.
99. 98% თავზე წარმოდგენა აქვს, აქედან 68% დიდი, ხოლო 20% განდიდების მანიითაა, შეპყრობილი.
100. 99% ქვეყნის წარმატება უხარია, აქედან 50% გულით.

შენიშვნა: მამაკაცის ტვინი ქალის ტვინთან შედარებით 100-150 გრამით მეტს იწონის, მაგრამ დღეს ქალები მამაკაცებს ბევრ რამეში აღარ ეპუებიან და სჯობნიან. ამასთან, მართალია ქალები ადრე ბერდებიან, მაგრამ მამაკაცებზე მეტ ხანს ცოცხლობენ.

## 100 ენაზე „მე შენ მიყვარხარ“

არა მგონია, ქალს, რომელსაც ას ენაზე ეტყვი „მე შენ მიყვარხარ“ თქვენს მიმართ გულგრილი დარჩეს, რადგან მონდომებით ამ სიტყვების დაზეპირებაც გულიდან არის ამოხეთქილი და ამას ყველა ქალი, პასუხის მიუხედავად გულთან ახლოს მიიტანს. ასე, რომ მამაკაცებს ქალის მოხიბვლაში კიდევ ერთი დამატებითი შანსი გვეძლევათ.

1. ადიღეურად – სე ორი პლეგუნ
2. ავარულად – დიი მუნ იოტლულა
3. ავლანურად – მა დი კაველ მინა
4. აზერბაიჯანულად – მან სანი სევირამ
5. ალბანურად – უნე დუა ტი
6. ალტაი – მენ სენი ტურარ
7. ამხარულად – აფემგერე ანტე
8. არაბულად – ანა ბეჰიბაკ (მამაკაცს) ანა ბეჰიბეკი (ქალს)
9. აფრიკელები – ეკ ჰეტ იოუ ლიეფ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – ეკ იზ ლიფ ჯოუ
10. აფხაზურად – სარა ბარა ბზია (მდედრობითი); სარა ბსბოიტ ბზია (მამრ.)
11. ბაშკირულად – მინ ხინე იარატაუ
12. ბელორუსულ-უკრაინულად – ია ციაბე კეხაიუ (ია ტებე კოხაიუ)
13. ბენგალურად – ამო ტომაკე ბლაჰო ბაში
14. ბერძნულად – ეგო აგაპო (ფილო) სუ
15. ბირმა – ჩენა ტინგო ჩხი ტი (ჩუმმა ტინგო ჩხი ტი)
16. ბისაუ – ნაჰიგუმა აკო კანამო
17. ბულგარულად – ობიჩამ ტე
18. ბურიატია – ბი შამაი დურლახა
19. გერმანულად – იჰ ლიბე დიჰ
20. დანიურად – იეგ ელკსერ დით

21. დუნგალები – ვო ჟიაი ნი
22. ევენკები – ბი სინე ვია
23. ეთიოპია – აფჟრეკი
24. ერზიანები – მონ ტონ ვეჩკემს
25. ესკიმოსები – ნა ლიგივაგეტ
26. ესპანურად – ი ტე ამო (იო ტე კიერო)
27. ესპერანტო – მი ამას ვინ
28. ესტონურად – მა არმასტან სინდ
29. ვიეტნამურად – ემ იეუ ან
30. თათრულად – მინ სინი იარატამ
31. თურქულად – ბენ სანა სევიორუმ /სენ სევი(ჯ)ორუმ
32. იაპონურად – სკიდეს/აი სიტე იმასუ
33. იდიში – ობ დიხ ლიბ
34. ივრითი – ანი იჰევ ოთახ
35. ინდონეზია – საია ცინტა პადამუ
36. ინდური – ნენუ ნინუ პრემისტანანუ
37. ინგლისურად – აი ლავ იუ
38. ირლანდიურად ტაიმ ი’ ნგრა ლეატ
39. ისლანდიურად – ეგ ელსკა ტიგ
40. იტალიურად – ტე ამო
41. კამბოჯა – სორო ლაჰნ ნჰეე აჰ ცანტინეს
42. კანადურად – ნაანუ ნინნა პრეეტისუტტენე
43. კატალონია – ტესტიმო
44. კომო – მე რადეიტ ტენე
45. კორიაკები – გიმნან გიჩჩი ილნუ ლინიკ
46. კორსიკა – ტი ტენგი კატუ (ქალს)
47. კუმიკები – მენ სენი სიუიიმ
48. ლაკური (დაღესტანი) – ნა ვინ ჰირა ხუნ
49. ლათინური – ეგო ტუ ამარე
50. ლაოსი – ხოი ჰუკ ჩაუ
51. ლატვია – ეს ტეკი მელუ
52. ლიტვა – აშ მილუ ტავე

53. ლუანდა – ნკუკვაგალა
54. მაკედონიური – იას ტებე საკამ
55. მალაგაი – ტია იანუო აო
56. მალაიზიური – აკუ კუნდა კაპადა ავაკ
57. მარი – მიი ტიიმიმ რატამ
58. მეგრულად – მა სი მიორქ
59. მოლდავურ-რუმინულად – ეუ ტე იუბესკ
60. მონღოლურად – ბი ტანდ ხაირტაი
61. მორდვა – მონ ვეჩკან
62. ნავახი (დინე) კა-ტა-უურ-დ
63. ნენცები – მან ხამზანგავ სიტ
64. ნეპალი – მა ტიმილაი მაია გარჩუ/მა ტიმილაი მან პარაუჩუ
65. ნივხები – (გილიანურ) კოდი მოდი ჩმოდ
66. ნორვეგიული – ეგ დეგ ელსკი
67. ოსურად – აეზ დაე ვარზინ
68. პოლონურად –ია ცე კოხამ / კოხამ ცე
69. პორტუგალიურად – ა მო ტე
70. რუსულად – ია ტებია ლუბლუ
71. სერბო-ხორვატულად – ია ტუ ვოლეტი
72. სვანურად – მი სი მალატ
73. სლოვენურად – იაზ ტი ლიაბიტა
74. სლოვაკურად – მამ ტია რად
75. სომალურად – ანიგა კუ ესელ
76. სომხურად – ეს კეს სერუმემ
77. სპარსულად – მან ტო ეისჩ/ თორა დოსტ დარამ
78. სუახილი – მიმიკუპენდა
79. ტაგალები – აკო სიია უმიბიგ
80. ტაივანურად – ვა გა ეი ლი
81. ტამილები – ნან უნნაი კადალირენ
82. ტაჯიკები – მან ტულ ნოხს მეტინამ
83. ტუვები – მენ სენ ინაკშირ
84. უდმურტულად – იარატიშკე მონ ტონე

85. უზბეკურად – მენ სენი სევამან
86. უნგრულად – სერეტლეკ
87. ურდუ – მაი ააპ საია პიაარ კარტა პოო
88. ფილიპინები – მაჩალ კიტა
89. ფინურად – მინა რაკასტან სინუა
90. ფრანგულად – ჟე ტემ
91. ქურთულად – ასტა ხაზაგამ
92. ყალმუხურად – ბი ჩი დურტა ბოლხ
93. შვედურად – ია(მ) ალსკარ დეი
94. შონა (ზიმბაბვე) – ნდინოკუდა
95. ჩეჩნურად – სუნა ხიო დუკა ეზა
96. ჩეხურად – მილუი ტე
97. ჩინურად – ვა აი ნაი /ვო აი ნი
98. ხაკასები – მინ სინ ჰინარ
99. ჰოლანდიურად – იკ ხუიდ ვან იუ
100. ჰავაი – ალოჰა ვაუ ია ოი

## 100 შესანდობი სიტყვა, რათა უნორმატივო ლექსიკა არ გამოვიყენოთ

შე: ახირებულო, ახვარო, ახვირაკო, ახმახო, აბეზარო, ავყია, ბრიყვო, ბანძო, ბოლმა, ბითურო, ბაცანა, გაფუჭებულო, გულქვა, გაიძვერა, გაქნილო, გაუმაძღარო, გამქცევო, გამყიდველო, გველო, გიჟო, გონჯო, გაფუებულო, გოიმო, გაიძვერა, გამოთაყვანებულო, გაუთლელო, გადამგდებო, დურაქო, დუპლეტო, დებილო, დუდღუნა, დონდლო, დაჩმორილო, დემაგოგო, ევნუხო, ვიგინდარა, ვირეშმაკო, ვირიშვილო, ვირო, ზარმაცო, ზანტო, თაღლითო, თავნება, თავაწყვეტილო, იდიოტო, იუდა, კაცუნა, კაციჭამია, ლაველასო, ლაზღანდარა. ლაქუცა, მამაძაღლო, მასხარა, მოსულელე, მოუქნელო, მაბეზღარა, მლიქვნელო, მეძავო,

ნაძირალა, ნახიშტარო, ნაბიჭვარო, ოხერო, ორგულო, ორანგუ-ტანო, პამპულა, პირფერო, ჟულიკო, როშო, როყიო, სულელო, საძაგელო, ტუტუცო, ტრაკო, „ტრიაპკა“, ფარისეველო, ქერქეტა, ქარაქუცა, ქაქო, ღენტერა, ყალთაბანდო, ყბედო, ყეყეჩო, შინაყუდა, ჩერჩეტო, ჩამშვებო, ჩამკაკლავო, ჩხუბისთავო, ჩასვრილო, ცეტო, ცოდვილო, ცანცარა, ცუდო, ძრომიალა, ძუნწო, წუწკო, წუნია, ჭინჭყლო, ჭიჭყინა, ხეპრე, ჯიხვო.

## 100 „უ“-ს უარყოფის სერენადა

უაზრო, უამხანაგო, უავკარგო, უბოდიშო, უგულო, უგემოვნო, უგერგილო, უგრძნობი, უგვანო, უვარგისი, უდარდელი, უეფექ-ტო, უზნეო, უზრდელო, უთავბოლო, უთადარიგო, უთვისტომო, უთაო, უილბლო, უილაჯო, უინიციატივო, უთვისტომო, უკონტრო-ლო, უკეთურო, უკარება, უკუღმართი, უკომპრომისო, ულმობელი, ულამაზო, ულოგიკო, უმიზნო, უმწეო, უმარილო, უმწიფარი, უნაყოფო, უნაღვლო, უნუგეშო, უნიადაგო, უნათესაო, უნების-ყოფო, უნიათი, უნამუსო, უპატრონო, უპერსპექტივო, უპასუ-ხისმგებლო, უპრინციპო, უპურადო, უპეწო, უჟმური, ურგები, ურწმუნო, უსინდისო, უსისტემო, უსულგულო, უსახო, უსარ-გებლო, უსახელო, უსუსური, უსაქციელო, უსაქმური, უსახური, უღირსი, უტვინო, უტრაკო, უფულო, უუფლებო, უუნარო, უფერული, უფხო, უქნარა, უქონი, უღონო, უღიმღამო, უღვთო, უღირსი, უღმერთო, უყაირათო, უყისმათო, უყალიბო, უშედეგო, უშნო, უშინაარსო, უჩინო, უცერემონიო, უცხვირპირო, უცნაური, უძირო, უწესო, უწიგნური, უწყალო, უჭკუო, უჭირისუფლო, უხა-ლისო, უხამსი, უხეში, უხერხემლო, უჯიშო, უჯიგრო, უჯილაგო, უჰორიზონტო.

# სიყვარულის ერთდროული 100 ყივილი

1. 1. დიდი სიყვარული თითქმის ყველა ოჯახს ანგრევს ან გამოცდას გადის.

2. სიყვარული „თავისუფალ სივრცეს" ითხოვს, რომელიც საყვარელი საქმიანობის გარეშე ვერ იარსებებს.

3. სიყვარული სულიერების, გონიერების, წვრთნას მოითხოვს.

4. სიყვარული, სულიერებასთან ერთად, მატერიალურს, ხელშესავლებსაც, მოითხოვს.

5. სიყვარული მუდამ დაფასებულ-წახალისებული უნდა იყოს.

6. სიყვარული ერთდროულად „კაცობასაც" მოითხოვს და „მანდილოსნობასაც".

7. სიყვარული ნაკლს იტანს, მაგრამ ვერ ეჩვევა.

8. სიყვარული ეჭვიანობას ვერ ინელებს ცხოვრებას გვიმწარებს.

9. სიყვარული ცოლს ასაკში უფრო მეგობრად აქცევს ვიდრე ჩვენი ოცნების ქალად.

10. სიყვარული პატარ-პატარა წამლიქვნელებით, თავის კომპლიმენტებით ძალას იძენს და ლამაზდება.

11. სიყვარული ემოციური მამაკაცებისგანაც მარად შეყვარებას და სულ მოფერებას ითხოვს.

12. სიყვარული ვნებათა დაოკებას სიყვარულითვე ითხოვს.

13. სიყვარული გამუდმებით სხვებთან შედარებით ზიანდება და მას ძალზე ვნებს.

14. სიყვარული თავისებური გაწელილი ჯოჯოხეთია, რომლის გამოცდის წინააღმდეგი არავინაა.

15. სიყვარული მასზე ცუდის გაფიქრებას ვერ იტანს.

16. სიყვარული ამბიციურია და გარკვეულ დრომდე უხდება კიდეც.

17. სიყვარული აგვამაღლებს, მაგრამ უფრო საკუთარ თვალში.

18. სიყვარული ნერვების ანარქიაა.

19. სიყვარული თავის აქტივს და პასივს, წლების გადასახე-დიდან, მისდაშეუმჩნევლად ითვლის.

20. სიყვარული ის ანკესია, რომელზე წამოგებასაც ყველა ოცნებობს.

21. სიყვარული აპრობირებას განვლილი ცხოვრების გადასა-ხედიდან ახდენს.

22. სიყვარული ის აღტკინებაა, რომელსაც ადამიანის გული ვერ უძლებს და დაუფიქრებლად ნებდება მის ღიტინს.

23. სიყვარული ის ბოჰემაა, რომლისგანაც თავის დაღწევა გვინდა, მაგრამ არ ვჩქარობთ.

24. სიყვარული თავისებური ბედნიერებაა, შედეგის მიუხე-დავად.

25. სიყვარული გაღიზიანებით მყარდება და არა გაკერპებით.

26. სიყვარული კერებს არ ეძებს, ის თავადაა სათაყვანებელი კერპი.

27. სიყვარული თავისებური გამოწვევაა შენი დაუმორჩი-ლებელი სურვილების განმჟღავნებით.

28. სიყვარული თავისებური გიჟმაჟობაა, გაჯიუტების გარეშე.

29. სიყვარული უმთავრესად დაყვავებაა, დაკოდილი გულის მორჩენით.

30. სიყვარული თავისებური დიქტატურაა, რადგან მის მოქიშპეს ამის გაფიქრებაც აფორიაქებს.

31. სიყვარული თავისებური დიპლომატია.

32. სიყვარული დაქუხებაცაა, შენდამი არაკეთილად განწყო-ბილთა მიმართ.

33. სიყვარული დისკუსიას ვერ იტანს, რადგან ის აქსიომაა.

34. სიყვარული თავისებური უიმედო დარდია, რომელიც დროის მსვლელობაში იკურნება.

35. სიყვარული სულიერების ეროტიკაა.

36. სიყვარული ეშმაკობასაც იფერებს თუ ეგოიზმში არ გადა-იზრდება.

37. სიყვარული არა მარტო ვალდებულებაა, არამედ თავისებური ვალია წინაპართა წინაშე, მომავლის გათავისებით.

38. სიყვარული ის ზმანებაა, რომელიც მარად თანამეწყვილეს ზურგსაა ამოფარებული.

39. სიყვარული თავისებური ზნეობაა.

40. სიყვარული ზრუნვას მოითხოვს.

41. სიყვარული თავბრუხვევაა, სადაც აზრის მოსაკრებად არავინ იღვწის.

42. სიყვარული ის თავდავიწყებაა, რომელიც მისდაუნებლიედ თავს დანატრის.

43. სიყვარული ის თავბრუხვევაა, რომელიც შემართებას მოითხოვს.

44. სიყვარული ის თამასუქია, რომელიც მომავლის იმედს დაუფიქრებლად ენდობა.

45. სიყვარული არა მარტო თანადგომაა, არამედ თანამზრახველობაც.

46. სიყვარული თვითტანჯვაა, თუ პარტნიორია მორცხვი და გაუბედავი.

47. სიყვარული შეყრას ოცნებით და იმედით ითხოვს.

48. სიყვარული იღბლიანიც არსებობს და უიღბლოც, გააჩნია, რომელი მხრიდან შევხედავთ.

49. სიყვარული კრძალვასაც იფერებს და გაუბედაობასაც.

50. სიყვარული მარადკეთილშობილების გვერდში დგას.

51. სიყვარული მარად ლაზათის აღქმაშია.

52. სიყვარული სასიამოვნო ლოდინია, თავდავიწყებით.

53. სიყვარული თავისებური ლოცვაა, პარტნიორის იმედით.

54. სიყვარული ის მოჯადოებაა, რომლისგან თავის დაღწევა არ გინდა.

55. სიყვარული ანგარიშმიუცემელი უანგარო მზრუნველობაა.

56. სიყვარული თავისებური წყურვილია, ვნების დაოკებით.

57. სიყვარული ზოგჯერ მოპოვებას საჭიროებს საქმიანობით, ქცევით, მოხერხებით.

58. სიყვარული მადლიერებაა მგზნებარებით.

59. სიყვარული შეუცნობელი მოლოდინის მშვენებაცაა.

60. სიყვარული სულის აზოზოქრება-გაამაყებას მგზნებარებით იწვევს.

61. სიყვარული ნეტარებაა, ნატვრაზე დაყრდნობით.

62. სიყვარული ოცნებებისთვის ფრთების გამოსხმაა კვადრატში.

63. სიყვარული პასუხისმგებლობაცაა საზოგადოების წინაშე.

64. სიყვარული პრესტიჟის გამოცდაა საკუთარი თავის წარმოსაჩენად.

65. სიყვარულის ჟრუანტელს არაფერი შეედრება.

66. სიყვარული წყვილთა სასიამოვნო ლტოლვაა, სხვისთვის გაუგებარ ენაზე.

67. სიყვარული რწმენაცაა საკუთარი თავისადმი.

68. სიყვარული სულიერების სამსხვერპლოცაა.

69. სიყვარული სიამაყეცაა.

70. სიყვარულის სურნელის „სუსხი" სხეულში გაივლის.

71. სიყვარული უაზრო ფიქრთა გორაა.

72. სიყვარული სულიერების სასუსნავია, გრძნობების გაამაყებით.

73. სიყვარული სულის სითამამეა სიამაყის შეცნობით.

74. სიყვარული თავისებური ტრფობაა, ზოგჯერ ტრფიალის შეხახვისთავებით.

75. სიყვარული ხშირად უენოა, გარძნობათა მორევით.

76. სიყვარული უმწიკვლობას ამშვენებს.

77. სიყვარული ფაქტიურად უზადოა ყველა თავის გამოვლინებით.

78. სიყვარული ჩვენთვის გაუგებარ უცნაურობათა კონგლომერატია.

79. სიყვარული ურთიერთგაგიჟებაა ურთიერთგაგების საწყისზე.

80. სიყვარული უენოა, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს.

81. სიყვარული თავისებური უზრუნველყოფაა, სიამის მოგვრით.

82. სიყვარული სულის ფარფატია, ოცნებათა გროვაში.

83. სიყვარული თავისებური ფეტიშია, საკუთარი მეობის წინაშე.

84. სიყაავრული სულიერი ქალწულობის მოძღვარიცაა, თანამეცხედრეს წინაშე.

85. სიყვარული ქალს ქალღმერთად აქცევს ქომაგების გარეშე.

86 სიყვარული ვნების ალად ქცევაა, მომავლის გათავისებით.

87. სიყვარული ქორწინებას წერტილს არ უსვამს, მხოლოდ მძიმეებით აღჭურვავს.

88. სიყვარული ღვთის ნებაა, შემთხვევისთვის ხელის ჩაჭიდებით.

89. სიყვარული თავისებური ღირსებაა, მისთვის გასაგები ღირებულებებით.

90. სიყვარული ჩვენი სულიერების ღვთიური ღიღინია.

91. სიყვარული მისთვის გასაგები ყისმათით დაგრიალებს.

92. სიყვარული თავისებური შეთქმულებაა საკუთარი თავის წინაშე.

93. სიყვარული შთაგონებაა, თავისებური შემართებით.

94. სიყვარული საკუთარ სულთან ჩალიჩია, საკუთარ მეზე ალიყურის ჭმევით.

95. სიყვარული თავისებური ცელქობაა, ცეტობის ელემენტებით.

96. სიყვარული გონის ძალისხმევასაც მოითხოვს.

97. სიყვარული მისდაშეუმჩნეველ წესრიგს და წესიერებას მოითხოვს.

98. სიყვარული თავისებური ხარებაა, ჭირხლის გარეშე.

99. სიყვარული ჯადოქრობაა, თავისებური ჯილდოთი.

100. სიყვარული ჰარმონიაა, სულიერების მოუთოკავად.

## ბიზნესის ძირითადი 100 პარამეტრი მისი რეალობიდან გამომდინარე

1. თუ ბიზნესს „ფეხი გადაუბრუნდა“, ყველას ვალშია და ყველა ჭკუას არიგებს.
2. დავიმახსოვროთ, ბიზნესში ის გამოდგება, ვინც ესკიმოსს თოვლს მიჰყიდის და არაბს – ქვიშას, ხოლო ორივეს დაამადლის, იაფად დაგითმეთო.
3. შეეცადეთ გარანტიის გარეშე, დროით აყვავებულ ბიზნესში სერიოზულად ფული არ დააბანდოთ (სტრიპტიზი, მასაჟის სახლები, სათამაშო ბიზნესი) ეკონომიკურად დანგრეულ ქვეყანაში.
4. ბიზნესში სარეალიზაციო ფასები წინასწარ კვლევას, გამართლებას, მოითხოვს, მაგრამ მაინც გონიერების და გამოცდილების ჩარევით.
5. ბიზნესი მაინც უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უნდა ასაღებდეს, დრო და დრო ფასების ჩამოკლებით, თუ უნდა მუდმივი მყიდველი ჰყავდეს.
6. ქონების დროული პრივატიზება არ დააყოვნოთ, შედარებით იაფადაც შეიძენთ, რათა შემდგომ „აზრზე მოსული“ კანონების წინაშე პირდაღებული არ დარჩეთ.
7. ბიზნესი მოთხოვნა-მიწოდების მოგვარების საფუძველია.
8. მუდმივი კონტროლი ყველა წარმატებული ბიზნესის თანამგზავრია.
9. ქვეყნის დანგრეული ეკონომიკისას ბიზნესის ამოქმედება შეიძლება მხოლოდ არაპოპულარული ქმედებებით, რადგან დაყვავება, ორჭოფობა, გაუბედაობა პროცესს აჭიანურებს, მიზანს ვერ აღწევს.
10. ბიზნესი გადამუშავების ცოდნაზე და პიარზეა აგებული და არა ნედლეულის მოპოვება-ვაჭრობაზე.
11. ბიზნესისთვის საკუთარი იმიჯი აუცილებელია, შეთხზული სასიამოვნო ისტორიებით.

12. „ხუმრობაც“ ასორტიმენტის და სახის შესატყვისად უნდა გავყიდოთ.
13. ბიზნესმა გეგმიური ეკონომიკა თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს, მაგრამ ბოლომდე არ უნდა ენდოს.
14. ბიზნესმა, ფულის კეთებასთან ერთად, ქველმოქმედება, სიკეთის კეთებაც ნებაყოფლობით უნდა ისწავლოს, საქმეს უკეთ წარმართავს.
15. ბიზნესი კურდღელივითაა, იმ ქვეყანაში, რეგიონში გადაბარგდება, სადაც რეალური საქმის კეთება შეუძლია, და მის მოგებას საფრთხე არ ემუქრება.
16. ბიზნესს თავის გემოზე ცხოვრების უფლებას არ აძლევენ, თუ ვინმე გვერდზე ჩაივლის, ყველას წილში ჩაჯდომა და წაგლეჯა სურს.
17. პატრიოტიზმი ბიზნესისთვისაც სავალდებულო გრძნობაა, მაგრამ ზომიერების და გონიერების ფარგლებში.
18. ბიზნესში მანამ იქნება ანარქია, გაუგებრობა, მანამ ვაგონებად დაბადებულნი, ელმავალობას შეეცდებიან.
19. ბიზნესში პატრიოტობას ერთნაირი სიჩქარით გადაადგილება და სხვადასხვა დროს მუხრუჭზე ფეხის დაჭერა სჭირდება.
20. ბიზნესი მკაცრი სინამდვილეა: უნდა-არ უნდა, მომგებიანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განწირულია.
21. ბიზნესმა განზრახ გაკოტრება გამორჩენის მიზნით არ უნდა იკადროს – იმიჯის დაკარგვა დაუშვებელია,შეუფერებელია.
22. ბიზნესი საკუთარ თავს ყოველთვის ჯიბრში უნდა ედგას, რათა შედეგიანი იყოს.
23. ბიზნესში ნდობა და ურთიერთპატივისცემა უპირველესია და სახელის უნებლიე შელახვასაც კი უნდა ერიდოს.
24. ბიზნესში საჩუქრის გაცემა, დასპონსორება, უნდა ვისწავლოთ და არა ქრთამის გაცემა და უკანგორება, რადგან ეს ქმედება ბოლოს კრიმინალამდე მიგვიყვანს და მეტად დაგვაზარალებს.
25. ბიზნესში უმთავრესი პირობა მოგების ცივილიზებული, ანგარიშიანი ხარჯვაა და არა მოჩვენებით თავის მოწონება.

26. ბიზნესში დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათმის არჩევას, ისევ ახლად გამოჩეკილი წიწილის არჩევა და შენს გემოზე „გამოზრდა“ სჯობს.
27. ბიზნესი ეკონომიკის კანონებს პოლიტიკის გათვალისწინებით უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ არ უნდა ემონებოდეს.
28. ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვას უნდა ეცადოთ, მაგრამ ძირითადი საქმიანობის პროფილს არ უნდა აცდეთ.
29. ბიზნესი უნდა ეცადოს პერსპექტიული საწარმოს, საქმიანობის შექმნას რეგიონებში და არა დედაქალაქში, მეტი დაფასება აქვს და ნაკლები ყურადღება ზემდგომიდან.
30. ბიზნესში „ჩემიას“, ადრე თუ გვიან, „ჩვენია“ სჯობნის, რადგან ტექნიკური პროგნოზის დაწევა  და მასზე მორგება ჭირს.
31. ბიზნესი ხალხს უნდა მოელაპარაკოს, ზემდგომს მოჩვენებით მოეფეროს, „წილში ჩაისვას“, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება.
32. ბიზნესისთვის სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობა, უცხო გარემოს და ენების ათვისება, აუცილებელია.
33. ბიზნესში სხვისი ჯიბიდან შენს ჯიბეში ფულის გადმოტანა მომგებიანი ცოდვაა, მოტევების ცოდნით.
34. ბიზნესმა თავის რომ დაიფასოს, ზოგჯერ თავის საწარმოში უმუშევრად დარჩენის საშიშროება უნდა შექმნას, რადგან ადამიანებს ხშირად ის არ აკმაყოფილებს, რაც აქვთ.
35. ბიზნესმა ფული ყოველთვის მოგებით უნდა აკეთოს, მაგრამ გარკვეულ პერიოდში დროებით მოგების შემცირებაც შესაძლებელია.
36. ბიზნესს გონიერების მათრახი და სასუსნავი ყოველთვის თან უნდა ახლდეს.
37. ბიზნესი პროგრესს არ უნდა ჩამორჩეს და უნდა ეცადოს ერთი ნაბიჯით წინ იდგეს მცდელობით, ოცნებით მაინც.

38. ბიზნესში ყოველთვის პატიოსანი ვერ იქნებით, მაგრამ არც უნდა გაირყვნათ.
39. ეკონომიკურ აზროვნებას აღიარება, მხარდაჭერა ყოველთვის ქვეყანას პოლიტიკასთან ერთად სჭირდება.
40. ბიზნესმენი ლამაზ ქალთან მარტო საქმიან შეხვედრას უნდა მოერიდოს, რომ არ შეაცდინოს – შეცოდოს.
41. ბიზნესი დაზვერვით იწყება და ჩუმი ომით გრძელდება, რადგან ბიზნესი ბრძოლაა.
42. ბიზნესი ყველას უნდა უღიმოდეს, მათ შორის თავის კონკურენტებსაც, რადგან ზოგჯერ მათთან მოლაპარაკებაც საჭიროა.
43. ბიზნესი, უნდა თუ არა, მაინც „დამნაშავეა", რადგან დროის გარკვეულ მომენტში სხვას დაასწრო, აჯობა „ცხვირის მოხოცვა".
44. ბიზნესმა ოჯახის წევრები მოჭრილი თანხით და უცვლელად უნდა დააფინანსოს, სარეზერვო ხელუხლებელი თანხის გადანახვით.
45. ბიზნესისთვის მთავარი კონტრაქტის დადებაა და არა კონტაქტები, რომელთა უმეტესობა სალამ-ქალამით და ყბედობით მთავრდება.
46. ბიზნესი მარად შემართული და სულ ყალყზე უნდა იდგეს, თუ უნდა შედეგიანი იყოს.
47. ბიზნესი უნდა ეცადოს სანდო და ღირსეული მენეჯერი იყოლიოს ან გამოზარდოს.
48. ბიზნესი გარანტიის გარეშე ფულის დაბანდებას უნდა ერიდოს, თუმცა, ზოგჯერ ბიზნესში გარისკვა აუცილებელია.
49. ბიზნესმენს კარგი მახსოვრობა უნდა ჰქონდეს, ის უნდა ავარჯიშოს და ბევრი ციფრი და კონტრაქტის შინაარსი უნდა ახსოვდეს.
50. ბიზნესმენი ამავე დროს მონადირეა, ამიტომ გადაადგილება, სიახლეების გაცნობა, არ უნდა დაიზაროს.
51. ბიზნესი შესაძლებლობათა გამოყენებაა, მცდელობით, აზრების წარმოებით, ვაჭრობით.

52. ბიზნესისთვის პირველ ხანებში განუვითარებელ და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ქრთამის მიცემაც დასაშვებია, რადგან ის მათი ბიზნესის განვითარებას ემსახურება.
53. პირველ რიგში ბიზნესი მასას ემსახურება და შემდგომ – ხალხს, ეს მუდამ უნდა გაითვალისწინოთ.
54. ინფლაციის მიმართ ყურადღებით იყავით, მხარი აუბით, ნუ შეგეშინდებათ.
55. გარიგებას ბიზნესში მაშინ აქვს აზრი, თუ ორივე მხარე „მსხვერპლად“ რაღაცას გაიღებს, კონსენსუსს გამონახავს.
56. ბიზნესი ანგარების მოთოკვას მოითხოვს იმდაგვარად, რომ დებეტ-კრედიტი ერთმანეთს დიდად არ დაშორდეს.
57. ბიზნესისთვის მომჭირნეობა შემოსავალია, სიძუნწე – გასავალი.
58. ბიზნესს ყველაფერი ზომიერების ფარგლებში უყვარს, მათ შორის, კაცთმოყვარეობა, მეგობრობა, ქველმოქმედება, გაღიზიანებაც.
59. ბიზნესი ყოველდღე წარმატებას და ფულის მოგებას უნდა ხედავდეს შემართებით.
60. ბიზნესს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ხელუხლებელი ფონდი განვითარებისთვის და შეცდომების გამოსასწორებლად.
61. ბიზნესისთვის ფულის კეთება თავისებური დაავადებაა და მისგან თავის დაღწევას და მკურნალობას არასოდეს ეცდება, რადგან ეს მისი მოწოდებაა.
62. ბიზნესისთვის თავისუფლება, დემოკრატია, უზენაესობაა და ის უზნეობაში არ უნდა აერიოს.
63. ბიზნესი არაორდინალურ აზროვნებას მოითხოვს, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებთან, საგადასახადო ორგანოებთან დამოკიდებულებაში.
64. პოლიტიკაც თავისებური ბიზნესია და გაცილებით მომგებიანიც და მასში გადაბარგება მაშინ ღირს, თუ ხალხის გარჩევა-დაყოლიებას, მოხიბვლას, ვისწავლით.
65. პოპულარობაც თავისებური ბიზნესია ზომიერების ფარგლებში.

66. ეცადეთ მომგებიან ექსპორტთან ერთად წამგებიან ექსპორტ-ზეც იფიქროთ და მომგებიანი გახადოთ, ავტორიტეტისთვის საჭირო და ვიღაც-ვიღაცები საჭიროებისამებრ დაგიფასებენ.
67. ბირჟაზე თამაში ისწავლეთ, მაგრამ ძალიან ნუ ენდობით, რადგან ბირჟა მაინც თამაშია, ხოლო ბიზნესი განსჯის ნაყოფია, წინხედვასა და გამართლებასთან ერთად.
68. ათი რისკიდან თუ ერთმა-ორმა გაგიმართლათ, ბიზნესი მოგებით მთავრდება და ამიტომ წინდახედული გარისკვის მართვა აუცილებელია.
69. ბიზნესში ფული მხოლოდ სამუშაო ინსტრუმენტია და მას უნდა შეეჩვიოთ და ისე უნდა უყუროთ როგორც სამშენებლო მასალას.
70. ბიზნესი თავისებური სპორტია, ხელოვნებაა, ბრძოლაა, რის-კია, არეული შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის კონტექსტში, რომელსაც მცირე ოდენობით ბედი, დროის ყივილი, კანონის ცოდნა, შემთხვევაც, უნდა დაემატოს სიახ-ლის ათვისებით.
71. ისწავლეთ ბუღალტერია, მის რაობაში გაერკვიეთ.
72. თანამშრომლებს ყოველწლიურად გამოცდები ჩაუტარეთ, დაუღალავ, ერთგულ შრომას შეაჩვიეთ, სუბორდინაციის დაცვით, რათა მუდამ მზად იყვნენ, სამსახური არ მოყირჭდეთ და რაც აქვთ, ის დააფასონ.
73. ცხოვრებას, ყოფას, აჰყევით და ფანტაზია შეაშველეთ, ეს ბიზნესისთვის აუცილებელია.
74. ეცადეთ ფესვები სტაბილური იქონიოთ, ბაზარს კონიუქტუ-რის აუცილებლობის გარეშე არ აჰყვეთ, კლიენტებს შეინარ-ჩუნებთ.
75. ეცადეთ ქონება შეიძინოთ სხვადასხვა ქვეყნებშიც, რათა გადანახული პრეფიციტი გქონდეთ, არავინ იცის, სად რა გამოგადგებათ.
76. კრიზისის დროს შეჰქმენით დეფიციტი და ბიზნესის სასარგებ-ლოდ გამოიყენეთ, ოღონდ არ გადაამლაშოთ.

77. ძველი საქმიანობა თუ პერსპექტიულია, ახალი შემართებით, ტექნოლოგიების დანერგვით შეალამაზეთ.
78. იყავით მიჩვენებით წმინდანი, ეცადეთ ჩიხში არ მოექცეთ.
79. ბიზნესში უნდა ეცადო, ბედს მახე დაუგო, რომ ის შენს ხელში იყოს და არა შენ იმის იმედზე, რათა გონიერებას ხელი ჩასჭიდო და ხურდა ფულზე არ დახურდავდე.
80. ბიზნესი თავისებური ხელოვნებაა და ის ხელოსნობას და „კოჭაობას" ვერ იტანს.
81. ბიზნესისთვის აუცილებელია ენთუზიაზმი, შრომისმოყვარეობა, მოსალოდნელი კონფლიქტებისთვის თავის არიდება და მისი პროფილაქტიკა.
82. ბიზნესისთვის შინაგანად აუცილებელია პრეზენტაციის მოწყობის ცოდნა და მისთვის დროის შერჩევა, რადგან უნდა გრძნობდეს პოტენციურ პარტნიორს და ის ინტუიციით უნდა შეიცნოს.
83. ბიზნესისთვის გონიერი რეკლამის გაკეთების ცოდნა აუცილებელია.
84. ბიზნესში ზოგჯერ „ადვილად ნაშოვნი" ფული საზღვარგარეთის ბანკებში უნდა გადაიტანო ან იქ დააბანდო, რათა „სახლში" არ მოგედავონ, რა იცი, რა სახის „ვიგინდარა" მოვა ქვეყნის სათავეში.
85. ბიზნესის კეთილდღეობა ხშირად ქალების და ბავშვების მყიდველობით თავქარიანობაზეა დამოკიდებული და ეს უნდა გაითვალისწინოთ.
86. „სახელმწიფო აზროვნება" და ბიზნესი შეუთავსებელია, რადგან ამ უკანასკნელს სთხოვენ თავისი ინტერესები დროებით გვერდზე გადადოს და რა მოელის მას ამის შემდგომ პირველს დიდად არ აინტერესებს.
87. ნამდვილი ბიზნესმენი ყოველთვის უნდა ერიდებოდეს ყველა დროის „გარანტირებულ" ბიზნესს: პოლიტიკას, ალკოჰოლს, სიგარეტს, წამალს, შოუს, პროსტიტუციას, სახელმწიფო

რეკეტს, ინფლაციაში ცხვირის ჩაყოფას – საბოლოოდ არ შერჩება, რადგან დროებითი მცდელობაა.

88. ბიზნესმა აუქციონში მონაწილეობა ყოველთვის უნდა მიიღოს, ვინ იცის, ხელს რას გამოჰკრავს.
89. ბიუჯეტის დეფიციტი, სეკვესტრი, ინფლაცია, ბიზნესისთვის მძიმე დაავადებაა, მაგრამ არა უიმედო, მას მოხერხებულობა და დრო მკურნალობს.
90. ინვესტიციის საქმიანი და სასიკეთო დაბანდება წარმატებული ბიზნესის საწყისია.
91. ბიზნესმა უნდა ისწავლოს დროულად გადასახადების გადახდა, მაგრამ ზოგჯერ, ზომიერების ფარგლებში, გადახდა უნდა დააგვიანოს, რადგან ყოველთვის წარმატებული არ ეგონოთ, არ შეშურდეთ, რამე არ უმუხთლონ.
92. ნაღდი ბიზნესი და ფუფუნება შეუთავსებელია, ან ბიზნესს ვნებს ან მის პატრონს რყვნის.
93. ბიზნესის უმთავრესი პოსტულატია ყოველდღიურობისთვის ალღოს აღება ცოდნით და ჯიბეების მოჩხრეკვით.
94. ბიზნესი მოდუნებას ვერ იტანს, ფორტუნა მაშინვე სხვისკენ გარბის.
95. დიდ ბიზნესში ყოფნა, ხელისუფლების კარგ განწყობას და მათი კაპრიზის დაკმაყოფილებას ციფრების გადაადგილებით მოითხოვს.
96. ბიზნესი უნდა ეცადოს არაფრიდან რაღაცა შექმნას და სხვასაც ხელი არ შეუშალოს.
97. ბიზნესის უკვდავი დევიზია: იზრუნე მომხმარებელზე და ისის მისდაუნებლიედ იზრუნებს შენს გამდიდრებაზე.
98. ბიზნესმა, უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების დასადები კარი ღია უნდა დატოვოს.
99. ბიზნესს ყბედობა და სხვისთვის ჭკუის სწავლება არც უხდება და არც რგებს.
100. ხშირად, დეფიციტის ხარჯზე, ბიზნესი პრეფიციტს იმკის.

# პოლიტიკა-პოლიტიკანოზის 100 ძირითადი პოსტულატი

1. ეძიე „მეგობრები“ მტრის ბანაკში და შეიძლება მოყვრად შეიძინო.
2. დაყავი და იბატონე იმდაგვარად, რომ სირცხვილის გრძნობა არ შეიხახვისთავო.
3. შენზე ჭკვიანი, პოპულარული, თანამდებობის პირველ რიგებს არ გააკარო.
4. ისწავლე ლანძღვა, შექებით, მზრუნველობით და გაბრაზებით.
5. ტკბილი სიტყვა არავის დაამადლო, გამორჩენით და სარგებლით.
6. უპირველესია მიზანი და არა უაზრო პრინციპებისათვის თავის გამოდება.
7. მოწყენა, უგუნებობა, უმწეობა არ შეიმჩნიო.
8. უგნურნი ახლოს არ გაიკარო, გადაგედება.
9. თადარიგში იყოლიე ავანტურისტი ბუნების ხალხი, მაგრამ მარწუხებში, არავინ იცის როდის გამოგადგება.
10. არავის ენდო მრავალჯერ გადამოწმების გარეშე.
11. კომპრომისზე წასვლა, წინხედვას და აზროვნების გაჯირითებას მოითხოვს.
12. პოლიტიკა თავისებური ვაჭრობაა თავის აღებ-მიცემობით და არა ვაჭრუკანობა ერთმანეთის მოტყუებით.
13. ისწავლე ცდუნებათა ანა-ბანას მოთოკვა – არ შეეჩვიო.
14. ყველგან იყოლიე თანამოაზრენი, მიმდევარნი, მოსწავლენი.
15. ისწავლე ხალხის „გაბიაბრუება“, საქმის საკეთებლად და მომავალში მათივე სასარგებლოდ.
16. „მათრახის“ გამოყენებას ნუ მოერიდები, ზოგჯერ აუცილებელია.
17. მადლიერი ბოლომდე ნურავისი ნუ იქნები – დაგაყვედრებენ.
18. ადამიანები შეაფასე-დააფასე სარგებლიანობის მოტანის მიხედვით და არა – ემოციების დონეზე.

19. იყოლიე „ჭკუანაღრძობი“ ხალხისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო“, შესაძლოა ბევრი სასარგებლო მათგანაც გამოტყვრეს.
20. იტრიალე ახალგაზრდობაში, დაუახლოვდი, გაუამხანაგდი, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის ფარგლებში.
21. სპორტს, გართობს, წარმოჩენას დაუთმე დიდი ყურადღება.
22. თავზე არავინ წამოისვა და თავი არავის დააჩაგვრინო და თავიც არავის გაუყადრო.
23. იმეგობრე მეცნიერებთან, დააწესე პრემიები, შეხვდი, კონსულტაციები მიიღე, მადლობის თქმა ისწავლე.
24. დაესწარი ხელოვნების ნაღვაწს, სურათების გალერეებს, სპექტაკლებს, კონცერტებს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე.
25. ერთსახად ნურავის შეაქებ და ნურც განსჯი.
26. სახელმწიფო ჯილდოებით დააჯილდოვე შენი ოპონენტები, მოწინააღმდეგენი, გულს მოულბობ გონიერებაზე ზემოქმედებით.
27. ისწავლე ერთდროულად მოფერება-გაკიცხვის ფასი.
28. ეცადე ხალხი დაასაქმო ან შექმნა ამის ილუზია.
29. ეძებე ნიჭიერი ეკონომისტები, რომლის იდეები ქვეყნის წინსვლას წაადგება.
30. ისწავლე დროის შესატყვისი გართობის, შეჯიბრის, კარნავალის მოწყობა და თავის წარმოჩენა
31. ააშენე და გახსენი სპორტული ბაზები, მცირე მოედნები, გასართობი კლუბები.
32. დაიმახსოვრე: პოლიტიკაში მთავარია „ცხვირში ამოსარტყმელი“ შედეგი ოპონენტებისათვის.
33. ისწავლე დაგეგმილი პროცესის რეკლამირება, გაფეტიშება და გეგმების გადაჭარბებით შესრულება.
34. პატიებით არავის არაფერი აპატიო – შეუნდე.
35. არც საკუთარ და არც სხვის გონიერებაზე „წიხლის დაჭერას“ არ მოერიდო.
36. იყავი პუნქტუალური, საქმიანი, განუმეორებელი, შენს მეხოტბეთათვის მაინც.

37. თავს კონტროლის გაწევა არასოდეს დაამადლო.
38. გაავრცელე შენზე საჭირო ჭორები, გონებამახვილური ანეგდოტები.
39. იმეგობრე „მასმედიასთან“, იყოლიე შენზე პიარის გამავრცელებელი ჯგუფი.
40. ყველა შენს გადაადგილებას ფასი დაადე, რაღაც აჩუქე, დაჰპირდი, დანაპირები შეუსრულე.
41. ანგრიე, შეაკეთე, აშენე.
42. გამოეცი სამართლიანი და უმრავლესობისთვის მისაღები კანონები.
43. კანონის და კანონიერების ფარგლებში ნურავის დასჯას ნუ მოერიდები.
44. პოლიტიკოსისთვის მთავარია კაცობაში სახალხოდ არ ჩაიჭრას და ჩირქი არ მოეცხოს.
45. იყოლიე რამდენიმე მეგობარი ქვეყანა და მათ პოლიტიკოსებს დაუმეგობრდი.
46. ოპონენტებს თავს ნუ დააჩაგვრინებ, განსჯის და დროის გასვლის შემდგომ, ნიშნი მოუგე.
47. ისწავლე მოწინააღმდეგის წამოგება შენს მიერ „განზრახ“ დაშვებულ შეცდომებზე.
48. იზრუნე ხალხზე „მათრახით“ და „სასუსნავ-გასართობის“ მიგდებით.
49. ხალხს საყოველთაო კომფორტი დაჰპირდი და ზოგიერთი აზიარე კიდეც, განურჩევლად და გამორჩეულად.
50. დასპონსორება ჯოჯოხეთსაც ანათებს და პოლიტიკურ მიზნებსაც – ხელი შეუწყვე მათ მომრავლებას.
51. მოჭარბებით არც არავის მოეფერო და ნურც ნურავის გაუწყრები, ვერ გაგიგებენ.
52. ისწავლე საკუთარი გუნდის შენარჩუნების მუდამი თავის დაფასებით.
53. შეცდომისთვის ყური აუწიე, მაგრამ ალიყური არ აჭამო – დაგიმახსოვრებს.

54. განზრახ დანაშაულისთვის ყურიც უნდა აუწიო, ალიყურიც უნდა აჭამო და არც უნდა აპატიო.
55. გონიერებასთან ყოველთვის ეცადე ახლო მიჩოჩდე.
56. ფულის მრეცხავებს და გამცოცხლებლებს ეცადე ყოველთვის ყური აუწიო, ბიუჯეტის სასარგებლოდ.
57. პოლიტიკას მარიაჟობა, გოიმობა, ცრუ დაპირებები, არ უხდება – თავს ავად წამოყოფს.
58. პოლიტიკოსმა წინამორბედ პოლიტიკოსთა „მოროდიორობა" არ უნდა იკადროს.
59. პოლიტიკა კმაყოფილების თეორიისგან ყოველთვის შორს უნდა იდგეს.
60. პოლიტიკა ლირიკოსების საქმე არ არის, ის საბოლოოდ ანალიზის უნარის მქონე ფიზიკოსებს უნდა ვანდოთ.
61. პოლიტიკას ობივატელები არ მოსწონს, მაგრამ ტაშის დასაკვრელად და მოსაფერებლად სჭირდება.
62. პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა ხალხი უკეთ აცხოვროს, მოვალეობათა შეცნობით.
63. პოლიტიკოსი დროსაც უნდა მოემსახუროს და ამომრჩევლის ამბიციებსაც.
64. პოლიტიკა აუტისტებთან (სწავლულ იდიოტებთან) ურთიერთობას უნდა ერიდოს.
65. პოლიტიკა ყველგან ქვეყნისთვის ფულის კეთებას საშუალებებს და ბიზნესს უნდა ეძებდეს.
66. პოლიტიკა ხალხისთვის და არა ხალხი პოლიტიკისთვის, თუმცა კერპთთაყვანისმცემლობა აქაც საჭიროა.
67. ცნობიერების გაჯანსაღება, მკურნალობა, ყველაზე მეტად პოლიტიკას ესაჭიროება.
68. მოხერხებული, შემოქმედებითი, აზროვნების უკმარისობას ყველაზე მეტად პოლიტიკა განიცდის
69. პოლიტიკა ძაბუნთ, გაუბედავებს და უნიათოებს ვერ იტანს.
70. პოლიტიკას „ცისფერი" სისხლის მქონე ხალხი, მოპოვებული ავტორიტეტით, სჭირდება.

71. პოლიტიკამ გამოსადენიც უნდა გამოიდინოს და სხვასაც უნდა გამოადინოს.
72. შემთხვევითმა ხალხმა შეიძლება პოლიტიკურ დოღში მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ არა მარულაში.
73. პოლიტიკას უფრო მეტად ტაშის დამკვრელები სჭირდება, ვიდრე თანამოაზრენი.
74. პოლიტიკა მეტ-ნაკლებად ყველას გონიერებას უნდა ესალმუნებოდეს, მათი კრიტიკის მიუხედავად.
75. პოლიტიკოსებად იბადებიან, იზრდებიან, მწიფდებიან, საქმიანობენ, მაგრამ პოლიტიკოსად ერთეულები მიიცვლებიან.
76. ორჭოფობა პოლიტიკაში არ ამართლებს, უფრო – დალოდება, ჩასაფრება.
77. პოლიტიკაში მოღვაწეობა თავისებური სულიერი დაავადებაა.
78. პოლიტიკის „მკურნალი" მისი ქმედებათა კრახია, გაკოტრება ამბიციების დაკარგვით.
79. პოლიტიკას განსჯის უნარი და საღ აზრთან შერკინაბა მასაზე და დროზე მორგებით სჭირდება.
80. პოლიტიკა ზოგჯერ ლატარეაა, გამართლება და ბედის ცდუნებაცაა.
81. პოლიტიკის პოსტულატია: ყველგან და ყველაფერში სარგებელი ეძიოს.
82. ქალი პოლიტიკაში დროის ყივილის შედეგად შემოგზავნილი „განტევების ვაცია"
83. პოლიტიკა ცოტა სიამოვნებას გვთავაზობს და ბევრ გაუგებარ უსიამოვნებას გვიტოვებს.
84. პოლიტიკაში თავისი მეობის შესამოწმებლად უნდა მოვიდნენ და არა თანამდებობა-გამორჩენისათვის.
85. პოლიტიკა თავისებურად შემოქმედებითი პროცესია, თუ ხალხმა გაგიგო და დროის ვერაგობამ გაცალა.
86. პოლიტიკის უმთავრესი საყრდენი ფეხები ეკონომიკაა.
87. პოლიტიკას არ ირჩევენ, დრო თავად გვიჩვენებს.

88. პოლიტიკას თავისი „თეთრი ვირი“ წინდახედულად დაჭერილი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ უნდა გაეკაროს.
89. პოლიტიკა ალიბით შეფუთულ გასაქცევს ყოველთვის უნდა იტოვებდეს.
90. თანამედროვეთათვის სამსახური პოლიტიკაში უმადურ-დაუფასებელი საქმეა, ის დრომ და ისტორიამ უნდა დააფასოს.
91. ხალხს პოლიტიკის რეალური შედეგი სჭირდება და არა მისი მომავლის ჩასასესხებლად უკეთესი ყოფის კრედიტი.
92. ისიც პოლიტიკაა, როცა ხალხს „დედისგინებით“ ეფერები და ისიც გატრუნულია, მომავლის იმედით.
93. ფუფუნება პოლიტიკა არაა, მას ქვეყანა თანდათანობით ნგრევისკენ მიჰყავს.
94. პოლიტიკა გარემოთა შესატყვისი პრინციპების დაცვას მოითხოვს და არა ურყევ პრინციპებს.
95. პოლიტიკა ძლიერი ნებისყოფის „დარეხვილი“ ხალხის ხვედრია, რადგან სხვაგან მათ თავის წარმოჩენა არ შეუძლიათ.
96. ყველა პოლიტიკოსი თავის „უკანალს ათამაშებს“, სანამ გასდის და მის ყბედობას ყავლი არ გასვლია.
97. პოლიტიკა მძიმედ სატარებელი ჯვარია და აქ ლოცვა-კურთხევა არ გიშველის, ენასთან ერთად თავიც და ხელიც უნდა გაანძრიო.
98. პოლიტიკა თავისებური შოუა, სადაც თავის წარმოჩენა გაცილებით ძნელია, ვიდრე შოუ-ბიზნესში.
99. საოცარია პირდაპირ, რამდენ ადამიანს აქვს ამდენი „ანაცუა-ბანაცუა“ პოლიტიკურ პარტიებში ახალი პარტიის შექმნისკენ „მისწრაფება“.
100. პოლიტიკას ბევრი დაუწერელი კანონი აქვს, რომელმაც არა მარტო ძველის დამყნობა, გათავისება, ახლის შემოთავაზებაც უნდა შეძლოს.

## 100 ᲓᲐᲛᲝᲫᲚᲕᲠᲐ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲓᲒᲔᲑᲐ!
## Ი Ს Წ Ა Ვ Ლ Ე Თ

**(რეზიუმე)**

1. თანამოაზრეთა შერჩევა.
2. სხვათა დამსახურების გათავისება, პატივის მიგება.
3. დაყვავება, დამშვიდება, მშვიდობის მტრედად გადაქცევა.
4. ადამიანთა გამოყენება, დამეგობრება.
5. აფორიზმები, მაქსიმები, ანეგდოტები და მათი მოყოლა.
6. შევაჭრება, მომჭირნეობა.
7. მცირედი ფულის ჩუქება და არა სესხება.
8. შეწყალება, მოწყალება ღირსეულთათვის.
9. მჭერმეტყველება, აზროვნების მოხმობა.
10. ინიციატივის გამოჩენა, თავის მოქაჩლება.
11. საერთო ენის მონახვა, ორივე მხარისათვის სარგებლით.
12. დროზე მორგება და მისი პრობლემების გათვალისწინება.
13. სხვისი ოცნების პატივისცემა და საკუთარის ფრთების შესხმა.
14. შენთვის მისაღებ თემაზე საუბარი.
15. ეშმაკობა და მისთვის განკუთვნილი აზროვნება.
16. უმტკივნეულო ურთიერთობის დამყარება მოწინააღმდეგეს-თან.
17. „ქვეშევრდომებისათვის“ ტყავის გაძრობის ხელოვნება.
18. „მასმედიასთან“ ურთიერთობა.
19. წარმოდგენებზე და სანახაობებზე სასარგებლო დასწრება.
20. მოთმინება და დროის შერჩევა შედეგის მისაღწევად.
21. სიდინჯე, თავდაჭერილი ქცევა.
22. მოდაზე ჩაცმა.
23. პანაშვიდზე სიარული, მისამძიმრების ხელოვნება.
24. თამადობა, სუფრის გაძღოლა.
25. კანონის პატივისცემა.
26. მომავლის ჭვრეტა, შედეგის გათვალისწინებით.

27. ისწავლეთ პოლიტიკის ეკონომიკასთან შერწყმა.
28. ოჯახის მართვის ხელოვნება.
29. ცოლისათვის მოჩვენებით ყურის გდება.
30. ირგვლივმყოფთა პატივისცემა.
31. ოპტიმიზმის გათავისება, ხორცშესხმა.
32. დღესასწაულების მოწყობა.
33. მოსაწონი მეტსახელის დარქმევა.
34. გასაკეთებელი საქმისადმი თანადგომა.
35. სოციალურ უხერხულობათა აღმოფხვრა.
36. ქვეყნის მოქალაქედ ყოფნა.
37. ხალხის დასაქმება.
38. ქალებისა და ბავშვების პატივისცემა, მოფერება.
39. დასახული მიზნის განხორციელება.
40. საქმეში გამოსადეგი ხალხის მოძიება.
41. თანამშრომლებთნ და ირგვლივმყოფებთან ურთიერთობა, მათი შენდამი სასიკეთოდ განწყობა.
42. შეუმჩნევლად დარიგება, დამოძღვრა და არა ჭკუის სწავლება.
43. დროის გამონახვა მოყვასისთვის, ასაკოვნებისთვის.
44. სადღესასწაულო დღეების, დაბადების დღეების, მილოცვა.
45. ბედთან ჭიდილი და მისი გაჯიუტების მოთოკვა.
46. სხვა ხალხების წეს-ჩვეულებები, კულტურა.
47. სიახლის დაჭაშნიკება, შეფასება.
48. ღირსებით თავის დაჭერა, უგნურთა შეუმჩნევლობა.
49. მლიქვნელებთან ურთიერთობა, მათი გამოყენება.
50. ჭეშმარიტებისთვის პატივის მიგება.
51. ქველმოქმედება, დახმარება რეკლამირების გარეშე.
52. პერსპექტიული ხალხის მოზიდვა, დასაქმება, შექება.
53. სხვისი დროის და თავისუფლების პატივისცემა.
54. შექმნილ სიტუაციაში გარკვევა.
55. ფუფუნებისთვის, უაზრო დროსტარებისთვის, ბიშტის ჩვენება.

56. ისწავლეთ ბუნებასთან თანხმობით ცხოვრება.
57. ქალებთან მომხიბვლელი საუბარი, თავის მოწონება.
58. მავანთა შექება ზომიერების ფარგლებში.
59. საკუთარი იდეების და იდეალების მოვლა, წარმოჩენა.
60. შემთხვევის წყალობით გათავხედებული და ავანტურისტული ბუნების ხალხის გარჩევა.
61. კამათი, პატივის მიგებით, გონების სავარჯიშოდ.
62. 2X2-ის ხუთად მტკიცება, ზოგჯერ გამოგადგებათ.
63. სინდისისთვის ყურის გდება.
64. დასვენება, ძილის ფასი.
65. უკანმოხედვა, იმდაგვარად, რომ წინმსვლელს მზერა არ მოსწყვიტო.
66. წაგება ოლონდ განსჯით და ქულებით.
67. დამარცხების შინაგანად არშერიგება.
68. მარტივი და მოხერხებული გზით ცხოვრებაში სიარული.
69. სულიერების პატივისცემა, მოთოკვა.
70. რწმენით ცხოვრება, არა მისი გაფეტიშება.
71. გულუბრყვილობის დაძლევა და გულუბრყვილოთა გამორჩევა
72. ამაღლებულ გრძნობებისთვის პატივის მიგება, მაგრამ გაუფეტიშებლად.
73. იმ „ოქროს შუალედის“ ძიება, რომელიც ადამიანებს გააერთიანებთ.
74. ყოველდღიური სიამოვნების მიღება, უბრალოების სიამით აღქმით.
75. ქვეყნის ამაგდართა გამორჩევა და პატივის მიგება.
76. მცდელობის, შრომის, მოწოდების დაფასება.
77. ლიდერობა მისი დანიშნულების გათავისებაა.
78. მუშტის მაგიდაზე დარტყმაც, საჭიროების შემთხვევაში.
79. ნამოქმედარის განსჯა და პატივის მიგება.
80. მშობლებისადმი პატივით მოპყრობა, თავშეკავება, რადგან მარტო მათი სიყვარული არ კმარა.

81. სიცილი, ჯდომა, ხელის ჩამორთმევა, გაცილების ხელოვნება და სხვა ამგვარი.
82. ინტერნეტში მაღალ დონეზე „ჩალიჩი“.
83. სილამაზის დაფასება მომხიბვლელობაში არ აგერიოთ.
84. გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის ნახვა, რადგან გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.
85. განაწყენების არშემჩნევა.
86. დროულად გაცლა.
87. წინათგრძნობის პატივისცემა, გათვალისწინება.
88. ადამიანში კარგის აღმოჩენა, დანახვა.
89. თანამშრომლებისთვის, ახლობლებისთვის საჩუქრების შერჩევა, ჩუქება, იმდაგვარად რომ დაამახსოვრდეთ.
90. ერთი საათით წინ ყურება.
91. ბავშვებთან თამაში, მათდამი ყურადღება.
92. დასმულ კითხვებზე ორიგინალური პასუხის გაცემა.
93. სიახლისადმი პატივისცემა.
94. საკუთარ თავზე ლამაზი ამბების შეთხზვა, შელამაზება.
95. საკუთარი ჰობით ცხოვრება
96. გამოცდილების გამოყენება და თვითგანათლების დაფასება.
97. სოციალურ უხერხულობათა აღმოფხვრა.
98. ვიგინდარებთანაც საუბარი, თუ ეს საჭიროა და საქმეს გამოადგება.
99. მიზნის მაქსიმუმის და მინიმუმის დასახვა.
100. რაც მთავარია, შედეგის გააზრება და ანალიზი.

## 100 „თავდანატრი“, როდესაც ნამოქმედარი დღესაც გეამაყება

ყველა საზოგადოებას, სახელმწიფო წყობას, დადებითიც აქვს და უარყოფითიც, მაგრამ ბიუროკრატია, რა წყობაც უნდა მოვიდეს, უკვდავია, ამიტომ ადამიანმა უნდა ისწავლოს, პირველ რიგში, მასთან ბრძოლა, არა მუშტიკრივით და ყბედობით, არამედ მისი მექანიზმის გააზრებით. რა თქმა უნდა, ბიუროკრატიასთან ბრძოლას ცოდნა, გამოცდილება, მოხერხებულობა, გახსნილი გონება და მის მექანიზმში ჩაწვდომა სჭირდება. ვისაც ბიურო-კრატიის დაძლევა ეხერხება, სწორედ ის აღწევს ცხოვრებაში წარმატებას.

ქვემოთ გთავაზობთ, ასაკის და მოთხოვნათა შესატყვისად, ცხოვრების იმ წუთების აღწერას, როდესაც ამაყი ვიყავი და საკუთარი თავი მომწონდა. ზოგჯერ ეს კანონიდან მოხერხებული გადახრა-დარღვევის შედეგი იყო, მაგრამ აქ უმთავრესი ისაა, რომ ეს კანონის დარღვევა ხმარდებოდა ბიუროკრატიასთან ბრძოლას გამარჯვებით. ამ ჩემი „ეშმაკობების“ სააშკარაოზე გამოტანას არ ვერიდები, რადგან პირველ რიგში, ადამიანი ვარ თავისი სისუსტეებით და შემდგომ მოქალაქე, აქ მთავარია, ერთ-მანეთს და სახელმწიფოს ინტერესებს არ ვავნოთ.

1. სკოლაში სწავლისას გასართობს და მასწავლებელთა გასაბრაზებელს ვეძებდით, ისე, რომ არ გამოვეჭირეთ. მიუხე-დავად იმისა, რომ წესიერ მოსწავლედ ვითვლებოდი, ამ გართო-ბაზე არც მე ვამბობდი უარს. ერთ დღესაც სკოლაში მივიტანე ჩემი დის მოძველებული თოჯინა, რომელსაც ზურგზე ფოლაქიანი ძაფი ჰქონდა გამობმული. ამ ძაფის გამოწევისას „მამა-დედას“ იძახდა. ეს თოჯინა დავამონტაჟეთ მასწავლებლის მაგიდის ქვეშ. ამ ფოლაქიან ძაფს გამოვაბით შავი ძაფი მეექვსე მერხამდე და ვინც ძაფს მოქაჩავდა, თოჯინა ხმას გამოსცემდა. საინტერესო ის იყო, რომ ხმა რატომღაც მეორე-მესამე მერხიდან ისმოდა.

გაკვეთილის მიმდინარეობისას, სრულ სიწყნარეში, რომელიღაც მოსწავლე გამოწევდა ძაფს და იყო ერთი ხარხარი. მოკლედ, ერთი თვის გართობის შემდგომ, ეს თოჯინა მე თვითონ წავიღე უკან სახლში. აქ გასახსენებელი ის არის, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი პროექტი „ბრწყინვალედ“ განხორციელდა.

2. ჩემი საყვარელი მასწავლებლები იყვნენ ცოლ-ქმარი მარიამ აბაშმაძე და კოტე სვანიძე. ერთი ლიტერატურას გვასწავლიდა, მეორე – მათემატიკას. მათ გაკვეთილებზე განსაკუთრებით წესიერად ვიქცეოდი. ერთ დღესაც ქალბატონმა მარიამმა მითხრა, რომ ხვალისათვის დედა მომეყვანა. დედაჩემს ვკითხე სკოლაში დაბარების მიზეზი. დედაჩემმა სიტყვა ბანზე ამიგდო და მითხრა რაღაც მისთვის საინტერესო მკითხაო. რამდენიმე წლის შემდეგ დედაჩემი გამომიტყდა. ქალბატონ მარიამს უთქვამს: „შენი შვილი ძალზე კარგი ბიჭია, კლასელები თავზე ახტებიან და მაგის შესაფერისი აქ არავინაა და მოუფრთხილდიო“. ჩვენ მაშინ და-ძმური განწყობა გვქონდა და რაღაც სხვა გრძნობაზე ჩემი კლასელების მიმართ არც მიფიქრია. ჩემს მიმართ რატომღაც ძალზე სიმპათიურად იყო განწყობილი არუთინოვა ევგენია ტიგრანოვნა, რუსულის მასწავლებელი, რომელიც კლასის წინაშე რუსულად მეუბნებოდა „ყუფარაძე, ასეთი შეყვარებული თვალებით ნუ მიყურებო“.

3. როდესაც სკოლა დავამთავრე, მამაჩემმა ახალ-ათონში დასასვენებელ სახლში, გამაყოლა ჩვენს ნათესავს, მამია ბახტაძეს და მის მეგობარს, რომლებიც ჩემზე 7-9 წლით უფროსები იყვნენ, ქალების გაცნობის ამბავში რომ მომხმარებოდნენ. მე ცალკე ნომერში, ერთ ჩემსავით ახლად სკოლადამთავრებულთან, ვცხოვრობდი და რა თქმა უნდა, ცეკვებზეც დავდიოდი გოგონების გასაცნობად. ერთ დღესაც მივედი მამიასთან ნომერში. ვხედავ, სუფრა გაშლილია, ხოლო ესენი ანგარიშობენ, თუ რა „ზარალი“ ნახეს იმ ქალების დაპატიჟებით, რომლებმაც „დინამო“ გაუკეთეს ე.ი. იქეიფეს, დრო ატარეს და გაეპარნენ. ჩვენ კითხვებზე, თუ რა მოხდა, მითხრეს, რომ ამ ღამეს უქალებოდ დარჩნენ. მამია

ბიძია, მაგაზე ნუ დარდობთ, ახლავე მოვიყვან სხვებს-მეთქი და მართლაც, ნახევარ საათში იქ გაცნობილი სამი ქალბატონი ამოვიყვანე. მეორე დღეს მაქებდნენ. „ჰა, ბიჭო, მოსწავლეც ასეთი უნდა, წინასწარ მომზადება რომ არ სჭირდება და მასწავლებელსაც უყურადღებოდ არ სტოვებს“.

4. საქართველოს ჩემპიონი გავხდი კრივში, ახალგაზრდებს შორის, მძიმე წონაში (მწვრთნელი გიორგი (ჟორა) ვართანოვი), ტურნირი ზაფხულის დასაწყისში ჩატარდა ქ. სოხუმში. ამიტომ გამათავისუფლეს საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდებისაგან. ეს იმითაც იყო ჩემთვის საყურადღებო და სასარგებლო, რომ ქიმიის მასწავლებელს, ჩემმა ნათესავმა და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა ქეთევან ფარცხალაძემ, საშუალო სკოლის დამთავრების სიმწიფის ატესტატი რომ არ „გამფუჭებოდა“, ე.ი. ერთადერთი სამიანი რომ არ ჩაეწერათ ატესტატში, ქიმიის მასწავლებელს იმ პირობით დააწერინა ოთხიანი, რომ რასაც გამოსაშვებ გამოცდაზე მივიღებდი, საბოლოოდ იმ ნიშანს დამიტოვებდნენ. გამოცდებისაგან გათავისუფლებამ ჩემი ატესტატი სამიანისაგან იხსნა.

რატომღაც მე და ქიმიის მასწავლებელს ერთმანეთი „არ მოგვწონდა“ და მეც ამიტომ „შევიძულე“ ქიმია. შემდგომ ცხოვრებამ ისე „დამცინა“ და არა ერთხელ, რომ მე გახლდით ასტრახანის ოლქის ნიადაგის ქიმიური ლაბორატორიის გამგე, მოსკოვის ილქში რუსეთის ფედერაციის სასელექციო-სათესლე გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე, სადაც ყველა სამეცნიერო ლაბორატორიას და მათ შორის ქიმიის ლაბორატორიასაც მე ვხელმძღვანელობდი, შემდგომ ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიო-ქიმიის და ორგანული ქიმიის კათედრებზე განყოფილების უფროსად და თემის ხელმძღვანელად და ყველა ჩემს გამოგონებას კვების მრეწველობაში ქიმიასთან აქვს საქმე.

5. ცხოვრებამ კვლავ „დამცინა“. მინდოდა სასახელო სპორტსმენი გამოვსულიყავი და მწვრთნელი გამოვედი. ახალი ათონიდან ჩამოსვლისთანავე, გამიკეთეს ბრმა ნაწლავის ოპერაცია, შედეგად

დამერთო „პერიტონიტი“ და ძლივს გადავურჩი სიკვდილს ამერიკიდან ებრაელების მიერ ფარულად შემოტანილი წამლების დახმარებით („სიგმომიცინით“ და „ავრომიცინით“). გავიდა ერთი წელი, კრივს თავი დავანებე, მაგრამ, ახალგაზრდულ ენერგიას ხომ უნდა დახარჯვა, ამ დროს სპორტულ გაზეთ „ლელოში“ წავიკითხე, ჩემს მეზობლად, ქალაქის სპორტკომიტეტში, გვიწვევდნენ რაგბის თამაშის მსურველებს. ქალაქის ფედერაციაში დამხვდნენ მაშინდელი რაგბის მამამთავრები ჟაკი ასპერიანი და გივი მრელაშვილი. რამდენიმე შეხვედრის შემდგომ გამოირკვა, რომ საჭირო იყო მესამე გუნდის შექმნა „ისანის“ და „პოლიტექნიკური“ ინსტიტუტის გარდა. ჩემი კურსიდან დავითანხმე ხუთი ბიჭი, ჩემი მეგობრები, მეზობლები, ნათესავები, მათაც მოიყვანეს თავიანთი ახლობლები და ერთ კვირაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი შეიქმნა. ძალზე დაგვეხმარა ინსტიტუტის კათედრის გამგე, ბატონი თედო სხირტლაძე. მწვრთნელად მივიწვიეთ ჟაკი ასპეკიანი. ეს იყო ჩემი ორგანიზაციული ნიჭის პირველი ნაყოფი.

6. ორი წელი ვთამაშობდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში, ერთ-ერთ თამაშის დროს წამაქციეს და დამემართა „დერმოიდული კისტა“, რის ოპერაციაც საბოლოოდ ოთხჯერ გავიკეთე და იძულებული გავხდი, რაგბის აქტიური თამაშისათვის თავი დამენებებინა და მწვრთნელობა დამეწყო 22 წლის ბიჭს. 1962 წელს ჩამოვაყალიბე თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდი, რომელიც ოთხი წლის შემდგომ გახდა საკავშირო „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ქ. ხერსონში. ექვს გუნდს შორის რაგბში, 1963 წელს საქართველოში პირველს მომანიჭეს რესპუბლიკური მსაჯის წოდება რაგბში.

7. პირველ კურსზე უნდა ჩაგვებარებინა გამოცდა მხაზველობით გეომეტრიაში, რომელიც ყველას გვიჭირდა, ვინც დაუსწრებლად სწავლობდა. მე, ასე თუ ისე, ვაგებდი დეტალს სამ ხედში, მაგრამ აქსონომეტრიის დახაზვა მიჭირდა. მეც ხერხს მივმართე: ავიღე წინასწარ დახაზული ძნელი დეტალის აქსონომეტრია, რომელიც შპარგალკად გამოვიყენე, ხოლო დეტალების არჩევისას,

რადგანაც ძნელი დეტალი ავარჩიე, გამომცდელიც არ შემომდავებია. მოკლედ ვიჩქარე და 20 წუთში დავხაზე. ლექტორს ეჭვი შეეპარა, აქსონომეტრი თავისი ხელით წამიშალა და მითხრა თავიდან დახაზეო. მე წინასწარ ფარგლით დახვრეტილი წერტილები შევაერთე და ისევ დახაზული დავახვედრე. „მეტეყვე და ასეთი ხაზვა?!“, გაუკვირდა და ხუთიანი დამიწერა.

8. მათემატიკა ყოველთვის მეხერხებოდა, ხოლო ბიჭებს მათემატიკური სტატისტიკის ჩაბარება უჭირდათ. გავედი გამოცდაზე და ოთხიანი მივიღე. სამი დღის შემდეგ ერთი ჩვენი თანაკურსელი წუწუნებდა, ამ საგანს ვერ ჩავაბარებო. ვუთხარი, „მაღარიჩი“ იკისრე და ჩაგიბარებ-თქო. საინტერესო ჩათვლის წიგნაკი გვქონდა: ყდაზე იყო დაკრული ჩვენი ფოტო, ხოლო ყდაში ჩადებულ წიგნაკში ეწერა გვარი, სახელი და ფაკულტეტი. ყდაში ჩავდე მისი ჩათვლის წიგნი, გავედი გამოცდაზე და ხუთიანი მივიღე. გავიდა კიდევ ერთი თვე, ინსტიტუტის ეზოში ვლაზღანდრობთ ბიჭები. კვლავ მოვიდა ჩემი თანაკურსელი, ვის მაგივრადაც გამოცდა ჩავაბარე და მთხოვა საერთო ნაცნობის ნაცვლად გავსულიყავი გამოცდაზე და ორჯერ იკისრებდნენ პურმარილს. მოკლედ, გავბრიყვდი და შევედი გამოცდაზე, ლექტორი ასაკოვანი იყო, მაგრამ იმდენად არა, რომ ვერ ვეცნე, მეუბნება, შენ ხომ ჩამაბარეო. მე კი ვუმტკიცებ, რომ ხუთიანის მიღება მინდოდა და მაშინ არ დამიწერეთ-თქო. ავად გავხდი, საავადმყოფოდან გამოვედი და ეს საგანი დამრჩა-მეთქი. თუ გინდა, სამიანს დაგიწერ გამოკითხვის გარეშეო, მეც დავთანმხდი. ასე, რომ ერთ საგანში, ერთ გამოცდაზე, სამი სხვადასხვა ნიშანი მივიღე.

9. საქართველოს რაგბის ფედერაცია რომ შექმნილიყო, საჭირო იყო ერთი გუნდი მაინც ყოფილიყო რესპუბლიკის სხვა ქალაქში. მახსოვს, მაშინ ბევრმა ჩემზე ასაკით უფროსმა სპორტსმენმა აიღო ვალდებულება, რომ გუნდს გააკეთებდა, თუმცა მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც გუნდი გააკეთა და ისიც ქუთაისში, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ ლევან ახვლედიანის, ხელშეწყობით. რამდენიმე თვის ვარჯიშის შემდეგ

ქუთაისის ცენტრალურ, ხალხით გადაჭედილ, სტადიონზე ჩატარდა ამხანაგური თამაში ქუთაისის „დინამოს“ და თბილისის „დინამოს“ შორის, რომელსაც მე ვმსაჯობდი. მაყურებელი ნანახით კმაყოფილი დარჩა. შემდგომში ქუთაისელებს უდიდესი წარმატებები ჰქონდათ ისინი სამჯერ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები და ორჯერ საკავშირო თასის მფლობელები.

10. ჩემი ინიციატივით შეიქმნა რესპუბლიკის „ლელო-რაგბის“ ფედერაცია, რომლის პირველი თავმჯდომარეც გარკვეული დროით მე გახლდით და შემდგომ ჩემივე ინიციატივით ამ საზოგადოებრივ თანანმდებობაზე არჩეულ იქნა ბრწყინვალე პიროვნება, თბილისის ქალაქკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ომარ ხიზანიშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის რაგბის განვითარებაში. „ლელო-რაგბის“ ფედერაციის შექმნით ორი კურდღელი დავიჭირეთ, რაიონებში დაიწყო რაგბის განვითარება, ხოლო ლელოს პირველობაზე მონაწილეობდნენ თბილისის გუნდები, რაც მანამდე არ ხდებოდა.

11. ჩემ მიერ აღდგენილ იქნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ბ-ნი გივი მრევლიშვილის და ფიზკულტურის კათედრის გამგის, ბ-ნი მიხეილ კეკელიძის, თხოვნის შედეგად. როდესაც ამ გუნდის ყოფილი წევრები გადავიდნენ თბილისის „დინამოში“, „ლოკომოტივში“ „განთიადში“, ეს გუნდი ორი წლის შემდგომ გახდა საქართველოს ჩემპიონი „ლელო-ბურთში“ და საკავშირო „ბურევესტნიკის“ პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო გუნდები, ეს საკამაოდ დიდი მიღწევა იყო.

12. საბჭოთა კავშირში პირველად ჩემი ინიციატივით გაიხსნა რაგბის ფაკულტეტი თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და პირველად სსრ კავშირში თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკაში შეიკერა რაგბის ფორმა და რაგბის ბურთები, რომლებსაც შედარებით მომრგვალო ფორმა ჰქონდათ, რადგან

მასში ჩავდეთ ფეხბურთის ბურთის კამერები, რომლებიც ვარჯი-შისთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

13. რიგაში, ერთ-ერთი მატჩის შემდგომ, რომელიც წავაგეთ, ამასთან წვიმიანი ამინდიც იყო, თამაშის დამთავრების შემდეგ როდესაც გასახდელისკენ მივდიოდი, უცნობმა გოგომ შემაჩერა. ლოყაზე ცხვირსახოცი გადამისვა და მაკოცა სიტყვებით: „გმადლობთ კარგი თამაშისათვის“. ეს იმ დროს, როდესაც ბევრს რაგბის სახელიც არ გაეგო. შემდგომში გამოირკვა, რომ ეს გოგო რიგელი მორაგბის შეყვარებული იყო.

14. მოგვიანებით კვლავ გივი მრელაშვილის და კაპიტან ბუიანოვის თხოვნით შევქმენი ამიერკავკასიის სამხედრო-საჰაერო ძალების მორაგბეთა გუნდი, რომელთა უმრავლესობა სამხედრო მოსამსახურეებით იყო დაკომპლექტებული. ამ გუნდმა ჩემი ხელმძღვანელობით ქ. მონინოში (მოსკოვის ოლქი) სამხედრო საჰაერო გუნდების პირველობაზე, სადაც რვა გუნდი მონაწილეობდა, მესამე ადგილი აიღო, მაშინ, როდესაც ამ პირველობაზე მონაწილეობდნენ უმაღლესი ლიგის უძლიერესი გუნდების, მოსკოვის „მონინოს“ და კიევის „ავიატორის“, სათადარიგო შემადგენლობის მორაგბეები.

15. როდესაც გამოცდაზე რამდენიმე სტუდენტი ერთად შევდიოდით, ერთი ბილეთის ნაცვლად ყოველთვის ორის აღებას ვახერხებდი. მაშინ ასეთი დაუწერელი წესი იყო, თუ გამომცდელს არ გააცდენდი და ალალად ეტყოდი, რომ ბილეთში მოყვანილი საკითხები არ იცი, როგორც საჭიროა, საგამოცდო ბლანკს არ გიფუჭებდნენ და ბილეთს უკან უბრუნებდი. მეორე დღისთვის ვსწავლობდი იმ ნაპარავ ბილეთს და გამოცდას არხეინად ვაბარებდი. ზედმეტ ბილეთს ვიტოვებდი და ჩემ თანაკურსელებს გადავცემდი. მაგრამ ამ ბილეთს ნომერს ვუცვლიდით, რადგან ზოგჯერ ლექტორი ითვლიდა ბილეთებს, იწერდა იმ ბილეთის ნომერს, რომელიც აკლდა და უცდიდა, ვის ხელში აღმოჩნდებოდა. ამ საქციელისთვის შეეძლოთ ინსტიტუტიდანაც გაერიცხეთ ან კურსზე დაეტოვებინეთ. მეექვსე ცდაზე ჩემი მეგობარი და

თანაგუნდელი „ჩავარდა“. ლექტორი განსაკუთრებით იმან გააცოფა, რომ 35 საგამოცდო ბილეთში რამდენიმე ბილეთი ერთნაირნომრიანი აღმოჩნდა. მოკლედ, ამ ლექტორის შვილს საკმაოდ კარგად ვიცნობდი და მთელი „ჩალიჩი“ დამჭირდა, თავისი პურმარილით, რომ ჩემს თანაკურსელს ნიშანი მიეღო და კურსზე არ დაეტოვებინათ.

16. ეტყობა, ცხოვრება დროგამოშვებით დამცინის, მე და ეს ჩემი თანაგუნდელ-თანაკურსელი სამსახურის გამო ერთმანეთს დაგვაპირისპირა. ის სატყეო კომიტეტის სარევიზიო ჯგუფში მუშაობდა, მე – სამხრეთ-ოსეთის სატყეო სამმართველოში ტყის დაცვის ინჟინრად. იმის გამო, რომ ჩვენი სამმართველო ქრთამს არ იძლეოდა, ამ ჩემს მეგობარს დაავალეს ჩვენი ოლქის შემოწმება, უნებართვო ჭრების აღმოსაჩენად. იმ ოლქში, სადაც არც ბუნებრივი გაზი იყო და არც ელექტროენერგია, თვითნებური ჭრების აღმოჩენა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ყოველ კომლს წელიწადში ვუყოფდით მხოლოდ სამ კუბმეტრ შეშას, მაგრამ რა თქმა უნდა, გარკვეული ოდენობით უნებართვო ჭრები იქნებოდა. დიდი ოდენობით უნებართვო ჭრების აღმოჩენის შემთხვევაში, პირველ რიგში, მე და სამმართველოს უფროსს მოგვხსნიდნენ და კარგი იქნებოდა, თუ პასუხისგებაშიც არ მიგვცემდნენ. ჩვენი მეგობარი დამიკავშირდა, საქმის კურსში ჩამაყენა და გამოსავლად ის მოვნახეთ, რომ მე რევიზიის პერიოდში შვებულებაში უნდა გავსულიყავი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მან 1200 მ³ თვითნებური ჭრა დაგვაწერა, ეს დაახლოებით 150-200 ძირი გადამწიფებული ხეა. მოკლედ, შვებულებიდან დავბრუნდი, ვნახე ის ადგილები, სადაც რევიზორმა ეს ჭრები აღმოაჩინა. მეორე დღეს ავიტანე სითხე, გადავუსვი ჯირკებს, რომლებმაც ეს აღწერილი ჯირკები „შეჭამა“ (ქიმიის ცოდნა აქაც გამომადგა). ჩვენი სამმართველოს საპროტესტო წერილზე ახლად შეიქმნა ორმხრივი კომისია, რომელმაც აღნიშნული ჯირკები ძველ, ათი წლის წინანდელ ჭრებად ჩათვალა და ახლა ჩემი მეგობრის მოხსნა დადგა დღის წესრიგში. საბედნიეროდ, ყოველივე ყაიმით დამთავრდა.

17. თბილისის „ლოკომოტივის“ რაგბის გუნდს მე ვავარჯიშებდი საზოგადოებრივ საწყისებზე. ე.ი. ჩვენი შესანახი ფული საზოგადოების ბიუჯეტში არ იდო, მიუხედავად ამისა, ჩემ გუნდს, სხვა გუნდებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა. როგორც იქნა, ლენინგრადის სპორტულმა ფაბრიკამ დაიწყო ნამდვილი რაგბის ბურთების და ფორმის კერვა. წლის ბოლოს ყველა ორგანიზაცია ფულს ინახავდა, რათა აუცილებელი ხარჯების გაღების შემდგომ, წლის ბოლოსთვის, უფულოდ არ დარჩენილიყო. ამასთან იმაზეც უნდა ეფიქრათ, რომ თანხა მთლიანად დაეხარჯათ, რათა მომავალი წლისთვის არ ჩამოეჭრათ. რადგან თანხების ხარჯვა გადარიცხვით ხდებოდა, თავს იჩენდა ლიმიტის პრობლემა ე.ი. სანამ ბანკებში მუშა-მოსამსახურეებისთვის დასარიგებელი ხელფასის ნაღდი ფული არ შევიდოდა, ბანკში გადარიცხვები წყდებოდა. მოკლედ, რაგბის ამაგდარმა, „ლოკომოტივის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ავთანდილ გიორგობიანმა, დაურეკა თავის კოლეგას ლენინგრადში და სთხოვა ჩვენი ფორმის ფული მას ჩაერიცხა და მომავალ ახალი წლის ბიუჯეტიდან ამ თანხას დაუბრუნებდა. ამ საუბრიდან მეორე დღესვე ჩავფრინდი ლენინგრადში, კარგად მიმიღეს და აღმითქვეს გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე შეთანხმებულები იყვნენ. იმ დღესვე სპორტულ მაღაზიაში გამოვაწრინე ანგარიში – 80 – რაგბის მაისურზე, 40 – ბუცზე, 50 – ბურთზე. ლენინგრადელებმა გადარიცხვის საბუთები გაამზადეს და თავიანთი ანგარიშიც დაურთეს ველოსიპედის საბურავების შესაძენად და გამაგზავნეს ცენტრალურ ბანკში „ფანტანკაზე“. აქ გამოირკვა, რომ გადარიცხვები შეჩერებულია. ბევრი რამ არ გავაგრძელოთ, ამ ბანკის მოხელე ქალს, გადარიცხვების განყოფილების გამგეს გავეარშიყე და ვუთხარი, გადარიცხვა ადრე თუ გვიან დაიშვება, მე კი ამ გადარიცხვის გარეშე ამ ქალაქიდან ვერ წავალ ე.ი. უაზროდ ფული უნდა ვხარჯო-მეთქი, არ ჯობია, ეს ფული მე და თქვენ გონივრულად რესტორანში ვხარჯოთ და დრო ვატაროთ-თქო. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ არგუმენტმა გაჭრა და გადარიცხვაზე

ბანკის ბეჭედი დამირტყა. ლენინგრადის „ლოკომოტივის“ სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ისე გაუხარდა, რომ სამსახურის მანქანა დამითმო და ეს ფორმა იმ დღესვე გავაგზავნე თბილისში.

18. ამასობაში რაგბი თანდათან პოპულარული ხდებოდა და საკავშირო თასის ფინალი თბილისში ჩატარდა, თბილისის „ლოკომოტივმა“ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, ყველანი აღფრთოვანებულნი ვიყავით, ხოლო მე პირადად „ამიერკავკასიის“ გზის უფროსმა და „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ დიდი მადლობა გადამიხადა, როგორც გუნდის შემქმნელს, პირველ მწვრთნელს და ეს სიყვარული და მოფერება ბანკეტზეც გამოხატეს.

19. 13 წელი ზედიზედ ნოვოროსიისკის მახლობლად დავდიოდი წყალქვეშა ნადირობისათვის. ამ სპორტით დამაინტერესა ჩემმა მეგობარმა, ოთარ ფირცხალაიშვილმა. ერთხელ ორივემ 64 თევზი ამოვიტანეთ ხაშარზე ჩამოკიდებული და იმ დღეს „პლიაჟის“ გმირები ვიყავით. ისე, მე და ოთარს თავისებური ქიშპობაც გვქონდა, ვინ მეტი რაოდენობით მოკლავდა „კეფალს“, რადგან ეს თევზი მეტად ეშმაკია, ზღვის ნაპირას დაცურავს. მამალ-დედალი ირგვლივ წრეს გირტყამს, არც თოფით სასროლ მანძილზე გიშვებს და არც გშორდება, მოკლედ, „ნერვებს“ გიშლის. მე ეს თევზი რამდენჯერმე წამოვაგე სამკბილა ისარზე, ხოლო ოთარმა, ჩემმა „მასწავლებელმა“, ეს ერთხელაც ვერ შესძლო.

20. ნოვოროსიისკიდან თბილისში ვბრუნდებოდით 30-31 აგვისტოს. ეს ის დროა, როდესაც დამსვენებლები მასობრივად უკან დასაბრუნებელი ბილეთისთვის ღამეებს ათენებენ რიგში. ჩემი მეგობარი ოთარი კი, ძალზე წესიერი კაცი, სულ მუჯლუგუნების კვრით მიმყავდა სამგზავრო კატერთან, რომელიც სოჭიდან მიცურავდა და სამ საათში ისევ სოჭში უნდა დაბრუნებულიყო. როდესაც მგზავრები ჩამოვიდოდნენ კატერიდან, მე ავდიოდი კატერზე, მოველაპარაკებოდი კაპიტნის მოადგილეს, რომელიც ჩვენს ზურჩანთებს და თოფებს კატერში გვაწყობინებდა, მგზავრობის ფულს გადავუხდიდით და სანაცვლოდ წითელ სამკლავეებს გვაძლევდნენ, როგორც კატერის მომსახურე პერსონალს. ერთხელ

სამგზავრო ბილეთებიც კი შევუმოწმეთ კატარღაზე ამომსვლელ მგზავრებს. ხოლო სოჭში (ესეც ჩემი გამოგონებაა) „სოჭი–თბილისის“ „საფოსტო ვაგონის“ გამცილებელს დაველაპარაკებოდით და ასე მოვდიოდით უბილეთოდ, რადგან ამ დროს ბილეთის აღებაზე ფიქრი უტოპია იყო.

21. ბიჭებს მამლაყინწობა გვახასიათებს. ერთი მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს შენიშვნა მივეცი, რომ მოედანზე ასე უხეშად არ უნდა მოქცეულიყო, მან საპასუხოდ მითხრა გავიდეთ დავარტყათო, მე უარი უთხარი, რადგანაც „ლოკომოტივის“ გუნდის მწვრთნელი ვარ, ვერ გეჩხუბები-მეთქი. გავიდა რამდენიმე ხანი, გაუგია, რომ მე ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი ვიყავი მძიმე წონაში კრივში. მოვიდა, ბოდიში მომიხადა, მადლობაც მითხრა და სუფრაზეც მიმიპატიჟა. არა და ძალზე ძნელია თავის შეკავება, როდესაც „მამლაყინწა“ შენს წინაშე თავხედურად დგას და ყბა სანოკაუტოდ აქვს გამზადებული.

22. ამიერკავკასიის „ტყე-პარკში“ მუშაობისას დამებადა აზრი, რომ შემექმნა ისეთი ფორმულა, ცხრილები, რომელიც ტყემოწყობას გამიადვილებდა. მით უმეტეს, როგორც დაუსწრებლი სწავლების ასპირანტისას, ყველაზე მკაცრად ჩემს ნამუშევარს ამოწმებდნენ, რადგან მათთვის „თეთრ ყვავად“ ვითვლებოდი. გამომუშავებულ თანხას ვიღებდი ძველი მეთოდით ჩემ მიერ შქმნილი ცხრილებით. დღეში სამ სანიმუშო ფართობს ვიღებდი და ჩემდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემი აღწერილ-დამუშავებული ფართობები ყოველთვის სიზუსტით გამოირჩეოდა. მაშინ ტყის აღწერის ეს ჩემეული საიდუმლო მეთოდი სხვისთვის არ გამიზიარებია, ხოლო დღეს ისე დააბეჩავეს სატყეო საქმიანობა, რომ აღარავის აღარაფერი აინტერესებს.

23. 60-იან წლებში, როდესაც ახალ-ათონში თავს ვიწონებდი წყალქვეშ ყვინთვით, საყვინთაო ნიღბით და რეზინის ფარფლებით, ეს ახალი ხილი იყო საქართველოსათვის. ერთმა ახალგაზრდა ქართველმა გოგონამ შემომჩივლა, რომ ერთი კვირის წინ, თითიდან ოქროს ბეჭედი წაძვრა და ზღვაში დაკარგა. მაჩვენა ადგილ-

მდებარეობა სადაც ეს მოხდა. ზღვა წყნარი იყო და შევცურე, მართლი გითხრათ, დიდი იმედი, რომ ბეჭედს ვნახავდი, არ მქონდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში სრულიად შესაძლებელი იყო ზღვას დაესილა – ქვიშით დაეფარა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად მალე ვიპოვე და ბეჭედი გოგონას დავუბრუნე, წყლის ქვეშ, ბედად, ქვაზე იდო.

24. ძალზე სასიამოვნოდ მახსენდება ჩემი მუშაობის წლები დღევანდელ ვ. გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტში. მაშინ ჩემი თემის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი იყო. ძალზე პატივსაცემი, განათლებული, პირდაპირი და პატიოსანი პიროვნება, ოღონდ კახური სიჯიუტით გამოირჩეოდა, იმ დროს საკავშირო მინისტრს, შეიძლება ითქვას, რომ ვიცნობდი, როგორც ეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის და მინისტრის დონეზე იყო შესაძლებელი. ბატონი ვასო რატომღაც განაწყენებული იყო ამ მინისტრზე და მთელი სამი წლის განმავლობაში, როდესაც წლიური ანგარიშის ჩასაბარებლად მიდიოდა მოსკოვში, მინისტრთან არ შედიოდა. ჩვენ გარდა ამ სამინისტროს კიდევ 42 კვლევითი ინსტიტუტი და ლაბორატორია ემორჩილებოდა. მე საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა სამინისტროს მომარაგების სამმართველოს უფროსთან და გაჩნდა შანსი, რომ ინსტიტუტისთვის გამოეყოთ დამატებით მსუბუქი ავტომანქანა, ოღონდ ჩემთვის. ამისათვის კი საჭირო იყო მინისტრის ხელის მოწერა, ხოლო მინისტრს ამის შესახებ უნდა ეთქვა დირექტორისთვის, რომელიც მასთან შესვლას არ „კადრულობდა“.

მინისტრს ემსახურებოდა სამი მსუბუქი მანქანა: ოჯახს ძველი „ვოლგა“, თავად – ახალი „ვოლგა“ და წარმომადგენლობითი შეხვედრისთვის – „ჩაიკა“. ამ უკანასკნელის მძღოლს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. მთელი დღე ზოგჯერ ფარეხიდან არ გადიოდა და თუ ათ მანეთს გადავუხდიდი, სადაც მინდოდა, ამ პრესტიჟული მანქანით დავყავდი.

მოკლედ, ვასილ გულისაშვილი თავის მოადგილესა და ერთ-ერთი განყოფილების უფროსთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვში

მატარებლით, „კურსკის“ ვაგზალზე დავხვდი და დავახვედრე ეს მანქანა იმ დროს ამ მანქანის სადგურზე დახვედრება იგივე იყო, დღეს რომ თბილისის რკინიგზის სადგურზე შვეულმფრენი დაგახვედრონ. როდესაც ბატონმა ვასომ დაინახა „ჩაიკა“ სახელმწიფო ნომრებით, იუცხოვა და იკითხა, სად ნახე ეს მანქანაო? მეც არ დავაყოვნე და ვუთხარი: მინისტრმა რომ გაიგო, თქვენ ჩამობრძანდებოდით, ეს მანქანა გამოგიყოთ-თქო. მიხვდა, რომ ვატყუებდი და გამოსცრა: „მინისტრმა კი არა, შენი ნაჩალიჩევიაო“, მოკლედ, მივედით აკადემიკოსისთვის განკუთვნილ სასტუმრო „ოქტიაბრში“, სადაც ის ყოველთვის ჩერდებოდა. გამოირკვა, რომ რაღაც საერთაშორისო კონფერენცია ტარდებოდა და ადგილი მხოლოდ ბატონ ვასოს შესთავაზეს, მის თანმხლებლებს კი ურჩიეს სხვაგან მოწყობილიყვნენ. ბატონი ვასოს დიაბეტი აწუხებდა, დღეში ორჯერ ინსულინს იკეთებდა და ამიტომაც მასთან ვიღაც უნდა დარჩენილიყო. მოკლედ, გამოვართვი ბატონ ვასოს თავისი აკადემიკოსობის მოწმობა, მათ მიერ ჩამოტანილი ერთი ბოთლი კონიაკი, შევედი სასტუმროს დირექტორთან, ვუთხარი, რომ ჩემი ოპონენტია საქართველოდან, დისერტაციას ვიცავ და ვთხოვე „ლუქსში“ მოეწყო თავის თანმხლებლებთან ერთად. დარეკა: იმ დღეს, საღამოს, უნდა წასულიყვნენ ბულგარელი აკადემიკოსები, მათი ჩემოდნები დადგეს ვესტიბიულში და გულისაშვილი შეასახლეს.

25. საკავშირო მინისტრის მდივანს საკმაოდ კარგად ვიცნობდი და ვთხოვე ეკითხა მინისტრისთვის ჩემი ინსტიტუტის დირექტორს როდის დაუნიშნავდა შეხვედრას. მდივანმა მითხრა, რომ დღის მეორე ნახევარში, ოთხ საათზე. ახლა საჭირო იყო ვასილ ზახარიჩის მოტყუება და ვუთხარი: ბატონო ვასო, მინისტრმა გთხოვათ, თუ შესძლებს, ოთხ საათზე მოვიდეს მიღებაზეო, შევატყვე ესიამოვნა. მანამდე მივიყვანე სამინისტროს მომარაგების უფროსთან, რომელმაც ასეთი კითხვა დაუსვა: „ხომ არ იქნები წინააღმდეგი, რომ მსუბუქი მანქანა თქვენს ინსტიტუტს გამოვუყოთ?“ ამ თქვენმა თანამშრომელმა შემჭამა და უნდა დავეხმაროთ. რა თქმა

უნდა, ბატონი ვასო წინააღმდეგი არ იყო, სასაცილო ის არის, რომ ის მანქანა სხვას, თანამშრომელს, მისცა, მაგრამ ეს სხვა ამბავია, მოკლედ, მინისტრი და დირექტორი შეხვდნენ ერთმანეთს, ერთი საათი გულთბილად ისაუბრეს და დაშორდნენ სიამტკბილობით.

26. ბატონი ვასილ გულისაშვილი ძალზე წუხდა, როდესაც კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარდგენილ სამეცნიერო თემებზე შენიშვნები იწერებოდა, ხოლო უფრო ნერვიულობდა, მისი არგუმენტირებული შენიშვნები რომ გაუთვალისწინებელი რჩებოდა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მე მგზავნიდა მოსკოვში მივლინებით ერთი კვირით ადრე, სანამ სამეცნიერო თემებზე საბოლოო დასკვნები დაიწერებოდა.

სამინისტროს მდივან-მემანქანეებს, რომლებიც შენიშვნებს ბეჭდავდნენ, კარგად ვიცნობდი, ჩავუტანდი ქართულ სუვენირებს და სხვათა შორის ვეტყოდი: თუ შეიძლება ჩვენი ინსტიტუტის თემებზე შავად დაწერილ რეცენზიებს წინასწარ გავიცნობ-თქო. მეტყოდნენ: მანდვე, მაგიდაზე, დევსო. მე ამ დროს ბურთულიანი კალამი მქონდა დამალული პიჯაკის სახელოში. თითქმის ყველა შენიშვნას ხაზს გადავუსვამდი და დავტოვებდი მხოლოდ იმ სამ თემაზე შენიშვნებს, რომელსაც თავად ვასილ ზახარიჩი უძღვებოდა. შედეგად ინსტიტუტი იღებდა კომისიაზე კარგ შეფასებას და რაც მთავარია, თანამშრომლები – მეცამეტე ხელფასს. რაც შეეხება ვასილ ზახარიჩის თემებზე დატოვებულ შენიშვნებს, ბიჭების თხოვნით ვტოვებდი – სალაღობოდ.

27. მაშინ ასეთი წესი იყო: თუ სამეცნიერო ანგარიშებს ვადამდე ადრე ჩააბარებდი სამინისტროში, საქმიანობის დადებითი შეფასების შემთხვევაში ინსტიტუტს მეცამეტე ხელფასით აჯილდოვებდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას ვითვალისწინებდით და ყოველგვარ გეგმას „გადაჭარბებით“ ვასრულებდით. მაგრამ ერთხელ „გამოგვიჩხრიკეს“ მექანიზაციის განყოფილების თემა, რომელიც ტყის ჭრისთვის საჭირო მექანიზმების გადაკეთებასთან იყო დაკავშირებული და მაგრდებოდა ტრაქტორზე. მოკლედ,

სამი ტრაქტორის თავისი გადაკეთებული მექანიზმებით უნდა ჩამოგვეტანა მოსკოვის მექანიკური ქარხნიდან, რომელიც სამინისტროს საკავშირო კვლევით ინსტიტუტს ემორჩილებოდა. ამ დროს რუსეთში და ყაზახეთში დაწყო ხორბლის მოსავლის აღება და საბარგო ვაგონებს არ გვიყოფდნენ, ამასთან, რატომღაც, ბენზინის დეფიციტი შეიქმნა ქვეყანაში. თემა დაწერილია, ტრაქტორები ადგილზე არ არის! მაშინ ბრძანა ბ-ნმა ვასილმა დაუძახეთ „ვსემოგუჩის“ – ყოვლისშემძლესო, ე.ი. (რა თქმა უნდა, ეს ზედმეტი სახელი, ბატონი ვასილის შერქმეული, მეამაყებოდა). დამევალა ამ ტრაქტორების ჩამოტანა თბილისში. მეორე დღეს ჩავფრინდი მოსკოვში, ტაქსით ჩავედი ქ. პუშკინოში, რომელიც მოსკოვიდან 30 კმ-თაა დაშორებული, გავაჩერე სახელმწიფო ავტოინსპექციის ჯიხურთან, რომელიც მეორე სართულზე იყო გადმოკიდებული. უსიტყვოდ გავხსენი „დიპლომატი“, ამოვიღე სამი ბოთლი კონიაკი, დავდგი მაგიდაზე, ვაჩვენე ჩემი პირადობის მოწმობა და ვთხოვე, რომ მჭირდება ორი სატვირთო მანქანა, რათა საცდელ-საჩვენებელი ქარხნიდან ტრაქტორები წამოვიღო, ოფიცერი კი, მეუღლესთან ერთად საღამოს რესტორანში დავპატიჟე.

ჩემ პირადობის მოწმობას ერთი მომნუსხველობა ჰქონდა, რომელიც ბევრჯერ გამომდგომია, რათა ის პატივი მოეგოთ, რაც ცენზით არ მეკუთვნოდა. მანამ, სანამ კვლევით სატყეო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავაბარებდი, მიმიღეს კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ წევრ-კორესპონდენტად, რათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს დავსწრებოდი და რაღაც სტატუსი მქონოდა. მე კი ამ „თანამდებობის“ სიკეთეს დროულად ავუღე ალღო, გავაკეთებინე სამთავრობო, პრესტიჟული, პირადობის მოწმობა, ჩავაკარი ინსტიტუტის რუსულ ენაზე დაწერილი სტანდარტული მოწმობებისთვის განკუთვნილი ბლანკი, ჩავაკარი შიგ ჩემი მოზრდილი ფერადი ფოტოსურათი და ტუშით დიდი ასოებით შევავსე ჩემი ინიციალები და წოდება – მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტი, რაც დილეტანტისთვის ჟღერდა, როგორც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რაც

იმ დროს ძალიან ფასდებოდა, მით უმეტეს, ასეთი ახალგაზრდა კაცის აკადემიკოსობა.

უკვე ერთ საათში ვიმყოფებოდი ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორის კაბინეტში, ვაწყობდით გეგმებს, როგორ გავგზავნოთ ტარქტორები თბილისში. ამ დროს ახლადგაცნობილმა ავტოინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა ნებართვა ითხოვა შემოსვლაზე და საზეიმო სამხედრო სალამით მომახსენა: ამხანაგო ყუფარაძე (გვარი დაუმახსოვრებია), თქვენი დავალება შესრულებულია, სომხეთის ორი საბარგო მანქანა, „კოლხიდა“, ქარხნის კარებთან დგასო! მოკლედ, მძღოლები 4-4 ორასლიტრიანი ბენზინით სავსე რკინის კასრებით მოვამარაგეთ და იმ დღესვე ტრაქტორებით დატვირთული მანქანები გავგზავნე თბილისში.

28. მოსკოვში ზოგჯერ საკავშირო მინისტრის „ჩაიკით“ დავდიოდი. რა თქმა უნდა, მძღოლს ფულს ვუხდიდი. ერთხელ სასტუმრო „მოსკოვთან“ შემხვდა ნათლიაჩემი ადა მანჯავიძე და მისი მეუღლე, რომლებიც მანქანას ეძებდნენ სადღაც წასასვლელად. მე მანქანიდან გადმოვედი, ნათლიაჩემი გადავკოცნე და მძღოლს ვუთხარი, სადაც ეტყოდნენ იქ მიეყვანა. ეტყობა მძღოლმა „მარკა“ ამიწია და უთხრა: გეორგი ვალერიანიჩი ჩვენი სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელიაო. თბილისში რომ ჩამოვედი, მამაჩემმა მკითხა, მოსკოვში რა ცირკი მოაწყვეო. თურმე ნათლიაჩემს თბილისში ჩამოსვლისას მამაჩემისთვის დაურეკავს და უთქვამს, შენი ბიჭი თუ თანამდებობის პირი იყო, მე ამის შესახებ რატომ არაფერი ვიცოდიო.

29. მე და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი ბორია სარალიძე მოსკოვში ვართ, მოწყობა გვინდა პრესტიჟულ სასტუმრო „მოსკოვში“, თანაც ლუქსში, ამისათვის კი საჭიროა სამინისტროს საორგანიზაციო სამმართველოს წერილი, დამოწმებული მოსკოვის სასტუმროების სამმართველოს მიერ. ამ სამმართველოს უფროსს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ვთხოვე ეს სასტუმრო გაეკეთებინა, მან თბილისიდან ჩამოსულ სტუმრების სიას გადახედა და ნახა მინისტრის სამი მოადგილე იყო ჩამოსული და სამივე ამ სასტუმ-

როში ცხოვრობდა. მე საქართველოს სატყეო მინისტრად „გამასაღა“ ხოლო ბორისი ჩემს თანაშემწედ. მივედით სასტუმროში, შევავსეთ ბლანკები და ბორისს ვეუბნები, აგერ ჩემი პასპორტი, ბლანკი, მიდი ადმინისტრატორთან და გააფორმე ლუქსის ნომერი, მე როგორც მინისტრს არ შემშვენის რიგში დგომა-თქო. მერე ბორისი მაყვედრიდა „მართლა არ შეიშნო მინისტრობა ყუფარაძემო“.

30. მოსკოვში მივდივართ მე და ბორის სარალიძე. ბორისმა შემომთავაზა: მოდი ჩვენს ძმას, გიორგი ძებისაშვილს, დავუძახოთ, ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი დავდოთ და ერთი გემრიელად მოულხინოთ რესტორანში, მაინც დისერტაციის დაცვას სამივე აქ ვაპირებთო. ძებისაშვილს დავურეკე და ხვალისთვის დავპატიჟე სასტუმრო „ბერლინის“ პრესტიჟულ რესტორანში. მეორე დღეს ორლიტრიანი პეპსიკოლის ბოთლში გავხსენი ჩემი „კონიაკის კონცენტრატი“ მივიტანე შეუკვეთე მდიდრული პურღვინო, კარგად დავმძიმდით ალკოჰოლით და ოფიციანტს ვთხოვე მოეტანა დანახარჯი, დავხედე ოცდაორი მანეთია, ბორისმა თავის ოცდახუთმანეთიანი გამომიწოდა, მე ჩავდე მენიუში ეს ფული, ოფოციანტს ვანიშნე, რომ ფული გადავიხადეთ და ავიშალეთ. ბორისი არ დგება, გოგი, ცოტა ხომ არ გადავიხადეთ, თქვენ ფული რატომ არ დადეთო, მე ანგარიში ვაჩვენე, გაოცდა, ასე იაფად როგორ გამოვედითო. მაშინ მოსკოვში სასმელი იყო ძვირი და არა – საჭმელი. მერმე ბორისი ტრაბახობდა სასტუმრო „ბერლინში“ სამი კაცი ზღაპრულ სუფრაზე დავპატიჟეო.

31. ჩემ მიერ შეიქმნა „პირობითი ეტალონების თეორია“, რომლის გამოყენება ჯერ-ჯერობით შეიძლება მოცულობების და მარაგების დასადგენად.

32. შალვა ხიდაშელთან ერთად შეიქმნა ზოლისებური მოვლითი ჭრების მეთოდი, რომელსაც ზოგი ალმაცერად უყურებდა. არა და სატყეო მეურნეობისათვის ახალი ჭრის სისტემის შექმნა ძალზე ძნელია და თითქმის აღმოჩენის ტოლფასია. ეს პროექტები წარვადგინეთ საკავშირო სატყეო-სახელმწიფო კომიტეტის ფუ-

ლად პრემიაზე და მივიღეთ კიდეც. ეს ჩემი ინიციატივით მოხდა და „ურწმუნო თომებსაც“ ცხვირი მოვხოცეთ.

33. ცოტა მოგვიანებით, როდესაც სატყეო საქმიანობას ჩამოვშორდი, ჩემ მიერ დაპატენტებულ იქნა „ელიფსის მაგვარი გ. ყუფარაძის სახელობის მთავარი სარგებლობის ჭრები“.

34. გარემოებათა გამო გადავწყვიტე დისერტაცია დამეცვა ჩემი სპეციალობით მოსკოვის ტყის ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ქართველების ჩემამდე წარდგენილი ყველა დისერტაცია, ორი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო, ჩააფლავეს. ინსტიტუტის დირექტორიც ვ. გულისაშვილის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნის შედეგად იძულებული გახდა ნება დაერთო. გამგზავნეს მეტყევეობის კათედრაზე, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა აკად. ი. მელეხოვი. კათედრაზე კარგად მიმიღეს, განსაკუთრებით, ერთმა გარუსებულმა ქართველმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა, მან გადახედა ჩემს დისერტაციას და შემახურა. ი. მელიხოვის კათედრაზე მოდიხარ და მისი გვარი ერთხელაც არ გაქვს გამოყენებულ ლიტერატურაში ნახსენებიო. მე თავი ვიმართლე, მას შრომები ციმბირის ტყეებზე აქვს დაწერილი, მე კი საქართველოს ტყეებზე ვწერ-“მეთქი. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ჩემს თემებს მის შრომებთან? „ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს“, მაჩვენა „ვიტრინა“ სადაც გამოფენილი იყო ი. მელიხოვის წიგნები და მითხრა, როგორც გინდა, ისე გააკეთე, მაგრამ ამ შრომებიდან რამდენიმე მისი თეზისი, მისივე გვარის აღნიშვნით უნდა შეიტანოო და დამტოვა. სხვა გზა არ იყო, მართლაც ოთხი თეზისი, რომელიც შეესატყვისებოდა ჩემს შრომას, ჩავუმატე, იმ დღესვე დავაბეჭდინე, აკინძული დისერტაციის 8 გვერდი შევცვალე. მეორე დღეს, შევხვდი აკადემიკოსს, რომლის კათედრასაც ჩემი სადისერტაციო თემა უნდა წარედგინა სამეცნიერო საბჭოზე მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. აკადემიკოსმა დაიწყო დისერტაციის დათვალიერება, სხვადასხვა კითხვებს მისვამდა და დისერტაციის ბოლოში სადაც მოყვანილია გამოყენებული ლიტერატურა, თავისი გვარის ძებნა დაიწყო. რადგან

დისერტაცია ახალი აკინძული იყო გვერდები ერთმანეთს დაეწე-ბა, დავაშორე და როცა ნახა, რომ მისი გვარი ოთხჯერ მქონდა დასახელებული, თქვა, საინტერესო ნამუშევარია, საჭიროა ოპო-ნენტებს გადავცეთო. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსი ი. მელიხოვი დიდებული ადამიანი იყო, ეტყობა, მასაც ახასიათებ-და ადამიანური სისუსტე, იმისდამიუხედავად, რომ ყველა რეგა-ლიები ჩვენს დარგში მოპოვებული ჰქონდა.

35. სატყეო ინსტიტუტის თანამშრომელს და ჩემ კარგ ამხანაგს, კარლო ჯუმუტიას, სამი დღე მისცეს ავტორეფერატის დასაბეჭდად, რათა სადისერატციო თემის დასაცავად სამეცნიერო საბჭოზე დაეშვათ, შემდგომ საბჭო წყვეტდა თავის საქმიანობას ვადის გასვლის შედეგად და როდის მისცემდა მას ხელახლა ნებართვას საკავშირო უმაღლესი საატესტატო კომისია, არავინ იცოდა. ავტორეფერატის დაბეჭდვას ხელს უშლიდა ის, რომ თემა უნდა დაცულიყო ბიოლოგიაში, ამიტომ წინასწარ უნდა განეხილა საქართველოს მთავარ საცენზური კომისიას და დაედგინა, რომ ის რაიმე სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეიცავდა.

ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რომელსაც ამბიციები ჰქონდა ინსტიტუტის დირექტორობაზე და ყოველნა-ირად ცდილობდა თავისი ავტორიტეტის ამაღლებას, კარლო ჯუმუტიას წაჰყვა ამ დაწესებულებაში, მითუმეტეს, რომ ამ დაწესებულების უფროსის მოადგილის შვილი მივიღეთ სამუშაოდ ლაბორანტად, მაგრამ ამ კაცმა ოფიციალური „დაიჭირა", თქვა – ჩაგვაბაროს ავტორეფერატი და წესისამებრ ერთ თვეში განვიხილავთო. მოკლედ, ეტყობა განაწყენებული იყო რომ მისი შვილი პირდაპირ მეცნიერ მუშაკად არ მიიღეს. მეორე დღეს შევესწარი საუბარს დირექტორის მოადგილის კაბინეტში, თუ როგორ ადანაშაულებდნენ ამ ასპიარნტს სიზარმაცის გამო. მე შევთავაზე, რომ ხვალ წავყვებოდი ჯ. ჯუმუტიას და დავაბეჭდვი-ნებდი ამ რეფერატს. შენ მართლა „ვსემოგუჩი" ხომ არ გგონია შენი თავიო, გაბრაზდა მოადგილე, ამხელა თანამდებობის კაცმა ვერ გავაკეთე და შენ როგორ უნდა გააკეთო, ხვალ სამსახურში,

ეტყობა, არ გინდა მოსვლა და მიზეზად ეს მოგაქვსო. კარგი-კარგი, წადი, ერთი ვნახოთ, რას გააკეთებო. ეს საუბარი მოხდა ინსტიტუტის თანამშრომლების თანდასწრებით, რომელთა უმეტესობა მას ეთანხმებოდა.

ყოველთვის ვხვდებოდი როგორ მეკეთებინა ესა თუ ის საქმე, რაც ძალზე მშველოდა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში. უბრალოდ ჯ. ჯუმუტიას ავტორეფერატს წავაწერე: „დაიბეჭდოს!“ ქვემოთ ჩემი გვარი მოვაწერე, რიცხვით და თარიღით და ქვემოთ დავუსვი შტამპი, „ხელმოწერა სწორია“. ავტორეფერატი მივიტანეთ, ჩემი ნაცნობის გამომცემლობაში, გადავიხადეთ 50 მანეთი და ორ საათში ავტორეფერატი დაბეჭდილი იყო. მე ჯუმბერის ვთხოვე ერთ ავტორეფერატზე წაეწერა დირექტორის მოადგილის სახელი, ტექსტით: „პატივისცემის და აღიარების ნიშნად ავტორისაგან“. ეს ავტორეფერატი გამოვართვი, ჩავიდე ჯიბეში, ჯუმბერი კი წავიდა თავისი საქმეების მოსაგვარებლად, რათა დისერტაციის დაცვის დღე დაენიშნათ. მეორე დღეს, დირექტორის მოადგილე ატარებს თათბირს, მეც იქ ვიმყოფები, განგებ გატრუნული ვარ და ხმას არ ვიღებ. თათბირის ბოლოს მეკითხება: „რა ჰქენი, გააკეთე სახეირო?“ რა უნდა გამეკეთებინა-მეთქი. როგორ თუ რა უნდა გაგეკეთებინა, გუშინ სამსახურში რომ არ მოხვედი და გაიქაჩე, ამას გავაკეთებო! მეც ვითომ ვერ მივხვდი, რაზეა საუბარი, რა დავალება მომეცით-თქო „გადამრევს ეს კაცი, ჯუმუტიას რომ წაჰყევი, ვითომ ავტორეფერატს დაგიბეჭდავო, სადაა შედეგი, ხომ არ ჩაისვარეთ, ბატონო გოგი? მეგონა, რაღაც სერიოზულს მეკითხებოდით-მეთქი, ამოვიღე ჯიბიდან ავტორეფერატი, რომელიც მისთვის იყო განკუთვნილი, დახედა ოხ, შენი, მართლა მაგარი ხარო, ყველა სიხარულით იცინოდა.

36. ერთხელ მოსკოვში ცოლმა შემარცხვინა, არ გრცხვენია შენი შეძლების კაცის ცოლს ასეთი ქურქი უნდა ეცვასო. „ჩვენმა ბიჭმა ცოლი რომ მოიყვანოს, საპატარძლოს ნათესავებში თავი მოგვეჭრებაო“, მოკლედ, ქურქის ყიდვა დამაწერა. მივედით იმ მაღაზიაში, სადაც ქურქების ჩამოფასებას აცხადებდნენ. გაისინჯა

ერთ-ერთი ქურქი, მოირგო და მოიწონა. დავხედე ფასს, მეძვირა, თანაც არც ჩამოფასებული იყო. ცოლს ვეუბნები, აგერ გვერდზე უნივერმაღში ამაზე უკეთესი ქურქებია, ამაზე გაცილებით ნაკლები ღირს და იქ ვიყიდოთ-თქო. ეს ისე დამაჯერებლად ვთქვი, რომ მაღაზიის მენეჯერი თავის უფროსს შეეხმიანა. მერე მოვიდა ჩვენთან და გვკითხა, რამდენს გადავიხდიდი, მე გარკვეული ნაწილი ფულის ამოვიღე და მის თვალწინ დავითვალე, ეს თანხა პირველ ფასთან შედარებით 500 დოლარით ნაკლები იყო. კვლავ დაურეკა მენეჯერმა თავის უფროსს, უთხრა, ალბათ, მეტი ფული არ აქვთო და ქურქი შევიძინეთ. მაშინ დოლარი ფულობდა. ამასთან საოცარია ქალის ბუნება, რაც უფრო ძვირად შეიძენს ტანსაცმელს, ჰგონია უკეთესია და ამით თავიც მოაქვს.

37. როგორც იქნა, სატყეო-სპეციალობაში, საკავშირო საატესტატო კომისიამ მოსკოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტს კვლავ დართოს ნება სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვისა. პირველ სამეცნიერო საბჭოზე მე უნდა დამეცვა საკანდიდატო დისერატცია. ჩემი „გათავხედებით“ გათამამებულმა ყოფილმა ჩემმა ლექტორმა, ვახტანგ დარახველიძემაც, გადაწყვიტა სადოქტორო დისერტაცია ამ საბჭოზე წარმოედგინა. ამ სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ნ. ანუჩინი, რომელიც ოდიოზური ფიგურა იყო და მეტყევეების წრეში საკმაოდ ცნობილიც, ამასთან მაშინდელი საკავშირო მინისტრთა საბჭოს მთავარი კონსულტანტი იყო. ერთხელ ბატონი ნ. ანუჩინი ჩემ და მეორე ქართველი ასპირანტის, გიორგი ძებისაშვილის, გასაგონად ვახტანგს ეუბნება: ვახტანგ, რა ვუყოთ ჩვენს მეგობრებს, თორემ ყუფარაძის საკანდიდატო დისერტაცია უფროა სადოქტორო, ვიდრე შენი ნაშრომიო, მაშინ გავწითლდი, შემრცხვა, მაგრამ შემდეგ ეს არაკორექტულად ნათქვამი ანუჩინის სიტყვა მეამაყებოდა.

38. მე ტექნოლოგიისკენ, ეტყობა, ყოველთვის მქონდა მისწრაფება, თბილისში ვშოულობდი სპირტს და ესენციებით და კოლერით ვამზადებდი კუპაჟს, ვასხამდი 10 ლიტრიან პლასტმასის კასრში, ვდებდით პორტფელში და მოვფრინავდით მოსკოვში.

მაშინ არავინ გვამოწმებდა თვითმფრინავზე ასვლისას. ჩამქონდა ინსტიტუტის ქალთა XVI საერთო საცხოვრებელში, რომელშიც ცხოვრების უფლება მხოლოდ ვაჟ ასპირანტებს ჰქონდათ. ამ სითხეს ჩავუშვებდი გ. ძებისაშვილის მიერ გადანახულ 22 ლიტ-რიან შუშის ქილაში, დავასხამდით მოსკოვურ წყალს და დგებოდა სტუმრების და ჩემი „ჩამოსვლით გახარებულთა რიგი“. წესით ამ სითხეს, რომელსაც კონიაკის კონცენტრატი დავარქვი, 21 დღე სჭირდებოდა კუპაჟისთვის, მაგრამ ამას არავინ დაგიდევდა. მოკ-ლედ, იმ კონცენტრატს წყალს რომ დავასხამდით, იღებდა ძალზე ძველი კონიაკის, OC-ის, ფერს. რაც შეეხება გემოს, საყვედური არავისგან გამიგია, ამასთან მოსახლეობას 95% სასმელის ხარისხს ვერ აჭაშნიკებდა, რადგან ისინი მას აფასებენ გემოს მიხედვით, ხოლო რას მიირთმევენ, არ აინტერესებთ.

39. რამდენიმე დღე დარჩა ჩემი დისერატციის დაცვამდე, 3 ოქტომბერს კი ჩემი დაბადების დღეა. ამ დროს ცალკე ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდი მეცხრე სართულზე გ. ძებაშვი-ლი ჩემთან ღამის 10 საათზე ამოვიდა, მოწყენილობის მიზეზი მკითხა. დღეს ჩემი დაბადების დღეა მეთქი, ამ დროს ყველა მაღაზია დაკეტილი იყო, მაგრამ გოგის, როგორც „ნდობით აღ-ჭურვილ“ პირს, რუსი ასპირანტები არაყს ანდობდნენ, რათა სა-ჭიროების შემთხვევაში მისგან წაეღოთ, რადგან თავად ცდუნებას ვერ უძლებდნენ და არაყს ვერ ინახავდნენ. მოკლედ, ღამის 11 საათზე ორი მოწინავე სტუდენტი გოგონათი, რომლებიც სტუ-დენტთა გაცვლის შეთანხმების თანახმად, ახლახან დაბრუნე-ბულნი იყვნენ უნგრეთიდან, მიბარებული არყებით და პურმარი-ლით დამადგნენ თავზე. ცოტათი რომ შევთვერით, დაბალ მუსიკის ჰანგებზე გოგონებმა, როგორც მოსკოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ყველაზე პერსპექტიულ სასიძოს, სტრიპტიზი ცეკვა მაჩუქეს, თავიანთი ჩასწორებებით, რაც უნგრეთიდან ჩამოიტანეს.

40. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდგომ ერთი წლით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და ჩამრიცხეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ათეულში. ქვემეხზე

მაგრდებოდა ოპტიკური სამიზნე ორი დანაყოფით, ერთით ისაზღვრებოდა მანძილი ტანკსა და ქვემეხს შორის, მეორეთი ხდებოდა დამიზნება, ამ ქმედებას ყველაზე საუკეთესო მემიზნეც კი 15-18 წამს ანდომებდა. ჩემ მიერ შედგენილ ნახაზით სამიზნეები სხვადასხვა ფერში იყო წარმოჩენილი. სამიზნეები ერთმანეთზე დავსვი და მანძილის დადგენა და დამიზნება თითქმის ერთდროულად ხდებოდა. დამიზნების დრო 5 წამამდე შემცირდა. ეს პროექტი პოლკის საიდუმლო ნაწილმა წარადგინა სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბში. ხოლო ცოტახნის შემდგომ შემომთავაზეს ჯარში დარჩენა, უფროსი ლეიტენანტის ჩინით და საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობით მოსკოვის ოლქში. მე ამ „მომხიბვლელ“ წინადადებაზე უარის თქმა მოვახერხე, თუმცა ეს წინადადება სამჯერ გამიმეორეს.

41. ჩემ მიერ შექმნილია ხუთი ახალი დამწერლობა. თითოეულ დამწერლობაში შესულია 44 ახალი ასო.

42. ჩემ მიერ შეიქმნა ორი ახალი ქართული შრიფტი, რომლის გამოყენებითაც თაბახზე შეიძლება ჰორიზონტალურად დაიწეროს ოთხი დამატებით ასო, ხოლო ვერტიკალურად სამი პწკარი, ამ შრიფტით დაიბეჭდილია ჩემს მიერ შექმნილი „სამყაროს კონსტიტუცია, დანახული XXII საუკუნის გადასახედიდან“.

43. ჩვენ მიერ პირველად იქნა ნაწარმოები უნაწილაკო „შპროტის“ კონსერვი, რომელსაც სერიულად ვუშვებდი სახელწოდებით „განსაკუთრებულად დანაწევრებული შპროტი“. მოკლედ, საზღვარგარეთ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ქარხნები თავიანთ პროდუქტს ყიდნენ 0,33 ცენტად, ხოლო ჩემი კოოპერატივის მიერ გამოშვებული „შპროტის“ კონსერვი იყიდებოდა ერთ დოლარად და ხუთ ცენტად.

44. ჩემ მიერ იქნა გამოგონებული გაყინული უცხიმო თევზის გასუქების მეთოდი, რომელზეც საავტორო მოწმობაა გაცემული. გაყინულ თევზს, ძირითადად „სტავრიდას“, ვასუქებდი ოთხ საათში ნახევარ ტონას და შემდეგ ხდებოდა მისი შებოლვა, ხარისხი ძალზე კარგი იყო.

45. შავი ზღვის ზვიგენი „კატრანი“ თავისი სტრუქტურით ძალზე ჰგავს ზუთხს, განსაკუთრებით, როდესაც მას ხაოინ ტყავს გააცლიან, მაგრამ აქვს ორი ნაკლი, ნაკლებად ცხიმიანია და შარდის სუნი ასდის. რადგან მასში მომატებულია შარდის მჟავა, რომელიც ორგანიზმისთვის გარკვეულ შემთხვევაში სასარგებლოცაა. მოკლედ, გამოშვებულ „ზუთხის სათალს“ სუნსაც ვუსპობდით, ცხიმიანობასაც მაღლა ვწევდით და რაც მთავარია, მისი ორაგულისაგან გამორჩევა დილეტანტებს უჭირდათ.

46. ბათუმში ფლოტის მთავარ ტექნოლოგად მუშაობის დროს დანერგილ იქნა რაციონალური წინადადება, შედეგად ვიღებდით ხიზილალას. მოივას გაყინულ თევზს ვალხობდით და თევზს ანალურ ადგილას ჭრილს ვუკეთებდით, საიდანაც თითის დაჭერით ხიზილალა მოდიოდა, ხოლო მოივასთვის დამახასიათებელი შავი აპკი, რომელშიც ხიზილალა იყო გახვეული, თევზში რჩებოდა, რაც მთავარია, ხიზილალას წყალს არ ვაკარებდით და ისე ვამარილებდით, ქილებში ვდებდით, ვხუფავდით და პასტერიზაციას ვუკეთებდით. გაცილებით უკეთესი ხიზილალა გამოდიოდა ვიდრე სხვა ქარხნები უშვებდნენ, ხოლო ხიზილალა გამოცლილი თევზიდან ვაკეთებდით „შპროტის“ მაგვარ კონსერვებს „ჩრდილოეთის ნათებას“ მუშებს ვასწავლე დედალ-მამალ თევზების გარჩევა და ეს რუდუნული სამუშაო ძალზე მომგებიანი გამოვიდა.

47. ჩვენ მიერ შექმნილ იქნა ახალი სახის ცილოვანი ხიზილალა, რომელიც ძალზე ჰგავდა ნამდვილს, ხოლო როდესაც ერთი ერთზე გადაურიე ბუნებრივ ხიზილალას და „ასტრახანრიბას“ გაერთიანების ცენტრალურ ლაბორატორიას მივეცი შემადგენლობის დასადგენად და თან გავაფრთხილე, რომ ცილოვანი ხიზილალა. ისინი სამი დღის განმავლობაში ატარებდნენ ანალიზს და შემდგომ „გამომლანძღეს“. რას გვატყუებ, ნაღდი ხიზილალაო.

48. ასტრახანში მქონდა არენდით აღებული თევზის გადასამუშავებელი ქარხანა და ვამუშავებდი თევზის იმ ნაწარმს, რომელსაც ასტრახანის სახელმწიფო ქარხნები არ უშვებდნენ, ეს იყო თევზისგან გაკეთებული „მონადირის“ ძეხვი და რაც

მთავარია, ლოქოს თავებიდან გაკეთებულ „ხოლოდეცი“, დღეში 200 კგ-ს ვუშვებდით ყოველთვი რიგი იდგა. ეს საამყოა იმითაც, რომ იმდროინდელი ასტრახანელები საერთოდ ლოქოს არ ჭამდნენ, რადგან ლოქო მათთან ითვლებოდა მძორის მჭამელ და დაბალი ხარისხის თევზად, მით უმეტეს აღსანიშნავია, რომ ლოქოს თავებიდან შექმნილი პროდუქცია 400% მოგებას ტოვებდა, იმდენად ორიგინალური ტექნოლოგიით იყო მომზადებული.

49. ჩემი საწარმო უშვებდა სათალს ჩვენ მიერ „გასუქებული“ და შებოლილი „სტავრიდისაგან“ რკინის ქილებში, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო. მისი გამოშვება იმიტომ შეწყვიტეთ, რომ იმდროინდელმა ფასების კომიტეტმა მოგვთხოვა ეს პროდუქ-ცია ნაცვლად ორი მანეთის და 50 კაპიკისა. გაგვეყიდა ერთ მანეთად და 10 კაპიკად, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციაზე დიდ მოთხოვნა იყო.

50. თევზის ძვლებისგან გავაკეთე რძის შემცველი ფხვნილი მეცხოველეობისათვის. ხბოები და განსაკუთრებით სუქებაზე დაყენებული გოჭები სიამოვნებით მიირთმევდნენ, თავისი წონა-ნამატით

51. „ასტრახანრიბას“ ლაბორატორიის გამგე ქალბატონი ამრეზილად მიყურებდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გაიგო, რომ სპეციალობით მეტყევე ვიყავი, მაგრამ მან არ იცოდა მე ქიმიასთანაც რომ მქონდა კავშირი და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ თავად ვურჩევდი რომელი ანალიზი სჯობდა გამო-შვებული პროდუქტის ხარისხის განსაზღვრისათვის. მოკლედ, მოვიდა ჩემთან ქარხანაში და დაინახა 90 კგ. უთავო ლოქო, რომელსაც დანაწევრების გარეშე შებოლვას ვუპირებდი. ცნობის-თვის, ორაგული რომ ცივად შეიბოლოს, ისიც დანაწევრებული, სულ ცოტა 12 დღე სჭირდებოდა. შევკამათდით და ვუთხარი, რომ ამ თევზს დანაწევრების გარეშე ორ დღეში შევბოლავდი. მას თან ახლდა ორი თანამშრომელი ქალი. დავნაძლევდით, თუ წავაგებდი, ვიხდიდი ორი ათას მანეთს, თუ ის წააგებდა, კისრუ-ლობდა „ამერიკანკას“ – რასაც მოვთხოვდი წაგების სანაცვლოდ.

მოკლედ, ამ თევზს თავისი ხელით „პლომბი“ დაადო და შევთანხმდი, რომ 48 საათის შემდეგ, დღის 12 საათზე, მოვიდოდა თავისი ამალით და შემამოწმებდა. აღარ შევუდგები ჩემი „ეშმაკური“ გამოგონების გამოყენების განხილვას. დათქმულ დროს მოვიდა სასამსახურო „ვოლგით“, თანამშრომლებთან ერთად. დაათვალიერეს თევზი, შემდგომ სინჯის ასაღები „შამფურით“, გრძელი, მონიკელებული-ბრტყელპირიანი წვრილი დანით, დაიწყეს სინჯის აღება, იქნებ უცხო სუნი აღმოეჩინათ ერთი სიტყვით, წააგო, მაგრამ მითხრა: მაგას ასტრახანში ვინ იყიდისო, ეხლა მეორე ნაძლევი შევთავაზე, ჩავაბარებ ცენტრალურ გასტრონომში და რიგი დადგება-თქო. ამჯერად არ დამენაძლევა, მაგრამ გასტრონომში წამომყვა და როდესაც დაინახა, რომ რიგი დადგა, გაოცდა. რადგან შებოლილ თევზს ოქროსფერი დაკრავდა და ძალზე მიმზიდველად განმოიყურებოდა.

52. ყოველწლიურად „აზჩერიბას“ (აზოვის და შავი ზღვის მეთევზეთა გაერთიანება) სადეგუსტაციო საბჭოზე, რომელშიც აჭარის თევსაჭერი ფლოტის საწარმოც შედიოდა და რომლის მთავარი ტექნოლოგი მე გახლდით, უნდა წარგვედგინა რაიმე ახალი პროდუქცია, რომელსაც ამოწმებდა რამდენიმე სადეგუსტაციო კომისია, მათ შორის, თევზის მრეწველობის საკავშირო სამინისტროში, იქმნებოდა სახელმწიფო „გოსტი“ და ინერგებოდა წარმოებებში. საერთოდ, რაიმე ახლის მოგონება, განსაკუთრებით საკონსერვო მრეწველობაში, ძნელი და სადავიდარაბოა. ერთხელაც გავიტანე თევზის „კუპატის ფარშის“ კონსერვი, თევზის კუპატი შებოლილი სწრაფი კვებისთვის და „მონადირის ნახევრად შებოლილი ძეხვი“. ჩემდა გასაკვირად, სხვა გაერთიანების სამმა ქარხანამაც წარმოადგენდა იგივე პროდუქცია. ჩავატარე დეგუსტაცია, ყველა ჩემმა კონკურენტმა თავისი ნახელავი უკან გაითხოვა, კვებითი ღირებულებებით და დიზაინით ჩემი ნაწარმი იმდენად უკეთესი იყო. სადეგუსტაციო საბჭომ ერთხმად მისცა რეკომენდაცია ჩემ პროდუქტებს გვეჩვენებინა მოსკოვში საბოლოოდ დასამტკიცებლად.

53. ყოველწლიურად თევზის მრეწველობის რომელიმე აუზში ხდებოდა თავშეყრა ახალი პროდუქტების დემონსტრირებისათვის. ქ. მურმანსკში, ჩრდილოეთის თევზის, „სევრიბას“, დედაქალაქში, საკმაოდ კარგი ქარხნები ჰქონდათ, კარგი ფლოტი და მცოდნე ტექნოლოგები ჰყავდათ და რა თქმა უნდა, ყველა თავის მოწონებას ცდილობდნენ საკავშირო მინისტრის, კამენცევის, წინაშე. მინისტრმა დამინახა, მოვიდა ჩემთან, ხელი გამომდო და ყველას საყურადღებოდ თქვა, ამ კაცისგან ბევრმა თქვენგანმა უნდა ისწავლოს, ამხანაგი ყუფარაძე თევზისგან, მისი ბოლო ამოსუნთქვის გარდა, ყველაფერს 100% იყენებსო. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პატივი და ავტორიტეტის ამაღლება იყო ჩემთვის.

54. ბათუმშიც ვმუშაობდი, პარალელურად, ციტრუსების გადამუშავების და შენახვის საკავშირო ინსტიტუტში, რომელსაც რამდენიმე საკონსერვო ქარხანა ემორჩილებოდა. მათი პრობლემა იყო ციტრუსების ნარჩენების, კერძოდ, მანდარინის კანის უტილიზება, რადგან მას სანაგვეზე ყრიდნენ. ორი კვირის განმავლობაში მანდარინის კანიდან ამოვიღე პექტინი, ეთერზეთები, კანიდან მივიღე ქიშმიშის მაგვარი ცუკატი საკონდიტრო წარმოებისთვის, გავაკეთე თეფშები და ფურნიტურა-დეტალები საავეჯო კომბინატებისთვის და რაც მთავარია, მივიღე საკვები ფქვილი მეცხოველეობისათვის.

ჩემი ნარჩენებისადმი დაინტერესება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. ჩემი მეგობრის ძმასთან, გურამ პაპუნიძესთან, რომელიც ციტრუსების გადამუშავების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი იყო ბათუმში, შემოვიდა ციტრუსების კომბინატის დირექტორი, რომელმაც დაიწუწუნა, რომ მანდარინის ნარჩენების გადაყრისთვის აჭარის სანიტარულმა სამსახურმა მოზრდილი თანხით დააჯარიმა. მე მას შევთავაზე, რომ შევიძენდი ამ ნარჩენებს, ტონას – 50 მანეთად. ის სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ როდესაც ნახა ჩემი ნამუშევარი, რომელიც ინსტიტუტის დირექტორს დავუტოვე, გაიტრუნა და ხმას არ იღებდა. დაურეკე, მან კი რესტორანში, შესვენებაზე, შეხვედრა შემომთავაზა, სადი-

ლად მიმიპატიჟა და გამომიტყდა. ვიღებ ერთ კილოგრამ მანდარინს 40 კაპიკად ვაფორმებ 5 კგ. ამ ერთ კილოგრამ მანდარინიდან ვიღებ 400 გრამ წვენს, მას მერე წყალს, ლიმონის მჟავას, შაქარს ვუმატებ და ასე ვგზავნი სამლიტრიანი შუშის ქილებით რუსეთში. საქმიანობით რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია – გეგმას გადაჭარბებით ვასრულებ, ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც თავის წილს ვაძლევ. კმაყოფილია პროდუქციის მიმღებიც, რომელსაც ამისთვის მიღებისთვის გარკვეულ თანხას ვუხდით და რაც მთავარია, მომხმარებელიც, რომელმაც „ვიტამინებით სავსე სამკურნალო წვენი“ მიიღო. მე რომ შენი გაქანება დავინახე, ამ კანის ნარჩენებს მთლიანად აითვისებ, მე კი ერთი კილოგრამი ფაქტიური ნარჩენის მაგივრად საიდან ვიშოვო ხუთჯერ მეტი. თუ ძმა ხარ, თავი დაგვანებე, ეს თემები წყნარად გეგმის შესატყვისად დაამუშავე, ხოლო მე თემის დასამუშავებლად თანხას რამდენსაც მთხოვ, იმდენს ჩაგირიცხავო.

55. ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის ერთ-ერთი მეურნეობის დირექტორი, თუ არ ვცდები, ჩხეიძე, რომელიც სოციალისტური შრომის გმირიც იყო, დამენაძლევა, რომ ღორებს მანდარინის კანს ვერ ვაჭმევდი. მართლაც, როცა გაფცქვნილი მანდარინი დაუყარა, ღორები, ახლოსაც არ გაეკარნენ. დავნაძლევდით ერთ-ერთ ახლად გახსნილ რესტორანში პურმარილზე. იქვე მანქნიდან გადმოვიღე ქაღალდის ტომარაში ბიო-სინთეზით დამუშავებული ციტრუსების კანი აჭარის ოლქის პარტიული კომიტეტის მდივნის, ინსტიტუტის დირექტორის და სხვათა თანდასწრებით, კომბინირებულ საკვებთან შეურევლად დავუყარე ღორებს, შედეგად ხუთ წუთში ტომარა საკვები აღარ იყო, დირექტორმა პირჯვარი უსიტყვოდ გადაისახა, ხელი გამომდო და იმ დღეს ყველამ კარგად მოვილხინეთ.

56. აჭარაში ჩემი მეგობრის ძმა, ვახტანგ პაპუნიძე, გაუშვეს საოლქო პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად, მის სახელზე ერთმა რუსმა დამსვენებელმა საჩივარი დაწერა, ბათუმის საკონდიტრო ქარხნის მიერ გამოშვებული ირისის კანფეტზე „ფისო-

ფისო“ შესაფუთ ქაღალდს ეწეპებაო და მისი აძრობა ჭირსო. მაშინ ყველა მოქალაქის საჩივარს ყურად იღებდნენ. პასუხიც საცხოვრებელი სახლის მისამართზე ოლქის პირველ მდივანს უნდა გაეცა. მე შემთხვევით მის კაბინეტში ვზივარ, ამ დროს შემოვიდა საკონდიტრო ქარხნის დირექტორი, რომელმაც თავისმართლება დაიწყო. ამ დირექტორს მეც კარგად ვიცნობდი და რადგან ყვე-ლაფერი მაინტერესებდა, წინა კვირას სწორედ იმ ირისის დამამ-ზადებელ საამქროში ვიყავი და მის გამგეს ვუთხარი: ეს პროცე-სები რომ შევცვალოთ, რა მოხდება, უფრო არ გაადვილდება ამ ნარევის მომზადება-თქო. მან მითხრა, რომ არაფერიც არ მოხდე-ბოდა და ამ ნარევიდან დამზადებული კანფეტი მომცა. ამასთან ადრე გამოშვებული კანფეტებიც გამომიტანა. სახლში შემთხვე-ვით შევიტყვე, რომ ერთ-ერთს ქაღალდი ეწებებოდა, ხოლო მეორეს, რომელიც ტექნოლოგიის დარღვევით შევურიეთ – არა. ამ საუბარში სწორედ ეს უცნაურობა გამახსენდა. ოლქის პირველმა მდივანმა იცოდა, რომ მე საქართველოს ცეკას მდივნის გამოგზავნილი ვიყავი თევსაჭერ ფლოტში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. მე შევთავაზე ბატონო ვახტანგ, მე რომ გავაკეთო ისეთი ტექნოლოგია, რომ ირისმა ქაღალდი არ აიკრას, ამ სამუ-შაოსთვის გადაიხდის ქარხანა ხუთი ათას მანეთს? გადაიხდი? გამომცდელად ეკითხება ოლქის პირველი მდივანი. გადავიხდი, წლებია მაგაზე ვწვალობთ და არაფერი გამოგვდის და ეს თუ მაგას გააკეთებს, მე ყველაფერზე მზად ვარო, კარგი-თქო, ვეუბ-ნები, ჩვენ შორის გარანტი ბატონი ვახტანგია, ხვალ მოგიტანთ იმ ირისს, რომელიც არ იწებებს ქაღალდს-თქო. მეორე დღეს ტექნოლოგიური პროცესი შევაცვლევინე, შედეგი მოსალოდნელზე უკეთესი აღმოჩნდა. საამქროს გამგე გავაფრთხილე, არაფერი ეთქვა, თორემ მოხვდებოდა უყურადღებობისთვის. დანაპირები, ხუთი ათასის ნაცვლად, ნახევარი მეორე დღესვე მოიტანა და პურმარილიც იკისრა.

57. ერთ დღესაც მივლინებით გავემგზავრეთ ოდესაში. ქალაქში გამოკრულ აფიშებზე წავიკითხე რომ დღის ხუთ საათზე

ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შედგებოდა ამხანაგური მატჩი რაგბში თბილისის „განთიადსა“ და ოდესის გუნდს შორის. მე ქ. ოდესასთან ბევრი რამ მაკავშირებდა და საერთოდ, მიყვარდა ეს ქალაქი. მოკლედ, სამი საათისთვის მივედი, შევედი გასახდელში. ბიჭებს ძალზე გაუხარდათ ჩემი დანახვა. გამოირკვა, რომ 12 რაგბისტი ტრანზიტით ჩამოფრინდა ოდესაში კიევის გავლით. ხოლო დანარჩენები უცდიდნენ სხვა თვითმფრინავს. შემომთავაზეს მეთამაშა. თან ორი იქაური მოთამაშეც დავიმატეთ და ასე გავედით ხალხით გადატენილ სტადიონზე. მოკლედ, იმ თამაშში ბურთიც დავამიწე და თამაშიც მოვიგეთ. როდესაც მატჩი დამთავრდა, მაშინ მოვიდნენ გუნდის დანარჩენი ბიჭები. რა მოხდა არ ვიცი, ქალაქის სპორტკომიტეტის წარმომადგენელი მოვიდა, ოცი მანეთი გაუწოდა გუნდის მწვრთნელ გივი მრევლიშვილს და უთხრა, რომ თქვენი ხარჯთაღრიცხვიდან ეს თანხა დარჩა და ხვალ 12 საათამდე გაქვთ ადგილი სასტუმროში დაჯავშნულიო. უკან ბიჭები თავიანთი ხარჯებით უნდა წასულიყვნენ. მეორე დღეს ტვინს ვიჭყლეტთ, როგორ უნდა დაბრუნდნენ თბილისში. ჯერ, ალბათ, საერთო ვაგონით მოსკოვში, ხოლო მოსკოვიდან თბილისში ისევე საერთო ვაგონებში ჩვენი საფირმო „მოსკოვი-თბილისის“ მატარებლით. გავისეირნეთ ოდესის პორტში. დავინახე დგას სამგზავრო ლაინერი „ადმირალი ნახიმოვი“, რომელიც ბათუმში მიცურავს და ტურისტები მიჰყავს. ბიჭებს ყასიდად შევეკითხე წავხალთ ბათუმში ამ ლაინერით-მეთქი? ყველა დამთანხმდა, რადგან ოთხი დღე შესანიშნავი დროსტარება შეიძლებოდა ტურისტებთან. გემი ღამით გადაადგილდებოდა ოდესიდან ყირიმში, ნოვოროსიისკში, სოხუმში, ბათუმში. მოკლედ, მივედით სალაროებთან და ყველაზე მეტი ხალხი „პალუბის“ (გემბანის) ბილეთებზე იდგა და ურიგოდ ბილეთის აღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მოკლედ, გივი მრევლიშვილს გამოვართვი ის ოცი მანეთი, სანაპიროზე ვიყიდე ერთი ხელოვნური ვარდის ყვავილი და ერთიც რეზინის რბილი საშლელი. დავინახე სადღაც მეათემეთორმეტე რიგში ორი გოგონა ახალგაზრდული თავქარიანობით

კისკისებს, კარგ განწყობაზე არიან, თან ერთის სახელიც გავიგე, მივედი, მოურიდებლად, ხელების გაშლით და ვისი სახელიც გავიგე, იმას ყვავილი მივართვი, გოგონები კვლავ კისკისებდნენ, მე რაღაც ქათინაურებს ვეუბნებოდი და ჩუმად ყურში ჩავჩურჩულე, რომ ჩემთვის ერთი ბილეთი აეღოთ თავიანთი ფულით, რადგან რიგში ფულის მიცემა არ გამოვიდოდა. გოგონამ თავი დამიკრა და ბილეთი ამიღეს, ცოტახნის შემდგომ გოგონები გემზე მივაცილე, სადაც კონტროლიორმა ფანქარით აღნიშვნა გაგვიკეთა ბილეთებზე. გოგონებს ბილეთის ფული დავუბრუნე 15 მანეთი და წავედი ნაყინის მოსატანად, სინამდვილეში ჩავედი ნაპირზე, ბილეთებზე წავშალე ფანქრით აღნიშვნა და გემბანზე ამოვიყვანე ამირან ლობჟანიძე და გივი მრევლიშვილი თავის სპორტული ჩანთებით, რადგან ქალებთან ლაპარაკი და ლაზღანდარობა უკეთ შეეძლოთ, ვიდრე სხვებს. თან გოგონებისთვის იქვე ნაპირზე ნაყინიც შევიძინე. ბიჭები ავიყვანე გემზე, ჩემი ნაცნობი გოგონების გვერდით მოკალათდნენ, სკამ-ჰამაკებზე დაისვენეს და დავიწყეთ მგზავრების დათვალიერება, იქვე დავინახეთ ბელორუსი ტურისტები. მივუჩოჩდით, ვუთხარით, რომ რაგბისტები ვიყავით, უკან წასასვლელი ბილეთი ვერ ვიშოვნეთ, რადგან ბიჭებმა დღეს მოინდომეს გემით მგზავრობა, ხოლო თბილისში ჩასაფრენი უკან დასაბრუნებელი ბილეთები თითქოს ჩავაბარეთ. გოგონები შეწუხდნენ, მე შევაპარე ხომ ვერ გვათხოვებდნენ თავიანთ ბილეთებს ბიჭების გემზე ამოსაყვანად, მართლაც გვათხოვეს და მთელი გუნდი ამოვიყვანე, ხოლო მეორე დღეს თვითმფრინავით გამოვფრინდი თბილისში.

58. ქ. ოდესასთან დაკავშირებით ერთი კარგი გასახსენებელიც მაქვს. მაშინ რომელიღაც ცენტრალური საბჭოს შეჯიბრს ვმსაჯობდი ქ. ხერსონში, იქ დავუძმაკაცდი ერთ-ერთ მსაჯს, ი. სიმონოვს, ხერსონიდან ჩამოვედით ქ. ოდესაში და ეს სიმონოვი მეუბნება, ზეგ ქორწილი მაქვს ქ. ტრუსკოვეცში, საიდანაც მისი საცოლე იყო და მაყრად წამომყევიო. მოკლედ, ჩავედით ქ. ოდესაში, მივედით მთავარ ფოსტაში, სადაც სასიძოს მშობლების

გამოგზავნილი 500 მანეთი უნდა დახვედროდა. მაგრამ ფული არ ჩანდა. მოკლედ, ბიჭი შეწუხებული იყო, დავიწყეთ საჩუქრების და გასამგზავრებელი ფულის შეგროვება. მე, როდესაც ახალ კოსტუმს ვიკერავდი, პიჯაკის გარე პატარა ჯიბეში ყოველთვის ვდებდი ასმანეთიანს და ჯიბეს ვაკერინებდი იმ საგანგებო შემთხვევისათვის, თუ ფული დამჭირდებოდა და სწორედ ეს შემთხვევა დადგა. მოკლედ, მისი საცოლის სურვილი საქორწილო ბეჭედი და სხვა ორი რამ იყო, რომელიც აღარ მახსოვს. ბეჭედი ოთხგრამიანი ვუყიდეთ და საერთო ვაგონით წავედით ტრუსკოვეცში. მაყრიონიც ერთობ საინტერესო იყო: კუბელი ცოლ-ქმარი, ერთი ზანგი, მეორე მულატი, ორი ებრაელი, ერთი რუსი, სიძის გარდა, ერთი უკრაინელი და ერთიც ქართველი ჩემი სახით. სასიძომ გაგვაფრთხილა, რომ სადგურზე ცოლის ნათესავების შეკვეთილი ორკესტრი დაგვხვდებოდა, საპატიო მაყრიონის პატივსაცემად. მეც ქართული მოხერხებულობა გამოვიჩინე და საერთო ვაგონიდან მაყრიონის წევრებმა ყველამ საერთაშორისო ვაგონში გადავინაცვლეთ და იქიდან ჩამოვედით, როგორც ეს მაყრიონს ეკადრებოდა. სამი დღე დიდებული დრო ვატარეთ პატარძლის დაქალებში, ქ. ლვოვიდან ჩემი გადარჩენილი ფულით ბილეთი შევიძინე და თბილისში გადმოვფრინდი.

შემდგომ როდესაც საქორწინო მოგზაურობისას მათთან მოვხვდით, მისმა ცოლმა ჩემი ცოლის ხელზე მოზრდილი საქორწინო ბეჭედი დაინახა და საყვედური გამოთქვა და თავისი ოთხგრამიანი ბეჭედი აჩვენა, აი, რა მომიტანეს შენმა და ჩემმა ქმარმაო.

59. ბათუმიდან კვლავ თბილისის უნივერსიტეტში დავბრუნდი სამუშაოდ და ერთი წლის შემდგომ მომივიდა შეტყობინება, ჩემი სიახლეების დანერგვის შედეგად 17000 მანეთი გადმომერიცხა აჭარის თევსაჭერი ფლოტიდან. ეს იმ დროისთვის დიდი ფულიც იყო და მეცნიერის დაფასებაც.

60. ერთმა შემთხვევით გაცნობილმა ქალმა უარი მითხრა სასიყვარულო პარტნიორობაზე, რაკი ერთი კვირის წინათ გათ-

ხოვდა, მაგრამ მითხრა, შენნაირი კარგი ბიჭი დასაკარგავად არ მემეტებაო, მომცა სამსახურის ტელეფონის ნომერი და მეორე დღეს თავისი დაქალი გამაცნო. ორი წლის შემდეგ ქმარს გაეყარა და შემდგომ მასთანაც მომიხდა სასიყვარულო თანამშრომლობა. ამიტომაცაა ქალის წინდაუხედულობა მისასალმებელი.

61. ჩემი ბიძაშვილის, დემური ბახტაძის, დაბადების დღეზე თამადად მე დამასახელეს, ამით რატომღაც ძალზე განაწყენდა მისი შედარებით ასაკოვანი თანაკურსელი და შეჯიბრი გამიმართა ღვინის სმაში, მოკლედ ორი ვაზა ღვინის შესმის შემდეგ, სულ რწყევა-რწყევით გავუშვი სახლში.

62. მოსკოვში მე და ჩემი თანაგუნდელი შევედით იმდროინდელ პრესტიჟულ რესტორანში, რომელიც სასტუმრო „ბერლინს" ეკუთვნოდა. ოფიციანტმა გვთხოვა, თუ შეიძლება თქვენთან ერთ უცხოელ სტუმარს დავსვამო. ამ დროს მე და ჟორა კიკვიძე ოციოცდასამი წლისა ვართ, ცხოვრებაში, როგორც იტყვიან, ახლა გამოვდივართ. მართლაც დაგვისვა ძალზე სიმპათიური გარეგნობის 40-45 წლის ფრანგი მამაკაცი. მან შეუკვეთა „მენიუ": ასი გრამი კონიაკი, სალათა, ლანგეტი, ყურძენი თითა და ყავა. ჩემს მეგობარს იმდენად მოეწონა ეს მამაკაცი, ოფიციანტს უთხრა, რომ ჩვენთვისაც იგივე დაეკვეთა, ფრანგმა დაიწყო ტრაპეზის ხელოვნების ჩვენება, ჩვენც ცალი თვალით მას ვუყურებდით და მიბაძვას ვცდილობდით. მოკლედ მის ყურებაში ჟორამ ორჯერ ყბაში ჩანგალი „გაირჭო". ჯერი მიდგა თითა ყურძნის ჭამაზე, ფრანგმა ჩვეულებრივად მტევანი აიღო და დაიწყო იქიდან მარცვლების ჭამა. მე ოთარ ფირცხალაიშვილთან ნავარჯიშები ვიყავი დანა-ჩანგლით ყურძნის ჭამაში. მტევანი თეფშზე დავდე, ჩანგლით მარცვალი მოვაშორე, მარცვალი შუაზე დანით გავჭერი და ისე მივირთმევდი. ფრანგმაც იგივე გაიმეორა და მანაც ჩანგალი გაირჭო ყბაში. ეს ჩვენი შერკინება უხმაურო იყო და ტრაპეზი ურთიერთ ხელის ჩამორთმევა-დამშვიდობებით დამთავრდა.

63. საქართველოს რაგბის ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე

ბატონი ბ. ბუაძე. მაშინ მე მოსკოვში ვმუშაობდი და შვებულებით თბილისში გახლდით. ბიჭებმა გამაცნეს ახალი თავმჯდომარე, ამ დროს მასთან კაბინეტში შემოვიდა თანამშრომელი და მოახსენა, რომ თბილისში ხუთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი ბინის ჩაბარება არ ხერხდება, რადგან სანეტქნიკას ვერ ამონტაჟებენ მისი უქონლობის გამო. თავმჯდომარე ძალზე შეწუხდა: დეკემბრის თვეში სად ვიშოვნო სანტექნიკაო. დაავალა საკავშირო მომარაგების კომიტეტის სახელზე თხოვნის წერილი გაემზადებინათ და თან დაიჩივლა, აქედან არაფერი გამოვაო. მე ვთხოვე, რომ წერილის ერთი ასლიც ჩემთვის მოეცათ, რადგან ორი დღის შემდგომ მოსკოვში მივფრინავდი. გამახსენდა რომ დაახლოებით რვა თვის წინ, მომარაგების ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნებით სომეხი, ჩემთან იყო და ნერგები მთხოვა, თავის საბაღე ნაკვეთისთვის, გავისაუბრეთ და როგორც „ზემლიაკს", ნერგებიც ვაჩუქე და მუშაც თან გავაყოლე მათ დასარგავად. მოკლედ, ჩასვლისთანავე დავურეკე, მიღება ვთხოვე და წერილიც ვაჩვენე. მან უსიტყვოდ დაადო რეზოლუცია, გამოუყო დამატებითი ფონდიდან ჩეხური სანტექნიკა. იმ დღესვე თავმჯდომარეს სახლში დავურეკე და გავახარე.

64. 90-იან წლებში როდესაც ყველას უჭირდა საქართველოში და მათ შორის რაგბისტებსაც, ქუთაისელ რაგბისტებს შევუძინე რაგბის რამდენიმე წყვილი ფორმა და ქუთაისის რაგბის ფედერაციას გარკვეული თანხები გადავურიცხე. ეს უფრო ჩემი სიამოვნებისთვის გავაკეთე და გუნდიც კმაყოფილი დარჩა.

65. 90-იან წლებში, თითქმის ყოველ სამ თვეში იცვლებოდა საგადასახადო კოდექსი. მაშინ ქ. ტიუმენში ვამზადებდი არყის ნაწარმს. შეიქმნა ახალი საგადასახადო პოლიცია, გამოვიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც  გაცილებით მეტი გადასახადი უნდა გადამეხადა, მოგვიანებით ეს გადასახადი გაუქმდა. მოკლედ, ქვეყანაში შეიქმნა სიტუაცია, სადაც „ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა". გამომიძახეს ახლადშექმნილ „საგადასახადო პოლიციაში" და მითხრეს, რომ მომავალ კვარტალში, ახალი

დადგენილებების შესატყვისად გადამეხადა ის გადასახადი, რომელიც თავად წაკითხული არ ჰქონდათ, მხოლოდ ყურმოკრულად იცოდნენ. ახალი საგადასახადო კოდექსი გამოვართვი ჩემს ბედად პოლიციაში მოსულ „კურიერს“. წავიკითხე, უაზრო ცვლილებები იყო შეტანილი, იმდაგვარად, რომ მწარმოებელს თითქმის არაფერი რჩებოდა. ძველი საგადასახადო კოდექსიდან ამოვიღე ფურცლები, რომელიც ახალი საგადასახადო კოდექსის გვერდებს ემთხვეოდა, ავაკინძინე და დარაჯის ხელით საგადასახადო პოლიციაში შევაგზავნე. შედეგად გადავრჩი ამ უაზრო თანხის გადახდას, რომელიც შემდგომში გაუქმდა.

66. ქუთაისში რაგბის განვითარების 40 წელთან დაკავშირებით ოფიციალურად მიმიწვიეს და დიდ პატივშიც გახლდით. განსაკუთრებით მსიამოვნებდა ბებერი რეგბისტების გაბრწყინებული თვალების დანახვა ჩემთან შეხვედრისას.

67. რამდენიმე სასიამოვნო გახსენება მაქვს მწერალ ნოდარ დუმბაძესთან დაკავშირებით. ბატონ ნოდარის ნაწარმოებები ხალხმა იმთავითვე აიტაცა. ერთ დღესაც ტრამვაიში ვზივარ და ნ. დუმბაძის იუმორისტულ მოთხრობებს „ნიანგის ბიბლიოთეკის“ მიერ გამოშვებულ ბროშურას ვეცნობი. რამდენიმე მოთხრობის გადაკითხვისას რამდენჯერმე სიცილი ამიტყდა. დაჟინებული მზერა ვიგრძენი და ავიხედე. უცნობი გოგონა თავზე დამდგომია და თურმე ჩემთან ერთად კითხულობს. ასე გავიცანი ეს გოგონა, ნოდარის ბროშურაც ვაჩუქე და პაემანზეც რამდენჯერმე შევხვდი.

ერთხელ ბატონ ნოდარ დუმბაძესთან მივედი ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში, რომლის რედაქტორიც თავადვე გახლდათ და საჩუქრად მინერალური წყლების და ლიმონათის გასახსნელ-დასახუფი ვუსახსოვრე. ეს გასახსნელი იმდენად გაუხარდა და მოეწონა, რომ მდივანს მოატანინა „ბორჯომის“ ბოთლი, რამდენჯერმე სახურავი ახადა ბოთლს და კვლავ დაახურა. ეს „ტექნიკის მიღწევა“ პატარა ბავშვივით უხაროდა.

ისიც დამამახსოვრდა, რომ ბატონმა ნოდარმა საჩუქრად გადმომცა თავისი წიგნი „მარადისობის კანონი“, რომელიც მე ერთ-ერთ დიდებულ ნაწარმობად მიმაჩნია მის შემოქმედებაში.

68. სამხრეთ-ოსეთში პატარა ოლქი იყო, ყველამ ერთმანეთის ყველაფერი იცოდა, ხშირად ურთიერთს აბეზღებდნენ, რათა ერთმანეთის ადგილი ხელთ ეგდოთ, ეს როგორც ყველა გაჭირვებული და ღარიბი მხარისათვის არის დამახასიათებელი. ერთ ეშმაკობას მივმართე: მე, როგორც მეტყევეს, მეძლეოდა ათი $მ^3$ შეშა უფასოდ, ეს ბილეთი გამოვაწერინე და მივეცი ჩემს ნაცნობს, სატყეო მეურნეობის ოსი ეროვნების მძღოლს და ვუთხარი, სხვადასხვა სატყეოდან ჩემს სახელზე შეშა გამოეზიდა და გაეყიდა. საიდანაც თითო მანქანიდან 100 მანეთს მე მაძლევდა, 50 მანეთს თავად იტოვებდა. ეს მაშინ როდესაც ჩემი ხელფასი 90 მანეთს შეადგენდა. ოსეთის ოლქში 21 სატყეო იყო. მოკლედ, ეტყობა, მაინც გასკდა ეს საქმე და როდესაც სამმართველოდან თბილისში გადმოვდიოდი სამუშაოდ, სამმართველოს უფროსმა დამშიდობებისას გაკვირვებით მკითხა: „გოგი, წელს შენ ჩემზე მეტი ფული იშოვნე?!"

69. ქ. ტიუმენში გამოშვებულ იქნა ჩემი სახელობის 40 გრადუსიანი სასმელი „გეორგ დევა", ჩემ მიერ შექმნილი, რომელსაც ქ. ტიუმენის ღვინო-არყის ქარხანა ასხამდა, პირველ ხანებში რეალიზაცია გაჭირდა, მაგრამ როგორც კი მას ლოთებმა „რეკლამა" გაუკეთეს, მაღაზიის დირექტორების რიგი იდგა ქარხანაში. ეს სასმელი სირბილით გამოირჩეოდა, ხორბლისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო სუნი და გემო დაჰკრავდა.

70. ასევე ჩემ საწარმოში, ქ. ტიუმენში, შეიქმნა ეკონომიურად მომგებიანი ქათმის რულეტი, ყოველგვარი მინარევების და დამატებების გარეშე, რომელიც კილოგრამზე ტოვებდა 3 დოლარ სუფთა მოგებას.

71. კრწანისის მეღორეობის კომპლექსში ღორის ჩხინკელას ისე ვაშრობდით და ცხიმკომბინატის ნარჩენებს ვუმატებდით, რომ მეღორეობის კომპლექსზე 300 გრამით მეტ წონა-ნამატს ვიღებდი. ამასთან ღორის ჩხინკელიდან გაკეთდა ელექტრომოწყობილობა, ყვავილების ქოთნები და ბევრი სხვა, რომელიც პლასტმასს ცვლიდა.

72. ვეტერან რუს მორაგბეებთან ერთად, სულ 38 კაცი, აქედან 6 მეუღლესთან ერთად, სამოგზაუროდ ორსართულიანი ავტობუსით, მოსკოვიდან ევროპაში გავემგზავრეთ. ბელორუსია-პოლონეთის საზღვარზე უნდა გადაგვეტანა 40 ყუთი არაყი, თითოეულ ყუთში 20-20 ბოთლი იდო. ბიჭებმა მთხოვეს, როგორც ქართველ და „გამოცდილ ამხანაგს", ამის ორგანიზაცია მე ამელო თავზე.

35 ყუთი შევაწყვეთ ავტობუსის ტუალეტში, ხოლო დანარჩენი ხუთი ყუთი დავდეთ ავტობუსის ბარში, დელეგაციის ხელმძღვანელად ბიჭებმა მე დამასახელეს. შედეგად ერთი ყუთი ბელორუს მესაზღვრეებს ვაჩუქეთ, რომლებმაც პოლონელ მესაზღვრეებთან გაგვიყვანა და თავისუფლად გაგვატარეს. საინტერესო ის არის, რომ ათი დღის შემდეგ ამსტერდამში არაყს ვყიდულობდით. არ გვეყო, რადგან როდესაც ძველი „გვარდია" ერთმანეთს ხვდება, მათ მოსაგონარიც ბევრი აქვთ და სალაპარაკოც.

73. მე და საკავშირო მინისტრი, ჩემი მოსკოვის ოლქში გადასვლის შემდგომ, საკმაოდ დავუახლოვდით ერთმანეთს გარემოებათა გამო. ერთხელ ნასვამმა ისეთი რამ გააკეთა საკუთარი თანამდებობის საზიანოდ, რომ იძულებული გავხდი „უროლოგიური ლექსიკონით" შემემკო, მეორე დღეს, როდესაც გამოფხიზლდა, მადლობა გადამიხადა.

74. სატყეო ინსტიტუტში მუშაობის დროს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ერთი კვირით ვხდებოდი თანამდებობის პირი საზოგადოებრივ საწყისებზე „ცეკას" კომისიის თავმჯდომარე დიდი უფლებებით. ჩემი გადაწყვეტილება უსიტყვოდ მტკიცდებოდა. შემოწმებისას თან მახლდნენ სახალხო კონტროლის და სატყეო-კომიტეტის სარევიზიო ჯგუფის თანამშრომლები, ეს კარგად მოგონილი ეშმაკური სვლა იყო. თუ კოლეგას მეცნიერმუშაკის საქმიანობაში ისეთ დანაშაულს აღმოაჩენდი, რომ ის თანამდებობაზე გასაჩერებელი არ იყო, არც იყო მუშაობის ღირსი. მოკლედ, გამგზავნეს საჩხერის რაიონში, რომლის სატყეო მეურნეობის დირექტორის ოჯახში რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი და

კარგად ვიცნობდი. სამინისტროში შემთხვევით შემხვდა ერთი კვირით ადრე და გავაფრთხილე, რომ ტყის ნარჩენებიდან ტყეკაფი გაეწმინდა, რადგან მათთან მთავარი სარგებლობის ჭრები მიმდინარეობდა. ჩავედი და მაჩვენა „გაუსუფთავებული, ჩაქაქებული ტყეკაფი“. ძალიან გავბრაზდი, ეს უბრალო უპასუხისმგებლობა კი არა, უპატივცემულობა იყო ჩემს მიმართ. მოკლედ, ძველი ნაცნობი ვერ გავწირე, ტყეკავი გავასუფთავებინე, 120 მ$^3$ შეშა სკოლებს და საბავშვო ბაღებს შეუტანეს, ბუღალტერია, რომელიც კარგად ვიცოდი, გავასუფთავეთ. როგორც შემეძლო, ჯინი ვიყარე და საბუთები წესრიგში მოვაყვანინე. საუბრის დროს წამომცდა, რომ აქაური ღერღილის ფქვილის წაღება მინდოდა თბილისში, დედაჩემის დავალება უნდა შემესრულებინა. კვირის ბოლოს თბილისში გამოგვამგზავრეს თავისი მანქანით და სხვებსაც შეუძინეს 10 კგ ღერღილი და საჩხერული 10-10 თავი სულუგუნი. ბიჭებმა სახლში მომაცილეს, ძღვენი სახლში ამომიტანეს, მე ნასვამი ვიყავი და დავიძინე. მეორე დღეს დედაჩემს ღერღილის ტომარაში 800 მანეთი ფული უნახავს ჩადებული. ეტყობა, ეს ჩემი წილი იყო. გავბრაზდი, საჩხერეში ვერ დაუკავშირდი დირექტორს, რადგან ყურმილს არავინ იღებდა, მინდოდა გამომელანძღა, მაგრამ შემდეგ გადამიარა და ის ფულიც დედაჩემს დარჩა.

75. საჩხრეში ყოფნისას, როგორც საპატიო სტუმარს, რაიკომის მდივნის „ლუქსი“ დამითმეს სასტუმროში. რატომღაც სასტუმროდან გამოსვლა დავაგვიანე და ბოლოს გამოვედი. ქუჩაში ისმის რაღაც ყაყანი, დავინახე ერთი ბიჭი გარბის და მეორე დანით მოსდევს, სამბოს ილეთი ჩავუტარე და დანა გავაგდებინე ხელიდან, წესით ამ დროს უნდა მოსდო კიდეც ყბაში, მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგან „ცეკას კომისიის თავმჯდომარეს“ ეს არ მეკადრებოდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბიჭებს ჩხუბი გოგოსთვის მოსვლიათ, რომელიც საჩხერეში საწარმოო პრაქტიკაზე იყო. ხოლო ის ვინც დანით მოსდევდა, გამოდგა რაიკომის მეორე მდივნის დისშვილი. იმ დღესვე, საღამოს, მეორე მდივნის ოჯახში სტუმრად მიმიწვიეს, ჩემი აზრი გაიგეს, ხომ არ გავიტანდი ამ

ამბავს რაიონის გარეთ. მოკლედ, ჩემი ქება-დიდებით თავი მოიქაჩლეს, განსაკუთრებით კმაყოფილი იყო რაიკომის მდივნის და, რომელმაც რამდენჯერმე პატივისცემის ნიშნად ლოყაზე მაკოცა, რადგან ძმის რისხვას ავაშორე.

76. ასევე „ცეკას" კომისიის თავმჯდომარედ გამგზავნეს აჭარაში, კერძოდ, ქობულეთში, ამ ოლქის მეტყევეებს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. ჩავედი მატარებლით დილის რვა საათზე, შევედი სატყეოში, სადაც კაბინეტში იჯდა ასაკოვანი დირექტორი, რომლის მოხსნა უნდოდათ ჩემი ჩარევით, იმის გამო, რომ მან გადაიხადა შვილის 1500 კაციანი ქორწილი, რაც იმ დროს აკრძალული გახლდათ. ეტყობა, წინასწარ გაფრთხილებული იყო და ელოდა კომისიას, მაგრამ არა – მე. მოკლედ, შუა აგვისტოა, დამსვენებლები მოძალებულია. შევდივარ კაბინეტში და ვეუბნები ხომ გახსოვართ, მე თბილისიდან ვარ, ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი მეთქი. არავითარი ყურადღება, მაგრამ როგორც კი ვუთხარი, მე დღეს „ცეკას" კომისიის თავმჯდომარე ვარ და მივლინებული ვარ თქვენს შესამოწმებლად მეთქი, რეაქცია სწრაფი იყო და დამოკიდებულებაც 180 გრადუსით შეიცვალა. დარღვევები საკმაოდ აღმოვაჩინეთ. სრული არეულობა იყო ბუღალტერიაში. ამ მეურნეობის წინააღმდეგ მე ვერაფერს დავწერდი. თუნდაც იმიტომ, რომ დირექტორზე მთხოვა ჩემი დისერტაციის არაოფიციალურმა ხელმძღვანელმა, ჩემმა უსაყვარლესმა ადამიანმა შალვა ხიდაშელმა, ხოლო მისი მოადგილე და მთავარი მეტყევე ჩემი თანაკურსელი იყო. მოკლედ, როგორც შეიძლებოდა მოვაწესრიგეთ ბუღალტერია და სამეურნეო საქმიანობა, რასაც ერთი კვირა მოვუნდით. როდესაც გვაცილებდნენ, მატარებლის კუპეში ჩემმა თანაკურსელმა მოინდომა კონვერტში გახვეულ ფულის ჩადება. მე შევუკურთხე, არ გრცხვენია-თქო! გოგი, 1000 მანეთია, მეტი არ გვაქვს. მე ვუთხარი, რომ ჩვენი მეგობრობა უფრო მეტი ღირდა. ამის შესახებ გაიგო ყველამ როგორც აჭარაში, ასევე სატყეო კომიტეტში და ყველა გაკვირვებული და გაოცებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ აჭარაში სადაც უნდა მივსულიყავი, სასტუმროს და საგზურის ფულს არ მახდევინებდნენ.

77. სატყეო ინსტიტუტს თავისი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობები ჰქონდა. რომელსაც ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერთან, ქალბატონ თამარ ამანათაშილთან, ერთად ზოგჯერ მეც ვამოწმებდი. ქალბატონი თამარი ჩემს მიმართ კეთილად იყო განწყობილი, რადგან იცოდა, რომ ბუღალტერიაში მეც რაღაც გამეგებოდა. ამასთან ძალზე მორიდებული ქალი იყო. მოკლედ, ოჩამჩირეში ვისვენებ და შევიარე ჩვენს საცდელ-სატყეო მეურნეობაში. დავინახე, ქალბატონი თამარი მარტო ზის ბუღალტერიაში, პურს და ყველს ილოღნება და ყურადღებას არავინ აქცევს. ეს მაშინ, როდესაც მეურნეობას თავისი სასადილო აქვს და მეურნეობის ხელმძღვანელი გარკვეულ თანხებს „ღუნავს". ცოტა არ იყოს გავბრაზდი ამ უპატივისმცემლობის გამო. ჩავუჯექი საბუთებს და რამდენიმე სხვადასხვა დარღვევა აღმოვაჩინე. მათ შორის 20-25 წლიანი ტყის კულტურების მოვლა, რომელზედაც საკმაო თანხა იყო ჩამოწერილი. მეურნეობის დირექტორმა რომ გაიგო ჩემი სტუმრობა, მოვიდა ჩემ სანახავად. თამარმა აჩვენა ჩემი ნაკარნახევი გაანგარიშებები და უთხრა, მე ამ საქმეში ვერ ვერკვევი და გოგის ვკითხოთ, რამდენად სწორადაა დახარჯული ეს თანხებიო.

დირექტორმა რაღაცის მტკიცება დაიწყო, მაგრამ მაშინვე პურღვინოზე მიგვიპატიჟა და შემდგომ ქალბატონი თამარისათვის ყურადღება არ მოუკლია. სამწუხაროდ, კეთილი და უპრეტენზიო ადამიანი ყოველთვის დაჩაგრულია.

78. რაგბში საკავშირო ფინალის ერთ-ერთი ტური ქ. კენტაუში ტარდებოდა, სადაც დელეგაციის ხელმძღვანელად ქუთაისელების უფროსმა მწვრთნელმა შაკო ქურციკიძემ მიმიწვია. ეს დიდი პატივისცემაც იყო და პასუხისმგებლობაც. გუნდს კარგი შედეგი უნდა ეჩვენებინა და აჩვენა კიდეც.

79. 70-იან წლებში ჩატარდა საკავშირო სპარტაკიადა, მართალია რაგბი არ შედიოდა სპარტაკიადის პროგრამაში, მაგრამ წახალისების მიზნით მეც წამიყვანეს. ამასთან, სპორტკომიტეტების თავმჯდონარეებს გაუთვალსიწინებელი ხარჯებისათვის

ნაღდი ფულის ხარჯვის უფლებაც მისცეს. საკავშირო გამოფენაზე მდებარე რესტორანში შევიკრიბეთ ოთხნი, მათ შორის, ორი სპორტული საზოგადოების თავმჯდომარეა, ერთი მოადგილეა და მე – მწვრთნელი, ყოველგვარი თანამდებობის გარეშე. ცოტათი რომ შევითვერით, ერთი თავმჯდომარე ეუბნება მეორეს: ბიჭო, რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ფეხსაცმლები ვერ გაგიწმენდიაო. ამ უკანასკნელმა ამოღო 50-მანეთიანი გაუსვა ფეხსაცმელებს და სანაგვე რკინით შემოღობილ ბადეში ჩააგდო. მერე უთხრა: შენს ფეხსაცმელებს შეხედეო, ამ უკანასკნელმა ამოიღო 100 მანეთი, მანაც გაიწმინდა ფეხსაცმელები და მანაც იგივე სანაგვეში გადაუძახა. ეს დაინახა ორმა რუსმა, რომლებსაც, ალბათ, ძლივს შეუგროვებიათ 10-15 მანეთი, რომ არაყი დალიონ. ერთი მათგანი, საკმაოდ მთვრალი, გაბრაზებული მოვიდა და გვეუბნება: კავკასიელო შავტრაკიანებო, როგორ ეპყრობით საბჭოთა ფულსო! წადი, შენი დედაცო! – შეაგინა ერთ-ერთმა ჩვენგანმა, ატყდა ჩხუბი, მე გამშველებლის როლში გამოვედი. გამოუძახეს მილიციას. სამივენი გავიდნენ რესტორნიდან, ოფიციანტებმა კი მე ჩამავლეს ხელი, რათა დამტვრეული ჭურჭლის და პურმარილის თანხა გადამეხადა. მე სასწარფოდ ამოვიღე ფული სანაგვე ყუთიდან და იმაზე მეტი გადავიხადე, რაც ეკუთვნოდათ, ხოლო ამ ლოთებს კიდევ ერთი ბოთლი არაყი დავუდგი და მილიციას ვუთხარი, რომ იმ ქართველებს არ ვიცნობ, უბრალოდ, რომ დამინახეს ქართველი ვიყავი, დამპატიჟეს-მეთქი. რადგანაც რესტორანში თანამშრომლებს პრეტენზია არ ჰქონდათ, მე შემეშვნენ, ხოლო რესტორნის ხელმძღვანელობა ჩემ ხარჯზე 100-100 გრამი არაყით მილიციელებს გაუმასპინძლდა. ღამის სამ საათზე დავბრუნდი სასტუმროში. არც ერთ მათგანს არ სძინავს. მაშინ ამდაგვარ „დანაშაულზე“ სულ ცოტა პარტიული სასჯელი და სამსახურიდან გათავისუფლება ელოდათ. აინტერესებთ, რა მოხდა. ვუთხარი, რომ ყველა მათგანის გვარები, თანამდებობები, დავუსახელე, რადგან ისე არ მიშვებდნენ კამერიდან. ერთი საათი მივეცი სავიშვიშოდ, საკუთარი უჭკუობის სალანძღავად და მერე

ვუთხარი, რაც მოხდა. ახლა ის ფული მოუნდათ, რომელიც სანაგვეში გადაყარეს. ამ ფულიდან დარჩენილი თანხაც მაგიდაზე დავუდე და ლოგინში შევწექი.

80. 70-იანი წლების დასაწყისში მამაჩემს ავჭალაში ნაკვეთი მისცეს. ფინური სამოთახიანი სახლი ჩემი ფულით ვიყიდე, რითაც მამაჩემმა ძალიან გაიხარა, მართალია, მისი მონტაჟი და მეორე სართულის დადგმა ორჯერ მეტი დაუჯდა, მაგრამ მაინც ჩემი სახელი ერქვა.

81. მიუხედავად იმისა, რომ მე საკუთარი ფული 16 წლის ასაკიდან მქონდა და არც ფულის შოვნაში ვიბნეოდი, მაინც მამაჩემისთვის საკადრისი ფულის მიცემა მხოლოდ 28 წლის ასაკში მოვახერხე. თუმცა მანამდე ჩემი ფული არც სჭირდებოდა. ეს თანხა 3000 მანეთი იყო და პირველად დავინახე მამაჩემის სახეზე სიამოვნების ღიმილი, ალბათ, იმის ნიშნად, რომ შვილი მოესწრო და ფეხზე დგას.

82. სევასტოპოლში გავემგზავრეთ იმდროინდელი საქართველოს თევზჭერის სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე და მე რომელიღაც თათბირზე. რესტორანში ვზივართ, უკრაინელი გოგონები საცეკვაოდ გვიწვევენ მე მივყვები, მაგრამ ჩემი თანამეინახეები თავს იკავებენ. გოგონებმა რამდენჯერმე სთხოვეს საცეკვაოდ გაყოლა, მაგრამ უარი მიიღეს, ბოლოს გაბრაზებულებმა ორივეს რუსულად ფალოსი  უწოდეს და უთხრეს: ეს ჯიშიანი და ნამდვილი ქართველი ჩვენ მიგვყავს და თუ ნებას არ მომცემდნენ მათთან წავსულიყავი ერთ ამბავს ატეხდნენ. მანამდე ნათქვამი მქონდა, ჩემი უფროსები არიან და მათი ნებართვის გარეშე ვერ წამოგყვებით-მეთქი.

83. სატყეო ტიპოლოგია შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, მაგრამ ჩემ მიერ გამოყვანილი სახუმარო ტიპი ყველა მეტყევესათვის ცნობილი იყო. Ciknus Alba pzunus divazica-თი ე.ი. თეთრი ციკანი ტყემლით. ხშირად მეტყევეებთან სტუმრობის დროს ტყეში ამ დელიკატესით გვიმასპინძლდებოდნენ. ზოგჯერ სტუმარი მასპინ-

ძელს ეკითხებოდა ეს დელიკატესი nigza – შავი იყო თუ Alba – თეთრი ციკნიდან იყო მომზადებული.

84. მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმარს ვინ გაჰყვებოდა შემოწმებაზე. ერთხელ თბილისის სატყეო ინსტიტუტში მუშაობის დროს ჩამოვიდა ჩემი კარგი ნაცნობი, სატყეო კომიტეტის მეცნიერების სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ჩილიმოვი და ინსტიტუტის დირექციას სთხოვა მხოლოდ მე გავეყოლიებინე მას ობიექტების დასათვალიერებლად. მაშინ ბევრი თანამდებობის მქონე მეცნიერი დაიბოღმა, მაგრამ რას იზამდნენ. ერთი კვირის განმავლობაში მთელი ჩვენი საცდელ-საჩვენებელი ობიექტები შემოვატარე. ისიც კმაყოფილი დარჩა და ჩვენც კმაყოფილი დავრჩით მისი შემოწმებით. ჩემზე არჩევანი იმიტომ გაკეთა, რომ მე ზედმეტი გადაყოლა არ ვიცი და ენაზე კბილის დაჭერაც ყოველთვის მეხერხებოდა.

85. ქ. ასტრახანში გავფრინდი და რატომღაც ორი-სამი დღე სახლში ვერ დავრეკე. თურმე გულგახეთქილი ჩემი ცოლი მეძებს და როგორც იქნა, ერთ-ერთ სასტუმროში მომაგნო. ჩემი ხმა რომ გაიგონა, ერთი გემრიელად მომაწყევლა და ყურმილი დამიკიდა. მართალი გითხრათ, ძალზე მესიამოვნა, რადგან ეს თავისებური სიყვარულის და ზრუნვის გამოხატვაც იყო.

86. ქ. ასტრახანში ჩამოვედი და მომახარეს, ბიჭი შეგეძინაო, ესეც თავისებურად აუწერელი და შეუცნობელი კაიფია.

87. მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა ჩემი წიგნები: „მოქალაქე“ სამი ათასიანი ტირაჟით, რომელიც ერთ კვირაში გაიყიდა და „სიყვარულის ვიტამინები“. ხუთი ათასიანი ტირაჟით.

88. ჩემი ორი პიესა „ჭიჭიკია“ და „ალილუია“ დადგეს მოსკოვის ახალგაზრდულ ქართულ თეატრში.

89. დაბადებიდან 60 წელთან დაკავშირებით დამაჯილდოვეს ვეტერან მორაგბეთა №1 დიდი ოქროს მედლით და ღირსების ორდენით.

90. ჩემი ქართული შრიფტით აიწყო და გამოიცა „სამყაროს კონსტიტუცია დანახული XXII საუკუნის გადასახედიდან“,

რომელიც შემდგომ ითარგმნა რუსულ, ინგლისურ, ნორვეგიულ ენებზე.

91. კარგი წიგნი გამოვიდა „ორიგინალური კულინარია ხონურად“, რომელშიც წარმოჩენილია კვების პროდუქტების რაციონალური გამოყენება.

92. გამოიცა 34 ათასი საკუთარი აფორიზმი ორ წიგნად: „მზესიტყვაობა“ და „სიტყვამზეობა“. მზადაა გამოსაცემად 17 ათასი აფორიზმის წიგნი „სიტყვაქველობა“.

93. შემიყვანეს საქართველოს ყველა დროის ასი საუკეთესო მორაგბის და მეტყევის სიაში.

94. თავის დროზე ჩამოვაყალიბე კოოპერატივი „ტექნოლოგი“. მცხეთაში მაშინ რაიონის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი იყო ჩემი მეგობარი თემურ აბესაძე, ხოლო რაიონის პროკურორი ჩემი ნათესავი, მოკლედ „ხელშეუხებელი“ ბინმესმენი ვიყავი. გავიდა სამი წელი ჩემთან შემოწმებაზე არავინ მოდის, ქვეყანაში არეულობა დაიწყო, წყობა იცვლება. რევიზორი ძალით მოვიყვანე, მან უხალისოდ შეამოწმა საბუთები და დადებითი შემოწმების აქტი დაწერა. კოლეგებიდან გაგონილი მქონდა, რომ მას ყოველ კვარტალში ბიჭები მატერიალურად პატივს სცემდნენ. მოკელდ მივეცი იმაზედ მეტი თანხა რაც ეკუთვნოდა, არ იღებდა. მერე გეუბნებნი მაჩვენე ეგ აქტიო, მივეცი და გადახია, ახალი უნდა დავწეროო. გამიკვირდა: თურმე ამ სამი წლის განმავლობაში ხან დამატებითი ღირებულების გადასახადს აუქმებდნენ, ხან კი მოგებიდან შემოსავალს ამცირებდნენ. მოკლედ, რევიზორმა თავი მოიქაჩლა, ახალი აქტი დაწერა და შედეგად 12-ჯერ მოგებული დავრჩი, რადგან მან აქტში აღნიშნა რომ ზედმეტი მქონდა სახელმწიფოსთვის გადახდილი, რაც შემდგომ თვეებში გადასახადის გადახდიდან მათავისუფლებდა.

95. ქ. ტალინში, მივლინებაში, ჩემთან ერთად არის რუსი ინტელიგენტი პროფესორი, რომელიც მატარებელში მგზავრობისას გავიცანი, მოვეწონე როგორც ახალგაზრდა მეცნიერი და ჩემზე შეფობაც აიღო. მივედით სასტუმროში, სადაც რუსს სასტუმ-

როში მოწყობაზე უარი უთხრეს ადგილის უქონლობის მომიზე-ზებით. მე ვეუბნები: ცოტა ხანში მივალ და ლუქსს გავშანსავ მეთქი, დავნაძლევდით, ავიღე ჩემი პასპორტი, ჩავდე 10 მანეთი-ანი, მივაწოდე ადმინისტრატორს და ვთხოვე ერთი ნომერი მოეცა, მაშინვე გამიფორმა, ეს პროფესორი კი ხუთი დღე ჩემთან იყო შეკედლებული გაუფორმებლად.

96. პაკისტანიდან სამწლიანი მივლინებიდან ჩამოვიდა მოს-კოვში ჩემი ქართველი მეგობარი მიხეილ ბატკუაშვილი მეუღლეს-თან ერთად. საჭირო იყო შეხვედრა აღგვენიშნა შედარებით პრეს-ტიჟულ რესტორანში. რესტორნის შესასვლელთან თავის რიგს 50 კაცი უცდის. მე კი ვიცოდი რესტორანში ურიგოდ მოხვედრის ხერხი, ჩემი მეგობარი ცოლ-ქმარი ჯიკავ-ჯიკავით წინ წავიგდე, შვეიცარს ჩემი გვარი დავუსახელე და თვალი ჩავუკარი და უთხარი, რომ პეტროვთან ბანკეტზე ვარ მიპატიჟებული, მანაც სიას „სერიოზულად“ გადახედა და შეგვიშვა რესტორანში. რა თქმა უნდა, ფული ჩუმად ჩაუცურე ჯიბეში, ასევე მეგარდი-რობეს, ფული წინასწარ, ჩემი მეგობრების დაუნახავად მივეცი და რესტორანში ქეიფს რომ მოვრჩით, მეგარდერობე გამოვიდა გარეთ, თითოეულს ჩაგვაცვა პალტოები, ჯაგრისი ჩამოუსვა. ამხანაგის ცოლი გაკვირვებული იყო. დღევანდელი გადასახედი-დან ასეთი პატივისცემა ჩვეულებრივი მოვლენაა.

97. ესტონეთში, ქ. ტალინის გარეუბანში, იყო საბჭოთა კავ-შირში ცნობილი კიროვის სახელობის მეთევზეთა კოლმეურნეობა, რომელსაც თავისი საკონსტრუქტორო ბიურო, სამშენებლო სამ-მართველო და ქარხანა ჰქონდა საკონსერვო წარმოების მანქანების დასამზადებლად. აღარაფერს ვამბობ მისი თევსაჭერი ფლოტის ოდენობაზე და საკონსერვო ქარხნების საქმიანობაზე. იმდრო-ინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელფასი იყო 1200 მანეთი, რომელიც საკავშირო მინისტრის ხელფასს ერთნახევარ-ჯერ აღემატებოდა. მას სამეცნიერო ნაწილში მოადგილედ ჰყავდა კვების მრეწველობის მეცნიერებათა დოქტორი პელო, რომლის ხელფასი 800 მანეთს შეადგენდა. მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი

პელოს და საქორწინო მოგზაურობის დროს მათთან შევიარე. დავიწყეთ საუბარი ახალ ტექნოლოგიებზე, ახალი ასორტიმენტის შექმნის პერსპექტივაზე. მე მაშინ კვლავ თბილისის უნივერსიტეტში არაორგანული ქიმიის კათედრაზე ვმუშაობდი, მაგრამ იყო საკითხები რომელიც თევზის მრეწველობასაც გამოადგებოდა. მე მის პირდაპირ ვიჯექი და როდესაც საუბარი დავამთავრე და ჩემი ცოლისკენ მოვიხედე, მის გვერდზე სამი თეთრხალათიანი თანამშრომელი იჯდა, ფანქრით და ქაღალდით და ჩვენი საუბრის რაღაც დეტალებს იწერდნენ. ეს ქალები როგორ შემოიპარნენ პელოს კაბინეტში მე არ გამიგია. პელომ დიდი პატივი გვცა სასტუმრო გაგვიშანსა და თავად გადაიხადა ჩვენი იქ ცხოვრების ფული. ამასთან რამდენიმე ქარხანა დაგვათვალიერებინეს, რაც ჩემს ცოლს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა.

98. ქ. მოსკოვში ვარ, დისერტაცია ჯერ კიდევ დაუცველი მაქვს, ამ დროს ჩვენი კათედრის თანამშრომელმა ქალმა, ინა ავდეევამ, ბინა მიიღო და კალიასკიანი მოტოციკლიც მოიგო ლატარეაში. მოტოციკლის ნაცვლად ფული გამოიტანა და „ნოვოსელიეც" მოგვიწყო, მე, როგორც ახალგაზრდა ასპირანტს, დამევალა ერთი ყუთი კონიაკის და ორი ყუთი არაყის ე.ი. 60 ბოთლის ყიდვა, რაც ჩვენს კათედრის 15 კაციანი თანამშრომლებისთვის და სტუმრებისთვის საკმარისზე მეტიც იყო. ორი ბოთლი კონიაკი და ოთხი ბოთლი არაყი წინასწარ წინდახედულად შევაგორე დივან-საწოლის ქვეშ, რომელიც სუფრასთან დასაჯდომად იყო განკუთვნილი. იმ საღამოს ყველა ხილული ბოთლი, მათ შორის, სტუმრების მოტანილიც, შეისვა. მე ამ სახლში მეცხრე სართულზე მქონდა ნაქირავები ბინა. მეორე დღეს ჩავედი მეოთხე სართულზე სადაც წინა ღამეს „ახალმოსახლეობა" იყო. დღის ორი საათია, ამ ბინაში დარჩნა კათედრის ხუთი თანამშრომელი ქალი. ყველას თავის ტკივილი აწუხებს, ნაბახუსევზე გამოსვლა უნდათ, მაღაზია შორსაა, ყველა თხოვნის თვალით მე მიყურებს, იქნებ არყის მოსატანად წავიდესო. მე ავიღე იქვე კედელთან მიყუდებული ცოცხი და საწოლ-დივნის ქვეშ გამოვუსვი, ერთი ბოთლი არაყი

გამოგორდა, ვთქვი, რომ გუშინ შემთხვევით შემიგორდა და უკან გამოგორება დამეზარა-მეთქი. სული მოითქვეს, ვატყობ, საკმარისი არ არის. ისევ ავიღე ცოცხი და ორი ბოთლი გამოგორდა! მისცვივდნენ საწოლს და კიდევ დამატებით სამი ბოთლი დაინახეს, მეცნენ ეს ქალები, ნოხზე წამაქციეს და გულიანად მკოცნის.

99. მე და დედაჩემს, ქალბატონ თინათინ ბახტაძე-ყუფარაძისას, თავისებური დამოკიდებულება გვქონდა, სულ „მეჩხუბებოდა“, ჩემზე ზრუნავდა, დასასვენებლადაც მე დამყვებოდა და მის კაპრიზებს უსიტყვოდ არა, მაგრამ ყოველთვის ვასრულებდი. ამასთან ცოტათი თავისებური ქალიც იყო, მაღაზიის ქათამსა და ხორცს არ ჭამდა, მაცივარში შენახულ საჭმელს პატივს არ სცემდა. განსაკუთრებით უყვარდა საზამთრო. ერთხელ „შემახურა“ და გაბრაზებულმა სახლში 20 ცოცხალი წიწილა მოვუყვანე და 500 კგ საზამთრო მოვუტანე. წარმოგიდგენიათ როგორ გაუხარდა და ჩემით ყველგან ამაყობდა, ხოლო იმ უხერხულობას, სახლში რომ იქმნებოდა, არად აგდებდა.

100. გარემოებათა გამო ქ. ასტრახანიდან მეორე დღეს უნდა გამოვფრენილიყავი, ხოლო ბილეთის შოვნის ყველა შესაძლებლობა ამოვწურე. ბილეთი ავიღე წინასწარი გაყიდვის სალაროში ივნისის ნაცვლად ივლისის თვის ოღონდ ხვალინდელი რიცხვით. სახლში სპეციალური ხსნარით ასო „ლ“ „ნ“-თ გადავაკეთე და მეორე დღეს უმტკივნეულოდ ჩამოვფრინდი ქ. თბილისში.

# ის, რის გახსენებაც 100–ის ფარგლებში დასაკარგი არ არის

იმისათვის, რომ მწერლის ამბიციები გაიგო და მისი ნაღვაწის რაობა გაითავისო, მის ეპოქაში უნდა გადასახლდე და იმ საზოგადოების აკრძალვებს უნდა გამოეხმიანო. ამასთან ზოგი ეპიზოდი დროის შესატყვისად უნდა „მოვთარგმნოთ“ და ახალი ნაღვაწის ფაბულად ან რომელიმე ეპიზოდად გამოვიყენოთ.

1. სკოლაში სწავლის დროს, ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს კინოთეატრებში უჩვენებდნენ ახალ მხატვრულ ფილმს. ბილეთის ფასი, 25 კაპიკი, ძალაში რჩებოდა დილის 10-12-14 სეანსებზე. კარგი ადგილები რომ შეგვხვედროდა, საჭირო იყო სალაროში ბილეთების ადრე აღება. ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ბოლო ორ გაკვეთილს ვაცდენდი და ბილეთებს მთელი კლასისთვის ვიღებდი. ფულს, ვისაც რამდენი ჰქონდა, იმდენს დებდა და შედეგად ზოგჯერ ორ კაცზე ერთი ნაყინიც მოგვდიოდა. ფილმის ყურებისას ამ ნაყინზე იყო „შეხლა-შემოხლა“: შენ მეტი მოკბიჩე, მე – ნაკლებიო. იყო სიცილ-ხარხარი.

2. ცხინვალში მუშაობის დროს, სატყეო-მეურნეობის სამმართველოში, როგორც პერსპექტიულ სასიძოსთან, სანახავად მოდიოდნენ მომავალი სასიდედროები და ჩვენი სამმართველოს მდივან ქალბატონ ზინა კოზაევასთან საქმეს აწყობდნენ, რომ ემაჭანკლა. რა თქმა უნდა ცარიელი ხელებით არ მოდიოდნენ და რაღაც საჩუქრებიც მოჰქონდათ ტკბილეულის სახით, რომლითაც შემდგომ ქალბატონი ზინა გვიმასპინძლდებოდა სამმართველოს თანამშრომლებს.

3. ერთ-ერთმა „პერსპექტიულმა“ სასიდედრომ, ერთ-ერთ ჩვენს თანამშრომელთან „ჩააწყო“ და ბინა მომაქირავა ცხინვალში სიმბოლურ ფასში, მაგრამ როდესაც ჩემს კოლეგამ და მეგობარმა გიორგი ძებისაშვილმა ფანჯრიდან დაიწყო ჩემთან გოგოების გადმოყვანა სტუმრად, ბინის პატრონმა მთხოვა, ბინა დამეტოვებინა

4. მოსკოვის ოლქში ჩვენი გაერთიანების დირექტორი თავის დას მირიგებდა, სახლშიც მეპატიჟებოდა, მაგრამ როდესაც სასადილოში ერთად მოვხვდით, ჩემი დანახარჯი 45 კაპიკი არ გადაიხადა. ეს უფრო აღზრდის ბრალი იყო, ვიდრე სიძუნწის. სხვათაშორის, ასეთივე შემთხვევა მქონდა ასპირანტურაში ყოფნისას, ჩემი მოსკოველი კოლეგა სამჯერ დავპატიჟე სასადილოში, ხოლო როდესაც მეოთხედ მას უნდა გადაეხადა საერთო დანახარჯი, მხოლოდ თავისთვის გადაიხადა, რადგან მას ცოლი დღეში 80 კაპიკს აძლევდა მისი კუთვნილი ხელფასიდან.

5. დისერტაციის დაცვისთვის მზადების დროს სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ქალბატონი, ერთ-ერთ კათედრის გამგე, რომელთანაც თითქმის არაფერი საქმე არ მაკავშირებდა, შეხვედრისას რატომღაც ირონიულად და აგდებულად მესალმებოდა, ერთ დღესაც დავინახე, ცოტათი ნასვამი, კარგ ხასიათზე მყოფი, სახლში მძიმე ჩანთით მიდიოდა. გამოვდე ხელკავი, ჩანთა გამოვართვი და სახლში მივაცილე და მოხდა ის, რაც ინდა მომხდარიყო: გამოირკვა, რომ ეს დაცინვისმაგვარი ურთიერთობა გაარშიყება ყოფილა.

6. ქ. ასტრახანში ჩემი მუშაობის პერიოდში ჩემთან ჩემი მეგობარი ოთარ ფირცხალაიშვილი თავისი მეგობრებით, მსუბუქი ავტომანქანით ჩამოვიდნენ. მივიპატიჟე რესტორანში და გავუმასპინძლდი ორი კილოგრამი შავი ხიზილალით, ცხლად შებოლილი ზურგიელით, არყით და ლუდით. როდესაც დაინახა, სხვა არაფრის შეკვეთას არ ვაპირებდი, გაუკვირდა, სულ ეს არისო? „მე შეუკურთხე“, რადგან მან ამ სუფრის მადლი, პეწი და კაიფი ვერ გაიგო, რადგან საქართველოში ის „დაყარე“ სუფრას იყო მიჩვეული.

7. ოთარმა მთხოვა, რომ მისთვის და მისი ამხანაგებისთვის გამეცნო არარუსი წარმოშობის ქალები, რომლებიც ასტრახანში ბევრი ცხოვრობდა. როდესაც სამსახურიდან მათთან სასტუმროში მივედი, გამოირკვა, რომ ქალებს ისინი თავად გაუცვნიათ და ოთარიმ ნაციონალობის მიხედვით გამაცნო ეს ყაზახია, ეს ყალ-

მუხი, ეს თათარი. ბიჭო, აქ ერთი წელია ვმუშაობ და მე ვერ ვარჩევ ერთმანეთისგან ვინ რომელი ეროვნებისაა, შენ ერთი დღეა ჩამოსული ხარ და უკვე გარჩევა ისწავლე? გოგი, ვისაც სახე „ტრაკს“ მოუგავს ე.ი. ბრტყელსახიანია, დაიმახსოვრე, ყაზახიაო! რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო, საერთოდ, ოთარს კვიმატი ენა აქვს.

8. ოთარმა მთხოვა, რომ ცივად შებოლილი ზურგიელი მეშოვა მისთვის და მისი თანამგზავრებისათვის. ოთარი ჩავისვი ჩემს სამსახურებრივ შვიდადგილიან ფრთებიან კატარღაში და დავეშვით მდინარე ვოლგის შესართავთან და იქ ბრაკონიერებისგან შედარებით იაფად შევიძინეთ ორი ზურგჩანთა ზურგიელი და დავამაგრეთ კატარღის გვერდებზე. იმ შემთხვევისთვის თუ წყლის ინსპექცია შეგვამჩნევდა ზურგიელიანი ზურგჩანები, წყალში უნდა გადაგვეყარა. საბედნიეროდ, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და ოთარიც თავისი ამხანაგებით მშვიდობიანად დაბრუნდა თბილისში.

9. მე და ოთარი ნოვოროსიისკის მახლობლად დასასვენებელ სახლში ვისვენებთ, შევედით საბილიარდო დარბაზში იმ დროს, როდესაც ერთ მოსკოველი დამსვენებელი ტრაბახობდა, მე მოსკოვის ჩემპიონი ვარ ბილიარდში, ყველა თქვენგანის დამარცხება შემიძლიაო. ოთარმა დახედა ბილიარდის მაგიდას და ამ რუსს ეუბნება, მე ამ ბურთებს ერთს კუთხეში ჩავაგდებ, მეორეს შუაში და დავნაძლევდეთო. რუსმა უარი განაცხადა ოთარმა აილო კიი და ორივე ბურთი ერთდროულად ჩააგდო. შემდგომ ის მოსკოველი მთელი 12 დღე ეხვეწებოდა ოთარს მეთამაშეო, მაგრამ ოთარმა უთხრა: მე „ბ“ კლასს არ ევთამაშებიო. ის ბიჭი რამდენჯერმე ჩემთან თხოვნით მოვიდა, მეთამაშოსო. არა და, ოთარი საშუალო მოთამაშე იყო და დიდი იყო შანსი მასთან დამარცხებულიყო.

10. ბილიარდთან დაკავშირებით, მეორე შემთხვევაც მინდა გავიხსენო, ოღონდ, ამჯერად, ახალ-ათონის დასასვენებელ სახლში, სადაც ბილიარდი იყო დადგმული. ბილიარდს ძალზე კარგად თამაშობდა ჩემი ამხანაგი თამაზ ნიკოლეიშვილი და

არიფებს შვიდ ბურთს გვაძლევდა „ამერიკანკაში“ და პურმარილს გვიგებდა. მე სამი დღე ჩუმად კონსულტაცია მივილე სხვა საბილიარდოში. თამაზმა, როგორც ყოველთვის, შემომთავაზა პურმარილზე თამაში. პირველად შვიდი შარი მომცა, მოვუგე, შემდგომ ექვსი ისიც მოუგე, ბოლოს ხუთი და ისიც რომ მოუგე, მიხვდა: შენ, ეტყობა, სადღაც წაიმეცადინეო. მთელი სამი დღე მის პურმარილზე ვქეიფობდით.

11. ნოვოროსიისკის დასასვენებელ სახლში, პლაჟზე, გავიცანი დიდებული ადამიანი, ინვალიდი ვლადიმერ კავალიოვი, რომელიც კრასნოდარის მხარის ინვალიდების გაერთიანების უფროსი იყო, ეს უფეხო კაცი საკმაოდ კარგად ცურავდა, დასვენების პერიოდში შემოგვთავაზა ქ. კრასნოდარში გასეირნება მე გარემოებათა გამო გასიებული ფეხით მომიხდა მგზავრობა. მოკლედ იქ მან ჩემი და ოთარის შეფობა გადააბარა ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექტორს, ალექსანდრე ნაზარეტიანს, მე მაშინვე მისი „სომხური“ ჭკუა მომეწონა. პურღვინოს კისრულობდა ქალაქგარეთ, ხოლო დანახარჯის გადასახდელ ფულს ხან მე ხან ოთარს მაგიდის ქვეშიდან გვაწვდიდა, ვითომ ჩვენ დავპატიჟეთ და არა – პირიქით. მაშინ დრო იყო ასეთი, გკითხავდნენ, საიდან ზედმეტი ფულიო.

12. ცხინვალში მუშაობის დროს შემომთავაზეს ეტლიანი მოტოციკლის შეძენა, როგორც საქართველოს ტყის დაცვის ინჟინერი, უარის თქმას ვაპირებდი. ამ დროს მოვიდა ცხინვალის სატყეო-მეურნეობის მთავარი ბუღალტერი ი. ცხოვრებოვი, მითხრა აიღე და მე გაგაყიდვინებ ზედმეტ ფასშიო. ჩემმა მეგობარმა სანოლი ბზეკალავამ მასესხა ათასი მანეთი და ამ კომბინაციიდან ზუსტად 1000 მანეთი დამრჩა, ბუღალტერს შევთავაზე დახმარებისთვის 200 მანეთი, მაგრამ არ გამომართვა.

13. მაშინ მე საქართველოს ლელო-რაგბის თავმჯდომარის მაოდგილე ვიყავი, ხოლო თავმჯდომარედ ავირჩიეთ ქ. თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, დიდი ორგანიზაციული ნიჭის პატრონი ბატონი ომარ ხიზანიშვილი, მას უამრავი კარგი რამ აქვს გაკეთებული საქართველოს რაგბისთვის. ერთხელ ფედე-

რაციის სხდომაზე დავიგვიანე, მიზეზად უმანქანობა დავასახელე. როდესაც სხდომა დამთავრდა, ბატონმა ომარმა მითხრა, წარმოადგინე შენი სამსახურიდან თხოვნა და მანქანას მე გამოგიყოფო. ადრე ჩვენი ინსტიტუტი ექვემდებარებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, იმ პერიოდში კი საკავშირო დაქვემდებარებაში იყო და საქართველოს არ ჰქონდა უფლება მათთვის მანქანა გამოეყო. ბედად ინსტიტუტის კანცელარიაში ის ძველი ბლანკი ვნახე, როდესაც ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ემორჩილებოდა. ამ ბლანკზე დაიწერა თხოვნა, გამოგვიყვეს მსუბუქი ავტომანქანა „ნივა“. ამ ეშმაკობიდან 7500 მანეთი დამრჩა, თითქმის ჩემი სამი წლის ხელფასი.

14. როდესაც „ლოკომოტივის“ გუნდს ვავარჯიშებდი, საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობდი, დღევანდელი მწვრთნელებივით და მოთამაშეებივით ხელფასს არ ვიღებდით. ბიჭების გუნდში დასამაგრებლად რჩებოდა ერთი „პაესდკა“ ე.ი. საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩატარება. მოწვევა ბევრი გვქონდა, მაგრამ გზის ფული არ გვქონდა. როდესაც ამის შესახებ დავიწუწუნე „ლოკომოტივის“ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, რაგბის დიდ ამაგდართან, ბატონ ავთანდილ გიორგობიანთან, მან გამაცნო ამიერკავკასიის გზის სამმართველოს უფროსის მოადგილე გადაზიდვების დარგში, ეროვნებით სომეხი თანამშრომელი, რომელიც მაშინაც და შემდგომაც ყოველთვის უანგაროდ გვეხმარებოდა. 22 კაცზე „ლოკომოტივმა“ ფული ჩარიცხა და ოფიციალურად შეიძინა თბილისი-ხაშური-თბილისის მგზავრობის უფლება და გამოგვიწერეს ფორმა სამი, ხოლო ბლანკის მეორე სამუშაო მხარეზე დაიწერა, თბილისი, მოსკოვი, ლენინგრადი, ტალინი, რიგა, ვილნიუსი, სადაც ამხანაგური თამაშები ხალხით გადაჭედილ სტადიონებზე ჩატარდა. რაც შეეხება კვებას და დაბინავებას, მასპინძელი ქალაქი კისრულობდა.

15. იმ სანატორიუმში, სადაც მე და ოთარი 13 წელი ზედიზედ ვისვენებდით, მთავარ ექიმად და მის მოადგილედ მუშაობდნენ ქალები, რომლებსაც ძალიან კარგად ვიცნობდით და ქათინაუ-

რებს არ ვაკლებდით. ერთ დღესაც პლაჟზე ხმის გამაძლიერებლით ჩემი გვარი გაისმა, მთხოვდნენ გამოვცხადებულიყავი მთავარი ექიმის კაბინეტში. გულგახეთქილი შევედი. ორთავე ქალბატონი იქ დამხვდა. მთავარმა ექიმმა მოკლედ მითხრა, შენ გულისთვის ჩხუბი მოგვივიდა და ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა აირჩიოო. მე კი, გული რომ არც ერთისთვის არ დამეწყვიტა, ვუთხარი: მე თქვენ ორივენი ძალიან მომწონხართ და რადგან არჩევნის გაკეთება არ შემიძლია, კენჭი თავად ყარეთ და თანახმა ვარ ეს სეზონი იმასთან გავატარო, ვისაც შევხვდები-თქო. იქვე ავაგდეთ „არიოლ-რეშკა" „ავერსი-რევერსი" და მთავარი ექიმის მოადგილის „საკუთრება" გავხდი.

16. ეს უკვე ბიჭვინთაში იყო, ზამთარში მომიწია დასასვენებლად წასვლა ზღვაზე, რადგან საგზური მიფუჭდებოდა და მე როგორც ინსტიტუტის პროფკავშირის თავმჯდომარეს, ეს ნაკლად მეთვლებოდა. ჩემდა გასაკვირად, შესანიშნავად დავისვენე, ზაფხულში 18 დღიანი „აქტიური" დასვენებისაგან განსხვავებით, როდესაც ბიჭვინთიდან პირდაპირ ჩემს აგარაკზე ავჭალაში ერთი კვირით მივდიოდი დაღლილობის მოსახსნელად. მოკლედ, ვარ ჩემთვის წყნარად, ვეწევი წესიერი დამსვენებლის ცხოვრებას. ერთი კვირის შემდეგ ნომრის კარებზე კაკუნის ხმა გავიგე და შემოვიდა დასასვენებელ სახლში საყველპუროდ გაცნობილი ორი ქალბატონი, ქ. პენზიდან, წინადადებით, რომ შენ აქ ყველაზე წესიერი დამსვენებელი ხარ და ჩვენ გადავწყვიტეთ, შენგან ბავშვი ვიყოლიოთ და რომელიც გინდა, ის აგვირჩიეო. დავიბენი, ამ უცნაური წინადადებაზე რა მეთქვა, არ ვიცოდი. მოკლედ, რაღაც მოვკიბ-მოვკიბე და „ქვეშიდან გამოვედი".

17. ერთხელ თბილისში ტელეფონზე დამირეკეს ნაცნობმა გოგონებმა და მითხრეს, შენთან ერთ საათში ხუთი გოგონა ვიქნებით, შენთან სერიოზული საქმე გვაქვს, თან პურმარილი იკისრეო. შემოვიდა ხუთი გოგო, ყველას მეტ-ნაკლებად ვიცნობდი, ხოლო ის გოგონა, რომელსაც მირიგებდნენ, 30 წელს იქნებოდა მიტანებული. მოკლედ მითხრეს, რომ ეს გოგონა შენზე შეყვარე-

ბულიაო და გადავწყვიტეთ სახლში დაგიტოვოთო. მე მათი მცდელობა ხუმრობაში გავატარე. რა თქმა უნდა, პურღვინოც გავუშალე და მოვილხინეთ კიდეც. მაგრამ როდესაც საქალბატონე გოგონა, თავისი მაჭანკლებით, მიხვდა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, მშვიდობიანად დამტოვა.

18. 70-იანი წლების დასაწყისში, ვაკეში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინ ვდგავარ. ამ დროს ჩემ პირდაპირ „ვოლგა“ შეჩერდა, რომლის საჭესთან ჩემი ნაცნობი გოგონა იჯდა დაქალებთან ერთად. ამ დროს ქალი საჭესთან და ისიც „ვოლგაზე“ ძალზე უცხო ხილი და ცნობადი პირი იყო იმდროინდელ თბილისში. შემომთავაზეს წყნეთში ასვლა, ამ გოგონას აგარაკზე. ჩავჯექი მანქანაში და გავეშურეთ წყნეთისკენ. გოგონებმა კი მითხრეს, ადრე ბიჭები იტაცებდნენ გოგონებს, ეხლა ჩვენ მოგიტაცეთო და „ვოლგის“ პატრონზე მიმითითეს. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუკვირდები, საკმაოდ მომხიბლავი და პერსპექტიული საპატარძლო იყო, მაგრამ მე იმ დროს ცოლის მოსაყვანად მომწიფებული არ ვიყავი.

19. ერთხელ ბიჭები ახალ ათონში, პლიაჟზე, ჩვენს ნაცნობ რუს გოგონებთან ერთად კარტს ვთამაშობდით და საკმაოდ გარუჯულებიც ვართ მზისგან. ამ დროს ჩამოვიდა ჩემი ამხანაგი ნიკო თათეიშვილი და ჩვენთან ერთად კარტის თამაშით ერთობოდა. ჩვენთან იყო ერთი საკმაოდ მოხდენილი რუსი გოგონა, როემლთანაც მხოლოდ ნაცნობობა გვაკავშირებდა და არცერთ მამაკაცს ახლო არ იკარებდა. ნიკო მეკითხება ეს გოგონა ვისთანაა, დავიჯერო ასეთი შხვართი ხელიდან გაუშვიო? ამ გოგონამ გამოგვიცხადა, ქმარი ძალიან მიყვარს და მის ღალატს არ ვაპირებო, თუ გინდივართ, ასეთი მიმიღეთ თქვენს კამპანიაშიო. ნიკომ გაიხადა სპორტული ტანსაცმელი, სათვალეები გაიკეთა, საკმაოდ „გამოთაყვანებული“ სახე მიიღო და დაიწყო პლაჟზე ჩვენს მახლობლად წინ და უკან სიარული. ჯერ ყურადღება არ მიგვიქცევია, შემდეგ დავინახეთ საცურაო ტრუსებში მოზრდილი რაღაც აქვს გამოშვერილი. ცოტა ხანში გავიხედეთ და ეს ჩვენი წესიერი

რუსის გოგო კეკლუცად ესაუბრება ნიკოს, მომავალ „ობმანშიკ“-მატყუარას – ასე უწოდა ამ გოგონამ მოგვიანებით.

20. საერთოდ კარგი და მოხდენილი გოგონების გვერდით, შეადრებით შეუხედავი გოგონები ცდილობენ მათთან „იმეგობრონ“, რათა ამ მომხიბვლელი გოგონას თაყვანისმცემლის ამხანაგი მას გაეარშიყოს. როდესაც ისინი ერთად მიდიან და ამ ლამაზ გოგოს გამოელაპარაკები, შეუხედავი ცდილობს მაშინვე უკმეხად მოგიშოროს. მე კი ეშმაკობას მივმართავდი, სწორედ შეუხედავით ვიწყებდი მათ გაცნობას და უკეთეს გოგონაზე გადავდიოდი. ეს ეშმაკობა თითქმის ყოველთვის სასურველ შედეგს იძლეოდა.

21. ახალ ათონში ვართ და იქ დასასვენებელ სახლში დამხვდა ერთი ჩემი მეგობარი ლერი ჩანტლაძე, დღევანდელი ჩემი წიგნის რედაქტორი ძალზე მოხდენილ უკრაინელ ქალბატონთან ერთად, თან ახლდათ შედარებით დაბალი ტანის ჩასუქებული ქალბატონი. სამი დღის შემდეგ ლერიმ მთხოვა, ამ გოგოს გაეარშიყეო. მე ვუთხარი დააგვიანე, უკვე ორი მყავს და მაგის ადგილი აღარ მაქვს-თქო. ბიჭო, ამ დილაადრიან რომ ტყეში დარბიხარ წონის დასაკლებად, არ სჯობს ამ გოგონასთან ივარჯიშო დილით, წონასაც დაიკლებ და სიამოვნებაც შეგრჩებაო. ამიტომაცაა ახალგაზრდობა კარგი, ენერგიაც გაქვს და „უფროსი ამხანაგების“ რჩევასაც ყურად იღებ.

22. მე და გიორგი ძებისაშვილს ბევრი, რამ გვაკავშირებს, ერთად ვმუშაობდით, ერთ ინსტიტუტში დავიცავით მოსკოვში დისერტაცია, ბოლო-ბოლო ჩემი ხელის მომკიდეა და ჩემი ბიჭის ნათლია. ცოტა უცნაური და თავისებური კაცია. როდესაც მოსკოვში ასპირანტურაში მოეწყო, მაინცდამაინც რუსული კარგად არ იცოდა. ერთხელ მახსოვს მოეწონა ერთი სტუდენტი გოგონა, რომლის დეიდაც მასთან ერთად ასპირანტურაში სწავლობდა, გიორგი ამ ასპირანტს ეუბნება შენი დისშვილი მომწონს და გამირიგეო. ამ ასპირანტმა კი უთხრა „Только через мой труп-о" გიორგი მაშინვე დათანხმდა, რადგან თავისებურად გაიგო: ჯერ მე და შემდეგ ჩემი დისშვილიო, ბიჭებს მეტი რა გვინდოდა სახალისოდ.

23. ერთხელ გიორგისთან ჩავედი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მოსკოვში და თან ჩავიტანე დედამისის მიერ გამოტანებული ორი ყუთი ვაშლი და ჩემი კონიაკის კონცენტრატიც ჩავასხით მის 22 ლიტრიან შუშის ბოცაში. მოკლედ მე ჩემს საქმეებზე წავედი, გიორგის კი სტუმარი გოგოები მოემძლავრენ, რაც ჩემი ჩამოტანილი ნობათით იყო გამოწვეული. მოკლედ ორი დღის მერე გიორგის ვეუბნები ეს ვაშლები დედაშენმა გამოგიგზავნა-მეთქი. გიორგიმ შემომიღრინა, მერე ვერ მითხარი თავის დროზე, მომკლა ამ ვაშლების ქურდობამ და გადაწყობამო. გიორგის ნაგონება რომ ეს ვაშლები საჩუქრად მიმქონდა კათედრაზე, ხოლო გოგონები ვაშლს რომ ხედავდნენ, გოგიც იძულებული იყო ემასპინძლა, რადგან ვაშლი ზამთარში არც ისე ხელმისაწვდომი იყო რუსეთში.

24. დასასვენებელ სახლ „ფსირცხაში" ჩვენთან ერთად ისვენებდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ჩვენზე ოთხი-ხუთი წლით უფროსი ჩიკვაიძე, რომელიც ადრე ცირკში მუშაობდა. საღამოს ცეკვებზე, იმიტაციას აკეთებდა, ვითომ ცალი ფეხი ხის ჰქონდა, ვიღაც ქალბატონს გაიწვევდა საცეკვაოდ და ისეთ „ვალსს" დაატრიალებდა, რომ პარტნიორი გაკვირვებას ვერ მალავდა. ცეკვის დასრულების შემდგომ ისევ, ფეხის თრევით მიაცილებდა ქალბატონს იმ ადგილამდე, საიდანაც საცეკვაოდ გაიწვია. ამას აკეთებდა ყოველ საღამოს. ვუყურებდით და ვმხიარულობდით. ერთ დღესაც რომელიღაც ქალს ნერვები მოეშალა, შარვლის ტოტი აუწია და იქ ნაღდი ფეხი რომ დაინახა ხის ფეხის მაგიერ, სახალხოდ ამხილა მატყუარა.

25. გიორგი ძებისაშვილი და მისი მეუღლე, რატომღაც მწვავედ შეკამათდნენ ბიჭვინთაში, ამ კამათს ვესწრებოდით მე და ჩემი ცხონებული მეგობარი, ბიჭვინთის ნაკრძალის დირექტორის მოადგილე, ევგენი ხაჭაპურიძე. გიორგი ძალზე დაიბოღმა. ევგენის შევთავაზე რაღაც ვუშველოთ ამ კაცს-მეთქი. მაგის წამალი მე ვიცი, ჩუმად ჩამჩურჩულა ევგენიმ. გიორგი, ეუბნება, შარშან ხომ გახსოვს შენთან რომ მომხიბვლელი გოგოები დადი-

ოდნენ, გუშინ ჩემთან იყვნენ სახლში და გიკითხეს, სად არისო, რა ვქნა, ვუთხრა, რომ ცოლ-შვილთან არის და თქვენთვის ვერ მოიცლისო? ამის თქმა და გიორგი გამხიარულდა, ყველა წყენა და უსიამოვნება მაშინვე დაავიწყდა.

26. გარეგნულად არც მე და არც ჩემს ამხანაგებს არა გვიშავდა რა. ერთხელაც ჩვენი მეგობრის ბიძასთან მივედით ქუთაისში, ბიძამისი არ დაგვხვდა, მაგრამ მეზობელი, რომელსაც გასათხოვარი გოგონები ჰყავდა, არ დაიბნა და დაგვპატიჟა. ბიძაშენის და ჩემი სტუმარი ვინ გაყოო, მოგვიანებით ამ ჩვენი მეგობრის ბიძაც მოვიდა და გვიანობამდე მოვულხინეთ. დილის მოვინდომეთ „ნათრობზე" გამოსვლა და თითო ჭიქით დავიწყეთ, კვლავ გამოვთვერით, ამჯერად, ბიძამისის ოჯახში. მერე მეზობლებს ეტრაბახებოდა, ყველაფერი გამიგია, მაგრამ ხალხს რომ „ნათრობზე" ორი ფუთი ღვინო დაელიოს, ამისთანა არაფერი მინახავსო.

27. მე, რატომღაც, საკუთარი დაბადების დღის გადახდას დიდ ყურადღებას არასოდეს ვაქცევდი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ალბათ, იმიტომ, რომ ორი დაბადების დღე მაქვს ერთი 1942 წლის სამი ოქტომბერი არაოფიციალური, როდესაც სინამდვილეში დავიბადე – ხონში მოვევლინე ქვეყანას და მეორე ოფიციალური 1943 წლის 19 მარტი, როდესაც დაბადების მოწმობა ამიღეს თბილისში.

ერთხელ ჩემი მეგობარი ზაურ უშვერიძე და მისი ბიძაშვილი სახლში მომადგნენ სამ ოქტომბერს, საჩუქრით და მკითხეს, რას შვრები, დაბადების დღეს არ კისრულობო? კი მეთქი და წავიყვანე ორივენი თავის საჩუქრით ჩემ კლასელ ციცო მუმლაძესთან, რადგან ისიც 3 ოქტომბერს იყო დაბადებული, ჩემთვის განკუთვნილი საჩუქარი მას გადავეცით და კარგადაც მოვილხინეთ.

28. ერთხელ 3 ოქტომბერს კიევიდან ჩამოვიდნენ ჩემი მეგობრები ვლადიმერ ბორისკინი და მისი მეუღლე, რა თქმა უნდა დაბადების დღისთვის განკუთვნილი საჩუქრით, აეროპორტში დავხვდი, სახლში მივიყვანე და სახლში რომ ვერავითარი მზადება ვერ შეამჩნიეს, მკითხეს დღეს სად უნდა ვიქეიფოთო. ეს საუბარი

შედგა დღის 12 საათზე. სასწრაფოდ გადავურეკე ჩემს მეგობრებს და საღამოს ექვსი საათისთვის დავპატიჟე ათ კაცამდე. სასწარფოდ გავვარდი ამხანაგის ავტომანქანით კრწანისის მეღორეობის ფერმაში და ერთი 80 კგ ღორი დავაკვლევინე-გავასუფთავებინე და პურმარილი გავმართე უმი ღორის ხორცის ბივშტექსით და შამფურის მწვადებით, ამასთან დაბადების დღის აღსანიშნავად ყველას სამ-სამი კილოგრამი ახალი ხორცი გავატანე სახლში. ერთი სიტყვით ორიგინალური დაბადების დღე გამოვიდა.

29. 25 წლის ვარ, მაქვს შანსი ჯარში არ წავიდე, მაგრამ იმდროინდელმა პირველი მაისის რაიონის კომისარმა, ძალზე კარგ-მა კაცმა, ეროვნებით სომეხმა, პოლკოვნიკმა, სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს, მამაშვილურად მთხოვა ამდენხანს ხომ შეგინახე, დღეს ბოლო გაწვევა მაქვს, კაცი მაკლია და წადი ჯარშიო, თან ქუთაისში გაგიშვებ, თანაც ცხრა თვეს იმსახურებო, მეცი პატი-ვიო. ეს ისე გულწრფელად იყო ნათქვამი უსიტყვოდ დავთანხმდი და მეორე დღეს ქუთაისის გვარდიულ ფეხოსან ნაწილში დავიწყე სამსახური. კარგიც ვქენი, რადგან რაღაც გამოცდილება და სასარ-გებლო ჩვევები ჯარში სამსახურმაც დამიგროვა.

30. სამხედრო სასროლეთიდან სამი უმაღლესდამთავრებული ვბრუნდებით უკან ავტომატგადაკიდებული, ამ დროს ჩვენთან გაჩერდა პოლკის უფროსის „ვოლგა“, რომელსაც ქართველი ეროვ-ნების წვევამდელი ატარებდა და შემოგვთავაზა პოლკში მიგი-ყვანთო. რამდენი კილომეტრი რომ გავიარეთ, მინერალური წყლის საყიდლად შევჩერდით ქუთაისის გზაზე რესტორან „ქვაშავასთან“. შევედით, სიტუაცია მოგვეწონა და შევთავაზე აქვე გვესადილა. ავტომატები სკამზე ჩამოვკიდეთ, სადილთან ერთად ღვინოც შევუკვეთეთ და ფულიც თავის ჩუქებით გადავუხადეთ ხანშიშე-სულ ოფიციანტს, რომელმაც გაკვირვებულმა გვკითხა: „შვილებო, თქვენ მართლა ჯარისკაცები ხართ?!“ ეჭვი რატომ შეგეპარა, ბიძი? ვკითხე „რა ვიცი, შვილო, ჯარისკაცები რომ ავტომატით დადიოდნენ და შავი „ვოლგით“ დასეირნობდნენ და თან ასეთი სუფრა შეეკვეთოთ, ამხნის კაცი ვარ და ჯერ არ შემხვედრიაო“.

31. ბიჭებს ერთი თამაში გვქონდა პურღვინოზე: რომელ გოგონაზეც გეტყოდნენ, 10 წუთის განმავლობაში უნდა გაგეცნო კიდეც და მეორე დღისთვის პაემანი უნდა დაგენიშნა და ამას ყოველივეს თვალს ადევნებდნენ „დამკვირვებლები“. თუ ამას მოახერხებდი, პურღვინოს ისინი კისრულობდნენ, თუ არა და შენ უნდა გეკისრა. მაშინ ეს ძალზე ძნელი იყო, რადგან უცხო მამაკაცს ქალი არ გაესაუბრებოდა და მითუმეტეს, სახლის ტელეფონს არ მისცემდა. ეს თამაში რიგით იყო და თითქმის ყოველდღე ვისხედით პლეხანოვის პროსპექტზე გახსნილ კაფე „ავტომატში“, სადაც საჭმელს ფულის ჩაგდებით ავტომატი გავძლევდა. ამ საქმეს ალღო ავუღე, გოგონასთან მივდიოდი, გავეცნობოდი როგორც კინოსტუდიის „სტაჟიორი“ და ვეტყოდი, რომ „მასოვკისთვის“. ახალგაზრდა გოგონები გვჭირდება, ეს იმის გარანტია მაინც იყო, რომ უჩხუბრად დაგლაპარაკებოდა და ტელეფონის ნომერს თუ მოგცემდა, მთლად უკეთესი. მე ქაღალდზე კინოსტუდიის ტელეფონს ვწერდი და ვეუბნებოდი: დაეხსომებინა და ხვალისთვის დაერეკა, სადაც მართლა სჭირდებოდა „მასოვკისთვის“ მსახიობები, ხოლო ბიჭებს ვაჩვენებდი ჩემი ნაცნობი გოგონას ტელეფონს, რომელიც წინასწარ გაფრთხილებული მყავდა. მეორე დღეს მე ამ ჩემს ნაცნობს ტელეფონზე ვურეკავდი, მეორე ყურმილს კი „დამკვირვებელი“ უსმენდა. ვპატიჟებდი კაფეში და ისიც თანხმობას მაძლევდა. ამრიგად, საჭმელი უკვე დამკვირვებლებს უნდა ეკისრათ. ასე ვხალისობდით.

32. მოსკოვში ძალზე თბილი ურთიერთობა მქონდა საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, იბრაგიმ ხანბეკოვთან და მის მეუღლესთან, ხალიდა ახმედოვასთან, რომლებსაც ზოგჯერ ჩემს მშობლებად ვასაღებდი. იმ შემთხვევაში თუ ჩემს ნაცნობობაში გამოერეოდა „ურჩი“ გოგონა, რესტორანში მასთან ერთად ჩემს „მშობლებსაც“ ვპატიჟობდი. შედეგად გოგონა დამყოლი ხდებოდა და მისი მოსახიბლავად დროც მცირდებოდა.

33. ჩვენმა მეგობარმა ევგენიმ, მე და გოგი ძებისაშვილს ოთახი დაგვითმო და გაგვაფრთხილა, გვერდზე ოთახი ლენინგრა-

დელ დედა-შვილს მივაქირავე, დედა პროფესორია, ჭკვიანად მოიქეცით, სახლში „ბარდელს“ ნუ გამიხსნითო და თავად წავიდა ტყეში ერთი კვირით. როგორც ყოველთვის, გოგიმ ქალები მოიყვანა და ძალზე ხმაურიანი და ვნებიანი ღამე გამოგვივიდა. მეორე დღეს ამ პროფესორმა ქალმა ორივე გამოგვლანძღა, მთელი ღამე არ გვიძინია და ამას ყველაფერს სახლის პატრონს ვეტყვიო. ჩემს სეხნიას ეს დიდად არ განუცდია და ზღვაზე წავიდა, მე კი ევგენის საყვედურის მოსმენა არ მინდოდა. შუადღემდე შევჩერდი სახლში, ეს ქალი კი გაბრაზებული სამზარეულოში სადილს ამზადებდა და რომ დამინახა, შემიღრინა: „რა ურცხვი თვალებით მიყურებ გუშინდელი ღამის შემდეგო“. მეც არც ვაციე, და არც ვაცხელე და ვუთხარი, ყველაფერში თქვენ ხართ დამნაშავე, მე თქვენ დანახვისთანავე მომეწონეთ, მაგრამ ეტყობა, უკარება ჩანხართ და თქვენში რომ ეჭვიანობა გამომეწვია, ამიტომაც მოვიყვანე ის ქალები. კითხვას კითხვები მოჰყვა, ცოტახნის შემდეგ სასურველ საუბარში გადაიზარდა და ის ქალი ჩემს საწოლში აღმოჩნდა. ასე გადავრჩით ევგენის „რისხვას“.

34. რადგან ცოლის მოყვანის ასაკს გადაცილებული ვიყავი, ყველა ჩემს დაოჯახებას ცდილობდა, მათ შორის, ჩემი ხონელი ბიცოლა ნინა ყუფარაძეც. ერთ დღესაც ხონში ჩავედი, ბიცოლამ ნაღვლიანად მოთხრა, ისეთ კარგ გოგოს გირიგებდი, მაგრამ დაგიწუნა, გაუკითხავს და უთქვამთ ქალებში დიდი ნასეირნებია და ეგ ოჯახის ერთგული ვერ იქნებაო. ასე დამიწუნა საქალაბტონემ, რომლის არც სახელი ვიცოდი, არც გვარი და რაც მთავარია, არც მენახა.

35. მახარაძეში, დღევანდელ ოზურგეთში, რომელიღაც საკავშირო შეჯიბრს ვხელმძღვანელობდი  რაგბიში. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ პურღვინოზე მიგვიწვია და ჩემი დათრობა გაადწყვიტეს. თამადად პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო, მოადგილედ დანიშნა რაიონის პირველი მსმელი, რომელიც ალავერდს ჩემთან გადმოდიოდა. მოკლედ, გურულებმა დაიწყეს სუფრის „გარყვნა“: დაიწყეს ერთი ჭიქით, შემდეგ ორით, შემდეგ

ოთხით, რვით. მთელი უბედურება ისაა, რომ შესანიშნავი კერძები თითქმის ხელუხლებელი რჩება, ამასთან, ამ ჭიქებს შესვენებებით სვამენ. მაშინ კარგად ვსვამდი, ნავარჯიშებიც ვიყავი და როდესაც ოთხი ჭიქა ერთმანეთის მიყოლებით შევსვი და შემდეგ სასმისად ჭიქების ნაცვლად ხილის ვაზით შესმა მოვითხოვე, კვლავ ერთ ჭიქაზე გადავედით და სუფრა ნორმალურად გაგრძელდა.

36. საქართველოს პირველობის რომელიღაც შერჩევითი ტური დამთავრდა რაგბში ჩოხატაურში. ამ დროს გარდაიცვალა ცნობილი ლელობურთელი ცინცაძე და გვთხოვეს მის დასაფლავებას დავსწრებოდით. თბილისელი ბიჭები უსიტყვოდ დარჩნენ, მიცვალებულს იქაური წესისებრ, დასაფლავებამდე ქელეხი გადაუხადეს, რადგან მიცვალებული ასაკოვანი იყო, სუფრა გამოთვრა, ამინდი გაფუჭდა, ატალახდა, ხოლო სასაფლაო სოფლის თავზეა. 2-3 კმ აღმართია დასაძლევი. მოკლედ, ეს 150 კგ მიცვალებული თბილისელებს აგვკიდეს, თითქმის შემცვლელების გარეშე ჩვენ მოგვიხდა საფლავამდე მისი ატანა. ამ დროს ერთმა გურული წარმოშობის თბილისელმა რაგბისტმა იხუმრა: „თუ ეს მიცვალებული გვაჩუქეს, ეთქვათ აგრე, თბილისში წავიყვანდით და იქ უფრო მეტი პატივით დავასაფლავებდითო“.

37. ინსტიტუტში სწავლისას უმაღლეს მათემატიკას ძალზე მოხდენილი „სტარაია ძევა“ ქალბატონი გვიკითხავდა. მის ლექციებზე მაინდამაინც აქტივობას არ ვიჩენდი. ერთ დღესაც ჩვენს ლექტორს, ინსტიტუტის პრორექტორი დაესწრო. ლექტორს თავის გამოჩენა უნდოდა, მაგრამ სტუდენტები არ აქტიურობდნენ. რაღაც საკითხი იყო „ბინომებზე“, არავინ ხელს არ იწევდა. შემეცოდა ლექტორი, ავწიე ხელი და როგორც იტყვიან ვასახელე. შევატყვე, ესიამოვნა, მეორე დღეს ლექციის შემდეგ მითხრა, რატომ აქამდე არ აქტიურობდიო, უცოდინარი მეგონეო. მე კი არც ვაციე, არც ვაცხელე, ვუთხარი „თქვენი მომხიბვლელობის შემხედავს, ლექციის მოსმენის უნარი მეკარგება-თქო“ სახეზე ალმური აუვარდა და უსიტყვოდ დატოვა აუდიტორია.

38. ინსტიტუტში საგნებს წიგნის მოცულობის შესატყვისად ვაბარებდი: თუ სახელმძღვანელო მოზრდილი იყო, მას ან ეშმაკობით ვაბარებდით ან ჩაწყობით. ერთ დღესაც შევდივარ „მეტეოროლოგიის“ გამოცდაზე, რომლის სახელმძღვანელო 600 გვერდს აჭარბებს და საგანსაც მისი ავტორი იბარებს. შევატყვე, ლექტორს აინტერესებდა როგორ ესმოდა საკითხი სტუდენტს და არა ის, რა დონეზე ისწავლა, რამდენიმე კითხვა და პასუხი მე თავად მომეწონა, რომელიც ფურცლებზე ჩავინიშნე. ამ დროს საერთოდ წიგნი ხელში არ ამიღია. სხვა სტუდენტებთან ერთად ავიღე ბილეთი, ჩემ მიერ მოწონებული წინა სტუდენტების ნაპასუხები ხუთი საკითხი ჩამოვწერე და ბილეთი ლექტორს დაუბრუნე. მას ბილეთისთვის არც დაუხედია, ისე მკითხა, რა არის პირველი საკითხი. წავუკითხე და ვუპასუხე. რომ შემატყო, ვიცოდი, შემდეგ საკითხზე გადადიო, ამრიგად ხუთივე ჩემ მიერ შერჩეულ საკითხზე „ბრწყინვალე“ ვუპასუხე, როგორც თავად აღნიშნა და ხუთიანი მივიღე იმ საგანში, რომელიც საერთოდ არ წამიკითხავს.

39. ერთხელ ჩემი თანაკურსელი და მეგობარი ნოდარ ესაიაშვილი მეუბნება, შენ „მეცნიერული კომუნიზმის“ წამკითხავი მაინც არ ხარ, მე ამ ლექტორს ვიცნობ, ვიკისროთ პურ-ღვინო და ნიშანს დაგვიწერსო. რესტორანში კარგი სუფრა გამოგვივიდა. ნოდარმა ლექტორის კოლეგა გააცილა, მე კი თავად ნასვამი ლექტორი. კარგი კაცი გამოდგა, ვისაუბრეთ და მოვეწონე, მითხრა, სახლში ლამაზი ქალიშვილი მყავს, შენ უნდა გაგირიგოო. ლექტორი ჩავაბარე ჩემს მომავალ „სასიდედროს“ და მეორე დღეს შევედი გამოცდაზე. უკან გამომისტუმრა საგნის არცოდნის გამო. შემდგომ ნოდარი შევიდა და ეტყობა წუხანდელი დღე გაახსენა. ლექტორმა, რომელსაც ჩემი სიძეობა უნდოდა, მეორე დღეს ვერ მიცნო.

სხვათა შორის, მე და ამ ლექტორის ქალიშვილი მოგვიანებით უნივერსიტეტში ერთ კათედრაზე ვმუშაობდით. ის უკვე ორი მოზრდილი შვილის დედა იყო და თანაც მკაცრი ხასიათის ქალი, რომელსაც ვაყვედრიდი: „ბეწვზე ვარ გადარჩენილი, შენ რომ ჩემი ცოლი გამხდარიყავი, რა მეშველებოდა, არ ვიცი-მეთქი“.

40. 18-19 წლის ბიჭი ვარ და სუფრაზე შემთხვევით მოვხვდი ჩვენი სასწავლო ინსტიტუტის ერთ-ერთი კათედრის გამგის ახალგაზრდა ცოლის გვერდით. არავინ უწყის, მან გამომიჭირა თუ მე გამოვიჭირე არ ვიცი, მაგრამ დიდ გეგმებს ვაწყობ, ვვარაუდობ, ამ ქალბატონის მეშვეობით, რომელი საგნის „ჩაწყობას" მოვახერხებ, მით უმეტეს, ამის შესახებ სუფრაზე წამომცდა. მოკლედ, შევხვდით. ალბათ, ნერვების დაძაბვის ბრალი იყო, რომ ორჯერ სიყვარულობანაში ძლივს მოვახერხე მისი დაკმაყოფილება. ეს ქალი ჩემგან გაცილებით მეტს მოელოდა და გაბრაზებულმა მითხრა „ასე ჩემი ქმარიც ქე ახერხებსო რაღაცას". არც მეორე შეხვედრამ დააკმაყოფილა და ის ქალიც შემეშვა. მაგრამ ეს გაუგებრობა მოსკოვში გამოვასწორე ხუთი წლის შემდგომ, როდესაც ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა.

41. მოსკოვში ერთი დიდიხნის ნაცნობი, ყავლგასული ქალბატონი მყავდა, საკმაოდ კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და როდესაც თბილისიდან რაღაც საკითხის მოგვარებას დავავალებდი, უსიტყვოდ და უნაკლოდ ასრულებდა, ყოველგვარი ანგარების გარეშე. ხოლო მე თავს ვალდებულად ვთვლიდი მოსკოვში ჩასვლისას მისთვის რაღაც საჩუქარი მიმერთმია. შემეკითხებოდა, რომელ სასტუმროში ვიყავი, მეორე დღეს დილის 8 საათზე თავზე დამადგებოდა ნორმერში და დაუკითხავად შემომიწვებოდა ლოგინში. ერთ დღესაც დაიწუწუნა, რომ სიძე უმუშევარი ჰყავდა და ჩემი სპეციალობით ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ინსტიტუტში სამსახურში არ იღებდნენ რადგან ებრაელი იყო (იმ დროს საბჭოთა ებრაელებმა მასობრივად დაიწყეს გადასახლება ისრაელში). ამ ინსტიტურის დირექტორს კარგად ვიცნობდი და ვთხოვე, სამსახურში მიეღოთ. ამ ქალის ოჯახმა პურმარილი იკისრა ჩემ საპატივცემლოდ და პირველად ამ ქალის მეუღლე იქ გავიცანი, კარგი ადამიანი გამოდგა. შემდგომ, როდესაც კვლავ მოინდომა ჩემთან საწოლში შემოძვრომა, უარი ვუთხარი „თუ შენ ჩემთან სიყვარულობა გინდოდა, ქმარი ჩემთვის არ უნდა გაგეცნო, ამიტომ ჩვენი ურთიერთობა მეგობრობით და ურთიერთპატივისცემით უნდა შემოიფარგლოსთქო".

42. მოსკოვში, სამოთახიან ბინაში, ერთი ოთახი მქონდა ნაქირავები, ბინის პატრონი ძალზე სანდომიანი ქალბატონი გახლდათ, რომელთანაც საკმაოდ თბილი ურთიერთობა მქონდა. ერთ დღესაც ჩემს ოთახში ზრდასრული შვილიშვილი შემოიყვანა, და მითხრა: ხედავ, რა საპატარძლოა, ცოლად უნდა გაგირიგოო. გოგოს შერცხვა და ოთახიადნ გავიდა. მე კი ვეხუმრე, ვუთხარი, ბავშვები არ მაინტერესებს, მე უფრო თქვენისთანა დაღვინებული და მომხიბვლელი ქალები მომწონს-მეთქი. მან შვილიშვილი მაშინვე სახლში გაუშვა თავად კი ჩემთან ოთახში შემოვიდა და კაბა გაიხადა, სიტყვასიტყვაა, საქმეს მივხედოთო. ასე, რომ რამდენიმე დღის შემდგომ, სხვაგან მომიხდა ბინის მონახვა. ასე „დავისაჯე“ ჩემი ხუმრობითვის.

43. რუსეთის სასელექციო-მეთესლეობის გაერთიანებაში მუშაობისას, როგორც მეცნიერებათა კანდიდატს, ყველაზე დიდი ხელფასი მე მქონდა, ამასთან მემსახურებოდა ფურგონი „ვოლგა“, რომელსაც თუ ოფიციალურად გავაქირავებდი რომელიმე ორგანიზაციაზე 15-18 დღით, კუთვნილი ხელფასი ორმაგდებოდა. ამიტომ მძღოლთან ერთად მეც დაინტერესებული ვიყავი მისი გაქირავებით. ერთხელაც ქ. პუშკინის ქალაქის ხელმძღვანელობამ დამირეკა „ვოლგა“ გვჭირდება ერთი კვირითო, მძღოლმა კი მითხრა, ეგენი ფულის გადამხდელები არ არიანო. ორი დღის შემდეგ „მანქანა გაფუჭდა“ და მორიგ კაპიტალურ შეკეთებაზე დავაყენეთ, რაც არ გამოჰპარვია ქალაქის პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს, რომელიც ქალი იყო. „ყველასაგან მოველოდი, მაგრამ თუ ქართველი „კავალრობას“ არ გამიწევდა და ჩემ თხოვნას არაფრად ჩააგდებდა, არ მეგონაო“. თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა.

44. მე ყველანაირი სიახლე მაინტერესებს, თუ საჭიროა, დაკვირვების უნარიც მაქვს. ერთხელ სამი თვით გადავსახლდი ოჯახთან ერთად აგარაკზე ავჭალაში, შევიძინე სოფლის 20 ვარია და თან დავუმატე ორი მოზრდილი, ინკუბატორში გამოყვანილი, ვარია. ცოტახნის შემდეგ სოფლის ვარიებმა გამოკლება იწყეს,

გავჭერი მკვდარი ქათმები, არაფერი დაზიანება არ აქვთ, მერე ჩემმა მეუღლემ ქათმების თავი რომ გაპუტა, შევნიშნე წითელი წერტილები. დავაკვირდი ვარიების ჩხუბს, სოფლის ვარიები ერთმანეთს ჩხუბისას კისერში ურტყამდნენ ნისკარტს, ფერმისანი კი თავში. დავკალით ფერმის ვარიები და ამით საშუალება მივეცით დანარჩენ 15 ვარიას კვერცხმდებელ ქათმებად ქცეულიყვნენ.

ასევე საინტერესო იყო კრწანისის მეღორეობის კომპლექსში დაკვირვება. გარემოებათა გამო სხვადასხვა გალიებიდან ერთ გალიაში გადმოჰყავდათ ერთი თვის გოჭები. თითოეულ გალიაში 20 გოჭი უნდა იყოს სუქებაზე დაყენებული. გაერთიანებული გოჭები ერთმანეთს კბენენ, საჭმელს არ აჭმევენ და არც წყალს ასმევენ სპეციალიზებული ონკანიდან ერთმანეთს. საკმარისია მათ ჩაუსვან გაბერწებული დედა ღორი და გალიაში მეორე დღესვე წესრიგი აღდგენილია და წონის ნამატიც შესატყვისად იზრდება. მოკლედ, ღორს ადამიანი როგორც მუცლის ღრუთი, ასევე ქცევითაც, ეტყობა, ძალიან ჰგავს.

45. ჩემი განყოფილების გამგე და არაოფოცოალური ხელმძღვანელი თბილისის სატყეო ინსტიტუტში იყო დიდი ერუდიციის მქონე მეცნიერი ბატონი შალვა ხიდაშელი, რომლის მიმართ ფრიად სიმპათიურად ვიყავი განწყობილი. ერთხელ მასთან ერთად ზღვაზე ვარ, შევედით წყალში, გავცურეთ, მე ცოტათი მოგვიანებით ამოვედი წყლიდან, შალვას ვეძებ, ვერ ვხედავ, აქეთ-იქით ვიყურები, გულმა რეჩხი მიყო. თურმე შალვა ჩემს გვერდით დგას, ტანს იმშრალებს და თმების „დაწყობაც“ მოუსწრია თავზე. მე იმიტომ ვერ ვიცანი, თურმე ჩემსავით მელოტი ყოფილა, ოღონდ გვერდიდან გადმოტანილი თმებით იფარავდა მელოტ ადგილს, რამდენი ხანი ვიცნობდი და ეს რატომღაც არ შემიმჩნევია.

46. ერთ დღესაც მე და შალვა ხიდაშელი, თუ არ ვცდები, ონის სატყეო მეურნეობაში ვართ მივლინებით, რა თქმა უნდა, პატივი გვცეს და სასტუმროშიც მოგვათავსეს ორადგილიან ნომერში. ღამე რაღაც საშინელმა ხვრინვამ გამომაღვიძა, წამოვდექი, სინათლე ავანთე. დავხედე, შალვას ნორმალურად ძინავს.

დავწექი, კვლავ ხვრინვა შემომესმა, დავხედავ, ყველაფერი მშვიდობიანადაა, დავწვები, კვლავ ხვრინვა მესმის, ჩემდაუნებლიედ გავიხედე ჩვენი „ლუქსი"-ს მისაღებში და აღმოვაჩინე ჩვენი თანამშრომელი ჯონი რუსიაშვილი, რომელიც გვიან ჩამოვიდა ტყიდან და ჩვენს ნომერში შემოუსახლებიათ.

47. ძაღლის ყოლის სურვილი არასოდეს მქონია, მაგრამ ბიძაჩემის, დავით ყუფარაძის, ძაღლის, „ჯუნგლიას", მერე მათ მიმართ სიმპათიები გამიჩნდა. ერთხელ ბიძაჩემს სტუმარი ჰყავდა, კარგად შეთვრნენ და უნებლიედ სტუმარმა ბიძაჩემის პაპიროსის კოლოფი ჯიბეში ჩაიდო, ჯუნგლია სტუმარს წინ გადაუდგა და შეჰყეფა, არ გაუშვა, ბიძაჩემმა სტუმარს ბოდიში მოუხადა და უთხრა, ალბათ, რაღაც ჩაიდე ჯიბეშიი, სტუმარმა პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ჯუნგლიამაც სტუმარი გაუშვა. ამასთან ისიც იყო საინტერესო, რომ დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე გრძნობდა ბიძაჩემის მანქანის მოახლოებას და უკვე ჭიშკართან უცდიდა.

48. მაშინ ბავშვი ვიყავი, „ჯუნგლიას" სახელი ქუჩაზე ყველამ იცოდა. ჩვენმა მეზობელმა შეიძინა ქართული ჯიშის მოზრდილი ნაგაზის ლეკვი და ტრაბახობდა, ჯუნგლია ამასთან რას მოვაო. მართლაც წავაჩხუბეთ, მისი ძაღლი ეცა ჯუნგლიას კისერში. ჯუნგლიას წვეტიან ლურსმნებდამაგრებული ყელსაბამი ჰქონდა და ნაგაზს ეტყობა შეესო ყბეებში და დაიწკმუტუნა, ხოლო ჯუნგლია მიეძალა და ის ნაგაზი კუდამოძუებული გაიქცა. ამ ამბით განაწყენებული ჩვენი მეზობელი, ცოტათი ნასვამი, ბიძაჩემს მოადგა სახლში ნარდის სათამაშოდ. ჯუნგლიამ შეჰყეფა, ბიძაჩემმა გააფრთხილა ძაღლს დავაბამ და შემდეგ შემოდიო, სტუმარმა იწყინა, რა უნდა მიყოს მაგ გლახამო. ეზოში შემოვიდა თუ არა, ჯუნგლიამ დაითრია. სტუმრს ნარდი ხელიდან გაუვარდა, მოკლედ ბიძაჩემი რომ არ მიშველებოდა, რას უზამდა, არავინ უწყის, ეს კია, რომ ერთი თვე ძაღლის ნაკბენების საწინააღმდეგო ნემსებს იკეთებდა.

49. მე, ალბათ, მსუბუქი მანქანა იმიტომ არ მყავდა, ვისთვისაც უნდა მეთქვა, ჩემთან დასასვენებლად წამოსულიყო,

სიამოვნებით მომყვებოდნენ, ხოლო რაც შეეხება მანქანის მოვლა-პატრონობას, არასოდეს მიზიდავდა. ერთხელ მე და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი, მერაბ სვანიძე, ერთად წავედით ბიჭვინთაში დასასვენებლად. ბოლო დღეებია, ამ დროს პლაჟზე გამოიარა სამმა შხვართივით გოგომ, რომლებსაც ყურადღება ვერ მივაქციე. მერაბი იცინის, ჰა, გოგი, დაგერხა, ქალებისკენ აღარ იყურები, ეხლა რომ ახალი ჩამოსულები ვიყოთ, დავიჯერო, ამათ კომპლიმენტის თქმის გარეშე გაატარებდიო?

50. ერთ დღესაც ახმეტის სატყეოში ვართ, მოვლით ზოლი-სებურ ჭრებს ვატარებთ, მექანიზაციის განყოფილების ბიჭებთან ერთად. საღამოს 8 საათია, ამ დროს შემოდის ჩემთან სასტუმროს ოთახში ზურა ხოშტარია და გივი ფირკო, ახმეტიდან 10 კმ მოშო-რებით, მეტყევეს დაუპატიჟებიათ და მთხოვენ შენც წამოდიო. მართალი გითხრათ, ნაპურღვინები ვიყავი და წასვლა არ მინდოდა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი. მივედით მანქანით ამ მეტყევის სახლ-თან, ჩაბნელებულია, ზურა მეუბნება ეტყობა რაღაც მოხდა და უკან წავიდეთო. შენ ხომ არ გასულელებულხარ, ამხელა გზა გამომატარეთ, სად უნდა წავიდეთ-მეთქი. მანქანის საყვირს დავა-წექი, გამოვიდა ვიღაც მეზობელი, მე მეტყევის გვარი ვუთხარი და მან მიგვასწავლა სახლის მეორე მხარეს, კუთხეში. თურმე მეტყევეს მეორე სახლი ჰქონია და იქ გაუშლია სუფრა.

51. ჩემი 18 წლის ქალიშვილი დაუსწრებელზე სწავლობდა და ჩემთან ერთად მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში ლაბო-რანტად, ოღონდ სხვა კათედრაზე. უნივერსიტეტის მოლარემ იცოდა, რომ ჩემი ქალიშვილი იყო და მე თუ დამაგვიანდებოდა ხელფასის აღება, მას აძლევდა, მე კი არ ვართმევდი, რადგან იმ დროს სხვა შემოსავალიც მქონდა. ჩემ ქალიშვილს ისე მოეწონა ეს ამბავი, რომ სალაროსთან მუდამ პირველი იდგა. ამიტომ მეც უფრო ფხიზლად ვიყავი ხელფასის აღების დღეს და აღარ ვაგვია-ნებდი.

52. ძალიან კარგი ადამიანი გავიცანი: გრიგოლ დერილო, ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ დასასვენებელი სახლის მთავარი

ექიმი, დავმეგობრდით. გამაცნო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე, ვიაჩესლავ იაშჩინი, ვისაუბრეთ ბიზნესზე, პერსპექტივაზე და ვთხოვე, თუ შეძლებდა დაუჟანგავი რკინის ფურცლები გაეგზავმა ქ. ჩერნოვიცის სპირტის ქარხანაში სპირტის ნაცვლად, ხოლო ფულს ფოლადის ფურცლების ღირებულებისას სამ თვეში, წლის ბოლომდე, დავუბრუნებდი. შედეგად მომცეს 80 ტონა, სპირტი, რომელიც ტიუმენში გაიგზავნა. არაყი ჩამოვასხით და დათქმულზე ერთი თვით ადრე დავუბრუნე ქარხანას კუთვნილი ფული, რა თქმა უნდა მანაც თავისი წილი მიიღო.

53. საჭირო იყო ჩემი მეგობრის გრიგოლ დერილოსთვის პატივი მეცა. ეს კაცი ბიზნესში საერთოდ ვერ ერკვეოდა და ფული რომ შემეთავაზებინა უბრალოდ ვერ გაიგებდა. ერთ დღესაც მის დასასვენებელ სახლში ჩავედი ორი კვირით. გავიგე, დედა გარდაცვლოდა, მიზეზად ეს დავიდე, მოზრდილი თანხა შევუტანე და ვუთხარი, მიცვალებულს წესიერი საფლავის გაკეთება სჭირდება, ჩვენი წესის თანახმად ორმოცი, წლისთავი უნდა გადაუხადო და სურვილი მაქვს ეს ხარჯები მე გავწიო როგორც შენმა მეგობარმა-მეთქი. გაოცდა, მაგრამ უარი ველარ მითხრა.

54. „ბევრ ღორის ქელეხს" დავსწრებივარ, მაგრამ ერთ კაცს მარტო დაეკლას 120 კგ ღორი, მარტო დაემუშავებინოს თავიდან ბოლომდე და ისე რაციონალურად გამოეყენებინოს საკლავი, ჯერ არ შევხვედრივარ. გრიგოლ დერილოს პატარა საღორე ჰქონდა მოწყობილი დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე და კვების ნარჩენებით ზრდიდა ღორებს. ამ საქმით დაკავებული იყო სანატორიუმის დარაჯი, რომელიც ეზოში აშენებულ სახლში ცხოვრობდა. დერილომ ღორის ქელეხზე ოფიციალურად დამპატიჟა. მინდოდა ამ დარაჯს ღორის დაკვლაში მივხმარებოდი. უარი მითხრა. თავის გაზრდილ ღორს მოფხანა კისრის არეში, ისიც წამოწვა და დანის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა. მერე ორი ბრტყელი ხუთსანტიმეტრიანი ლარტყა ამოუდო და ზურგზე დააწვინა. შემდგომ კისერთან ოთხკუთხედი ნაჭერი ამოჭრა, ღორს მასაჟი

გაუკეთა და ამ ჭრილობიდან ყურიანი ჭიქით ამოიღო სამლიტრაზე მეტი სისხლი, სისხლიანი კუპატების დასამზადებლად, მარტომ ცხელი წყლით ღორი გაპუტა, ჯაგარი გარეცხა და გასაშრობად აივანზე დაყარა – ამითო, სკამის რბილ საჯდომებს გავაკეთებო. მერე სამართებლით ღორი გაპარსა და ამის შემდეგ შეუდგა მის დამუშავებას. ღორის ოთხივე ფეხი დაამუშავა, ძვლები გამოაცალა და შესაბოლად გაამზადა. ტყავი გააძრო, და ღორის თავთან და ფეხებთან ერთად ლაბა „ხალადეცი" მოხარშა. აღფრთოვანებული ვიყავი ამ კაცის ხელოვნებით. სტუმრებსაც ოთხას-ოთხასი გრამი ხორცი გამოგვიყო და იმ დღეს მაგრად მოვილხინეთ.

55. ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი, ლინგვისტი მარატ დოლეზბაევი, რაღაც საქმეზე წავედით მოსკოვის ოლქში და იქ დანგრეულ შენობასთან გადავწყვიტეთ პატარა საქმე მოგვეთავებინა. მე ახალი გაკეთებული მაქვს ადენომა-პროსტატის ოპერაცია, რეზინის მილი შიგ მიდგას და შარდი გროვდება ფეხზედ მიკრული ცელოფნის ჭურჭელში. არადა, ამ ჭურჭელის დაცლაა საჭირო. მან ადამიანურად შეიხსნა შარვლის წინა ჯიბე, მე კი შარვლის ტოტი ავიწიე, რეზინის შლანგი გავხსენი და დაწნევით წამოვიდა შარდი, ერთმანეთისგან 8-10 მეტრით ვდგევართ. თქვენ უნდა გენახათ მარტოს გაოცებულ-გაკვირვებული თვალები. ის გაოცებული იყო ჩემი „ფალოსის" სიგრძით და მოშარდვის წესით.

56. მივლინებაში ბიჭები სამი დღე გადაბმულ პურმარილზე ვიყავით და ვილოთეთ. მეორე დღეს დილის 9 საათზე უნდა შევხვედროდი რაიონის ხელმძღვანელობას. დილით თავი ძლივს წამოვწიე და სარკეში ჩავიხედე, წვერი აშკარად გასაპარსი მქონდა და წამომცდა: „რა შემოუვლის ამხელა მორდას"-მეთქი, მოდით, ბიჭებო, თქვენ წადით, მე დავრჩები, მაგრამ ვინ დაგანება და შემდგომ რომ გაახსენდებოდათ ჩემი გულიანი ნათქვამი წვერის გაპარსვის თაობაზე გულიანად იცინოდნენ.

57. დედაჩემმა ჩემი ადრე დაოჯახება მოინდომა, მას ძალიან მოეწონა ერთი ახალგაზრდა ექთანი გოგონა რომელმაც პოლიკლინიკაში, საჭიროზე მეტი ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ.

დედაჩემის ინიციატივით გავიცანით ერთმანეთი. მთელი ორი თვის განმავლობაში დედაჩემი მაფინანსებდა, ვითომდა ამ გოგონასთან პაემანის ხარჯების დასაფარავად, მაგრამ ბოლოს რომ გაიგო, რომ ამ გოგოს ერთხელაც არ შევხვედრივარ, შემიკურთხა: „არ ხარ მაგ გოგოს ღირსიო".

58. ჩემი სადიპლომო თემის ხელმძღვანელი გახდა ტყის კულტურების კათედრის გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი, „ცხოვრების მცოდნე კაცი", გერმოგენ ბრეგვაძე, რომელსაც 40 წლის მანძილზე კათედრაზე არაერთი მეცნიერებათა კანდიდატი აღუზრდია და ამით ტრაბახობდა კიდეც: „დაავცვევინებ ამ ასპირანტებს დისერტაციას, გადაყვები და მერე ადგილში შეგეცილებიანო". 80 წლამდე კათედრის გამგედ მუშაობდა. როდესაც მასთან კონსულტაციაზე მივდიოდი, ერთი-ორჯერ საუბრისას მუჯლუგუნა მკრა. რა თქმა უნდა, მე არაფერი მითქვამს. მერე ერთმა სტუდენტმა უთხრა, შენ იცი, ეგ ვინ არიო, ბოქსიორი და რაგბისტიაო, ფრთხილად იყავიო. ამის მერე, როდესაც სტუდენტები ლექციაზე აურევდნენ, ტრაბახობდა: მე ყუფარაძე ვერაფერს მიბედავს და თქვენ ვინ მიგდიხართო. მოკლედ დავიცავი დიპლომი, ძალზე მქომაგობდა. ერთ დღესაც ვხედავ ვერის პარკში ვარჯიშობს თავის ასაკოვან თანამეინახეებთან ერთად. მისი სპორტული ჩაცმულობა აშკარად არ მომეწონა. მეორე დღეს დილით ავუტანე შალის სპორტული ფორმა და „ბოტასები" ეს იმ დროს კარგ საჩუქრად ითვლებოდა. ახლა ამ საჩუქრით დაუწყია ტრაბახი და თავის მოწონება. ისეთი კარგი ლექტორი ვარ, ჩემი ყოფილი სტუდენტები პატივს მცემენო და ვახსოვარო.

59. ერთხელ ჩემთან პურლვინოზე ჩემი ნასვამი მეგობარი საცოლით მოვიდა. არ ვიცი, რა მოეჩვენა და სუფრაზე განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა, ორი მოზრდილი ყანწი დალია და იქვე გაითიშა. ბებიაჩემმა, ნინა ქოიავა-ბახტაძისამ, მთელი ღამე გაუთენა, რაიმე რომ არ მოსვლოდა იძულებული გავხდი სუფრასთან ბიჭები დამეტოვებინა, მის „შეურაცხყოფილი" საცოლე ტაქსში ჩავსვი. ჩემი მეგობარი კი დილით გაიპარა.

60. რაგბის ამაგდარმა და ჩემმა მწვრთნელმა, გივი მრელაშვილმა, გუნდის წევრები გაგვაფრთხილა, ხვალ თამაში გვაქვს და სასმელი არ დალიოთო. მაგრამ ამის გაკეთება მოსკოვში, როდესაც ახალგაზრდა ხარ, შენს ირგვლივ ამდენი თაყვანისმცემელია, ძნელია. მე და ჩემმა თანაგუნდელ-თანაკურსელმა გენო ფირანიშვილმა, „გამოვიჭირეთ" ორი გოგონა, დავპატიჟეთ რესტორანში. ნასვამები ვართ, ღამის სამი საათია, გვინდა სასტუმროს ნომერში ისე შევიპაროთ, მწვრთნელმა არ გვნახოს. ამ დროს ჩვენი მწვრთნელს მხარში შედგომია ორი მორაგბე და ისე მოჰყავთ გალეწილი მთვრალი. მეორე დღეს, თავს მობილიზაცია გავუკეთეთ და ის თამაში მოვიგეთ. შემდგომ, როდესაც მწვრთნელი გავხდი, დისციპლინის დამრღვევ მორაგბეს ერთ თამაშს ვათამაშებდი. ის მაქსიმუმს იძლეოდა იმ დღეს, ხოლო მეორე დღეს სახლში ვუშვებდი, როგორც შიდა განაწესის დამღვევს, ვიცოდი, რომ დანარჩენ თამაშებს უფერულად ჩაატარებდა.

61. ქუთაისში გარემოებათა გამო შევესწარი სპორტის მაყურებელთათვის უცხო სამზარეულოს. ქუთაისის „ტორპედომ" ფეხბურთში ის სეზონი ცუდად ითამაშა და უმაღლესი ლიგა უნდა დატოვოს, მაგრამ დარჩა ერთი მისთვის უინტერესო მატჩი კიევის „დინამოსთან", რომელთანაც თუ წააგებს, კიეველები ხდებიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, თუ მოიგებდნენ – მოსკოვის „ტორპედო", ე.ი. თავიანთი კლუბის წარმომადგენელი. კიეველებს ქომაგობს თბილისის „დინამოს" ქუთაისში ჩამოსული რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი, ხოლო მოსკოვიდან ჩამოსულია „ტორპედოს" ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობა და ლიხაჩოვის ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე, იმ ქარხნისა, რომელიც მსუბუქ ავტომანქანა „მოსკვიჩს" უშვებს. თბილისელებმა ქუთაისელები დაითანხმეს წაგებაზე და ამასთან გუნდიც სუსტი იყო, ოღონდ ქუთაისელებმა მოითხოვეს ის 80 მანეთი, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში მოთამაშეები იღებდნენ. კიეველებმა იძუნწეს, ქუთაისელები გაბრაზდნენ და ის მატჩი 1:0 მოუგეს კიეველებს. ამრიგად, მოსკოვის „ტორპედო" ჩემპიონი

გახდა. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ პირველად საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ისტორიაში უმაღლესის ლიგის პირველობა ორი გუნდით გაიზარდა და ქუთაისის „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში დარჩა, ხოლო ლიხაჩოვის ქარხანამ, ქუთაისის ავტოქარხანას ულიმიტოდ ახალი მოწყობილობები გამოუგზავნა საჩუქრად. როგორც ირკვევა, სპორტი არც თუ ისე ხელწამოსაკრავი საქმიანობა ყოფილა მაშინ, განსაკუთრებით, ფეხბურთი.

62. ქუთაისში ყოფნის დროს გავეცანი სასტუმროს არახილულ ცხოვრებას. მაშინ გეგმიური სახელმწიფო იყო და ვერ გეტყვით, რის შედეგად მოხდა, რომ ქუთაისის ცენტრალურ სასტუმრო „ქუთაისს" მთლიანად კაპიტალურად არემონტებდნენ, ხუთსართულიანი სასტუმრო „თბილისის" ორი სართულსაც რემონტი უტარდებოდა. ქუთაისის „ტორპედოსთან" სათამაშოდ ჩამოსული გუნდისთვის, თითქმის მთელ სასტუმროს ათავისუფლებდნენ სტუმრებისაგან. მე მეკავა მესამე სართულზე ჩემზე გაპიროვნებული „ლუქსი", ხოლო ზოგჯერ როდესაც საპატივცემულო სტუმარი ჩამოუვიდოდათ, მთხოვდნენ უფლებას ერთი ღამე მისაღებ ოთახში ჩემთან გაეთია. ჩემთან განსაკუთრებით კარგად იყვნენ სართულის მორიგეები, რადგან როდესაც ზოგჯერ თბილისში მივდიოდი 1-2 დღით, ნომერს მათ ვუტოვებდი, ისინიც თავის სასარგებლოდ რაღაცას ჩალიჩობდნენ. ამასთან სასტუმროში ხშირად ჩამოდიოდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ფულის საკეთებლად. ერთხელ მორიგემ მთხოვა სანამ ნომერს უშოვნიდა, ერთი ღამით შემეფარებინა თბილისის ერთ-ერთი ლუდის ქარხნის მთავარი ბუღალტერი, შუა ხანს გადაცილებული რუსი ქალი და მისი მოადგილე, გაურკვეველი ეროვნების მომხიბვლელი ქალი. საუბარში გამოირკვა, რომ ისინი ფულის საკეთებლად იყვნენ ჩამოსული, განსაკუთრებით ბუღალტერის მოადგილე აქტიურობდა. მე მგონია, უმცროსმა ბუღალტერმა, უფროსი აცდუნა, რადგან ამ უკანასკნელს კაცები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ფული.

63. ჩვენთან ორი მორაგბე თამაშობდა: ნოდარ ქაჯაია, ძველი ფეხბურთელი მეკარე და ძველი სპრინტერი და ჩემი მეზო-

ბელი ვალერა კორნეევი. ვალერა ძალზე სწრაფი მორაგბე იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა – ელამი იყო. ერთი-ორჯერ ვალერას მიწოდებული პასი ნოდარმა ვერ აიღო, ბიჭებმა უსაყვედურეს, ნოდარმა კი თავი იმართლა: „ამ ცხოვრებაში ყველაფერი გავიგე. მაგრამ ვალერას მოწოდებულ პასს ვერაფერი გავუგეო“ ისე, თუ კი ვალერა ბურთს ხელში ჩაიგდებდა და იმ მომენტში მოწინააღმდეგე მოთამაშე მას არ კეტავდა, ვერავინ ეწეოდა და ის ბურთი „ლელოდ“ იქცეოდა. ნოდარი კი ულამაზესი ნახტომით გრძელ პასს აძლევდა შეტევაზე გასულ მოთამაშეს.

64. მოსკოვში, ჩვენი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში, ცხოვრობდნენ ინდონეზიელი სტუდენტები. ორ მათგანთან კარგი ურთიერთობა მქონდა და მთხოვეს: ორი კვირის შემდეგ, დაბადების დღესთან დაკავშირებით, მათი ნაციონალური სამზარეულოს დასაჭაშნიკებლად მივსულვიყავი. შეიძინეს ცხვრის ხორცი, რაღაც ნაციონალური სანელებლებით შეაზავეს და დადეს ცხელ რადიატორზე, მანამ მატლები არ დაესია, მოკლედ მათი ოთახი ყარდა. ეს ხორცი დაჭრეს წვრილ ნაწილებად და ცხელ ზეთში შეწვეს. ჩემ გარდა ვერც ერთმა დაპატიჟებულმა სტუმარმა კულინარიის ეს შედევრი ვერ გასინჯა. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გემრიელი საჭმელი იყო.

65. ერთხელ, შუშის ქილით, ოთხი კილოგრამი ჩემ მიერ დამზადებული შავი ცილოვანი ხიზილალა ჩამოვიტანე თბილისიდან მოსკოვში. როგორც გიორგი ძებაშვილმა მითხრა მოგვიანებით, ცოტათი კი გაკვირვებია ჩემი ხელგაშლილობა, მაგრამ რა უნდა ეთქვა, ხიზილალა შავი იყო და გემრიელი. ზამთარი იყო და ეს შუშის ქილა გარეთ გავდგით. მოვიდა გიორგის ნათესავი სტუდენტი გოგონა მზია ილურიძე, რომელიც ამ ინსტიტუტში სწავლობდა და გვითხრა, რომ დაბადების დღე ჰქონდა. ჩვენც ჩემ მიერ ჩამოტანილ ხილთან, ჩემ მიერ გაკეთებულ კონიაკთან ერთად, ნახევარი კგ ხიზილალას ჩუქებაც გადავწყვიტეთ, გამოვიტანე შუშის ქილა, გადმოვაპირქვავე და მთელი ხიზილალას მარცვლები საფანტივით წამოვიდა ე.ი. სიცივისგან გაიყინა და

მარცვლებმა ურთიერთშეკავშირების უნარი დაკარგეს, რაც ადრე ჩემთვის ცნობილი არ იყო. სითბოში მან კვლავ აღიდგინა შეკავშირების უნარი, მაგრამ გამჟღავნდა საიდუმლო, რომ ის ნატურალური პროდუქტი არ იყო. ხოლო გიორგი ძებაშვილი თავს იწონებდა, ჩემი ეჭვი გამართლდა: ყუფარაძე ასეთი არიფია, თბილისიდან მოსკოვში ოთხი კგ ნატურალური ხიზილალა ჩამოიტანოსო.

66. თბილისში, ეგრეთწოდებულ იტალიურ ეზოში, გოგოლის ქუჩაზე ვცხოვრობდი და მეზობლებიც ერთად შეზრდილები ვიყავით. გვყავდა შესანიშნავი მეზობელი, ჩვენზე ასაკით უფროსი, ვაჟა ამაშუკელი, რომელიც ზოგჯერ ხასიათზე რომ იყო, ეზოში დადგმულ მაგიდაზე შემოდგამდა 10 ლიტრიანი შუშის ბოცით ღვინოს, მოხარშულ და შემწვარ ქათმებს და გვეძახბდა. ჩვენც, ვის რა გვქონდა სახლში საკვები, სუფრას შევმატებდით და კარგი 6-8 კაციანი პურობა გამოგვდიოდა არც თუ ისე იშვიათად, კვირაში ერთხელ მაინც. ამდაგვარი სუფრის სულის ჩამდგმელი ძირითადად ბატონი ვაჟა გახლდათ.

67. ხელოვნური ხიზილალის არსებობის შესახებ ჟურნალ „ნაუკა ი ჟიზნში“ წავიკითხე, რომელიც ჩემ მიერ, რა თქმა უნდა, გაუმჯობესებულ იქნა, მისი გამომგონებლის, აკადემიკოს ნესმეროვის, პრინციპით. ამ აპარატის შექმნისთვის საჭირო იყო თანამოაზრენი ჩემი მეზობლებიდან ერთი იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ლევან მაისურაძე და თბილისის რძის კომბინატის მექანიკური საამქროს უფროსი „ოქროსხელება“ ნოდარ ბუცხრიკიძე. სამ დღეში ხელოვნური ხიზილალა მივიღეთ. მოგვიანებით ჩემ მიერ გახსნილ კოოპერატივში წითელი ხიზილალის აპარატი დავამონტაჟე და ხელოვნურ წითელ ხიზილალასაც ვიღებდი, სხვა ფირმებიდან გამოშვებული ხიზილალისგან განსხვავებით, ჩემს მიერ გამოშვებული ხიზილალა უფრო მსხვილი მარცვლებისგან შედგებოდა და თან შვავში შავი წერტილის მაგვარი ჩაუდე, ხიზილალის სიმწიფის დასამტკიცებლად. აქვე მინდა გავიხსენო, რომ ლევან მაისურაძეს ალერგია სჭირდა და იძულებული იყო

მაისის თვიდან ალერგიის საწინააღმდეგო ნემსები ეკეთებინა, რადგან ლექციის დროს თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა. „გოგი, ბიჭო, გაანძრიე ეგ თავი, ყოველ სიახლეში ცხვირის ჩაყოფა გიყვარს, იქნებ ამ ოხერ ალერგიას რაიმე ვუშველოთ!“

68. მეტრო „რუსთაველის“ პირდაპირ რესტორანი იყო სარდაფში, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ფასებში. ამ რესტორანში ერთი ნაცნობი ოფიციანტი გვყავდა, ეროვნებით სომეხი, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს თუ ბიჭებს კაცის თავზე სამი მანეთი გვქონდა, კერძების შეკვეთის უფლება წართმეული გვქონდა, ხოლო თუ 5 მანეთი – შეგვეძლო ჩვენი ჭკუით შეგვეკვეთა. კაცზე ორ მანეთად მოჰქონდა სალათა, ყველი, ძეხვი, მწნილი, ჩიჟი-პიჟი, მწვადიც და კაცზე თითო ბოთლი „იმერული“. ამასთან არ გვიმჟღავნებდა, რომ ყოველი ჩვენგანისგან ერთი მანეთი მისი იყო მომსახურებისათვის.

69. ჯუმბერ გველესიანს ვიღაც კახელი გოგო შეუყვარდა და გვთხოვა მოგვეტაცებინა, რადგან გოგო თითქოს თანახმა იყო, მაგრამ ამ გოგოს მშობლები წინააღმდეგი. ჩავედით კარდანახში, გოგო გამოვიძახეთ სახლიდან, გავესაუბრე და გოგოც წინააღმდეგი აღმოჩნდა. ეს ის ჯუმბერ გველესიანია, რომელმაც ერთ-ერთ წვეულებაზე ჩემთან სახლში რომ იმღერა, 18 ნათურიანმა კალათისმაგვარმა ჭაღმა ქანაობა დაიწყო. იძულებული გავხდით თბილისში უპატარძლო სუფრა გვეკისრა.

70. როდესაც მთაწმინდის დასაწყისში, დავითაშვილის აღმართზე ჯუმბერს ვესტუმრებოდით, ის მაშინვე მეზობლად მდებარე რესტორან „სამადლოში“ გვეპატიჟებოდა ოღონდ უნდა მივსულიყავით საღამოს 6-7 საათზე. ჯუმბერი თან წამოიყვანდა, რომელიმე კარგი ხმის მქონე მეზობელს თავისი გიტარით და მივუჯდებოდით სუფრას ისე, რომ ჯუმბერ გველესიანს ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდა. ჯუმბერს რესტორნის პერსონალი კარგად იცნობდა, გაგვიშლიდნენ სუფრას და ჯუმბერიც ამოუშვებდა ჯადოსნურ ხმას. ცოტახნის მერე რომელიმე მაგიდიდან რამდენიმე ბოთლს გამოგვიგზავნიდნენ, რომელსაც შემდეგ იმ სუფრის

ცოტათი შექეიფებული სტუმარი მოჰყვებოდა, რომელსაც სმა მობეზრდა და გართობა მოუნდა, მერე გადაგვიპატიჟებდნენ და ჩვენს დანახარჯსაც იხდიდნენ.

71. ჯუმბერ გველესიანი მუშაობდა კონიაკის ქარხანაში, სადაც მისი ძმა მთავარი ტექნოლოგი იყო. ერთხელაც სახლში მირეკავს, გოგი, ჩემი დაბადების დღეა და „მონადირის ძეხვი" წამოიღე, ისე, რომ დარაჯებმა არ შეგამჩნიონო. შევედი საკუპაჟე საამქროში, ერთ-ერთი დიდი კასრის უკან, მაგიდა აქვთ გაშლილი და ჭიქები და ჩემ მისვლას უცდიან. თურმე მუშებს საჭმელს არ ატანინებდნენ საამქროში და არც სასადილოდან შეიძლება საჭმ-ლის წამოღება, რადგან მუშები არალეგალურად ქეიფობენ. ბიჭებ-მა ჩამოასხეს ჩემი საყვარელი კონიაკი „ენისელი" და ჩემ მიტანილ სამ კილოგრამ, შარვლის უბეში დამალულ, ძეხვთან ერთად გემრი-ელად მოვულხინეთ. ჩემთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ნასვამ ჯუმბერს ფეხი დაუცდა და კონიაკის დიდ ჩანში ჩავარდა. ძლივს ამოათრიეს, კონიაკის სუნით ყარდა.

72. მე ბევრ რამეში მოუწესრიგებული კაცი ვარ, მაგრამ კაცს რომ ვეტყვი, ამა და ამ საათზე მოვალ ან რაღაცას დავპირ-დები – უნდა შევასრულო. ერთხელ მე და ოთარ ფირცხალაი-შვილმა დავთქვით შეხვედრა. მე ერთი საათი დამაგვიანდა იმის გამო, რომ რაგბის თამაშს ვესწრებოდი, მსაჯი რატომღაც არ მოვიდა და მე მომიხდა ამ მატჩის მომსახურება. დაგვიანებულმა მაინც გავიარე შეხვედრის დათქმულ ადგილას და ოთარი იქ მიცდიდა. რომ ვკითხე რატომ არ წახვედი-თქო, მითხრა: მე შენი ამბავი ვიცი თუ რაღაც არ შეგემთხვეოდა, არ დააგვიანებდი, ეგ კი არა, ცოტაც და შენთან სახლში უნდა ამოვსულიყავიო.

73. ნოვოროსიისკის დასასვენებელი სახლის პლაჟზე, ოთარი და სანოლი ბზეკალავა „დურაკას" ეთამაშებიან პურლვინოზე, ჩვენს ნაცნობ მოსკოველ ცოლ-ქმარს და სამარცხვინოდ აგებენ, ორით ათსს. ოთარი საკამოდ კარგად თამაშობდა და იმახსოვრებ-და კარტს, მაგრამ სამაგიეროდ სანოლია „პროფანი" ამ საქმეში. მოკლედ, სანოლიმ ცუდად გახდომა მოიმიზეზა და მთხოვა, შე-

მეცვალა. მე და ოთარი შეთამაშებულები ვიყავით, ამასთან თუ დაგვჭირდებოდა სანოლის ყასიდად დავუძახებდით და ვეტყოდით. მაგას ჯვრის ქალი ჰყავს და გულის ათიანი გადმოდიო. მოკლედ, ამ ეშმაკობით და თამაშის ცოდნით ცოლ-ქმარს თორმეტი თერთმეტით მოუგეთ. მაგრამ სანოლი სუფრაზე არ დავპატიჟეთ, როგორც ქართველების „შემარცხვენელი“.

74. როგორც პერსპექტიულ მამაკაცს, მახსოვს ბათუმში ერთი ნაცნობი ქვრივი ქალი გადამეკიდა, ჩემი დაქალი უნდა გაგირიგოო. მართლაც ნორმალური გარეგნობის საქალბატონე აღმოჩნდა, სადღაც მივლინებით მიდიოდა და მისი გაცილების მომიზეზებით მოხდა ჩვენი გაცნობა. გაცილების შემდეგ, „მაჭანკალმა“, რომელიც ჩემ მახლობლად ცხოვრობდა, სახლში ყავაზე შემიპატიჟა, რათა თავის დაქალისთვის უფრო მეტი პიარი გაეკეთებინა და ჩემი აზრი გაეგო. სასმელმა, ყავამ და სასიამოვნო საუბარმა თავისი გაიტანა და რაღაც ერთი საათის შემდეგ ამ ქალბატონის საწოლში აღმოვჩნდი, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაქალს მაინც მთავაზობდა საცოლედ.

75. სტუდენტობის დროს ერთი ოდიოზური მოხუცი ლექტორი გვყავდა გეოდეზიაში – გიგო აბაშიძე, ჩვენი დეკანის ძმა. უცნაური, თავისებური, კაცი იყო. ჩემ წინ ჩემი მეგობარი ნოდარ ესაიაშვილი გავიდა მასთან გამოცდაზე, მისი პასუხი მოეწონა და უთხრა, ცოტა კიდევ მოუმატე და ხუთიანს დაგიწეროო. ნოდარი გახარებული გამოვიდა. ჯუმბერ ხარშილაძემ გააშაყირა, რომელი ხუთოსანი შენ ხარ, საქმე არა გაქვს, მიდი და დააწერინე, რასაც გიწერსო. მე ბილეთზე პასუხის გაცემა დაწყებული მქონდა, ამ დროს ნოდარმა კარი გამოაღო, ჩათვლის წიგნაკი გაუწოდა ბატონ გიგოს და უთხრა, დამიწერეთ ის კუთვნილი ოთხიანი, რადგან სხვა საგნებზე დრო არ მეყოფა მოსამზადებლადო. „ო, შენი ჩარჩი დედა ვატირე, როგორ მიბედავ ნიშანზე ვაჭრობასო“ და ნოდარს მატრიკული ესროლა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საგნის ჩაბარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა და მეც გარეთ გამოვედი.

76. ტიუმენში მელნიკაიტეს ქუჩაზე მე და ერთი ჩემი ნაცნობი, ნასვამი რუსი ახალგაზრდა მამაკაცი, ერთად მოვდივართ. ამ ქუჩაზე ყოველთვის იყვნენ ტაჯიკეთის რომელიმე რაიონიდან ჩამოსული პროფესიონალი მათხოვრები. ქუჩის ფეხით სასიარულო ნაწილზე ფარდაგი ჰქონდათ გაშლილი. ფარდაგზე 70 წლამდე მოხუცი მამაკაცი იყო მოკალათებული, რკინის ჯამით და ორი პატარა ბავშვით, რომლებიც გამვლელებს ფეხებში ეჩხირებოდნენ და მოწყალებას თხოვდნენ. ამ მოხუცის გვერდზე იდგა ახალგაზრდა გოგონა, რომელიც არაფერს ითხოვდა, მაგრამ ეტყობა პროფესიას ეჩვეოდა. ჩემი ნაცნობი იურა მივიდა ამ მოხუცთან და უთხრა, რამდენი მოგცე, რომ ეს გოგონა გამატანეო; 200 მანეთიო; იურამ მოხუცს ფული მისცა, გოგონას ხელი წაავლო, ტაქსში ჩაისვა, დამემშვიდობა და წავიდა.

ამ ამბიდან საინეტრესო ის არის, რომ ეს გოგონა იურას ცოლად შერჩა, მათ დღეს სამი შვილი ჰყავთ. იურა პირველ ცოლს იმიტომ გაეყარა, რომ „ზედმეტად“ ჭკუას არიგებდა, დღევანდელი იურას ცოლი ხმას არ იღებდა და სანამ ერთმანეთს შეეჩვეოდნენ, არც რუსული იცოდა.

77. ერთ დღეს ტიუმენიდან მოსკოვში მოვფრინავ, გაუფასურებული ფულის დასტები შავ ქაღალდში და შემდგომ სახაზავ ქაღალდში გავახვიე, ისე გამოვიარე კონტროლი, რომ არავის არაფერი უკითხავს, ჩავჯექი თვითმფრინავში, რომელიც ასაფრენ ბილიკზე გასაფრენად ემზადება, ამ დროს აცხადებენ გასაფრენ ბილიკზე მდგომი თვითმფრინავი აეროპორტში დაბრუნდებაო. მე იმდენად სანერვიულო არ მქონდა, მაგრამ სხვათა სახეზე ნერვიული დაძაბულობა შევნიშნე. გამოირკვა რომ თვითმფრინავის რაღაც უმნიშვნელო დეტალის გამოცვლა დავიწყებოდათ მექანიკოსებს, ხოლო თვითმფრინავის ეკიპაჟის ხელმძღვანელი, პრინციპულად არ აფრინდა აეროპორტიდან სანამ დეტალი არ შეცვალეს.

78. ნათქვამია, „მღვდელს ჭილოფში იცნობენო“. ერთხელ სოჭიდან მატარებლით მოვდივარ ოჩამჩირეში, მაცვია სველი ტანსაცმელი, წვერი გაუპარსავი მაქვს, შემიშვეს ერთ-ერთი ვა-

გონის კუპეში, სადაც დამხვდა დასასვენებლად წამოსული „თავ-გადასავლების“ მაძებარი ორი ქალბატონი, მათ ჩემისთანა „მუ-ჟიკის“ დამგზავრება არ მოეწონათ, ალბათ სოლიდურად გამო-წყობილი მამაკაცის დამგზავრება ერჩიათ. დავუწყე ლაზღანდა-რობა, კომპლიმენტების კორიანტელი დავაყარე, მაგრამ ვისთვი-საც „ვწვალობ“, ის ზანტად მცემს პასუხებს, ბოლოს გამოვედი კუპიდან „ჩაის“ მოსატანად და როდესაც კუპეში შესვლა დავაპირე, ასეთი საუბარი მომესმა. ერთი ქალბატონი ჩემს „რჩეულს“ ეუბ-ნება, გულისყურით მოუსმინე, არ დაიბნე, ლაპარაკზე იგრძნობა, რომ ეს უბრალო „მუჟიკი“ არ არის, ხელიდან არ დაგისხლტეს, ვინ იცის, ოჩამჩირეში ვინ შეგხვდებაო.

79. ბათუმში რაღაც საქმეზე მივედი ჩემ ნაცნობ ექიმთან ვენერიულ დისპანსერში. კაბინეტში მის მაგიერ პრაქტიკანტები დამხვდნენ. მეც უსაქმურობის გამო სასწორზე დავდექი. ერთი პრაქტიკანტი მეორეს ეუბნება: აბა, გამოიანგარიშე, ამას წონის შესატყვისად ათაშანგზე რამდენი წამალი დასჭირდებაო. ამ საუბარს შემოუსწრო ერთმა რუსმა ექთანმა. მეორე დღეს ბათუმში პლაჟზე ვარ და ერთ ადგილობრივ ქალბატონს „ვახვევ“. უცბად ამ ქალის დაქალი წამოდგა და ცოტახნის შემდეგ ის რუსი ექთანი მოიყვანა, რომელმაც გუშინ მნახა. იმ ექთანს ავუწერივარ, ასეთი კარგი ქართველი მამაკაცი იყო და ათაშანგი აუკიდებიაო, ვგონებ თბილისელია და ჩვენთან ბათუმში მუშაობსო. საბედნიეროდ, ორივე მხარეს ეჭვები გავუქარწყლე.

80. ასტრახანში ჩემ სანახავად ჩემი ოთხი დაქალი ჩამოვიდა: ნათელა და ციცო ჯანელიძეები, რუსუდან ჩომახიძე და ნინა კაზაროვა. ზაფხულია, კოლოების სეზონი დაწყებულია. გოგონები გავაფრთხილე: აუდუღარ წყალს ნუ დალევთ და ფანჯრები არ გამოაღოთ-თქო. ძალიან დასცხათ, ადუღებული წყალი არ გა-ცივდა, მაცივარში რაც ცივი სასმელი ჰქონდათ, გაუთავდათ, სუნთქვა გაუჭირდათ ღამით და ფანჯარა გააღეს. კოლოებმა ისე დაკბინეს, რომ მეორე დღეს მეხვეწებოდნენ აქედან გაგვიშვიო. გოგონები, რომლებიც ასტრახანში 10-15 დღეს აპირებდნენ და-

რჩენას, ორი იმ დღეს გავუშვი და დარჩენილი ორიც მეორე დღეს გაფრინდნენ.

81. ახალ ათონში იყო „ველური პლაჟი“, „სამედიცინო პლიაჟი“ და თურმე „ქალების პლაჟიც“ ყოფილა. ნავით ზღვაში გავედით, მე ჩემი ნიღბით და წყალქვეშა თოფით ჩავეშვი ზღვაში სანადიროდ, ორი საათი წავინადირე და პლაჟზე ამოვედი, ნიღაბი მოვიხსენი. ქალები ტიტველი მომეჩვენა, თვალებზე წყალი შევისხი, კვლავ ტიტველი ქალებია ჩემს წინ. ამ დროს ერთი ტიტლიკანა ქალი მომიახლოვდა და მითხრა: ყმაწვილო, ნუდისტების პლაჟია და თოფიან და ჩაცმულ მამაკაცს აქ არაფერი ესაქმებაო. მართალი გითხრათ, ამ სიტიტვლიდან ცუდი შთაბეჭდილება დამრჩა, ამიტომაცაა ნათქვამი: ყველა ქალს გატიტვლების უფლება არ აქვსო.

82. ერთ დღესაც ჩემი ნაცნობი ტიუმენელი ახალგაზრდა აღშფოთებული მეუბნება, ქალს წავის ქურქი ეცვა, „მერსედესს“ მართავდა, ლამაზი ქალბატონი იყო, მის ცოლად მოყვანაზე ვოცნებობდი, მან კი ათაშანგი ამკიდაო! ამიხსენი, თავი სად გამომეყოფაო! მე დავამშვიდე ცხოვრებაში ყველაფერი მოსალოდნელია და თუ გაგებით არ შეხვდი, ცხოვრება გაგიჭირდება-თქო.

83. ახალ ათონში ცეკვისას ორი გოგონა გავიცანი, მითხრეს, ადგილობრივები ვართო და მეც სახლში გაცილება შევთავაზე. არ გირჩევთო, მე თავი გამოვიდე. ამ გოგონების მთის სოფელში, 7 კილომეტრზე, მომიხდა. ღამის სამ საათზე მივაცილე. კიდევ კარგი, უკან არ გამომიშვეს და აივანზე გამიშალეს საწოლი, მოკლედ დილით ადრე ავდექი და ჩემს დასასვენებელ სახლში დავბრუნდი. ამის მერე „ეგზოტიკას“ შევეშვი.

84. ტალინში ვართ, ბიჭებს გვინდა ტალინის ერთ-ერთ რესტორანში შესვლა, მაგრამ ჰალსტუხის და „პეპელას“ გარეშე რესტორანში არ უშვებენ, ჩვენ კი შალის სპორტული კოსტუმები გვაცვია. შვეიცარმა მოიხსნა ჰალსტუხი და მე გამიკეთა, ხოლო ჩემს ამხანაგს „პეპელა“ შეაბეს ყელზე. კიდევ კარგი, დარბაზი ნახევრად ჩაბნელებული იყო და ჩვენც კუთხეში მოგვიხერხეს მაგიდა.

85. ასტრახანში ვმუშაობდი, როდესაც არაყი გააძვირეს, უნდა გენახათ ხალხი როგორ განიცდიდა და პირველი ორი დღე ჯგუფებად დადიოდნენ გასტრონომში, რომ თავიანთი თვალით ენახათ გაძვირებული არაყი. ორი დღის შემდეგ ისევ ჩვეულებრივად დაიწყეს სასმელების ყიდვა. სასმელზე ფასის გაძვირებას, ერთი უცნაურობაც ახლდა: რატომღაც ხარისხი უარესდებოდა. რატომ, ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რადგან მაშინ ყველაფერი სახელმწიფოს ხელში იყო და გაძვირებას არავითარი გავლენა არ უნდა მოეხდინა სასმელის ხარისხზე.

86. მოსკოვში ერთი სომეხი ამხანაგი მყავდა, ჩემზე ხუთი წლით უფროსი, თან ასპირანტურაში სწავლობდა. ჩავედი მოსკოვში და დავურეკე ქალები გაშანსე მეთქი. კიო, მითხრა, საღამოს ექვს საათზე ჩემთან იყავიო. მივედი, სუფრა გაშლილი დამხვდა, მაგრამ ქალები შეუხედავები იყვნენ. გამოირკვა, რომ ეს ქალები სასადილოში მუშაობდნენ და საჭმელი მათ მოეტანათ, ხოლო სასმელად წყალგარეული ჩემი კონიაკის „კონცენტრატი“ დავლიეთ. რაც მოსახდენი იყო: მოხდა, ქალები სამსახურში გავაცილე და ამ ბიჭს ვეუბნები „ბიჭო ამდენი ხანი მოსკოვში ცხოვრობ, ცოტა უკეთესი ქალები არ უნდა გყავდეს?“ „რა ვქნა გოგიჯან, ხომ ხედავ რა დროა, სხეულით ვვაჭრობ, სხეულითო“.

87. სამი ასპირანტი: ნიკო ლალიძე, ოთარ ფირცხალაიშვილი, და მე შევიყარეთ ნიკოს ნაქირავებ ოთახში, დავლიეთ, სიმღერა მოგვინდა, სამივე უსმენოები ვართ, ავმღერდით, ჩემი ხმა მოეწონათ და მითხრეს პირველი ხმა გაქვს, ეს შექება გამიხარდა, ძალზე მოვინდომე და ხმას დავუწვრილე. ორი დღე ამ სიმღერის შემდეგ ყელი მტკიოდა. ასე გამაბრიყვა შექებამ.

88. მოსკოვში ერთი ახლობელი ოჯახი მყავდა, ქმარი იგორ პავლოვიჩი და მეუღლე რაისა პავლოვნა. ორივენი საკავშირო სატყეო ინსტიტუტში მუშაობდნენ. სახლში მიმიპატიჟეს. რუსეთში ხშირად ოჯახის „პარადი“ ქალს მიჰყავს. დაახლოებით ვიცოდი რა სახის არაყი და ძეხვი იქნებოდა სუფრაზე. შევიძინე ოთხი ბოთლი არაყი და ორი კილოგრამი „კრაკოვის“ ძეხვი. სხვა საჭმე-

ლებთან ერთად სწორედ ეს პროდუქცია იდო სუფარზე. რუსეთში არაყი კარგად ისმება, მე იგორ პავლოვიჩს თვალი ჩავუკარი და როდესაც რაისა პავლოვნა სამზარეულოში გავიდა, ცარიელი არყის ბოთლები ჩემს „დიპლომატში" ჩავდე და იქიდან სავსე ბოთლებით შევცვალე, რაისა პავლოვნა გაკვირვებულია, ამდენი დავლიეთ და ბოთლში მაინც არაყი გვაქვს. მერე ეტყობა მიხვდა, „დიპლომატი" გამიხსნა და იქ რომ ცარიელი არყის ბოთლები დაინახა, ხელად მიხვდა, ჩემს ეშმაკობას: „მე ხომ ჩემი ნორმა ვიცი, გეორგი ვალერიანოვიჩის ეშმაკობას ხომ საშველი არ ადგებაო".

89. სკოლის დამამთავრებელი ბანკეტი უნდა გადავიხადოთ. ბიჭებს დაგვავალეს ცოცხალი გოჭების ყიდვა, ვიყიდეთ, ჩავსვით ტრამვაიში, მოვდივართ, გაჩერეაბზე ჩამოვედით. ამ დროს ზურაბ არაქელოვს გოჭი გაექცა. მთელი ნახევარი საათი ვსდიეთ და ძლივს დავიჭირეთ. ამის მერე ცოცხალი გოჭი აღარ მიყიდია.

90. ჩემი თანაკურსელი და თანაგუნდელი თენგიზ კვიტაიშვილი და მე, სისხამ დილით, გოგონებთან ერთად, მოვსეირნობდით რიგის რომელიღაც ცენტრალურ ქუჩაზე. თენგიზი და მისი გოგო ჩვენს წინ მიდიან, რაღაცას თენგიზი ელაზღანდარება, მე 15-20 მეტრის დაშორებით უკან მივყვები ჩემს გოგონასთან ერთად. თენგიზის „ნაშას" მართლა ძალზე მოკლე კაბა ეცვა და ეს იმ დროისათვის მიუღებელი იყო. ვიღაცა სანადირო ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა, რომელსაც მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული თენგიზს შეუღრინა და რუსულად უთხრა „შენი ქალბატონი რა ღამის პერანგით დაეთრევაო". თენგიზმა არც აცია და არც აცხელა და ეს კაცი რუსულად ფალოსზე გაგზავნა. მე თქვენ გაჩვენებთ თქვა ამ კაცმა, გადმოიღო სანადირო თოფიანი ბუდე, ამოიღო თოფი ბუდედან და აწყობას შეუდგა თენგიზმა ეს რომ დაინახა, თავის „ნაშასთან" ერთად სასწრაფოდ გავარდა წინ, მე კი იქვე სადარბაზოს შევაფარე თავი ჩემს რჩეულთან ერთად. საბედნიეროდ, ყველაფერმა „მშვიდობიანად ჩაიარა." მაშინ 19-20 წლის ბიჭები ვიყავით.

91. ერთ დღესაც მე და თენგიზ კვიტაიშვილი ტყის კულტურების ლექციას ვესწრებით, რომელსაც კათედრის გამგე გერმოგენ ბრეგვაძე კითხულობს. თენგიზმა რაღაც წამოიძახა, ლექტორმა შენიშვნა მისცა, თენგიზმა შენიშვნა გააპროტესტა „მე თქვენ უპატრონო ხომ არ გგონივართ, ბებიაჩემი ნოე ჟორდანიას (საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წწ.) საყვარელი იყო, როგორ მიბედავთ შენიშვნის მოცემასო“. აბა, მეტი რა გვინდოდა სახალისოდ.

92. როდესაც სტუდენტმა გოგონებმა დაინახეს, რომ რამდენჯერმე სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლა გამივიდა, თავადაც მოინდომეს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა გოგომ, ვგონებ „ნიადაგმცოდნეობაში“, ოთხიანი მიიღო და მას ჩემმა მეორე ნაცნობმა სტუდენტმა სთხოვა მის მაგივრად გასულიყო გამოცდაზე. ჩათვლის წიგნაკის საჭირო გადაადგილებაში მივეხმარე და ეს გოგონაც შევიდა გამოცდაზე, მაგრამ ორიანი მიიღო, მეორედ გავიდა, ისევ ჩაიჭრა, ეხლა უკვე ვისთვისაც ეს გოგონა აბარებს, მას უფლება არ აქვს თავის მაგივრად გავიდეს, რადგან ყოველივე გამჟღავნდება. ლექტორი ახალგაზრდა, პლეხანოველი ბიჭი იყო, მოვუნახე ნაცნობი, რომელმაც დახმარება სთხოვა, თან სხვის მაგივრად ჩამბარებელ ამ გოგოს, კათედრაზე მე მივყევი და ვისთვისაც საგანს აბარებს, ის გოგო და მე ვქომაგობთ. ბოლოს ამ გოგომ მიიღო, როგორც იქნა, დამაკმაყოფილებელი ნიშანი. ლექტორი გამოჰყვა და მითხრა: გოგი შენი თხოვნა შევასრულეო! მე ზრდილობის გულისათვის ვკითხე, თუ იცოდა რამე-თქო. მან იატაკზე ფეხი ორჯერ დაარტყა და ამით მაგრძნობინა ამ ფიცარივით არაფერიო. ამ შემთხვევის მერე, განსაკუთრებით გოგონებში, სხვის მაგივრად ჩაბარების მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

93. ერთხელ კიევში, ჩემი მეგობრის ოჯახში, ძღვენით ჩავფრინდი. ჩავიტანე შემწვარი გოჭი, ხაჭაპურები, დედაჩემის მიერ გაკეთებული კუპატები და მწვანილი სხვადასხვა ასორტიმენტით. გავიდა ცოტა ხანი და მასპინძელი გავაფრთხილე ზეგ თბილისში მივფრინავ-მეთქი, მათ აეროპორტში გამომაცილეს

და დედაჩემს ძღვენი გამოუგზავნეს: უკრაინული ლორი და ძეხვი, გაფორმებული მინდვრის ბალახებით. როდესაც სახლში ეს ნობათი გავხსენით და კარგად გარეცხილი ბალახები ვნახე, სიცილი ამიტყდა ეს მოხდა 1962 წელს, მაშინ რუსეთში მწვანილს არ ჭამდნენ, დღეს კი რუსები და უკრაინელები სადილს ისე არ აკეთებენ, თუ მწვანილი არ ჩაატანეს.

94. მოსკოვში ერთმა ჩვენმა ასპირანტმა, ლომოვმა, ქორწილი და დისერტაციის შემდგომი პურმარილის გადახდა ერთად მოინდომა. ამისათვის ფულია საჭირო, რადგან ამ საქმეს ასპირანტის ხელფასი 100 მანეთი არ ყოფნის. ერთმა „გამოცდილმა“ ასპირანტმა შემოგვთავაზა, რკინიგზის სადგურში ვაგონები დაგვეცალა მოკლედ ორი დღე დილიდან საღამომდე, შაბათ-კვირას, ვიმუშავეთ ტვირთის დაცლაზე და მივიღეთ 800 მანეთი, ეს მაშინ კარგი ფული იყო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 22 ლიტრი „კონიაკის კონცენტრატიდან“ მიღებული ალკოჰოლური სასმელი მე დავახმარე.

95. ერთი თავქარიანი ამხანაგი მყავდა, რომელიც შემდგომ მღვდლად ეკურთხა, ციხეში თავის სისულელის გამო მოხვდა. როდესაც კოლონიაში მის სანახავად შევედი, წელზე შემორტყმულ ქამარში ორი თითოლიტრიანი ვისკი ჩავიდე და ჩუმად შევუტანე. შეხვედრის ოთახში ეს ორი ბოთლი საჭმელებთან ერთად გადავეცი, მან კი ზედამხედველს დაუძახა, ამ ჩემმა მეგობარმა ორი ბოთლი ვისკი მომიტანა და გთხოვ, არ დააპატიმროთო. ვისკი მაშინ ახალი შემოსული იყო ქალაქში, ზედამხედველს დაუსხა და გაასინჯა. ერთ დღესაც ეკლესიაში მივაკითხე, ცალკე კელიაში გამიყვანა და კონიაკით გამიმასპინძლდა, ანაფორიდან იარაღი ამოიღო და მაგიდაზე დადო. „მარიაჟობას“ აქაც თავი ვერ დაანება. ბიჭო, რად გინდა ეს იარაღი, ღვთის სახლში, უფალი თავზე გადგას, ვინ გაგიბედავს რამეს-თქო. „გოგი, მე ისეთი წარსული მაქვს, ამის იმედი უფრო მაქვს, ვიდრე განგებისო“. ესეც, რა თქმა უნდა, ტრაბახი იყო, რაც სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოიშალა.

96. ტიუმენში ჩვენმა პარტნიორმა ბიჭებმა მე და ჩემი ბიძაშვილი, დემურ ბახტაძე, ახლადგახსნილ რესტორანში მიგვიწვიეს, კარგად გაგვიმასპინძლდნენ, ოღონდ თავად არყის ნაცვლად მინერალურ წყალს სვამდნენ. მანამდე მე შემთხვევა არ მქონია, რომ რუსს თავი შეეკავებინოს სასმელისაგან. მიზეზი ვკითხე „გიორგი ვალერიანოვიჩ, არაყს რომ ვსვამთ, ვსულელდებით, მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ მილიონერები გავხდეთო", მართლაც 6-7 წლის მერე ორთავემ ცალ-ცალკე სერიოზული ფირმები გახსნეს და საკმაო წარმატებაც ჰქონდათ ბიზნესში.

97. „ამიერკავკასიის" ტყეპროექტში მუშაობის დროს, ერთი სეზონი პერმის ოლქში გავატარე, სადაც ერთ-ერთი სატყეომეურნეობა უნდა მომეწყო-დამეგეგმა. ამისათვის კი საჭირო იყო მუშა-ხელი ტყეში სამუშაოდ, სადაც არავინ მოდიოდა. მხოლოდ „ბიჩები" (ჩვენებურად „ყია") გვთანხმდებოდნენ (ყოფილი ინტელიგენტი ადამიანი ანუ ლოთები). გამოცდილი კოლეგების დახმარებით მოვაგროვეთ ეს ხალხი, ჩავსვით საბარგო მანქანაში, არყით გავუმასპინძლდით, ხელშეკრულებაზე ხელი მოვაწერინეთ, მივიყვანეთ ნასვამ მდგომარეობაში აეროპორტში, შვეულმფრენში ჩავსვით და უღრან ტყეში საჭირო მდელოზე დავფრინდით. შვეულმფრენიდან გადმოვტვირთეთ კარვები, საძილე ტომრები, სატყეოსაპროექტო მოწყობილობები, ერთი თვის საკვები და შვეულმფრენიც გაფრინდა. ორი დღე დასჭირდათ „შოკიდან" გამოსასვლელად, მაგრამ სამაგიეროდ ჩაის „ჩიფირს" სვამდნენ და დღეში 12-14 საათს მუშაობდნენ. ასე აღწევდნენ თავს ალკოჰოლზე დამოკიდებულებას, ერთად ექვსი თვე ვიმუშავეთ და ეს წყალწაღებული ლოთები ადამიანებს დაემსგავსნენ.

ამ „ლუმპენ პროლეტარიატში" ზოგი საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო. მე დავუამხანაგდი ერთ ყოფილ გაერთიანების უფროსს ლენინგრადში, რომელიც იმიტომ გალოთდა, რომ ცოლმა უღალატა. მისი ქალიშვილი ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვავდა. კარავშიც ერთად გვეძინა და საერთო ენაც გამოვნახეთ. სამუშაოს, რომ მოვრჩით, ჩავედით პერმში, სასტუმროშიც ერთ

ოთახში ვცხოვრობდით დაურეკა ქალიშვილს, რამდენჯერმე ესაუბრა, მეც გავიცანი ტელეფონით და ვუთხარი, აი, მამაშენს პირდაპირ რეისით ვუშვებ ლენინგრადში, ფული ჩაკერებული ექნება შარვლის ჯიბეში, დახვდი, ფული არ დაუტოვო და ყურადღება მიაქციე, აღარ სვამს-მეთქი. თვითმფრინავის ტრაპამდე მივაცილე და თან ერთ მანდილოსანს ჩავაბარე, რომ თვითმფრინავში არ დაელია. გავცვალეთ სახლის ტელეფონები და შევპირდით ერთმანეთისათვის დაგვერეკა და ამბავი შეგვეტყობინებინა. ეტყობა, ისევ ცხოვრება არ აეწყო, რადგან არ გამომხმაურებია. სამწუხაროდ, სხვა გამოსწორებული ხუთი მუშაც ორ კვირაში ისევ გალოთდა, ეტყობა, არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც თავისუფლებას ვერ იშნოებს.

98. ასტრახანში, როდესაც საპატივცემულო სტუმარი ჩამოგვივიდოდა, მიგვყავდა უდაბნოში, სამხედრო პოლიგონზე, ასტრახანიდან 80 კმ-ით დაშორებით, სადაც სატყეო სამმართველოს მოზრდილი ორსართულიანი სახლი ჰქონდა მეტყევეებისათვის. შესამოწმებლად, უფრო კი ჩემი ხათრით, ჩამოვიდა რუსეთის ნიადაგის, ქიმიის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბორის ჭიპაშვილი, რომელიც ადრე აკადემიკოს ი. მელეხოვის კათედრაზე მუშაობდა. დავათვალიერებინეთ უდაბნოში გაშენებული ჯუზგუნის და საქსაულის ხეები, რომლის ყლორტებსაც ზამთარში ცხვრები მიირთმევდნენ და ეს ნარგაობა სწორედ ამისათვის იყო განკუთვნილი. ჩვენმა მწყემსებმა მოგვიმზადეს „ბეშბარმახი", მთლიანად მოხარშული ცხვარი, რომლის წვენში იყრება პატარა ზომის ცომები, ხოლო ჩვენ მივიტანეთ ერთი ყუთი არაყი და ლუდი. კარგად მოვულხინეთ, დილით გარეთ გამოვედით და აქ გადამეშალა პირველად უდაბნოს სილამაზე და აღფრთოვანებისაგან სუნთქვა შემეკრა. მერე სასამსახურო ფრთიანი კატარღით ჩვენი „რევიზორი" წავიყვანეთ ვოლგის შესართავთან, კასპიის ზღვაზე, სადაც მებადურებმა ერთ ბოთლ არაყზე 25 კგ ხიზილალიანი ცოცხალი ორაგული მოგვცეს. პატარა კუნძულზე მოვხარშე „მეფური უხა" ე.ი. ვედროში იხარშება წვრილმანი ახალი თევზი,

შემდეგ ვწურავთ, ვყრით მასში ხახვს, სტაფილოს, კარტოფილს და როდესაც ეს უხა მოიხარშება, შიგ იყრება ზურგიელის ნაჭრები, ეყრება მარილი, პილპილი და ვასხამთ ნახევარ ლიტრ არაყს. ჭიპაშვილი მეფურად მივიღეთ და ნასიამოვნები გავისტუმრეთ.

99. მოსკოვის მივლინებიდან პირდაპირ ბიჭვინთაში ჩამოვედი დასასვენებლად. საგზური წინასწარ მქონდა შეძენილი. ოთახში ერთი სანდომიანი ოდესელი მამაკაცი შემომისახლეს. რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ძალიან გაუხარდა, დროს კარგად გავატარებთო. გავიდა სამი დღე და ქალებისკენ არ ვიყურები, ჭადრაკის თამაში შემომთავაზა, პურღვინოზე – მოვუგე, იკისრა. შემდეგ ქალების მოყვანაზე ვითამაშეთ. მოვუგე, ორი ქალი ნომერში ამოიყვანა. ბოლოს შემრცხვა, გავინძერი და საკმაოდ მომხიბვლელი რუსი ქალბატონი გავაცანი. გავიდა ათი დღე ამ ნაცნობობიდან და ეს ოდესელი მეუბნება, შენი გაცნობილი ქალბატონი ისე მომეწონა, ცოლად უნდა შევირთოო, სახლში კი ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი მელოდებაო. ცოლის მიტოვების სიმღერა მეორე დღესაც გაიმეორა, მივხვდი, აღარ ხუმრობდა. ერთი ჩემი ძველ ნაცნობი მოსკოველი მამაკაციც ისვენებდა ჩვენთან, ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე ამ ოდესელ ქალს გაარშიყებოდა. მოსკოველი იმდენად სიმპათიური მამაკაცი იყო, რომ ქალები მას უარს ვერ ეუბნებოდნენ და ოდესელის ქალიც ამ ანკესზე წამოეგო. ოდესელმა ეს ღალატი ძალიან განიცადა და კაცი, რომელიც ორივესთვის საგზურის გაგრძელებას აპირებდა, ადრე გაემგზავრა თავის ცოლ-შვილთან ოდესაში.

100. თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობაში ზოლისებურ საცდელ მოვლით ჭრებს ვატარებთ ერთ-ერთ სატყეოში. ამ სატყეოს უფროსმა, ეროვნებით სომეხმა, სახლში დაგვპატიჟა, სუფრა გაწყობილია. ამ დღეს ერთმანეთს ხვდება ორი მოქიშპე გუნდი ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“. ძალზე პრინციპული თამაშია, მით უმეტეს, თბილისის „დინამომ“ წინა წელს შეხვედრა წააგო თბილისში. დავიწყეთ პურისჭამა, მასპინ-

ძელმა ჩართო რადიო, სტუმრები ვქომაგობთ თბილისის „დინამოს“, რომელმაც ეს მატჩი კვლავ შარშანდელი ანგარიშით წააგო. გულდაწყვეტილებმა მასპინძელს მოულოცეთ ერევნის „არარატის“ გამარჯვება. იმ დღეს კარგად „შევუბერეთ“ და ამ მეტყევის ოჯახში გამოვიძინეთ. დილით, როდესაც ნათრობზე გამოვდივართ, მასპინძელმა კვლავ ჩართო რადიო. დოქტორი იტყობინება, რომ გუშინ თბილისი „დინამომ“ რევანში აიღო და ერევანში „არარატი“ დაამარცხა. გამოირკვა, რომ ჩვენს მასპინძელს, წინა წლის თამაში მაგნიტოფონზე ჩაუწერია და ამ მატჩის ტრანსლაცია მოგვასმენინა.

# 100 პერსპექტიული წინადადება, რომელთა მათანალიზით დეკლარირება ფული ღირს

1. პატრული, ავტოინსპექცია, მთლიანად გადადის თვითდაფინანსებაზე, იღებს თავის თავზე პოლიციის ზოგიერთ ფუნქციას, წელიწადნახევარში ხდება კრისტალურად პატიოსანი, ყოველწლიურად თვიური ხელფასი ეზრდებათ მინიმუმ 100 დოლარით.

2. შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო სოფლების აღორძინება, მათი დასაქმება, ხოლო რამდენიმე კაცი ხდება მილიონერი სოფელში მცხოვრებთ ესახებათ მიზანი, მცირდება ლოთობა და მკვეთრად უმჯობესდება სოფლის კეთილდღეობა და მოზრდილი თანხები შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. იქმნება სადაზღვევო კომპანია, რომელიც თავზე იღებს ეკლესიასთან ერთად რიტუალურ მომსახურებას, უფასოდ საფლავების მოვლა-პატრონობას და რაც მთავარია, მიცვალებულები სახელმწიფოს გადასახადს უხდიან ყოველწლიური მატებით.

4. იქმნება ახალი ტიპის სალომბარდე ბანკი, რომელიც მოსახლეობას ხელს უწყობს ექსკლუზიური და მდიდრული ნივთების შეძენაში, სიმდიდრის დაგროვებაში. ამასთან ეს ნივთები დანომრილია და ყოველწლიურად ხდება მათი გათამაშება.

5. იქმნება უნივერსალური საგადასახადო სისტემა, როცა სახელმწიფოს გადასახადს უხდის ყველა მათ შორის მექრთამეც, ქურდიც და ზოგიერთ შემთხვევაში გარდაცვლილიც.

6. სახელმწიფო აწესებს სამი სახის გადასახადს: არა იურიდიული პირისათვის 10%, საერთო შემოსავლის 10% მშობლის გადასახადი და 1% უძრავი ქონების გადასახადი, იურიდიული პირისთვის 10% საქონელბრუნვიდან, 10% ხელფასის ფონდიდან და 1% უძრავი ქონების გადასახადი.

7. უძრავი ქონება, რომელიც არ მუშაობს (მიწა, საწარმო, მაღაზია, არასაცხოვრებელი ფართი და სხვ) იხდის უძრავი ქონების ღირებულების 10%, ხოლო რომელიც მუშაობს – 1%, რადგან მოწესრიგებულ ქვეყანაში ყველა დაუსაქმებელი უნდა იღებდეს სახელმწიფო დახმარებას.

8. მომზადებულ სამხედრო ვალდებულთა რაოდენობა ქვეყანაში იზრდება 3-4-ჯერ, სამხედრო ბიუჯეტის გაუზრდელად და ამასთან სამხედრო ვალდებულებას, ვალს ქვეყნის და ხალხის წინაშე, ყველა იხდის დაუზარებლად.

9. 14 წლის ასაკიდან ყველას მიენიჭება პირადი ანგარიშის ნომერი და ერთი მუდმივი მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც უნდა შეინარჩუნოს სიცოცხლის ბოლომდე.

10. 14 წლის ასაკიდან ყველა იხდის გადასახადს ბიუჯეტში.

11. 25 წლის ასაკიდან ყველა შვილს მათზე დაუკითხავად მშობლების სასარგებლოდ გადახდებათ აღზრდის გადასახადი ვაჟებს შემოსავლის 10%, ქალებს შემოსავლის 5%.

12. 25 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქე ვალდებულია სახელმწიფოს დაუბრუნოს სწავლის ფული.

13. 25 წლის ასაკამდე სამედიცინო მომსახურება უფასოა, შემდგომ ყველა მოქალაქემ სამედიცინო დაზღვევისთვის უნდა გადაიხადოს შემოსავლის 5%, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მკურნალობა ფასიანი იქნება.

14. უპატრონოთა სახლში აღზრდილ ბავშვებს 18 წლის ასაკში ეძლევათ ერთოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა უვადოდ, გაყიდვა-გასხვისების უფლების გარეშე. თუ ის სხვა ბინას შეიძენს, ვალდებულია ეს ფართი დაუბრუნოს განათლების სამინისტროს.

15. ყველა შეძლებულ მოქალაქეს აქვს უფლება დანიშნოს თავისი სახელობის სტიპენდია, თუ დეპოზიტზე დადებს, სულ მცირე, 100000 ამერიკულ დოლარს ან 5 კგ ბაჯაღლო ოქროს.

16. იქმნება ჭაბუკების დასავაჟკაცებელი სექსუალური საგანმანათლებლო უნივერსიტეტი, სადაც 15-16 წლამდე ბიჭები 15 დღის განმავლობაში გადიან როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ განათლებას სახელმწიფო კრედიტით. ამ განათლების თანხასაც ისინი იხდიან, როდესაც შეუსრულდებათ 25 წელი. განქორწინების უმთავრესი მიზეზი სექსის არცოდნა და შეუთავსებლობაა.

17. სკოლებში, კოლეჯებში, ტარდება კვების შემსწავლელი გაკვეთილები, რაც საშუალებას მოგვცემს საკვები პროდუქტების

ეკონომიისას. მაგ.: ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი 6 ტონა ხორცის ნაცვლად ამ განათლების შემდგომ ადამიანი სიცოცხლეში მოიხმარს ერთი ტონა ხორცით ნაკლებს.

18. ასევე: სკოლაში უნდა ისწავლებოდეს მეტყველების ხელოვნება, ჯდომა, სიარული, ღიმილის ხელოვნება, სხვადასხვა ქვეყნის ცეკვები, ქვეყნის კონსტიტუცია, კანონმდებლობა, უფლება-მოვალეობების ცოდნით.

19. ყველა დიდი ქალაქის მახლობლად უნდა აშენდეს ნაგვის გადასამუშავებელი ქარხნები, ხოლო მოსახლეობას ვასწავლოთ ოჯახში ნაგვის დახარისხება.

20. არყის ხარისხის მკვეთრ გაუარესებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვალდებულია არყის გამოშვება თავის თავზე აიღოს, რაც ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრ გაზრდას გამოიწვევს.

21. ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში სწავლების პერიოდში უნდა ხდებოდეს კორპორაციული საღამოების მოწყობა, სადაც სტუდენტები უნდა სწავლობდნენ სმის კულტურას, თამადობას, ქცევის წესებს, რაც მკვეთრად შეამცირებს ლოთობას.

22. შესაძლებელია „მაკდონალდსის" მაგვარი კვების ახალი ბლოკის გახსნა, რომელსაც ანალოგი არ აქვს და ამასთან საკვებიც უფრო მრავალფეროვანი, ხარისხიანია და უვნებელი.

23. უნდა შეიქმნას ახლი ქალაქები, დასახლებები, თავისი ინფრასტრუქტურით და დასაქმებით ინვალიდებისთვის.

24. უნდა აღდგეს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, რათა მოხდეს მათი დასაქმება.

25. შესაძლებელია ნარკომანიის მთლიანად აღმოფხვრა, თუ ამის სერიოზული სურვილი ექნება ქვეყნის ხელისუფლებას.

26. გამოუსწორებელ დამნაშავეთათვის, ლოთებისთვის, რეციდივისტებისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური დასახლება-კოლონიები, სადაც ისინი საკუთარ თავს თავად ირჩენენ და მათზე ზედამხედველობა თითქმის არ ხორციელდება.

27. მექრთამეობის, სხვა ნეგატიური მოვლენების, აღმოსაფხვრელად უნდა შეიქმნას პროვაცირების სამსახური, რომელიც გამომუშავებაზე იქნებიან გადაყვანილი ხელფასთან ერთად.

28. ციხეებში, კოლონიებში, უნდა აიკრძალოს თამბაქოს მოწევა და ამანათების შეგზავნა, რადგან სასჯელმისჯილმა თავისი შრომით ფულიც უნდა გამოიმუშაოს, ბიუჯეტში ფულიც უნდა შეიტანოს და კოლონიის მაღაზიიდანაც ისარგებლოს.

29. დასახლებას, სადარბაზოს, უფლება უნდა მივცეთ ამა თუ იმ მოქალაქის გასახლება მოითხოვონ საცხოვრებელი ფართიდან თუ ის არაადეკვატურად იქცევა და გადასცენ სასამართლოს განსახილველად.

30. სასამართლო პროცესი არ უნდა გაგრძელდეს ერთ თვეზე მეტს. თუ დანაშაული მძიმეა, მოსამართლე უსჯის სასჯელს შესატყვისად.

31. თუ გამოძიება ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და სათანადო მტკიცებულება არ იქნა მოპოვებული, ეჭვმიტანილი თავისუფლდება.

32. ქვეყნის კონსულტაციაში წინასწარ უნდა ჩაიწეროს ის თანამდებობები, რომლებიც ერთიდაიგივე დანაშაულზე, ჩვეულებრივ მოკვდავისაგან განსხვავებით, ორმაგად ისჯებიან.

33. მოქალაქემ, რომელსაც მინისტრის პოსტის დაკავება სურს, გამოცდა უნდა გაიაროს ქვეყნის უხუცესთა საბჭოზე.

34. აბორტი უნდა აიკრძალოს, გამონაკლისი აუცილებლობის გარდა, რადგან უსაფრთხო სექსი დღეს სკოლებში ისწავლება.

35. უხუცესთა საბჭო თუ ჩათვლის, რომ ქვეყნის პირველი პირი, ან რომელიმე მინისტრი, არ ასრულებს სერთიფიცირებულ დანაპირებს ერთი წლის დანიშვნა-არჩევიდან, უფლება აქვს მისი გათავისუფლების საკითხი დააყენოს ან ქვეყნის პარლამენტში ან კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე და ერთ-ერთის თანხმობის შემთხვევაში თანამდებობის პირი იმ დღესვე ტოვებს პოსტს.

36. დეპუტატობის, პრეზიდენტობის, მინისტრობის, ყველა კანდიდატი ვალდებულია წინასწარ წარმოადგინოს საარჩევნო დაპირება, სერთიფიკატი, მათემატიკური გათვლებით და ხელის მოწერით.

37. ქვეყნის პირველ პირს უნდა ჰქონდეს **ფასიანი ურიგო** მიღება იმ პირების, რომლებიც სიახლეს და საქმიან წინადადებას სთავაზობენ მთავრობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

38. ინტელექტუალური საკუთრება ყველა დარგში მატერიალურად უნდა წახალისდეს, მოგებიდან გარკვეული პროცენტის მიღებით, მათ შორის, პოლიტიკაში, ეკონომიკაში.

39. თითქმის ყველა სამინისტრო თანდათან უნდა გადავიდეს თვითდაფინანსებაზე, ამასთან ქვეყნის ბიუჯეტიდან მათ უნდა გამოეყოთ მუდმივი პროცენტი სამინისტროს საქმაინობისთვის.

40. ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლის ნაშიერთ საცხოვრებელ მინიმუმს სახელმწიფო აძლევს, ხოლო ურჩისგან თავად იღებს ფულს.

41. კერძო ბინათმშენებლობაში ჩადებულ ფულს სახელმწიფო აკონტროლებს ბანკების მეშვეობით და გასცემს ტრანშების სახით, ხოლო ბინათმშენებელი თუ გაკოტრდება, დაუმთავრებელი შენობა ეძლევა სახელმწიფოს და ამთავრებს მშენებლობას.

42. ზედმეტი წონის გადასახადი უნდა დაწესდეს თვითმფრინავით მგზავრობისას და იმ მგზავრებისათვის, რომლებიც ოპტიმალურ წონაზე 50% მეტს იწონიან. ეს თანხა შეესაბამება ზედმეტი ბარგის გადატანის თანხას.

43. დეპუტატს, რომელიც განკუთვნილი სამუშაო დღეების ერთ მესამედ საჯარიმო ქულებს მოაგროვებს, მექანიკურად ჩამოერთმევა დეპუტატის მანდატი, ხოლო ის რეგიონი, რომელმაც ის აირჩია დეპუტატად, დაჯარიმდება მოზრდილი თანხით რეგიონის ბიუჯეტიდან.

44. მონოპოლიზაცია: სახელმწიფო უნდა აწარმოებდეს რამდენიმე სახის იაფ პროდუქტს: მაგ. პური, ძეხვისმაგვარი, არაყი, თამბაქო, მედიკამენტი.

45. ნაციონალური უსაფრთხოების მიზნით, ქვეყნის განაპირა რაიონებში, თუ ის ნაციონალურ ავტონომიად არ არის გამოყოფილი, 30 კილომეტრის ფარგლებში დასახლებული უნდა იქნეს აბორიგენი მოსახლეობით, ხოლო იქ მცხოვრებ სხვა ეროვნების

მოსახლეობას უნდა შესთავაზონ ქვეყნის შიდა რაიონებში უკეთესი საცხოვრებელი პირობები.

46. სასურველი დეპუტატების, ქვეყნის პირველი პირის არჩევა მოხდეს საოჯახო პირველადი არჩევნებით, სადაც გაერთიანებული იქნება მეზობლები ხუთი სრულწლოვანი ამომრჩევლით. ისინი ოჯახურ პირობებში განსჯიან კანდიდატის ავ-კარგიანობას, შემდგომ მათთვის განკუთვნილ დანომრილ ბლანკზე, ყველა თავის არჩეული კანდიდატის გვერდით მოაწერს ხელს, რომელიც ციფრებით გამოტანილი იქნება საარჩევნო ბლანკის პირველ გვერდზე, კვლავ ხელის მოწერით. ამ ბლანკს წინასწარ არჩეული წარმომადგენელი, მიიტანს საარჩევნო კომისიაში და ელექტრონული მოწყობილობა მის თვალწინ დააფიქსირებს.

47. რისკის გადასახადი. გარკვეული არაორდინალური ნაწარმი, რაც მოსახლეობის შეჩვევას მოითხოვს, ორი წლით თავისუფლდება გადასახადისაგან.

48. ალტერნატიული სასჯელი: თუ მოპასუხე და მოსარჩელე შეთანხმდებიან, მაშინ მოპასუხისთვის განკუთვნილი სასჯელი შეიძლება შეიცვალოს გაჯოხვით, ფულადი ჯარიმით და ყველა ეს სასჯელი ითვლება პირობით მსჯავრად.

49. სასამართლოები მუშაობენ დღე-ღამური მორიგეობით 24 საათს. ყველა სადაო, უმნიშვნელო, საკითხიც კი მათ უნდა განსაჯონ და გადაწყვიტონ.

50. საყოველთაო სამართლიანობაა, სადაც მოსარჩელე და მოპასუხე ერთდროულად ისჯება. მაგ. ერთმა თავშეყრის ადგილას მომავალ მოპასუხეს შეაგინა, ამ უკანასკნელმა კი თავშეყრის ადგილას ხელი გაარტყა. ამ შემთხვევაში ორთავე თავის კუთვნილ სასჯელს იღებს.

51. სახალხო „ბრენდის" გამოშვების საქმეს უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო, მინერალური წყალი იქნება თუ უნიკალური ღვინის ჯიშები.

52. იმის გამო, რომ მამაკაცთა გარკვეული ნაწილი ჩიავდება, ხოლო ქალების არააქტიური ნაწილი გაუთხოვარი რჩება, ქვეყა-

ნაში უნდა შემოვიღოთ საჯიშე მამაკაცთა ინსტიტუტი და ეს „წოდება“ მათ პირადობის ბარათში აღენიშნებათ. გარდა უნიკალური ჯამრთელობისა, საჯიშე მამაკაცი სიგარეტს არ უნდა ეწეოდეს, არ უნდა სვამდეს, მას მრავალცოლიანობის უფლება აქვს, თავის სპერმის გაყიდვა-გასხვისებას შეუძლია, სარგებლობს გარკვეული უპირატესობით სამსახურში მოწყობისას და სხვა...

53. ქვეყანაში ყოველწლიურად უნდა გათამაშდეს შეწყალების ლატარეა სასჯელმისჯილთათვის, რომელსაც პატიმრებს მთელი წლის განმავლობაში იძენენ. შეწყნარების პროცენტებია 25-50-75-100 მოხდილი სასჯელიდან. შეწყალების ლატარიით დროზე ადრე თავისუფლდებიან ან ეცვლებათ პირობითი სასჯელით.

54. მცირედი დანაშაულისათვის, ხულიგნობისთვის, არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან მიესჯება სრულწლოვნის სასჯელი და მოიხდის, როდესაც შეუსრულდება 18 წელი.

55. ქალს, რომელიც 35 წელს გადაშორდება, მასთანვე შეთანხმებით, ან საჯიშე მამაკაცს ურჩევენ ან ანაყოფიერებენ ხელოვნურად.

56. წყვილს, რომელიც ხელშეკრულებას დაუდებს სახელმწიფოს, რომ მათ ეყოლებათ და აღზრდიან ათ ბავშვს, სახელმწიფო უშენებს სამსართულიან სახლს არა ნაკლებ 300მ$^2$ და აძლევს სოფლის პირობებში 5 ჰა მიწას და ერთ მეწველ ძროხას.

57. პენსიონერს, რომელსაც შვილი არასოდეს ჰყოლია, ეძლევა სავალდებულო პენსიის 50%, ხოლო ერთ შვილზე – პენსიის 75%, რადგან მათ სახელმწიფოს არ დაუტოვეს ქვეყნის ბიუჯეტის შემავსებლები.

58. ვალდებულება სახელმწიფოს და მოქალაქეს შორის გადანაწილდება შემდეგნაირად: სახელმწიფო მოქალაქეს უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართით, განათლებით, სამედიცინო მომსახურებით, დასაქმებით, ხოლო მოქალაქე ვალდებულია გადაიხადოს ბინის ქირა, შეიტანოს ქვეყნის ბიუჯეტში ყველა სახის გადასახადი და იმუშაოს ერთგულად.

59. საზოგადოების მართვას მეტი კანონიერი მათრახი სჭირდება, ვიდრე დაუფასებლად მიღებული სასუსნავი და გაუმართლებელი ლმობიერება.

60. საერთო ქონება იყოფა ოჯახის ყოველ წევრზე თანაბრად და ყველა მათგანი 14 წლის ასაკიდან იხდის უძრავი ქონების გადასახადს დამოუკიდებლად.

61. ქონების წილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ბინათმშენებლობაში პირველ შესატანად სანამ ამ თანხას დაფარავენ სხვა ოჯახის წევრები.

62. „პერსინგით" სხეულის „მოხატვა" განზრახ დაზიანებად უნდა ჩავთვალოთ და კანონის შესატყვისად უნდა დაისაჯოს, რადგან მოდა მოდის და მიდის, უგნურების კვალი კი სხეულზე რჩება.

63. მოხერხებული ქურდის, თაღლითის, ხაკერის, მკვლელის საქმიანობის გაფეტიშება „მასმედიას" და კინემატოგრაფს უნდა აეკრძალოს.

64. ფულის სესხება ახლობლებს შორის უნდა მოხდეს ბანკის დახმარებით და ამ საქმიანობისთვის ბანკმა მიიღოს გასესხებული თანხის 1%.

65. სახელმწიფო აპარატში მომუშავე ადამიანი თუ სიახლეს ნერგავს და ბიუჯეტში შესატანი თანხები ამ ქმედებით იზრდება, ამ ინოვაციისთვის სახელმწიფო მოხელეს, დამატებით, მოზიდული თანხის 5% უნდა მიეცეს.

66. თანამედროვე ინტერნეტი საშუალებას იძლევა მოქალაქეთა მომსახურება მოხდეს ერთ „ფანჯარაში" ბიუროკრატიის გარეშე.

67. საზოგადოებრივი ტრანსპორტი რომ შეუფერხებლად მოძრაობდეს, მათთვის უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილი ქუჩაში ტრანსპორტის გასაჩერებელი „ჯიბეებით".

68. ნასვამ მძღოლს გაუყიდიან კუთვნილ მანქანას აუქციონზე, სადაც შემოსული თანხის ნახევარი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება თავის დანარიცხებით, ხოლო რეციდივის შემთხვევაში,

გაყიდული ტრანსპორტის თანხა მთლიანად გადაირიცხება ქვეყნის ბიუჯეტში და მძღოლს სამუდამოდ აეკრძალება მანქანის ტარება.

69. უნდა დაინერგოს მრავალცოლიანობის ონსტიტუტი, რათა საქმიან ქალებს საშუალება მიეცეთ მეტი ინიციატივა და ნიჭი გამოავლინონ.

70. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველასათვის უფასო უნდა გახდეს და ტრანსპორტის შესანახი ხარჯები უნდა გადაიხადოს სამსახურით დაკავებულმა ყველა მოქალაქემ, რაც გარკვეულწილად შეამცირებს კერძო ავტომანქანებით გადაადგილებას.

71. უნდა აღდგეს სკოლებში, კოლეჯებში, „პიონერული ორგანიზაცია“ და „ახალგაზრდათა კავშირი“.

72. აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა ეკრძალება ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც ხუთი შვილი არ ჰყავს, მათ შორის, შესაძლებელია იყოს ნაშვილებიც.

73. „ევთანაზიის“ სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულების ნება უნდა დავრთოთ უიმედოდ დაავადებულ ადამიანებს.

74. ფსიქიურად დაავადებული და სულით ავადმყოფები არ თავისუფლდებიან ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელისაგან. მათ მიესჯება დანაშაულის შესატყვისი სასჯელი და ამ ხნის განმავლობაში იმყოფებიან ფსიქიურ დაავადებათა საავადმყოფო-ციხეში.

75. სიკვდილმისჯილთ ან სამუდამო პატიმრობაში მყოფთ, თუ სურვილს გამოთქვამენ, გარკვეული შეღავათების ფასად, ნება უნდა დავრთოთ მონაწილეობა მიიღონ სამედიცინო ექსპერიმენტში.

76. უბნის პოლიციელს, მეეზოვეს, უბნის ექიმს, სამუშაო ადგილზე ეძლევა საცხოვრებელი ფართი და 24 საათი იმყოფება სამუშაო ადგილზე.

77. ასაკოვან მოქალაქეებს თუ მომვლელი არ ჰყავთ, მათთვის შენდება საკურორტო ადგილზე ერთოთახიანი ყოველმხრივ მოწყობილი საცხოვრებელი, სადაც მათ პენსიიდან გარკვეული თანხის დაკავების საფუძველზე ეძლევათ საკვები და სამედიცინო მომსახურება.

78. სახელმწიფოს თავისი საჭიროებისათვის შეუძლია ყველა საცხოვრებლის, კერძო საწარმოს, შესყიდვა და იხდის უძრავი ქონების ღირებულებაზე ორჯერ მეტს, ან აძლევს ქალაქის რომელიმე უბანში იგივე ფართის ბინას და უმატებს უძრავი ქონების ღირებულების ნახევარს მიყენებული უხერხულობისთვის.

79. ქვეყნის ნაციონალურ ავტონომიებში ყოველ 50 წელიწადში ტარდება რეფერენდუმი ავტონომიის შენარჩუნების, ავტონომიის გაუქმების და ავტონომიის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფისთვის.

80. შესაძლებელია 15 წლიანი პატიმრობის შეცვლა თავისუფალი გადასახლებით ქვეყნის დაუსახლებელ რაიონებში თუ სასჯელმისჯილის მეორე ნახევარი და არასრულწლოვანი შვილები თანახმანი იქნებიან მასთან ერთად იცხოვრონ, ამასთან თავიანთ ქონებას სახელმწიფოს ჩააბარებენ და მის ნაცვლად მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სტანდარტულ სახლს აუშენებენ.

81. მათხოვარი, მაწანწალა, ბავშვები, ქვეყანაში არ უნდა იყვნენ, ისინი სრულწლოვნობამდე აღიზრდებიან ბავშვთა სახლებში.

82. ცნობილ და შეძლებულ ადამიანებს საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა „ავკიდოთ" საბავშვო სახლების, ძნელად აღსაზრდელი ბავშვების, პატრონობა, შეფობა.

83. მოსარჩლეს სასამართლოში საქმის განხილვამდე შეაქვს გარკვეული თანხა – „საწინდარი". სასამართლო თუ საქმეს მოსარჩლის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ეს თანხა მას მაშინვე უბრუნდება და მისი გადახდა მოპასუხეს დაეკისრება. ეს თანხა კრედიტის სახით შეიძლება აღებულ იქნეს ბანკიდან.

84. ოჯახს ქალაქის პირობებში ეძლევა უფლება ჰყავდეს ერთი ძაღლი ან ერთი კატა, ხოლო სოფლის პირობებში ორი ძაღლი და ერთი კატა ან – პირიქით.

85. ემიგრაციის სამსახურს უნდა ჰქონდეს ქვოტა იმ რაიონებში ჩასასახლებლად და საქმიანობის შესასრულებლად, რაზეც წინასწარ შეთანხმდებიან.

86. ემიგრანტმა რომ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს, მან, სულ ცოტა, ამ ქვეყანაში ხუთი წელი პატიოსნად უნდა იცხოვროს და იმუშაოს და რეკომენდაცია უნდა გაუწიოს ამ ქვეყნის ორმა ძირძველმა მოქალაქემ.

87. პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბებულად ითვლება და რეგისტრაციაში იმ შემთხვევაში გატარდება, თუ მასში გაერთიანდება ქვეყნის მოსახლეობის 0,1%, იხდის გადასახადს შემოსავლების 3% და გააჩნიათ პირველადი ორგანიზაციები ქვეყნის 51% ტერიტორიაზე.

88. მაჟორიტარ კანდიდატს თუ სურვილი აქვს არჩეული იქნეს დეპუტატად ან ქვეყნის პრეზიდენტად, უნდა შეიტანოს რაიონის ან ქვეყნის ბიუჯეტის თანხის 0,001%.

89. მიტინგების ჩასატარებლად ქვეყნის ყველა რაიონში, ქალაქში, დედაქალაქში, უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილი და ამის თაობაზე სამი დღით ადრე უნდა ეცნობოს ხელისუფლებას.

90. ვინც საარჩევნო ბიულეტენს აშკარად გააყალბებს, უნდა მიუსაჯოს 5 წლამდე პატიმრობა, ხოლო ვინც უნებლიედ – ერთ წლამდე პირობითი სასჯელი.

91. არჩევნების ხარჯების დასაფარავად შესაძლებელია ლატარიის გათამაშება, ვის რა რაოდენობით მისცემენ ხმას პროცენტებში.

92. ბიუჯეტის პრეფიციტი უნდა მოხმარდეს ბუნების დაცვას, სამუშაო ადგილების გამონახვას, მეცნიერებას.

93. მოსამართლეს ვირჩევთ 35 წლიდან 65 წლამდე 10 წელიწადში ერთხელ.

94. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი უნდა იქნეს უპროცენტო თანხა კრედიტის გასაცემად გარკვეული საქმიანობის, ბიზნესის, საწარმოებლად.

95. დეპუტატის ხელფასი 10-ჯერ მეტი უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ ხელფასის მინიმუმთან შედარებით, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტის – 20-ჯერ მეტი. ამასთან დეპუტატებს და პრეზი-

დენტის სამსახურს ბიუჯეტიდან პროცენტის სახით გამოეყოფა თანხა მისი აპარატის შესანახად და საქმიანობის საწარმოებლად.

96. პარლამენტში შემოღებული უნდა იქნეს საპარლამენტო ენა. მხოლოდ საქმიანი საუბარი ყოველგვარი ყბედობის გარეშე და ისიც დადგენილ დროში.

97. შიდსით დაავადებული უნდა დავდაღოთ საჯდომზე, სხეულის შედარებით გამოუჩენელ ადგილას.

98. ყოველ 4-5 შვილს ქვეყნის პრეზიდენტი და სხვა თანამდებობის პირი უნდა ნათლავდეს და მათზე მზრუნველობას ეწეოდეს.

99. ქვეყანაში ანგარიშსწორება უნდა წარმოებდეს როგორც საკრედიტო ბარათებით, ასევე ნაღდ ფულზე, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ნაღდ ფულზე შეძენილი საქონლის ფასი გაიზრდება 25%-ით.

100. სახელმწიფო გარკვეული რაოდენობით აშენებს იაფ საცხოვრებელ სახლებს ქვეყნის გასავითარებელ რეგიონებში – განვადებით.

# 100 პოსტულატი იმისა, რაც არის და რაც უნდა იყოს

1. არა სიტყვის თავისუფლება, არამედ სიტყვაზე პასუხისმგებლობა.

2. არა სამართლიანობა, არამედ ურთიერთ პატივის მიგება.

3. არა დემოკრატია, ურთიერთმოსმენის უნარი.

4. არა თანასწორობა, არამედ – თანადგომა.

5. არა ცარიელი თავისუფლება, არამედ სხვათა წინაშე მოვალეობის შეცნობა.

6. არა კანონის უზენაესობა, არამედ კანონისათვის პატივის მიგება.

7. არა ნაციონალიზმი, არამედ შობადობის გაზრდა და შვილების აღზრდით თავის შეწუხება.

8. არა მხოლოდ თავისუფალი არჩევნები, არამედ არჩევანის გაკეთების ცოდნა.

9. არა განყენებული ეკონომიკა, არამედ მისი პოლიტიკაზე მორგება.

10. არა ცარიელი პოლიტიკა, არამედ ქვეყნის წინდახედული წარმართვა ფუფუნების გარეშე.

11. არამარტო პატრიოტიზმი, არამედ ანგარიშგება ერის და ხალხის წინაშე.

12. არამარტო ზემდგომის პატივისცემა, არამედ მისი დავალებების უზადოდ შესრულება.

13. არა ასაკის პატივისცემა, არამედ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის გაფეტიშება.

14. არა აბსორცია, არამედ ღირსეულ ემიგრანტთა მიღება, გათავისება.

15. არა ქაოსი, არამედ სულიერების ანარქიიდან თავის დაღწევა.

16. არა ალკაბადა, არამედ აკორდული გადასახადი.

17. არა მხოლოდ ანგარიში, არამედ ანგარიშგება.

18. არა მარტო ანაბარზე, არამედ დეპოზიტზე ფულის დადება.

19. არა ანარქია, არამედ გონიერებისათვის გზის გახსნა.

20. არა არაპირდაპირი გადასახადი, არამედ გადასახადი, რომელიც პროცენტებში ყველასათვის ერთია.

21. არა სტაგნაცია, არამედ ანტრეპრენიორი.

22. არა სამშობლოს სიტყვიერი სიყვარული, არამედ რეალური საქმის კეთება და მისი წარმოჩენა.

23. არა მოჩვენებითი კონკურსი, არამედ ანტისტრესული კანონმდებლობის გატარება.

24. არა ცარიელი ბაზარი, არამედ ბირჟა.

25. არა მხოლოდ სავაჭრო მარკა, არამედ ბრენდის წარმოება.

26. არა დაპირისპირება, არამედ ბიპარტიზმი.

27. არა ფულის ამოღება, არამედ გადასახადის გადახდისთვის მზადყოფნა.

28. არა ბედლემი ბირჟაზე, არამედ გონივრული ანალიზით გარიგება.

29. არა გარეგნული ეფექტი, არამედ ურთიერთსტიმულირება.

30. არა გაფიცვა, არამედ მწარმოებლის იძულება უკეთ იღვაწოს.

31. არა მხოლოდ იმპორტი, არამედ დაბალანსებული ექსპორტი.

32. არა დამსმენი, არამედ პროვაციების სამსახურის შექმნა.

33. რეფორმა არა ალბათობით, არამედ პარქტიკული ცოდნით და შემართებით.

34. არა დეფიციტი, არამედ პრეფიციტი, ქვეყანა რომ წარმოაჩინოს და ააყვავოს.

34. არა დილეტანტიზმი, არამედ პროფესიონალიზმი.

35. არა მხოლოდ დასაქმება, არამედ უნარის სწავლება, პროფესიონალიზმი.

36. არა დაუწერელი კანონები, არამედ კორპორაციული კულტურა.

37. არა მხოლოდ გადასახადით ობიექტის დაბეგვრა, არამედ გადამხდელი სუბიექტი გადასახადის გადახდის აუცილებლობის შეგნება.

38. არა ბიზნესის გამოდევნა, არამედ ინვესტორისთვის ხელის შეწყობა.

39. არა გაკოტრება, არამედ დაზღვევა, დადებითი მასშტაბების ეფექტის ამოქმედებით.

40. არა მხოლოდ აქციები, არამედ მისგან დამაკმაყოფილებელი დივიდენდების მიღება.

41. არა ეკონომიკური პროცესების დეპრესია, არამედ მისი დეტერნიზაცია.

42. არა დეფიციტი, არამედ დეფლაცია.

43. არა ეკონომიკური მოდელი, არამედ რეალური ეკონომიკა ქვეყნის სასარგებლოდ საქმის კეთებით.

44. არა დისკრიმინაცია, არამედ დიფერენციაცია.

45. არა ელიტარული კორუფცია, არამედ დამატებითი გასამრჯელოს გამოიმუშავება სიახლის დანერგვით და სასარგებლო კონსულტაციებით დივიდენდების მიღებით.

46. არა „ერთი მსახიობის თეატრი", არამედ კოლექტივის აღზრდა და მართვა ავტორიტეტის და ცოდნის მქონე ხელმძღვანელით.

47. არა იმპორტის მოძალება, არამედ საექსპორტო საქონლის გამოშვება და გატანა.

48. არა ზღვრული ფასები, არამედ ზღვრული შემოსავლები.

49. არა კრედიტი, არამედ ინვესტიცია.

50. არა ცარიელი კაპიტალიზმი, არამედ სოციალიზმის საფუძვლებით შეზავებული წყობა.

51. არა მხოლოდ კრედიტის გაცემა, არამედ კოლექტორის ცოდნაც.

52. არა ინფლაცია, არამედ ინდექსაცია.

53. არა მხოლოდ ინვესტიცია, არამედ ინოვაციაც.

54. არა კეინზიანელობა, არამედ კენსიანობაც.

55. არა კორუფცია, არამედ კოლექტორის ცოდნა.

56. არა კერძო სექტორის ბაირამი, არამედ კვოტის ამოქმედებაც.

57. არა კონსერვაცია, არამედ კორელაცია.

58. არა ლიბერალიზმი, არამედ ლოგისტიკა.

59. არა მხოლოდ მარკეტინგი, არამედ მენეჯმენტი.

60. არა მეტოქეობის უნარიანობა, არამედ მერჩუნდაიზმი.

61. არა ცარიელი პოლიტიკა, არამედ ხელმძღვანელის და მთავრობის ბუნების შესწავლა.

62. არა მხოლოდ მოთხოვნა, არამედ მოთხოვნის მრუდის ცოდნაც.

63. არა მხოლოდ მოლოდინი, არამედ მომხიბვლელობის ეკონომიკაც.

64. არა მონოპოლიური მოგება, არამედ მწარმოებლის დანაზოგი.

65. არა მხოლოდ მუდმივი დანახარჯები, არამედ მუდმივი შემოსავლები.

66. არა ნაძალადევი რეალობა, არამედ პერსპექტივით მოთხოვნა.

67. არა ოლიგარქია, არამედ მონეტარული პოლიტიკა.

68. არა ოხლოკრატია, არამედ რეალური დემოკრატია.

69. არა ნაძალადევი მოთხოვნა, არამედ ნომინალური საქონელი.

70. არა პოლიტიკური გადასახადი, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

71. არა რუდუნიზმი, არამედ ჟღერადი აზრებით ცხოვრება.

72. არა ცარიელი რეფორმა, არამედ რესტიტუცია.

73. არა ცარიელი საკუთრება, არამედ საკუთრების დაბანდება და ბიუჯეტის შევსებაც.

74. არა მარტო ცარიელი ტარიფები, არამედ ტარიფების შექმნის კულტურა რეალობის გათვალისწინებით.

75. არა ცარიელი სამუშაო ძალა, არამედ მისი მთლიანად დასაქმება და გამოყენება.

76. არამარტო საყოველთაო კეთილდღეობა, არამედ სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობა.

77. არა სტაგნაცია, არამედ სტიმული.

78. არა ტოტალიტარიზმი, არამედ ტიმოკრატია.

79. არა ტრესტი, არამედ ტრიპარტიზმი.

80. არა საშუალო ასაკის გაფეტიშება, არამედ მათი შრომის უნარიანობის გაზრდა.

81. არა უზუფრუქტი, არამედ ქონების მოვლა, დაბანდების ცოდნა.

82. არა უკუღმართი კანონიერება, არამედ სამართლიანი და საყოველთაო კანონმდებლობა.

83. არა უკუგორება, არამედ მიუკერძოებული და სამართლიანი ტენდერი.

84. არა მხოლოდ ურბანიზაცია, არამედ უტილიტარიზმიც.

85. არა მხოლოდ პიარი, არამედ ფინანსური სისტემის შექმნა.

86. არა ფინანსური შუამავლობა, არამედ ფრიტრედერობა.

87. არა რეციდივისტის მკაცრი დასჯა, არამედ სამუდამო რეზერვაციაში გასახლება.

88. არამარტო მამაკაცის აღზრდა, არამედ მათგან საჯიშე მამაკაცის შერჩევის კულტურა.

89. არამარტო ინვალიდებზე მოჩვენებითი ზრუნვა, არამედ მათთვის საცხოვრებელი ქალაქების ინფრასტრუქტურის შექმნა დასაქმებით.

90. არამარტო პრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტი, პარლამენტი, კონსტიტუციური სასამართლო, არამედ უხუცესთა საბჭო და მისთვის სახელმწიფო არბიტრის უფლებათა მინიჭება.

91. არა პროსტიტუციის აკრძალვა, არამედ სექსის სწავლების ინსტიტუტების შექმნა და სექსინდუსტრიის გამოყენება.

92. არა მხოლოდ ფულის ბრუნვა, არამედ „ფული უნდა შოულობდეს ფულს“.

93. არა მხოლოდ შვილების აღზრდა, არამედ აღზრდის გადასახადის მათთვის გადახდევინება მშობლების სასარგებლოდ.

94. არა მხოლოდ უძრავი ქონების გადასახადი, არამედ მისი რაციონალური გამოყენება გაყოჩაღების გადასახადით.

95. არა თანამდებობრივი ხელშეუხებლობა, არამედ თანამდებობრივი სასჯელის გაორმაგება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

96. არა ზნეობრივი პოლიცია, არამედ მანდატურთა სამსახურის ინსტიტუტის შექმნა.

97. არა მხოლოდ სამინისტროთა ბიუჯეტიდან დაფინანსება, არამედ თვითდაფინანსებაზე გაყვანა და გადასახადის გადახდევინება.

98. არა მხოლოდ კოოპერაციული მშენებლობები, არამედ შენატანი თანხების ბანკის მიერ დაზღვევა-გაკონტროლება.

99. არა შავი ბაზარი, არამედ თავისუფალი ბაზარი.

100. არა ჰიპერკონკურენცია, არამედ ჰორიზონტალური სამართლიანობის საწყისის გამოყენება.

## 100 ქართული „ფეხისდადება“ და უმადურობა

ამ თავში მინდა გავიხსენო ის ასი უმადურობა, რომელიც ნაღვლიან ღიმილს გვგვრის და ადამიანის უცნაურ ბუნებას თავისი უმადურობით წარმოაჩენს. ყველა ქვემოთ მოტანილი ქმედება ჩემი ცხოვრების თანამგზავრია და მომდევნო თაობებისთვის ჭკუის სასწავლიც. ამასთან, არის რაღაც, რომლის გატირაჟება არ შეიძლება და ის შენთან ერთად უნდა გადაბარგდეს იმქვეყნად, არა იმიტომ, რომ რაიმე უცნაურია და ჯერ არ მომხდარა, მაგრამ მე ჩემი შეგნება მაიძულებს ეს საიდუმლო თან წავიღო, რათა ჩემი მეგობრების, ნაცნობების, თავმოყვარეობას არ ვავნო, მიუხედავად იმისა თანამედროვე გაღატაკებულ-გადაგვარებულ ცნობიერებას, შეიძლებოდა „დიდებულ“ ფაბულად გამოსდგომოდა, რადგან აქ საუბარია არამარტო ჩემდამი ფეხის დადებაზე, არამედ საქართველოს იმდროინდელი ინტერესების გაუაზრებლობაზე და ფეხის დადებაზე.

1. ერთი წელია, რაც სკოლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობ თბილისის საბაზრო სანერგეში, მახათის განყოფილებაში მუშად. ერთხელ უბნის უფროსმა ალიოშა დვალიშვილმა მითხრა, ეს ერთი კვირა შენ გნიშნავ ბრიგადირად და ვნახავ, როგორი მონდომებით ამუშავებ მუშებსო. ამ დროს 17 წლის ვარ, ხოლო მუშები ჩემზე ასაკით გაცილებით უფროსები არიან. ნიადაგს ვბარავთ, ტყის კულტურებისთვის სკოლისთვის ვამზადებთ. ჩამოვჯექით დასასვენებლად ერთმა მუშამ ტყის კორომში, ეტყობა, ანთებული ასანთი გადააგდო, მკვდარ საფარს ცეცხლი უცბად მოედო, როდესაც ცეცხლი შევამჩნიე, ტყე უკვე იწვოდა, მუშებს ვთხოვე ბარების დარტყმით ეს ცეცხლი ჩაგვექრო, მაგრამ როგორც ერთი, ისე გაიქცა ხუთივე მუშა. იძულებული ვიყავი, ხანძარი მარტო მე ჩამექრო, ხოლო ჩემს საყვედურზე უსირცხვილოდ მითხრეს: უფროსად შენ დაგნიშნეს, შენ უნდა ჩაგექროო.

2. ასაკოვან ამხანაგს გოგო შემოეხარჯა, რომელმაც ბიჭი გაუჩინა და იძულებული გახდა ცოლი მიეტოვებინა გასათხოვარ სამ ქალიშვილთან ერთად. გაუჭირდა და სოფელში გადასახლდა.

როდესაც მოსკოვიდან ჩამოვედი, მოვინახულე. მდგომარეობა გამაცნო და მითხრა, კარგი იქნებოდა, ძროხები რომ გეყიდა სანახევროდო, ყველს მე მივაწვდი თბილისში დარჩენილ შენს ოჯახსო. რადგან ამ ამხანაგის დედასაც კარგად ვიცნობდი და ამ საუბარს ისიც ესწრებოდა, სამი ძროხის საყიდელი ფული უსიტყვოდ მივეცი. გავიდა ერთი წელი, ყველი არ მოუტანია. დავურეკე მოსკოვიდან, ყურმილი დედამისმა აიღო, მოვიკითხე და ვალდებულება შევახსენე. დედამისმა ქვას თავი შეუშვირა: „ჩემი შვილი შენი მოჯამაგირე ხომ არ არისო“. შემდეგ არც ფული დაუბრუნებია, არა და კარგ ბიჭად, ამხანაგად, ვიცნობდი.

3. სპორტს თავისი დაუწერელი კანონებიც ახლავს და თანაბარი ძალის გუნდებში ის იმარჯვებს, ვისაც მოხერხებული ხელმძღვანელი ჰყავს, რადგან ზოგჯერ ერთმა შემთხვევითმა „ჩხინკმა“ ბურთმა შეიძლება გადაწყვიტოს შეხვედრის ბედი. საქართველოს ფედერაციას დაევალა, ჩოხატაურში ჩაგვეტარებინა საბჭოთა კავშირის პირველობა 18 წლამდე რაგბისტებს შორის. ამ შეჯიბრებაში, ჩვენი ფედერაციის თხოვნით, დაუშვეს ჩოხატაურის გუნდი, როგორც მასპინძელი და ჩვენ, რა თქმა უნდა პირველი ადგილის მოპოვებას ვფიქრობდით. ამიტომ სხვა მსაჯებთან ერთად მოვიწვიე ჩემი კიეველი მეგობარი ვლადიმერ ბარისკინი და ვთხოვე ყველა თამაში ობიექტურად ემსაჯა, მხოლოდ მოსკოველების სასარგებლოდ, რათა ფინალში ის დამენიშნა მოსკოვ-თბილისის გუნდების შეხვედრისას. მოკლედ, ჩვენ ხალხს პურ-მარილი არ ეშლება და ისე მიკერძოებით იმსაჯა ლენინგრად-ჩოხატაურის მატჩში ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ, რომ ყოველგვარი შანსი დაიკარგა მის ფინალში დასანიშნავად. არადა, საქართველოს გუნდების ხელმძღვანელობა გაფრთხილებული მყავდა. შედეგად თბილისის გუნდმა ფინალში წააგო და მეორე ადგილი დაიკავა.

4. საქართველოს რაგბისთვის ბევრი კარგი მაქვს გაკეთებული, მაგრამ დღემდე ვერ მომინელებია „მატრაკვეცა“ ვაკელ მორაგბეთა ჭკუას რომ ავყევი და 70-იან წლებში რაგბის სპეციალიზებული სტადიონი-ბაზა არ ავაშენეთ. თბილისის ალმასკომის

თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს „ლელო-რაგბის“ ფედერაციის თავმჯდომარემ, ბატონმა ომარ ხიზანიშვილმა, შემოგვთავაზა ორთაჭალაში დღევანდელი ავტოსადგურის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე ნაპირზე, სადაც ადრე ნაგავსაყრელი იყო, სპეციალიზებული რაგბის სტადიონი ხუთიათას მაყურებელზე და ორსართულიანი შენობა-სასტუმრო აგვეშენებინა. როდესაც ბიჭებს შევეკითხე, ყველამ ცხვირი აიბზუა, იმსიშორეს ვერ ვივლითო, თანაც ნაგავსაყრელი იუკადრისეს და მითხრეს, პერსპექტივა გვაქვს ვაკეში სტუდქალაქის სტადიონი დავითრიოთო. ჩემი ახალგაზრდული მაქსიმალიზმის გამო ვერ გავითვალისწინე, რომ ამ პრესტიჟულ ადგილს ჩვენ არავინ მოგვცემდა.

5. თავის დროზე საქართველოს მომარაგების კომიტეტს დავეხმარე და ხუთი ხუთსართულიანი სახლის სანტექნიკა ვუშოვე, საკავშირო მომარაგების უფროსის მოადგილის დახმარებით. გავაცანი საქართველოდან ჩამოსული მომარაგების თანამშრომლები და რესტორანშიც ვიქეიფეთ. მეორე წელს ისევ შეიქმნა დეფიციტი და ამ ბიჭებმა მე არაფრად ჩამთვალეს და ჩემი გვერდის ავლით მოინდომეს საქმის მოგვარება. საკავშირო მინისტრის მოადგილემ უთხრა, „გიორგი ვალერიანოვიჩს“ ჩემთვის არაფერი უთხოვიაო და ამ ბიჭების „თავხედობა“ შემატყობინა. როდესაც ჩემთან იკადრეს მოსვლა დახმარების მისაღებად, მეც უარით გავისტუმრე, მით უმეტეს, მათგან არაფერი მინდოდა, ადამიანური სუბორდინაციის დაცვის და სიკეთის დამახსოვრების გარდა.

6. ჩემთვის ძალზე პატივსაცემი ცოლ-ქმარი გარდაიცვალა, მათმა ქალიშვილმა დაიწყო უპატრონო ბავშვთა სახლში დირექტორის მოადგილედ მუშაობა. სახლში მოვიწვიე ახლადდაქორწინებულ მეუღლესთან ერთად. ამ ქალბატონმა, მითხრა, რომ ერთი ძალზე ნიჭიერი ბავშვი ჰყავს, 14-15 წლის, თუ შეგიძლიათ მატერიალურად დაეხმაროთო. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ბიჭის სურათები, სიგელები, მომიტანა და მეც სპონსორობა გავწიე და ამ ქალბატონს ფული გადავეცი, რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ ის თავის მეუღლესთან ერთად ჩემი ფულით პარიზში წასულა საქორწინო მოგზაურობაში.

7. ჩვენს სატყეო-საჩვენებელ მეურნეობაში ჩავედი მივლინებით, რათა ჩვენ მიერ „ნებითი ამორჩევითი“ ჭრების ერთ-ერთი სახე ჩამეტარებინა. ინსტიტუტის დირექტორის დავალებით მოჭრილი ხე-ტყე, თვალსაჩინოებისთვის, აუცილებლად ხარებით უნდა გამომეტანა. ამ თემის შესრულებაში, თავად საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მოკლედ ჭრები ჩავატარე ჭრაგავლილ კორომში, მაგრამ ხარ-კამეჩი ვერ ვიშოვნეთ. მოჭრილი ხე-ტყის დატოვებაც არ შეიძლება, გვერდით ტყემრეწველობის მუშები საქმიანობენ. საცდელი სადგურის დირექტორს და მის მოადგილეს შევთავაზე, რომ ხე-ტყე ტრაქტორით გამოგვეტანა იმ პირობით, თუ ეს არ გახმიანდებოდა. თუ არ გამოვიტანდით – ტყეში დარჩებოდა. შევთანხმდით და ხე-ტყე ტრაქტორით გამოვიტანეთ. არ გასულა ერთი კვირა და ამ საცდელი სადგურის დირექტორმა „ჩაგვიშვა“, მაგრამ საქმე ისე შევაბრუნე, რომ მას სასტიკი საყვედური აჰკიდეს, მე კი საყვედურით გადავრჩი.

8. სამხრეთ-ოსეთში მუშაობის დროს, ხშირად ვაწყობდი ღამის რეიდებს, რათა თვითნებური ჭრები შემემცირებინა. ამ მხრივ გამოირჩეოდა „ღარომის“ სატყეო, რომელიც უნებართვოდ მოჭრილ ხეებს გორის რაიონში ყიდდა. ერთ დღეს მოულოდნელად დავადექი თავზე „ღარომის“ მეტყევეებს ხერგილზე. ხუთი მანქანა, შეშით დატვირთული, ჰყავდათ გამზადებული გასაყიდად ჩემი იქ ყოფნა კი ამის ნებას არ აძლევდათ. დაღამდა, მე ხერგილთან არსებულ საყარაულოში წამოვწექი, ლაბადა ჩამოვკიდე, ეტყობა, ჩამთვლიმა, ვიღაცამ ჩემდაშეუმჩნევლად ფული ჩამიდო ლაბადის ჯიბეში, ხერგილისკენ დაიძრა ხუთი მანქანა, მე წამოვდექი, ლაბადა ჩავიცვი და გარეთ გამოვედი, ვკითხე მძღოლს, რაშია საქმეთქო, მითხრეს, სამმართველოს ტყის დაცვის ინჟინერს ფული მივეცითო. ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ფული ამომყვა. გავბრაზდი და იმ მძღოლის მანქანის საბურავებს ორლულიანი თოფიდან ვესროლე, რომელიც თავხედურად აპირებდა ხერგილიდან შეშის გატანას. ოლქის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე,

რომელიც კარგად მიცნობდა, ერთ საათში „ღარომში“ გაჩნდა. ხუთივე მანქანა უკან დავაბრუნეთ და თვითნებურად მოჭრილი ხე-ტყე სკოლაში დავცალეთ.

9. დადგა დრო, როდესაც საკავშირო მსაჯის საბუთები მოვაგროვე. რაგბში მაშინ უკვე ჩემი ინიციატივით სამი გუნდი იყო შექმნილი. რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრება ვიმსაჯე და საქართველოში პირველი საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება უნდა მიენიჭებინათ. საბუთები ჩავაბარე საქართველოს რაგბის ფედერაციის თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს, რომელიც საორგანიზაციო საქმეებს ხელმძღვანელობდა, რადგან იმ დროს ფედერაციის თავმჯდომარე ბატონი ბორის პაიჭაძე გახლდათ, რომელსაც საორგანიზაციო საქმეებისთვის არც ვაწუხებდით და არც ეცალა. თავმჯდომარის მოადგილე მეუბნება, საბუთები მოსკოვში გავგზავნეო, მოსკოვიდან კი მეუბნებიან საბუთები ჩვენთან არ მოსულაო. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ამ არაკაცს საბუთები არ გაუგზავნია და უთქვამს: „ძალზე მაღლა აფრინდა გიორგიო“. ეს იმ დროს, როდესაც ყველა რაღაცის გაკეთებას ვცდილობდით რაგბისთვის, ახალგაზრდული შემართებით და არა – სახელის მოსაპოვებლად.

10. მე ყოველთვის მიდრეკილება მქონდა მეცნიერებისკენ, ხოლო „ლოკომოტივის“ გუნდის უფროს მწვრთნელობას ძალზე დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა. მინდოდა თუ არა, გუნდზე უნდა მეფიქრა, ხოლო მეცნიერებისთვის დრო არ მრჩებოდა. ჩემი გუნდი გადავაბარე ერთ წარმატებულ მორაგბეს და შევთანხმდით, რომ რკინიგზელთა საკავშირო პირველობაზე გუნდს ერთად ვუხელმძღვანელებდით. მაგრამ უკრაინის რაგბის ფედერაციამ მოინდომა, რომ შეჯიბრების მთავარი მსაჯი ადგილობრივი ყოფილიყო, ეს კი გარკვეულ უპირატესობას აძლევდა უკრაინის გუნდს. რადგან რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის სტატუსით ამ შეჯიბრებაზე მხოლოდ მე ვიყავი, იძულებული გახდნენ მსაჯთა კოლეგიის უფროსად მე დავენიშნე. თბილისის „ლოკომოტივი“ ჩემპიონი გახდა, ხოლო ჩემი გვარის მოხსენიება, როგორც გუნდის

მწვრთნელისა, საქართველოს პრესაში ყველამ დაივიწყა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ეს ჩემი დანიშნული მწვრთნელის ინიციატივით მოხდა.

11. ახალი გადმოსული ვარ თბილისში სამუშაოდ ცხინვალიდან და ამ დროს მირეკავს ცხინვალის პროკურორის მოადგილე, თბილისელი, მსოფლიო ჩემპიონი სასტენდო სროლაში შოთა ქველიაშვილი, რომელსაც კარგად ვიცნობდი. მეუბნება ხვალ თუ გცალია, ცხინვალში ერთად წავიდეთ, იქ შენზე საჩივრის წერილი დაწერესო. მეორე დღეს მე და შოთა ცხინვალში ერთად წავედით. შოთამ საათს დახედა, კაბინეტის გვერდით ოთახში გამიყვანა და მითხრა: როდესაც დაგიძახებ, შემოდიო. მოვიდნენ მომჩივრები, ტყის მცველები, რომლებიც თვითნებულ ჭრებზე და გაყიდვაზე გამოიჭირეს, ამათ კი დაწერეს, რადგან უკვე წასული ვიყავი სამმართველოდან, თითქოს ეს ჩემი დავალებით გააკეთეს. საინტერესო ისაა, რომ აქედან ორ ტყისმცველს კარგად ვიცნობდი და მათთან ოჯახშიც ვიყავი ნამყოფი. შოთამ იმ დროს დამიძახა როდესაც ტყისმცველები ჩემს მონაწილეობას გულმხურვალედ ამტკიცებდნენ. რომ დამინახეს, გაშეშდნენ და სიმართლე აღიარეს.

12. თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დროს, უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭომ გადაწყვიტა მესამე სემესტრი გაგვეტარებინა სამხრეთ საქართველოში და ტერასები აღგვედგინა, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებში. მაშინდელ ბოგდანოვკაში (დღევანდელ ნინოწმინდაში) მოსახლეობის 80% სომეხი ეროვნების იყო, 19% რუსეთის დედოფლს ეკატერინე II მიერ გადმოსახლებული რუსი „დუხობორები" და 1% ქართველი. მე და იქაური რაიკომის პირველი მდივანი ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით, გამოველაპარაკეთ, გავუზიარე ჩემი აზრები რაიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ერთმანეთი მოგვეწონა და მთხოვა რამდენიმე წელი მათ რაიონში მემუშავა, იქნებ ერთი ქართული ობიექტი მაინც გავხსნათო. მე ახალგაზრდა ვარ, ჩემთვის საინტერესო საქმიანობა, თანაც კარგი ხელფასით, გამოჩნდა და დავთანხმდი. გაიგზავნა რაიკომიდან წერილი ორი სატყეო უბნის

გაერთიანებაზე და საცდელ-საჩვენებელი უბნის გახსნაზე, და მის პერსპექტივებზე, რა თქმა უნდა ჩემი კარნახით. ეს წერილი გაიგზავნა სატყეო სამინისტროში. დამიბარა ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა თანამდებობის პირმა და მითხრა: „რა გინდა, გოგი, იმ დასაკარგავში რომ მიდიხარო". მე ავუხსენი თუ რა პერსპექტივები იშლებოდა, თუ როგორ შეიძლებოდა „ფარავნის ტბის" შლამის გამოყენება სასუქად მოსავლიანობის ამაღლებისთვის და მრავალი სხვა, რაც ამ რაიონს წამოწევდა და მე კი დამატებითი შემოსავალი მექნებოდა. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ როგორც კი ჩემ „კეთილის-მდომს", რეალური პერსპექტივა ავუწერე, წაიყრუა და მეც აღარ მივწოლივარ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი წასვლით პირველ რიგში ქართულ საქმეს ვაკეთებდი. მით უმეტეს, მოსკოვში სამუშაოდ გადასვლის პერსპექტივა მქონდა.

13. ასევე ჩაიშალა ამავე სამინისტროს უგნურებით, შურით, საქართველოში მეტყევეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურ-სების კავკასიის ფილიალის გახსნა, რადგან ამ საკავშირო კურ-სების უფროსი ჩემთან ახლო იყო, ხოლო ეს კურსები რომ გახს-ნილიყო, ამისათვის საჭირო იყო საქ. მინისტრთა საბჭოს თხოვნის გაგზავნა საკავშირო სატყეო-მეურნეობის მინისტრის სახელზე, ქალაქის გარეუბანში სამშენებლო ფართის გამოყოფით, სადაც აშენდებოდა ერთი ხუთსართულიანი სასწავლო კორპუსი, ერთი რვასართულიანი საერთო საცხოვრებელი და ერთი რვა სართული-ანი საცხოვრებელი სახლი ლექტორებისთვის და კურსების მომსა-ხურე პერსონალისათვის. ამასთან „მეტყევეობა" ვიწრო სპეცია-ლობაა და ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდებოდათ. იმდროინდელ მინისტრსაც ჩემი კანდიდატურა, ეტყობა, არ მოეწონა და არც ის, რომ კვალიფიკაციის ასამაღლე-ბელი კურსები მისი კი არა, საკავშირო სამინისტროს დაქვემდე-ბარების ქვეშ იქნებოდა..

14. ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოა, ჩამოვედი თბილისში, ვნახე ნაცნობები. მოვხვდით ერთ სუფარზე, სადაც საქართველოს მომავალზე, პოლიტიკაზე საუბრობდნენ და გამოითქვა აზრი,

რომ კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში დავბრუნდებოდი სამუშაოდ. ყველასათვიოს მოულოდნელად, ერთი ჩემი კარგად ნაცნობი ამის წინააღმდეგ წავიდა. „გოგის ჩვენზე მეტი შეძლებაც აქვს, ნაცნობებიც ჰყავს და ალბათ ფულიც აქვს. ეგ რომ აქ ჩამოვიდეს შენს, ჩემს, ადგილს დაიკავებს, ჩვენ კი ამდენ სიცივეს, უსინათლობას, გაჭირვებას, გავუძელით, უნდა არ უნდა, გოგი ჩვენი კონკურენტია“, გოგი ჩემი თხოვნაა, სადაც ხარ, იქ იყავი და აქ თანამდებობაში ნუ შეგვეცილებიო.

15. დედაჩემის გარაცვალებასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვედი, სხვებთან ერთად სამძიმარზე ჩემი ნათესავი მოვიდა, რომელიც ასაკით ჩემზე 6-7 წლით უფროსია. როდესაც საუბარი დავიწყეთ, მეუბნება ნათესავ-ამხანაგებში: „გოგი, შენ მაინც საქართველოს მოღალატე ხარ და ამიტომ არ ხარ კარგი კაცი, როცა საქართველოს უჭირს, წახვედი, ეს მაშინ როდესაც ჩვენ ასე გვჭირდება შენისთანა ენერგიული და ჭკუაგახსნილი ხალხი“. მოკლედ, თან მაქებს და თან მლანძღავს და ვატყობ, ამით კაიფობს. ხმა არ გამიცია. გავიდა ნახევარი საათი და კვლავ მოვიდა ჩემთან: „ხომ არ გწყენია, სიმართლე რომ გითხარიო“. ჟორა, შენ ერთ-ერთი ცნობილი ეკონომისტი ხარ, აქ რომ ჩამოვედი, ვიფიქრე ჟორას წავიყვან ბუღალტერ-ეკონომისტად, შენზე მეტად მე აბა ვის ვენდობი-მეთქი, ხელფასი ჯერ-ჯერობით მხოლოდ 3000-3500 დოლარია (მაშინ ამ ფულით თბილისის გარეუბანში სამოთახიანი ბინის ყიდვა შეიძლებოდა) და მერე, თუ უკეთესად წავა საქმე შენი დახმარებით, ხელფასის მომატებაზე ლაპარაკიც შეიძლება, მაგრამ შენ ისეთი რამ მითხარი და ისეთი პატრიოტი ყოფილხარ, ამ წინადადებას ველარ შემოგთავაზებ და შენ შეიძლება გყავდეს ვინმე სანდო, შენსავით განათლებული ეკონომისტი, თუ შეგიძლია რეკომენდაცია გაუწიო და გამაცნო. „მე თვითონ წამოვალ, სხვა რად გვინდა, ხომ იცი, ჩემზე ერთგული შენ არავინ გეყოლებაო და თან სახეზე წამოწითლდა.

16. ერთმა ჩემთვის პატივსაცემმა, ჩემი გარდაცვლილი მეგობრის, ოჯახმა, დედა-შვილმა, რომლებიც თბილისიდან მინსკში

გადასახლდნენ, მთხოვეს საერთო ფირმა გაგვეხსნა ბელორუსია-ში, იმ პირობით, რომ დაფინანსება და სხვა ორგანიზაციული საკითხები ჩემი იქნებოდა, ხოლო მომსახურება და თანადგომა მათი. ფირმის გახსნა მათ დავავალე და როდესაც ფირმის წევრების წილებს გადავხედე მათ 33-33% დაიწერეს, ხოლო მე 34% მომცეს. მივხვდი, რომ ამათთან მუშაობა არ გაამართლებდა და ბოლოს ასეც მოხდა. მთავარია, რომ ერთმანეთს ნორმალურად, მცირედი ექსცესებით, უმტკივნეულოდ დავშორდით.

17. ახლადგაცნობილმა ნათესავებმა, „პერესტროიკის" პე-რიოდში, შემომთავაზეს გაკოტრებული კოლმეურნეობის მესაქონ-ლეობის ფერმა გვეყიდა, მოვლა-პატრონობა მათი იქნებოდა, ფული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება ჩემი, როდესაც საკითხი წილზე დადგა, მან თავის მეგობართან ერთად ორი მესამედი მოითხოვა. მე დღესაც მიკვირს, არაფრისმქონე ადამიანი რატომ აფასებს თავის შრომას უფრო მეტად, ვიდრე ფულს და ორგანიზაციულ ნიჭს.

18. „პერესტროიკის" დროს მოსკოვში ვიყავი რუსეთ-საქართ-ველოს მეგობრობის საზოგადოების წევრი. მაშინ საქართველოდან ბევრი ახალგაზრდა წამოვიდა. ჩვენ ხალხს შემორჩენილი აქვს უფროს-უმცროსობის პატივისცემა. რამდენიმე ახალგაზრდა მოგვეწონა და შევთავაზეთ: მაღაზიებს შევიძენთ, დაგასაქმებთ, დაგეხმარებით. მოგება შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 50% ჩვენ, პლუს ჩვენ მიერ საქონლის შესაძენად დაბანდებული თანხა, 10% საზოგადოების ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს, ხოლო 40% მათ რჩებოდათ. წინასწარი გათვლით. ამ თანხით, მათ სამ-ოთხ წელი-წადში სამოთახიანი ბინა უნდა შეეძინათ მოსკოვში. საინტერესო ისაა, რომ რატომღაც ჩვენი ხალხი თავის შესაძლებლობებს გა-დამეტებით აფასებს და ისიც უცხო მხარეში. საბოლოოდ ოთხი-ვემ უარი გვითხრა.

19. ჩემმა კარგმა ნაცნობმა, რომელსაც წესიერ ადამიანად ვიცნობდი, მთხოვა, რომ ავჭალაში, ჩემს სააგარაკო კეთილმოწყო-ბილ სახლში, იცხოვრებდა და იმუშავებდა თბილისში. სამუშაო

შევთავაზე ჩემს მეგობართან სარფიან სათამაშო ბიზნესში, ამაზე უარი მითხრა, ხალხს ვერ მოვატყუებო და სადღაც ქარხანაში დაიწყო მუშაობა. რომ გაუჭირდა, ჩემი ლებები და საბნები ვალში დატოვა, ხოლო მიწის ნაკვეთზე არსებული ნერგები თავისი ექსპერიმენტებით გააჯერანა და ისე წავიდა, მადლობაც არ უთქვამს.

20. ჩემი მეგობრის შვილს, რომელიც სამსახურში ორ წელზე მეტ ხანს ვერ ეწყობოდა, სამსახური ვუშოვე, მასთან ერთად ბიზნესის წამოწყება ვცადე, გავიშინაურე, შედეგად ადამიანური უმადურობა და ფულადი ზარალი მივიღე. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანმა თავად უნდა გამოჭედოს თავისი ცხოვრება, რადგან მას პროტექცია არ შველის, არც გიფასებენ და თავსაც გაყვედრიან: „შენ რომ არ წაგეყვანე, მე ჩემს გზას მოვნახავდიო“.

21. ერთმა ჩემმა მეგობარმა მთხოვა: გოგი, დამეხმარე, ბიზნესის დაწყება მინდაო. შევთანხმდით, დასაწყისში 100 ცალი წყალქვეშა მეზღვაურების დეფიციტური „ნაჩოსიანი“ მაისურები – „ტელნიაშკა“, ვუყიდე, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო და კარგ მოგებას ტოვებდა. მან ამ მაისურების ჩაბარება ვერ მოახერხა, თუ არ მოინდომა, ვერ გეტყვით, უკან მომიტანა და მითხრა, ეს ჩემი საქმე არ არისო. შემდგომ ეს ადამიანი უსაქმურობით და იმის გამო, რომ არავის სჭირდებოდა, გალოთდა. მე ამ მაისურებს ვჩუქნიდი ჩემს ახლობლებს, რითაც ძალზე კმაყოფილები რჩებოდნენ და ამაყობდნენ..

22. ბიჭებმა მთხოვეს ტყეში პიკნიკი გაგვემართა, მე შევუთანხმდი ჩემ ნაცნობ მეტყევეს, გავმართეთ პურმარილი, ბიჭები თავიანთი ავტომანქანებით მოვიდნენ. კარგად ვიქეიფეთ და ერთ-ერთ თანამეინახეს ვუთხარი დაეცადა. მე და ტყისმცველი შევუდექით ნაქეიფარი ადგილის მოწესრიგებას. როდესაც საქმეს მოვრჩით, დავინახე მანქანა წასულა. იმ დღეს ტყის მცველთან დავრჩი სტუმრად, ხოლო ამ ჩემმა ამხანაგმა თავი იმართლა ჩემმა სიმპათიამ მთხოვა, ცუდად ვარო (რა თქმა უნდა იტყუებოდა)

და ისე ავღელდი, შენ აღარ გამხსენებიხარო. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ეს ჩემი შეურაცყოფა იყო მეტყევე კოლეგის თვალში.

23. საქართველოში, პერესტროიკის დროს, ყველა კოოპერატივს ხსნიდა, მაშინ მე თბილისის უნივერსიტეტში ვმუშაობდი, ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი, ერთ-ერთი სამმართველოს განყოფილების უფროსი და მთხოვა: „გოგი, შენ გადაბრუნებული ტვინის პატრონი ხარ და ერთად რაღაც გამოგვივაო“. მართლაც, იმ რაიონის რაიკომის მდივანს კარგად ვიცნობდი და იმავე რაიონის „შემნახველი სალაროს“ უფროსი უნივერსიტეტში ეკონომოკის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა და მასაც კარგად ვიცნობდი. ცხრასართულიან სახლში პირველ სართულზე გამოგვიყვეს არასაცხოვრებელი ფართი და ორი წლით 1% კრედიტი მოგვცეს. თავიდან შემომთავაზეს კოოპერატივის თავმჯდომარეობა, სანამ საქმე აეწყობოდა, მაგრამ უარი ვთქვი. როგორც კი საქმე აეწყო და ცოტა სული მოვითქვით, ამ ჩემმა კოლეგამ უფროსობა დამიწყო, გაბრაზებულმა მოვიწვიე კრება და გავრიცხეთ კოოპერატივიდან და თავმჯდომარედ მე ამირჩია მისივე მოყვანილმა ხალხმა.

24. გავხსენით კვების ობიექტი ტიუმენში, სადაც მზადდებოდა ქათმის რულეტები, ხინკალი და ნახევარფაბრიკატები, რომელიც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, მას სათავეში ჩავუყენე ჩემი ახლადგაცნობილი ნათესავი, „უკაპიკო მილიონერი“, რომელიც ოცნებით მუდამ ფულს აკეთებდა. გავიდა ხანი. ვუთხარი, ანგარიში წარმოედგინა. მითხრა, მაგის დრო არ მაქვსო. უნამუსოდ ქურდობდა და გაუშვი.

25. ეს კაცი გახლდათ ჩემი ცოლის ნათესავი. იმიტომ წავიყვანე ტიუმენში, რომ მოსკოვში „ჩამისახლდა“ და სულ რაღაცის მოლოდინში იყო. თან ჩემმა ცოლმა მისაყვედურა, არ უნდა გაგეშვაო, ძალიან პატიოსანი კაციაო. მოკლედ, თბილისში კიდევ „შემოუძვრა“ ჩემს ცოლს, რაღაც საქმე შესთავაზა, მეც გარკვეული თანხა მივეცი ორივეს ბიზნესის წამოსაწყებად, მაგრამ ჩემი ცოლიც რომ „გადააგდო“, იმის შემდეგ მის დასაცავად ხმა აღარ ამოუღია.

26. სანამ მანქანას ვუყიდდი ჩემს ქართველ თანამშრომლებს ტიუმენში, ათას არარსებულ პრობლემებს სახავდნენ, მაგრამ როდესაც სამივეს სასამსახურო მსუბუქი მანქანები ვუყიდე და ვუთხარი საჭესთან დამჯდარიყვნენ და თავად დაერიგებინათ მზა პროდუქცია, ყველამ ერთმანეთის ჯინაზე მძღოლები დაიქირავეს და ეს საქმე მათ გადააბარეს.

27. ჩვენი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ კოოპერატივებს გვთხოვა კოოპერატივის მიერ გამოშვებული რაიმე ახალი პროდუქცია გამოგვეტანა რესპუბლიკურ გამოფენაზე. წარუდგინე კონსერვის რკინის ქილაში „შპროტი განსაკუთრებულად დამუშავებული", რომელსაც ნაწლავები არ ჰქონდა, პრესერვი რკინის ქილაში „ოკეანის თევზის სათალი" და „მონადირის ძეხვი" თევზისგან, რამაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა. არ გასულა ერთი კვირა და ამ რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ რევიზია გამომიგზავნა.

28. ჩემმა კარგად ნაცნობმა აჭარის თევზსაჭერის სამმართველოს ახალმა უფროსმა, მთხოვა კოოპერატივი გამეხსნა და რაიმე ისეთი პროდუქცია გამომეშვა, „ცხვირი რომ მომეხოცა მისი ქარხნის ძველი გაამპარტავნებული თანამშრომლებისთვის". დავიწყე მასთან კოოპერატივის სახელით უნაწლავო განსაკუთრებულად დამუშავებული შპროტის გამოშვება, გერმანიაშიც გავიტანეთ რამდენიმე ათასი ქილა და საბჭოთა კავშირში გამოშვებულ შპროტებთან შედარებით სამჯერ ძვირად ვყიდდი, მოთხოვნილება დიდი იყო. საქმე რომ კარგად წავიდა, ბათუმში ჩემი საამქროს გამგეს ეუბნება: ჩვენ ხომ ვისწავლეთ შპროტის კეთება, გოგი რაღად გჭირდება, თანდათან „მოვტეხოთო". ეს მაშინ, როდესაც მოგების ერთ მესამედს მას ვაძლევდით. ცხადია, ამ ქარხნიდან წამოვედი და დელიკატესის გამოშვებაც შეწყდა.

29. ტყე-პროექტში მუშაობისას დავუახლოვდი ჩემ კოლეგას, რადგან ერთმანეთის გვერდზე ვაწარმოებდი ტყეთმოწყობის სამუშაოებს. ჩვენს საუბარში გამოირკვა, რომ მე მასზე მეტი თანხა მქონდა გამომუშავებული, ცოტა ჩემი ბრალიც იყო, წავი-

ტრაბახე, რადგან კოლეგის ტრაბახმა თავი მომაბეზრა, რომ ის 20 წელი ამ საქმეს ემსახურება და ყველაზე კარგად იცის საქმე. მეც ვუთხარი, თუ ასეთი მაგარი ხარ, შენზე მეტი რატომ გამოვიმუშავე-მეთქი. საბუთები გადაამოწმა, მიხვდა, რომ მართალს ვეუბნებოდი, გაწითლდა სიბრაზისგან და მითხრა, ახლავე ბაზაში წავიდეთ, ეგ როგორ გამიბედესო. სოფელ ვანელიდან ჯავამდე ფეხით ჩავედით, გავიარეთ 28 კმ და ღამის თერთმეტ საათზე ბაზაში ვიყავით. მეორე დღეს გაირკვა, რომ მე ეს თანხა დამატებით, ვითომდა კვლევითი სამუშაოებისათვის გამომიყვეს, სინამდვილეში, მოსამზადებელ სამუშაოზე მე წამიყვანეს და არა ჩემი „გამოცდილი“ კოლეგა.

30. კრწანისის მეღორეობის კომპლექსში ჩატარებული ცდების დროს შევქმენი არაორდინალური საკვები, რომლის შედეგზეც პასუხს ვაგებდი. ცდამ კარგი შედეგი მოგვცა. მეღორეობის კომპლექსი დაბალანსებული საკვებით დღიურ წონა-ნამატს 550 გრამს აჩვენებდა, მე კი ყოველდღიურ მატება – წონაში მივიღე 830 გრამი. წესით ჩვენ მიერ შექმნილ საკვებს არ უნდა ეჯობა კომპლექსისთვის გათვალისწინებული, დაბალანსებული, საკვებისთვის, აშკარა იყო ქურდობა. შედეგად საცდელ გალიაში სუქებაზე დაყენებული ღორები შემიცვალეს დაჯაგული, ზრდაში ჩამორჩენილი ღორებით, მაგრამ შედეგი მაინც უკეთესი მქონდა. მოკლედ, ჩემ მიერ ჩატარებულ ცდაზე, რომელსაც თავადაც აკონტროლებდნენ, ხელი არ მომიწერეს.

31. მაშინ სამხრეთ-ოსეთის სატყეო სამმართველოში ვმუშაობდი. იმისათვის, რომ „ჯალაბეთის“ სატყეო უბანში მოვხვედრილიყავი, ცხინვალიდან საჩხერის რაიონში უნდა გამევლო, ხოლო პირდაპირი გზით, ტყის გავლით, 6 კმ იყო, საჩხერის მოვლით – 100 კმ-ზე მეტი. „ჯალაბეთის“ სატყეოში ტყის მრეწველობის სამინისტრო ატარებდა მთავარი სარგებლობის ჭრებს, რომლის გამოსატანად ტყის საზიდი გზების გაკეთებაც იყო გათვალისწინებული. ჩემი ინიციატივით ტყის მრეწველობის მინისტრს ვთხოვეთ ამ ექვსი კილომეტრი გზის მონაკვეთისთვის

მეტი დაფინანსება გამოეყოთ, რათა „ვილისით“ შესაძლებელი ყოფილიყო მოკლე გზით ჩვენს დაქვემდებარებულ უბანში მისვლა. ჩვენს საყვედურზე, „ძალად პატრიოტმა“, ქართველმა უბნის უფროსმა, მითხრა: „მე ოსებს გზას არ გავუკეთებო“, ხოლო ამ გზის საკეთებელი ფული რომ ჩაიჯიბა, ეს არად ჩააგდო. უბნის უფროსი კი მოხსნეს, მაგრამ გზა გაუკეთებელი დარჩა.

32. თბილისის „ლოკომოტივი“ რაგბში საქართველოს ჩემპიონი გახდა და როგორც ამ გუნდის შემქმნელი და პირველი მწვრთნელი საპატიო სტუმრად მიმიწვიეს. მეც, ჩემი მხრივ, 20 წიგნი, „ჩემი ყისმათი“, წარწერით ავტორისაგან, მოვიტანე საჩუქრად. ცოტახნის შემდგომ ერთი წიგნი ჩემი ამხანაგის ძმამ ნახა, ვაკეში სანაგვე ყუთის გვერდზე დადებული, რომელიც ცელოფანის პარკში იყო გახვეული. ამიტომაცაა, რომ უცნობ ადამიანს, თუ გინდ კეთილი სურვილებით, წიგნი არ უნდა აჩუქო.

33. დავურეკე ერთ ჩემს ძველ ნაცნობ ქალბატონს. შევხვდით რესტორანში, მომიყვა, რომ ვაჟი ადრეულ ასაკში დაქორწინდა, მაგრამ რძლით დიდად აღფრთოვანებული არ არის. სახლამდე მივაცილე. არ მომეშვა, სახლში შემიპატიჟა, გამაცნო თავისი რძალი, შვილს ადრეც ვიცნობდი და ლოგინი გამიშალა „ზალაში“, სწორედ ახლადაქორწინებული შვილის ოთახის გვერდზე, მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, თან ნასვამიც ვიყავი, ცოტახნის შემდეგ თვითონაც შემიწვა ლოგინში და ძალზე ვნებიანი ქალის როლი ითამაშა სექსაობის დროს. რძალი და ვაჟი დილაადრიან სამსახურში წავიდნენ, მე თავი უხერხულად ვიგრძენი. რძალ-დედამთილს შელაპარაკება მოსვლიათ, რძალს უთქვამს, თქვენ დაბერდით და ახალგაზრდებს მოგვეცით საშუალება ჩვენს ჭკუაზე ვიცხოვროთო. ეს მოჭარბებული „ვნებიანობაც“ ამ სიტყვების საპასუხოდ იყო ნათამაშევი.

34. კოოპერატივში მუშაობა დავაწყებინე ერთ ჩემ უმუშევარ კარგ ნაცნობს, მთხოვა, ოჯახის საჭიროებისათვის ფული წინასწარ მომეციო და ამ ფულით ცოლ-შვილი საზღვარგარეთ წაიყვანა „დასასვენებლად“ და თავადაც იქ დარჩა, როდესაც შევახსენე

ვალი ტელეფონით, აქეთ შემომედავა: „არ გრცხვენია, ამდენ ფულს შოულობ და ვალს მთხოვო“.

35. ერთი ჩემი ნაცნობი მეცნიერი დავპატიჟე რესტორანში, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, არაყს მიეძალა. ტაქსით სახლის სადარბაზოსთან მივიყვანე და მე გზა განვაგრძე. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს კაცი სახლში არ მისულა, თავის ძმაკაცთან შესულა იქვე სადარბაზოში და კიდევ მოუსურვებია დალევა. უჩხუბიათ და ყოველივე მე დამბრალდა. ამ კაცის ცოლი, რომელიც ჩემს მიმართ კარგად იყო განწყობილი, უკვე ცივად მხვდებოდა.

36. სამხრეთ-ოსეთში მუშაობის დროს საკავშირო სატყეო კომიტეტმა შემოგვთავაზა დომბისთვის გაგვეკეთებინა ნაკრძალი. მე ამ დროს დაინტერესებული ვიყავი მეცხოველეობაში ველური მეურნეობის დანერგვით. ჩემი წინადადება ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეს გავაცანი, რა თქმა უნდა, სამხრეთ-ოსეთის სატყეო-მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანადგომით. პროექტში დაიწერა, რომ ეს უნდა გაშენებულიყო ჯავის რაიონში სოფელ ხვწედან ზედა როკამდის, დღევანდელი როკის გვირაბამდე. ამისათვის საჭირო იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილი და იმ რეგიონში მცხოვრები 144 ოსი ეროვნების მცხოვრებთა გადასახლება თუნდაც კახეთის ან მარნეულის რაიონებში. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუკვირდები, საქართველოს რომ თანხმობა მიეცა, იქ არც როკის გვირაბი აშენდებოდა და არც დღევანდელი გაუგებრობა გვექნებოდა ოსებთან. ეს წინადადება წარდგენილ იქნა 1970 წელს. როგორც ყოველთვის, ოლქის ეს თხოვნაც იმდროინდელი საქართველოს მთავრობის მიერ ყურად არ იქნა მიღებული.

37. სატყეო ინსტიტუტში ყოფნის დროს მივლინებაში წავედით თიანეთის სატყეოში, იქიდან ჩამოვუარეთ ერთი ჩვენი გარდაცვლილი ამხანაგის მამას, რომელსაც ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების გამგემ „დრუჟბა“ ხერხი ათხოვა ზამთრისათვის შეშის დასაჭრელად. ამხანაგის მამამ პურმარილი გაგვიმართა.

რომ შევქეიფიანდით, მექანიზაციის განყოფილების გამგემ წამოაყენა წინადადება, ეს ხერხი ხომ არ გვეჩუქებინაო, მაინც ყოველწლიურად მე ჩამაქვსო. მოკლედ, ვისაც ნება ჰქონდა, ჩამოუწერა, ის გახლდა ამ გარდაცვლილი მეგობრის თანაკურსელი, დაგვეთანხმდა. მეორე დღეს გავაფორმეთ ჩამოწერის აქტი, რადგან ხერხი მაინც ძველი იყო და შევუტანეთ ამ კაცს, ვისაც ხელეწიფებოდა ჩამოწერა, მან უარი განაცხადა და წესიერებაზე თავი დადო, სუფრაზე კი დაგვთანხმდა.

38. ცხინვალის სასტუმროში მორიგე შემომიჩნდა, მთხოვა, ეს ღამე ჩემთან გაატარეო. მე ვუთხარი, ქალებს ფულს მაგ საქმეში არ ვუხდი-მეთქი. არ მინდაო. მოსახდენი მოხდა და მეორე დღეს პატარა ბავშვთან ერთად მოვიდა და მთხოვა, დაგვეხმარე ამ ბავშვისათვის ჯინსის შარვალის ყიდვაშიო. იძულებული გავხდი 10-11 წლის ბავშვისათვის ჯინსის საყიდელი ფული მიმეცა, ასე რომ თავისი მაინც წაიღო და მეტიც.

39. ასტრახანში, ზამთარში, ერთი ქართველი მეთევზის ინიციატივით, წავედით, სხვა მეთევზეებთან ერთად, ყინულზე სათევზაოდ. ჩემმა ნაცნობმა ჩაიცვა ძალიან თბილად, ამოხრახნა ყინული და დაიწყო თევზაობა, მე კი შემცივდა და ავტობუსს შევაფარე თავი. არ ვიცოდი, როგორ მოხდა და ამ ჩემს ნაცნობს ყინული ჩაუტყდა და წყალში ჩავარდა, იქიდან სხვა მეთევზეები რაღაცას მიყვირიან, გამოვიქეცი მითხრეს თოკი მომეტანა, რომელიც ჩადებული იყო რომელიღაც ყუთში ავტობუსში, სანამ მოვიძიე თოკი, გადავუგდეთ და წყლიდან ამოვიყვანეთ, გარკვეული დრო გავიდა. მან კი მისაყვედურა, შენ რომ ჩემს გვერდზე ყოფილიყავი, ეს არ მომივიდოდაო! ვინ იცის, შეიძლება ორივე აღმოვჩენილიყავით ყინულიან წყალში სამუდამოდ.

40. ახალ ათონში ერთ მომხიბვლელ გოგონასთან ერთად ზღვაში ვცურავ, ეტყობა ეს გოგონა არ იყო ჩემს მიმართ გულგრილი. ცურვის დროს ლიფი ჩაუსრიალდა თუ თავად ჩაიწია (ძალზე ლამაზი მკერდი ჰქონდა), არ ვიცი. ვუთხარი, ლიფი შეგხს-

ნია-მეთქი! ლიფი აიწია და ერთი გემრიელადაც გამომლანძღა, როგორ გაბედე შეხედვაო.

41. ერთხელ ამხანაგის დამ, რომელსაც გულის რაღაც დაავადება აწუხებდა მთხოვა, ზღვაში საცურაოდ გავყოლოდი, გავშორდი 100 მეტრიან ზონას, რის გარეთ დამსვენებლებისთვის გაცურვა აკრძალულია, მთელი ორი საათი ერთად გავცურეთ ზღვის ნაპირის საპირისპირო მხარეს. უკან მობრუნებისას ორივე ფეხი გამენასკვა, ვთხოვე ცოტა ხანს შეჩერებულიყო რათა მის ტანზედ მორგებული საცურაო რგოლისთვის ხელი შემევლო, მაგრამ მითხრა ორივე დავიხრჩობით, შენ თავს მიხედეო და ნაპირისკენ გამოცურა.

42. ერთი პიროვნება ჩემთან ნაცნობობით ტრაბახობდა, სხვებს ჩემთან „საქმეებს უწყობდა" და თან ფულს სძალავდა. ჩემ საყვედურზე მითხრა, რა ვქნა, მე დღეს სხვა გზა ვერ მოვნახე ფულის კეთებისო.

43. ჩემმა მეგობარმა სასესხებლად ფული ვერ იშოვა, ბანკმაც უარი უთხრა და ისევ მე მთხოვა, ვაჩვენე შემნახველი სალაროს წიგნაკი, სადაც ერთი თვის შემდეგ დანარიცხი 12% უნდა მიმეღო და ვუთხარი დაეცადა. მას ეს თანხა სასწრაფოდ სჭირდებოდა და მითხრა, ამ დანარიცხს თავად ამინაზღაურებდა. როცა ფული დამიბრუნა, მისაყვედურა, ეს მაინც არ არის მეგობრობა, ფული ხომ პროცენტით დაგიბრუნეო!

44. სამხრეთ-ოსეთის სამმართველოში მუშაობის დროს ჩვენი დამხმარე მეურნეობის დირექტორის საქმიანობა გადიოდა სამინისტროს კოლეგიაზე, სადაც შესაძლებელი იყო სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ. სამმართველოდან წარმომადგენლად სამინისტროში მე გამგზავნეს. ირგვლივ გვახვევია სამმართველოს ახალგაზრდა თანამშრომლები, ზომაზე მეტად გვქომაგობენ. კოლეგიაზე დირექტორს საყვედური გამოუცხადეს, ხოლო ჩვენს „ქომაგებთან" რომ გამოვედით, დირექტორმა თქვა, რომ მოხსნეს. ამის თქმა და ყველა ჩვენი „ქომაგი" თანაგრძნობის თანაგრძნობის გარეშე უსიტყვოდ გაგვშორდა. მან ხელი გამომდო და სამინისტრო-

დან გამოვედით, მე ვკითხე რატომ მოიტყუე, შენ ხომ არ მოუხსნიხართ-თქო. „გოგი, ამ ტრაკის ჭიებს“ არაფერი შეუძლიათ და რომ მეთქვა თანამდებობაზე დამტოვესო, ეგენი ყველა რესტორანში უნდა დამეპატიჟა, ახლა წავიდეთ, მე და შენ მოვულხინოთ, უფრო იაფი დაჯდებაო.

45. ერთი თავისებური ჭკუის ამხანაგი მყავდა, დაგვპატიჟა თავის აგარაკზე და გვითხრა, ღვინო და პური თქვენ მოიტანეთ, დანარჩენს მე ვიკისრებო. მართლაც დანიშნულ დღეს მივედით, პურღვინო მივიტანეთ, ის კი მწვადებს წვავს. რომ შევქეიფინდით, მისი დამზადებული ნანადირევი „კურდღლის“ მწვადებიც მივირთვით და კარგ ხასიათზე ვართ. გვეუბნება, რომ ეს მწვადები მის მიერ დაჭერილი გველის ხორცის იყო.

46. ტიუმენში ორი ახალგაზრდა გამაცნეს და მთხოვეს დამესაქმებინა, ხოლო ერთ-ერთი ცოლს ეჩხუბა და ჩემი ნაცნობი პროკურორის დახმარებით საქმე სასამართლოს არ გადასცეს. კარგად მუშაობდნენ, გავიშინაურე, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და არასაუწყებო დაცვის თანამშრომელი ქალი, რომელიც მე არ მემორჩილებოდა, მეუბნება ღამის 10-11 საათზე მოდიან ეს ბიჭები და მეორე სართულზე გასაციებლად დადებულ ქათმის რულეტებს იპარავენო. მეწყინა, ბიჭები დავითხოვე სამსახურიდან.

47. დღეში ჩემი საწარმო დაახლოებით 300-350 ქათამს ამუშავებდა, ძვლებისგან ათავისუფლებდა ხორცს, ამ ძვლებისაგან პირველი თავის საჭმელის და „ლაბას“ დამზადებაც შეიძლებოდა. ქალებმა მთხოვეს ამ ნარჩენების ზოგიერთ ნაწილს სახლში წავიღებთო. შემეშალა და დავთანხმდი, ცოტახნის შემდეგ ძვლებზე მეტ ხორცის დატოვება დაიწყეს, შიგადაშიგ ქათამსაც ხელს აყოლებდნენ. ისევ ძველი წესი აღვადგინე, ამ ნარჩენებს ქათმის ფერმას ვაბარებდი და სანაცვლოდ დამატებით ქათმებს გვაძლევდნენ. ასე, რომ უაზრო გულკეთილობა წამგებიანია და გამართლება არ აქვს.

48. ბინის დაქირავებაში მიტიშჩი, მოსკოვის ოლქში, ერთი ქართველი მეხმარებოდა, ბინა მაჩვენეს, მომეწონა და „მაღარი-

ჩიც“ ვიკისრე. მეორე დღეს, როდესაც ბინის გასაღებებისთვის მივედი, უარი მითხრა ბინის პატრონმა. როგორც გაირკვა, თურმე ბინის გაქირავების აფიორა ჩემი ნაცნობი ქართველის მიერ იყო მოწყობილი. კიდევ კარგი, ბინის ქირის ფული წინასწარ არ მივეცი.

49. სსრ კავშირის ტყის მრეწველობის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა შემომთავაზა, რომ საქართველოს ტიუმენის ოლქში გამოუყოფდა ტყეკაფს და თავადვე საქართველო დაამზადებდა რესპუბლიკისათვის დაგეგმილ ხე-ტყეს. ეს ძალზე მომგებიანი წინადადება იყო ყველანაირად. მივედი ჩემს ნაცნობ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის მინისტრთან, მის მოადგილესთან, თავიდან ძალზე მოეწონათ წინადადება. შევთავაზე ტიუმენის ოლქში თავად მე ჩავუდგებოდი სათავეში ამ საქმიანობას. თავიდან გახარებულები დამთანხმდნენ, მერე როგორც ყოველთვის, შურმა იმძლავრა, რადგან მეც რაღაც დამატებითი შემოსავალი და მათზე უკეთესი ურთიერთობა მექმნებოდა საკავშირო სამინისტროში.

50. საქართველოში რამდენიმე „კოოპერატივი“ გავხსენი, ხოლო ერთ-ერთი ჩემი თანამშრომელი და მოწილე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, სხვა კოოპერატივში სამუშაოდ და მეწილედ რატომ არ მიმყავდა. ის მასზე დაკისრებულ საქმესაც წესიერად ვერ ასრულებდა და „ბაცნობაში“ მყავდა შემჩნეული. „მასწავლე გზები, დამაკვალიანე და მეც ვისწავლიო“, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობას რომ ცოდნა უნდა, მოხერხებულობა და გამოცდილება, ამას არად დაგიდევდათ. მე წამოვედი ამ „კოოპერატივიდან“ და რაღაც 6 თვეში გაკოტრდა, რადგან თავად არაფერი შეეძლო და მისდღეში სხვის იმედზე იყო.

51. მე ადამიანს ფულს ვასესხებ იმ შემთხვევაში, თუ ის უძრავ ქონებას შეიძენს. ერთხელ ჩემმა კარგმა ნაცნობმა ქართველმა, ხაბაროვსკში, მთხოვა ბინის შესაძენი ფული მესესხებინა. ბინა ვნახეთ, ხელშეკრულება შევადგინეთ და ბინის საყიდელი ფული მივეცი, მან კი ეს ფული „შეიხახვისთავა“, ბინა არ იყიდა და როგორც შემდგომ გაირკვა, ბინის ჩვენება ფარსი ყოფილა.

52. ასტრახანში არენდით ავიღე თევზის ქარხანა, თბილისიდან სამუშაოდ წავიყვანე ერთი ახალგაზრდა, იქაც ერთი ახლადცოლშერთული უმუშევარი ქართველი სამსახურში მივიღე. თავიდან წესიერად მუშაობდნენ, მაგრამ მერე მზა პროდუქციის გასასაღებელი გზები და ტექნოლოგია რომ ისწავლეს დაიწყეს მამაძაღლობა. ჩავიდოდი ასტრახანში სამუშაოდ ყველაფერი წესრიგში იყო, წამოვიდოდი, იწყებოდა ისევ „მაიმუნობა“.

53. ჩემი კოოპერატივის წევრებს თბილისში, რომელსაც ასტრახანის ეს ფილიალი ემორჩილებოდა, შევთავაზე, სამ-სამთვიანი მორიგეობა მოგვეწყო ასტრახანში. შედეგად ჩემს „ჯინაზე“ უაზრო გულკეთილობას იჩენდნენ და ეტყობა, თავადაც სარგებლობდნენ, ამასთან მამადლიდნენ: „ერთმა, ცოლი გამიბოზდებაო“, მეორემ, „ოჯახს თუ მოვშორდი და ბავშვები მივატოვე, ასეთი ფული რად მინდაო“.

54. ასტრახანში ერთი „უაზის“ მძღოლი ავიყვანე, მანქანას თავად არემონტებდა და კარგი კაცი იყო. მოხვდა ავარიაში, ნასვამ მდგომარეობაში. ერთ-ერთი მორიგე, ჩემი კოოპერატივის წევრი, მირეკავს სასწრაფოდ ჩამოფრინდიო. ჩავფრინდი, მანქანა მილიციიდან გამოვიყვანე, მძღოლს ლოთობა არ გაუფორმეს, რადგან მთხოვა, ეს საქმე გამიკეთე და მანქანას გავარემონტებო. მოკლედ, არც მანქანა შეაკეთა ბოლომდე, მეც გავუბრაზდი და ეს საათივით აწყობილი ქარხანა უკან ჩავაბარეთ. რადგან ჩემს გარდა მუშაობას ყველა გაურბოდა, ხოლო ასტრახანში მუქთად ყოფნა მე არ შემეძლო. ამასთან ისიც გავიგე, რომ ეს მძღოლი საამქროს გამგეს თავად წაუყვანია თავის საქმეების საკეთებლად და ქართული წესისამებრ მძღოლიც გამოუთვრია, შედეგად – ავარია. თან მძღოლი გაუფრთხილებია: არ თქვა რომ დაგალევინე, თორემ ორივეს გაგვაგდებსო.

55. ბათუმში რაღაც საქმეზე სულ ორი საათის ჩასული ვარ აჭარის თევსაჭერ ფლოტში. ამ დროს სელექტორზე, რადიოში, გაისმა ჩემი გვარი და მთხოვენ მისაღებში მივიდე. ავედი, თბილისიდან მირეკავენ, ქალაქის მილიციის ქონების დატაცების სამსა-

ხურმა შეგამოწმა და სასწრაფოდ ჩამოდიო. იმ დღესვე უკან ჩავფრინდი თბილისში. გამოირკვა, რომ გეგმიური შემოწმება ჩაატარა ქალაქის მილიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა. როდესაც კოოპერატივში პარტნიორებად ავიყვანე ეს ხალხი, მათ შორის, ჩემი ნათესავი, რომელიც მომმარაგებლად მუშაობდა ერთ-ერთ სამინისტროში, თავი გამოიდო, მაგ ხალხის ენა მე ვიცი, შენ არ გაგაკარებო. საქმე-საქმეზე რომ მივიდა, ორივემ „ჩაისვარა“ და დამფრთხალი კურდღლებივით მე შემომყურებდნენ.

56. ერთმა ჩემმა ნაცნობმა საქალბატონემ გათხოვება გადაწყვიტა მასზე ახალგაზრდა მამაკაცზე. საქმე ქორწინების ოფიციალურ გაფორმებამდე მივიდა. საბუთების გადაკეთების უნარის მქონე ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რად გინდა, ყოველი წლის დაკლებაზე 10 მანეთი მოითხოვა, შეკითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს რომელ ციფრს დაწერს, მან უთხრა „მე ხელობას ვერ ვუღალატებო“. მოკლედ, დაბადების მოწმობასა და პასპორტში წლების მოკლებაში და 8 წლით გაახალგაზრდავებაში ორივე საბუთში 160 მანეთი გამომართვა. მაგრამ რად გინდა, ეს საქალბატონე ეტყობა, „დაქალებმა“ ჩაუშვეს და გაუთხოვარი დარჩა. ბოლოს მე მისაყვედურა: შენი ბრალია ის 160 მანეთი რომ დავკარგეთო, იმ კაცისთვის სიმართლე რომ მეთქვა, შეიძლება ცოლად გავყოლოდიო. ასე, რომ ქალს ვერაფერს გაუგებ.

57. უნივერსიტეტში ბიოქიმიის კათედრაზე მუშაობის დროს ძალზე საინტერესო თემას ვაკეთებდით, სხვადასხვა პერსპექტიული ნარჩენებისაგან დამატებით საკვების მისაღებად. ერთ-ერთი ლაბორატორიის გამგემ, პროფესორმა, გვთხოვა ის და მისი ხალხიც გაგვეყვანა ამ თემაში. კათედრამ უარი უთხრა, ჩვენი ძალებით გავაკეთებთო. მან კი საჩივარი დაგვიწერა მოსკოვში.

58. საერთოდ, კვების მრეწველობაში უმაღლეს პოლოტაჟად ითვლება ძეხვის ფარშის შერევა და ახალი კონსერვის გამოშვება. მე ჩემი ფანტაზიის წყალობით ვქმნიდი ახალ კონსერვებს, ეს კი რატომღაც არ მოსწონდა ფლოტის ერთ-ერთი მთავარ ტექნოლოგს და ის „აზოვ-შავი ზღვის“ შემადგენლობაში შემავალ ქარხ-

ნებს აწვდიდა ჩვენს ახალ ტექნოლოგიას. მოკლედ, საწარმოო ჯაშუშობას ეწეოდა.

59. ასტრახანში ერთმა ჩემმა ქართველმა ნაცნობმა მთხოვა, იმ სასტუმროში, სადაც მე ვცხოვრობდი და სასტუმროს დირექტორსაც კარგად ვიცნობდი, სამი ბოშა ბიჭი მომეწყო, რომლებიც რაღაც კონცერტების ჩატარებას გეგმავდნენ ასტრახანის ოლქის სოფლებში. ეს ბიჭები დათვრნენ და ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. სასტუმროს დირექტორმა ქალმა მითხრა, ახლავე დააწყნარე, თორემ მილიციას გამოვუძახებო, შევედი ოთახში და დავუწყე გაშველება, ამჯერად ერთმანეთის ცემას თავი ანებეს და მეც მუშტი მომხვდა. გაბრაზებულმა სამივენი ნოკაუტში გავუშვი, მეორე დღეს სამთავემ ბოდიში მომიხადა, ხოლო მათმა პროტეჟე ქართველმა, ამ ბიჭების გასაგონად, ჭკუის დარიგება დამიწყო და მისაყვედურა, ჩემთვის პატივი უნდა გეცა და არ უნდა გეცემაო.

60. ერთმა ნაცნობმა ქალბატონმა მთხოვა კომპიუტერი მეჩუქებინა. ჩემი ნაქონი კომპიუტერი ჩემი ხელით მივუტანე, დაუმონტაჟე და ვაჩუქე, შემდეგ საყვედური უთქვამს: „დიდი რამე, ნახმარი კომპიუტერი“ მაჩუქაო. ეს მაშინ, როდესაც კომპიუტერი ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო ქალაქში.

61. 90-იანი წლების დასაწყისში როდესაც საქართველოს ძალზე უჭირდა, ხონში ჩემმა ნათესავმა შემომთავაზა ჩაის ფაბრიკის შეძენა თავისი ორი ფილიალით და 430 ჰექტარი ჩაის პლანტაციით. დავიწყეთ მოლაპარაკება, როდესაც მიხვდნენ, რომ მე სერიოზულად დავინტერესდი, ყველამ მთხოვა რაღაც წილი მათთვისაც მიმეცა. სინათლე იმ დროს ხონში საერთოდ არ ჰქონდათ. გადავწყვიტე მეყიდა მცირე ჰიდროსადგური რომელიც ქარხნის მოთხოვნებს მთლიანად დააკმაყოფილებდა. წავედი თბილისში მაშინდელ „საქენერგოში“ და გაირკვა, რომ თუ ელექტროსადგურს ავაშენებდი, სადგურის გამომუშავებული ენერგია უნდა ჩამერთო საერთო ქსელში, ისინი დამიწესებენ ფასს და მომცემენ ჩემ მიერ აშენებულ ელექტროსადგურებიდან მოპოვებულ ენერგიის გამოყენების უფლებას. ამასთან რაიონის ხელისუფლებამაც მაგრძნო-

ბინა, რომ ისინიც უყურადღებოდ არ დაემტოვებინა. ერთი სიტყვით, გავბრაზდი და უარი ვთქვი. დღეს ეს ჩაის ფაბრიკები გაქურდულია, ხოლო ჩაის პლანტაცია გავერანებული. არა და მე მქონდა კარგი ტექნოლოგიები გავერანებული ჩაის პლანტაციის ყლორტებიდან კოფეინის დამზადების, მდნადი ჩაის სხვადასხვა ვარიანტების მიღების და მისი ჰიდროსკოპიულობის შემცირებისა.

62. ერთი ჩემი ახლო ნათესავის შვილი უსაქმოდ დაეხეტებოდა მოსკოვში. ჩემ ქართველ მეგობარს ვთხოვე მშენებლობაზე სამუშაოს მწარმოებლად მოეწყო. იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი ხელფასი დაუნიშნა და თანაც ბინის ქირასაც უხდიდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ ჩემმა ნათესავმა იქით დაუწყო ჩემს ამხანაგს ჭკუის სწავლება. მის კითხვაზე: რა ვუყოთ შენს პროტეჟესო, იძულებული გავხდი მეთქვა გაეთავისუფლებინა.

63. რადგანაც აჭარის თევზსაჭერ ფლოტში, როგორც მეცნიერებათა კანდიდატს, ყველაზე მეტი ხელფასი მქონდა. ფლოტის მთავარი ბუღალტერი, ჩემ დაუკითხავად ხან პრემიას მიწერდა, ხანაც ჩემი სახელით დახმარებას ითხოვდა და ჩემს მაგიერადაც ხელს აწერდა. ამის შესახებ შემთხვევით თევზის მრეწველობის საკავშირო სამინისტროში გავიგე, ჩემს საყვედურზე, ბუღალტერმა თავი იმით იმართლა, რომ მას მივლინებებში ფული ეხარჯებოდა, ხოლო ჩემი ხასიათი რომ იცის, დახმარებაზე თხოვნას არ დავწერდი.

64. ქალაქ ჩერნიოვეცში წინასწარ შევუთანხმდი სპირტის ქარხნის დირექტორს, რომ 80 ტონა სპირტს მომცემდა. ჩავედი, მაგრამ უარი მითხრა: თქვენმა ე.ი. თბილისის პარფიუმერიის ქარხანამ იმაზე ნაკლები ფული ჩამირიცხა, რაზედაც შევთანხმდითო გამოდის, ქართველები სანდო ხალხი არ ყოფილხართო და უარით გამომისტუმრა. სამწუხაროდ, ზოგ ჩვენს თანამემამულეს არ ესმის, რომ მისი არაადეკვატური ქმედება მისი მიწაწყლის ხალხის იმიჯზეც მოქმედებს.

65. სამწუხაროდ, ქართველი კაცის ნდობა უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება, განსაკუთრებით, თუ მის გვერდზე არ დგახარ

და ერთმანეთს არ ამოწმებთ. ერთმა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა მთხოვა დავხმარებოდი და ბიზნესი ერთად გაგვეკეთებინა. შევუძინე 10 მაცივარი, ერთი ფურგონიანი მოსკვიჩი მზა ნაწარმი დასარიგებლად, თან გავაფრთხილე, რომ მე ამ საქმეში მონაწილეობას არ მივიღებდი, რადგან ერთი კაცი ამ საქმიანობის საკეთებლად სრულიად საკმარისი იყო. გავიდა რამდენიმე თვე და არავითარი შემოსავალი, არა და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მოსკოვის მაღაზიებში იყიდებოდა. ვუთხარი, ჩემი დანახარჯი ფული უკან დაებრუნებინა. საინტერესო ის არის, რომ მან ეს ფული მეორე დღესვე სახლში მომიტანა, ხოლო სიტყვით წაგებაზე მუშაობდა.

66. ქ. ტიუმენში ოთხი ტონა ხინკლის დასამზადებელი ფქვილი გამიფუჭეს ჩემმა ქართველმა თანამშრომლებმა ერთმანეთს ჯიბრით და შურით ისე, რომ ის მექათმეობის ფერმასაც კი არ ჩააბარეს, რომ რაღაც ხეირი გვენახა და ნაცვლად ქათმები მოეცათ.

67. ვატარებ საქართველოს პირველობას რაგბიში, ერთ-ერთ ტურს. ერთ-ერთ გუნდს, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა წარმატებით გამოსვლა, არ გაუმართლა და რა თქმა უნდა, თავის სისუსტე არაობიექტურ მსაჯობას დააბრალა. გუნდმა წაიხულიგნა და გავაფრთხილე, რომ შეჯიბრებიდან მოვხსნიდი. ცოტახნის შემდეგ მათი მწვრთნელი მოვიდა, მომიბოდიშა და მთხოვა მათთვის განკუთვნილი კვების ტალონები მიმეცა. შედეგად ტლონები ჩუმად გადაახურდავეს და შეჯიბრება დატოვეს. ამ კაცის გვარის დასახელებას ვერიდები, რადგან მასაც რაღაც გაუკეთებია რაგბის გასავითარებლად, მაგრამ თავის ამბიციებს ვერ აჯობა, რაღაც მიზერული თანხა გამომტყუა და ჩემ თვალში სახელი სამუდამოდ გაიფუჭა.

68. ერთხელ მე და ჩემი ასაკით უფროსი ამხანაგი პლეხანოვზე მოვსეირნობდით. საქ. შინაგან საქმეთა მინისტრის რძალი, ძალზე ლამაზი გოგო, ჩემი კლასელი, შემოგვხვდა, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე მინისტრის შვილმა ცოლად შეირთო. ჩემმა

ამხანაგმა მკითხა, ვინაა, ბიჭო ეს ლამაზი გოგო. ეს სიტყვები მის ქმარს გაუგონია, სახლში წავიდა, იარაღი აიღო და დაგვეწია და გზა გადაგვილობა. შენმა ამხანაგმა ჩემს ცოლს შეურაცხყოფა მიაყენაო, ამ ბიჭს, ეტყობა ოფოფები უფრინავდა და ძველბიჭობაზე ჰქონდა გართულება.

69. ერთ-ერთ ჩემს კარგ ნაცნობს საჭირო ხალხი გავაცანი ფულის საკეთებლად, საიდანაც გარკვეული წილი ჩემთვისაც უნდა მოეცათ. რამდენიმე საქმე წარმატებით დააგვირგვინეს, ჩავედი მოსკოვში, ის კი გატრუნულია. გავიკითხე, საქმე გამოსვლიათ, მაგრამ ფულის მოცემას არ აპირებს. როდესაც შევახსენე თავი, იმართლა, ეს ფული ბინის სარემონტოდ დამჭირდა, კიდევ ჩემი ცოლი შემიჩნდა, მანქანა გამოვცვალოთო და მერე გაგისტუმრებ ვალსო. ეს ვალი დღესაც მოსაცემი აქვს, რატომღაც ქართველი ვერ იგებს, რომ თავის უპირობით, უგნურებით, გაცილებით მეტს ჰკარგავს.

70. მოსკოვში ერთი ქართველი ცნობილი მხატვრის გამოფენა იყო, რომელთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. ამ საგამოფენო დარბაზში იყიდებოდა სხვადასხვა მხატვრის წიგნები, მათ შორის, ამ მახტვრისაც. მინდოდა ამ გასაყიდ წიგნებთან ერთად ჩემი გარდაცვლილი დის შვილის რამდენიმე წიგნი დამედო. როდესაც გამოფენის დირექტორს ამის შესახებ ვუთხარი, დამთანხმდა. მერე გავიგე, რომ ეს ჩემი ნაცნობი მხატვარი სასტიკი წინააღმდეგი წასულა, მე კი ყასიდად თანხმობა გამიცხადა.

71. აფხაზეთთან შექმნილ არეულობასთან დაკავშირებით, მაშინდელმა ალმასკომის ხელმძღვანელობამ კოოპერატივებს გვთხოვა სურსათ-სანოვაგე შეგვეძინა ჩვენი მეომრებისათვის. რა თქმა უნდა, ყველამ თავი მოვიქაჩლეთ და რაც გვთხოვეს, იმაზე მეტი მივიტანეთ. მე ალმასკომის თანამშრომლებს კარგად ვიცნობდი და სუფრაზეც მიმიპატიჟეს. ღრეობა გაიმართა ამ ჩვენი მოტანილი სანოვაგით. საბედნიეროდ, არის რაღაც წმინდა, რომელზეც ხელი არ უნდა წაგცდეს. მართალია, მე პროტესტი

არ გამომითქვამს, მაგრამ ასეთი რამ პატრიოტულ გრძნობებს და საერთო საქმეს ვნებს.

72. იმ დროს მოდაში შემოვიდა იტალიური ლაბადა. მე იმდროინდელ სპეკულიანტებთან ეს ლაბადა მიყიდეს 150 მანეთად. დედაჩემმა გაიგო, რომ მოსკოვში მივფრინავდი და 100 მანეთი მომცა, მოსკოვში ლაბადა უფრო იაფია და ჩამომიტანეო. სანამ გადამყიდველებთან მივიდოდი, შევიხედე ტანსაცმლის მაღაზიაში და იმავე ლაბადის გამოშვება მოსკოვის ქარხანას დაუწყია და 60 მანეთი ღირს. დავათვალიერე ლაბადა ჩემს ლაბადას შევადარე არაფერი სხვაობა არ იყო, გარდა იმისა, რომ მას ეტიკეტზე ეწერა: დამზადებულია მოსკოვში, ხოლო დედაჩემს მაინცდამაინც იტალიური ლაბადა უნდოდა. მოკლედ შევიძინე ეს ლაბადა, იქვე ავაძრე ჩემს ლაბადას იტალიური ეტიკეტი და დავაკერებინე ახლადშეძენილ ლაბადაზე. დედაჩემმა ის დიდხანს ატარა როგორც იტალიური ლაბადა და საყვედურიც არ გამოუთქვამს. ბოლოს მაინც ჩემმა ამხანაგმა „ჩამიშვა“, რომელიც ამ ლაბადის ყიდვის დროს ჩემთან იყო, რამაც დედაჩემის წყენა გამოიწვია.

73. თევზის ძვლებისგან გავაკეთე ხელოვნური რძე, ხბოებისა და გოჭებისათვის. სანამ ცდები ჩემი ხელმძღვანელობით ტარდებოდა, ძალიან კარგი წონა-მატება ჰქონდათ, როგორც ხბოებს, ასევე გოჭებს. მერე გავიგე, ფერმის გამგეს, რომელიც მეძმაკაცებოდა, უარყოფითი რეცენზიები გაუგზავნია აჭარის საოლქო კომიტეტში, თითქოს ეს რძე კუჭს უშლიდა ხბოებს, შემდგომ გაირკვა რომ ის ამ ხბოებზე ჩამოწერილი 250 ლიტრა რძით სინამდვილეში ყველი ამოჰყავდა და მარცხენა საქონელს უშვებდა. არადა, ეს ფერმის გამგე მელაქუცებოდა, სულ თვალებში მიყურებდა და ყველა ჩემს წინადადებაზე თანახმა იყო. ქლესა ადამიანს არ უნდა ენდო.

74. ჩემი ამხანაგის დას, პროფესიით მასწავლებელს, ვაჩუქე ჩემი წიგნი „ჩემი ყისმათი“. როდესაც რამდენიმე თვის შემდგომ შევუარე სანახავად, გამომლანძღა, ეს რა დაგიწერიაო, მაგრამ

შვილიშვილი პირზე დადგა: „თუ არ მოსწონს, აგერ მესამედ რატომ კითხულობს და მის გარეშე ვერ იძინებსო“.

75. მაშინ კოოპერატივის თავმჯდომარე გახლდით და უეცრად შეგვამოწმა ქალაქის მილიციამ, დაწერეს აქტი, მე ჩამოვედი ბათუმიდან და მივედი ქალაქის მილიციის ნაცნობ თანამშრომელთან. ჩემდა გასაკვირად ორმა თანამდებობის პირმა დახმარებაზე უარი მითხრა. არადა, ორივეს კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, რომ ფულსაც კარგად ღუნავდნენ.

76. ჩემ მიერ საგამომცემლო კომიტეტში გაგზავნილ იქნა პატენტის ასაღები „ჭადრაკი 100“, რომელიც გავაფორმებინე ჩემს კარგ ნაცნობს „ყოვლისმცოდნე“ ტრაბახას, როგორც ეს მოგვიანებით გამოირკვა. გაფორმებაში შეცდომა იქნა დაშვებული, რადგან მე წარვადგინე თამაშის წესები, ხოლო უნდა წარმედგინა მოწყობილობა. ე.ი. ჭადრაკი – 100 თავისი დამატებითი ფიგურებით და დაფით. გავიდა ათი წელი, დაიშალა საბჭოთა კავშირი და სხვის სწორად გაფორმებულ ანალოგიურ გამოგონებაზე გაიცა პატენტი, მაგრამ პრიორიტეტი მაინც მე დამრჩა. დღეს მოსკოვში ტარდება ქალაქის პირველობა ჭადრაკ – 100-ში. ხშირად ქართველი კაცი თავის საქმისადმი ფეხებზემკიდია დამოკიდებულებით და უაზრო ყარაჩოხელობით სხვის ინტერესებსაც ზიანს აყენებს და თავსაც.

77. ნათესავის რეკომენდაციით მაღაზია უნდა შემეძინა თბილისის ერთ-ერთ უბანში, სადაც მენეჯერად მას უნდა ემუშავა. მოვრიგდით, მაგრამ რომ გაიგო, შემოთავაზებული თანხის გაცემაზე თანახმა ვიყავი, პირი მიტეხა და მაღაზიის მეტად გაყიდვა მოინდომა. როგორც შემდგომ გამოირკვა, ფასის მომატების ინიციატივა ჩემი ნათესავიდან მოდიოდა.

78. საზოგადოებრივ საწყისებზე დამნიშნეს „ცეკას“ კომისიის თავმჯდომარედ და დამავალეს შემემოწმებინა ხულოს სატყეო მეურნეობა, რომლის დირექტორსაც კარგად ვიცნობდი. შედეგად იძულებული გავხდი, თანამდებობიდან განთავისულებაზე წარმედგინა ერთ-ერთი სატყეო უბნის უფროსი, რომელსაც მთავარი

სარგებლობის ჭრები დაენიშნა და დაედაღა სუბალპური სარ-ტყლის ზონაში. ეს დიდი დანაშაული იყო. დირექტორმა მისაყვედურა, მე კი განვუმარტე, რომ ეს ჭრის საჭრელი ბილეთი მის მიერ იყო დამოწმებული და პირველ რიგში ის უნდა წარმედგინა მოხსნაზე, ამიტომაც მას საყვედური კი არა, მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის.

79. მანდარინის გასაფცქვნელი მოწყობილობა ერთმა ძალზე ნიჭიერმა კაცმა ბათუმში გამოიგონა. მანდარინი სანამ ახალი იყო, გაფცქვის საქმეს თავს კარგადართმევდა, ხოლო როგორც ნაყოფი დაძველდებოდა და შაქარს გამოყოფდა, ნაყოფი წებოვანი ხდებოდა და გაფცქვნა გაძნელებული იყო. ჩემი წინადადებით, ამ მანდარინებს ცხელ წყალში ყრიდნენ გარკვეული დროით და შედეგიც კარგი იყო. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგარამ ფაქტია, ჩემი შეთავაზებული რაციონალური წინადადება არსად იყო მოხსენებული. ასევე ხეჭეჭურის და კაიფერას მსხლის მოხმარება ძალზე შეზღუდულია, რადგან წყლიანი ნაყოფი აქვს და გაურკვეველი გემოსია, ამასთან არც არომატი აქვს და არც დამახასიათებელი გემო. ინსტიტუტის წინაშე დადგა საკითხი მის საკამპოტედ და სამურაბედ გამოეყენებაზე. ჩემი წინადადებით ამ მსხლებისთვის უნდა დაემატებინათ ყოველ ნახევარკილოიან შუშის ქილაზე სამიხუთი მარცვალი ფეიხოა, რომელსაც ეს ნედლეული თავის გემოზე გადაჰყავდა და ძალზე სასიამოვნო სუნს და გემოს აძლევდა. როგორც ყოველთვის არც ამ შემთხვევაში გახსენებია ვისმეს, სადმე დაეფიქსირებინა ჩემი გვარი.

80. მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ვარ, დავესწარი საქართველოს თასის გათამაშების ფინალს რაგბში, სადაც თასი ჩემ მიერ ჩამოყალიბებულმა „ლოკომოტივის“ გუნდმა აიღო. გავეშურე გასახდელისაკენ და გადაწყვეტილი მქონდა საფირმო საათი იმ საუკეთესო მოთამაშისათვის გადამეცა, რომელიც ჩემი ამხანაგის შვილი იყო, ხოლო მის ბებია-ბაბუას გარკვეული წვლილი მიუძღოდა რაგბის განვითარებაში. გასახდელში მწვრთნელს

მიულოცე, მას კი არც უფიქრია ბიჭებისთვის ჩემი თავის გაცნობა. ამიტომ საუკეთესო მოთამაშე უსაათოდ დარჩა.

81. მოსკოვში ერთმა ჩემმა ნაცნობმა და ცნობილმა ქართველმა კაცმა მთხოვა მისთვის გამეკეთებინა მოზრდილი თანხის კრედიტი ამერიკულ დოლარებში. რადგანაც ვიცი ქართველების ხასიათი, მას სამჯერ ვათხოვნინე კრედიტის გაკეთება. დაველაპარაკე ბანკის მმართველს, მოვიყვანე ექსპერტი, რომელმაც შეისწავლა საკითხი და შესაძლოდ ჩათვალა კრედიტის გაცემა გარკვეულ ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვით. ჯერი მიდგა საბუთების შედგენაზე და ამ უკანასკნელმა ფეხის ათრევა დაიწყო. გამოირკვა, რომ სხვა მისი ნაცნობი ბანკი შეპირებია კრედიტს, შედეგად დაგეგმილი კრედიტის მხოლოდ ერთი მესამედი მიუცია, ხოლო მე რომ მათხოვნინა ამ სოლიდური ბანკის მმართველისთვის მილიონნახევარი დოლარი და შემარცხვინა ამ კაცთან, არად ჩააგდო. მიუხედავად ჩემი ასაკისა და გამოცდილებისა, ქართველი კაცის ბუნება ჩემთვის მაინც შეუცნობელია. რატომღაც წესიერება და პასუხისმგებლობა გვაკლია საქმის კეთებისას.

82. ჯერ-ჯერობით, ვინც ერთად-ერთი ყალბი 50 დოლარიანი შემომატყუა, ქართველი იყო. რუსულ ფულს ვახურდავებ დოლარებზე, რიგი დგას, ამ დროს მოვიდა ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი და მთხოვა მისგან მეყიდა 50 დოლარიანი, რაღაც ეჭვი კი შემეპარა, მაგრამ ისეთი სახით მითხრა, რომ კუთვნილი თანხა მივეცი.

83. ჩემ მიერ შექმნილი იყო „პეპსი-კოლას“ და „კოკა-კოლას“ მსგავსი ვაჟინიანი სასმელი, რომელიც კეთდებოდა ანწლის კონცენტრატზე, საკმაოდ სასიამოვნო და ტონიზირებული სასმელი იყო. შევთავაზე ერთი ცნობილი დინასტიის წარმოამდგენელს, რომელსაც საშუალება მიეცა „პერესტროიკის“ შემდგომ ჰქონოდა თავისი ვაჟინიანი წყლის ჩამოსახმელი ქარხანა. მან რატომღაც ამ სასმელის არც დაფინანსება მოინდომა და არც გამოშვება. მეც გავბრაზდი, თან მოსკოვში გადავედი საცხოვრებლად. ასე, რომ შინაურს, როგორც ყოველთვის, შენდობა არ აქვს.

84. ერთ ჩემს კარგ ნაცნობს ნიჭიერ და შემოქმედ ადამიანად ვიცნობდი, მაგრამ მასთან საუბარში გაირკვა, რომ ცოლი ფულისა და ქონების გულისთვის მოუყვანია, ეს ჩემთვის ამ კაცისგან ფეხის დადებაზე მეტი იყო, რადგან მას მე უაღრესად დიდ პატივს ვცემდი.

85. შევიმუშავე ტექნოლოგია, რომელიც დაბალი ხარისხის ჩაის ნაყენს აუმჯობესებდა და კარგ სასაქონლო სახეს აძლევდა, რაც საშუალებას იძლეოდა დაბალი ხარისხის ჩაი პირველი და უმაღლეს ხარისხით გამოგვეშვა. ამ ტექნოლოგიით დაინტერესდა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების დირექტორი. მისი თხოვნით ჩავედი ზუგდიდში, მან დაისწრო ვიეტნამიდან ახლად ჩამოსული ქართველი ტიტესტერები, მათ თვალწინ მოხდა ჩაის ხარისხის გაუმჯობესება, ტიტესტერები გაოცებას ვერ მალავდნენ. მოკლედ მოვრიგდით 50000 მანეთზე და დირექტორის ახლადშეძენილ შავ ვოლგაზე. მათ ამ ტექნოლოგიის გამოყენება უდიდეს მოგებას აძლევდა, რადგან მაშინდელი საბჭოთა კავშირის ბაზარი ქართულ ჩაით იყო გაჯერებული. ერთ თვის შემდეგ შეთანხმებისამებრ ჩამოვედი, ჩამოვიტანე დამოწმებული ტექნიკური პირობები და ტექნიკური ინსტრუქცია. შედეგად ახალ „ვოლგის“ ნაცვლად ძველი ვოლგის შემოტყუება მომინდომა ხოლო 50000 ნაცვლად 25000 მოცემა. ტექნოლოგიის დანერგვა ჩაიშალა და დღესაც არავისთვის არ მიმიცია.

86. სანამ დისერტაციას დავწერდი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარედ ჩემი კარგად ნაცნობი პრორექტორი დანიშნეს და ის თავად შემპირდა, როგორც კი დისერტაცია მზად გექნება, პირველ რიგში შენ გაგიშვებ დაცვაზეო. როდესაც მივაკითხე, მითხრა ძალზე დიდი რიგია და ერთი წლის შემდეგ ჩაგსვამ რიგში თუ გინდაო. გავბრაზდი და მოსკოვში დავიცავი დისერტაცია. როგორც გამოირკვა მას ზემოდან ურეკავდნენ, რიგში რომ ჩაეყენებინა სამეცნიერო ხარისხის მომპოვებლები. ავი ენები ამბობდნენ, არც პატივისცემაზე ამბობს უარს. ამიტომაც ნაცნობობამ აღარ გაჭრა.

87. მოსკოვში შევუთანხმდი „სამტრესტის" ღვინის ქარხნის დირექტორს, ქართველს, რომ არაყი ჩამოესხა, მოვრიგდით ფასზე, ხოლო როდესაც საქმე-საქმეზე მიდგა, ჩამოსხმის ფასი გამიძვირა და იძულებული გავხდი არაყი ტიუმენში ჩამომესხა.

88. ქართველ ქალს თბილისი-ბათუმის მიმართულებით მიმავალ მატარებელში ქვედა ადგილი დავუთმე, ქობულეთში ერთი საათით ადრე უნდა ჩავსულვიყავი და ეს ქალაბტონი, გავაღვიძე, რათა ჩემი ჩანთა მის საწოლის ქვევიდან ამომეღო ისეთი ამბავი ამიტეხა, რომ გაოცება ვერ დავმალე. მისყვედურა, ისეთ კარგ სიზმარს ვხედავდი, არ უნდა გაგეღვიძებინეო.

89. ღვინის ჩამოსასხმელი კომპლექსი ჩავიტანე გურჯაანის ღვინის ქარხანაში, დავამონტაჟეთ, პირველი პარტია ჩამოვასხით, რეალიზაციაში გავუშვით. მე მოსკოვში წავედი. რამდენიმე ხნის მერე ამ საწარმომ ღვინის ჩამოსხმა შეწყვიტა. მე დღესაც მიკვირს საქართველოში წილის ძაძების ალგორითმი. ყველა ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დგინდება მოგების პროცენტიდან ვის რამდენი ეკუთვნის და ყველა იღვწის ამ შედეგისთვის. მაგრამ ქართულ გაუტანლობას, ყოყოჩობას და მაქსიმალიზმს არაფერი შველის. როგორც ყოველთვის ერთმანეთის მოტყუება-გადაგდების, შეხლა-შემოხლის გამო ქარხანა დაიკეტა. ამ ხალხმა ვერ გაიგო, მე თუ საწარმოს თავზე დავადგები, სხვა მეწილედ რაღად მინდა, მათ უბრალოდ დავიქირავებ და ბიზნესში ცხვირს არ ჩავაყოფინებ.

90. თბილისში სამუდამოდ გადმოსვლა გადავწყვიტე, ეს იმანაც განაპირობა, რომ დედაჩემი შეუძლოდ გახდა. მაშინ რუსეთის სელექციური მეთესლეობის გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ვიყავი და რესპუბლიკის ერთ-ერთი თანამდებობის პირს ვთხოვე გადმოყვანა გაეკეთებინა. აღმითქვა მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობა. მეც დამშვიდებულმა დავწერე განცხადება წამოსვლაზე. ჩამოვედი ორი კვირის შემდეგ და გამოირკვა, რომ ამ ადგილზე რაიკომის მდივნობიდან განთა-

ვისუფლებული პირი დაენიშნათ. ხოლო თანამდებობის პირმა, ვინც ადგილს შემპირდა, არ მიმიღო და დამემალა.

91. მაშინ ტრამვაი ვაკეში, ვერაზე გავლით, დადიოდა. სტუდენტი ვარ, ტრამვაიში ატყდა ჩხუბი, ვიღაც ბიჭმა გოგოს გაარტყა და დანით თავზე დაადგა. მე დანა ხელიდან გავაგდებინე და ჩემდაუნებლიედ ყბაში მოვდე. ატყდა ერთი ჩოჩქოლი, ტრამვაის მძღოლმა ტრამვაი ზედ მილიციის პირდაპირ გააჩერა ვერაზე. მილიციონერები ამოვიდნენ, ხალხმა მე დამიცვა, მაგრამ ის გოგო, ვისთვისაც მე „ვივაჟკაცე", ისე გაიპარა, რომ მადლობაც არ უთქვამს. მე კი რამდენიმე მგზავრთან ერთად ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად მილიციაში წამიყვანეს.

92. ძალზე უმადური საქმეა ფულის სესხება. ერთ ჩვენ კარგ ნაცნობს, რომელიც ინტელექტით და ზდილობით ყოველთვის გამოირჩეოდა, ფული ვასესხე, დღესაც ჩემი ფული მართებს და ყოველწლიურად მპირდება დაბრუნებას. ამიტომ ფული არავის არ უნდა ასესხო, ისწავლე უარის თქმა, არავინ არაფერს დაგამადლის და კიდეც „დაგაყვედრიან", თუ ფულს უკან მოსთხოვ და დაგიბრუნებენ.

93. ერთ ჩემ ახლო ნათესავის შვილს, პორტუგალიაში უნდოდა სამუშაოდ წასვლა, ხოლო წასასვლელი ფული არ ჰქონდა, მე ხელი გავუმართე და იქ სამუშაოდ მოეწყო. ალბათ, რაღაც ფული იშოვა, რადგან დღესაც იქ ცხოვრობს. ხოლო მე არც ვახსენდები და არც თბილისში მირეკავს და არც მოსკოვში და ვალიც ბოლომდე არ დაუბრუნებია.

94. ტყეთმოწყობის პარტიაში პირველი სეზონი წავიმუშავე, საქმეს დროულად ავუღე ალღო და მივედი პარტიის უფროსთან საბოლოო თანხის ასაღებად. მან რამდენჯერმე გადაიანგარიშა, გასაცემი თანხა ბევრი მოეჩვენა და ფულის „დაწერა" მომინდომა, საყვედურით მითხრა, შენ წელს დაიწყე მუშაობა და ამდენი თანხა როგორ უნდა წაიღოო. მე კი ვუთხარი, წესი-წესია, შენ შენი დაიტოვე, მე ჩემი მომეცი-თქო. ასე დავშორდით ერთმანეთს.

95. რადგანაც მოსკოვში სამინისტროს მომარაგების უფროსს კარგად ვაცნობდი, ინსტიტუტის დირექტორთან შეთანხმებით ინსტიტუტს გამოეყო მსუბუქი მანქანა ჩემთვის. ეს მთელმა ინსტიტუტმა იცოდა, მაგრამ ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა, თანაც ჩვენი სამეცნიერო თემის წევრმა, დირექტორს მიუყვანა თავისი მეუღლე, რომელ აეროპორტში ექიმად მუშაობდა და ჩვენს დირექტორს დიდის ამბით აცილებდა. ეს ქალი აატირა, ათქმევინა, რომ მათი ძველი მანქანა არაფრად არ ვარგა და ჩემთვის განკუთვნილი მანქანა მან მიიღო.

96. ერთმა ქალბატონმა რომელიც მოსკოვში საახალწლოდ თოვლის ბაბუებს ეძებდა, მთხოვა ქართველი ბიჭები მიმეყვანა, რადგან თოვლის ბაბუები პირველი-ორი ოჯახისთვის ახალი წლის მილოცვას ახერხებდნენ, შემდგომ თვრებოდნენ და დანარჩენი შეკვეთები შეუსრულებელი რჩებოდა. მოვიწვიე ბიჭები, მათ შორის ქართველებიც, ვასწავლე, თუ სად უნდა ჩაედოთ ორლიტრიანი პეპსიკოლა ბოთლები, როგორ უნდა დაემაგრებინათ ძაბრი და დაელიათ არაყი „წვერის აწევით და ზურგის შეტრიალებით რათა ბავშვს არ დაენახა და ჩაესხა ძაბრში. ბიჭებმა ფულიც იშოვეს, სასმელიც და გეგმაც შეასრულეს. ორი იანვარს კი ჩემთან მოვიდნენ და მე მომიხდა მათი ჩემი სასმელით გამასპინძლება, იმის მაგიერ, თავად მოეტანათ სასმელი და მაღარიჩი ეკისრათ.

97. თბილისის სატყეო ინსტიტუტს ყოველწლიურად გომის სპირტის ქარხნიდან ეკუთვნოდა 80 ლიტრი სპირტი ლაბორატორიული საჭიროებისათვის. მე სპირტის გამგეს კარგად ვიცნობდი და მიგვქონდა 200 ლიტრიანი პლასტმასის კასრი და მისგან 3 მანეთად ვყიდულობდი სპირტს იმ თანხიდან, რასაც ჩვენი მეცნიერ-თანამშრომლები შეაგროვებდნენ – ჩამოგვქონდა და ვინაწილებდით. ერთ-ერთ ჩვენს თანამშრომელს არ შეხვდა, რადგან ფული არ დადო. მერე შანტაჟის მოწყობა და დაშინება მომინდომა. არადა, ის და მე ერთმანეთს მოსკოვიდან ვიცნობდით.

98. ზოგჯერ მოსკოვიდან კარგი რეცენზია ჩამომქონდა ჩვენს სამეცნიერო თემებზე. წლის მეცამეტე ხელფასი ჩემს მოხერხებულობაზე იყო დამოკიდებული. უკმაყოფილოებიც გამოჩნდნენ, რადგან ეს მეცამეტე ხელფასი ნაწილდებოდა პროცენტულად. ვინც კარგად მუშაობდა, ის იღებდა 100-150% ხოლო ვინც ცუდად 50%. უპრემიოდ არავინ რჩებოდა. მოკლედ ორმა თანამშრომელმა ქალმა იმაზე ნაკლები მიიღეს პრემია, რასაც ელოდნენ და ჯავრი ჩემზე იყარეს: შენი ბრალია, ეს პრემია ასე რომ განაწილდაო. არადა, მე პრემიის განაწილებასთან არავითარი შეხება არ მქონდა.

99. ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა, ამხანაგის შვილს გლანდები ამოაჭრა, მართალია, ოპერაცია უფასო იყო, მაგრამ არსებობდა დაუწერელი პრეისკურანტიც, ან ეს ექიმი რესტორანში უნდა წაგვეყვანა ან ოცდაათი მანეთი უნდა მიგვეცა, ან რამე საჩუქარი გაგვეკეთებინა. ავადმყოფის მამამ თქვა, მე ფულის მიცემა მირჩევნიაო. საავადმყოფოში მივედით, მადლობა გადაუხადა, მაგრამ ფული არ მისცა. ასე, რომ ამ ფულის მიცემა მე მომიწია.

100. ტიუმენიდან ჩემმა ქართველმა თანამშრომლებმა დამირეკეს. საერთო ნაცნობს 800 ყუთი, ერთი ფურა არაყი უნდა გავატანოთ ყაზახეთშიო. მე ვთხოვე ერთ-ერთი მათგანი თან გაჰყოლოდა, ერთმანეთის ჯინაზე მანქანას არც ერთი არ გაჰყვა, იმ ბიჭს, ვინც არყები წაიღო, ბიზნესში საქმე ცუდად წაუვიოდა, მათ უთხრა ტელევიზორებით, დუბლიონკებით, გადაგიხდით ვალსო, ამათ არც ეს ისურვეს, ფული მოგვცესო. მოკლედ, ეს ბიჭი გაკოტრდა და ამ არაყის 80% ღირებულება დაიკარგა. ჩემი თანამშრომლები ერთმანეთს აბრალებდნენ და ყველა „მართალი“ იყო.

შენიშვნა: ამ ბოლო ნაწილში ჩემ ცოდვებზევ იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მკითხველს არ ეგონოს უცოდველი ანგელოზი ვარ და სხვა ყველა ცუდია, მაგრამ ჩემი დაკვირვებით ადამიანის მოდგმა მაინც გაუგებარი სუბიექტია, რაც უნდა კარგად იცნობდე. ამასთან ყველა საქმეს თავად უნდა ჩაუდგე სათავეში,

მაგრამ ჩემი მრავალმხრივი მისწრაფება, ნიჭი, მე ამის საშუალებას არ მაძლევდა. ასე, რომ, ეტყობა, ისევ ყოველივე საკუთარს თავს და გამოუცდელობას, ხასიათს, გენს უნდა დავაბრალოთ. ამასთან მინდა ერთი ცხოვრების „ნათრევი“ ნათესავის დამოძღვრა გაგაცნოთ. „გოგი, სხვის დასანახად იწუწუნე, თქვი, რომ ბიზნესში არ გიმართლებს, დაიმახსოვრე, შენს კარგ, ძალზე ახლობლებსაც მაშინ უნდიხართ, თუ შენგან რასმეს გამოელიან. ყველას შენი შურს და თუ შემთხვევა მიეცათ, ფეხსაც დაგიდებენ, ნიშნსაც მოგიგებენ და სიამოვნებით ჭკუასაც გასწავლიან“. ამ კაცის სიბრძნისთვის რომ დამეჯერებინა, ამას დაღვინება, ცხოვრების ალიყურებით, სჭირდებოდა.

## 100-ის ფარგლებში „ბედის დაცინვა“ ანუ ყოფის ის ალგორითმები, რომლებზეც არც მიფიქრია და მიოცნებია

1. ქიმია არ მიყვარდა, რადგან მე და ჩემი სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ, მაგრამ ბედმა ისე „დამცინა“, რომ მე გახლდით ასტრახანის ოლქის ნაიადაგის ქიმიის ლაბორატორიის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის და ორგანული ქიმიის კათედრის განყოფილების გამგე, ხოლო ჩემი გამოგონებების უმეტეს ნაწილს ქიმიასთან აქვს კავშირი.

2. თბილისში ტელეფონი დამიდგეს და მომცეს პირველი მაისის რაიონის აღმასკონის თავმჯდომარის ნაქონი ტელეფონის ნომერი, მთელი წელი შეწუხებული ვიყავი ჩემთვის უცხო პირთა თხოვნებით, წინადადებებით. ასევე მოსკოვში დამიდგეს ტაგანკის რაიონის კომუნალური მომსახურების სამმართველოს უფროსის ტელეფონი და იგივე მეორდებოდა მთელი წლის განმავლობაში. იძულებული ვიყავი დღეში 5-6 ჩემთვის უცხო პირის ტელეფონის ზარზე მეპასუხა.

3. მინდოდა ცნობილი ჩემპიონი გამოვსულიყავი კრივში, მაგრამ მწვრთნელობა დავიწყე რაგბიში, რადგან ბრმა-ნაწლავის ამოკვეთის შედეგად პერიტონიტი გადავიტანე.

4. რაგბი საერთოდ არ ვიცოდი რა სახის სპორტი იყო და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი გავხდი საქართველოში.

5. რაგბი მინდოდა მეთამაშა და „დერმოიდული კისტის“ წყალობით, რომლის ოპერაციაც ოთხჯერ მაქვს გაკეთებული, რაგბის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს.

6. მსაჯობაზე საერთოდ არ მიფიქრია და პირველი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება საქართველოში მე მომენიჭა რაგბში.

7. ლელო არასოდეს მითამაშია და საქართველოს პირველი ლელო-რაგბის ფედერაცია მე გავაერთიანე და ამ ფედერაციის პირველი თავმჯდომარე მე გახლდით.

8. ლექტორობაზე არც მიფიქრია და პირველად ჩემი ხელმძღვანელობით სსრ კავშირში გაიხსნა რაგბის ფაკულტეტი საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

9. საერთოდ სამკერვალო საქმიანობა ჩემთვის უცხოა, მაგრამ ჩემი ინიციატივით და ძალისხმევით თბილისის სპორტული ნაწარმის ქარხანაში პირველად შეიკერა რაგბის ფორმა და ბურთები.

10. მოსკოვში საცხოვრებლად წასვლას არ ვაპირებდი, მაინც იქ მომიხდა დასახლება.

11. თვითმფრიანვით მგზავრობა არ მიყვარს და მთელი ცხოვრება თვითმფრინავით დავფრინავ.

12. მატარებლით მგზავრობა მომწონდა, მაგრამ დღეს მატერებლის გადაადგილებას შეზღუდულია რესპუბლიკის გარეთ და ნაკლებად მიმზიდველია.

13. ცოლის მოყვანას ადრეულ ასაკში ვაპირებდი, მაგრამ ცოლის მოსაყვანად გვიან მოვმწიფდი და დაგვიანებით მოვიყვანე.

14. შვილები ჩემს ჭკუაზე მინდოდა გამომეზარდა, თავის ჭკუით იზრდებიან.

15. ადამიანები, რომლებიც ჩემი კეთილის მსურველი მეგონა, შურიანები გამოდგნენ.

16. ვისი დახმარების, პროტექციის იმედიც მქონდა, თავად მთხოვდნენ დახმარებას და დაკვალიანებას.

17. ახლობლები მღალატობდნენ, უცნობი ხალხი ხელს მიმართავდა.

18. რევიზია ჩემთვის უნდა ჩაეტარებინათ, მე საზოგადოებრივ საწყისებზე მთავრობის დავალებით მე სხვებს უტარებდი.

19. არასოდეს ჩხუბი არ მიყვარდა და ზოგჯერ იძულებული ვიყავი ქუჩაში მეჩხუბა.

20. ქართველები მიყვარდა და ინტერნაციონალისტი გავხდი.

21. მწერლობაზე არასოდეს მიფიქრია და მწერალი გავხდი.

22. დრამატურგია ჩემ საქმედ არ მიმაჩნია და მოსკოვში ჩემი ორი პიესა დაიდგა.

23. კულინარიაზე წარმოდგენა არ მქონდა 30 წლამდე და საკმაოდ კარგი კულინარი გავხდი.

24. კულინარიაზე წიგნის დაწერას არ ვაპირებდი, მაგრამ ამდენი ერთფეროვანი კულინარიის წიგნების შემხედვარემ საკმაოდ კარგი წიგნი გამოვეცი, რომლის გამოცემის უფლება წიგნის მაღაზიამ შეიძინა და არა – გამომცემლობამ.

25. პოლიტიკა არასოდეს მყვარებია და პირველად რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ჩემი წიგნი „გრაჟდანინ“ (მოქალაქე).

26. ახალგაზრდობაში საქართველოს კონსტიტუციაც კი არ მქონდა წაკითხული და „სამყაროს კონსტიტუცია დანახული 22-ე საუკუნის გადასახედიდან“ გამოვაქვეყნე და რამდენიმე ენაზე ითარგმნა.

27. ეკონომიკას დარგად არ ვთვლიდი, არც ვაფასებდი, მაგრამ გამოვიდა ჩემი წიგნი „უანალოგო პოლიტეკონომია“.

28. შეძლებულ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ მომწონს მომჭირნეობა და ნედლეულის რაციონალური ხარჯვა.

29. ქრთამის გაცემა თუ ასე გამიხარდებოდა და მექრთამის საცოდაობით ასე თუ დავიწვებოდი, არ მეგონა.

30. თუ ჩემი მეგობრების, თანაკურსელების, შემოწმებას დამავალებდნენ და მათ წარმატებით დავეხმარებოდი, არ მეგონა.

31. 28 წლის კაცმა არ ვიცოდი, რომ მოხარშულ ხორცს ხაშლამა ერქვა, ხოლო შემდგომში მე თუ ხაშლამის მოხარშვის რამდენიმე ვარიანტს შევიმუშავებდი, არ მეგონა.

32. ბორჯომ-ბაღში ხშირად დასვენება თუ ჩემს მომავალ მეტყევის პროფესიას საფუძველს ჩაუყრიდა, არ მეგონა.

33. ჩემი ოფიციალური დისერტაციის ხელმძღვანელს, რომელიც ძალზე დაკავებული იყო, თუ ჩემი მოხერხებულობით ვითომდა ჩემ დისერტაციას წავაკითხებდი, არ მეგონა.

34. თუ ჩემი დისერტაციის 8 გვერდის შეცვლას ოთხ საათში მოვახერხებდი, რათა გამოყენებულ ლიტერატურაში ამ კათედრის გამგე აკადემიკოსის გვარი შემეტანა, და თუ „წამლიქვნელება

დამჭირდებოდა“, რათა რეკომენდაცია გაეწია ჩემი დისერტაციის სამეცნიერო საბჭოზე გასატანად, არ მეგონა.

35. თუ საგადასახადო წიგნის ახალ რედაქციას ძველით ისე შევცვლიდი, რომ ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა, არ მეგონა.

36. აფორიზმები ძალიან მიყვარდა, მაგრამ მე თუ საკუთარი 34 ათასი აფორიზმის ავტორი გავხდებოდი, ამაზედ არც მიოცნებია.

37. თუ რაგბი ასეთი პოპულარული გახდებოდა და მას ფეხბურთზე მეტი მაყურებელი ეყოლებოდა, ვერც წარმოვიდგენდი.

38. დედაჩემს თუ ჩემი ჩალურჯებული თვალი ასე გაუხარდებოდა და ნიშანს მომიგებდა, „ესაა შენი ხელოვნებასთან გათანასწორებული სპორტიო“, არ მეგონა.

39. თუ ქართველი მეცნიერი ქალი, პროფესორი, ისიც ჩემი ამხანაგის ცოლი და ჩემი ამპარტავანი დაქალი თუ საზღვარგარეთ სხვის ოჯახში მოსამსახურედ დაიწყებდა მუშაობას, ვერც წარმოვიდგენდი.

40. ქალი თუ თავისი ეშმაკობით მოახერხებდა ჩემთვის ფულის გამოძალვას, ისიც სექსში, არ მეგონა.

41. თუ ჩემ ხელნაწერს ჩემი მბეჭდავი უკეთ გაარჩევდა და წაიკითხავდა, ვიდრე მე, არ მეგონა.

42. დისერტაციის დაცვა თუ მოსკოვში მომიწევდა, არ მეგონა.

43. თუ სატვირთო ვაგონების დაცლაზე ჩემი ნებით და ენთუზიაზმით ვიმუშავებდი, არ მეგონა.

44. თუ მოსკოვში ოთხი აკადემიკოსის, ერთი საკავშირო მინისტრის მოადგილის და სხვა პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტებულ სუფრაზე თამადად ამირჩევდნენ, არ მეგონა.

45. თუ ჩემი თამადობა ისე მოეწონებოდათ, რომ მეორე დღეს ინსტიტუტის დერეფნებში რამდენიმე პროფესორი წინა დღის თამადობისთვის მადლობას მეტყოდა, არ მეგონა.

46. ჩემგან დეგუსტატორი, გურმანი, თუ დადგებოდა, არ მეგონა.

47. თუ სახელობით არაყს, „გეორგდევას" შევქმნიდი და შემდგომ ის რუსეთის არყის მუზეუმში გამოფენდნენ ჩემი ინიციალებით, არ მეგონა.

48. თუ აკადემიკოსი ნ. ანუჩინი ჩემი თანდასწრებით ჩემს ყოფილ ლექტორს ეტყოდა, რომ ჩემი საკანდიდატო დისერტაცია გაცილებით სჯობდა მის სადოქტოროს, ვერც კი წარმოვიდგენდი.

49. თუ უცნობი სტუდენტი გოგონები მოსკოვში ჩემს დაბადების დღეზე წინა საუკუნის 80-იან წლებში სტრიპტიზს მაჩუქებდნენ, არ მეგონა.

50. თუ პატენტი გაიცემოდა ჩემი სახელობის მთავარი სარგებლობის უნივერსალურ ჭრებზე, არც მიოცნებია.

51. თუ ოდესმე ვიმუშავებდი თევსაჭერი ფლოტის მთავარ ტექნოლოგად, არ მეგონა.

52. თუ მე კვების მრეწველობაში როდესმე ცხვირს ჩავყოფდი და ღირშესანიშნავი გამოგონებები მექნებოდა, არც მიფიქრია.

53. თუ საკავშირო თევზის მრეწველობის მინისტრი ნ. კამენცევი, სამინისტროს ბასეინების უფროსებს, ტექნოლოგებს, ტრიბუნიდან ეტყოდა: „ყუფარაძესგან აიღეთ მაგალითი, ის თევზისგან უკანასკნელი ამოსუნთქვის გარდა ყველაფერს რაციონალურად იყენებსო", არ მეგონა.

54. ერთ-ერთ საკავშირო მინისტრს, გარკვეულ გარემოში ჩემდაუნებლიედ თუ „უროლოგიური ლექსიკონით" შევამკობდი და ის ამის გამო, გამოფხიზლებული მადლობას მეტყოდა, არ მეგონა.

55. არ მეგონა თუ კახეთში ქორწილის სუფრას დავათრობდი.

56. არ მეგონა თუ ჩემი მწარე სიტყვის შემდგომ ერთ ჩემთან შეხუმრებულ თანამშრომელს, ჩემი კვიმატი ნათქვამის შემდგომ ხელიდან ჭიქა გაუვარდებოდა და სუფრას დატოვებდა.

57. არ მეგონა თუ კოკისპირულ წვიმას რამდენჯერმე ტანის დასაბანად გამოვიყენებდი ტყეთმოწყობის პარტიაში მუშაობის დროს.

58. არ მეგონა თუ სექსში და ისიც მოსკოვში, სოლიდარობის გამო, ფულის გადახდა მომიწევდა.

59. არ მეგონა, თუ ჩემდამი მტრულად განწყობილ მოსკოვის სატყეო ინსტიტუტის ერთ-ერთ კათედრის გამგე ქალს დავაჭაშნიკებდი და მოყვარედ გავიხდიდი.

60. არ მეგონა, თუ მოსკოვის სატყეო-ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრება მთელი სიცოცხლე სასიამოვნო მოსაგონებლად გამყვებოდა.

61. არ მეგონა, თუ ჩემ მიერ დამზადებულ ცილოვან შავ ხიზილალას, ერთი-ერთზე გადარეულს ნამდვილ ხიზილალასთან ასტრახანის ცენტრალურ ლაბორატორია სამი დღის შემოწმების შემდეგ ნაღდ ხიზილალად მიიჩნევდა.

62. არ მეგონა, თუ თეატრალურ დადგმებთან კავშირი მექნებოდა და ცხინვალის ქართული დასის თეატრის მთავარი რეჟისორი ჩემს რჩევას გაითვალისწინებდა.

63. არ მეგონა თუ ჩოხატაურში სსრ კავშირის სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად ამ რაიონის საპირველმაისოდ მოწყობილ დემონსტრაციაზე გამოვიდოდი.

64. თუ ჩემი თანაკურსელი რევიზიის ჩაუტარებლად და მის სანაცვლოდ ფულს შემომაძლევდა.

65. თუ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი მე მთხოვდა ამ რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი მომეხსნა, რომელმაც გახმაურებული 1500 კაციანი შვილის ქორწილი გადაიხადა, რომელსაც არ მიესალმებოდნენ.

66. არ მეგონა, თუ ჩემი არაოფიციალური სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს და დიდებულ ადამიანს 85 წლის ასაკში მოვნათლავდი და ნათელ-მირონობა გვექნებოდა.

67. თუ მეტყევეეობას შევეშვებოდი და სხვა საქმიანობით დავსაქმდებოდი.

68. თუ როდესმე გავიგებდი, რომ ერთიდაიგივე თვითმფრინავს თბილისიდან ასტრახანში ერთ მხარეს რატომ სჭირდებოდა 40 წუთი, ხოლო ასტრახანიდან თბილისში ჩამოფრენას 50 წუთი,

რადგან თურმე ამ დროს თვითმფრინავი სარაკეტო დანადგარებს გვერდს უვლიდა.

69. თუ ტიუმენში წარმატებულ ბიზნესს წამოვიწყებდი და ბინას შევიძენდი.

70. თუ საქართველოს კომპარტიის მდივანი კონსულტაციებს მთხოვდა და პირველი დამგემოვნებელი იქნებოდა ჩემ მიერ შექმნილი ახალი პროდუქტებისა.

71. თუ ჩემი მოსაზრებანი საკვები პროდუქტების გაზრდის მიზნით მაშინდელი საკავშირო ცეკას მდივნის მ. გორბაჩოვის ყურამდე მიაღწევდა და მოწონებული იქნებოდა.

72. არ მეგონა, თუ იმ ქალბატონთან ერთად ვიმუშავებდი კათედრაზე, რომლის ნასვამი მამა ჩემი ლექტორი თავის დროზე სიძობას მთავაზობდა.

73. თუ ჩემს ცოლის ნერვებაშლილი შემოკურთხება ტელეფონით ასე გამახარებდა და მესიამოვნებოდა ასტრახანში.

74. თუ ნოვოროსიისკში მე და ოთარ ფირცხალაიშვილის ოჯახი დასასვენებლად ვერასოდეს წავიდოდით და წყალქვეშა ნადირობას ჩვენ შვილებს ვერ ვასწავლიდით.

75. თუ აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი „ვსემოგუჩის" შემარქმევდა ზედმეტ სახელად.

76. თუ სატყეო-სახელმწიფო კომიტეტის ფულად პრემიას ჩემი ინიციატივით მივიღებდით და ბევრ ურწმუნო თომებს ცხვირს მოვხოცავდი.

77. თუ ერთ-ერთი დამსვენებელი ქართველი გოგონას ერთი კვირის წინ ცურვის დროს დაკარგულ ოქროს ბეჭედს მოვნახავდი.

78. თუ საგანს მეტეოროლოგიაში, წაუკითხავად, ხუთზე ჩავაბარებდი.

77. თუ ნაცნობი გოგონები საცოლეს სახლში მომიყვანდნენ და მთხოვდნენ დამეტოვებინა ცოლად.

78. თუ ნაცნობი გოგონები „ვოლგით" „მომიტაცებდნენ" წყნეთში ამ გოგონას სახლში მიმიყვანდნენ და მთხოვდნენ ცოლად მომეყვანა.

79. თუ ღორის ჩხინკელიდან პლასტმასის სხვადასხვა ნაწარმს გავაკეთებდით და ამ ნედლეულიდან გაკეთებულ დომინოს ქვებს საქართველოს კომპარტიის რუსი ეროვნების ცეკას მეორე მდივანი „აგვწაპნიდა“ მოსკოვში თავის მოსაწონებლად.

80. თუ მაშინდელი საქართველოს ცეკას მდივანი, შინაურებში იტყოდა „ხალხი 70 წელია ქაქს ჭამს და არაფერი არ მოსვლია და ღორს რა უნდა მოუვიდესო“, იმის პასუხად როდესაც ჩვენზე ერთმა განაწყენებულმა კოლეგამ მოსკოვში საჩივარი დაწერა.

81. თუ ჩემი ნაცნობი კოლეგა, რომელთან ერთად რევიზიას ვატარებდით, თავის დას შემომთავაზებდა ცოლად, რათა შემოძლეული ქრთამი ერთად აგვეღო.

82. თუ პირველ სამახსოვრო ოქროს მედალს რაგბის ფედერაცია მე მომანიჭებდა განსაკუთრებული დამსახურებისათვის 60 წლის თავზე.

83. თუ ავჭალის საბაღე ნაკვეთისთვის ფინურ ასაწყობ სახლს ჩემი დანაზოგით შევიძენდი.

84. თუ მამაჩემს ჩემ მიერ მიცემული 3000 მანეთი 28 წლის ასაკში ასე გაუხარდებოდა იმის ნიშნად, რომ შვილი მოესწრო.

85. თუ ჩემ მიერ შექმნილ უნაწილო შპროტის კონსერვს სამჯერ ძვირად გავყიდიდი საზღვარგარეთ, ვიდრე ჩვეულებრივ კონსერვს ყიდდნენ.

86. თუ იმდროინდელ პრობლებას, უცხიმო გაყინულ თევზის ცხიმიანობას, ჩემ მიერ შექმნილი აპარატით და ტექნოლოგიით 19%-ით ავწევდი.

87. თუ მოხერხებულობა და მოჩვენებითობა ასე ადვილი იყო ბიუროკრატიასთან საბრძოლველად, ვერ წარმოგვიდგენდი.

88. თუ მაჭანკლობას დავიწყებდი და ჩემს მეგობარს ცოლს შევრთავდი.

89. თუ რამდენიმე სამეცნიერო თემას ერთდროულად მე უხელმძღვანელებდი.

90. თუ მეგობრების ხათრით, „За кампанию“, კურსზე დავრჩებოდი.

91. თუ სატყეო-ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტობა ამდენ პატივს დამდებდა და გამომადგებოდა საქმის საკეთებლად, ვერც კი წარმოვიდგენდი.

92. თუ ჩემი ოფიციალური ხელფასი იქნებოდა 1100 მანეთი ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ცეკის პირველი მდივნის ოფიციალური ხელფასი 700 მანეთი იყო.

93. თუ მთხოვდნენ სხვების საქმე გამერჩია ბიზნესში და ჩემი სიტყვა კანონი იქნებოდა.

94. თუ სიყრმის მეგობრები და მათი ოჯახები ასე დავშორდებოდით ერთმანეთს.

95. თუ ჩემი სატყეო-სამართველოს უფროსი მთხოვდა ჩემი ცოლის ტყისმცველი ბიძა არ მოხსნან, თორემ ცოლი სახლიდან გამომაგდებსო.

96. თუ დედაჩემს სახლში ნახევარი ტონა საზამთროს და 20 ცოცხალი წიწილას მოტანა ასე გაუხარდებოდა და არ წამეჩხუბებოდა.

97. მამაჩემს ჩემი მათემატიკის კათედრის გამგისთვის, ჩემი ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ორი ხუთიანი თუ ნარდში ჰქონდა მოგებული და ამის შესახებ 8 წლის შემდეგ წამომაძახა, როდესაც მის წინაშე ასპირანტურაში ჩაბარებით თავის მოწონება დავიწყე.

98. თუ საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს და მისი ცოლს ჩემს მშობლებად გავასაღებდი „ურჩი ლამაზმანების“ დასაპყრობად და ამაზე ისინი სიამოვნებით დამთანხმდებოდნენ, არ მეგონა.

99. თუ რუს ვეტერან რაგბისტებთან ერთად რამდენჯერმე მთელ ევროპას მოვივლიდით ორსართულიანი ავტობუსით და ასე კმაყოფილი დავრჩებოდი, არ მეგონა.

100. არ მეგონა, ჩემს მცირე კალიბრიან, ორიგინალურ თოფებს და მამაჩემის დატოვებულ ორლულიან თოფს „ფარჟერონს“ თუ გავასხვისებდი, რადგან ოჯახში დისშვილები, ბიჭები, იზრდებოდნენ.

## რა ჰქონდა ცუდი 100-ის ფარგლებში სსრ კავშირს (ის რაც მე მახსოვს 1950—1990 წლებში)

1. სსრ კავშირი იყო ქურდების და ილუზიების ქვეყანა.

2. ყველა ქურდობდა, რაზეც ხელი მიუწვდებოდა, მათ შორის, დროსაც იპარავდნენ, უსაქმურობდნენ.

3. ეკონომიურად გაუმართლებლად იაფი იყო კვების პროდუქტები, რაც კერძო სექტორის დაუინტერესებლობას იწვევდა.

4. მაღაზიებში კვების პროდუქტები უფრო იაფი იყო, ვიდრე ბაზარში, როცა პირიქით უნდა ყოფილიყო.

5. გეგმები სრულდებოდა მოვალეობის მოხდის მიზნით და ისიც ქაღალდზე.

6. უშვებდნენ ბევრ მოდიდან გამოსულ ნაწარმს, რომელზეც მოთხოვნილება არ იყო.

7. იყო ერთი კომუნისტური პარტია, რომელსაც აფეტიშებდნენ და ხალხს არჩევანის და შედარების საშუალება არ ჰქონდა.

8. საარჩევნო სიებში ასარჩევად შეჰქონდათ ერთი კანდიდატის გვარი და აქაც არჩევანი ვერ ხერხდებოდა.

9. ეკონომიკა იყო ექსტენსიური და არა ინტენსიური.

10. ხშირად ადგილი ჰქონდა უსაქონლო ოპერაციებს, რაც გეგმის შესრულების და გამორჩენის საშუალებას იძლეოდა.

11. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კაპიტალისტურ ქვეყნებში, ძნელად უშვებდნენ მოსახლეობას.

12. მკაცრი ცენზურა იყო და ცენზორის როლს ასრულებდა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი.

13. კერძო საქმიანობა შეზღუდული იყო.

14. არსებული სისტემა ხელს უწყობდა სპეკულაციის განვითარებას, ხოლო სპეკულიანტს კანონი სჯიდა.

15. გაუმართლებლად დიდი ბიუჯეტი ხმარდებოდა ქვეყნის თავდაცვა-შეიარაღებას და ისიც უყაირათოდ.

16. ცუდად იყენებდნენ სახელმწიფო კოოპერატივების შესაძლებლობებს, რომელიც მოწოდებული იყო დეფიციტის შესამცირებლად.

17. ყველგან სუფევდა მაამებლობა, ნეპოტიზმი, ეგრეთწოდებული „ბლატი“.

18. მოჩვენებითობა ბევრი იყო.

19. ეკონომიის მომიზეზებით შენდებოდა საცხოვრებელი სახლები ერთსახა, ტიპიური პროექტებით.

20. მსუბუქი ავტომანქანა, ავეჯი, თავისუფლად არ იშოვნებოდა და წლობით რიგში უნდა ჩამდგარიყავი.

21. მაღაზიების რაოდენობა არასაკმარისი იყო, არ შენდებოდა სუპერმარკეტები.

22. პერსონალი როგორც სახელმწიფო აპარატში, ასევე წარმოებებში, გაბერილი იყო.

23. ბევრი კვლევითი ინსტიტუტი მომავალი პრობლემების გადასაჭრელად არ კავდებოდნენ და ფაქტიურად მოძველებულ და დღეისათვის საჭირო საკითხებს ამუშავებდნენ.

24. ეკლესიის საქმიანობა შეზღუდული იყო.

25. რეკლამირება არ ხდებოდა ან საერთოდ არ იყო.

26. ხელოვნების მუშაკთა ხელფასი განსაზღვრული იყო თანრიგების და არა – პოპულარობის მიხედვით, ამიტომაც ადგილი ჰქონდა „მარცხენა“ კონცერტებს.

27. ფართოდ გავრცელებული იყო „მკვდარი სულების“ ინსტიტუტი, რის მეშვეობითაც ხდებოდა ფულის კეთება.

28. ყველგან სუფევდა ფორმალიზმი.

29. ყველა წარმოება-დაწესებულება უშვებდა „მარცხენა“, აღურიცხავ, საქონელს 20-25%-მდე.

30. ხშირად იყო რიგები, განსაკუთრებით, დეფიციტურ საქონელზე.

31. შედარებით უკეთ მარაგდებოდა ქვეყნის და რესპუბლიკების დედაქალაქები და იქაც ადგილი ჰქონდა „სპეკულაციას“.

32. ყველგან ადგილი ჰქონდა უყაირათობას.

33. ყოველივე დამოკიდებული იყო ერთი კაცის ჭკუაზე, მოხერხებულობაზე, წინდახედულებაზე, ავტორიტეტზე.

34. ყურადღება არ ექცეოდა მომგებიან საქმიანობას, მაგ., მოსახლეობის ტელეფონიზირებას, რომელიც ძალზე მომგებიანი იყო.

35. კომუნისტური პარტიის წევრი თუ არ იყავი, ძნელად გაწინაურებდნენ.

36. ციხეებში დამკვიდრებული იყო ქურდული ტრადიციები – „ობშიაკი“ და ფულის გამოძალვა.

37. საკმაო რაოდენობით ჰყავდათ პოლიტიკური პატიმრები.

38. მოსავლის აღებისას ბევრი ნედლეული იკარგებოდა უყაირათობის და ქურდობის გამო.

39. დეპუტატები კანონის შეთხზვით არ იყვნენ დაკავებულნი, ამას აკეთებდა მთავრობა. მათი მოვალეობა იყო წელიწადში ორჯერ შეკრებილიყვნენ ქვეყნის დედაქალაქში და ხელი აეწიათ და კანონები დაემტკიცებინათ.

40. სიმდიდრის დაგროვება მოდაში არ იყო და ებრძოდნენ, „მეშჩანობად“ ითვლებოდა.

41. ქვეყანაში ფუნქციონირებდა მხოლოდ სახელმწიფო „მასმედია“.

42. წიგნის გამოცემის უფლებას იძლეოდა „მთავლიტი“ (მთავარი ლიტერატურული საბჭო).

43. ქუჩაში ჯგუფებად დგომა და დემონსტრაციების მოწყობა აკრძალული იყო.

44. შეზღუდული იყო იმპორტი.

45. საზღვარგარეთის მიღწევებს, სიახლეს, ძნელად ყიდულობდნენ და ნერგავდნენ.

46. ხელისუფლება ბევრ დოგმებს იყენებდა ქვეყნის მმართველობაში.

47. ჯარი უმთავრესად კომპლექტებოდა გამოუცდელი წვევამდელი ჯარისკაცებისაგან.

48. უმუშევრობისთვის ციხეში გსვამდნენ როგორც მუქთახორას.

49. ხდებოდა დაუხარჯავი თანხების ჩამოწერა, იმის მაგიერ, რომ ის მომდევნო წლისთვის დაეტოვებინათ და უფრო ყაირათიანად გამოეყენებინათ.

50. ხშირად ადგილი ჰქონდა „ლიმიტს“ ე.ი. მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი ხელფასის უკმარისობის შემთხვევაში თვეობით წყდებოდა გადარიცხვა და ვერ იძენდი დროულად საჭირო ინვენტარს, მოწყობილობას.

51. ქონებრივ დანაშაულზე, გაფლანგვაზე, კანონით გათვალისწინებული იყო სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

52. არ არსებობდა სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური.

53. „სტილიაგებს“ ეძახდნენ და პროპაგანდის მეშვეობით ებრძოდნენ ყველას ვისაც, ექსტრავაგანტულად ეცვა და გამოირჩეოდა.

54. უპირველესი იყო სახელმწიფოს ინტერესები, რომელშიც ხშირად პარტიის და პირად ინტერესებს ურევდნენ.

55. მექრთამეობას ფორმალურად ებრძოდნენ.

56. არ იყო ალტერნატივა, რათა სასჯელი ჯარიმით შეეცვალათ.

57. ფულის დასაქმება, დასაქონლების საშუალება არ იყო.

58. დისიდენტებს იჭერდნენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებდნენ.

59. ახშობდნენ უცხოური რადიოსადგურების საბჭოთა წყობისადმი მიუღებელ გადაცემებს.

60. მარად იდგა ბინის პრობლემა, ხალხის გარკვეული ნაწილი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა.

61. ყურადღება არ ექცეოდა ნაგვის რაციონალურ გამოყენების, გადამუშავებას.

62. ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდა რეალური ინფლაციის სახელმწიფოებრივი შეკავება.

63. დეპუტატებად ძირითადად ირჩევდნენ დილეტანტებს, აუტისტებს, აუტიდებს.

64. უხუცესთა საბჭოს არავითარი ძალა და გავლენა არ გააჩნდა ქვეყნის მმართველობაზე.

65. სახელმწიფო ხალხთან ურთიერთობაში არ ეძებდა კონსენსუსს.

66. სახელმწიფო ეკონომიკას და ეკონომიკის ღირსეულ სპეციალისტების მომზადებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

67. არჩევნები თავისებურად ყალბდებოდა, რადგან არჩეული პირი იღებდა ამომრჩეველთა რაოდენობის 99%.

68. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევდნენ არა მოსამართლენი, არამედ ინიშნებოდა იუსტიციის სამინისტროს წარდგენით.

69. დეპუტატების კანდიდატებს არ ჰქონდათ თავიანთი ტელეარხი, სადაც გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, დაპირებებს.

70. საზღვარგარეთ დასაქმებულ სპეციალისტებს, გასტროლებზე მყოფ ხელოვნების მუშაკებს, თავის შეხედულებისამებრ უხდიდნენ შემცირებულ გასამრჯელოს.

71. გონიერი ინიციატივა ხშირად დასჯადი იყო, თუ ის პარტიის დოქტრინას არ უთავსდებოდა.

72. მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს არ ჰყავდათ წარმომადგენლები საზღვარგარეთის საელჩოებში.

73. პოლიტბიუროს დათრგუნული ჰყავდა მინისტრთა საბჭო და ქვეყნის პრეზიდენტი (პრეზიდიუმის თავმჯდომარე).

74. ეკონომიკა ზიგ-ზაგებით, ჩამორჩენა-აჩქარებით, არა – სტაბილურად, ვითარდებოდა.

75. კერძო პირს არ შეეძლო თავისი სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა.

76. ქვეყანაში გაყინული იყო პენსიები, სტიპენდიები და არ ხდებოდა მათი მატება.

77. არ იყო ფასიანი სწავლება იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ სწავლების და რაღაც მიზეზებით მისაღებ გამოცდებზე საჭირო ოდენობის ქულები ვერ დააგროვეს.

78. არ შეიძლებოდა სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასვლა, რადგან ამის თანხები მოსახლეობას არ გააჩნდა.

79. ფერწერაში ზღუდავდნენ სიმბოლიზმის, აბსტრაქციონიზმის, იმპრესიონიზმის, კუბიზმის და სხვა მიმართულებებს.

80. ისტორიის სწავლება იყო გაყალბებული და კომუნისტური იდეალების დამცველი.

81. არ იყო კერძო თეატრები, რათა ნიჭიერ ახალგაზრდობას თავის ჭკუაზე ეღვაწა.

82. არ ხდებოდა მიწის არენდით გაცემა, რამდენიმე წლით.

83. არ ხდებოდა ყაირათიანი ხარჯვა სასმელი წყლის, გაზის, ყველგან უყაირათობა სუფევდა, რადგან ყველაფერი საერთო იყო და არ იყო დადგმული ინდივიდუალური მრიცხველები.

84. საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის არ იყო სავალი გზა, რათა ის თავისუფლად გადაადგილებულიყო.

85. მეცნიერული მიღწევების დანერგვა ძალზე ჭირდა და ზოგჯერ ხელსაც უშლიდნენ მავანნი, რადგან მოცემული გეგმის გადახედვა შემცირებისკენ არ ხდებოდა.

86. ძალზე უხარისხოდ შენდებოდა გზები და ხშირად უხარისხოდ არემონტებდნენ.

87. კერძო მაღაზიების გახსნის უფლება მოქალაქეებს არ ჰქონდათ.

88. მოხუცებულთა სახლები ძალზე მცირე იყო და ისიც – მოუვლელი.

89. ზოგჯერ მზა უხარისხო პროდუქციას უშვებდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ გეგმა შესრულებულიყო და შემდგომ ჩამოწერდნენ.

90. სამინისტროთა უმრავლესობა დოტაციაზე იყო და არა თვითდაფინანსებაზე.

91. არ იყო შექმნილი რეალური პროვაცირების სამსახური თვითდაფინანსებაზე, რომელიც გამოვლენდა მექრთამეებს და ფულის მპარავებს, რადგან ეს ზემდგომთ არ აწყობდათ.

92. არ იყო შექმნილი მუდმივი დასახლება იმ გამოუსწორებელი დამნაშავეთათვის, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრების წესს ვერ ეგუებოდნენ.

93. ფართოდ არ ინერგებოდა სოიოსა და სიმინდის კულტურა მეცხოველეობის გასავითარებლად.

94. არ ხდებოდა ნახმარი მსუბუქი ავტომანქანების შემოყვანა, მოსახლეობის მოჭარბებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

95. არ ხდებოდა სასამართლოების დღე-ღამური მორიგება, რათა მცირედი სადაო საკითხიც რაც მოქალაქეებში წარმოიშობოდა, მას დროულად განეხილა და სამართლიანობა დაედგინა.

96. არ იყო შექმნილი საპენსიო სადაზღვევო კომპანია, რათა ასაკოვან პენსიონერს დამატებითი პენსია მიეღო და ცხოვრების პირობები გაეუმჯობესებინათ.

97. სსრ კავშირი ერეოდა დემოკრატიული ქვეყნების საშინაო საქმეებში და სისხლში ახშობდა ხალხის მასების მღელვარებას.

98. საზღვარგარეთ მიმავალი ტურისტებისათვის გადასახურდავებელი თანხა 30 მანეთს შეადგენდა, რაც ძალზე მცირე იყო.

99. სოფლის, რაიონის, ოლქის ხელმძღვანელობას ნიშნავდნენ ზევიდან და მოსახლეობის სურვილს ყურად ირ იღებდნენ.

100. მაღალი იყო ნედლეულის შესასყიდი ფასები, გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით, რაც ხელს უბიძგებდა კომბინატორებს ფულის საკეთებლად.

## რა ჰქონდა 100–ის ფარგლებში კარგი სსრ კავშირს

### (ისე როგორც მე მახსოვს 1950–1990 წლამდე)

1. ხვალინდელი დღის არ გვეშინოდა.

2. სხვადასხვა ეროვნების ხალხი მეგობრობდა და ერთმანეთზე აუგის თქმას ვერ ბედავდნენ.

3. მაღაზიებში არსებული საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში იყიდებოდა.

4. აუცილებელი მოხმარების საქონელი დოტირებული იყო.

5. უმუშევრობა არ იყო.

6. სწავლა-განათლება უფასო იყო.

7. სამედიცინო მომსახურება უფასო იყო.

8. სპორტის და ხელოვნების სხვადასხვა სექციებში მეცადინეობა უფასო იყო.

9. თეატრსა და კინოში დასასწრები ბილეთების ფასი რეგულირებადი და ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო.

10. საბავშვო ბაღების რაოდენობა საკმარისი იყო, ზოგისათვის უფასო და ზოგისთვისაც მცირედი გადასახადით.

11. ახლად დაბადებული ბავშვების, პატარების, გამოსაკვებად დედები იღებდნენ უფასოდ რძეს.

12. ფეხმძიმე ქალს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ ეძლეოდა 6 თვე ფასიანი შვებულება.

13. მცირეწლოვანი ბავშვების დედას სამი წლის განმავლობაში ენახებოდა სამუშაო ადგილი.

14. უმაღლესდამთავრებულებს განაწილებით ასაქმებდნენ ქვეყნის სხვაადსხვა რაიონებში, რეგიონებში.

15. ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაო ადგილის შემცირება ორი წლის განმავლობაში აკრძალული იყო.

16. დასვენება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, პროფკავშირები იაფად ჰყიდნენ დასასვენებელ საგზურებს.

17. თეატრს, კინოს, აფინანსებდა სახელმწიფო და გამოდიოდა დიდი ოდენობით ხარისხიანი ნაღვაწი.

18. მხატვრების ნაწარმოებებს იძენდა სახელმწიფო.

19. უპატრონო ბავშვები იზრდებოდნენ სპეციალურ სახლებში და დედის ნებართვის გარეშე ვერ გააშვილებდნენ

20. უპატრონო ბავშვებს 18 წლამდე ასაკიდან ეძლეოდათ კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა და ასაქმებდნენ.

21. სტუდენტს თავისი სტიპენდიით შეეძლო თავის გამოკვება, ჩაცმა-დახურვა და საერთო საცხოვრებელში ცხოვრება.

22. სტუდენტებისთვის გახსნილი იყო დოტირებული სასადილოები.

23. სკოლებში მოქმედებდა პიონერული ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავდა 14 წლამდე მოსწავლეთა ჩამოყალიბებაზე.

24. სკოლებში, ინსტიტუტებში, სამსახურებში, არსებობდა კომკავშირული ახალგაზრდული ორგანიზაცია და სურვილისამებრ მასში ერთიანდებოდნენ.

25. ფულის მპარავი ადამიანი, კომბინატორი, ვერ იქაჩებოდა და თავს ვერ იწონებდა.

26. გადაადგილება ხელმისაწვდომ ფასებში თავისუფლად შესაძლებელი იყო მთელი სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

27. მეცნიერება დიდად დაფასებული იყო და მეცნიერებს პატივს მიაგებდნენ, მათ აძლევდნენ მოზრდილ ხელფასს.

28. დეპუტატებად ირჩევდნენ ქვეყნის წინაშე დამსახურების მქონე პირებს, მათ შორის გლეხებსა და მუშებს.

29. მშრომელი ადამიანი დაფასებული იყო, მას წარმოაჩენდნენ „მასმედიაში“ და ძალზე წარმატებულებს აჯილდოვებდნენ „სსრკ შრომის გმირის წოდებით“.

30. ყველა პროფესია ფასდებოდა და აღინიშნებოდა პროფესიის დღე  წელიწადში ერთხელ.

31. კომუნალური გაადსახადი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო და გადახდებოდათ ხელფასის 4%.

32. შესაძლებელი იყო ამხანაგობაში სახლის აშენება. პირველი შესატანი სამოთახიან ბინაზე იყო 2700 მანეთი და ყოველწლიურად 15 წლის განმავლობაში უნდა გაედახადათ 320 მანეთი.

33. სტუდენტი-ახალგაზრდობა საქმიანობდა მესამე შრომითი სემესტრში – ფულადი ანაზღაურებით.

34. სასოფლო-სამეურნეო მიწები ყველა გადახნული იყო და მოსავალი მოჰყავადთ.

35. აკრძალული იყო ყოველგვარი ცეცხლსასროლი იარაღის ქონა-ტარება, გარდა სანადირო თოფისა.

36. საცხოვრებელი ბინის უფასოდ მიღება შეიძლებოდა საერთო რიგით, ანურიგოდ, თუ ახლადშექმნილ საწარმოში დაიწყებდი მუშაობას.

37. ახალგაზრდა სპეციალისტებს უზრუნველყოფდნენ ან ბინით ან საერთო საცხოვრებლით.

38. ტყესა და გარემოს გაცილებით უკეთ იცავდნენ და პატრონობდნენ ვიდრე დღეს.

39. დაწესებულებები გრაფიკის მიხედვით ვალდებულები იყვნენ, მილიციის თანამშრომლებთან ერთად ემორიგევათ ქუჩებში და წესრიგი დაეცვათ, სამუშაო საათების შემდეგ.

40. სოფელი ფუნქციონირებდა, სამუშაო ჰქონდა და თავისი ინტელიგენცია ჰყავდა.

41. კლასიკური ხელოვნება დიდ პატივში იყო, ფასდებოდა, ვითარდებოდა.

42. კაზინოები, სათამაშო სახლები, არ იყო, აზარტულ თამაშობებს არ მიესალმებოდნენ.

43. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები გეგმიურად ტექნიკით, ქიმიკატებით და საწვავით საკმარისად მარაგდებოდა.

44. სახელმწიფო თავად ცდილობდა მზა პროდუქციის გამოშვებას.

45. ხარისხით იმ დროს გამოშვებულ კვების პროდუქტები გაცილებით მაღალი ხარისხის იყო, ვიდრე დღესაა.

46. სახელმწიფო ქმნიდა ხორბლის, კონსერვების, სპირტის და შაქრის გარკვეულ მარაგს, რათა საკვები პროდუქტები არ გაძვირებულიყო.

47. სახელმწიფოში იყო სიტყვის პატივისცემა და არა სიტყვის თავისუფლება-ყბედობით.

48. იყო პიონერთა ბანაკები ბავშვების დასასვენებლად.

49. ნიჭიერ ხალხს წარმოაჩენდნენ, ხელს უწყობდნენ, ასაქმებდნენ.

50. რესპუბლიკის და ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ან მათ წარმომადგენლებთან შეხვედრა გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე დღესაა.

51. რაიონში ყველაფერზე პასუხს აგებდა რაიონის პირველი კაცი – რაიკომის მდივანი.

52. მთავრობა თავიანთ დაპირებებს ძირითადად ასრულებდა.

53. ქვეყანას საერთაშორისო წონა და მისი რიდი ჰქონდათ.

54. მშრომელი და შემოქმედი ადამიანის აზრს გაცილებით მეტად ითვალისწინებდნენ, ვიდრე დღესაა.

55. ხელისუფლებას და ხალხს ერთმანეთის რიდი და პატივისცემა ჰქონდათ.

56. ხდებოდა კადრების მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფო დონეზე.

57. დილეტანტები ქვეყნის მმართველობაში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დღესაა.

58. ხალხს ზოგჯერ „ასულელებდნენ“ იდეოლოგიით მათივე საკეთილდღეოდ.

59. მაღაზიებში ჩაწოლილი, ძველი და უვარგისი პროდუქტები ფაქტიურად არ იყიდებოდა.

60. ქვეყნის ინტერესები პირველ ადგილზე იდგა.

61. მარვალშვილიანობას ახალისებდნენ, აფინანსებდნენ და აჯილდოვებდნენ ორდენით „გმირი დედა“.

62. ყოველგვარი გეგმიური შეკეთება და რემონტი, საცხოვრებელი სახლების, მილების, ქუჩების უფასოდ ხდებოდა, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.

63. თითქმის არ იყო ნარკომანია.

64. პროფკავშირები შეძლებისდაგვარად ზრუნავდა ხალხზე, მათი შესაძლებლობები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღესაა.

65. ფულს ფასი ჰქონდა და მანეთი ასე წალმა-უკუღმა არ დევალვირდებოდა, როგორც დღეს.

66. დღესასწაული დღესასწაულს ჰგავდა, ხალხი გულით ხარობდა.

67. მგზავრობა ყველა სახის ტრანსპორტში შეღავათიანი და ხელმისაწვდომი იყო.

68. ფასებს სახელმწიფო არეგულირებდა და ასე ხშირად არ იცვლებოდა.

69. შექმნილი იყო კოპეარტივები, რომელთა დანიშნულება იყო ქვეყანაში „დეფიციტის“ მოხსნა თვითღირებულების ხარჯზე, ყოველგვარი დოტაციის გარეშე.

70. გეგმიურად შენდებოდა მეცხოველეობის, მეღორეობის, მექათმეობის სხვადასხვა კომპლექსები, ფერმები, თანდათან ხდებოდა საკმარისი ნედლეულის შექმნა. მაგ., საქართველოს მოჭარბებული ქათმის ხორცი გაჰქონდა რუსეთის ქალაქებში.

71. არსებობდა ინვალიდთა, უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა, საზოგადოებები რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამუშაოთი და საცხოვრებელი ბინით.

72. ყველა დარგს თავის სამინისტრო ჰყავდა, ემსახურებოდა, აფინანსებდა და დღევანდელივით რამდენიმე სამინისტრო გაერთიანებული არ იყო.

73. ქვეყანა გარკვეული ხუთწლიანი გეგმით ცხოვრობდა და ეს გეგმა სრულდებოდა, ზოგჯერ გადაჭარბებით.

74. ჩვეულებრივ მოკვდავს თავის წარმოჩენა მუყაითი და თავდადებული შრომით შეეძლო.

75. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობას დიდი ყურადღება ექცეოდა და ფასდებოდა.

76. ძლიერი საწარმოები უწევდნენ შეფობას სკოლებს, სპორტულ ბაზებს, სპორტსმენებს.

77. ყველა დასაბუთებულ ინიციატივას ითვალისწინებდნენ და პატივს მიაგებდენ.

78. ხალხი სხვათა გასაჭირს გაცილებით მეტად განიცდიდა და დახმარებას ცდილობდა საკუთარი ინიციატივით.

79. მათხოვრობა აკრძალული იყო და თითქმის არ იყო.

80. საცხოვრებელი სახლები, საწარმოები, ქარხნები გაცილებით მეტი შენდებოდა, ვიდრე დღეს.

81. ყოველწლიურად იქმნებოდა დამატებითი სამუშაო ადგილები.

82. მკაცრ კლიმატურ პირობებში მომუშავეებს ეძლეოდათ სხვადასხვა დანამატები ხელფასზე.

83. თუ ცხოვრების პირობებს გაირთულებდი, ფულის შოვნა კანონიერი გზით ყოველთვის შეიძლებოდა (სხვადასხვა დიდ მშენებლობებზე, ოქროს მომპოვებელ არტელებში, ტყე-პროექტებში და მრავალი სხვ.)

84. წამლებს ძირითადად სახელმწიფო ამზადებდა, ან შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან და თავად ადებდა შეღავათიან ფასს.

85. დიაბეტით და სხვა ქრონიკული დაავადებებით დაავადებულებს სახელმწიფო წამლებს უფასოდ აძლევდა.

86. ჯარში სამსახურს მიესალმებოდნენ, განსაკუთრებით დაუდევარი, აცვენილი ახალგაზრდების დასაღვინებლად.

87. კოლონიაში პატიმრებს ასაქმებდნენ, სპეციალობას ასწავლიდნენ, საშუალო სკოლებს ამთავრებინებდნენ.

88. თუ კოლექტივი ხელმძღვანელს ამხელდა, დანაშაულს, გადაცდენას დაუტკიცებდა, მას მაშინვე ათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

89. დიდი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის მუზეუმებს და სამუზეუმო ქონების შეძენას, მოვლა-პატრონობას.

90. ტაქსით გადაადგილება მრიცხველზე დაწერილი ფასის შესატყვისად გადაიხდებოდა.

91. უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი მოქმედებდა და სათანადო პატივიც მიეგებოდა.

92. საზოგადოებას, ქვეყანას, ჰყავდა მისაბაძი ადამიანები, თავისი ავტორიტეტები, რომელსაც უჯერებდნენ და პატივს მიაგებდნენ.

93. ცენზურა იყო, მაგრამ ის კარგ საქმესაც აკეთებდა, რადგან ამდენი ნაყარ-ნუყარი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, „მაკულატურა", არ გამოდიოდა, „მასმედიაში" არ იყო უხამსობა.

94. მშვიდობა სუფევდა ყველგან.

95. ყველამ იცოდა თავისი საქმე და ცდილობდა დაეცვათ არსებული ცხოვრების წესი.

96. შემნახველი სალაროების, ბანკების მიერ გაცემული მიზნობრივი კრედიტი წლიურად 1% არ აღემატებოდა.

97. იყო პროფესიონალური-ტექნიკური სასწავლებლები თავისი სამინისტროთი, რომლებიც ამზადებდნენ სხვადასხვა განხრის სპეციალისტებს.

98. საბაღე ნაკვეთები აქტიური ხალხისთვის უფასოდ რიგდებოდა.

99. მოსამართლეებს ხალხი ირჩევდა, მაგრამ მათ ხარისხიან მუშაობას ამოწმებდა იუსტიციის სამინისტრო და შეეძლოთ შემდგომ არჩევნებში მისი კანდიდატურა არ წამოეყენებინათ სათანადოდ დასაბუთებით.

100. თუ თქვენთვის სასურველ სპეციალობაზე ვერ მოხვდებოდით და გამსვლელი ქულები დაგაკლდებოდათ, შეგეძლოთ ეს ქულები გაგეგზავნათ ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუტებში და სადაც ამ ქულების რაოდენობას საკმაოდ ჩათვლიდნენ, იქ შეგეძლოთ გაგეგრძელებინათ სწავლა.

## სარჩევი

წინათქმა განმარტებებით .................................................. 3

მსოფლიოს 100 უპირველესი ფილოსოფოსი, ლიტერატორი, ხელოვნების მოღვაწე და უნივერსალური გენიოსი .................................................. 7

მსოფლიოს 100 უპირველესი მოგზაური, რელიგიური, სამხედრო-სახელმწიფო მოღვაწე და ავანტურისტი .... 14

მსოფლიოს 100 უპირველესი .................................................. 23

100 დიდი ქართველი .................................................. 27

ქართული წარმოშობის 100 საუკეთესო „მამლუქი“, გადასული .................................................. 33

საქართველოს კუთვნილი 100 საუკეთესო შვილი ........... 41

რუსეთის 100 რჩეული .................................................. 50

100 ცნობილი ებრაელი, რომელსაც მამა ებრაელი ჰყავდა და რწმენა არ შეუცვლია .................................. 57

ფერწერის 100 დიდოსტატი ჩემი გემოვნების გადასახედიდან .................................................. 71

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის 100 ღირსეული მთავარეპისკოპოსი, კათალიკოს-მთავარეპისკოპოსი და კათალიკოს-პატრიარქი .................................................. 78

საქართველოს 100 ამაგდარი მეტყევე „გირისტისი“ – ტყის დამცველები .................................................. 83

ქართული რაგბის 100 ამაგდარი და ელიტა ..................... 95

ქართული სუფრის სახელმძღვანელო „ასი სადღეგრძელო“ .................................................. 103

მამაკაცის და ქალის 100 ქართული სახელი .................. 158

ქალის სიმბოლური ეპითეტის 100 ვარინტი .................. 162
მეორე 100 ვარიანტი .................................................. 167
100 ცრურწმენა, ხალხური გამოცდილება, რომლისაც ბოლომდე არ გვჯერა, მაგრამ გვართობს და ნერვებს გვიმშვიდებს ............................................. 172
განათლება-ცოდნა-გამოცდილების 100 პოსტულატი .... 180
ღიმილით გასახსენებელი 100 „სიგიჟე“......................... 187
ცხოვრების 100 პოსტულატი პირადი გამოცდილების გადასახედიდან......................................................... 191
ქვეყნის პირველი პირის 100 დამოძღვრა...................... 199
საყოველთაო 100 მცნება ............................................. 208
ბერბიჭას ასაკის 100 ყმუილი – სერენადა.................... 210
დაოჯახებული ქალის ასაკობრივი 100 სერენადა: ......... 213
გაუთხოვარი ქალის ასაკობრივი 100 სერენადა: ............ 215
100 დასამახსოვრებელი პიროვნება – ხონში დაბადებული ........................................................... 218
რა გვაქვს ქართველებს კარგი და რა ცუდი 100-ის ფარგლებში ............................................................. 226
ინფორმაცია მოსახლეობის მახასიათებლების პროცენტულ განაწილებაზე ..................................... 230
100 ენაზე „მე შენ მიყვარხარ“ ....................................... 234
100 შესანდობი სიტყვა, რათა უნორმატივო ლექსიკა არ გამოვიყენოთ ........................................................ 237
100 „უ“-ს უარყოფითი სერენადა .................................. 238
სიყვარულის ერთდროული 100 ყივილი ........................ 239

ბიზნესის ძირითადი 100 პარამეტრი მისი რეალობიდან გამომდინარე ........................................................ 244

პოლიტიკა-პოლიტიკანობის 100 ძირითადი პოსტულატი 252

100 დამოძღვრა, რაც ყველას გამოგვადგება! ისწავლეთ ........................................................ 258

100 „თავდანატრი“, როდესაც ნამოქმედარი დღესაც გეამაყება ........................................................ 262

ის, რის გახსენებაც 100-ის ფარგლებში დასაკარგი არ არის ........................................................ 309

100 პერსპექტიული წინადადება, რომელთა მათანალიზით დეკლარირება ფული ღირს ................ 350

100 პოსტულატი იმისა, რაც არის და რაც უნდა იყოს .. 362

100 ქართული „ფეხისდადება“ და უმადურობა .............. 368

100-ის ფარგლებში „ბედის დაცინვა“ ანუ ყოფის ის ალგორითმები, რომლებზეც არც მიფიქრია და მიოცნებია ........................................................ 403

რა ჰქონდა ცუდი 100-ის ფარგლებში სსრ კავშირს (ის რაც მე მახსოვს 1950—1990 წლებში) .................. 412

რა ჰქონდა 100-ის ფარგლებში კარგი სსრ კავშირს ...... 419

რედაქტორი პროფ. **ლერი ჩანტლაძე**

მხატვარი **პაატა ყუფარაძე**

კორექტორები: **მერი შავლუხაშვილი**
**ნანული ყუფარაძე**

დაკაბადონება **პაატა ქორქია**

პოპულარული ლიტერატურა

**გიორგი ყუფარაძე**

**მტვერდაუდებელი 100-100**

**Гиоргий Купарадзе**

**Пыленезатронутые 100-100**

ფორმატი საბეჭდი ქაღალდი 60X90$^{1}$/16
ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,87
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,91
ტირაჟი 1000 ც.

გამომცემლობა „პოლიგრაფ-2003“
ჯიქიას ქ. № 12